ეკატერინე
ფეფელაშვილი

ლიშა ბაღდავა

მხცოვან მწერალ ქალს ლიდია მეგრელიძეს ოთხმოცი წელი შეუსრულდა. კრებულში „სიცოცხლისათვის“ თავმოყრილია ავტორის მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში დაწერილი ნაწარმოებები.

„მშობლიური ცის ქვეშ“ ეს არის ვრცელი ამბავი— ქრონიკები 1902—1906 წლების გურიის გლეხთა და ბათუმის მუშათა მოძრაობაზე. მწერალს ნათელი საღებავებით აქვს დახატული რევოლუციურად განწყობილ გლეხთა კოლორიტული ხასიათები, მათი დუხჭირი ცხოვრება, მუშათა შთამბეჭდავი სახეები. მწერალი გვიჩვენებს თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს. ისინი მზად არიან თავი დასდონ მუშათა და გლეხთა დიდი საქმისათვის, საზოგადოებრივ, სახალხო საქმისათვის. „მშობლიური ცის ქვეშ“ სიუჟეტური ნაწარმოები არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი გატაცებით იკითხება და მისი გმირები დიდხანს რჩებიან მკითხველის ხსოვნაში.

კრებულში შეტანილია მოთხრობებიც. ისინი თემატიურად მრავალფეროვანია. მეორე ამბავში „ჩემი ცხოვრების დღიურები“ დახატულია გურიისა და შავი ზღვისპირეთის ბუნება, ხალხის ზნე-ჩვეულება, ყოფა, შრომა და მისწრაფება.

ჟოფჯრიები



ფანჯრები გამაღე

— მიიბრუნე სახე მარცხნივ, გახედე ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს. მუგუზლები დამწვარა, ნაკვერცხლებიღა ღვივის. გაივლის წუთები და ნაკვერცხლები დაიფერფლება. ფერფლი დაფარავს ყველაფერს,—ამოოხვრით წარმოთქვა ნაზიმ.

თვალწინ წარმომიდგა ცეცხლით აბრიალებული ბუხარი. მე და ნაზიც იქვე ვისხედით და „ანათით-ბანათითს“ ვთამაშობდით. ხომ არ გგონიათ, სავარძელში ვლაღობდით ან რბილ ხალიჩაზე ვიყავით ფეხმორთხმულნი? არა, მე და ნაზის ერთი ჯორკო გვედგა ბუხრის წინ და ამ ჯორკოს ხშირად გვტაცებდნენ სხვა ბავშვები. ამიტომ გადმოვაბრუნეთ და ქვემოდან წავაწერეთ ჩვენი სახელი. არა... სახელი კი არა, სად ვიცოდით მაშინ წერა-კითხვა მე და ნაზიმ, რაღაც უცნაური ხაზებით დავნიშნეთ. ერთ ხაზს ახალ მთვარესავით ჰქონდა რქა, მეორეს ძველ მთვარესავით. ერთ რქას აღმოსავლეთი დავარქვით, მეორეს — დასავლეთი.

რა გულუბრყვილო ბავშვები ვიყავით მე და ნაზი!

ჰოდა „ანათით-ბანათითს“ ვთამაშობდით...

— ეჰ,—ისევ ამოიოხრა ნაზიმ და რადიატორს გახედა.

ბუხრის მაგიერ რადიატორი ათბობდა ოთახს. ჩვენ მსუბუქი ჯაბები გვეცვა. გარეთ კი თოვდა, ათოვდა მინდვრებს. აქა-იქ დაუმთავრებელ აგურის შენობებს პეპელასავით ეხვეოდა თეთრი ფანტელი. ლამაზი მოჩანდა თეთრში გახვეული მოწითალო შენობები.

მაღალ ხარაჩოზე შემდგარი ინჟინერი დავითი, ჩემი მეზობელი, შეუპოვრად ებრძოდა გაავებულ ამინდს.

მუშებს მარდად გადაჰქონდათ მოძრავი ტვირთამწეებიდან აგურები. კედლებს ჩვენ თვალწინ ემატებოდათ სიმაღლე. მიწისმთხრელებიც არ ეპუებოდნენ ამინდს. თხრიდნენ მიწას და აფართოებდნენ ქუჩას.

იქ, მიღმა, თეთრად იბურებოდა მთა-გორები.

თეთრად ბრწყინავდა ჩემი უბანი.

მე და ნაზი მეოთხე სართულის ფართო ფანჯრებიდან გავცქეროდით ამ გაშლილ სივრცეს.

რამდენი ხანია მე და ნაზი დავშორდით ერთმანეთს. დიდი ხოლერობა იყო იმ ზაფხულს, მამაკაცებს ჯიბეები უყარდათ ნივრით. ქალები კბილებით ჩიჩქნიდნენ ნივრის ნაფცქვენებს. ბავშვებს წამალივით ასმევდნენ ნივრის წვენს.

იმ წელს გარდაიცვალა დედაჩემი და ნაზის დედა.

— რამდენი წლისა ვიყავით მაშინ, თუ გახსოვს?—მკითხა ნაზიმ.

— მგონი ცხრისა...

შემდეგ აღარ გვითამაშია „ანათით-ბანათითი“.

ახლა მესტუმრა ბავშვობის მეგობარი. აი ის ზის ჩემ წინ და იღიმება. როგორ ჩამომჭკნარა!.. სიბერის ნაოჭებს დაუსერავს ვარდივით სახე. ბამბასავით გასთეთრებია წაბლისფერი, ხვეული თმა. ცქრიალა თვალები მჭკნარ ქუთუთოებში მიბინდულან.

— აქამდის სად იყავი, ნაზი?

ნაზი დუმდა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ წარმოთქვა:

— ის ვეებერთელა შავბალაც დაენარცხა მიწას. ის ალუბლებიც ფუტუროდ იქცნენ.

— საქანელა? — წამოვიძახე და ვეებერთელა შავბალას ხსენებაზე მამაჩემის ეზო მომაგონდა. ნაზიმ, ალბათ, შემატყო მღელვარება.

— ჰა, ჰა, ჰა...—ჩაიქირქილა უცნაური ხმით.

გაკვირვებით შევხედე, მის სიცილში ახალგაზრდული ჟღერა მომესმა. რაღაც შორეული მომაგონდა.

— შენ არ დაბერებულხარ, ნაზი!

— ახლაც ვნატრობ ჩიტის ფრთებს,—მითხრა ნაზიმ და ისევ გახედა დათოვლილ მთებს. არ ვიცი რა იგრძნო, სიცივე თუ სითბო. ისევ ჩაიქირქილა და ხელი მოავლო რადიატორს.

* * *

შიიწურა ზამთარი, თოვლი გადნა. ტალახი გაშრა, ზამთარს გაჰყვა სივიწროვე და სივაგლახე. ჩემი უბანი დღითი დღე მშვენდება. ჩემს ფანჯარასთან შემოიქროლეს მერცხლებმა და ჭიკჭიკით მიიმალნენ. „გაზაფხული, გაზაფხული, გულს იმედი დამესახა...“ ბავშვებმა ჟრიამულით გადაირბინეს მინდორი. მთა-გორებზე იისფერი ბინდი ეშვება.

რადიოში ვიღაც მღერის: „შე-მო-ღამ-დება...“

ცა ნელ-ნელა ლურჯდება.

მარტო ვარ.

ფიქრი მომიზღვავდა. მომენატრა შორეული სახეები, ნახული, განცდილი. მათთან თბილი საუბარი, მათი ტკბილი ალერსი, ყველამ დამტოვა, ყველა წავიდა. აღარ დაბრუნდებიან. სევდა მომაწვა გულს. მინდა ვიტირო და დავმშვიდდე. ყურში ვიღაც ჩამჩურჩულებს: „ცრემლი არის გულის სილბო“. წამწამები მიმძიმდება. მაგრამ ვიღაცის სუნთქვა ვიგრძენი. თავი შევიკავე. აგერ, ჩემი სტუმარი უკვე შემოსულა ოთახში. მიცქერის მიბინდული თვალებით, თრთის და ღელავს. ელოდება ჩემთან საუბარს. უნდა მისი ახალგაზრდობის ამბებით გამომიშედოს თავი, რა ქნას, ქალია.

— ეჰ, ნაზი, არავისთვის საინტერესო აღარ არის ჩვენი ახალგაზრდობის ამბები.

— მაგრამ ისტორია?—სიტყვა გამაწყვეტინა ნაზიმ,—ახლა ჩვენს ეწერზე ნაგვიმრალიც აღარ მოიძებნება. ჩვენს ტყეებში, სადაც კურდღლები დახტოდნენ, წიწვიც აღარ არის.

— შენ ამბობ, ჩვენი მამული განიავდაო?—მოუთმენლად შევყვირე. აღარ დავაცადე სიტყვის დამთავრება, დამავიწყდა

მასპინძლის ზრდილობაც... მომაგონდა ოჩხამურის მიღმა ტყეები, წიფლნარში ჩამოფანტული წიწიბო და პირდაბზარული წაბლები, სადაც ღრუტუნებდნენ და ბრდღვინავდნენ სალანჩეგასქელებული გარეული ტახები.

— ჰა, ჰა, ჰა... სადაც გველი „ნატვრის თვალს“ ათამაშებდა და ჩვენ რომ მაინც ღარიბები ვიყავით. საწყალი დედაჩემი, ჭაობის ციებით გახურებული, მღვდელს რომ ზიარებასა სთხოვდა. ეეჰ, რამდენია მოსაგონარი... ხომ გახსოვს ჩვენი მეზობელი ბებერი მამუკა, რამდენი ღამე დასთენებია „ნატვრის თვალის“ ძიებაში საცოდავს.

— ამ ძიებაშია წინსვლა, ნაზი. ეძიე ნახშირი, იქნებ ოქრო იპოვო.

ჩემმა ბავშვობის მეგობარმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— ალბათ გაწყენინე. შენ გეგონა ჩვენი ბმული განიავდა!—მოიბოდიშა ნაზიმ,—ცუდად გიფიქრია. ნატყეურზე ოქრო ბრწყინავს ახლა და ნაგვიმრალზე მარგალიტები.

ნაზიმ ჩანთა გახსნა, მაგიდაზე ფორთოხლები და ლიმონები დააწყო და მითხრა:

— აი, ჩვენი ოქრო! მე შვილები დავზარდე, ოქრო ხელებში აქვთ.

— მართალი ხარ,—წავიჩურჩულე დარცხვენილმა.

ჩემმა სტუმარმა სახეზე ხელი მიიფარა, მერე მოიშორა და ცრემლიანი თვალები მომაპყრო.

— ახლა ისევ პატარა ვარ... გახსოვს ჩვენი ჯორკო?

სკამიდან წამოვიჭერი. მართლაც ისე პატარა მეჩვენა ნაზი, მინდოდა მოვხვეოდი, გულში ჩამეკრა, მაგრამ რაღაც მაგარ საგანს დავეჯახე.

სარკე...

სარკე გაიბზარა.

ვდგავარ დაბინდულ ოთახში, წუთიც და, ათასობით ნათურა აციმციმდა ჩემს უბანში.

ფანჯრები გავაღე.

— მშვიდობა სიცოცხლეს!

1959 წ.

ეპიტაფია

სატირული მოთხრობა

— ასეთი ქუჩა მგონი ქალაქში არ არსებობს, — მხრების აწევით ჩურჩულებდა ალისა და ნაღვლიან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

პატარა ჩემოდანი ხელში შეაცივდა.

მიიხედ-მოიხედა, დერეფანში მეორე კარი შენიშნა.

„აქ ვინღა ცხოვრობს ნეტავი?“—გაიფიქრა და ფრთხილად დააჭირა თითი ზარს.

— ვინ გნებავთ? — გამოეხმაურა ვიღაც მოხუცი.

— აქ, ის, თომა... იქნებ იცით, სად გადავიდა?

— რა მოგახსენოთ...

— სად იქნება ფეების ქუჩა?

— რაო, რას ამბობთ?!

— ფეების ქუჩა.

— აჰ, მოითმინეთ, ბარათი უნდა გადმოგცეთ.

— ბარათი? — სიხარულით წამოიძახა ალისამ. მოხუცმა დალუქული წერილი მიაწოდა და კარი მიხურა.

ალისამ საჩქაროდ გახსნა ბარათი. „ძვირფასო მეუღლევ, მაპატიე, რომ თბილისში ჩამოგიყვანე. დღეს მეათეჯერ გამომასახლეს ბინიდან. ჩემს კვალს ნულარ დაეძებ“.

„იყო და არა იყო რა“.

მეორე დღეს ალისა ნაცნობი დიასახლისის რჩევით სამილიციო უბანში წავიდა.

— ფეების ქუჩა?—გაიკვირვა კომისარმა,—ასეთი არ მეგულება.

თავი გაიქნია, მაგიდას დაეყრდნო და უცნაურად მიაშტერდა ალისას.

— მაგრამ, თქვენ, ქალბატონო, რად იწუხებთ თავს? რად დაეძებთ ქმარს, რომელსაც არ სცოდნია თქვენი ფასი. თქვე-

ნებრ მშვენიერი ქალი სრულიადაც არ არის ვალდებული უღირსი ქმარი ეძიოს. სხვას გირჩევდით: თქვენი გარეგნობა სრულ გარანტიას გაძლევთ, თუ მოისურვებთ, საუკეთესო კინომსახიობი გახდეთ. მე მყავს ნაცნობი რეჟისორი, მიგიწერთ ბარათს. დაფიქრდით, თუ ეს აზრი ხელსაყრელი იქნება თქვენთვის, მიმსახურეთ.

...ალისა აღფრთოვანებული გამოვიდა რეჟისორის კაბინეტიდან. მას ყველაფერი აღუთქვეს... იფიქრა და გადაწყვიტა: დღეის იქით ქმარზე აღარ იდარდებს.

ახალი ცხოვრება გაუღებს კარს:

ალისა სტუდიაში...

ალისა ეკრანზე...

— გმადლობ, შემოქმედო, რომ ასეთი სილამაზით დამაჯილდოვე!—გულწრფელი სიხარულით წარმოთქვა ალისამ სტუდიის დარბაზში, როცა ვეებერთელა სარკეში თავისი თავი დაინახა. ხშირი წამწამებით დაბურული შავი თვალები მეღიღურად გადაატრიალა, გამოაღო კარი, მოიხედა და ჩუმი სიხარული იგრძნო, მისი წასვლით დარბაზს თითქოს ფერი ეცვალა.

მაგრამ ეჭვმა გაჰკრა:

— რატომ ჩემმა ქმარმა არ ისურვა ჩემთან დარჩენა? ნუთუ არ იცოდა სილამაზის ფასი? ქორწინების შემდეგ ორი დღეც აღარ უცხოვრია ჩემთან. სამსახური მოიმიზეზა, თბილისში წამობრძანდა, ქორწინებამდე კი, მეფიცებოდა, მიყვარხარ, უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიაო. მერე სულ მიმივიწყა... და ერთი წლის შემდეგ ეს წერილი... — დაკუჭული ბარათი კუთხისკენ ისროლა.

„იყო და არა იყო რა“...

ფიქრით დაქანცული თომა ოთახში ბოლთას სცემდა. მარტი იყო. ბნელ ჭერს ხუთსართულიანი სიმძიმე აწვებოდა. ქუჩიდან ისმოდა ჟრიამული. მაღლა სართულში როიალზე უკრავდნენ. თომას ძარღვები ეჭიმებოდა, გული უთრთოდა, თავბრუ ესხმოდა. აგონდებოდა ალისასთან პირველი შეხვედრა. ალისა ხომ კარგ ქმარს ეძებდა და აკი ნახა კიდეც. მართალია, თომა გარეგნულად პატარა, ჩია კაცი იყო, მაგრამ როდესაც ნასამსახურობის სია წაუკითხა, სულ გაგიჟდა ალისა.

1914 წ. კავკასიის ფრონტზე № დივიზიის № პოლკის ოფიცერი.

1915 წ. ივლისი. ანას მე-3 ხარისხის ორდენი და პოდპორუჩიკის ჩინი.

1916 წ. თებერვალი. არზრუმის მეწინავე ფორტებში: ჩობანდელედალანგირზე ოქროს იარაღი.

1916 წ. მარტი. კიშინევკუმის დაპყრობის დროს თავგანწირვისათვის, ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი.

1916 წ. ივლისი. პორუჩიკის ჩინი.

1916 წ. ნოემბერი. ქალაქი ერიზიანის აღების დროს მე-4 ხარისხის წმიდა გიორგის ჯვარი.

1916 წ. დეკემბერი. შტაბსკაპიტნის ჩინი.

1917 წ. თებერვალი. კაპიტნის ჩინი და ანას მე-2 ხარისხის ორდენი.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, წმიდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი და პოდპოლკოვნიკის ჩინი.

და ასე, სახელმწიფოს გადატრიალების შემდეგაც თომა დიდხანს შერჩა მაღალ ტოტს. მაგრამ ცოლის შერთვისთანავე, სრულიად უცერემონიოდ დაითხოვეს სამსახურიდან, როგორც:

ყოფილი პორუჩიკი,
ყოფილი კაპიტანი,
ყოფილი პოდპოლკოვნიკი.

გაუჩხრიკეს ბინა და ზემო სართულიდან ჩამოასახლეს:

დაბლა...
კიდევ
დაბლა...
კიდევ
დაბლა...

და აი, ხუთი სართულის სიმძიმე მხრებზე აწვება.

რაღაა დღეს თომას სიცოცხლე?

არაფერი...

„იყო და არა იყო რა“...

მაშ, რა გსურს შენ დღეს, თომა?—არაფერი... თომას დღეს არაფერი არ სურს, გარდა სიყვარულისა. დიახ... მაგრამ სად არის სიყვარული? დამძიმდა თომას გული დარდით. ვის

რად უნდა ახლა! ყოველ დიდებას და ღირსებას მოკლებული, სამსახურიდან დათხოვილი, ბინიდან გამოსახლებული, გამოფიტული ძვლების ხოხოლა.

ახალგაზრდობის საუკეთესო წლები ფრონტს შეალია.

მოაგონდა, როგორი ბრძოლის წყურვილით გაჰყურებდა მაშინ მტრის ბანაკს... მზად იყო ერთი დაკვრით გაესრისა ათასი სიცოცხლე, ოღონდ დიდება მოეპოვებია.

— ალისა, ძვირფასო მეუღლე!.. მინდოდა... მინდოდა...— აკანკალებული ხმით წამოიძახა თომამ და ლოგინზე დაემხო...

დარწმუნებული იყო, რომ ალისა მასთან ცხოვრებას აღარ მოისურვებდა.

* * *

ლოგინიდან თავი წამოჰყო, თვალები მოიფშვნიტა, შუქი აანთო.

— ოჰ, რა იყო ეს, სიზმარი?.. ისე ნაზი, ისე სურნელოვანი, როგორც ალისას მკლავები. ნუთუ სამუდამოდ დავკარგე!..

გადაწყვიტა: მისწეროს ალისას წერილი. გაუმხილოს, რისთვისაც დაშორდა, რომ უმისობა ასე აწამებს, რომ მას ისევ ისე უყვარს, მაგრამ თომას მარტო სული აქვს, ჩინი, ორდენი, დიდება, პატივი, სამსახური კი... ყველაფერი დაჰკარგა. რევოლუციის გრიგალმა მის ზურგზე გადაიარა. ახლა ესაჭიროება მეგობარი, რომელიც მის წამებას გაიზიარებს. აიღო კალამი და გულაჩუყებულმა დაწერა:

„ალისა, ძვირფასო მეუღლევ, დამიბრუნდი, გევედრები, დამიბრუნდი... მინდა სიყვარული... მინდა შენი სული... სული...

ისე ნაზი, ისე ფაქიზი, როგორიც იყო ჩვენი პირველი შეხვედრა. თომა“.

გადაიკითხა რამდენიმეჯერ, აკოცა ბარათს, ჩადო კონვერტში და ხელის კანკალით წააწერა მისამართი. კარი გამოიკეტა და საფოსტო ყუთისკენ გაეშურა...

ახალმა ცხოვრებამ წაშალა წარსულის კვალი. ალისა გაიტაცა კინო-თეატრებმა; მხიარულმა ბაღებმა.

ალისა ხვალ ეკრანზე აანთებს ვნების ალს.

— გმადლობ, შემქმნელო, რომ ასეთი სილამაზით დამაჯილდოვე!—თქვა ისევ ალისამ და კმაყოფილი წამოწვა ტახტზე. უნდოდა ცოტა მოესვენა, მაგრამ ვიღაცამ დააკაკუნა.

— აჰ, წერილი...—სახე აენთო, ამაღამ ბარათს ელოდა.

გაკვირვებამ შეიპყრო. წერილი წაიკითხა, გადიხარხარა.

— სული... ჰა, ჰა, ჰაა... ალბათ საქმე შემოლევია.

მერე უცებ დაფიქრდა და კალამს დაავლო ხელი:

„ყოფილო ქმარო!...—და ალმაცერად გაიღიმა, რაღაც მოაგონდა:—ახლა გვიანღა არის... შენს მოლოდინში სული დავკარგე. ჩემზე ნულარ ფიქრობ.

იყო და არა იყო რა...“

მთელი ღამე მშვენიერ სიზმრებში გაატარა თომამ: ხან ორდენებს უბრუნებდნენ, ხან სამსახურში ნიშნავდნენ, ხან ალისას ეალერსებოდა, ხან იმპერატორის გვერდით უდგამდნენ საპატიო სავარძელს...

დილით გაოგნებული გამოვიდა ქუჩაში. ხალხი მოძრაობდა, ხმაურობდა, მიიჩქაროდა, მხიარულობდა...

თომაც მოვიდა ხასიათზე, სადალაქოში წვერი გაიპარსა. იქ, სარდაფში ჩავიდა, ცოტა ღვინოსა და ხაშს შეექცა. როცა შინ დაბრუნდა, მიიხედ-მოიხედა, ყველაფერი მიყრილ-მოყრილი ეჩვენა, მეეზოვე ქალი მოიხმო და ოთახი დააწმენდინა. საწოლი შეაბრუნა, მაგიდა სხვარიგად დადგა. სურათები მეორე მხარეს გადმოალაგა. რევოლვერი და ოქროს ხმალი თავთით დაიკიდა. ისევ მიიხედ-მოიხედა, რაღაც გამოურკვეველი სიხარული იგრძნო, თითქოს ამ წუთიდან ახალ ცხოვრებას იწყებდა. ლოგინზე მიწვა, ალბომი გადმოიღო და თვალიერება დაუწყო.

მოწაფეობისას ერთმა ნაცნობმა რაფაელის „წმიდა ოჯახი“ აჩუქა. მაშინ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ სურათს. ახლა ძალიან მოეწონა, დიდხანს უცქირა. მოეჩვენა სასოებით სავსე ალისა პატარა ბავშვით ხელში, იქვე ძვირფასი სადაფით მოჭედილი აკვანი — სიმბოლო ქართული ოჯახისა.

— ო, ბედნიერებავ!—წამოიძახა თომამ და ალერსით გაიშვირა ორივე ხელი. უნდოდა მოხვეოდა საყვარელ ცოლს, მაგრამ მწარე სინამდვილემ უკან დაახევინა.

ალისა მოვა, უსათუოდ მოვა...

შაგრამ როგორ უნდა შეხვდეს თომა?
ცარიელი სულით?
შავი ფიქრი შემოეხვია.
— რაა დღეს სიცოცხლის ფასი?
— არაფერი... არაფერი...—თითქოს გამოეხმაურა ცარიელი კედლები.
— მაშ, შენ, საწყალო თომა, რა ვაჟკაცი ხარ, რომ ამ წაბეებას ვეღარ მოშორდი? შენ ხომ ბევრი გამოასალმე წუთისოფელს?..
ვინ იყვნენ ისინი? ისინიც ხომ ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორც შენ, თომა? მაშ რას უცდი, რა დაგრჩენია? ასობით დაღუპულ სიცოცხლეს ერთიც მიუმატე... დიახ, შენ მაშინ მართალი იქნები, თომა! მართალი, კაცობრიობის წინაშე, თუ ბოროტებას გაბოროტებით დათრგუნავ და იმ საზიზღარ ცხოვრებას თვალებში შეაფურთხებ, რომელმაც გაიძულა ადამიანის სისხლში გაგესვარა ხელი, მხოლოდ შრომისათვის რომ მოუცია განგებას...
შორს გაჰყვა თომა გრძნობას, მიმზიდველად წარმოუდგა სიკვდილი.
— დე, იგრძნოს ყველამ, რომ თომა არ იყო ბოროტი.
კედლიდან რევოლვერი ჩამოიღო.. შუბლთან მიიტანა.
და...
დარჩა მხოლოდ უკანასკნელი წარწერა „იყო და არა იყო რა“...
საღამოს ფოსტალიონმა კარის სახელურში ალისას წერილი ჩაჩურთა. მეორე დღეს ამ ბარათს ბავშვები აფრიალებდნენ ეზოში.

1923 წ.

დედის რძე

აკვანთან ჩამომჯდარ, ღრმა ფიქრში გახვეულ ფაშუტას თავს ისე წამოადგა ზევახი, რომ მისი მოსვლა დერეფანში მოკუნტულ ძაღლსაც არ გაუგია.

ახალგაზრდა ქალი უცბად გამოერკვა, თავი წამოსწია. მის წინ ზევახი იდგა და ღიმილით ჩასცქეროდა ჩაძინებულ ბავშვს. ქალმა ვაჟს ხელი მოკრძალებით გაუწოდა. ალისფერი ატლასივით წამოწითლებული სახე გვერდზე მიიბრუნა, ძველი „ჩიბჩიყიანი ჩიქილა“ თავიდან მოიშორა, შავი ნაწნავები გაისწორა და საპატიო სტუმარს დაბალი სამფეხა სკამი შესთავაზა.

— დაბრძანდი, ზევახ!

— რაზე ფიქრობდი, ფაშუტი, ასე გატაცებით?—სიცილით შეეკითხა ზევახი,—თითქო საქვეყნო საქმეებს არკვევდი... ან იქნება მზის ჩასვლაზე ოცნებობდი და ვერ გამოგირკვევია, დასავლეთისაკენ ჩამავალი მზე რად ამოდის მეორე დილით აღმოსავლეთით. ან იქნება დედამიწის ბრუნვა გაოცებს.

— დამცინი, ზევახ?

ზევახმა შუბლზე ხელი გადაისვა, პაპიროსი გააბოლა.

— არა, ფაშუტ, დაცინვა რა საკადრისია. მე მოგიტანე ლინათლე და მინდა, რომ დაინახო ის.

მზე ჩადის და რაჭის მთებს ვარდისფერი სხივები აფერადებს.

ისმის რიონის ჩუხჩუხი, მწვანედ დაფენილ ველზე მენაპირენი პირუტყვს ერეკებიან.

„ჰაუუუ... ჩახ... ჩახ...“ ტყეში წაქცეულ ხეებს მორავენ. დღეს ფაშუტას მამაც ტყეში მუშაობს.

ზაფხული იწურება.

შეყვითლებულ ყანებს მთის მსუბუქი ნიავი აშრიალებს.

სოფლის ბოლოს, ტყის პირად დგას ფაშუტას მამის მამუ—

ქას ძველი სახლ-კოშკი, პაპის აგებული კოშკის წინ სხედან ზევახი და ფაშუტა.

ზევახს აგონდება ბავშვობის დღეები: გუშინ იყო, იმ დობილოში რომ დარბოდნენ ფაშუტა და ზევახი, კეკემალულობას თამაშობდნენ და ბებერი მუხის ფუღურაოში ბავშვურად კოცნიდნენ ერთმანეთს. მერე ხბორებს მორეკდნენ ეზოში და ვახშმობამდე თამაშობდნენ სახლის წინ. ზევახი ფაშუტას დედის გაზრდილია. ფაშუტას დედა ზევახს ახლაც შვილს ეძახის და როცა ობლად დარჩენილი, ბიძამ თბილისს წაიყვანა, ფაშუტამ ბევრი იტირა. სიყვარულით იგონებდა ბავშვობის მეგობარს. ხან შიშის გრძნობაც კი გაუვლიდა პატარა გულში: ოდესღაც ზევახი მისი ქმარი უნდა გახდეს, მაგრამ ის ხომ მისივე დედის რძით არის გაზრდილი!?

ზევახსაც არ შორდებოდა ფიქრი ფაშუტაზე. ქალაქურმა ცხოვრებამ ვერ დაავიწყა ის. მარტოობის დროს მთელი მთის რაჭა ფაშუტას სახით ეხატებოდა ზევახს.

მამამ თექვსმეტი წლისა გაათხოვა ფაშუტა, და თვრამეტისა უკვე დაქვრივდა.

ახლა კი სხვა საზრუნავი გასჩენია ფაშუტას... „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა". დიდი ასოებით დაწერილი ლოზუნგი გამოეკრათ გუშინ ქოხსამკითხველოში.

— ზევახ!

ფაშუტას გული აუჩუყდა, ილარა როგორ დატოვოს?

— მე მინდა მეტი სინათლით გიბრწყინავდეს ეგ ლამაზი თვალები, ფაშუტა! ამას მავალებს ერთად გატარებული ჩვენი ბავშვობის წლები. გახედე ამ ტყეს, ამ დობილოს, სადაც ჩვენ ვთამაშობდით. თითქოს გუშინ იყო.

ზევახმა ფუღურაოიან მუხას გახედა, ამ ათი წლის განმავლობაში რომ სულ გამხმარა და ჩონჩხივით დგას. დღეს თუ ხვალ მასაც ნაჯახი მოხვდება. ჰოდა, ის ლამაზი ხსოვნაც გაქრება.

— რა იქნება, ახლაც რომ გაკოცო, ფაშუტა?

— ზევახ! დედის რძე?..—ამოილუღლუღა ათრთოლებულმა ფაშუტამ და მხრებიდან ნაზად მოიშორა ზევახის ხელები.

ზევახი დარეტიანებულივით წამოდგა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა ტყის ბილიკს, ღრმად შეისუნთქა ტყის ველური სურ-

ნელი. ვერ ძღებოდა კავკასიონის ფერთა სილამაზით, უხვი ჰაერით, ფერად-ფერადი ყვავილებით...

მაგრამ ეჰ, რამდენი წელია კიდევ საჭირო მთაში ძველი წესების აღმოსაფხვრელად!

ზევახმა იცის: მთის რაჭა ჯერ კიდევ არ არის ასული თანამედროვე კულტურის სიმაღლეზე. ახალი მშენებლობის გვერდით ძველი სოფლები და ძველი სახლ-კოშკები მოჩანან, „ჩიქილიანი“ დედაკაცები დაფუსფუსებენ.

ფაშუტა დიდხანს იჯდა აკვანზე მკლავებდაბჯენილი. დაღონებული გაჰყურებდა ტყის ბილიკს, საითკენაც ზევახი წავიდა. მზად იყო ასდევნებოდა მის კვალს და მასთან ერთად მოერბინა ყველა ხის ძირი. ფაშუტას გულში ისე ფაქიზი იყო ზევახის სიყვარული, როგორც მთის ყვავილი.

— დედაო ღვთისავ!—სასოებით აღაპყრო ფაშუტამ ხელები, — რა ვქნა, რომ ზევახი მიყვარს არა როგორც ძმა, არა როგორც ქმარი, არამედ უფრო მეტად... მეტად...

ფაშუტამ დააპირა წარმოეთქვა ყველა ის სავედრებელი ლოცვა, რომლითაც „დედა ღვთისას“ შესთხოვდნენ რაჭველი ქალები, მაგრამ ხელები ძირს დაუშვა, სირცხვილი იგრძნო. ახლა ხომ აღარც ერთი ახალგაზრდა ქალი აღარ ლოცულობდა...

— ილარა... ილარა...—ჩასჩურჩულა ქალმა მძინარე ბალღს და ფრთხილად შეუხსნა არტახები.

მთებში ღამე ჩამოწვა.

ფაშუტა და ზევახი ისევ სხედან სახლის წინ. მარტო პატარა ილარას სძინავს გრძელ ტახტზე შედგმულ აკვანში. ძველ კერასთან ფაშუტას მამა — მამუკა ზის, კბილებში გრძელტარიანი ჩიბუხი აქვს გაჩრილი. იქვე ფაშუტას დედა ფეფელა ნამზითევ სკივრში ფაშუტას ნივთებს ალაგებს და ცრემლს ჩუმად იწმენდს. ფაშუტა ზევახთან ერთად უნდა გაემგზავროს თბილისს.

მამუკას ეჭვი უმძიმებს თავს: „არა, ცეცხლის და ნავთის ერთად გაშვება სად გაგონილა?“ ფიქრობს მამუკა, მაგრამ ვერ უმხელს დედაკაცს, რომ მის გაზრდილზე ეჭვი ეპარება, მამუკას არც გაუკვირდება, ფაშუტა და ზევახი რომ დაქორწინდნენ.

— ძველი დრო წავიდა,—ამოილუღლუღა მამუკამ და თუთუნით დატენილი ჩიხუბი ღადარში ამოუსვა.

— რას ლუღლუღებ, ბერიკაცო, — შეუტია ფეფელამ ქმარს, — გზა დაულოცე, ხომ ხედავ, არც ერთი გომბიო არ იცდის მთაში უსწავლელი.

— ხომ არ გგონია, დედაკაცო, ქვე ნასტავლი დაგიბრუნდება?—ალმაცერი ღიმილით უპასუხა ცოლს მამუკამ.

— ჩაიგდე ენა და გაჩერდი! მძევალი აგერ არ რჩება? — მიუთითა ფეფელამ ბავშვზე.—მე რომ მთას შევაკვდი, რა გავაკეთე? ბარში ჩავსულიყავი, იქნება უკეთესი სიცოცხლე მენახა.

ფეფელამ ისე მძიმედ ამოიოხრა, თითქო წარსული ცხოვრების სიმძიმე თან ამოაყოლაო... ახლა კი გულში სიხარულს გრძნობდა, რომ მისი შვილი „განათლებულ ხალხში“ შეერეოდა.

ზევახი და ფაშუტა ხეთა შორის ამოწვერილ მთვარეს უცქერიან. ფაშუტა მიჩერებია თვალებში ზევახს და აღარ უნდა მოიგონოს დედის რძე... ბედნიერად უღიმის მოციმციმე ვარსკვლავებს.

— ახლა, ფაშუტა, მზე ამერიკას უმზერს,—ალერსით წარმოთქვა ზევახმა და კიდევ ერთი კოცნა მოჰპარა კარში მოფუსფუსე ფეფელას თვალს.

ფაშუტა შეკრთა, მკერდზე ცრემლივით გადმოეღვარა სავსე ძუძუებიდან წამოსული რძე... ამ დროს ბავშვის ტირილი შემოესმა. ფაშუტა წამოვარდა და სულმოუთქმელად შეირბინა შინ. ბავშვს ხელები ამოეძვრინა არტახებიდან.

ილარა საოდავად მიაშტერდა თვალებში დედას და პაწია ხელებით ისე მაგრად ჩააფრინდა ძუძუებს, თითქოს ეშინოდა, არავინ წამართვასო. ფაშუტამ ბავშვი აკვნიდან ამოიყვანა და გულში ჩაიხუტა...

— ილარა, ჩემო სიცოცხლევ, არ დაგტოვებ, არა.

დილით ზევახი მარტო მიჰყვებოდა ტყის ბილიკს.

1922 წ.

თბილისის ფსაქერზე

სატირული მოთხრობა

ათანასე ბრეგაშვილმა სიხარულით გახედა საავდრო ღრუბლებით მოფენილ ცას და ხელმარდად შეუდგა „საპურღვინო გაღმასეულის“ ჭუჭყიანი იატაკის დაგვას. ძლივს ეღირსა ათანასს ზამთრის მოახლოება. მალე აცივდება, ხალხი ბაღებიდან გაიკრიფება. ათანას ბრეგაშვილის „საპურღვინო გაღმასეულს“ მუშტარი მოემატება. გახარებული ათანასი ციბრუტივით ტრიალებდა, თან ნელი ხმით ღიღინებდა:

ცაო, მოშვავდი, მტირალო,
მოსკდი, ღვართქაფო მთისაო,
ეჰ, ვინ გაიგებს, თარალო,
ახლა ამ გულის ჭირსაო.

თარალოსაგან გუშინ წერილი მიიღო ათანასემ: „ძვირფასო მეუღლევ, მეყო ამდენ ხანს სოფელში გდება. თუ არ მომაკითხავ, თვითონ ჩამოვალ. ან რა მედგომება აქ. ჩვენს დუქანში სოფლის ბიჭებმა სამკითხველო გახსნეს. ცოტა ასანთი და თუთუნი დაგვრჩა. ცოტაც შავი ღილები. ღილკილოს გამოსასკვენი გრეხილი არ გაყიდულა. შენი თარალო“.

წერილმა შეაშფოთა ათანასე. მართლაც, ვინ გაიგებს ახლა ათანასეს გულის ჭირს? თარალომ რა იცის, რომ ათანასე ბრეგაშვილს ქალბატონი თაფლო გაუჩნდა საზრუნად. თაფლოს ხსენებაზე ათანასემ შეჭაღარავებულ ულვაშში ჩაიცინა. მოაგონდა ხალხის დრომოჭმული თქმულება: თუ ბედი გაქვს, თვითონ მოგიგორდებაო. და აი, ათანასესაც „თვითონ მოუგორდა ბედი“. ქალბატონი თაფლო... ხე... ხე...

გულიანად ჩაიხითხითა ათანასემ, თვალწინ წარმოუდგა სოფელი გაღმასეული, სადაც ნაქალბატონარს შორიდან მოკრძალებით ესალმებოდა. მთელი დღე რომ ფეხზე მდგარიყო,

მის გვერდით დაჯდომას ვინ აღირსებდა. ათანასეს შურისძიების გრძნობამ გაუელვა გულში. გაეხარდა, თაფლო და მისი ჯურის ქალები რევოლუციამ სოფლიდან რომ დაფერთხა. მაგრამ... ათანასე მოიღუშა, ამავე დროს მწვავედ იგრძნო, რევოლუცია მასაც საგრძნობლად შეეხო. აუკრძალეს სოფლად ვაჭრობა და იძულებული გახდა ქალაქში გადასახლებულიყო. მართალია, დიდი ქონების პატრონი არ იყო ათანასე, მაგრამ იმედი მაინც უღვიოდა გულში: წვრილმანებიდან შეიძლება გამდიდრებაო. ამ იმედით გვარიანად შეეჯარავდა. ახლა ცდილობს ქალაქში მოიკიდოს ფეხი. წაიკუზა და გულის ჯიბიდან თარალოს წერილი ამოუვარდა. გაშალა, დააკვირდა: ჩამოვალო... ამოიკითხა. წერილი ნაგავს გააყოლა. ათანასეს ახლა თარალოსთვის აღარ სცალია. მოძველებული რუხი ფერის ჩოხა განზე მიაგდო. ბაზარზე გაიარ-გამოიარა, ევროპულ კოსტიუმს თვალი შეავლო, ხელსაყრელ ფასში მოურიგდა, კოსტიუმის შესაფერი ფეხსაცმელიც იყიდა,. თავზე ცილინდრი მოირგო და ახლა ხელჯოხიც მოუნდა. მოსინჯა ხელში თავმოკაუჭებული ლაქწასმული შინდის ხელჯოხი. მოეწონა, უცბად რაღაც მედიდური სახე მიიღო და გზას გაუდგა. მოიხედა, რაღაც დაავიწყდა. შედგა, გახამებულ საყელოზე ჰალსტუხი იყო საჭირო. რა ექნა, ჰალსტუხიც იყიდა. ახალი იერით უნდა ესტუმროს თაფლოს. რა აკლია ახლა ათანასე ბრეგაშვილს?—კომერსანტის სახელი. „არა უშავს, ამ სახელსაც მოვიხვეჭ",—გაიფიქრა მან.

მართალია, ბუღალტერია არ უსწავლია ათანასეს, არც ეკონომიკისა გაეგება რაიმე, მაგრამ რაც იცის, ისიც კმარა მიზნის მისაღწევად.

ამ ფიქრით მიბრუნდა ათანასე დახლში. ჭიქები დარეცხა და ლაღიძის ლიმონათი დაამწკრივა გამოსაჩენ ადგილას, ნაწილი ყინულში ჩააცივა. დუქნის უკანა ოთახში გავიდა, სადაც ორი-სამი პატარა მაგიდა იდგა განსაკუთრებული ხალხისათვის. მაგიდებიდან მტვერი გადაწმინდა. ნარდი გაშალა. კამათელი ტუჩთან მიიტანა და თვალი მოწკურა, რაღაც გაიფიქრა.

— აბა ერთი დუ-შაში, კამათელო, შენი ჭირიმე, დუ-შაში-მეთქი. ჰაი, დაგწყევლოს ღმერთმა.

კამათელი დუ-იაქეზე დაჯდა. კიდევ გააგორა კამათელი. ერთი შაში ამოვიდა, მეორე კამათელმა უღალატა. ათანასემ კბილები გააღრჭიალა. ნარდს დაამტვრევდა, რომ მესამეჯერ თორმეტი შავი წერტილი არ ამოქარგულიყო. „შენი ჭირიმე, კამათელო!“ მკვირცხლად წამოიძახა ათანასემ. ეს კარგის მომასწავებელი იყო. გახარებულმა გრამაფონი აუშვა: „რომელი სიმღერა უფრო მიზანშეწონილია ამ დილით?—გაიფიქრა და თვითონვე უპასუხა, — რა თქმა უნდა, ვალსი“.

და ჰა, გაჩაღდა ვალსი.

ათანასემ საათს შეხედა. ცხრა გამხდარიყო. თაფლოსთან წასასვლელად მოემზადა. რამდენიმეჯერ შეტრიალდა კედელზე ჩამოკიდული პატარა, ძველი სარკის წინ. ცილინდრი კეფაზე მოიგდო. კართან შედგა, რაღაც დაავიწყდა, ჰო... ჯოხს მოავლო ხელი, თუმცა შორი გზა არ ჰქონდა გასავლელი. ეზოს შემოუარა ათანასემ და გულის ბაგაბუგით თაფლოს ოთახს მიადგა.

— მე გახლავარ, ქალბატონო, მე, ათანასე ბრეგაშვილი.

— ჰო, ათანასე... მესმის... გიცანი.

დიახ, იცნო თაფლომ ათანასეს ხმა. ამ დილაადრიან აბა სხვა ვინ მიადგებოდა კარს.

— დილა მშვიდობისა, ქალბატონო თაფლო! როგორ ბრძანდები, ჭირიმე, როგორ შეეგუე ქალაქურ ცხოვრებას? უგუნებოდ ხომ არ ბრძანდები?

— ეჰ, ჩემო ათანასე, რაღა დროს გუნებაზე ლაპარაკია, ხომ ხედავ, სად მიმიყვანა ბედისწერამ? აღარაფერი დამრჩენია გვარის მეტი. ბარემ ეს გვარიც წაიღეთ-მეთქი, ვეხვეწები ყველას.

ათანასე პაპიროსს აბოლებს. გულში რაღაც ჩხვლეტს. „რატომ ჩემს მორთულობაზე არაფერს ამბობს?“—ფანჯარასთან მიდის და ფარდას გადასწევს. თაფლო შეაჩერებს.

— სირცხვილია, ბოშო, ვინმე ჩამოიჭვრეტავს.

— ყველაფერი მოვაწესრიგე. გადავწყვიტე ქალაქურად ვიცხოვრო.

ათანასეს ახლა მოაგონდა ჭუდის მოხდა. თაფლო აკვირდება ათანასეს მორთულობას და გულიანად კისკისებს.

— ხა, ხა, ხა... ათანასე, სად იშოვე ეს გახუნებული კოსტიუმი?

— რაო, რას ბრძანებთ, ქალბატონო? შენ დალოცვილო, ქუდს მაინც შეხედე!—საყვედურით გაიშვირა ათანასემ ხელი მაგიდისაკენ, საიდანაც ყავისფერი ცილინდრი ისე მისჩერებოდა თაფლოს, თითქოს ეუბნებოდა: „ქალბატონო, შემიბრალე, მე კომერსანტის ბრწყინვალება გახლავარ“. ქუდის ნათქვამს იქვე კუთხეში მიყუდებული ხელჯოხიც ამტკიცებდა.

ათანასემ წყენის ნიშნად კისერი მოიგრიხა.

— რა დროს ხუმრობაა, დალოცვილო, დრო მიდის, ნუ მაწვალებ, მითხარი ბარემ, რა მოიფიქრე? თანახმა ბრძანდები ჩემთან სამსახურზე თუ არა... თუმცა, ბოშო, უკაცრავად, ქალბატონო, სამსახური რა არის, დაბრძანდები და ფულს მიიღებ. ზამთარი მოდის. დამერწმუნე დიდი მოგება გვექნება.

— შენ მაინც არ ამბობ, რა უნდა მომცე გასამრჯელო.

— აჰ, ქალბატონო თაფლო, მოგიკვდეს ჩემი თავი. აკი გითხარი, ბოშო, ათანასე ბრეგაშვილი მთლად თქვენი არისმეთქი!

თაფლო შეყოყმანდა. წარსული გაიხსენა: სოფელი გაღმასეული, საგვარეულო მამულ-დედული... ახლა კი, თაფლო ათანასე ბრეგაშვილის ხელში ჩავარდა.

— ჰა, ჰა, ჰა, რაკი ასეა, მოვეწყობით.

კისკისებს თაფლო, თვალის უპეებთან გაჩენილი ნაოჭებიც კი ვერ ჩრდილავს მის თეთრ, ფუნთუშა ღაწვებს. ათანასეს მუხლებზე უზის თაფლო. ათანასე კოცნის და თან ბუტბუტებს: „ვენაცვალე ამ ღაწვებს, ფუნთუშა ღაწვებს, ნათავადარ ღაწვებს... ხე, ხე, ხე“.

კარგამოკეტილ „საპურღვინო გაღმასეულში“ განუწყვეტლივ უკრავს გრამაფონი ვალსს. დუქნის კარებთან მაზუთით გათხუპნილი ბავშვები ხითხითებენ. საჩვენებელ თითს ილოკავენ და ყურს უგდებენ გრამაფონის ხრიალს.

მიდის შემოდგომა. დღის სითბო მიჰყვება ჩამავალ მზეს. ვიტრინის ახლოს, გამჭვირვალე მინებთან წარბშეხრილი თაფლო ზის. გარეთ ცივა... ცივა... და...

ათანასე ბრეგაშვილს სამზარეულოდან გამოაქვს ნაკვერცხლები, მაყალზე ყრის და სწრაფად აღვივებს ცეცხლს. კუთ-

ზეში ახალგაზრდა მხატვარი ბენო გულმოდგინედ ხატავს რეკლამას: „საპურღვინო გაღმასეული“. წარწერის ირგვლივ დახატულია ვაზი მწიფე მტევნებით, ტიკი, შემწვარი გოჭი, მწვანილი.

— ხომ კარგია?

— დიდებული,—ღიმილით წარმოთქვა თაფლომ და მისი ლურჯი თვალები ბენოს თვალებს შეხვდა. თაფლო ამ დილით უცნაურ გუნებაზე იყო. ბავშვივით ატაცებულიყო. გულს სიყვარულის ახალი ალი მოსდებოდა. ათანასეს მოტანილი სიყვარულის ცეცხლი წყალგადავლებული მუგუზალივით ჩამქრალიყო. ან კი სად გააჩნდა ათანასე ბრეგაშვილს ცეცხლი? ამ წამს ათანასეს მოტანილი გაღვივებული მაყალიც კი ვეღარ ათბობდა თაფლოს სხეულს.

ბენო ამთავრებდა რეკლამას.

„წავა, აღარ მოვა“,—ფიქრობდა თაფლო. გული ეკუმშებოდა. სამ დღეს ახალგაზრდა მხატვართან თბილმა და თავაზიანმა საუბარმა მოხიბლა თაფლო, მაგრამ რა ქნას, წარსულ წლებს გაჰყვა თაფლოს სიყმაწვილე. „აღარ დაბრუნდება“,— ფიქრში წამოიძახა თაფლომ. ამ წამოძახილმა ბენო შეაკრთო, უკანასკნელად ათვალიერებდა თავის ნამუშევარს. მოიხედა, დააკვირდა, ეუცხოვა ქალის სახე. თაფლო ქანდაკებასავით იდგა და ცინიკურად იღიმებოდა, თითქოს საკუთარ თავს დასცინოდა. ათანასე საკუჭნაოში საქმიანობდა და საუზმეს ამზადებდა.

— გეტყობათ, არ მოგწონთ ჩემი ნამუშევარი!—შენიშნა ბენომ.

— მშვენიერია.

თაფლო მიუახლოვდა და ალერსით დაადო მხარზე ხელი ახალგაზრდა მხატვარს.

— შეგიძლიათ, დამხატოთ?

— ვეცდები, თუ დამავალებთ.

თაფლოს სახე გაებადრა. იმედი მიეცა, ტანში ჟრუანტელმა დაურბინა.

— მაშ გელოდებით... უსათუოდ გელოდებით...—რამდენიმეჯერ გაუმეორა თაფლომ გამოთხოვებისას.

* * *

— მიირთვი, თაფლო, შენი ჭირიმე, არაფერი მოიკლო, ბოშო! შენს იქით მზეც არ ეხილოს ათანასე ბრეგაშვილს.

თაფლო მართლაც არაფერს იკლებს. მოლარეობს, დიასახლისობს კიდეც.

ათანასე შემწვარ ქათამს ჭრის.

— მიირთვი, შენი ჭირიმე, რა გიყვარს?

თაფლომ სუფთა თეფში გადაუდგა ათანასეს და დაცინვით გადახედა. ათანასემ ვერ შეამჩნია ეს და კმაყოფილებით ულვაშში ჩაიცინა.

— შენი მორთმეული ყველაფერი მიყვარს,—ღიმილით უპასუხა თაფლომ.

ათანასე ახარხარდა. დღეს კარგ გუნებაზე იყო. შემოსავალ-გასავალს ანგარიშობდა. მოსაგებს კარგი პირი უჩანდა.

— თუ ასე წავა საქმე, ჩვენს ბედს, ბოშო, ძაღლი/არ დაჰყეფს!—რიხით წარმოთქვა ტრაბახის გუნებაზე მოსულმა ათანასემ. პატარა საქმიდან დიდი საქმის დაწყებას აპირებდა. დიდ მომავალზე ოცნებობდა და ყოყოჩობდა თაფლოს წინაშე. — როცა კომერსანტი გავხდები, მაშინ ნახავ, ბოშო, რა ბიჭი ვიქნები.

თაფლოს სრულიად არ აწუხებდა ათანასეს მომავალი. ახალი წელი ახლოვდებოდა. მოიგონა წარსული ცხოვრება, ნანახი და განაგონი, როგორ ეგებებოდნენ ახალ წელს მისი წინაპრები. მერმე საახალწლო საჩუქრებზე გადაიტანა შენიღბული საუბარი:

— ჩემს სიცოცხლეში ვნატრობდი მარგალიტის ყელსაბამს. ნატვრა გვიან ამიხდა. გუშინ...

თაფლომ საუბარი შეწყვიტა, დადუმდა, მოიწყინა.

— ჰო, თქვი, გულო, რა იყო გუშინ, რა გინდოდა გეთქვა?—ჩაეკითხა ათანასე.

— ის მინდოდა მეთქვა, რომ,—თაფლო უცბად გამხიარულდა,—გუშინ შენმა ნაცნობმა პერსიანმა ჩუმად მომიტანა მარგალიტის ყელსაბამი.

— მერე?

— მინდა ვიყიდო.

ათანასე შეიშმუშნა, იგრძნო, ასეთი დიდი ხარჯები მძიმედ დააწვებოდა მის პატარა სავაჭროს. რა ექნა, უარი არ ეთქმებოდა, ხელები მოიფშვნიტა.

— ვიყიდოთ, შენი ჭირიმე, — ოდნავ გაბზარული ხმით წარმოთქვა.

— ამიტომ მიყვარხარ, ჩემო ათანასე, რომ არაფერზე უარს არ შეტყვი,—აკისკისდა თაფლო და როცა ალერსის ნიშნად საკოცნელად წაიწია, თვალწინ ბენო წარმოუდგა. მარგალიტი უბიდან ამოიღო და კისერზე შემოიხვია.

ათანასე თავისთვის ანგარიშობდა მოგების რამდენი პროცენტი გამოისყიდდა თაფლოს თითებში ასრიალებულ მარგალიტს.

— ხომ მიხდება, გულო?—შეეკითხა თაფლო.

— გხატავს, შენი ჭირიმე!

სასთუმალამაღლებული წევს თაფლო თეთრ ლოგინზე. საბანი გვერდზე გადაუწევია. ლურჯი თვალები ჭერისკენ მიუპყრია. ახალგაზრდა მხატვარზე ოცნებობს. მარგალიტს ათამაშებს ხელში და ღიღინებს:

მარგალიტი ვიყიდეო, ყელზე გადავიკიდეო.
მე გახლავარ ის ქალი, ცეცხლი რომ მოგიკიდეო.

მეზობელმა ღუმელი გაახურა და ამიტომ თაფლოს ოთახიც თბილია ამ დილით. თაფლო იზმორება, ადგომა ეზარება. ერთი კვირა ამაოდ ელოდა ბენოს. „ალბათ, აღარ მოვა. ალბათ, სხვა სამუშაო იშოვა. ჯანდაბას იქით უვლია“, ჭმუნვით თქვა, თმა გაისწორა და „საპურღვინო გაღმასეულში“ წავიდა. უკვე გვიანი იყო. ათანასეს მოთმინება ეკარგებოდა. თაფლო არც კი მისალმებია „გულოს“, მოღრუბლული დაჯდა თავის ადგილზე.

— რამ მოგაწყინა, ბოშო, უგუნებოდ ხომ არ ბრძანდები, ქალბატონო?—შეეკითხა ათანასე.

თაფლომ გაიღიმა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს დუქანში ახალგაზრდები შემოვიდნენ. მათ კალატოზები შემოჰყვნენ. ისინი სარემონტო ანგარიშებზე მსჯელობდნენ. ათანასეს განკარგულება გადასცეს.

— რაო? დუქანი გავათავისუფლო? — შეჰყვირა ათანასემ.—მერე სად წავიდე?

ათანასეს სხვა დასაძინებელი ოთახი არ ჰქონდა.

— შეუდექით ალაგებას!—გადაჭრით უთხრეს.

კალატოზებმა კიბე მოიტანეს. დურგლებმა ფიცრები შემოზიდეს. ათანასე გაშეშდა, იცოდა, ქალაქის საბჭოს დადგენილებას ვერავინ შესცვლიდა. თაფლომ საჩქაროდ მოისაზრა: შემწვარი ქათამი, გოჭის თავი, ღვინო, და სხვა მაგარი სასმელები კალათში ჩაილაგა. მოსასხამი მოისხა.

— ნუ შეწუხდები, გულო, მუდამ შენთვის არ იწვიმებს... და მაშინ... მაშინ...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წაილუღლუღა თაფლომ. ათანასე ენაჩავარდნილი უცქეროდა კალათში ჩალაგებულ სანოვაგეს, საიდანაც მრგვალად მოხარშულ ქათამს ურცხვად ამოეშვირა ფეხი.

მოსაღამოვდა. თოვლის წვრილი ფიფქები ფარავდა ქუჩებს. ათანასე ბრეგაშვილის დუქანში მუშების სასადილოს აწყობდნენ. კალატოზები საჩქაროდ უსვამდნენ გაჯს კედლებზე. დურგლები იატაკს აგებდნენ. ახალგაზრდები პლაკატებს აკრავდნენ. შემოჰქონდათ მაგიდები, სკამები, ქვაბები. ხუმრობდნენ, იცინოდნენ. ქალაქის ყოველ კუთხეში კომუნალურ სასადილოებს ხსნიდნენ. გატაცებით ლაპარაკობდნენ ახალი ტიპის სასადილოებზე.

ათანასე წელმოწყვეტილი დაათრევდა ფეხებს. სამზარეულოს ერთ კუთხეში აგროვებდა „გაღმასეულის“ ქონებას. ჭურჭელს სკივრში ალაგებდა. სასტიკად შესცივდა ათანასეს. ღუმელში ცეცხლი აანთო. ღუმელმა სადილი მოაგონა. გოჭის ფეხი დარჩენოდა თაფლოს. ერთი ბოთლი ღვინოც მოიდგა გვერდით და ღუმელს მიუჯდა. ხვალ სამზარეულოც უნდა დაეცალა. ცუდ გუნებაზე იყო. თაფლოს ცივად გამოთხოვებამ გული მოუკლა, რამდენიმე ჭიქა ღვინო ზედიზედ დასცალა.

რაღა სხვისთვის იზრუნოს ათანასემ. ჯობს, თავის თავს მიხედოს! გლეჯს ხორცს და ჭამს. „რაც იქნება, იქნება“. უცბად სამზარეულოს კარი გაიღო. კალათებით დატვირთული თარალო შიშით და თრთოლვით შემოიძურწა. შემოსვლისთანავე სითბო იგრძნო და ნამგზავრი გაყინული ქალი უცბად დამშვიდდა.

— არა, ვერ მოგაგნებდი გეგონა, ყმაწვილო?—სიცილით წარმოთქვა თარალომ და ათანასეს მიუახლოვდა. თარალოს უნდოდა დიდი ხნის უნახავ ქმარს მოხვეოდა, გადაეკოცნა, მაგრამ სახტად დარჩა: ათანასე ხმას არ იღებდა. ხელში დარჩენილ ლუკმას დასცქეროდა.

— რა ამბავია, კაცო, რა მოგივიდა? ჩემი მოსვლა გეწყინა, თუ?

ათანასემ პირში გაჩრილი ლუკმა ძლივს გადაყლაპა და ცოლს მიაშტერდა.

— ქალო, ღამის გასათევი აღარ გვაქვს.

თარალომ უღიმღამოდ გაიღიმა, ქმრის ნათქვამი ვერ გაიგო, სახე აელეწა.

— რას სულელობ, ადამიანო, ამდენ სახლებში ღამის გასათევი არ გაქვს?

— აქ ქალაქია, ქალო, გაღმასეული ხომ არ გგონია?

— რა სათქმელია, სადაც შენ გაათევ ღამეს, მეც იქ გავათევ. ამხელა ქალაქში ღამის გასათევი არ გაქვს? არ მჯერა, არა.

— არ გჯერა და ნუ დაიჯერებ.

კარგა გვიანი იყო შალში გახვეული თარალო და ჩოხაწამოსხმული ათანასე თაფლოს ესტუმრნენ. ერთ-ორ ღამეს მაინც გაგვათენებინებსო, ფიქრობდა ათანასე. ვიღაც უცნობმა კაცმა კარი გააღო და სტუმრები შინ შეიპატიჟა. თაფლო მხართეძოზე იყო წამოწოლილი. უცხო სტუმარი თაფლოს წინ დაჯდა, მაგარ სასმელებს შეექცეოდნენ. თეფშზე თხილის ნაჭუჭები და გახრული ძვლები ეყარა.

— ცოლი ჩამოგსვლია, ათანასე, რაღა გიჭირს. დაბრძანდით!—ცივად მიმართა თაფლომ ახალმოსულებს და უცხო სტუმარს გაუღიმა. თითებში მარგალიტი ააცურა.

უხერხული შეხვედრით შემცბარი სტუმრები მობუზული სკვინჩებივით ჩამოსხდნენ კუთხეში მიდგმულ ტახტზე.

ათანასე დააცქერდა თაფლოს და მის სტუმარს. აი, თურმე ვინ შემცვალაო,—გაიფიქრა და სულელური სიცილი აუტყდა.

1926 წ.

ბანთიადის წინ

სამი დღე უნუგეშოდ წვალობდა აგუნდა განცალკევებულ ქოხში, არავინ ეკარებოდა „უწმინდურ“ მშობიარე ქალს. მესამე დღეს აგუნდას ღონე გამოელია, დასუსტდა, ახლა ხახმატის ხატს სთხოვდა შველას. სწამდა: ხახმატის ხატი უფრო დაეხმარებოდა გაჭირვებაში, ვიდრე ანატორელის ოჯახი და შალიტის ხატი. (ხახმატში აღიზარდა აგუნდა. ამიტომაც ხშირად იგონებდა ხახმატის ხატს).

მისი ქმარი — ბოიგარი კი ჩახმახშემართული იდგა ბანზე და „ეშმაკს დარაჯობდა“, რომ ბოროტ სულს ბავშვისთვის ზიანი არ მიეყენებინა. ბოლოს მოსწყინდა ბოიგარს ბანზე დგომა და დასაძინებლად წავიდა.

შატილში მშვენიერი ზაფხული იდგა. უმწეოდ მიტოვებულ მელოგინე ქალს ხელს უწყობდა თბილი ამინდი.

ქოხში ბლომად ეყარა ჩალა და თივა, რომელზედაც ორი კვირა იწვა აგუნდა. ბოიგარი სარკმლიდან გადაუგდებდა პურს, წვნიან შეჭამანდს შორიახლო დაუდგამდა და ჩქარა მოშორდებოდა „უწმინდურ“ ადგილს, შორიდან ჰკითხავდა:

— ბუჩა როგორ გყავ?

— კარგა ას, — უპასუხებდა მისუსტებული ხმით აგუნდა.

ქოხის უკან ჩანჩქერი მიჩხრიალებდა და მის ხმაურში მთიელი ქალის მწუხარება, მისი ბნელით მოცული ცხოვრების ამბავი ისმოდა.

აგუნდა გულს აყოლებდა ჩანჩქერის შხუილს და გულუბრყვილოდ უღიმოდა „ვაით“ ნაშობ პირმშოს. ოჯახში დაბრუნება ეჩქარებოდა.

მთვარის სადაფისფერ შუქზე აგუნდა ხედავდა, როგორ ირხეოდნენ სარკმლის წინ ხეთა ჩრდილები, როგორ ციმციმებდა სადღაც შორს კენტი ვარსკვლავი და ფიქრობდა, რომ მისი ბედიც იმ ვარსკვლავს ჰგავდა.

მას ახლა არავინ ეალერსებოდა, მარტო იყო.

— დიდ ას ნება ხახმატის ხატისა,—ამოიკვნესა აგუნდამ და ეს ამონაკვნესი ჩანჩქერის ჩქრიალმა ნაპრალებისაკენ გაიტაცა.

ორი კვირის შემდეგ აგუნდა განბანილი დაუბრუნდა ოჯახს და თან ოჯახის ბურჯი—ბუჩა მოიყვანა.

მხიარულობდა ბოიგარის ოჯახი მშვენიერი მემკვიდრით, საზეიმოდ დაკლული ბატკნის სისხლი დაღად აჩნდა კედლებს. მოწყენილი იყო მხოლოდ აგუნდა. ახალგაზრდა ქალი დღითი დღე ილეოდა. ბოიგარს აღონებდა ცოლის მდგომარეობა, მოხუცი დედაკაცი — თალალა, არწმუნებდა, შენი ცოლი ავსულებმა შებღალესო. თალალა დადიოდა შატილის კორდებზე, კრეფდა ჭარელას ყვავილებს, ხარშავდა და ასმევდა ავადმყოფს. ერთხელ კიდეც შეულოცა „ნათვალევს“, მაგრამ აგუნდას მაინც არაფერი ეშველა.

ერთ დღეს, როცა შინ არავინ იყო, აგუნდამ დაუძახა „მესულთანე“ ქალიშვილს—იდუკას და სთხოვა:

— იდუკ, გამოიწვიე დედაჩემის სული და გამიგე რა უნდა ჩემგან?

იდუკამ სურვილი აუსრულა: გამოიწვია აგუნდას დედის სული და მწუხარებით გადასცა: „რა ვქნა, დაო, ასე ას ნება განგებისა: დედას სწყურიხარ თავისთან“.

იდუკამ ბოიგარსაც გაანდო ეს ამბავი.

„რა ვუყო, ალბათ შატილის ხატის ნებაა ჩემი ოჯახის დაღუპვა“,—გაიფიქრა ბოიგარმა. ხევსურ ანატორელს დიდ უბედურებად მიაჩნდა ცოლის ავადმყოფობა.

ზაფხული იწურებოდა. აგუნდა სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. ყველაზე მეტად მაინც გულს უჩიოდა აგუნდა.

— გული აღარ ას,—ეტყოდა ხოლმე თალალას ხის ძირში ჩამომჯდარი და შატილის მიდამოებს თვალს გადაავლებდა.

მზე ჩადიოდა, ლურჯად იბინდებოდა მთათა კალთები. აგუნდას თვალებსაც ბინდი ეკიდებოდა. მისთვის ყველაფერი ქრებოდა. შორს, მთების ორწოხებში ოქროს სვეტივით კრთოდა სინათლე. აგუნდა ჩურჩულებდა:

— დიდ ას განგება, რომელმაც შექმნა ეს ქოყანა, მისი ნება ას ყოლაფერი.

ამქვეყნად მხოლოდ პატარა ბუჩა ებრალებოდა. ეალერსებოდა, კოცნიდა, მის პაწია თითებს გულში იხუტებდა, მთიელთა ჩვეულებისამებრ, სხვის დასანახად არასოდეს არ ეფერებოდა პირმშოს, მაგრამ გრძნობდა, რომ სამუდამოდ ეთხოვებოდა ამ უმანკო არსებას.

ბოიგარს ცივად უცქეროდა აგუნდა. ქმართან ყოველ გასაუბრებაზე საყვედური ისმოდა მის ხმაში. იცოდა, მისი სიკვდილის შემდეგ ერთ დღესაც არ გაჩერდებოდა უცოლოდ: უქალო ოჯახი ვის გაუგონიაო, ხევსური მამაკაცის ნათქვამი ხშირად სმენია მას.

ეჭვიც ჰქონდა აგუნდას: ბოიგარს ამთავითვე თვალი ეჭირა შეზობელ „მესულთანე“ იდუკაზე. იდუკა რომ მის სანახავად შემოივლიდა, ეშმაკურად უპასუხებდა:

— არა მიშავს, დედას არ ვსწყურივარ თავისთან. უკეთესად ვარ თალალას შელოცვით და ყოველდღე ვიკურნები ავსულთაგან.

* * *

აგვისტო ილეოდა. ბოიგარმა ტურისტების უკანასკნელი ჯგუფი გააცილა არხოტამდე და შინ დაბრუნდა, მოქანცული ჩამოჯდა სახლის წინ დადგმულ ფართო ქვაზე.

კერასთან თალალა ფუსფუსებდა, ვახშამს ხარშავდა დედაბერი. საცოდავად ფარფატებდა. სახე მოღუშვოდა, თითქო ხატს ემდუროდა—რად გამაჩინეო ამქვეყნად.

აგუნდა ჩონჩხივით წამომჯდარიყო ლოგინზე, კალთაში ბავშვი ჩაეწვინა. ბოიგარმა უსაზღვრო მწუხარება იგრძნო. „რა დავაშავე? რად მენგრევა ოჯახი?“ მწარედ ამოილუღლუღა მან. მოაგონდა: ერთხელ ბოიგარის დედა შესაწირავს შეპირდა ხატს, დედა გარდაიცვალა და აღთქმა კი შეუსრულებელი დარჩა. „ალბათ ხატი უწყრება ანატორელის ოჯახს“, თქვა დაღვრემილმა და თავი ჩაქინდრა.

ერთი კვირის წინ ღულიდან განთქმული მეწამლე ქალი—მზია ამოიყვანა ბოიგარმა. რამდენი ულოცა მზიამ, რამდენი ბალახბულახი ამოუტანა, მაგრამ არც ახლა დაადგა საშველი. „უთუოდ დედას სწყურს თავისთან“... დაასკვნა ბოიგარმაც

და უცებ წარმოიდგინა მოსალოდნელი უბედურება: ცოლის სიკვდილი, დასაფლავების „უწმინდური“ საქმიანობა, დაობლებული ბავშვი, დაცარიელებული ოჯახი. და ამ დაცარიელებულ ოჯახში უნებლიეთ გაიელვა ჯმუხა გოგომ—იდუკამ. ბოიგარი შეკრთა, შუბლი მოისრისა და ისევ აგუნდას შეანათა თვალები. არასოდეს ასეთი სიბრალული არ უგრძვნია ცოლისადმი, როგორც ახლა იგრძნო ხევსური მამაკაცის გულმა. ბოიგარმა ორიოდე ტკბილი სიტყვა მოიფიქრა, ის იყო უნდა ამდგარიყო და შესულიყო ცოლთან, მაგრამ ამ დროს, ჭერხოსაკენ მომავალი სტუმრები შენიშნა. შუბლი მოიჩრდილა, „ერთი სეფიაა, მაგრამ მეორე? მეორე ვიღაც უცხოა!“

— ვინ არის, სეფია, ე ჩვენი სტუმარი? ტურისტია?

— არა, ძია ბოიგარ, ეს კაცი ექიმის თანაშემწეა. გიორგი ჰქვია, ბარისახოდან გამოგზავნეს ავადმყოფების წასაყვანად. მამუკაანთ ქალიკა ნახა, გოგოთურსაც ჰყოლია დედა ავადმე აქ წამოვიყვანე, ძია ბოიგარ, ძალოს ნახავს-მეთქი, ვიფიქრე.

— ესეც ბიძაჩემი!—მიუბრუნდა სტუმარს სეფია,—ბოიგარ ანატორელი, კაცი, რომელიც ღულს და არხოტს არ გასცილებია,—იოხუნჯა სეფიამ, თუმცა სიმართლე კი თქვა. ბოიგარმა გაიღიმა, სტუმარს მოწონებით გაუწოდა ხელი. თან გულში იმედის ნაპერწკალი აუციმციმდა. „იქნებ ხატმა მომიგზავნა ეს კაცი?“ —მაგრამ... „ექიმის თანაშემწე“ ეჩოთირა ყურში. „რაღა თანაშემწე და არა თვითონ ექიმი? ესეც ბედია, ალბათ!“

— მობრძანდი, შენი ჭირიმე! — შეიპატიჟა შინ სტუმარი და სანამ კარში შევიდოდა, უნებურად გაიფიქრა, იქნებ ამ კაცის მოსვლით მობრუნდესო ანატორელის ოჯახი.

— რავა ას, ქალავ, დღეს შენი ავადმყოფობა?—არაჩვეულებრივი მზრუნველობით შეეკითხა ბოიგარი ცოლს. თანაც დაუმატა გიორგის გასაგონად, დილას აქეთია, შინ არ ვყოფილვარო.

აგუნდამ სწრაფად მოწყვიტა უცხო სტუმარს თვალი და ბოიგარს მიაშტერდა. „რა მოხდა?! რამ დაშაქრა დღეს ბოიგარი?! უთუოდ ვკვდები“,—გადაწყვიტა ეულში და სიწითლე მოედო სახეზე.

— არა მიშავს... ჩქარა განვიკურნები, — ხმის კანკალით წარმოთქვა ავადმყოფმა და ღიმილით გაუშუქდა დამჭკნარი სახე.

— უსათუოდ განიკურნებით,—შეესიტყვა გიორგი ქალს,— შესანიშნავი საავადმყოფო გაგიხსენით ბარისახოში, ქალბატონო, საუკეთესო ექიმები მოგიყვანეთ. მშვენიერი საწოლი მოგიმზადეთ. მხოლოდ ახლა მითხარი, დაო, რა გაწუხებს?

აგუნდამ ხმა არ გასცა სტუმარს, ისე დადუმდა, გეგონებოდათ ყბა შეეკრაო.

ხევსურ ქალებს არ უყვართ უცხოკაცთან გასაუბრება. მით უმეტეს არ უნდა საკუთარი ტკივილების გამხელა. გიორგიმ თავი გაარიდა ავადმყოფს და იქვე მდგომ მოხუც თალალას ჩასჩურჩულა:

— დედი, არ იცი, რა სტკივა თქვენს ავადმყოფს?

თალალამ პირი მოიბრუნა, ხელი მიიფარა ყბაზე და ჩუმად წარმოთქვა:

— ავსულებიდან ას, ჩემო ბატონო, შებღალული. სენაკიდან მოჰყვა უბედურს ავადმყოფობა.

— თავი ანებეთ ავსულებს და ხატებს! — ბეჯითი ხმით თქვა გიორგიმ. ბოიგარს ხელი მოჰკიდა მკლავში და ორივენი ბანზე გამოვიდნენ.

— ჩემო ძმაო, შენი ცოლი მძიმე ავადმყოფია. ხანგრძლივი ექიმობა სჭირდება. ნულარ დავაყოვნებთ.

ბოიგარმა თავი ჩაჰკიდა. ფიქრს მიეცა. თვალებში უჩვეულო სინათლე ჩაუდგა. გაჯანსაღებული აგუნდა დატრიალდა შის თვალწინ. სიცოცხლით და სიხარულით აივსო ბოიგარის ოჯახი.

ბოიგარმა თვალები მოისრისა და გიორგის მიაშტერდა.

— უთუოდ... კარგი მეწამლეები იქნებიან, მჯერა... არ დამილუპავენ ოჯახს... წავიყვანოთ, შენი ჭირიმე, მხოლოდ რით?—დაფიქრდა ხევსური. გახარებულმა გიორგიმ მხარზე ხელი დაჰკრა ბოიგარს.

— ნუ სწუხარ, მაგას ჩვენ მოვახერხებთ.

ბოიგარმა ცას გახედა. ღამდებოდა. ღამით ავადმყოფის წაყვანა შატილიდან ბარისახომდე შეუძლებლად ეჩვენა ბოიგარს.

სტუმართმოყვარე ხევსურმა ვახშამი მოამზადა. ნავახშმევს სტუმრები ბანზე მოასვენა და აგუნდასთან შევიდა.

— მოემზადე, ქალაი, წასასვლელად. დილით ადრე უნდა გავიდეთ სახლიდან. ხატი იყოს ჩვენი ოჯახის შემწე.

შუაღამე გადასულიყო. ღრმად ეძინათ მთებში ხეტიალით მოქანცულ სანიტრებს. მკვდარივით ეგდო არხოტიდან დაბრუნებული ბოიგარი. ეძინა მოხუც თალალასაც. არ ეძინა მხოლოდ აგუნდას. ის აღარ ფიქრობდა სიცოცხლეზე, რადგან „დედას სწყუროდა მისი ნახვა!“ იდუკას სიტყვა ლოდივით დააწვა გულზე „ახლა რაღა უნდათ ჩემგან? რაკი მიცვალებული დედა მოითხოვს ცოცხალ შვილს, მას აღარაფერი დაუდგება წინ,—გადაწყვიტა აგუნდამ,—ახლა რად აბურჯგნიოს თავი ვიღაცეებს? ვიღაც გადამთიელის ხელი რად შეეხოს აგუნდას? ვაჰაი, სირცხვილი აღარ ას ქოყანაზე? ტიტველი როგორ ეჩვენოს აგუნდა უცხო მამაკაცებს? ნამუსი აღარ ას ქოყანაზე?“

აგუნდას ახლა სიკვდილი უფრო იოლი ეჩვენა, ვიდრე სიცოცხლე.

დედა ეძახდა საყვარელ შვილს... დედის ლანდი ედგა თვალებში. დედის თბილი ხელი ელაციცებოდა გულზე. მაგრამ უცებ შეკრთა აგუნდა, რაღაც მოაგონდა, ხელი გადასწია სასთუმალთან და თალალა გამოაღვიძა:

— ჩემო მამიდ, მეშინია არ დამავიწყდეს, როცა მოვკვდე, ხახმატში დამასაფლავეთ, დედასთან. და კიდევ, გეხვეწები, ბუჩას კარგად მოუარე!

— ნუ სულელობ, ქალავ,—წაილიფლიფა თალალამ და ისევ ძილს მისცა თავი.

მთვარე აშუქებდა შატილის მიდამოებს.

აგუნდა ძლივს მიბობღავდა ჩახრამულ ბილიკზე, იქითკენ, სადაც თვალუწვდენელ ნაპრალებს შხუილით ეხეთქებოდა მდინარე. შორიდან მოჩანდა ბუმბერაზი მთების მწვერვალები და მის ლურჯ კალთებზე თეთრად ქათქათებდა აქა-იქ გაფანტული ნისლის ქულები.

აგუნდა შედგა, შატილს გადახედა და გასაფრენად ხელგაშლილმა ინსტინქტურად იკივლა: „აუუუუ“...

თვალუწვდენ სიღრმეში ჩაიტანა ქალი ტალღებმა.

იღვიძებდნენ ბარისახოელნი.

ტკბილი ღარღილი გაისმოდა ჩიტის ბუდეებივით კლდეზე მიკრულ ჭერხოებიდან და საკვამურებიდან.

ერდოზე გადმომდგარიყვნენ ქალები. შუბლს იჩრდილებდნენ. ახალი ცხოვრების მზე ამოდიოდა ხევსურეთის ცაზე. ბნელეთს მიჰყვებოდა ავსულები და კუდიანები. „მესულთანე“ იდუკა აწ ვეღარ გამოიძახებდა „მიცვალებულთა სულებს“. აღარ მოისურვებდნენ „მკვდრები ცოცხალი ადამიანების წაყვანას“. მოჰყავდათ ავადმყოფები ყოველი კუთხიდან, მოჰყავდათ საბილიკო ურმებით, ხელურმებით, საკაცეებით.

ხმაურობდა ბარისახო. ავადმყოფებს თავი წამოეყოთ და იმედით სავსე თვალებით მისჩერებოდნენ თეთრხალათიან ექიმებს.

ავადმყოფებში არ ჩანდა აგუნდა.

წარბშეკრული იდგა ბოიგარ ანატორელი, ზურგი შეექცია შატილის ხატისთვის.

1924 წ.

ცოლი

რაც დრო მიდიოდა, ლიას უფრო და უფრო ბეზრდებოდა ოჯახურ წვრილმანებზე ზრუნვა, ქმრის გადაჭარბებული რიდი.

დარბაისელი კაცი იყო ლიას ქმარი—ექიმი ბესარიონ ბერბერაძე, რომელიც მამად უფრო შეჰფეროდა ლიას, ვიდრე ქმრად.

განსაკუთრებით დაღონდებოდა, როცა მის ოჯახში ქმრის ამხანაგები შეიკრიბებოდნენ ხოლმე საღამოობით, შემოუსხდებოდნენ სუფრას და მოჰყვებოდნენ ბჭობას მეცნიერებაზე ან საზოგადო საკითხებზე. ლიას არაფერი ესმოდა მათი საუბრისა. მხოლოდ მაშინ გაიღიმებდა, როცა ქმარი ღომსა და საცივს მოუწონებდა სტუმრებთან.

— დიდებული დიასახლისია ჩემი ცოლი,—რიხით წამოიძახებდა ბესარიონი, როცა წვენში ამოვლებული ლუკმა პირისკენ მიჰქონდა და ძმრისა და ქინძის სურნელს წინასწარ შეიყნოსავდა.

ბერბერაძეს არასოდეს უფიქრია, რომ ცოლს ესწავლა. განგებ მოიყვანა პროვინციიდან შვიდწლედდამთავრებული, მოხდენილი გოგონა.

— ოჯახში რომ შემოვალ, ცოლი უნდა ვიგრძნო, რომელიც მომიალერსებს, ლოგინს გამიშლის და მომასვენებს, თორემ ახლანდელი განათლებული ქალი ჩემი მტრის ოჯახში შევიდეს,—ხშირად იტყოდა ხოლმე ბერბერაძე.

პატივცემული ექიმი დილით საავადმყოფოში მიდიოდა, საღამოობით კერძო პრაქტიკას ეწეოდა შინ, დადიოდა ავადმყოფებთან. და როცა დაბრუნდებოდა, ალერსისა და მოსვენების მეტი აღარაფერი აინტერესებდა. კვირაში ერთხელ ან ორჯერ ცოლს კინოში ან თეატრში წაიყვანდა, მაგრამ ვაი ამისთანა წაყვანას: ერთხელაც არ დაელაპარაკებოდა ლიას, არც არავის გააცნობდა და საბრალო ქალს ძილი მოერეოდა ხოლმე.

რასაკვირველია, მალე მობეზრდა ლიას ამნაირი ცხოვრება. ახლაც ფანჯარასთან იჯდა და თავისი მოწაფეობა აგონდებოდა. მოგონებებში დაფარფატებდნენ ჭრელი პეპლები, იშლებოდნენ ლურჯი იები, ქათქათებდნენ თეთრი მაგნოლიები, დარბოდნენ და მღეროდნენ მისი სკოლის ამხანაგები. აგერ, ვეებერთელა ხეებქვეშ ჩამომჯდარი ვახტანგი ლიას ჰაინეს ლექსებს უკითხავს. უცნაურად ცოცხლდება ლიას ხსოვნაში ვახტანგის წარმოთქმული სტრიქონები და ოცნება მიაქროლებდა შორს, მინდვრების სიმწვანეში, ხეთა ჩრდილებში და ტყის ფერად ყვავილებში. ქუჩებში ელნათურები აინთო და ლია ფიქრიდან გამოერკვა. წამოდგა, თმა გაისწორა. და ხეივანში გავიდა. ლერმონტოვის ქუჩა აიარა. მაღალ კიბეზე შედგა, სიხარული იგრძნო: ხარბად დაჰყურებს განათებულ ქალაქს. რა ქნას, ბავშვის გული აქვს ლიას, მასაც უნდა ქუჩის ხმაურს შეუერთდეს, ფრთები გამოისხას და გაფრინდეს სადღაც შორს, იქ, სადაც ხალხი ხარობს, ცხოვრება დუღს.

ბაღიდან მუსიკის ხმა ისმოდა. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ უკან შემობრუნდა, ხეივანს გახედა და, უცებ გაშეშდა. გული დაჭერილი ჩიტივით აუტოკდა, თავი ველარ შეიკავა და შესძახა:

— ვახტანგ!..

ვახტანგი ნელი ნაბიჯით მიმოდიოდა ხეივანში. მოიხედა და გაშტერდა. თვალს არ უჯერებდა, მის წინ აღფრთოვანებული ლია იდგა.

— როდის ჩამოხვედი?—ჰკითხა ლიამ მისალმების შემდეგ.

— კარგა ხანია. შენ, შენ როგორ ხარ, ლია? დაქალებულხარ!

— შენც დავაკაცებულხარ,—მხიარულად მიუგო ლიამ და სახე შეუწითლდა.

— სად ცხოვრობ, ლია?

— აი, აქ!—მიუთითა ლიამ ღია ფანჯარაზე,—შენ?

— მეზობლები ვყოფილვართ,—გაეხარდა ვახტანგს.—მეც ამ ქუჩაზე ვცხოვრობ: საკუთარი ოთახი მაქვს. ვსწავლობ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. შენ რა, სწავლაზე აღარ ფიქრობ?

— მე ბავშვი მყავს...

— რაღა გიჭირს, ოჯახის ქალი გამხდარხარ,—მწარედ ჩაიცინა ვახტანგმა და თან დაუმატა:—მით უმეტეს, ქმარიც ცნობილი ექიმი გყოლია. მაგრამ არა, ჩემო ლია, სხვა არა იყოს რა, სირცხვილია მხოლოდ ცოლი იყო ამ დროში და მაინც კმაყოფილებას გრძნობდე.

— ცდები, ვახტანგ, თუ გგონია, კმაყოფილი ვარ,—ნაღვლიანად მიუგო ლიამ.—უკვე მომბეზრდა ასეთი ცხოვრება. მგონია, რომ უდროოდ დავბერდი.

— ჰა, ჰა, ჰა,—გადაიხარხარა ვახტანგმა,—მაგისი ნუ გეშინია. შენ მხოლოდ გამოფხიზლდი, დაისახე რაიმე მიზანი და რასაც ამქვეყნად ხედავ, ყველაფერს სიახლის ფერი მიეცემა, ცხოვრებაც უფრო საინტერესოდ მოგეჩვენება.

შეუმჩნევლად გაიარეს პატარა მანძილი. ვახტანგის ოთახს მიადგნენ. ვახტანგმა კარი შეაღო და შუქი აანთო. ლია უხერხულად შედგა კარში: გაუსწორებელი ლოგინი, იქვე ფეხსაცმელები, სკამზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი წიგნები, პაპიროსის ნამწვავები, ასანთის კოლოფები, მაგიდაზე ჭუჭყიანი თეფშები.

დიდხანს ისაუბრეს, იცინეს. ლიას ბავშვიც გადაავიწყდა, ქმარიც და ოჯახიც. ვახტანგმა თაროდან წიგნი ჩამოიღო და ლიას მისი საყვარელი ლექსი წაუკითხა.

აი, ვახტანგი კითხულობს საამო ხმით და ლია განაბული უსმენს. სიყვარულით ივსება მისი პატარა გული. ხან ტყის ენძელები მოცურავენ მის თვალებში, ხან ხეთა ჩრდილები ირხევიან, ხან მთის ნაკადულები მირაკრაკებენ... ორივე ერთ წიგნს ჩასცქერის, მხარი მხარს ეტმასნება, გული გულს ემეჯნურება, გრძნობა გრძნობას ეხლართება, მაგრამ...

შემკრთალი ლია ზეზე წამოდგა.

— ნახვამდის, ვახტანგ!..—ხელი გაუწოდა.

* * *

ბესარიონ ბერბერაძის ორი დიდი კარადა სავსე იყო წიგნებით, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ არავინ შეხებია.

წიგნის მოყვარული კაცი იყო ბესარიონის მამა. ნახავდა თუ არა ახალ წიგნს, რა წიგნიც უნდა ყოფილიყო—მეცნიერული, პოლიტიკური, ტექნიკური, პროზა თუ პოეზია, ოღონდ ქართულად ყოფილიყო დაბეჭდილი და, მაშინვე იყიდდა. მიმართულება და პარტია სიცილად არ ჰყოფნიდა. რა პარტია, რის პარტია... საქართველოში ქართველებია ჩემი პარტია, და თუ რუსეთში წავალ, იქაც ქართველები იქნება ჩემი პარტიაო. ასე მსჯელობდა ბესარიონის მამა და შვილიც მას დაემსგავსა.

მთელი წელიწადი ფიქრობდა ლია ამ წიგნების დალაგებაზე, თან უნდოდა თავისთვის საკითხავი წიგნებიც ამოერჩია, მაგრამ ბესარიონი ნებას არ აძლევდა—შვებულებას ავიღებ და მაშინ გავაკეთოთ ეს საქმეო. ამ დაპირებაში გადიოდა დრო. ვახტანგთან შეხვედრის შემდეგ ლია განსაკუთრებული მოუთმენლობით უცქეროდა სქელტანიანი წიგნებით სავსე კარადას და ვერ ისვენებდა, უნდოდა გადაეკითხა ყველა და ვახტანგისათვის თავმომწონედ ეთქვა, ახლა აღარც მე ვარ ჩამორჩენილიო... ლიამ გამოაღო კარადა, გადმოიღო ყველაზე დიდი წიგნი და გადაფურცლა: „დაბადება“. ვერაფერი გაიგო ვერც სათაურიდან და ვერც ტექსტიდან. მერე მეორე მომცრო წიგნი გადაშალა: „ყურანი“. ყურანი რაღა ჯანდაბაა?—და მესამე წითელკანიანი წიგნი გახსნა: „საისტორიო მწერლობა“. ლიამ გადაფურცლა რამდენიმე გვერდი და ამოიკითხა: „წამებაი ცხრათა ძმათა კოლაელთაი“. უკანვე შეალაგა მისთვის გაუგებარი წიგნები და სასომიხდილი მიაშტერდა კარადას.

ოთახში სიჩუმე სუფევდა. მედავითნის ბუტბუტივით, განუწყვეტლივ ისმოდა საათის მონოტონური ტიკტიკი.

ლიას გულმა არ მოუთმინა, ახლა კარადის ყუთი გამოაღო, საშუალო ზომის ლამაზყდიანი წიგნი ამოიღო. ეს ჟურნალი „ივერია“ იყო. გაეხარდა ლიას, ერთი წიგნი მაინც აღმოჩნდა ჩემთვის გასაგებიო. ლოგინში ჩაწვა, წინ სკამი დაიდგა და კითხვას შეუდგა. „ისტორია ქალისა, უძველესი დროიდან ჩვენამდე, წარმოადგენს ღონიერისაგან უძლურის დაჩაგვრას. აღმოსავლეთ ქვეყნებში ქალი იყო მონად და საგნად სიტკბოებისა...“ ლია დაინტერესდა წერილით და ბოლომდე ჩაიკითხა. უჩვეულო ფიქრები შემოეხვია ყმაწვილ ქალს. აქ

აღწერილი იყო ქალის მდგომარეობა საშუალო საუკუნეებში. ბევრი რამ ენიშნა ლიას. ალბათ, იმ წიგნებში უფრო ბევრი საინტერესო ამბები იქნებაო, გაიფიქრა. გული მოუკვდა, იგრძნო იქ, იმ კედლის იქით, სხვისთვის კაშკაშებდა თავისუფალი ცხოვრების მზე. სხვისთვის იფრქვეოდა სინათლე, იჭედებოდა ბედნიერება, ინთებოდა უნივერსიტეტის ჩირაღდანი. სხვის თითებში მღერის უთვალავი მუსიკალური ინსტრუმენტი, სხვისთვის არსებობს სამხატვრო სტუდია. ის კი უგნური დედაკაცივით მთელი დღე ოჯახის წვრილმანებზე ფიქრით აღამებს სიცოცხლეს.

— ფადი, დღეს ხარჩო გავაკეთოთ, ბესარიონს უყვარს, ხვალ ჩახოხბილი, ხომ იცი, ბესოს უყვარს, ზეგ, ჩემო ფადი, თევზი ჩავასაციოთ, ბესარიონს ძალიან უყვარს... — და ასე ყოველდღე ელაპარაკებოდა მოახლე ქალს, რა მწვანილი უნდა ეყიდა ფადის, რამდენი ქინძი, ნიახური და ნიორი.

ფადის გაეცინებოდა.

— რა გაცინებს, ფადი?

— შე დალოცვილო, ყველაფერი ექიმს უყვარს, ექიმის ცოლს არაფერი უყვარს?

— ვინ გითხრა, არ უყვარსო? ექიმის ცოლს უყვარს ის, რაც ექიმს ურჩევნია.

— ყოჩაღ, ქალო, ცოლიც ამისთანა უნდა!—ეტყოდა ფადი და სამზარეულოდან გასვლისას ერთხელ კიდევ შეათვალიერებდა კოპწია დიასახლისს.

— ხომ მართალს ვამბობ, ფადი?—დააწევდა სიტყვას ლია.

— თქვენ უფრო არ იცით?

მართლაც იცის ლიამ, იცის და ფურცლავს წიგნს. გადაშალა რამდენიმე გვერდი და ხელში ბებელის ბროშურა მოხვდა: „დედაკაცი“ წაიკითხა და გაეხარდა, თითქოს იპოვა, რასაც ეძებდა. საჩქაროდ შეუდგა კითხვას. კითხულობდა და უკვირდა, ავტორს ყველაფერი მართალი დაეწერა. მაგრამ უცებ შეჩერდა:

— რაო? მამაკაცი ისეთივე მტერია დედაკაცის, როგორც ბურჟუა პროლეტარიატისაო.

ვერ გაიგო ამ ბროშურის შინაარსი. გაუგებარ სტრიქონებს ხაზი გაუსვა. ვისთან უნდა გაარკვიოს ეს საკითხები?

ისევ ვახტანგი წარმოუდგა თვალწინ და ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. ლოგინზე მოიკუნტა. ნანუკას გადახედა. ბავშვს ტკბილად ეძინა.

აი, ბესარიონიც მოვიდა. ცოლის საწოლს გახედა და მზრუნველობით ჰკითხა:

— ლია, რატომ არ გძინავს?

ექიმი ბერბერაძე კმაყოფილი იყო ბედის. თუმცა გვიან დაცოლშვილდა, მაგრამ ამით არაფერი წაუგია. ახალგაზრდობა კარგად გაატარა და ახლა ცდილობდა მყუდრო ცხოვრება დაემკვიდრებინა ოჯახში.

— ჯერ არც ისე გვიანაა,—მცირე ხნის დუმილის შემდეგ მიუგო ლიამ.

— ეს რა წიგნებია, ჩემო პატარავ?—ალერსით გადაუსვა შუბლზე ხელი ბესარიონმა მეუღლეს.

— კარადიდან გამოვიღე, ის სქელი წიგნებიც გადავათვალიერე და...

კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ბესარიონმა დაასწრო:

— ეს ბებელის ბროშურა რაღად გინდა? ამისთანა წიგნები ქარხნის ქალებისთვის არის საჭირო. შენ რად გინდა ამ უხეში ამბებით თავის გაბრუება? ქალისათვის ყველაზე მაღალი და კეთილშობილური საქმეა, იყოს მოსიყვარულე ცოლი, კარგი დედა, თავიანი დიასახლისი,—და ბესარიონმა ისე მოიქნია ეს „არასასიამოვნო“ წიგნი, კარი, რომ ლია ყოფილიყო, პირდაპირ ეზოში გავარდებოდა.

ლიამ თვალი გააყოლა წიგნს.

ბესარიონმა შუქი ჩააქრო და კმაყოფილი ღიმილით ჩაუწვა ლოგინში ცოლს.

* * *

არა და არ ავიწყდებოდა ლიას ვახტანგის სიტყვები. დღითი დღე აიცრუა გული ოჯახზე. აღარ აინტერესებდა ავეჯი და ჭურჭელი, საცივი და ღომი, ფარჩა და აბრეშუმი, არც ქმრის სტუმრები. ხან ნანუკას ჩაიკრავდა გულში და ხან გაშტერე-

ბული იყურებოდა იქითკენ, სადაც ვახტანგი ეგულებოდა. აქ შვილი, იქ მეგობარი...

ორად გაიღო ლიას გული.

— ლია, ჩვენ ბავშვები აღარა ვართ,—უთხრა ერთ დღეს ვახტანგმა,—ეს მეტისმეტია, ადამიანი გიყვარდეს და მის გვერდით ვერ დაჯდე? ჩვენ ხომ სკოლის მეგობრები ვართ? ერთად გვისწავლია, ერთად გვითამაშია.

— მე ოჯახი მაქვს,—მიუგო ლიამ,—მაგრამ მეგობარიც მინდა მყავდეს და არ ვიცი... თანასწორობაო, გაიძახიან, ვერ წარმომიდგენია, რა თანასწორობა შეიძლება ოჯახში, როცა ჩემი ქმარი ერთნაირი ღიმილით მოგვაწოდებს ტკბილეულს მე, ნანუკას, და მოხუც გამდელსაც, თავი ხან ბავშვი მგონია, ხან მოხუცი. დილით, სადილის ფულს რომ დამიტოვებს, სირცხვილით თვალები მეწვის. რატომ უნდა მაჭამოს პური ჩემმა ქმარმა? იმიტომ, რომ ცოლი ვარ? ცოლი... რომ იცოდე, როგორ შემძაგდა ეს სიტყვა. ნეტა ყოველთვის მხოლოდ „ცოლობა“ უნდა იყოს ჩვენი ხვედრი?

— მართალი ხარ, ლია, სიყვარული ყველა კანონზე ძლიერია. ხოლო ცოლ-ქმრობა დაკანონებული სოციალური მოვლენაა. იგი შეგნებით და ცოდნით განმტკიცებულმა დამოუკიდებელმა ცხოვრებამ უნდა შეცვალოს. ასეა, ჩემო მეგობარო. თუნდაც ჩვენი ამბავი ავიღოთ. შენ შეძლებულ ცხოვრებას დაეხარბე, მე კი ცოდნა მინდა შევიძინო, მაგრამ შენ...— ვახტანგი მიუახლოვდა ლიას, მხრებზე ხელი მოხვია, — შენ მუდამ ლუკმის მონად დარჩები. სად გაქრა შენი ბედნიერება.

— მე ოჯახი მაქვს,—ისევ ჩაილაპარაკა ლიამ და შეეცადა ჩამოეშორებინა ვახტანგის ხელი. მაგრამ მოზღვავებული გრძნობა დაეუფლა ყმაწვილ ქალს და გული მოუდუნდა, როცა გამოფხიზლდა, ლოგინზე იწვა და ვახტანგის თითები უვარცხნიდა გაწეწილ თმას.

— ოჯახი? ბავშვი! — აკანკალებული ხმით წარმოთქვა ლიამ.—ქმარს რაღა ვუთხრა?

— რა უნდა უთხრა, განა ქმარსა და ცოლს შორის დაფარული არაფერია?

* * *

ლია თანდათან გახდა და ფერ-ხორცით სავსე. სანთელივით ჩამოდნა. ბესარიონმა ვერაფერი გაიგო ცოლის ავადმყოფობისა. ლიას არაფერი სტკიოდა, დარდი აწუხებდა მხოლოდ. სინდისი ქენჯნიდა და თან მეგობრის სიყვარული აწვალებდა. ოჯახური წვრილმანი მობეზრებოდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი წილი არ ედო. ასეთმა მდგომარეობამ უფრო გააღიზიანა ქალი, ფიცხი და ნერვებაშლილი შეიქნა.

— დამანებე, ფადი თავი, რაც გინდა, ის იყიდე და გააკეთე.

— წაიყვანე ბავშვი, ჰაერზე გაატარე.

— ნუ მიშლი, წიგნს ვკითხულობ.

ბესარიონმა ზაფხულის სიცხეებს დააბრალა ლიას ავადმყოფობა და ცოლ-შვილი აგარაკზე გაგზავნა. ვახტანგი დარჩა თბილისში. ლია ყოველ კვირას სწერდა ვახტანგს ვრცელ წერილებს. სწერდა წაკითხულ რომანებზე თავის შთაბეჭდილებას, სთხოვდა, ზოგიერთ კითხვაზე გაეცა პასუხი. ვახტანგისაგანაც მოსდიოდა ბარათები.

დაბრუნდა ლია აგარაკიდან და ექიმ ბერბერაძის ოჯახში კვლავ გაისმა ნანუკას კისკისი, მოხუცი გამდელის ხითხითი და ბესარიონის მხიარული ხორხოცი. მეზობლები შენატროდნენ ბესარიონის მხიარულ ოჯახს, ხოლო ლიას არაფერი ეშველა. კვლავ ნაძალადევი ალერსი ქმართან, კვლავ ოჯახურ წვრილმანებზე ზრუნვა და ფადის დაუსრულებელ შეკითხვებზე პასუხი.

სადღა სცალია წიგნების საკითხავად, ვეღარც ვახტანგს ხვდება. გაზეთებს კი ყოველდღე ახალ-ახალი ამბები მოაქვს: „ამა და ამ ქალმა მიიღო დოქტორის ხარისხი“, „დელეგატი ქალები გაემგზავრნენ მოსკოვს“, „ესა და ეს ქალი დააჯილდოვეს“... ლიას ოჯახი შესძულდა. რა ქნას ახლა, რამდენი ფრთა გამოისხას, რომ ცხოვრებას დაეწიოს?

მხოლოდ ნანუკა ეცოდება, თორემ ერთ დღესაც არ გაჩერდება ლია ამ ოჯახში.

„ჩემო გოგონა!“ წაიბუტბუტა ლიამ და საჩქაროდ გაიხურა ოთახის კარი. ვახტანგი კიბესთან უცდიდა. დღეს ქართუ-

ლი ენის თავისუფალი ლექციები იწყებოდა უნივერსიტეტში. ვახტანგმა ძლივს დაითანხმა ლია, ასეთ ლექციებს მაინც დაესწარიო. ლიამ პირველად ნახა უნივერსიტეტის კათედრა. დარბაზი გაჭედილი იყო ახალგაზრდა ქალ-ვაჟებით. აქა-იქ ბევრი ჭაღარამორეულიც მოჩანდა. ლია გულმოდგინედ უსმენდა პროფესორს. გვერდით ვახტანგი ეჯდა და სხვა ბედნიერებაზე აღარ ფიქრობდა ამ წუთში. ლექციის შემდეგ ვახტანგმა სტუდენტები გააცნო ლიას და ერიამულით ჩასხდნენ ტრამვაიში.

დღეს ლია უბედნიერესად გრძნობდა თავს, მაგრამ სახლს რომ მიუახლოვდა, გულის ფანცქალი აუვარდა. ეგონა ბესარიონი დახვდებოდა შინ. მისდა საბედნიეროდ ექიმი ჯერ არ დაბრუნებულიყო. არაჩვეულებრივ გუნებაზე იყო ლია. ბავშვი ხელში აიტაცა და თამაში დაუწყო. ამ დროს ბესარიონიც შემოვიდა. ცოლის სიცილი და ნანუკას კისკისი რომ შემოესმა, უსაზღვრო ბედნიერება გამოეხატა სახეზე, მაგრამ რა იცოდა, რომ ეს ბედნიერება უკვე დარღვეული იყო.

ქმრის შინ არ ყოფნისას ლია ყოველ საათს საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა. აი, ახლაც ლია და ვახტანგი დაფიქრებული ისხდნენ ბოტანიკურ ბაღში და მომავალ ცხოვრებაზე მსჯელობდნენ.

ვახტანგს ბარგი შეკრული ჰქონდა და ღამით უნდა გამგზავრებულიყო მოსკოვს. ლია გულმოკლული გაჰყურებდა ჩამავალ მზეს. ახლოვდებოდა მეგობართან გამოთხოვების წუთი და შემდეგ ვინ იცის...

ვახტანგი ხედავდა ლიას სულიერ მღელვარებას და იმ ეჭვებსაც—ქალს რომ გულს უღრღნიდა. მაგრამ თბილისში დარჩენაზე წუთითაც არ უფიქრია. პირიქით, მისი აზრით, მოსკოვს გამგზავრება უფრო დააჩქარებდა მასთან კავშირს.

— იმედი მაქვს, მოსკოვში უფრო კარგად მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას. ერთად გავატარებთ მხიარულ სტუდენტურ წლებს, ვისწავლით, შემდეგ ჩვენგან ისწავლიან სხვები. ყველა დროის ახალგაზრდა წინ მიუძღვის თავის ეპოქას და მეც არ მინდა, ჩემო ლია, სხვას კუდში მივჩანჩალებდე. მალე მოგწერ წერილს. შენ კი მანამდე არავის არაფერი უთხრა. რა საჭიროა ზედმეტი უსიამოვნება. წერილს დაუტოვებ ქმარს,

რომ სასწავლებლად მიდიხარ მოსკოვს, ბავშვი შენია და მიგყავს თან. მოსკოვში არის შესანიშნავად მოწყობილი საბავშვო ბაღები, სადაც ბებერი გამდელის მაგიერ განათლებული პედაგოგები აღზრდიან შენს შვილს. სამი წლის შემდეგ ისევ დავბრუნდებით და შევუდგებით ახალ ცხოვრებას. ვახტანგმა საათს დახედა. განშორების დრო მოსულიყო.

სადგურზე დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ვახტანგი ფანჯრიდან გაჰყურებდა რუსეთის ტრიალ მინდვრებს და ნელი ხმით ღიღინებდა. ექსპრესი მიქროდა მოსკოვისაკენ და ბორბლების რახრახში გამუდმებით ჩაესმოდა:

„ლია... ლია... ლია“.

ლია ყოველდღე მოელოდა წერილს. ზარის ყოველ გაწკრიალებაზე გული ელეოდა. მთელ დღეებს ნანუკას ალერსში ატარებდა. ხან საჭირო ნივთებს ალაგებდა ჩემოდანში. დღეები თვეებად ეჩვენებოდა, საათები დღეებად: მიდიოდა დრო. ვახტანგისაგან არაფერი ისმოდა. იბზარებოდა ლიას გული, ხან ვახტანგისაკენ მიიწევდა, ხან ოჯახს ეჭიდებოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ შეუნელდა ვახტანგის სიყვარული, რაც ნანუკას წითელა გაურთულდა. ბესარიონი მთელი ღამეები ბავშვს უჯდა, ქალი უსაზღვრო მწუხარებას კითხულობდა მამის სახეზე.

ლია იჯდა ბავშვის ფეხთით თვალდახრილი და ფიქრობდა: „ოღონდ შენ კარგად გახდი, ჩემო გოგონავ, და სხვა არაფერი მინდა... მე ლია არა ვარ. მე მხოლოდ დედა ვარ შენი“. მზად იყო მოხვეოდა ბესარიონს მუხლებზე, პატიება ეთხოვა. სინანული იპყრობდა ქალს. თვალებში ვეღარ უცქეროდა მეუღლეს.

მშობლების დიდი მზრუნველობით ნანუკა მოკეთდა. ისევ გამხიარულდა ბესარიონის ოჯახი. ლია ბავშვით დარბოდა ოთახიდან ოთახში. დახაროდა ბავშვს; ალერსით უცინოდა ქმარს, მაგრამ პირდაპირ შეხედვას ვერ უბედავდა. არ იცოდა შენდობა ეთხოვა მისთვის, თუ გულით ეტარებინა ეს მძიმე დანაშაული?

სინდისი ქენჯნიდა.

კარგა ხნის შემდეგ მოვიდა ვახტანგის წერილი—გელოდებიო.

ტახტზე წამოწოლილი ეს უკვე მერამდენედ კითხულობდა წერილს. ექიმი შინ არ იყო. ნანუკა ფადის წაეყვანა. კითხულობდა ლია წერილს და ცრემლი ლაპალუპით ცვიოდა ღაწვებზე. გული ისევ ვახტანგისკენ მიუწევდა, მაგრამ თითქოს რაღაც სასწაულებრივი მომხდარიყო მის ცხოვრებაში. თითქოს მის გარშემო ყველაფერს ენა ამოედგა—კედლებს, სურათებს, პატარა ქანდაკებებს, ნანუკას დედოფლებს.

აგერ დიდი ბურთი რომ ეგდო ნოხზე, ისიც ჩურჩულებდა: „რით უნდა გაამართლო შენი საქციელი? რა უფლება გაქვს, უსუსურ ბავშვს მამის მზრუნველობა მოუსპო? ნანუკას ხომ უყვარს მამა? მერე როგორ უყვარს.

ბესარიონს ხომ არაფერი დაუშავებია შენთვის, არაფერი. არასოდეს“.

ლიამ მიიხედ-მოიხედა, განშორების ფიქრმა შეზარა. თითქოს უცბად ყველაფერი გათბა ოთახში—კედლებიც, საგნებიც... ეს ხავერდგადაკრული ტახტიც ისე გათბა მკერდქვეშ, რომ წამოდგომაც კი ეძნელება.

„ღმერთო, შენ მიშველე!.. რას ჩამციებიხარ, ვახტანგ!..“ წაიჩურჩულა ლიამ, ტახტზე დაემხო და მწარედ აქვითინდა.

1934 წ.

შვებულება

კაცს, რომელსაც პირადი ცხოვრება არ გააჩნია, კაცად არ კთვლი.

ხშირად მიფიქრია, რა არის ბედნიერება?.. ვიცი, აბსოლუტური ბედნიერება არ არსებობს და ამიტომ უფრო კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით.

ახლა, მატარებლის ფანჯრიდან რომ გავყურებ ამ მინდვრებს, ველებს და მიდამოებს, სადაც მხიარული ბავშვობა მიტარებია, ძარღვებში მაჭარივით მიდუღს სისხლი და ამხელა ვაჟკაცს თავი ისევ თორმეტი წლის ბიჭი მგონია.

რამდენი მირბენია ამ ეწერზე, რამდენ ეკალ-ბარდზე დამიკაწრავს შიშველი ფეხი.

მატარებლიდან ხალისით ვუმზერ ჩაის ბუჩქებს, ლიმონმანდარინის ბაღებს და ყვითელ ყანებს ბექობებიდან ღარდებში რომ ჩაუფენია აფერადებული კალთები. მიხარია სიცოცხლე. აგერ, მდინარე ნატანები, ნატანების ხიდი და გზატკეცილი.

ქარხნებით და სახლებით გადაჭედილი ჩაის პლანტაცია მოჩანს. ოცდაათი წლის წინათ აქ ისეთი ჩირგვნარი იყო, რომ შუადღეზე ტურების გვეშინოდა. მეშინია, არ გადამიტანოს ამ სიხარულმა. ცა ლურჯად ელავს და შორს მოჩანს გურიაჭარის მთების ზოლი.

კიდევ იკივლა მატარებელმა. აი ჩემი ქალაქი—ოზურგეთი, არა, ეს წინათ იყო, ახლა მახარაძე ჰქვია. მოედანზე თეთრი სვეტებივით დგანან მაღალი ჭადრები. ყვითელ ფოთლებს აშრიალებს ფუსფუსა ნიავი. ფეხქვეშ ტყდება ხმელი ფოთოლი და მიყვარს ეს ხმაური,—ეს ჩემი გულის ხმაა. დავდივარ და ოცნებით ვიყურები აქეთ-იქით. ვიგონებ უღიმღამო ცხოვრებას, ამ სამი ათეული წლის წინათ რომ იყო ოზურგეთში. ახლა მოედანს ახალი შენობები შემორტყმია. ჭადრებში რომ ეკლესია იდგა, იმის ქვის ნატეხსაც ვერ იპოვი.

თითქოს ახლაც მესმის მწუხრის საგალობელი, რომელსაც ბავშვობისას ვისმენდი და აღსავალთან მუხლმოყრილი ხალხი წარმომიდგა თვალწინ.

თვალებს ვიფშვნეტ და ნელი ნაბიჯით ვშორდები მოედანს, ვუახლოვდები დიდი დიმიტრის ციხეს, მედიდურად რომ გადმოჰყურებს პატარა მზიან ქალაქს.

ვდგავარ და ვფიქრობ: რამდენი ქარიშხალი გადაუტანია ამ ციხეს, რამდენი ლერწამტანა გოგო-ბიჭი გაუტაცნიათ ამ ციხის ბნელი კარიდან...

ახლა ქალაქის მესვეურთ მისი კედლები გაულესავთ და ვარდისფრად შეუღებავთ. ალბათ, ხალხმა მოისურვა სამუდამოდ წაეშალა ბნელი ცხოვრების კვალი.

ვუკვირდები ყველას—ქალს, კაცს, მოხუცს, ახალგაზრდას, მაგრამ ამაოდ, ვეღარავინ მცნობს. მე კი თავიდან არ მშორდება ჩემი ყოფილი მეზობლების სახელები: ნიკო, გიგო, სერაფიონი, მაქსიმე და ეგვიტო...

სასადილოში შევედი. დერგის ყველი და ნიგვზიანი ლობიო მოვითხოვე, მახსოვს ბავშვობისას ძლიერ მიყვარდა. ძლივს დავაღწიე თავი ფიქრს. ვისადილე და ისევ სასტუმროში დავბრუნდი. დაღამდა. ოცდაათდღიან შვებულებას ერთი დღე ჩამოაკლდა. როგორ გავატარო დანარჩენი ოცდაცხრა დღე? ჩემი ჩემოდანი სავსეა წიგნებით. დასვენების დროს მიყვარს დიდი ადამიანების თავგადასავალის კითხვა. ახლაც გოეთეს ცხოვრების რომანს ვფურცლავ.

ოცდაათი წლის განმავლობაში ოცდაათჯერ მაინც შემყვარებია, ახლა ვფიქრობ, რომ არც ერთი ის ნამდვილი სიყვარული არ ყოფილა. ვუბრუნდები კვლავ პირველ სიყვარულს—ბავშვობაში განცდილ ფაქიზ გრძნობას.

ახლა, როცა ორმოცდაათი წელი ბზიკივით მაზის კისერზე, უზომოდ მომინდა შვებულების ოცდაცხრა დღე ჩემს მშობლიურ კუთხეში გამეტარებინა: — მეზობლებში, ნათესავებში, მოგვარეებში, და რაც მთავარია, ეგვიტოსთან...

ალბათ ვინმე გაიცინებს ამ პაწაწინა რომანტიულ ამბავზე. რა მენაღვლება, იცინოს, რამდენიც უნდა. თამამად შევაღებ ეგვიტოს გულის კარს. მივუჯდები გვერდით და ამ შემოდგომის მთვარიან ღამეში მოვიგონებთ ბავშვობას, იმ

დროის სიბნელეს და სიღატაკეს. მოვიგონებთ, მთელი ღამე რომ ვდარაჯობდით „ქრისტეშობის ღვეზელს“ ბუხრის პირას. გრძელი იყო დეკემბრის ღამე. ოცდაცხრა ზღაპარს დაასრულებდა ბებიაჩემი და ორმოც შაირს გვეტყოდა მამაჩემი. დედაჩემი „მუცლის სალოცავ“ ღვეზელს გვიცხობდა—ეს იყო ჩვენი ღამის თევის მიზეზი.

მამაჩემი თვალს მოავლებდა ყინვით გათოშილ ქვეყანას, თუ ხომლი ცის კირჩხიბზე ეყარა, ეს ქრისტეშობის ნიშანი იყო. კეციდან ჩემს „სალოცავ“ ღვეზელს ავიღებდი და ფანჯარაში გავიხედავდი. ეგვიტოს „ოდოხირაშიაც“ ბეუტავდა სინათლე. ვიცოდი ამ დროს ეგვიტოსაც ეპირა ხელში „შობის ღვეზელი“ და ჩემი მუხურის სხვა ბავშვებსაც.

მოიდანახე ერთი ლამაზი კუთხეა ქალაქის განაპირას. ხშირ დასახლებულ სოფელს ჰგავს პარმაღიანი ოდებით და კოპწია ეზოებით. — ეს ჩემი უბანია!

დილით ადრე გამომეღვიძა. ხელ-პირი დავიბანე და სასტუმროდან გავედი. გავცილდი ქალაქს და ჩემი უბნისკენ გავეშურე. გურიაში განსაკუთრებით საამოა შემოდგომა, თუ ბარაქიანი წელი დგას. მივდივარ მზეზე, ვათვალიერებ ეზოებს. შევდგი თუ არა მოიდანახეს ერდოზე ფეხი, გულმა სხვანაირად დამიწყო ძგერა. საცაა გამოჩნდება მამაჩემის ჯარგვალი და ეგვიტოს „ოდოხირა“. მერედა ვინ იქნება ახლა ამ „ოდოხირაში“? თვალწინ წარმომიდგა შუახნის ქერა ქალი— ეს მამაჩემის მეორე ცოლია. ოცდაათი წელია აღარ მინახავს ეს დედაკაცი. მამაჩემის გარდაცვალების ამბავი ირკუტსკის ციხეში გავიგე. ამის შემდეგ აღარ იყო ჩემთვის საინტერესო გურიაში დაბრუნება. მაგრამ, ეჰ, სხვა ყოფილა ადამიანის გული: როცა წლები მიიწურება, უკან მოხედვა მოგინდება.

რა მშვენიერი გამხდარა მოიდანახე! რა ხეებია, რა ვაზები, რა ეზოები, ოდები კრამიტის სახურავებით. რა ვქნა, ეგვიტოს ეზოს და „ოდოხირას“ ველარ ვამჩნევ... აი, მამაჩემის ორთვალი ჯარგვალი, ჩამუქებული მუხის ყავრით გადახურული. ვაკვირდები და... არ ვიცი, რა დავარქვა ამ გრძნობას: სიხარული თუ მწუხარება, უცრემლო ტირილი თუ უხმო სიცილი... არ ვიცი, არ მომეპოვება სიტყვა ამ გრძნობის გამოსახატავად, რაც ამ წამს განვიცადე.

ჭიშკარს მივადექი.

ვხედავ, მზისყურზე ვიღაც დედაბერი ზის და კანაფის ლერწს არჩევს. თავი წამოსწია, ალბათ, ჩემი მისვლა იგრძნო, თვალი მოიჩრდილა და ჭიშკართან კაცი რომ დაინახა, შომაძახა:

— შემოდი, ალექსავ, რამ გაგაშტერა მაგ ჭიშკართან! — მეზობელი ვეგონე. როცა თავს წავადექი, შემკრთალი წამოდგა, პირველად ჩემს პორტფელს შეაჭყიტა თვალი და ტანზე შემოხვეული შავი ნაოჭიანი კაბა გაისწორა.

— უკაცრავად, შენი ჭირიმე, ნუ დამძრახავ, თვალისჩინი გამომელია და ვეღარ გიცანი.

რას მიცნობდა. თეთრი სახე ნარმასავით გაფითრებია და დაჭმუჭნია, თუთუნისფერი თვალები ქუთუთოებში მიბეჟუტვია და ისე მიცქერის, თითქოს რაღაცას მოელის ჩემგან.

— ვეღარ მიცანი, ბაბალე?

— უკაცრავად, ალბათ, რაიკომი ბრძანდებით, არა? რაიკომს მოველოდი, თხოვნა მქონდა შეტანილი.

— ჰოდა, აი, მოვედი რაიკომი. რას თხოულობ?

— მოვხუცდი, ჩემო ბატონო! უპატრონო ვარ. გვარიანი შოშენებული ეზო მაქვს. ჯარგვალსაც არა უშავს, წვიმა არ ჩამოდის. ეგებ ვინმე პატიოსანი კაცი ჩამომისახლოთ. სიბერის დროს იქნებ მომხედოს, მეტს არაფერს ვითხოვ.

— ნუ გეშინია, ყველაფერი მოეწყობა, — ვანუგეშე დედაბერი,—მაგრამ მე რაიკომი არა ვარ. მე „მეხარბიეი“ ვარ, ბაბალე, შენ რომ „მეხარბიეს“ მეძახოდი, დაგავიწყდა?

— მეხარბიეი?! ვინ მეხარბიეი?—ერთ წამს დაფიქრდა, მერე უეცრად შემომკივლა:

— ნენაია, შენი ჭირიმე... მეხარბიე!.. მეხარბიე!..— მომვარდა. გადამეხვია, მკოცნის და ტირის...

როგორც იყო, დავამშვიდე დიდი ხნის უნახავი დედინაცვალი. ვუცქერი ცრემლიან თვალებში და ვფიქრობ: ნეტა მაშინაც ასე ვუყვარდი ამ დედაკაცს, თორმეტი წლის ბიჭს მუგუზალი რომ მდრუზა ზურგზე? ეეჰ, ეს „კაპარწახი“ დედაკაციც წლებს მოუტეხია. არა, შეიძლება მეც ვიყავი დამნაშავე...

ვუმზერ ეგვიტოს ეზოს და ვეღარ ვცნობ. „ოდოხირას“

ნაცვლად მშვენიერი ოდაა გამოჭიმული, კრამიტით და კირკეებიანი არშიებით. ალაგეს მაგიერ ურდულიანი ჭიშკარი ჰკიდია. ოდის მხარეს ჩაის ბუჩქებია ჩარიგებული, ოდის წინ ქრიზანტემები ჰყვავის, რა ჯობს ახლა ეგვიტოს სახლ-კარს!.

დედინაცვალი აღარ ათავებს ორმოცი წლის ამბავს.

—ვუვლი, რაც მამაშენმა დამიტოვა. საწყალი მამაშენი, აცხონოს ღმერთმა, დიდებულად დავასაფლავე. მკვდარიც ვერ დავივიწყე. იქ ათი ძირი აკაციის ხე რომ იყო, მეზობელს მივყიდე და მამაშენის საფლავს კაი ქვა დავადე. მეორე ქვა საცოდავ დედაშენის საფლავს დავადე. მესამე ქვა ჩემს სამარხზე დავდე. დედაშვილობას, იმ ქვის ქვეშ დამმარხე.

— რა დროს სიკვდილია, ბაბალე,—ვეხუმრები, დედაბერს,—ორმოცი წელი მაინც უნდა იცოცხლო კიდევ.

— მოვხუცდი, ნენავ, ვიღასთვის არის საჭირო ჩემი სიცოცხლე.

ვუცქერი და ვფიქრობ: არ ვიცი, რატომ მძულდა ეს დედაკაცი მაშინ, მამაჩემმა რომ მოიყვანა და რატომ მიყვარს ახლა?! იქნებ იმიტომ, რომ ყველაფერი აქაური ჩემს ბავშვობას მაგონებს.

დედის მაგიერი ბზრიალასავით დატრიალდა. ცეცხლი აანთო. სადილის სამზადისს შეუდგა. ცეცხლზე კელამიდა გაახურა და ვარიას წამოავლო ხელი. ფუსფუსებს და მეც სიამოვნებით დავდევ უკან. ფიჩხს ვუმტვრევ, ნიგოზს ვარჩევ. ვსაუბრობთ და საუბარში თანდათან ვიგებ ჩემი მეზობლების ამბავს: მაქსიმეს თონიკე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აურჩევიათ, ერთი ციდა ბიჭი დავტოვე. სერაფიონი გარდაცვლილა. ფარნას ქალიშვილი გაუთხოვებია. ეგვიტო დაქვრივებულა.

ეგვიტოს ხსენებაზე ისე მრეჩხა გულმა, მეგონა, ჩემს სხეულში ათასი შუშის ხოხოლა დაიმსხვრა... ეგვიტო დაქვრივებულა... ერთი ქალიშვილი ჰყოლია, გულჩინარა.

* * *

საღამომდე მთელმა მოიდანახემ გაიგო, ცოცხალი ვყოფილვარ და დავიწყებულ ჯარგვალში მოვედი.

— მოვიდა?

— ცოცხალი ყოფილა?

— ვინა, კაცო, მეხარბიე ქებაშვილი?

— ჰო, კაცო, ჰო, მეხარბიე ქებაშვილი მოსულა მის ჯარგვალში.

არ სჯეროდათ, სანამ თავიანთი თვალით არ მნახეს.

სამი დღე განუწყვეტლად მოდიოდნენ სტუმრები. სკამი რომ შემოგვაკლდა, ფიცრები გავამწკრივეთ.

— რა ამბავია, ხომ არავინ მომკვდარა? — კითხულობენ გამვლელნი.

ნაცნობს ნაცნობი ემატება და მნახველებით ივსება ეზო. მიხარია: ამდენი ჭირისუფალი მყოლია, ამდენი მეზობელი, ამდენი ნათესავი, ამდენი პატარძალი და სიძე... აუუ, როგორ გაშლილა და გამრავლებულა ჩემი გვარი. ნაკაშიძეები და გურიელები გადაშენდნენ, ისევ შენ იმრავლე, ჩემო გვარო და ჯილაგო.

მისვლა-მოსვლა მოთავდა.

ყველამ მნახა, ყველა ვნახე. მშვიდად ვზივარ ჯარგვალში. საღამოობით თონიკე მოდის და ცხოვრების ავ-კარგზე გავაბამთ ხოლმე საუბარს.

— ეს პლანტაციები ახლა ჩვენია,—ამბობს თონიკე და ლაითურისაკენ იშვერს ხელს,—ეს ვენახიც, ამ ბაღებს რომ ხედავ და იმ მანდარინებს, ეგერ, ხეე... და იქით ფორთოხლებს, ეეე... შავი ზღვის პირამდე გადაჭიმულს, სულ ჩვენი მამულია... ეს მიწა, ეს მზე, ეს მთვარე ახლა ჩვენია და მიხარია, ბატონო მეხარბიე..

— კიდევ, ბატონო?—შევაწყვეტინე სიტყვა თონიკეს.

— უკაცრავად, ამხანაგო, ეს მხურვალე სხივები ახლა მე და ჩემს მეზობლებს თანაბრად გვათბობს. ეს მიწა, ზურგი რომ ამიორთქლა ახლა, ეგეც ჩემი მასაზრდოებელია. ჩემი ჯანი, ჩემი მკლავი, და ჰა, მე და ჩემი მეზობლები ვმუშაობთ ერთად, ვჯახირობთ ერთად, ვმღერით ერთად და მიხარია, ამხანაგო მეხარბიე, რომ ვაშენებთ ახალ ქვეყანას, ახალ ცხოვრებას...

ჰეი, ჩემო შვილებო, ნეტავი თქვენ, ყველაფერი მზად დაგხვდათ. იცელქეთ და იმხიარულეთ, შვილიშვილებო...

ჭეშმარიტად დიდია თავისუფალი ადამიანის გრძნობა. ვუმზერ თონიკეს და ვსაროობ.

როცა მე და თონიკე გულს ვიჯერებთ საუბრით, გულჩინარას ნარდი გამოაქვს ეგვიტოს ოდის პარმალზე და მოკრძალებით მიხმობს.

— ხომ გახსოვთ, თქვენ სამს იყავით მაშინ, მე კი ოთხს,— კისკისებს გულჩინარა. ვაკვირდები ამ „კუდიან“ გოგონას და თავში სისხლი მემღვრევა: პირწავარდნილი პატარა ეგვიტოა. შინდა. მოვეხვიო და მოვეფერო.

ეგვიტო ახლა მხოლოდ პატივისცემას იწვევს ჩემში.

— ხვალ ჩვენი კოლექტივის ყანაში წავიდეთ,—მეუბნება დამშვიდობებისას გულჩინარა.

გაბრუებული ვბრუნდები ჯარგვალში, ლოგინზე ვწვები და ღია კარიდან გულჩინარას ოდას ვუმზერ. მეორე ოთახში დედინაცვალი ხვრინავს. კარს ვხურავ. წარსულზე ფიქრი აღარ მიზიდავს. ახლა გულჩინარა შემოიჭრა ჩემს გულში ახალი ცხოვრების ჩირაღდნად. ისე შემიყვარდა ეს ხავსიანი ჯარგვალი, რომ აღარ მინდა აქედან ფეხი მოვიცვალო. ვეალერსები გულჩინარას ღობეს.

* * *

ბზიანი შემოდგომა მიიწურა და ჩემი შვებულების დღეებიც ილევა. მხოლოდ ეგვიტოს ხაჭაპურებს არ უჩანს ბოლო. ყოველ საღამოს ეგვიტოსთან ვარ. ეგვიტო ჩონგურს უკრავს და გულჩინარა მღერის:

სულო, ქუდს გამოგიგზავნი,
ოქრომკედით მოქარგულსა,
შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა.
შენგან დამწვარ-დადაგულსა.

ვუსმენ, ვტკბები და ვფიქრობ; ვინ დადაგა ნეტა ამ პატარა გოგონას გული? იქნებ მე მიმღერის ეს უმანკო მტრედი?

შრომით მოქანცულ ეგვიტოს ადრე ეძინება. ვფურცლავ გოეთეს ცხოვრების რომანს და გატაცებით ვუკითხავ გულ-

ჩინარას: როგორ შეუყვარდა მოხუც გოეთეს თვრამეტი წლის ურლიკე ფონ ლევენცოვის ასული და...

— რა ვქნა, ჩემო მტრედო, ჩემს ძარღვებშიაც გენიოსის სისხლი ჩქეფს...—ვეუბნები გოგონას.

გულჩინარა იღიმება.

უკვე გვიანაა. ვდგები, ვეთხოვები და უკანასკნელად ვეუბნები:

— ჩემო პატარა, პასუხს ველ, იცოდე...

სძინავს მოიდანახეს. მე ისევ ჯარგვალის კარიდან გავცქერი ცაზე დაკიდებულ მთვარეს.

მეორე დღეს აღარ მინახავს გულჩინარა. საღამო ხანს ვაშლის ძირში ვზივარ. ვკითხულობ წიგნს ჩვენი ქვეყნის მეურნეობაზე. დედინაცვალი ღიმილით მიახლოვდება და წერილს მაძლევს.

„თქვენ ვერ გაიგეთ ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება. თქვენ ხომ ერთ დროს დედაჩემი გიყვარდათ... ოცდაათში ჩემი ქორწილია, გთხოვთ, მამის მაგივრობა გამიწიოთ. გულჩინარა“.

ვდგები და საჩქაროდ გავრბივარ სადგურისაკენ. დედინაცვალი მომდევს და ტირის. ვაიმედებ დედაბერს: დეპეშა მივიღე, სამსახურში მიხმობენ, მალე ისევ ჩამოვალ-მეთქი...

ᲛᲝᲠᲔᲣᲚ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲖᲔ

დილიდანვე სადგურში გროვდებოდნენ მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცები. ზოგს ხელი ჰქონდა შეხვეული, ზოგს ფეხი, ზოგს თავ-ყური შეეფუთნა ბამბითა და თეთრი ბანდით შეეკრა მაგრად. უმეტესობა იმ დღეს გამოწერილიყო მახლობელი ქალაქის ჰოსპიტლიდან.

ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველი კუთხის შვილნი შემოკრებილიყვნენ ამ პატარა შორეულ სადგურში. სკამლოგინი აღარ ჰყოფნიდათ, ფეხზე იდგნენ.

შემოდგომა მიწურულიყო. საშინელი ქარაშოტი ქროდა გარეთ, ხეებიდან გლეჯდა ფოთლებს და ჰაერში აფორიაქებდა. სადგურის თუნუქის სახურავს ახმაურებდა, მილებში ჩასწიოდა. არ ისვენებდა, გააფთრებული დაქროდა ვრცელ ტრამალზე.

სადგურს ხეივანი ეკვროდა, შემდეგ თვალუწვდენი ტრიალი მინდვრები გადაჭიმულიყო.

ყოველ საათში ემატებოდნენ დარბაზს ჯარისკაცები. იატაკზე ყრიდნენ ჩანთებს და იქვე სხდებოდნენ.

ნახევრად ბნელ კუთხეში ჯარისკაცების ერთი ჯგუფი შექუჩებულიყო და საუზმობდა. ისინი მდინარე ვოლგის ნაპირების მცხოვრებნი იყვნენ, არაყს სთავაზობდნენ ერთმანეთს და რომელიღაც ხალხურ ვოლგისპირულ სიმღერას მღეროდნენ.

შუაღამე გადასულიყო. ყველას ეძინებოდა. ზოგნი ერთმანეთზე მიჯრით მსხდომნი მუხლებში თავჩარგულნი უკვე ხვრინავდნენ. შემოსავალთან კედელზე მიდგმულ სკამლოგინზე ერთი შუახნის შავგვრემანი ჯარისკაცი იჯდა მარტოდ. მუხლს ქვევით მარცხენა ფეხი არ ჰქონდა. ქართველი იყო, სიმონ ლოლაძე. სანდომიანი სახე ჰქონდა, საფეთქელთან ოდნავ შეევრცხლოდა თმა.

სიმონი მძიმე ფიქრს შეეპყრო, გული ეთანაღრებოდა:

დიდი ხნის უნახავ საქართველოში სურდა დაბრუნება. ცოლ-შვილთან შერიგება ენატრებოდა. „თხუთმეტი წელი ცოტა როდია,—ფიქრობდა იგი,—ჩემი ნოდარი ახლა ალბათ ფრონტზე იქნება!“

სიმონმა არ იცოდა, სად იყო მისი ვაჟი, რომელ ფრონტზე ებრძოდა მტერს. იქნებ კიდეც შეხვდა სადმე ჯარში, მაგრამ არ იცნობს შვილს. „სამი წლის იყო მაშინ... არა,—გამოითვალა სიმონმა,—ოთხ წელს ცოტა აკლდა“. ნოდარიც არ იცნობს მამას. ახლა მაინც რად მოენატრა ასე შვილის ნახვა? გული აუჩუყდა. ახლა ცისმარეც ისე ახალგაზრდა წარმოიდგინა სიმონმა, როგორიც დატოვა თხუთმეტი წლის წინათ. რაც იგი ფრიდას, მოცეკვავე რუს ქალიშვილს წაჰყვა მოსკოვში. ახალგაზრდა იყო მაშინ სიმონი. უზომოდ უყვარდა ცეკვა. ამან მოხიბლა და ოჯახი მიატოვებინა.

დიდხანს ცეკვავდა სიმონი ცეკვის საღამოებზე ფრიდასთან ერთად, მაგრამ გავიდა დრო და ნელ-ნელა ბეზრდებოდა ცეკვა, ბოლო ხანებში ფრიდა მარტო დადიოდა ცეკვის საღამოებზე. სიმონი სინანულით იყურებოდა საქართველოსკენ, მძაფრად იღვიძებდა მის გრძნობებში მამის ოჯახში დაბრუნების სურვილი, ოჯახური სითბო, ცისმარე. აი, ის ცაცხვის ხე, ის კუნძი, სადაც ცისმარე იჯდა სიმონის წასვლის წინ, შავი ნაწნავები მკერდზე გადმოეწყო და პაწია ბიჭუნა გულში ჩაეკრა. ცრემლები ღაწვებზე ჩამოღვროდა ცისმარეს. ჩამავალი მზე მწუხარედ იხედებოდა მის ფართოდ გახელილ თვალებში, მიმავალი სიმონის ზურგს რომ მისჩერებოდა. ჭიშკრიდან რომ მოიხედა სიმონმა უკანასკნელად, ეს სურათი ჩარჩა ხსოვნაში. თხუთმეტი წლის შემდეგ ისევ გაცოცხლდა ეს სურათი სიმონ ლოლაძის ხსოვნაში. იგი კიდევ უფრო შორს წავიდა თავისი მოგონებებით. ცისმარე უფრო პატარა წამოდგა მის წინ, თორმეტი წლის, ფეხშიშველა, შავთვალწარბა გოგონა. ფარვანასავით ეტრფოდა იგი სინათლეს. ზაფხულის ლიბრ ღამეში დასდევდა ციცინათელებს. არასოდეს მზის ამოსვლას მძინარე არ შეხვდებოდა. მთელი დღე დობილოში ხბოებს აძოვებდა, ანაბანას იზეპირებდა. გავიდა დრო, სასწავლებელი დაამთავრა ცისმარემ, დავაჟკაცდა სიმონი.

შერე სიმონი ცისმარეზე დაქორწინდა... და შემდეგ მოს-

კოვში გაატარა თხუთმეტი წელი ფრიდასთან. ახლა ფრიდა თანდათან შორდებოდა გულიდან. უკანასკნელ ხანებში ხშირად ფიქრობდა ლოლაძე საქართველოში დაბრუნებაზე, პირველ ცოლ-შვილზე. ამ დროს ომი დაიწყო. ომის პირველ დღიდანვე სიმონ ლოლაძე ფრონტზე წავიდა. ვაჟკაცურად იბრძოდა სამშობლოს დასაცავად.

ჰოსპიტალში ყოფნის დროს სიმონს უზომოდ მოენატრა საქართველო, იმერეთის მომხიბლავი მიდამოები, თავისი ეზო და ის ცაცხვის ხე, რომლის ჩრდილში დატოვა ცისმარე. ახლაც, ამ შორეულ სადგურზე მყოფს, საქართველოსაკენ მიუწევს გული. ტკბილად აგონდება ცისმარესთან გატარებული დღეები; მაშინ პატარა ნოდარი, ახლა ცხრამეტი წლის ვაჟკაცი იქნება, მაგრამ თხუთმეტი წელი ჩატეხილი ხიდივით ძევს სიმონსა და მის ოჯახს შორის. შეუნდობს ცისმარე? ნოდარი მიიღებს მამას?

ეს კითხვები აწვალებს სიმონს. საკვირველია, რამდენი მიძინებული გრძნობა, გამოაღვიძა სამამულო ომმა. სხვა პირობებში შეიძლება ამდენი არ ეფიქრა სიმონს საქართველოში დაბრუნებაზე. ახლა შვილის ამბავი უწიწკნიდა გულს. უნდა გაიგოს—სადაა მისი ვაჟკაცი, რომელ ფრონტზე ებრძვის მტერს? ან რას ფიქრობენ სიმონზე ნათესავები? დეე, გაიგოს, ყველამ, რომ მან წმიდად მოიხადა სამშობლოს ვალი!

ფიქრებში წასული სიმონი ორ მატარებელს ელოდება — თბილისს მიმავალს და მოსკოვს მიმავალსაც. ვერ გადაუწყვეტია, რომელს გაჰყვეს. ან ფრიდას რად უნდა ახლა სიმონი და ან ცისმარეს. მაგრამ სიმონს მაინც ჰგონია, ცისმარე აპატიებს დანაშაულს... გარეთ ისევ ქრის ქარი და ხმაურობს თუნუქის სახურავი.

დარბაზში მთვლემარე კატის თვალებივით ბჟუტავდა ფარნები.

სიმღერა მიწყდა. ჯარისკაცებს ძილი დაეუფლა. სადგურის უკანა კარებთან ავტომანქანამ დაიგუგუნა. დარბაზში ახალგაზრდა ლეიტენანტი შემოვიდა. მკერდზე მედალი უბრწყინავდა. მარცხენა ხელი თაბაშირში ჰქონდა და თეთრი ბანდით გულზე ეკიდა. ახალგაზრდა ლეიტენანტი მაინც მხიარულად გამოიყურებოდა. მაღალსა და მხრებგაშლილს, შავგვრემანი

სახე და მოცინარი თვალები ჰქონდა. კარებში ვიღაცას გაესაუბრა. მერე კუთხეში ჩამომსხდართ გადასძახა:

— კრავჩენკო, კოტოლოვ!

ეს ბიჭები მისი თანამებრძოლნი უნდა ყოფილიყვნენ, მძინარე ჯარისკაცებს გადმოაბიჯეს და ლეიტენანტს გადაეხვივნენ.

შუა დარბაზში ვიღაც ბრგე ჯარისკაცი ყვინთავდა. გაიგონა თუ არა ნაცნობი ხმა, გამოცოცხლდა და ახალშემოსულს შესძახა:

— ლეიტენანტო, ძმაო...

ლეიტენანტმა იქით მიიხედა. იცნო მისი ნაწილის სერჟანტი ოლენკო. გაუხარდა. ოლენკო მოსული ვაჟკაცი იყო, ლონიერი, ბრძოლის კარგი ოსტატი. გაახსენდა ლეიტენანტს მისი გმირული ბრძოლა ფრონტზე. ოლენკო ფეხში იყო დაჭრილი.

— ამხანაგო ოლენკო, შინისკენ აპირებ, არა? — ჰკითხა მისალმების შემდეგ მოსულმა.

— თუ ცოლმა არ გამომაგდო,—გადაიხარხარა ოლენკომ და მერე სერიოზულად თქვა: — ჩემი ცოლი პატრიოტი ქალია, ამხანაგო ლეიტენანტო. ჰოსპიტალში ყოფნის დროს წერილი მივიღე. მწერდა, პარტიზანი გაეხდიო, სიკვდილამდე შენად მიგულეო, ოღონდ გამარჯვებული დამიბრუნდი და ფეხმა შენი ჭირი წაიღოსო. და აი, ვბრუნდები. ჩვენი ჯარები ამხანაგო ლეიტენანტო, ყოველდღე მიერეკებიან მტერს, ჩვენი მიწა თავისუფლდება... თქვენ საით აპირებთ?—ჰკითხა ბოლოს ოლენკომ და თაბაშირში ჩადებულ მკლავზე შეხედა.

— საქართველოში მივდივარ დედასთან. მკლავი დამიზიანდა. გავჯანსაღდები და მერე ისევ ფრონტზე დავბრუნდები.

— კარგია!—გაიღიმა ოლენკომ.

ლეიტენანტს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა ოლენკოსათვის, მაგრამ მახლობელი სკამლოგინიდან ქართული სიტყვა შემოესმა. „ოხ, დედა!“

ეს ხმა სიმონ ლოლაძის ამონაკვნესი იყო. ლეიტენანტმა ოლენკოსთან საუბარი შეწყვიტა. მიუახლოვდა უცნობ ქართველს, იქვე ჩამოჯდა და დაყვავებით ჰკითხა:

— რა გაწუხებს, ბიძია, მოკვეთილი ფეხი ხომ არ გტკივა? იქნებ შინიდან მიიღე ცუდი ამბავი?

სიმონმა ცხვირსახოცით თვალები მოიწმინდა, ყავარჯენზე დაებჯინა, იატაკზე ფეხმორთხმულ ჯარისკაცს გადასწვდა და პაპიროსს მოუკიდა. შემდეგ მოსაუბრეს ჩააშტერდა თვალებში. მოაგონდა თავისი ბიჭის თვალები.

— დიდი ხანია ქართული სიტყვა არ მსმენია, მეამა, რომ შეგხვდი... რა გვარი ხარ?

— ლოლაძე გახლავარ.

— სახელი?

— ნოდარი.

— ლოლაძეებს ვიცნობ, მამაშენი რა კაცია?

— არ ვიცი... მამა არ მახსოვს.

— ადრე გარდაიცვალა?!

— არა... შეიძლება ცოცხალია.

სიმონი დაფიქრდა, გულში რაღაც ტკივილი იგრძნო.

— მაშ, მიგატოვა?!—მღელვარებით და ჩურჩულით წარმოთქვა სიმონმა.

— მგონი აგრეა...

სიმონს ნაძალადევად გაეღიმა.

— ცოცხალი რომ იყოს და შინ დაბრუნდეს, არ მიიღებ?

— არასოდეს!—ჟწყრალად წამოიძახა ნოდარმა, — მამა, რომელიც უსუსურ შვილს მიატოვებს, რა მამაა იგი.

— ჰო, მართალი ხარ!—ჩაიბუტბუტა სიმონმა თავისთვის და უიმედოდ ჩაჰკიდა თავი. თხუთმეტი წელი ისევ ჩატეხილი ხიდივით გაიშალა მის წინ.

დუმდა სიმონი. შორს გაფრენილიყო იგი ოცნებით, ცისმარეს შესაქეროდა სათნო თვალებში. „ნეტა ცისმარე რომ იყოს ახლა აქ, რას იტყოდა? ცისმარე უთუოდ აპატიებდა დანაშაულს. ცისმარე ალერსით გაათბობდა შვილსა და დაკარგულ მეუღლეს“.

გაქვავებული იჯდა სიმონი. იატაკზე დაბჯენილ ცალ ფეხს დასაქეროდა. გვერდით ყავარჯენი ედო.

ნოდარმა თაბაშირში ჩადებული მკლავი გაისწორა და სკამლოგინს მიაწვა ზურგით.

— ძალიან გამახარე, ბიძია, ამდენ ჯარისკაცებში ფასკუნ-

ჯის კვერცხივით რომ გამოერიე ერთი ქართველი და ქართული სიტყვა გამაგონე. ეს ბიჭები მოსკოვის მატარებელს გაჰყვებიან. კარგები არიან, ძმებივით მიყვარს ყველანი, მაგრამ ქართული სიტყვა სხვანაირად ემსჭვალება გულს, ბიძია. მიხარია, როცა ქართველ მებრძოლს შევხვდები.

— საქართველოში მიდიხარ, არა?—ჰკითხა ნოდარმა.

— არა, ვერ წავალ... ჩემი შვილი...—ასლუკუნდა სიმონი.

ლეიტენანტი გააკვირვა სიმონის მოულოდნელმა ცრემლმა.

— რად ტირი, ბიძია, რა შეემთხვა შენს შვილს?

— ნუ მკითხავ!—ისეთი ხმით წამოიძახა სიმონმა, რომ ნოდარს შეებრალა.

— საქართველოში რატომ არ წამოხვალ?

— არავინ მყავს.

ნოდარი გაყუჩდა, ერთ ხანს ჩაფიქრდა და მერე დაბალი ხმით თქვა:

— ჩემთან წამოდი. ბიძია, სტუმრად. დედაჩემი კეთილი ქალია, სათნო და სტუმართმოყვარე. გადაგახალისებს მშობლიური მხარე.

— მერე, შენ მაძლევ სიტყვას, რომ დედაშენი შემირიგდება?

ნოდარი შეკრთა. ფეხზე წამოიჭრა, დაჭრილ ჯარისკაცს თვალებში ჩააშტერდა.

— თქვენ იცნობთ დედაჩემს?

— ვიცნობ,—ლუღლუღით თქვა სიმონმა, — იმ კეთილ ქალს ცისმარე ჰქვია.

ნოდარს თითქოს ალმური მოეკიდა, ჯარისკაცს მისწვდა მარჯვენა ხელით და მძაფრი ჩურჩულით უთხრა:

— ნუ გამაგიჟე, თქვი ჩქარა, ვინა ხარ?

სიმონს ნოდარის ხელის შეხება ეამა. არ შეშფოთებულა, მშვიდად ამოიღო სამხედრო ბილეთი უბიდან და ლეიტენანტს გაუწოდა.

სანამ ნოდარი სამხედრო ბილეთს ათვალიერებდა მბეჟუტავი ფარნის შუქზე, სიმონი იჯდა თავჩაღუნული. არც ცრემლი მოეპოვებოდა სიმონს და არც სიტყვა.

ნოდარმა სიმონის პროფილს გახედა, გულში მშობლიური

სახე შეეჭრა, მოაგონდა მამის სურათი, დედის სასთუმალთან რომ ეკიდა. სიმონი საგრძნობლად ჰგავდა იმ სურათს.

ნოდარს ხელი აუკანკალდა, გული აუთრთოლდა.

მამის თვალებიდან გამომკრთალი სითბო იგრძნო.

უეცრად რაღაც, ჯერ არგანცდილი გრძნობა დაეუფლა. ენდოდა, მოხვეოდა მამას, მაგრამ შეჩერდა. თითქო უკანიდან „ვილაცის“ ხელმა მოსწია. ეს „ვილაცა“ მამისაგან მიტოვებული ბავშვის შელახული გრძნობა იყო, რომელიც დღემდე არ შორდებოდა გულიდან. საბუთები უკანვე დაუბრუნა და მკაცრად შეტრიალდა.

— მე მამა არ მყავს...—წაიჩურჩულა სიმონის გასაგონად და ბაქანზე გავიდა. ცრემლი გადმოცვივდა ნოდარს. გული ამოუჯდა, უეცრად ბავშვივით აქვითინდა. ამ დროს სიბნელეში გაისმა ზარის წკარუნი. მალე სადგურში თბილისისაკენ მიმავალი მატარებელი უნდა ჩამომდგარიყო. ბაქანზე სადგურის უფროსი გამოვიდა. ხელში ფარანი ეჭირა. ნახევრად მძინარე დარბაზი ახმაურდა. უნდოდათ, თუ არ უნდოდათ, ყველა კარებს მიაწყდა.

ნოდარმა თვალები მოიწმინდა. ორმა გრძნობამ გაუელვა გულში: დატოვოს მამა თუ წაიყვანოს? ერთ-ერთი უნდა გადაწყვიტოს. დრო აღარ ითმენს. ხელი ჩააქნია: „დგ, ნუ იქნება მამა... ქართველი მებრძოლია... ვალდებული ვარ!..“ ნოდარი მიტრიალდა, ბაქანი გაირბინა და დარბაზში შევარდა, მამასთან მიიჭრა:

— მამავ, წავიდეთ... ჩქარა წავიდეთ... თბილისის მატარებელი მოვიდა.

სიმონი არ იძვროდა, გაზტერებული იჯდა და უაზროდ დასცქეროდა ყავარჯენს.

ნოდარი მოეხვია მამას და ცალი ხელი წელზე მოავლო.

— მამავ, წავიდეთ! წავიდეთ, მამავ!..

ჯარისკაცი წამოდგა, ყავარჯენს დაებჯინა.

როცა ბაქანზე გავიდნენ, სიმონმა სიბნელეში წაიჩურჩულა: „შვილო, სიზმარია თუ ცხადი“.

განთიადი იღვიძებდა. თბილისში მიმავალი მატარებელი წასასვლელად ქშინავდა.

1944 წ.

დიახ, გიცანით

მინიატურა

„სოლეილ-დორ“ — მიყვარს ქარვასლის გვერდით გავლა და განსაკუთრებით ეს საყვავილე მაღაზია. ახირებული რაღაც აღიბეჭდება ხოლმე ადამიანის გულში და მერე აღარ მოგასვენებს მოგონებები.

ძვირფასი იყო ის წამი... ამიტომ მიყვარს ეს საყვავილე— „სოლეილ-დორ“. ხშირად მოვდივარ აქ. მაგონდება ის თვალები, ის ხელები, ის ყვავილი... გაზაფხული იყო მაშინ და ახლაც გაზაფხულია, აპრილი. მიყვარს აპრილი და თან მეჯავრება. ასე მგონია ყოველ აპრილს ავად ვარ. თითქმის მთელი ღამე ფიქრში გავატარე. ნაშუაღამევს ძლივს მიმეძინა. მამლის ყივილზე ისევ გამეღვიძა. წამოვდექი და ფანჯარა გამოვაღე. ოთახში გაზაფხულის სურნელება შემოიჭრა.

მზე ჯერ არ ჩანდა. სხივდაკრული ლაქვარდი ცისფერი ატლასივით ელავდა.

ნელი სიო ქროდა... შრიალებდნენ ფოთლები.

პირველად ვიგრძენი დღეს გაზაფხული. თვალი ქუჩას გავაყოლე, გამახსენდა საყვავილე—„სოლეილ-დორ“. მაჩაბლის ქუჩა გადავჭერი და სოლოლაკის ხეივანში გავედი. მეეზოვეები ქუჩებს ჰგვიდნენ, მსიამოვნებდა ცოცხის ჩხაკუნი ამ ალიონზე. საამო დილა იყო... როცა ქარვასლას ჩავუარე, თვალწინ ისევ მოგონებები წამოიშალა.

ის თვალები...

ის ხელები...

ის ყვავილი...

მინდა დავტკბე ამ დილის ოცნებით, მაგრამ ვიღაცის ძახილი მესმის:

— ნაზის, ა, ნაზის!

მოვიხედე.

— აა, ნაზის, ვერ მიცანი?

ვინ უნდა იყოს ეს მაღალი, გამხდარი კაცი?—ვფიქრობ და ვაკვირდები. თითქოს მეცნო. მაგრამ მხრებში რად მოხრილა? ულვაში წაბლისფერი ჰქონდა მაშინ, ახლა შეჭაღარავებია. განა რამდენმა წელმა განვლო მას შემდეგ? მაღალ შუბლზე რუხი ყაბალახი წაუკრავს, გახუნებული გალიფე აცვია. საცვეთებიც თითქოს შელახვია. თეთრი სახე, თხელი ცხვირი. შოლტივით წარბები და მსხვილი თვალები, წინათ რომ ვარსკვლავებს ჩრდილავდნენ, ახლა, თუთუნივით ჩამუქებულნი, ნაძალადევი ხალისით მიცქერიან ნახევრადმოხუჭული ქუთუთოებიდან.

— როგორ არ გიცანით, თავადო ალე, გიცანით, მაშ!

— მიცანი, ნაზის, მიცანი?

იღიმება ალე და ხელზე მკოცნის.

— ნუ სწუხდებით, ბატონო ალე, ჭირივით მძულს როცა ხელზე მკოცნიან.

— რა არის აქ ცუდი? ეგ ხომ უბრალო ზრდილობაა ნაზის?

ალემ ამაყად გადმომხედა.

— ზრდილობა, ჰო, ასე ვთქვათ, თუ გნებავთ, მაგრამ... გუშინ ერთი ნაცნობი დავინახე, პირდაპირ ლოკავდა ვილაც საეჭვო ქალის ხელს. რომ შემამჩნია, შერცხვა.

ვიტრინისაკენ ვიცქირები და შორიდან ვეუნოსავ ხავსიან ქოთნებში ჩარგული ყვავილების სურნელს.

ალე მეუბნება:

— რა დაგრჩენია, ქალო, ამ ვიტრინაში. წავიდეთ ბოტანიკურ ბაღში, გავიაროთ. იქ ყვავილებიც ბევრია და ჩიტებიც. რა ჯობს დილის ჰაერს.

— როგორც გენებოთ.

ეჰ, რად ამეკვიატა ეს კაცი ამ დილით? მე მარტოობა მინდოდა. ტყე, ფოთლები, ყვავილები მაშინ მიყვარს, როცა არავინ მიშლის მათ შეტკბობას. ეს კი, ეს ნაკაცარი, რა ჯანდაბად მინდა?

შევედით ბაღში, გვირაბი გავიარეთ. მართლაც რა ჯობს გაზაფხულის დილას. ყვავილები გაშლილა, ხეები გაფურჩქნულა, ჩიტები ჭიკჭიკებენ.

ჩრდილში დავსხედით. ალე წუთით არ წყვეტს საუბარს.

— რა სწრაფად გამოიცვალა დრო. ხომ გახსოვს, ნაზის, ჩემი ახალგაზრდობა?

— გუშინდელ დღესავით. თითქოს ახლაც ვხედავ თქვენი წერწეტი წელის რხევას და ფეხების მსუბუქ სრიალს კოხტა აზიურებში. მახსოვს, თვალებზე ხელს ვიფარებდი და მალულად გიცქეროდით. უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მომწონდით. მაგრამ როდესაც თქვენ, ბატონო ალე, ხალხმა „ალაიაში“ გაგატარათ, მე ფანჯარასთან ვიჯექი და ჩემი დის თეთრ კატას ვეთამაშებოდი. პარმაღზე მედიკო და ფარსადანი ხარხარებდნენ,

— რა ამბავია?—გაკვირვებული ვკითხე ფარსადანს.

— ხალხმა ჯაშუშები გამორეკა.

— მერე?

— მერე გაჯორავენ და ბოიკოტს ახსნიან, ამნისტიას გამოუცხადებენ,—მკვახედ თქვა ფარსადანმა.

მედიკო ისევ მოჰყვა ხარხარს. ეს იყო 1905 წლის მიწურულში. მახსოვს, თეთრ ყაბალახს როგორ იფარებდით სახეზე. არ მესმის, ამის შემდეგ რაღა იყო თქვენი სიცოცხლე?

ალე მოწყდა.

— სისხლია ყველაფერში დამნაშავე, ნაზის!

სასაუბრო ძაფი გაწყდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ხეივანში ჩიტები ფრთხიალებდნენ, ყვავილებზე თეთრი პეპლები ფარფატებდნენ. ალე წამოდგა, ძლივს გაათრია ფეხები და როცა უკანასკნელად მოიხედა, მშვიდობითო, ამოილუღლუღა.

1923 წ.

ერთის ამბავი

— მაშ, თქვენ მწერალი ხართ?—ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მკითხა ხალამპრე ხევიძემ.—დიდად მოხარული ვარ, რამდენჯერ მინატრია: ნეტავ გამოჩნდეს ვინმე მადლიანი, რომ ჩემი ცხოვრების ტკბილ-მწარე ამბავი წიგნად დაწეროს-მეთქი. წიგნი ბევრი წამიკითხავს. გამიცვნია და შემიგნია ადამიანთა დაუსრულებელი ბორგვის ამბავი. მისწავლია .გლეხკაცის ისტორია, დიდებულ მეფეებზეც წამიკითხავს წიგ-ნი და ხშირად მიფიქრია, რა იქნებოდა, ჩემს ცხოვრებაზეც დაეწერა ვინმეს? მაშინ ათასი ჩემისთანა ჩემს მაგალითზე შეცდომის მონანიებას მაინც ისწავლიდა. ხომ გაგიგონიათ, შეუმცდარი ღმერთიც არ არისო.

თქვა ეს ხალამპრემ, ყალიონს მოუკიდა და ზღვამდე გაშ-ლილ ჩაის პლანტაციას გახედა.

— უნდა გითხრათ, ისე მიყვარს ეს ჩაის ბუჩქები, მგონია შვილები არიან ჩემი, ჩემი ნაშიერნი, ჩემი სისხლი და ხორცი. ახირებული ყოფილა უთვისტომო კაცის ცხოვრება. ან სულ უგულო გახდება, შეძაგდება ყველაფერი, ან სათაყვანებლად გაიხდის ერთ რასმეს და იმით სულდგმულობს. მე ორივე გა-მოვცადე. ბევრჯერ დავცემულვარ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გავსწორებულვარ წელში. ერთი ვარ ქვეყანაზე, ხალამპრე ხევიძე. პირველი ხუთწლედის დასაწყისში მოვედი აქ. თითო-ეული ბუჩქი სიყვარულითა და ალერსით გავზარდე, დამიფას-და შრომა. ბედნიერი ვარ, ბედნიერი, მე, უპარტიო კაცი, ორ-დენით დამაჯილდოვეს.

ხალამპრე სკამლოგინიდან წამოიწია.

— ხედავთ? ეს საპატიო ორდენი პატიოსანი შრომისათვის შეიღო ხალამპრე ხევიძემ. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ არ შიმეღო ეს ორდენი.

— მაგას რად ბრძანებთ?!—გაკვირვებით შევეკითხე. ცნო-ბისმოყვარეობამ შემიპყრო, მივიწიე და უფრო ახლოს ჩავ-

ხედე მოხუცს თვალებში. სამოცი წელი ამოფარებია ხალამპრეს თვალებს, გავიფიქრე. რაღაც დიდი საიდუმლოება უნდა სტანჯავდეს ამ კაცს-მეთქი.

ღამის ბინდი მოეფინა ლაისის შემოგარენს. ზღვის ნიავმა ჭადრის ფოთლები შეათამაშა. მივდიეარ ხეივანში, ნელ-ნელა ეშორდები ხალამპრეს პატარა, თეთრჯავარიან ოდას. ეზოში ვარდები დაურგავს ხალამპრეს. სახლის სვეტზე იასამანი აუყოლებია. ვჩერდები, მივიხედავ, ისე დგას ეს ოდა, თითქოს ვისმეს მოელისო. თითქოს ყველას გასაგონად ამბობს: სამოცი წლიდან ერთი ნახტომია სამარემდე, აახმაურეთ, ჩემო ბავშვებო, ეს მდუმარე სახლი და სული ჩაუდგიბ ოჯახს.

ასიოდე ნაბიჯს იქით, გაჩირაღდნებული კლუბის აივანზე, გოგო-ბიჭები შეჯგუფულან, ჩონგურს უკრავენ და მღერიან. ვარდომ თითები ეშხიანად ჩამოჰკრა სიმებს. ჯამლეთი, თვრამეტ-ცხრამეტი წლის ყმაწვილი, ვარდოსკენ გადაიხარა და ჩუმხიბლავი ხმით წამოიწყო:

შენ რომ ვარდი მითავაზე,
წიგნში ჩავდე ფაფუკად,
გოგოვ, შენი სილამაზე
გულში ჩამრჩა მას უკან.

ჯამლეთს ბიჭები აჰყვნენ და გაისმა მხიარული გუგუნი. ახლა გოგოებმა ჩამოართვეს სიტყვა და განაგრძეს:

მე იმ დილით ჩაის ვკრეფდი,
სიო ფოთოლს არხევდა,
ნეტა ერთხელ ჩემს ნაპირზე
კიდევ გამოგახედა.

აივნის მეორე კუთხეში ორი ახალგაზრდა ზის ჩაფიქრებული. ჭადრაკს თამაშობს. მესამე, შუახნის გლეხი, დაძაბული დასცქერის მოთამაშეებს. დაბლა, დიდი მუხის დაგრეხილ ფესვებზე, ხნეკაცები ჩამომსხდარან, ისვენებენ, თამბაქოს აბოლებენ და მასლაათობენ.

— თხუთმეტი-ოცი წელი რა არის იმისათვის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, — ხელების ფშვნეტით ამბობს ბესარიონი,—მაგალითად, ჩვენი მეურნეობა რა იყო წინათ?

— ეს ამბები მაქსიმეს უფრო კარგად ახსოვს,—სიტყვას

ართმევს ყარამანი და ჯირკვზე ჩამომჯდარ ბერიკაცს მიმართავს,—მოჰყევი, მაქსიმე, თუ კაცი ხარ, რავა იყო, მამუკა ნაკაიძის მამულში რომ ნავთი აღმოაჩინეთ?

— სანამ ნავთის ამბავს მივადგებოდე, კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი,—იღიმება მაქსიმე, — კარგა მოზრდილი ბიჭი ვიყავი, მამაჩემი რომ გარეულ ტახზე ნადირობდა ლაისში. მახსოვს, ერთხელ, ამ ტყეში გურიელის მოურავმა ირემიც მოკლა. აგერ ახლა იყო, ნატანებიდან ოზურგეთამდე ერთ კომლ კაცს ვერ ნახავდით. აქ გავლა გვეშინოდა. აი იქ ტყეს რომ ხედავთ, იქ ძველთაგან ფირალები ბუდობდნენ. რამდენჯერ გადავყრივარ ნიკოლოზ მეხუზლასაც და სისონა დარჩიასაც.

— სისონა დარჩიაზე რომ წერენ, ბიძია მაქსიმე, მართალია?—ეკითხება ერთი ახალგაზრდა, რომელიც მომღერლებს გამოეთიშა და ხნიერებთან მოვიდა.

— სისონაი? ცეცხლი იყო სწორედ, ნამდვილი ცეცხლი. ძმა მოუკლეს, მთელ მილეთში შევიდა და იტირა. ამაზე ლექსიც კი გამოუთქვა ხალხმა. ტარიელა დათუნაშვილიც არ იყო სისონაზე ნაკლები ვაჟკაცი, მაგრამ ვერ გაითქვა სახელი. ადრე მოკლეს. ნათლიდედამ უღალატა. ხალხი სწყევლიდა მის მირონს. ჰოდა, იმას ვამბობდი, ეს ფირალები სოფელს არაფერს არ უშავებდნენ, ვაჭრებს ემტერებოდნენ. ნატანებიდან წამოსულ ეტლს უთუოდ მერიაში გაძარცვავდნენ. ვინც შეხვდებოდათ იმ დროს ღარიბი, ყველას უნაწილებდნენ ნაძარცვს. ახლა ვინ დაიჯერებს ამას. შევეჩვიეთ, ბიძია, სინათლეს. მახსოვს, მერიაში საგვარეულო მიწის გაყოფაზე ქარცივაძეებმა თავ-პირი დაუხეთქეს ერთმანეთს. წყალმა წაიღო მათი თავი. ეს მიწა მილიონ კაცს გაახმობს. მიწა რა არის თავისთავად, მკლავის ძალაა საქმე. ჩაის ბუჩქებით რომ გადალიშხინდა ქვეყანა, ეგეც მკლავის ძალაა, ბიძია.

— ტრაქტორებს ნუ დაივიწყებ, მაქსიმე!—გაახსენა ყარამანმა.

— ტრაქტორიო? კომბაინიო? მერე რა, ისიც ხომ კაცმა მოიგონა. გუშინ რომ წეროს გუნდივით დაფრინავდნენ ჰაეროპლანები ჩვენს თავზე, იგი რაღაა, თუ არ მკლავის ძალა. დიახ, მკლავის ძალა, კაცის მოხერხება, თორემ... ეს მიწა, ბიძია, უხსოვარ დროიდან დევს აქ. მისი წინანდელი ბატონ-

პატრონები წლიდან წლამდე ტახტზე გორავდნენ. დღედაღამ იმაზე ოცნებობდნენ, როდის გამოჩნდებაო ვინმე ამერიკელი, ან ანგლიჩანი... ანგლიჩანებმა რომ ომფარეთში ბურღი დადგეს გურიელის მიწაზე, ნაკაშიძე და ქარცივაძე სიხარულით ცას ეწვივნენ. ეგონათ, ლაისშიც ამოხეთქდა ნავთი. ანგლიჩანების ოქრო უბრმავებდა თვალს უქნარა თავად-აზნაურობას. მამუკი ნაკაიძეს, გაღატაკებულ აზნაურს, სულ რაღაც ხუთი ქცევა მიწა ჰქონდა, აგერ, ფერდობი რომ მოჩანს, იქ. სიზმარშიაც ნავთი აბოდებდა საცოდავს. ხუმარა კაცი იყო ცხონებული ბიძაჩემი — გოგია კიკვიძე. ჩავიდა ნატანების სადგურზე, მატარებლის ბორბლებიდან მაზუთი ჩამორეცხა, მიიტანა და ამოღრუეებული მუხის ქვეშ მოანიავა. მეორე დღეს უთენიას მიიჭრა ნაკაიძისას. ბატონო მამუკი, მაყარიჩი ჩამოდით, ხმელი მუხის ძირში ნავთი აღმოვაჩინეო. სიხარულით თავბრუდახვეულ მამუკი ნაკაიძეს შარვლის ჩაცმაც დაავიწყდა, პირდაპირ გაუყარა ხელი ახალუხში და ტყვიასავით გაქანდა ტყისკენ. მივიდა ძირმომპალ მუხასთან და რას ხედავს? მიწას მაზუთის სუნი ასდის. დაჰკრა მამუკიმ ბარი და მაზუთი უფრო ღრმად წავიდა მიწაში. კიდევ დაჰკრა და გაჟღენთილი მიწა ამოჰყვა ბარს. აღარ დაფიქრებულა მამუკი, საჩქაროდ მიბრუნდა შინ. ეზოში რომ შევიდა, გაოცებულმა ცოლმა მიაძახა:

— დამიდგეს თვალები, სად ყოფილხარ, ბატონო, ასე შიშველი?!

დაიხედა მამუკიმ ტანზე და სირცხვილით დაიწვა, მაგრამ არ შეიმჩნია და სიცილით უპასუხა: რომ იცოდე, დედაკაცო, სად ვიყავი, სიხარულით ნიფხავსაც გამხდიო. მესამე დღეს მამუკის თავის ცხენზე ინჟინერი შეესვა, თვითონ ოფლში გაწურული ქვეითად მოსდევდა.

სამი დღე უტრიალეს მუხას. ბოლოს მიხვდა ინჟინერი, აქ რაღაც მამაძაღლობა არისო და წავიდა.

ასე გააპამპულა იმ ცხონებულმა ბიძაჩემმა მამუკი ნაკაიძე.

დიდხანს საუბრობდნენ. ზაფხულის მთვარიან ღამეს ვერ ელეოდნენ ლაისის მცხოვრებნი. ჯერ ბალღები გაკრიფეს დედებმა დასაძინებლად, მერე სიმღერაც მიწყდა და ახალგაზრ-

დები დაიშალნენ. უფრო გვიან ხნიერები წამოდგნენ. განა შეიძლება ამ მშვენიერ ღამეს თვალი მოხუჭოს ადამიანმა?

— დაიცადეთ, ხალხო, ცოტა,—ვეხვეწები ყარამანს და მაქსიმეს,—ძილს ყოველთვის მოვესწრებით. სანამ ცოცხალი ვარ. დავტკბეთ ბუნების სიმშვენიერით. რა დროს ძილია.

თქვენ რომ დაგიჯეროთ,—სიცილით მეუბნება ყარამანი,—ხვალ ვინ იმუშავებს ჩვენ მაგიერ?

ჯერ გათენებულიც არ მგონია და ხალამპრე ხევიძე ზარს აწკარუნებს,—ოხუნჯობს მაქსიმე.

უეცრად წარმომიდგა ხალამპრე ხევიძის სევდიანი თვალები. უკმაყოფილოდ შეეხედე მაქსიმეს და ვუთხარი:

— თავის ადგილას ხუმრობაც კარგი საქმეა. მაგრამ არ შეგიძლიათ ხევიძის შესახებ მართლა მიამბოთ რამე?

— ხალამპრეს რა უჭირს, ბედნიერი კაცია, ორდენი მიიღო,—თქვა მაქსიმემ.—ორდენი მკვდარსაც დაშვენდება, თვარა ცოცხალს დიდებით ამკობს.

— მართალია, ორდენი ყველა ჩვენგანს უნდა,—წარმოთქვა ყარამანმა,—მაგრამ ყველა ვერ შეძლებს მის მიღებას. ხევიძეს დიდი შრომა მიუძღვის ჩვენს მეურნეობაში. იგი უზომოდ ერთგულია თავისი საქმისა, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც ახირებული ხასიათი დასჩემდა, საათობით დგას ჩაფიქრებული.

— ვერ ჰკითხეთ, რატომ?

— უნებლიეთ გამაშტერებსო რაღაც. მე კი მგონია მოხუცდა, მოტყდა და მარტოობა სტანჯავს საცოდავს. ასე სცოდნია სიბერეს.

ამ ლაპარაკით ჩავუარეთ ხალამპრეს ოდას. ის ისევ ჩვენი ჭადრის ქვეშ იწვა.

მეორე დღეს გავეშურე ხევიძესთან. ხალამპრე გახარებული მომეგება.

— გადავწყვიტე აღარ დაგიმალოთ, რაც ჩემს მეტმა არავინ იცის. ძლიერ ვიტანჯები, ქალბატონო, სიკვდილი შიახლოვდება. კი მინდა ცოტა განზე გადგეს ის ოხერი, მაგრამ თუმცა სულ ერთია, რა დღეს მოვმკვდარვარ, რა ხვალ. დახუჭავ თვალს და არაფერი. გინდ სამოცი წელი გიცხოვრია და გინდ სამოცი წამი.

ხალამპრე მოიღუშა, მერე უცებ წამოიწია და აკანკალებული ხელი გულთან მიიტანა; ფრთხილად მოიხსნა ორდენი და მოწიწებით დადო ჩემ წინ.

— კარგი იქნება, ეს ძვირფასი ჯილდო მიიღოს ფარსადან ნარსანიძემ, ან არავინ.

ჩაცვენილი თვალები კიდევ უფრო ჩაუღრმავდა. გავოცდი, ვერ გავიგე, რას ამბობდა.

— ვინ ნარსანიძეა, რას ამბობთ?!—ჩავეკითხე გაკვირვებული.

— დიახ, ნარსანიძე, ქალბატონო. ნარსანიძე... რაღა დაგიმალოთ, ცოდვა გამხელილი ჯობსო, იტყვიან, მით უმეტეს, როცა სამარის პირზე მიდგას ფეხი. ახლა არ მეშინია, თუნდაც დამსაჯონ, ოღონდ ორდენი დარჩეს ჩემს გვარს—ნარსანიძეს. ოჰ, გული... გული...—წამოიძახა უეცრად ხალამპრემ. მერე ჩუმი ხმით განაგრძო:—გულია ყველაფერში დამნაშავე, გული ზღვის ტალღას ჰგავს, ხან ერთ კლდეზე მიახეთქებს ადაშიანს და ხან მეორეზე, ხან სულ გაინაპირებს... არასოდეს ასე არ მომნატრებია იმერეთი. როცა ფიქრებში ჩამეძინება, თითქო მატარებელი მიმაფრენდა. გავივლი რიონს, რამდენიმეჯერ კიდევ იკივლებს მატარებელი და გამოჩნდება სადგური ზესტაფონი მაღალი გორაკებით, მწვანე კორდებით და მაღალი ოდებით. რომ იცოდეთ, როგორ მიხარია! მინდა ჩქარა ჩამოვხტე, გადავეხვიო ყველაფერს—ხეს, ბუჩქს, მიწას. ცას, ქარს და... „შრრრ...“ გაჩერდება მატარებელი. გამეღვიძება.

ხალამპრეს უნებლიეთ გადმოსცვივდა ცრემლი, შერცხვა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და თვალზე მიიფარა.

— იცით, თხუთმეტი წელია, იმერეთს აღარ გავკარებივარ. უკანასკნელად ზესტაფონში ვმუშაობდი რკინიგზის მუშად. წიგნის კითხვა ბავშვობიდანვე მიყვარდა. რევოლუციური დამსახურებაც მიმიძღვოდა საკმაო. (ამაზე შემდეგ ვისაუბროთ, თუ შეიძლება, ჯერ ჩემი უბედურების ამბავს დავათავებ) დამაწინაურეს, მაგრამ, რომ იტყვიან, არა შეჯდა მწყერი ხესაო, ისე დამემართა. ახალი მეგობრები მომიმრავლდნენ... თავმომწონე, დარდიმანდი გავხდი. გულკეთილობამ ხელი ფართოდ გამაშლევინა.—აქ ოდნავ ჩაიღიმა ხევიძემ და ულვაშის კვნეტით წარმოთქვა,—არ გეწყინოთ და ცოტა ქალე-

ბიც არიან დამნაშავენი ჩემს უბედურებაში... ჰოდა, ერთ სკვარამ დღეს დამარტყეს რევიზია. რაღა მექნა, დავტოვე ზესტაფონი. არც ცოლისთვის გამიმხელია ჩემი დაღუპვის მიზეზი და არც ნათესავ-მოკეთისათვის. სადგურის ბაქანზე საჩქაროდ დავწერე ღია ბარათი: „ძვირფასო ასინეთ, ჩემო ტკბილო მეუღლევ, შენ მაინც ნუ გამკიცხავ, ნუ აყვები სოფლის ხმას, რაც მთავარია, ნუ იდარდებ ჩემზე". და საჩქაროდ გავეშურე აჭარისკენ. ცოტა ფული გამაჩნდა. გული მეუბნებოდა: „წადი, გაეცალე აქაურობას, ქვეყანა ფართოა. საზღვარიც ყურთან გაქვს". მაშინ კონტრაბანდისტები კიდევ ახერხებდნენ საზღვარზე გაძრომას. მოვნახე ერთი მათგანი და გზის ფული წინასწარ ჩავუთვალე. ერთი თვე ღამურასავით უნდა მეცხოვრა, სხვა გზა არ იყო. წვერი მოვუშვი, სამაგიეროდ, თმა მოვიპარსე. ტანისამოსი გამოვიცვალე. ჯიბეში პასპორტი მედო და ის მტანჯავდა. პასპორტი ფარსადან ნარსანიძეს ეკუთვნოდა. მე ხომ ფარსადანი აღარა ვარ? რა კარგი იქნებოდა ადამიანიც ჩიტივით არსება იყოს. არ სჭირდებოდეს ვინაობის საბუთი—ხევიძეა თუ ნარსანიძე, პეტრეა თუ პავლე. მაგრამ რა გაეწყობა, ყველაფერს თავისი წესი აქვს ამ წუთისოფელში. ამოსდებ ცხენს ლაგამს და სახელსაც დაარქმევ „ყირიმულია" თუ „არაბული". ასე ყოფილა ადამიანის ცხოვრებაც

ერთი კვირა წინ მქონდა, სანამ საზღვარზე გადავიდოდი. დავფიქრდი, რა უნდა მექნა მერე? გერმანული მე არ ვიცოდი და ფრანგული. თათრულისაც არაფერი გამეგებოდა. მე რომ გავრბივარ, რა მიმაქვს? — ვფიქრობდი. — ეშმაკს არ სძინავს, ეგებ საზღვარზე რაიმე ხიფათი შემემთხვეს, მაშინ რა მეწყერს მივცე თავი?..

დავდივარ გაოგნებული. თავზე ჭუჭყიანი ქეჩის ქუდი მაქვს ჩამოფხატული. ისეთ გონებაზე ვარ, არაფერ სიავეს არ ღავზოგავ, ოღონდ ვინმე ოხერის პასპორტი ჩამაგდებინა ხელში. მაშინ ხომ პასპორტში სურათს არ აკრავდნენ, მარტო წლოვანებას ამოწმებდნენ... ზაფხულია, პაპანება. საბარგო სადგურის უკან ჩავიარე. ვხედავ, ვიღაც საცოდავი კაცი გდია გზის პირას და კვნესის.

— რა დაგემართა, რა მოგივიდა, ძმობილო?—მივუახლოვ-

დი და ჩავეკითხე. მუცელში რაღაც შემომაფრინდა და ვკვდებიო,—მითხრა,—მადლის გულისთვის, შინ მიმიყვანეო. მართლაც, სახე საშინლად ჩალურჯებოდა იმ ბედშავს. შევუდექ მხარში. ვინ იცის, კაცნი ვართ, ადამიანი, იქნებ მეც შემემთხვეს ასეთი გაჭირვება-მეთქი. გავიარეთ ორი პატარა მოსახვევი და ერთ ფიცრულ ქოხში შევედით, რომელიც ბოსელს უფრო ჰგავდა.

— დიდი ხანია აქ ცხოვრობ?—ვკითხე.

— რამდენიმე დღეა.

— არავინ გყავს შენიანი?

— არავინ ქვეყანაზე. მიშველეთ რამე, მიშველეთ! — ამოიკვნესა და სულ ერთიანად გალურჯდა. ექიმის მოსაყვანად დავტრიალდი, მაგრამ ვერაფერი ვუშველე. უცებ გაყვითლდა და გადაჰკიდა თავი. მკვდარზე საზრუნავად სადღა მეცალა. თავში პასპორტი მიტრიალებდა. მივვარდი და გადავქექე მიცვალებულის ჯიბეები... ბედმა გამიღიმა. გადავფურცლე პასპორტი. „ხალამპრე ხევიძე“. ჩავიკითხე. „ორმოცდაორი წლისა“. სწორედ ჩემი ხნის აღმოჩნდა. „მშვიდობით, ძმაო, მშვიდობით განისვენე წიაღსა შინა აბრაამისასა, საცა მართალნი და კეთილნი განისვენებენ“, წავიჩურჩულე და გარეთ გამოვედი.

მესამე დღეს ჩავუარე იმ ქოხს. ათიოდე კაცი ფუსფუსებდა. ერთ მათგანს ვკითხე მიცვალებულის ვინაობა. რა ვიცი, ალაჰმა უწყის მისი თავიო,—მითხრა. გამეხარდა. არხეინად გავუდექი გზას. ფარსადან ნარსანიძის პასპორტი საჩქაროდ მივეცი ცეცხლს. ახლა ხალამპრე ხევიძე ვარ, ადამის ძე. გულმა სხვანაირად მირჩია. სხვის ქვეყანაში მუნჯურად თრევას არ მირჩევნია ჩემი ქვეყნის მიწა ვჭამო და ჩემი ქვეყნის მიწამ მჭამოს-მეთქი?—ვიფიქრე. გავხედე ამ მინდვრებს, ამ ცას და უმშვენიერესად მომეჩვენა ეს კუთხე, ეს ზღვის ნაპირი, რომელმაც მომანიჭა მეორე ცხოვრება, რომელმაც შთამბერა ახალი სული. მიყვარს ეს მხარე, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ზესტაფონი მაინც მირჩევნია.

ნამდვილ ხალამპრე ხევიძის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, დავწერე ასეთი წერილი და გავუგზავნე „მუშის“ რედაქციას. ინიციალით „მ“. „პატივცემულო რედაქტორო,

გთხოვთ. ჰირისუფლების საყურადღებოდ გამოაცხადოთ შემდეგი: ამ ერთი თვის წინათ 12 ივლისს, ბათუმში, ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ სახლში ხოლერით გარდაიცვალა ვიღაც ფარსადან ნარსანიძე. ვინაიდან მიცვალებულს პატრონი არ აღმოუჩნდა, ის კეთილმა ადამიანებმა მიაბარეს მიწას".

წარმოგიდგენიათ, ქალბატონო, რა განგაშს ასტეხდა საწყალი ასინეთი? მიცვალებულის ამოთხრასაც - მოინდომებდა მიწიდან, მაგრამ ხოლერის გაგონება ტვინს აურევდა შიშით. ერთს კარგა მოიტირებდა და შავებში გაეხვეოდა.

ხალამპრემ მძიმედ ამოიხვნეშა და ტკივილისაგან მოიკუნტა.

— დავიღალე,—თქვა. ოდნავი ცახცახით,—არ შეიძლება, ხვალ განვაგრძოთ საუბარი?

შევპირდი, დილით მოვალ-მეთქი... რამდენიმე ნაბიჯით რომ დავშორდი, ნაღვლიანი სიმღერა შემომესმა:

ზეს-ტა-ფო-ნო,

ზეს-ტა-ფო-ნო,

გიკვდები...

დილით, სანამ ხევიძესთან მივიდოდი, კლუბის წინ ჩავიარე და გავვოცდი. სამგლოვიარო განცხადება გამოეკრათ:

„გარდაიცვალა მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, ორდენოსანი ხალამპრე ხევიძე".

მივიხედ-მოვიხედე, არავინ იყო, წავშალე „ხალამპრე ხევიძე" და ჩავწერე „ფარსადან ნარსანიძე". ქვევით მივაწერე „აცნობეთ ზესტაფონს".

შემდეგ აღარ ვიცი, ხალამპრე ხევიძე დაასაფლავეს, თუ ფარსადან ნარსანიძე. თუმცა ახლა სულ ერთია, ორივე მშობლიურმა მიწამ მიიბარა.

1927 წ.

ახალი მემკვიდრე

სატირული მოთხრობა

1

რკინიგზის სადგურის საბარგო დერეფანის გვერდით, კოფოზე შესკუპებული მეეტლეები რაღაცაზე ცხარობდნენ. უწმაწური სიტყვებით იგინებოდნენ. ერთმანეთს ლანძღავდნენ.

მგზავრები ჩემოდნებით, კალათებით, ბოსჩებით, ბარგიბარხანით, ფუსფუს-ვაი-ვაგლახით გადმოდიოდნენ კახეთის მატარებლიდან. ზოგი მათგანი ტრამვაისკენ მიეშურებოდა, ზოგიც ეტლს ათვალიერებდა. როდესაც მეეტლეების ლანძღვა-გინება და აურზაური მიწყდა, ხელიხელგაყრილი ქალ-ვაჟი სადგურის დარბაზიდან გამოვიდნენ, იქვე მდგარ ეტლს მიუახლოვდნენ. ახალგაზრდა მეეტლემ მათრახი შეათამაშა, მგზავრებს თვალი გაღაავლო და ქალს ჰკითხა:

— სად მიბრძანებთ, ქალბატონო?

— სასტუმროში,—უპასუხა ვაჟმა.

— გნებავთ საუკეთესო სასტუმრო, აქვე ახლოს. მყუდრო ოთახები, მასპინძელი—ნამდვილი ქართველია.

ახალგაზრდა მეეტლემ ისევ შეათამაშა მათრახი და შავი, ჯიშიანი ცხენები აჭიხვინდნენ, ფაფარი წამოიყარეს, ფლოქვები შემოჰკრეს ქვაფენილს და გაფრინდნენ. მეეტლე ყარაჩოხულად იქნევდა მათრახს. სადავეს ზომაზე მეტად სჭიმავდა და ცალ მხარეზე იხრებოდა. არ ვიცი, იქნებ მგზავრი ქალის თვალები სწვავდა ბამბის ქურქით გასქელებულ ზურგს, არ ვიცი, მაგრამ მოკლე გზა გაგრძელდა. ხუთი მოსახვევის მაგიერ ათ მოსახვევს მოუარეს და, აჰა! სასტუმრო „ინფორმაცია“—ორსართულიანი ძველებური შენობა. სპარსული სტილის ფანჯრები. სპარსული ჩუქურთმები, ღია აივნები. დახლართულ-გადაბლანდული ხის სვეტები. გრძელი და ბნელი

დერეფანი, დაბლა სართულში ვრცელი სასადილო სპარსული ნახატებით. ალბათ, ოდესღაც ვაჭარ-სპარსელს აუგია ეს სახლი საქართველოს ცის ქვეშ. იქნებ რომელიმე ქართველმა ქალმა მოხიბლა ის სპარსელი, ეშხით დაატყვევა, მიაჯაჭვა საქართველოს მიწას... თბილისის ამ ძველ კუთხეს, სადაც ახლა გიო დიდებულიძის ხელით დანომრილი ოთახები უმარილ-შეცხებული კაროჟნებივით იმზირებოდნენ.

სასადილოში, ყვითლად გალაქულ დახლს იქით მოჩანდა თაროზე გამწკრივებული ბრჭყვიალა ბოთლები, ქართული და ევროპული სასმელებით აწითლებული, კახურითა და ხვანჭკარით აყირმიზებული.

საანგარიშო მაგიდასთან იჯდა მოღიმარი გიო დიდებულიძე, რაღაცას წერდა, ანგარიშობდა...

თვრამეტი წლის ბიჭი მურზანკალა ეტლს შემოეგება. მეეტლეს ჩემოდანი ჩამოართვა და სტუმრებს სასადილოში შეუძღვა.

— აჰა, გნებავთ, დაბინავდეთ? ძალიან კარგი.

გიო დიდებულიძე წამოდგა, ზორბა ბეჭები გაისწორა, წელში გაიმართა, სტუმრებს გაუღიმა.

— თქვენი ვინაობა?

ვაუმა ჯიბეზე გაიკრა ხელი.

— ბარნაბ ბერიაშვილი, თავისუფალი პროფესიისა, ესეც ჩემი დანიშნული, ნონა კარბელი.

— მურზანკალა, წაიღე ჩემოდანი მე-16 ოთახში. მშვენიერი ოთახია, მყუდრო, მტკვარს დაჰყურებს. სწორედ ახალდანიშნულთათვისაა შესაფერისი,— მიაძახა გიომ ბნელ დერეფანში მიმავალ ქალ-ვაჟს. მერე შემობრუნდა თავის სტუმრებთან, მაგრამ მისი გული ბნელ დერეფანში დარჩა: ნონა კარბელთან...

ალაყაფთან კვლავ ჩამოდგა ეტლი. ვიღაც ორი ხნიერი სპარსელი ჩამოხტა ეტლიდან. ჩადრში გახვეული ქალები ჩამოსხეს.

II

სასტუმრო „ინფორმაციას“ აუარებელი ხალხი ეხვია: წამსვლელ-მომსვლელნი, თბილისელნი, პროვინციელნი ბუზებივით ირეოდნენ მის კარზე. უცხოელთა შორის განსაკუთ-

რებით აღმოსავლეთის მგზავრები ეტანებოდნენ სასტუმროს. მოსწონდათ იაფფასიანი ოთახები. თვეობით რჩებოდნენ, რაღაც საქმეებს ჩარხავდნენ... რაღაცას აწესრიგებდნენ. მეგობრული ნდობა-განდობა... ფარჩა-აბრეშუმი... სპირტი... არაყი... კონტრაბანდი... გიო დიდებულიძის ქვევრივით გული, უთვალავ საიდუმლო ამბებს იტევდა.

პატიოსანი მოხელის ტანისამოსით, ან პროვინციელი აზნაურის სახელით სასადილო დარბაზში ქურდები და ჯიბგირები ტრიალებდნენ. ხშირად შემოდიოდნენ ჯიბეცარიელი უმუშევარნიც, კუთხეში მიდგმულ მაგიდებს ათვალიერებდნენ, უცნობ-ნაცნობს თვალებში ჩახედავდნენ, ვინმე შემთვრალ ფულიანს აეტმასნებოდნენ და გაჩაღდებოდა ახალი სადღეგრძელო, ახალი მრავალჟამიერი, ქალების სიცილ-კისკისი. აქვე შემოდიოდნენ ზოგიერთი გაზეთების წვრილფეხა თანამშრომელნიც ქრონიკის შესაგროვებლად. პატარა რამეს დიდად ბერავდნენ. გაზეთებს ტყუილ-მართალით აჭრელებდნენ. ასეთი წვრილი ამბებით მუდამ სავსე იყო სასტუმრო „ინფორმაცია“. მოდიოდნენ პროვინციელები და გუდით მოჰქონდათ ჭორები:

„კახეთი აჯანყდა“.

„ხევსურებმა აბჯარი აისხეს“.

„სამეგრელოში საქონლის ჭირი გაჩნდა“.

„აშორდიას გააზნაურებულმა ბანძელმა ღაჟომიამ ცხენი შოიპარა“.

„სოფელ ომფარეთში ნავთმა ამოხეთქა“.

„დასავლეთ საქართველო ამერიკელებმა შეისყიდეს“.

და შიში... „დაღუპვის“ შიში დაძრწოდა საქართველოში. „დიდი რუსეთის ტონის მიმცემი — ჯადოსნური კამერტონი“.—ასე სწერდნენ ბარცხანა-ციხისძირზე „პოლიტიკური პატრიოტები“. ჭორების ფანტასტიკური აპარატი, რომელიც თვითეულ კონდუქტორის და ვატმანის გულში მომართულიყო, სასტუმრო „ინფორმაციის“ სალაროში ელაგა, რასაც თან მოჰყვებოდა ხოლმე რკინიგზაზე დანაყბედი, საბარგო ვაგონებში თვეობით ნათრევი და ნალაყბევი უწმაწური ანეგდოტები.

სასტუმროს პატრონი გიო დიდებულიძე გაზეთების თა-

ნამშრომლებთან თავს იწონებდა. თან თვალებით შესთხოვდა ყველას: ოღონდ ჩემზე ნურაფერს დასწერთ და აი, ერთიორი ბოთლი წითელი ღვინოც... ღმერთმა შეგარგოთო!

— აბა ერთი ცხელი მწვადი.. ბიჭო, მურზანკალა!—ბრძანებდა გიო და მყუდრო კუთხეში საანგარიშო მაგიდის გვერდით, შემოიტანდნენ ცხელ სუკს. წერწეტა ჭიქებში კახური ალივლივდებოდა. თეთრფაიფურის თეფშებზე წითელი ბოლოკი აყირმიზდებოდა.

და ორ ბოთლ ღვინოს კიდევ ორი მოჰყვებოდა. ორს — კიდევ ოთხი... მათ ერთი ან ორი მორიგე პოლიციელიც შემოესტუმრებოდათ. გაჩაღდებოდა ქეიფი. მაღლა სართულში კი სპარსელები აბოლებდნენ გრძელტარიან ქარვის ყალიონს.

ასე გაჰქონდა გიო დიდებულიძეს თავი: უწესობას მარილს მოაყრიდა და პურ-ღვინით დააშოშმინებდა.

გაზეთების თანამშრომლები მაინცდამაინც არაფერს ჰკარგავდნენ.

III

— ბიჭო, მურ-ზა-კა-ლა!.. შე ყურუმსაღო! სად დაძვრებიმეთქი? დატრიალდი ჩქარა: ღვინო, მწვადი, მწვანილი!

ჩვეულებისამებრ დასჭყივლა მურზანკალას გიო დიდებულიძემ და ულვაში გადაიგრიხა. წელზე ქამარი გაისწორა (უკაცრავად, ეს მოხდა ინგლისურ პიჯაკ ქვეშ), „ლალსტუკის“ და „მანეეტის“ გასწორებაც არ გამორჩა, შემდეგ შესაფერი მოქნილი სიტყვებით მიუბრუნდა დიდი ხნის მეგობრებს. ისინი საგაზეთო წერილს ასწორებდნენ, თან სუფრას უსხდნენ...

— ძმებო და მეგობრებო! სანამდის გვაქვს, ვჭამოთ, ვსვათ, ვიმხიარულოთ... ვიმხიარულოთ, რადგან ჩვენი მზე დღეს ანათებს,—ამბობს გიო,—ხვალ რა ვიცი, ვისთვის გაანათებს. რა ვიცი, რა მომელის?.. გუშინწინ აზნაური ვიყავი, ეუშინ პოლიციის მოხელე, დღეს მიკიტანი ვარ!.. ხვალ იქნებ ექიმბაში გავხდე ან კომისარი? ხე, ხე, ხე...

თებერვლის რევოლუცია მძიმე კომბალს ურახუნებდა თავში გიო დიდებულიძეს. გაქნილი მოხელის დაგეშილი ცხვირი წინასწარ გრძნობდა მოსალოდნელ ქარიშხალს. ამი-

ტომაც დღეს სხვა კილოთი ლაპარაკობდა: კომერსანტის ცილინდრს მიკიტნის სახელზე სცვლიდა, აზნაურის წოდებას მუშის ხარისხზე ახურდავებდა. დღეს მიკიტანი, გუშინ პოლიციელი, გუშინწინ აზნაური ხვალ კომისრის საპატიო სკამზე დასკუპებას ფიქრობდა და თავს იკატუნებდა:—მეც მუშა ვარ, ძმებო, მა რა ვარ! მეც ჩემი შრომით ვცხოვრობ. მეც მიხარია რევოლუცია. ხომ გახსოვთ, ათი წელი ვატარებდი „საფრთხობელებს“ ჯიბით. დალიეთ, თქვენი ჭირიმე!.. მოკვდეს გიო დიდებულიძე, მოკვდეს, თუ სხვებზე ნაკლები მებრძოლი იყოს. რა დამრჩენია სავალალო: ერთი საწყალი ცოლი მყავდა, და ისიც უდროოდ მომიკვდა.

აცრემლდა, აიფუყა გიო დიდებულიძე. თვალები ცხვირსახოცით აიწითლა და როცა მიცვალებული მეუღლის შესანდობარი — ჭიქა წითელი ღვინო პირისკენ წაიღო, გიოს ხუთივე ცოლი წარმოუდგა თვალწინ.

ზინა, სონა, ლენკა, ნონა და მანანა.

ნავახშმევს მხარზე მიწოლილ გიოს თავს ეხვევიან საყვარელი სახელები. წაბლისფერი, შავი და ცისფერი თვალები ერთმანეთში ირევიან. გიშრის ნაწნავები და ოქროს კულულები გაღეღილ გულზე ელამუნებიან. ბროწეულის, შინდის და ლალის ბაგეები სახეს ულოკავენ და... ო... რატომ არ არის გიო დიდებულიძე „ალაჰის“ ქვეშევრდომი? მაშინ ხომ სასტუმრო „ინფორმაცია“ უზარმაზარი ჰარამხანა იქნებოდა. გიო დიდებულიძის სამფლობელო: ლურჯი მონტევიდეო... პაწია კუნძული, რომელსაც აქვს საკუთარი მთვარე, ღამის ჩირაღდანი... და არა აქვს ნავსაყუდელი. მიდიან გემები შორს, სადღაც სილურჯეში. მიდიან გემები და, როგორც სიზმარი, შთაინთქმებიან ავერცხლილ ზვირთებში... და, გიო თვალებს მოიფშვნეტს. სტუმრებს ღვინო სწყურიათ.

— ეს ღმერთმა განუსვენოს... ჩემი ცოლი კეთილი დედაკაცი იყო. ღარიბი ხალხი ებრალებოდა. მათხოვრებს უმასპინძლდებოდა... მაგრამ, ჰეი, ძმებო, ამხანაგებო, მოქალაქენო! ნუ მოგიწყენიათ!—და გიო ხმას უდაბლებს:—კონტრრევოლუციონერები გარბიან. უნდა ვუშველოთ საქმეს დროზე... გაუმარჯოს ჩვენს ძმობას, მეგობრობას, გაუმარჯოს სიყვარულს.

ჭიქა ჭიქას მიუჭახუნეს, ტუჩი ტუჩს შეაწებეს. შეთვრნენ, აეინეღილდნენ. გიომ გოჭის თავს ყური ააგლიჯა და მეგობრებს შესთავაზა.

— წინათ ასე ამბობდნენ: ყური ყურთან, გული გულთანაო. ერთხელ თურმე კრიალოსანს მარცვლავდა სულთანი და ასე ფიქრობდა: ქართველ ხალხს ერთი გული აქვს, ერთი ყური და ერთი თვალიო. ახლა ზოგი ყური დაყრუვდა, ზოგი დაგრძელდა, თვალი აჭრელდა. გული... ხე... ხე...—გიო სავარძელზე გადაითხლაშა, მეგობრებს ხელი გადასდო და შემოსძახა:

დამისხი, დამალევინე... ეს ღვინო, ოხ-ერ-ტი-ა-ლი-ი...
ეგების წაღმა მობრუნდეს ჩვე-ნი... უკუღმა ტრიალი...

IV

ნაშუაღამევი იყო. გიო დიდებულიძე გულაღმა იწვა და კომისრობაზე ოცნებობდა. სასტუმრო „ინფორმაციაში“ სპარსელი მოვაჭრენი აღარ ჩანდნენ. ალბათ ისინი ახლა ბაქოს გზით გარბოდნენ თავიანთ ფარჩა-აბრეშუმით, ხალებით, ყალიონებით.

ჩვენი პროვინციელი ჩარჩებიც აღარ მოდიან. მოქეიფენი სადღაც გადაიკარგნენ, „ოფოფებიც“ გაიფანტნენ. ქურდები და ჯიბგირები ფანჯრებიდან იჭვრიტებიან, უმუშევრებმა საქმე იშოვეს. მადლობა ღმერთსო! — იტყოდა ვინმე კეთილი ადამიანი, რომ ისევ არ გაჩენილიყვნენ ახალი ტიპის უმუშევარნი, რომელნიც ახლა გროვდებოდნენ სასტუმრო „ინფორმაციაში“. ახალი სტუმრები ოთახებში ჩუმად იკეტებოდნენ, არავის ნახულობდნენ. ეს ახალი სტუმრები გახლდათ პროვინციის დაბა-ქალაქებიდან ჩამოსულნი: ყოფილი ბოქაულები, ყოფილი მაზრის უფროსები, შეშინებული მემამულეები... ისინი თავ-თავიანთ ოთახში შეეპამდნენ ხოლმე თითო თეფშ იაფფასიან შეჭამანდს და იდგნენ ფარდაჩამოშვებულ ფანჯრებთან, ვიღაცას ელოდნენ. ხანდახან გაწითლებული სტეფანე გამოყოფდა თავს კაკადუს ქოჩორივით, გამოცოცდებოდა ბნელ დერეფანში და რომელიმე მეზობლის კარს ფრთხილად დაუკაკუნებდა. ეს მაშინ, როცა გაზეთები ახალ ამბავს მოიტანდა

კოლჩაკ-დენიკინის ფრონტის გაფართოების შესახებ. სასადილო დარბაზში იშვიათად შემოდიოდნენ მატარებელზე დაგვიანებული გიოს ნაცნობი კონდუქტორები. სიამოვნებით შეექცეოდნენ პილპილიან ლობიოს და ცივ მჭადს. შუაღამისას ისევ სადგურზე ბრუნდებოდნენ.

გიო დიდებულიძე ისევ კომისრობაზე ოცნებობდა. ერთი ორჯერ მორიგე მილიციელი მიიწვია ვახშმად. ერთხელ ოთხი-ხუთი სოციალისტიც დაპატიჟა საგანგებოდ გამართულ სადილზე, სურვილს არ მალავს: ყველასთან გაბედულად ამბობს, რომ მას სხვებზე კარგად ესმის ხალხის საქმე, მაგრამ არაფერი არ შველის. გიო დიდებულიძეს იმედი უცრუვდება. ჟურნალისტები სასტუმრო „ინფორმაციას“ აღარ ეკარებიან. ერთ დილას გაზეთების დამტარებელმა გაზეთი „ერთობა“ შემოუტანა, გიო ჩაის სვამდა და თან შემოსავალ-გასავალს ანგარიშობდა.

— ასეთი კრიზისი არავის ახსოვს. ამ თვეში სალაროს გაკოტრება მოელის,—ეუბნება გიო მოსამსახურეებს.

მოსამსახურეები ყურს არ იბერტყავენ.

ბაზარზე ნიკოლოზის მანეთიანების ნაცვლად ბონები გაჩნდა. ვაჭრებმა საქონელი სარდაფში ჩაათრიეს.

— მოგვიმატეთ შრომის ფასი, თორემ გავიფიცებით, — ემუქრებიან გიოს მზარეულები და მოსამსახურეები. ერთადერთი მურზანკალა დგას მორჩილ მონასავით და შუაღამის საჩუქარზე ფიქრობს.

გიო ანგარიშს მორჩა, მეორე ჭიქა ჩაი გამოსცალა და გაზეთი „ერთობა“ გაშალა. განცხადებები გადაათვალიერა. ადგილობრივ ამბებს გადახედა და... მოულოდნელად წააწყდა მეტად კურიოზულ წერილს: გაზეთის კორესპონდენტი, მასთან მრავალჯერ ნაპურმარილევი კაცი, ზუსტად აღწერდა სასტუმრო „ინფორმაციის“ უწესოებას და მოითხოვდა მის დაკეტვას.

— ეჰ, უსინდისო... უსინდისო... უსინდისო!..—ბრაზით წამოიძახა გიომ.

ულვაში დაიგრიხა, ორიოდ ჭიქა ჭაჭის არაყი გადაჭკრა, მაგრამ როცა შეიტყო, არა მარტო გაზეთი „ერთობა“

იყო მისი წინააღმდეგი, რკინიგზელთა გაზეთიც წერდა, ხსენებულ სასტუმროში არასაიმედო ელემენტები ბინადრობენო, გიომ ორი ჭიქა ჭაქის არაყს ორი ჭიქა სარაჯიშვილის კონიაკიც მიაყოლა.

ეს იყო დილით.

საღამოს გიო და მურზანკალა ზემო სართულში ავიდნენ დასაძინებლად. როცა დერეფანში მიდიოდნენ, მურზანკალამ თავის ოთახზე მიუთითა გიოს, რაღაცნაირად გაიღრიჭა და მოკრძალებით თქვა:

— ამხანაგო ბატონო, მთელი ღამე ცუდ სიზმრებში ვარ, ამ ოთახში ფეხს ვეღარ ვმართავ,—და გადაიხარხარა. ცუღლუტი თვალები ეშმაკურად გადაატრიალა, თეთრი კბილები გადმოხვანცა. გიოს ოთახში შევიდნენ.

— რა გინდა, ბიჭო, დღეს, რას ჩამაცივდი!.. ახლაც პატარა ხომ აღარ ხარ!

— ჰო, მეც ამას ვამბობ, ამხანაგო ბატონო, რომ პატარა აღარ ვარ და ყურის ნახვრეტებში რევოლუციის ქარი მიბერავს.

— მერე ჩემგან რა გინდა?

— არაფერი, ამხანაგო ბატონო! ფეხსაცმლის ზონრები ცუდად ჩაგისკვნიათ. მე გაგიხსნით. თქვენზე კარგი ფრჩხილები მაქვს.

პაუზა. გიო პაპიროსს აბოლებს.

— დღეს გაზეთში წავიკითხე: რუსეთში ძაღლის ხორცს ჭამენო. ჰა, ჰა, ჰა... რომ შემეძლოს, დავწერდი, ამხანაგო ბატონო, საქართველოში კაცის ხორცს ჭამენ-მეთქი. ასე ამბობდა გუშინ ერთი შეშლილი ორატორი მიტინგზე: ადამიანები არაპირდაპირი კბილებით ჭამენ ერთმანეთის ხორცსო. ეჰ, ამხანაგო ბატონო, ჰა, ჰა, ჰა.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა და სიცილს გადააყოლა, მიჩქმალა, ნაქურდალი კიტრივით უბეში ჩაიგდო და ისევ გადაიხარხარა.

გიოს საშიში აზრები ებადება. აშინებს მსახურის უცნაურად წითელი სახე, თეთრ კბილებში სისხლიანი ენის ლივლივი. გიო ეჭვით გადახედავს მურზანკალას.

— არა, მურზანკალავ, შენ რაღაც სხვა გინდოდა გეთქვა.

— დიახ, ამხანაგო ბატონო! დღეს აპრილის უკანასკნელი დღეა. კალენდარს შევხედე და 30-მა რიცხვმა ბარნაბ ბერიაშვილი მომაგონა. დღეს წელიწადი შესრულდა... ამხანაგო ბატონო, გესმის?.. წელიწადი... 30 აპრილი, 1916 წელი. ასეთივე ღამე იყო. მთვარე ასე გვიმზერდა ფანჯრიდან. თქვენ მიკარნახებდით და მე ვწერდი წერილს, წერილს, რომლითაც ვიპარავდით ნონა კარბელის გულს:

„უკაცრავად, ქალბატონო, თქვენ ალბათ უფრო ადრე მოელოდით მადლობას... მაგრამ უზრდელი, გაფხეკილი იმერელი გლეხის შვილი ვარ და ვფიქრობდი: ასეთი მადლობა კახურ ჩურჩხელის ფასად არ ეღირება-მეთქი. ბარნაბ ბერიაშვილი". ამხანაგო ბატონო, მე ხელი მივიფარე თვალებზე, როცა თქვენ ოქროებს უჩხრიალებდით მუეში ბარნაბ ბერიაშვილს ღალატისთვის. ჰმ! ღალატით... და ნონა კარბელი ახლა ქუჩაში დაეხეტება. მოგბეზრდათ უკვე, იშვიათად ეძახით.

— არა, არ მომბეზრდა, მაგრამ... შენ მაინც რაღაც სხვა გინდოდა გეთქვა.

— დიახ, სულ უბრალო, ამხანაგო ბატონო. ბაზარზე საშინელი სიძვირეა. გუშინ იგივე ორატორი ამბობდა: ყველაფერი ძველი სისხლის ბრალიაო. დამქავებული სისხლი არ გაწითლდებაო. ცხოვრების გასაახლებლად საჭიროა ახალი სისხლიო. ჰა, ჰა, ახალი სისხლი. ვიღაც გიჟი ოხერი კი იყო სწორედ.

— ჰო, მაგრამ... შენ კიდევ რაღაც გინდოდა გეთქვა.

— ის, რომ ახლა გლახა დროა.

— მერე? ვიცი, გლახა დროა.

— ჰოდა ამას-იმას თავი უნდა გაანებო.

— ეს კი მართალია. მაგრამ ახლა ხომ სადილებზე აღარავის ვპატიჟობ. ვფიქრობ, მოსამსახურეების რიცხვიც შევამცირო. პირველად რომ შენ დაგითხოვო, რას იტყვი, მურზანკალავ?

— უჰ, ამხანაგო ბატონო, ეს არასოდეს არ მოხდება. სხვა რამეს იტყოდი მეგონა.

— სხვა რამეს... რას?

— იმას, რომ...

— რომ, რა?

— საყვარლების რიცხვი შეგემცირებიათ, უმჯობესი იქნებოდა.

— კარგი რჩევაა. ოღონდაც, როგორ მოიფიქრა ეს შენმა მოკლე ჭკუამ?

— ისე, ამხანაგო ბატონო, აბა რა საჭიროა ახლა მანანა? მისი ყვითელი თმით ჭაობის ციებას ჰგავს. ან ის ლენკა და ზინა! ზინასთან ამას წინათ მთვრალი ბიჭები ლაზღანდარობდნენ. ლენკა გუშინ ნამდვილ გიჟს ჰგავდა. გაწეწილ თმაზე წითელი ჭინჭი წაეკრა და სასახლისკენ დემონსტრაციას მიჰყვებოდა, წინ რომ ჩამომიარა, შევძახე: გაუმარჯოს ამხანაგ ლენკას-მეთქი, და იმდენი ვიცინე, ნაღველა კინაღამ გამისკდა. ლენკა კიოდა: ზურგი ვაქციოთ ძველ წესებსო...

— სონაზე და ნონაზე რაღას იტყვი, მურზანკალა? შენ რომელს აირჩევდი საცოლედ?

— მე... ა.... მე მდიდარი რომ ვიყო...

— ჰო!

— ნონას, ამხანაგო ბატონო..ჯეირანს ჰგავს, კურთხეული. ნონა კარბელი... თქვენ რომ შეისყიდეთ მისი გული და მერე მოგბეზრდათ.

— ჰო, კარგი, მურზანკალავ, პირველად შენ დაგითხოვ და შემდეგ...

— უჰ, ამხანაგო ბატონო, ეს არასოდეს არ მოხდება.

როცა კარში გადიოდა მურზანკალა, მოუბრუნდა „ამხანაგ ბატონს“, წვრილი ცუღლუტი თვალები მრისხანედ შეანათა და დერეფანში მიიმალა, თავში ალბათ „ამხანაგ ბატონის“ უკანასკნელი სიტყვა უტრიალებდა.

V

მთელი კვირის უსიამოვნო ამბების შემდეგ ღამე საშინელ სიზმრებში გაატარა გიომ. დილით მარჯვენა მხარეზე გამოეღვიძა. ლოგინიდან წამოიწია, ფანჯარა გამოაღო.

მაისის მზე...

მაისის ჟუჟუნა თვალები...
იასამნის სურნელება...
აკაციის თეთრი მტევნები.
გიომ შუბლი მოისრისა და გულის სიღრმიდან წარმოთქვა:
— ეჰ, ეჰ, ნეტარხსენებულო წინაპრებო...—თეთრეულის ამარა ზეზე წამოდგა და მეორე სართულიდან მშვიდად გადახედა ქალაქს.—ჯერ დილაა, მაგრამ, მთელი თბილისი ფეხზე დამდგარა. რა ამბავია?!—ჰოო...—მოაგონდა გიოს:
პირველი მაისი, ალბათ, მიტინგზე ემზადებიან: რაზმი რაზმს მისდევს, ჯგუფი—ჯგუფს, პროცესია—პროცესია!.
დროშები...
პლაკატები...
მარსელიოზა...
მუსიკა...
ინტერნაციონალი...
ყვავილებით დატვირთული ეტლი...
ყვავილებით დატვირთული ქალები...
მოკისკისე ბავშვები წითელი ბუშტებით,
მოხუცებულები აბოლებული ჩიბუხით.
თავშეხვეული დედაბრები.
ხალხი... ხალხი...
ხალხი ყოველი კუთხიდან, ყოველი მხრიდან, ყოველი ქუჩიდან.
ხალხი პროსპექტზე,
ხალხი მოედნებზე...
ბავშვები რიგ-რიგობით, მწკრივად, ფეხშეწყობით, სიმღერით...
ტრამვაი გირლიანდებით...
ავტომობილი წარწერებით...
გიო დგას გარინდებული. ყოველი მხრიდან ესმის სიტყვა თავისუფლების. სიტყვა მსუბუქი და სასიამოვნო. ძარღვებში სისხლი აუჩქრიალდა. ტვინში მურვან ყრუს დროის ომებმა გაუღიტინა, მკლავზე ერეკლეს ხმალი იგრძნო.
— ჰეი, შენ, გიო დიდებულიძევ! შე ლაჩარო, შე ზანტო. ზარმაცო, გადაგვარებულო!.. რას გდიხარ მტვერის საწმენდ ჩვარივით? ადექ, აიღე პაპიშენის ჯავშანი, მუზარადი, ფარი

და ხმალი. წადი იქ, დანგრეულ ტაძრებთან, დანგრეულ სასახლეებთან, განადგურებულ კოშკებთან, სადაც ბრწყინვალე თამარის ლაშქარი ეკვეთებოდა მოვარდნილ მტერს.

გიო გაიტაცა ოცნებამ: პირველი მაისი ოსმალოს ხანებთან ბრძოლის დღედ მოეჩვენა, წელში გაიმართა და ანგარიშმიუცემლად ამოჰკიდა სიმღერა:

ქართველო, ხელი ხმალს იკა-ა-რ,
დროა ძმობის და ერთობი-ი-ს.
ჩემი სისხლის და ხორცის ხა-არ,
თუმც სხვადასხვა გვყავს ღმერთებ-ი-ი...

გიო დიდებულიძის გაღეღილ მკერდს დილის სიგრილე მოხვდა. ცხვირი დააცემინა და ახირებული აზრები გულიდან ამოუვარდა, გონს მოვიდა: გაკომერსანტებული, ყოფილი პოლიციელი და აზნაური, რომელიც დღეს მიკიტანს უწოდებს თავის თავს, სიძულვილით შესცქერის ძველის უარმყოფელ ცხოვრებას. არავისთან აღარ გადის კეთილი საქმე, მეგობრობა, პურ-მარილი, პატივისცემა ყველასთან დაეკარგა. „აჰ, ის გაიძვერა ჟურნალისტები“ წლობით რომ უმასპინძლდებოდა, ახლა ყველა მტრად გადაეკიდა. ეს ცინგლიანი მოსამსახურეებიც. ბაზრის ნაგვიანი ყუთიდან ამოათრია გიომ თვითეული მათგანი, ახლა კი სხვადასხვა მოთხოვნილებებს უყენებენ. მოდი და ნუ გაგეცინება! რა დარჩენია ნეტავ გიო დიდებულიძეს მათი? რას სთხოვენ? სულელი მურზანკალაც... ჰი, ჰი, ჰი... მურზანკალა, რომელიც ჩემს ნასუფრალზე გამოიზარდა, მურზანკალა!

რამდენიმეჯერ გაიმეორა გიომ მურზანკალას სახელი, თითქოს ამ სახელთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო... ისევ მიწვა, ფიქრში გაირინდა. ხუთი საუვარელი სახელი ისევ შემოეხვია გიოს, რომელი მათგანი შეიძლება დასთმოს? თუ მურზანკალას დაუჯერებს... მაგრამ, რაღა ლაწირაკი მურზანკალა! ნონა მართლაც სჯობს ყველას. ნონა მშვენიერია და უფრო წარმტაცი, როცა ორ ჭიქა ღვინოს გადაჰკრავს. ფართო თვალებს მელანქოლიურად მიაპყრობს სადღაც და ვნების ამშლელად წამოიწყებს:

ერთხელ მეც ვიყავ მშვენიერი-ი....
მეც მყავდა სატრფო-ო...

გიოს ისევ მოაგონდა 30 აპრილი, 1916 წელი.

ნაშუალამევი იყო. ღვინით გალეშილი გიო მე-16 ოთახს მიადგა. ნონა თეთრებში იწვა და შეგვიანებულ საქმროს ელოდა. სევდიანი ფიქრი შემოსწოლოდა გულზე. ჯვრისწერას დაასწრო... „რად ჩაიდინე, ნონა, ეს, რად? რად მიენდვე?...“ ესმის გულის ხმა და თავი ეჭვებით უხურს. ნონა კარბელს შიშის ერუანტელმა დაურბინა: კარს სხვისი ხელი შეეხო:

— ვინა ხართ?

ჩურჩულით და კანკალით ამბობს ნონა კარბელი.

— გაალეთ კარი, ახალი ამბავი უნდა გითხრათ.

ნონამ იცნო გიოს ხმა. თრთოლამ აიტანა. „რაღაც ავია“...—გაუელვა ფიქრმა.

— მოითმინეთ... დამშვიდდით!... ბერიაშვილი... ჰმ!... ბარნაბ ბერიაშვილი, შენი საქმრო, მშვენიერო ქალო, უსინდისო ყოფილა, გაიძვერა, აფერისტი... აჰა, წერილი დაგიტოვა, და...

როცა ნონა კარბელმა წერილი წაიკითხა, ატირდა. უღონოდ დაეშვა სავარძელზე.

მაშინ გიო დიდებულიძე აწყვეტილ მხეცს დაემსგავსა.

— იტირე, რამდენიც გენებოს... აქ ქალაქია და გიო დიდებულიძე, სხვა არავინ..

უჰ, ის ღამე!..

გიომ პაპიროსი გააბოლა. გიო დიდებულიძეს მოსწყინდა ქალაქის ქალები.

კახური ღვინო... კახელი ქალბ... ტუჩწითელი მტევნის ნაჟური... ღაწვები — გომბორის ცისკარი.

გიომ ისევ გააბოლა პაპიროსი.

მეორე დღეს ჩვარივით მიგდებულ უგვირგვინო ცოლს ერთი გირვანქა შოკოლადი შეუტანა.

ნონა თეთრ ჯვარსაწერ საკაბეს დასცქერის, ბერიაშვილმა რომ უყიდა. წამწამებს დაბლა ხრის.

ცრემლი მარგალიტივით სცვივა.

— ნუ ტირი!—ეუბნება გიო.—შენ ახლა ჩემი ხარ. ვერსად წამიხვალ.

ნონას არც უფიქრია სადმე წასვლა. კახეთს გამოექცა. საქმრომ მიატოვა, სად უნდა წავიდეს?

VI

დაქვრივების შემდეგ გიო დიდებულიძემ განიზრახა ვინმე დიდი შთამომავლობის ქალი ეთხოვა. ბევრი ეძია: აქეთ მაჭანკლებს მიმართა, იქით პროვინციელები გამოჰკითხა, რამოდენიმე დაბერწებული თავადის ქალიც მოინახულა. ზოგიერთი სოფლის გულგამოფიტული აზნაურის კაროჟნაც არ დაუტოვებია თვალშეუვლები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოეწონა. ბოლოს სულ გადაიფიქრა ცოლის შერთვა. ვითომ რად უნდა აიკიდოს ზედმეტი ბარგი?..

გიო ნერვიულად წამოიჭრა ლოგინიდან. შეკრთა... ისევ ხმაური, სიმღერა, გუგუნი... — რას მღერიან!—ჰო... ჰო... ისევ „წყევლა... კრულვა... მტერი... ბრძოლის ველი...“

— ეს ვინღაა? აა, ლენკა! აგერ მურზანკალაც, გამოირბინა სასტუმროს ეზოდან, ხელში წითელი პლაკატი უჭირავს. მზარეულები რაღაცას ფუსფუსებენ. გიოს ბრაზი მოაწვა, საჩქაროდ ჩაიცვა და კიბეზე ჩაირბინა.

სასადილოს კარზე წარწერა დახვდა:

„დღეს სამზარეულო დაკეტილია. სასადილო არ გაიღება“.

გიოს თავში სისხლი აუვარდა. მძიმედ ამოახველა და ხრინწიანი ხმით წაიბუტბუტა: არა უშავს... გაივლის!

VII

გიო ფიქრობს, როგორ უშველოს საქმეს. რით მოიგოს ხალხის გული. როგორ მოიშოროს თავიდან ეს არამზადა, თვითნება მოსამსახურეები. ან ეს ქალები, ქალები...

ახლა სხვა დროა.

— შენ შემეწიე, წმიდაო გიორგი! მომეც სიმხნევე მამაპაპური, რომ პანტასავით შემოვირეკო ყველა ქვეშმრომი დ> მაწანწალა.

გიოს მაღლიდან გადმოსძახა ნათავადარმა ჯაბამ.

— აა, თქვენ, ბატონო ჯაბა?! სადილი? გვექნება, მაშ! მოკვდეს გიო დიდებულიძე, თუ მაგათზე უკეთესი სადილი არ გააკეთოს.

გიო მართლაც დატრიალდა. სანოვაგე გამოალაგა და მდგმურებისთვის ცოტაოდენი ღარიბული სადილი შეამზადა!

დაიღალა. მკლავები ჩაეთუთქა. სახეზე სიმწრის ოფლი გადაესხა. ჭურჭლებიან ტახტზე მიწვა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა და მწარედ გაიღიმა, თითქოს თავის თავს დასცინოდა.

— არა, გიო დიდებულიძეს დიასახლისობა აღარ შეუძლია თურმე. არც მზარეულობა. გიოს მარტო ცხოვრება არ შეუძლია. ჯანდაბას მაგათი თავი...

გიო თვლემს. კარტოფილი იწვის. გიო ძლივს დგება, ბარბაცით მიდის, ტაფას გადმოდგამს. არა, ამას ვერ აიტანს. „ცუდი დიასახლისი ვარ",—ჩურჩულებს თავისთვის, ისევ მიწვება ტახტზე, ისევ მოხუჭავს თვალს და ფიქრობს:

ახლა ნონა კარბელი გააწყობს სადილს, მყუდრო ოთახში გადაფენს თეთრ სუფრას. სახეზე ორ თითს დამადებს და მეტყვის: — „საყვარელო ქმარო, გამოიღვიძე, ვისადილოთ"...

გიოს აზმორებს. თვალს ახელს, მაგრამ ნონა...

— სად არის ახლა ნეტავი? ნუთუ ისიც?.. ჰო, ალბათ ახლა ნონაც დემონსტრაციას მისდევს. შურს თუ იძიებს!

გიოს აგონდება მურზანკალას სიტყვები: ნონა კარბელი ქუჩაში დაეხეტებაო. გული სინანულით ევსება. ნონა კარბელი ექვსი თვის წინათ გაასახლა გიომ სასტუმრო „ინფორმაციიდან".

— ქალბატონო, ახლა დრო არის... მუცელი წამოგეზარდა. სხვის დანაშაულს მე ვერ მოვიხვევ თავზე. ბერიაშვილის ბუშს მე ვერ ვუპატრონებ)—და ნონამ ახალ ბინაზე გადასვლის შემდეგ საშინელი უმწეობა იგრძნო.

— რა ვქნა, ქალბატონო ამინადარ, რა ვქნაა?—შეევედრა ერთ დღეს ნონა გვერდით მცხოვრებ ქვრივ დედაკაცს.

— ეს სხვისი ნაგავი უნდა მოიშორო, ჩემო ბავშვო, შემდეგ...

— აჰ, როგორ უნდა მოვიშორო?..

ამინადარმა რაღაც მცენარის ძირი გამოიღო განჯინიდან და მისცა.

ორი საათის შემდეგ გულწასულ ნონა კარბელს ამინადარი სახეზე წყალს ასხამდა... ნონა მოსულიერდა, მოცოცხლდა და თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ ცრემლი ვერ დამალა. როცა გიო მოვიდა მასთან ღამით, ნონა ატირდა.

— რად ტირი?

ნონას უფრო მოაწვა ბოღმა გულზე და თავისთვის დაიწყო რაღაც ლუღლუღი, ჩურჩული, ყვედრება. მხოლოდ ამ ყვედრებიდან ისმოდა ორი ჩათუთქული სიტყვა:

— ის შვილი ჩემი იყო, შვილი.

— მერე მე რად მაყვედრი? ჩემი ხომ არ იყო?

— მიბრძანდით... მე თქვენთან აღარ წამოვალ.

— შენი ნებაა,—უთხრა გიომ და წავიდა.

ზინა, სონა, ლენკა და მანანა... გიოს ყველა „უყვარს", ყველასთან ლაზღანდარაობს, ყველას უმასპინძლდება, მაგრამ ნონა?

გიო თვალებს მილულავს. ოთხი მხევალი ერთად შემოუსხდება მის ლოგინს.

— ფუ! ფუ! ჩვენთან არს უფალი! რას ჩამაცივდით? ახლა სხვა დროა-მეთქი, არ გესმით?

და გიო ისევ გაახელს თვალს. აჰ, ეს ჭურჭელი როგორ მისევია გიოს: ქვაბები, ტაფები, ტაშტები, კოვზები, დანები, ჩანგლები, გობი და ხელგობი. გიოს უყვარს თვითეული ნივთი. მაგრამ ახლა სხვა დროა. ვის სცალია ნივთებისთვის? ქვეყანა ზანზარებს, ხალხი გიჟდება... უთვალავი შეშლილი თვალი უცქერის გიოს და საშინელია ეს მზერა. თითქოს მთელი საუკუნის ბოროტება მოკალათებულა ამ მზერაში. დალესილი კბილების ღრენა!.. ოო, სად დაემალოს გიო ამ კბილებს, ამ თვალებს?

VIII

ახლა სხვა დროა. ხალხი ამბობს: შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო. გიოც დაადგა შორ გზას დემოკრატიზმისკენ...

ახალი გეგმა შეიმუშავა:

ჩამოშორება ყველა ხასების.

ცოლის შერთვა.

ნივთების მოვლა-შენახვა...

მოსამსახურეების შემცირება.

მაღლა სართულიდან დაბლა ჩამოსვლა.

რევოლუციის საქმეში ჩარევა.

ხალხში თავის გამოჩენა.

გიო დიდ პრეტენზიას თავს ანებებს. ძველი კედელი დაინგრა, საჭიროა ახალი...

ახალი წრე...

ახალი ხალხი... ცოლ-შვილი, ოჯახი.

მაშ ასე, ჩემო მეუღლევ!

გიო შეკრთა. კარისკენ მიიხედა.

ნონას ლანდი... იგივე კაბა: რუხი სატინი, თავზე მუსტაფას ნაჩუქარი ჭრელი შარფი. ფეხზე ხორცისფერი წინდა და ბანტით გასკვნილი ფეხსაცმელი, გიომ რომ უყიდა შარშან. გაცრეცილა, გახუნებულა შარფი... სახეს რად მალავს?

ნონა, ნონა, ძვირფასო.

გიო ლოგინიდან წამოდგა, უნდა ნონას წინ დაემხოს. ატირდეს. და, ო, საოცრებავ: გიოს სულში ავადმყოფობა შეპარულა, გულში სიყვარულს გაუთხრია ორმო, არა, გიო ვერ მოეშვება ნონას, სინანულით ატირდება და ეტყვის:

— მიყვარხარ, მშვენიერო ქალო! ჰა, ჰა, ჰა...

განა გიოს თავის სიცოცხლეში უთქვამს ვისმესთვის ეს სიტყვა? მაგრამ ახლა სხვა დროა... ცოლი... ჰმ! სად უნდა ეძიოს ახლა გიომ ახალი ცოლი? ისევ შენ, ნონა, ისევ შენ! დეე, სინანულმა ჩამორეცხოს გიო დიდებულიძის ცოდვები. დღეიდან შენ იქნები ჩემი დედოფალი, კანონიერი ცოლი და მე გეტყვი ყველაფერს.

გიომ გადაწყვიტა ნონაზე დაქორწინება.

დღეც დანიშნა.

წვეულება გამართა.

როდესაც ნეფე-დედოფალი ჯვარსაწერად წარსდგნენ ღვთისმშობლის ტაძარში, ნონა ნამდვილ უცოდველ ქალწულს დაემსგავსა. სიხარულით და სათნოებით აღივსო... ფართოდ გახელილი თვალებით ღვთისმშობელს შესცქერის, ევედრება, ჩუმად ჩურჩულებს:

— დედაო მარიამ, მომეც ნაყოფი, ვითარ ეძლევა ყველა ქალწულს გვირგვინითა შენითა. დედაო მ-ა-რი-ა-მ...—და, ღვთაებრივ სილამაზით უბრწყინავს ნონას თვალები. მღვდელმა წიგნი დახურა, დამთავრდა ჯვრისწერა.

შინ დაბრუნდა ცოლ-ქმარი. გრძელი თეთრი სუფრის გარშემო უკვე დამწკრივებულან საგანგებოდ მოწვეული სტუმრები. მისალმება, მილოცვა, ტაში, მრავალჟამიერი, ქუხს ღარბაზი.

გიომ სამადლობელისთვის აივსო სასმისი. სტუმრებს საოთოთაოდ მოავლო თვალი. ახალი ხალხი:

ზეინკალი,

პარიკმახერი,

თამბაქოს ფაბრიკის მემანქანე,

კონდუქტორები,

ხუთიოდე მუშა სადგურიდან (ამ მუშებს ბევრჯერ გადმოუსვიდავს გიოს ბარგი საწყობში).

ტრამვაის ხუთიოდე მოსამსახურე.

ერთი-ორი ნაცნობი მეეტლე.

ერთი მრეცხავი დედაკაცი.

ნაცნობი მკერავი.

ორი ახლად გასოციალისტებული მზარეულის თანაშემწე.

ორი-სამი ნათესავი.

ყველანი კოხტად ჩაცმულები. მამაკაცებს რევოლუციონერის წითელი ნიშნები უმშვენებთ გულს.

მხიარული სტუმრები ხელმარდად შეექცევიან სადილს, ნთქავენ კახურს, მღერიან სიმღერებს, ლექსებს და ანეგდოტებს ერთმანეთს სტაცებენ.

— სსს!—ბატის სისინივით გაისმა. სუფრა ერთი კაციკით მიყუჩდა. ხელები დანა-ჩანგალს შეაცივდა, თვალები სუფრისთავს მისჩერებიან. სკამიდან წამოდგა ოდნავ წელში მოხრილი, მაღალი, გამხდარი კაცი.

— ვინ არის?

— თამბაქოს ფაბრიკის მემანქანეა.

— თუ... სსს... სიტყვას ამბობს.

— ამხანაგებო, ნურავის გაგიკვირდებათ ჩემი ნათქვამი: დიდკაცს დიდ პლიუსად ჩაეთვლება, ზემო საფეხურიდან დაბლა, ხალხთან დაახლოება. ასეთი გახლავთ დღეს გიო დიდებულიძე. მე ვსვამ მის სადღეგრძელოს და ვისურვებ, გიო დიდებულიძე ჩვენთან დარჩენილიყოს.

— ვაშა... ვაშა!..—ხმაურობს სუფრა.

გიო თასმასავით იგრიხება. ხან ირონიით გადახედავს სუფრას, ხან ფიქრობს: თითქოს დღეიდან მართლაც ამ ხალხთან შეაერთებს ბედის ტრიალი. სვამს ღვინოს, დანჯღრეული ხმით მღერის:

მსპინძელსა მხიარულსა-ა...
ჰყავს სტუმრები-ი... საყვარლები-ი...

სასტუმრო „ინფორმაციის“ ზემო სართული დუმს, როგორც დიდი ხნით მიტოვებული სასაფლაო თავდამტვრეული ხის თეთრი ჯვრებით. ო, რამდენი სევდა დაგუბებულა თვითეულ ოთახში!

— ადამიანო, სადა ხარ?! უშველე ამ ხალხს: ლპება ამდენი სხეული, იხრწნება ამდენი ღვთაებრივი ტანი. რამდენიმე კვირა და, სასტუმრო „ინფორმაცია“ აყროლდება.—არწმუნებს ერთგული მურზანკალა გიოს.

წითელი სტეფანეც აღარ გამოდის კიბეზე. მგლოვიარეა: დეპეშებმა ახალი ამბავი მოიტანა რუსეთიდან თეთრი გენერლების დამარცხების შესახებ. რუსეთის გამარჯვების ხმამ გრგვინვით გადაუარა საქართველოს ცას.

ნაქორწილევი ხალხი მიიფანტ-მოიფანტა. ნონამ გასაღებები აიღო და დიასახლისის მოვალეობას შეუდგა.

გიომ ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა. წელში გასწორდა და დოინჯშემოყრილმა ჭერს ახედა. ზემო სართული რაღაც გამოუცნობი სიმძიმით დააწვა მხრებზე.

— საყვარელო ცოლო!—პირველად მიმართა ასეთი სიტყვით გიომ მეუღლეს,—ზემო სართული უნდა მოვიშოროთ, თორემ გაგვსრესს.

— ჩვენი ოთახი?!—გაოცებული წამოიძახა ნონამ.

— მე ხომ ზემო სართულიდან დაბლა ჩამოვდივარ!

ნონამ უკმაყოფილოდ შეხედა ქმარს და წყენით წარმოთქვა:

— მე კი მინდა ზემოთ ავიდე.

— ჰა, ჰა, ჰა... მაშ ჩვენ ფუნიკულიორის სადგურზე შევხვედრივართ ერთმანეთს.

ნონამ გაიღიმა. წყენა ალერსით დაფარა, ორი თითი ლოყაზე დაადო და გულზე მიეკრა.

— ხუ ჩქარობ, გენაცვალე, მიწაზე განრთხმას ყოველთვის მოვესწრებით.

თეთრარშიამოვლებული „პენუარი“ არაჩვეულებრივად შვენის ნონას, რომელიც ტუალეტთან ზის და საჩუქრებს ათვალიერებს. არ იცის, რომელი უფრო მოსწონს—ეს საჩუქრები თუ გიო. ჯვრისწერას „არსებითად“ არაფერი მიუცია მისთვის. გარდა იმისა, რომ ნონა გახდა კანონიერი მეუღლე გიო დიდებულიძისა. ახლა ცუდად ვერავინ ჩახედავს თვალში. არ მოშივდება, არ შესცივდება, ოჯახი აქვს, მაგრამ...

ღია ფანჯრიდან თბილი სიო უბერავს. შიშველ მკერდზე მაჯისოდენა ნაწნავები შემოსალტვია. ტიტველ ფეხს წითელი ქოში უმშვენებს. ნელსაცხებელით ცხვირის ნესტოებს ისრესს, სარკეს უცქერის და ნელა ღიღინებს:

საყვარლისა ბაღჩაში, ვარდი აყვავებულა...

ნონა რაღაც უგუნებოდაა... თითქოს მობეზრებია ყველაფერი და მოგონებებისთვის გაუღია გულის კარი. იგონებს კახეთს, დაკარგულ სატრფოს, ეზოს, ბაღს, ბოსტანს და ისევ ღიღინებს:

საყვარლისა ბაღჩაში, ვარდი აყვავებულა...

უცებ სიმღერას შესწყვეტს და მძიმედ ამოიოხრებს. გულზე ხელს დაიკრეფს და თვალებს სასოებით აღაპყრობს!

— უფალო, რომელი ხარ ცათა შინა! მე მწამხარ, უზენაესო!... მომეც ნაყოფი გვირგვინის... მომეცი შვილი...

ნონა შეკრთა.

ოდნავ გამოღებულ კარში მურზანკალამ ჩაიხითხითა.

— ოო, წითელო თავადო, ვინ გამოგგზავნა ამ ღამეს?!

— რატომ ბატონის შესახვედრად არ წასულხარ მატარებელზე?

— ჯერ ადრეა...

— ასე გგონია?

მურზანკალა უახლოვდება ნონას.

— ამხანაგო ქალბატონო, ნუ გამიწყრებით... მე მოვედი ისე...

— ისე?!

— დიახ ყური მოვკარი, ღმერთს ეევედრებოდი.

— მერე შენ რა?

— ისა, ამხანაგო ქალბატონო, რომ ღმერთი დაყრუვდა.

— მერე?

— მერე ისა, რომ... კაცი, რომელიც მუდამ ხუთად ნაწილდებოდა, გამოიფიტა. მისი სისხლი დაძველდა. მე მოგცემ შვილს!

ნონა აცახცახდა. მურზანკალას სიტყვები ღვთაებრივ ჭეშმარიტებად ჩაეწვეთა ყურში. დათვრა, გაბრუვდა, ბალიშზე გადიზნიქა და თვალები მილულა.

„ახალი სისხლი... შვილი...“—ძლივს არჩევს მურზანკალას სუნთქვაშეგუებულ ჩურჩულს.

X

ლურჯი ცა ღრუბლებით დაიბურა. ქედებს ტყვიისფერი ბურუსი ჩამოაწვა. ზამთრის სიცივემ უდროოდ მოატანა.

გიო დიდებულიძე სადარაჯოზეა, გაჰყურებს თბილისს. გიო შორიახლოს უვლის სასტუმროს. მაღლა სართულზე დარაბები დაკეტილია. იქ შავი ადამიანები ვახშმობენ. ვინ იცის, ახლა რაზე ფიქრობენ... სამოთხიდან გაძევებული ქიმერებივით იცქირებიან ჯურღმულიდან. „მზის ჩასვლას უცდიან“.

ო, მადლობა ღმერთს, რომ გიო დიდებულიძე არ არის გაძევებულთა რიგში. გუშინ წითელმა სტეფანემ თეთრი მანდატი მიიღო „ცენტრიდან“, მანდატი ჩექმის ყელში ჩაიგდო. გიოს ერთი მუჭა ფული ჩაუტენა ჯიბეში. ოთახის გასაღები მიაბჯარა. საიდუმლოდ დააბარა, ხვალ ღამის მატარებლით დაებრუნდებიო და წავიდა.

გიო შიშით შეჰყურებს სასტუმრო „ინფორმაციის“ ზემო სართულს. აგონდება მურზანკალას სიტყვები... მაგრამ ნონა ჯიუტობს, გადაჭრით ეუბნება ქმარს, რომ პატარა მემკვიდრეს, რომელსაც უკვე მოელის, ქვემო სართულში არ ჩამოიყვანს.

გიოს უხარია პატარა მემკვიდრე. არც ისე უბედური ყოფილა თურმე დიდებულიძიანთ გვარი. ორი უფროსი ძმა გადაშენდა. გიომ გაიმარჯვა. შვილი ეყოლება — პატარა მემ-

კვიდრე. მაგრამ... გიო ორჭოფი გრძნობით გაჰყურებს უმთვარო ღამის კალთაში გახვეულ ქალაქს. სიხარული და დარდი ერთმანეთში არევია: ყოველი დღე, ყოველი დილა უკუღმართად უმზერს.

ნაშუალამევია.

მშრალი თოვლი მსუბუქად ბარდნის ქუჩებს, ეზოებს, სახლის სახურავებს...

შორიდან ისმის გაჭენებული ცხენების თქარა-თქური, კანტიკუნტად აჩქარებული მგზავრის ფეხის ხმა, ხანგამოშვებით ავტომობილის სრიალი.

გიო დიდებულიძე იცავს ქალაქს! ჰმ!.. რატომ ეშმაკს არ გაეცინება?

გიო ფიქრიდან გამოერკვა და უნებლიეთ წამოიძახა:

— ოჰ, ზედა სართულო, ჩამოინგერი ბარემ...—და ისევ მოაგონდა მურზანკალას სიტყვები: „უშველეთ ამ ხალხს! ლპება, იხრწნება ზემო სართული. უშველეთ, სანამ აყროლდებოდეს“.

მაგრამ, ნონა... ეჰ, ქალი... ქალი... ტყუილად კი არ არის ნათქვამი: თუ ქალი მოინდომებს, მკვდარსაც გააცინებსო.

ნონა გუშინ შიშით და სირცხვილით შეჰყურებდა გიოს ხელში აწკრიალებულ ვერცხლს, ახლა ამაყია და მედიდური. კანონიერი ცოლია. ჩქარა, შვილის დედა იქნება.

„ნონას, ალბათ, სძინავს“...—გაიფიქრა გიომ.

ნონას კი ეღვიძა. მურზანკალას ხვევდა მკლავებს და ტანში თბილი სიამოვნება უვლიდა. მურზანკალა სრულიად გამოიცვალა ამ რამდენიმე თვეში. ახლა მურზაყანს ეძახიან. ამ ბოლო დროს გიომ სალარო ჩააბარა. გუშინდელ „სულელს“ დღეს ჭკვიანს ეძახის, ენდობა.

წვრილი თვალები გაუფართოვდა მურზაყანს: ცხოვრებას პირდაპირ უყურებს. ამიტომაც თავის თავზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე მის ბატონზე. საღამოს კურსებზე დადის. ახლა ბედნიერია მურზაყანი: ყოველი წუთი სიხარულით იწყება მისთვის და ყოველი საათი სიხარულით თავდება. მაგრამ მურზაყანს ხშირად გულის გამომხვრელი ეჭვიც ეპარება. ამიტომაც ისე დაჟინებით ეკითხება ნონას:

— მითხარი, გენაცვალე, მითხარი: რომელი უფრო გიყვარს, მე თუ გიო დიდებულიძის დამჟავებული სისხლი?

ნონა თვალებს ნაბავს, მარწყვის ტუჩებს სიამოვნებით აპობს, ბროლის კბილებს აჩენს და ნაზად ამბობს:

— ახალი სისხლი, ახალი სისხლი.

XI

ღამის სადარაჯოდან გათენებისას დაბრუნდა გიო, დაქანცული და გაციებული. თოფი კუთხეში მიაყუდა. ორი ჭიქა არაყი გადაჰკრა ძარღვების გასათბობად და ცოლის ალერსში ტკბილად ჩაიძინა. საშინელი სიზმარი ნახა: უშველებელმა-გველმა ყელზე უკბინა. გამოიღვიძა შეშინებულმა, შუქი აანთო. ოთახში ჩვეულებრივი სიჩუმე იდგა. ნონას ნელი ფშვინვა ისმოდა მხოლოდ. ეს იყო 1917 წლის დილა.

პარლამენტის ზოგიერთი წევრი ამტკიცებდა, საჭიროა სამხედრო წესების შემოღებაო. საღამოს ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს სიტყვა—„სამხედრო წესები".

ღამით რაზმელები შეუდგნენ ქალაქის გაწმენდას.

ნაშუაღამევს სასტუმრო „ინფორმაციასაც" ეწვივნენ, შავი ავტომობილით და ნაციონალური მანდატით. პირველად სასტუმროს პატრონი გიო დიდებულიძე მოითხოვეს. ზემო სართული გაჩხრიკეს. რამოდენიმე კაცი ეჭვით დააპატიმრეს. წითელი სტეფანეს ოთახს მიადგნენ. გიომ განაცხადა:

— არ ვიცი... ის კაცი მთელი კვირა ავად იყო. ავადმყოფი ადგა და სადღაც წავიდა. სამი დღეა აღარ დაბრუნებულა.

კარი დალუქეს.

გიომ თავდაცვის კომიტეტიდან მოცემული ნდობის ქაღალდი წარუდგინა სტუმრებს. არავის არაფერს შეხვეწნია. ჩვეულებრივი ტონით ამბობდა, რომ ის უპარტიო სოციალისტია.

გიომ მათ შორის ნაცნობი ჟურნალისტი შენიშნა. სახეზე ყაბალახი ჰქონდა შემოხვეული. წინა ჭიანი კბილი და სიცივისაგან გაწითლებული ცხვირი უჩანდა.

— წამობრძანდით, ნუ გვაგვიანებთ,—აჩქარებდნენ გიოს.

გიო ნონას მიუბრუნდა და უკანასკნელად მოსთხოვა ორი

ჭიქა სარაჯიშვილის კონიაკი. გადაჰკრა და დაცლილი ჭიქა ყაბალახიანს მიაწოდა. მკლავში მეგობრულად შეავლო ხელი და ყველას გასაგონად ყურში ჩასძახა:

— ჩემო მეგობარო, მე თქვენ გიცნობთ... მე არაფერი არ მიკვირს... ცხოვრება მასხარაობაა. მე და შენ კი ლატარიაში ჩაგდებული ნივთები ვართ!

მერე ამოიოხრა და სინანულით გადახედა ნონას.

— მშვიდობით, საყვარელო მეუღლევ! გებარებოდეს ჩემი მომავალი მემკვიდრე.

მურზაყანი აივნიდან უყურებდა ამ სცენას. შემდეგ ფეხაკრეფით მივიდა ნონასთან, ორივე ხელი ნიკაპში მოავლო და წასჩურჩულა:

— ნუ სწუხარ, გენაცვალე, მალე ახალი მემკვიდრე გვეყოლება...

1920 წ.

„ბედის წერილი“

მუდამ გულჩათხრობილმა და ფიქრებში გართულმა ბეგლარ მანთიძემ პირველად შენიშნა ამ დილით: ხეხილებს მწვანე კვირტები ღილებივით ჩამოებნიათ ტოტებზე. ფაცხის გვერდით ატამს ყვავილი გამოეჩინა. ვენახებს მუხლებში წყალი ჩასდგომოდათ. გასხვლის დრო მოწეულიყო. ჩქარა საყანე მიწების გაწმენდას შეუდგებოდა სოფელი.

ბეგლარს ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, როსტომ ვაშალომიძის ზეგანი აეღო საყანეთ თუ გურიელის მამულში ჩასულიყო, სუფსის პირზე. სუფსის პირი ნოყიერი მიწაა, მაგრამ ბეგლარს ეძნელებოდა შინიდან შორს სამუშაოდ წასვლა, კვირა-ობით ოჯახის მიტოვება. თან თბილი ლუკმის მიმწოდებელი არავინ ეგულებოდა შინ. ბეგლარის ცოლს, მაკას, წვრილი შვილები ეხვია. მარტო მახარე იყო ოჯახში წამოზრდილი და ისიც შინ არ ჩერდებოდა. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ მახარეს ხონის სამასწავლებლო სემინარიაში უნდოდა შესვლა, მაგრამ ბეგლარს სად გააჩნდა საამისო საშუალება. ახლა ბათუმში წასვლა დაეჟინებია მახარეს და მთელი დღეები ღელავდა. ბეგლარი წუხდა: აღარავინ მრჩება ყურ-

მოცვლილი[1], რომ ცეცხლზე წყალი დაასხასო. ისევ ვაშალომიძის მწირსა და ქვიან მიწაზე მიეპყრო თვალი: სამესამედოდ რომ მომცემდესო, ფიქრობდა ფაცხის წინ ჩამომჯდარი და წალდით ლუკუმხის გრძელ ტოტს თლიდა, მერე მახვილი დანით კანს აცლიდა სირგვალეზე, აჭრელებდა. თანაც წვერზე, ჯვარედინად, ფირფიტებს უკეთებდა. ის იყო პაპაჯვარის ბაღჩაში წაღება დააპირა დასარჭობად, რომ ფაცხიდან მახარე გამოვიდა, ბეგლარს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა:

— მშვიდობით, ბაბა, ნუ მოიწყენ უჩემოდ. იმიტომ მივდივარ, ბაბა, ოჯახს გამოვადგე, სასახელო კაცი გავხდე.

ბეგლარი შეკრთა, ხელიდან წალდი გააგდო და ბაღჩის ალაგეს დაებჯინა, შვილს მიაშტერდა. გუშინ უფრო დიდი ეჩვენებოდა მახარე მამას. ახლა სულ ბავშვად წარმოიდგინა, გული შეეკუმშა.

— მიხვალ, ბიჭო, მიხვალ, მარა, ხიფათს გადაეკიდები და ისევ მამაშენის საჯახირო გახდები,—თქვა დაღვრემილმა ბეგლარმა და უცებ ისეთი სახე მიიღო, თითქოს რამდენიმე წლის სიცოცხლე მოჰკლებოდა. ამ დროს მაკა გამოვიდა თვალებდაწითლებული, ხელსახოცში შეხვეული საგზალი გამოუტანა შვილს, სოფლის ჩასარბენამდე გააცილა და გამოეთხოვა. უსიტყვოდ გადაკოცნა მახარემ დედა. მაკას უნდოდა უკანასკნელად კიდევ ეთქვა შვილისათვის ორიოდე სიტყვა, გული ყელში მოებჯინა:

— ჭკუით იყავი, შვილო, ჭკუით,—ძლივს წაილუღლუღა და უკან გამობრუნდა. მეტი აღარ შეეძლო, ცდილობდა თავი შეეკავებინა, ცრემლს იწმენდდა, თან ბუტბუტებდა: „ღმერთო ნუ დამსჯი... უგუნური ვარ.... რა მატირებს?“.

მახარეც არ გრძნობდა თავს კარგად. მშობლების ოჯახიდან გამოთიშვა და უცნობ გზაზე დადგომა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც აქამდე ეგონა. ხედავდა დედის თვალიდან მონაყური ცრემლს და თვითონაც უმძიმდებოდა უპეები. არც მამის დაღვრემილი და უცებ დაბერებული სახე შორდებოდა თვალიდან. პატარა სულიკოს ტიტინიც ისე მო-

---

1 ყურმოცვლილი—მოზრდილი არავინ მყავს, ცეცხლი რომ გამიჩნდეს, ჩაქრობა შეეძლოსო,—იტყვის ხალხი.

ესმოდა, ეგონა ყოველი ხის ძირიდან „ჭიტას“ მოსძახოდა. ტყუპი ძმების — ზაალისა და საულის საუბარიც გულისკოვზზე დაეწერა:

— სად მიხვალ, მახარია?

— როდის მოხვალ, მახალიკო?

— რატომ მიხვალ?

— არ შეიძლება ჩვენც წამოვიდეთ შენთან?

— შორს არის ბათუმი?

— რა უნდა გააკეთო ბათუმში?

წამდაუწუმ ეკითხებოდნენ ძმები წასვლის წინ. მახარეს თვითონაც ასეთი კითხვა უტრიალებდა თავში: „რა უნდა გააკეთო ბათუმში?“

დაღმართი, რომელსაც „ჩასარბენს“ ეძახიან სოფლელები, უკან მოუხედავად ჩაირბინა მახარემ. სასოფლო შარას გვერდი აუქცია და საცალფეხო ბილიკს დაადგა. ბილიკი როსტომ ვაშალომიძის სათიბში გადიოდა, შემდეგ მოკლე მანძილით უერთდებოდა სადგურისაკენ მიმავალ გზატკეცილს.

სათიბის მიღმა, ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელ ხეხილებში, მოჩანდა როსტომ ვაშალომიძის ორსართულიანი ოდა. ქვედა სართული ყორექვისაგან იყო ნაშენი საგანგებო კირით. ასეთი ქვის საფუძველს საშვილიშვილოდ თვლიდნენ სოფლელები. ოდას ამშვენებდა წითელი კრამიტის სახურავი, ცისფრად შეღებილი პარმაღი და კარ-ფანჯარა.

მახარე შედგა, გულში უნებლიედ აღეძრა დიას ნახვის სურვილი. „ნეტავი გადმოიხედავდეს მაინც, ან წყაროზე ჩამოირბენდეს“. უკანასკნელად მოიკრებდა მახარე გამბედაობას და ეტყოდა: „შევრიგდეთ დია. განა ასეთი რა გაწყენინე? მშვიდობით მაინც მითხარი, ხომ ხედავ, მივდივარ და არ ვიცი როდის დავბრუნდები“.

დაღონდა მახარე. მთელი არსებით შეიპყრო დიას ნახვის სურვილმა. ვეებერთელა კაკლის ხეს მიეყრდნო; ასწლოვან, დაკოჟრილ ძირებზე ჩამოჯდა. სასაუზმეზე წამოწეულ მზეს გახედა. გურიის მთები ბუმბერაზი კოშკებივით ამართულან ცისა და მიწის შუა. დილის ცინცხალი მზით ნახავერდები თეთრი და ლურჯი არშიებითაა მოსევადებული სომლისა და

ბახმაროს მაღალი მწვერვალები. დაბლა ნატანები და ჟუჟი მოჩხრიალებს. ხერნალში ღაბუა ჩიტები ჟღურტულებენ.

მახარეც ღაბუა ჩიტს ჰგავს ახლა. მომხიბლავი ოცნებით გაბრუებული შორიდან ულოლიავებს დიას, მასთან სიახლოვე ენატრება, ფართოდ გახელილ ცისფერ თვალებში უნდა უცქიროს, მხრებზე დაყრილ ოქროსფერ კულულებს შეავლოს ხელი. უნაზესი და ულამაზესი სიტყვებით მიიქციოს დიას ყურადღება, წარმტაცი აღტაცებით მოუთხროს ცისა და ქვეყნის ამბები, მარტო დიას გადაუშალოს გულის დარდები, მაგრამ სად შესწევს მახარეს გამბედაობა. დღემდე ვერ მოუხერხებია ეთქვა დიასათვის „მიყვარხარ“, გაემხილა დაფარული. ამაოდ გასცქეროდა ვაშალომიძის ეზოს, ოდის პარმაღს და ფანჯარას, არსად ჩანდა დია. ოდის წინ ხბოები ბალახს სძოვდნენ, ალუბლის ძირზე ამობურცულ კვირტებს გლეჯდნენ. ეზოს დაბლა წყარო მოწანწკარებდა, ძირს ეშვებოდა და პატარა რუ მოლიკლიკებდა. რუს ნაპირას, ჭალებში, ბატები და იხვები ფრთებს არხეინად შლიდნენ მზეზე და წყალში ყურყუმალაობდნენ. სათიბში როსტომის ცალრქა გიშერა ძროხა იცოხნებოდა, ცური სავსე ჰქონდა, ეტყობოდა, ჯერ არ მოეწველათ. სამზარეულოში ახლადაბოლებული ცეცხლის კვამლი მსუბუქი ბურუსივით მიმოფანტულიყო ყავრის სახურავზე. სამზარეულოს წინ როსტომის დაი—თებრონე იდგა, მუნჯ გოგოს რაღაცას თითებით ანიშნებდა. მუნჯი ყროყინებდა, მჯილებით იმუქრებოდა და დორბლებსა ყრიდა.

როსტომი გამოვიდა აივანზე საცვლების ამარა და თებრონეს შეუტია:

— რა ამბავია, ვეჟო, ამ დილით ძილი არ მაცალეთ!

— რაღა დროს დილაა. მზემ ცხრა თვალი გაახილა,—წაიბუტბუტა თებრონემ.

დია მაინც არსად ჩანდა. მახარე ფიქრიდან გამოერკვა, საგზალს ხელი დაავლო და გზას გაუდგა. მიდიოდა დაღონებული და ბგონდებოდა განვლილი წლის შემოდგომა, როსტომ ვაშალომიძის სათიბი, სადაც მეზობლის გოგო-ბიჭები თივას აგუნდავებდნენ ორთითებით, ხან სიცილ-ხარხარით აედევნებოდნენ ერთმანეთს. ბიჭები კვანტს გამოსდებდნენ გოგოებს და მოგუნდავებულ თივაში ჩაგორდებოდნენ. შემოდგომის ნელ-

თბილი ბორიო უბერავდა მაშინ. საამო სურნელი იდგა ხმელი ბალახისა. ჩამავალი მზე ზღვის გადაღმა, გადასამზირზე გადამდგარიყო. ჩაყვითლებულ ყანებში კალიები წიოდნენ. ხან მწყერი წამოფრინდებოდა უეცრად და ფრთების შრიალით დავარდებოდა სადღაც ყანის ნაპირას. გოგო-ბიჭების მხიარული კისკისი მთელს მუხუროში გაისმოდა. ბავშვების თამაშობას დია მეთაურობდა. ამიტომ ეს თბილი და საამო საღამო უფრო მეტი სიამოვნებისათვის აღიზიანებდა მახარეს ბავშვურ, მთრთოლვარე გულს, ახალი გრძნობებით ავსებდა მას. უცნაურ სურვილთა ღელვას აყოლილი მახარე ორთითას ტრიალში ჰკლავდა დიასადმი ტრფიალს. შეიძლება თებრონე რომ არ ყოფილიყო იმ დროს მათთან, ორი ლამაზი სიტყვა მაინც ეთქვა დიასათვის.

ყმაწვილებმა ორთითები დაყარეს და აგუნდავებული თივა სიცილ-კისკისით გააქანეს ზვინისაკენ. ბიჭებმა ისევ გამოსდეს გოგოებს კვანტი და ტკრციალით ჩაგორდნენ თივაში. აი, ამ დროს უნებლიეთ მოხდა ის, რამაც უსიტყვოდ დააშორა დია და მახარე ერთმანეთს. თივაში ჩაგორების დროს მახარემ მოულოდნელად აკოცა დიას ტუჩებში. არავის არ შეუნიშნავს ეს. მხოლოდ დია წამოხტა ალეწილ და შურდულივით გაფრინდა შინისაკენ.

ბავშვები დაიშალნენ.

შეღამებული იყო.

მახარე დიდხანს იდგა ღობესთან გარინდებული. გული საგულეში აღარ უდგებოდა, ფრთხიალებდა, კანკალებდა, თითქოს ამოვარდნას აპირებდა. არაფერი არ უნდოდა ახლა მახარეს, გარდა იმისა, რომ თებრონეს არ გაეგო ის, რაც მან ჩაიდინა და არ აეტეხა ერთი დავიდარაბა. თანაც გრძნობდა: დია აღარ მოვიდოდა აწ სათიბში სათამაშოდ, მახარეც ვეღარ შესდგამდა ფეხს ვაშალომიძის ეზოში, რა პირით უნდა სჩვენებოდა დიას? ერთი რამ კი სიხარულივით ციმციმებდა მახარეს გულში: ამაღამ დიაც არ დაიძინებდა მშვიდად.

ვინ იცის, იქნებ დიასაც გაურბინა ტანში მახარესადმი თანაგრძნობის სურვილმა და ერთი პაწაწკინტელა ნაპერწკალი მაინც გაკრა მის გულში? მახარემ ხომ აგრძნობინა რის ქმაც უნდოდა. იქნებ დია კიდეც მიუხვდა მახარეს გულს?

ასე ფიქრობდა ღობესთან გაქვავებული მახარე, როცა მამის ყვირილი შემოესმა:

— ბიჭო, მახარია, შე ოჯახკეტიანო, აღარ ფიქრობ შინ მოსვლას?!

მახარემ მაღლა აიხედა. მართლაც, კარგა ხანი გასულიყო. მთებში ამოსული მთვარის ნახევარი დისკო ბაჯაღლო ოქროს ნატეხივით კიაფობდა. აქა-იქ ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ყვითელ ყანებს მთის ბორიო აფორიაქებდა, გაღეღილ ხალათში უძვრებოდა მახარეს და ბავშვს ეჩვენებოდა: თითქოს დიას თითები ტორტმანობდნენ მის უბეში.. ყმაწვილის გული სიხარულით ივსებოდა, უტკბესი სასოების კალთა დაეფარებინა მახარესათვის ამაღამდელ ღამეს.

განმეორდება ნეტავი ოდესმე ასეთი ღამე მახარესათვის?

„გარდასული ჟამი არ დაბრუნდება... არ დაბრუნდება“... მოსძახოდა იდუმალი ხმა.

...მიდის მახარე განვლილ დღეთა მოგონებით დამძიმებული. ვინ იცის საით გადასჩეხს ბედის ტრიალი.

მიდის შუა ტყეში, კეცავს სადგურის შარას. სასიამოვნოა გაზაფხულზე ტყის ნეშოების სუნი. ლამაზია ზამთრის შემდეგ ახლადგამოღვიძებული ტყე. ხერნალში ისევ ჟღურტულებენ ჩიტები. კორდებზე ბაიებს დაუჭყლეტიათ მწიური თვალები. ბუჩქებში ლურჯი იები აყუყუნებულან. ყველაფერი მომჯადოებელი გამხდარა მახარეს გარშემო. ბუნების უამრავი სახეები მიაცილებენ ამ დილით მახარეს. წინ უცნობი ქალაქი ესახება, თან მშობლიური ტკბილი კერა მოსტირის.

აი, სადგურიც.

მახარემ შორიდან დაინახა მოფუსფუსე ხალხი. სადგურის უკან დანჯღრეული დილიჟანსები და ეტლები იდგნენ, მატარებლის მოსვლას ელოდებოდნენ. სადგურის გვერდით ხალხი შექუჩებულიყო, რაღაც სანახაობას მისეოდნენ.

— რას ეხვევა ეს ხალხი?—ჰკითხა მახარემ უკანმდგომ მის ტოლ ბიჭს.

— თუთიყუშია, ბიჭო, ერთი აბაზი თუ გაქვს, ჩაუგდე ქუდში და ბედის წერილს მოგცემს, აი, ამისთანას!

ამოიღო ჯიბიდან პატარა ნაჭერი ქაღალდი, სადაც ყვითე-

ლი ასოებით იყო აღბეჭდილი: „ნუ ეძებ სიყვარულს, ის თავისთავად მოვა“.

მახარეს არ ენახა თუთიყუში, რა იცოდა რა ფრინველი იყო ასეთი საოცარი, კაპასი ქალივით რომ ჩხაოდა გაზეპირებულ სიტყვას: „ბედის წერილი... ბედის წერილი“... და მისალმების ნიშნად თავს უკანტურებდა ყველას.

მახარემ ხელების ფათურით გაარღვია ბრბო. ძლივს მიუახლოვდა უწვერულვაშო, მზისგან დამწვარ ყეყეჩს, რომელსაც ჭრელი, ლამაზი ფრინველი დაესვა მკლავზე, ცალ ხელში ფართო ჩალის ქუდი დაეჭირა—პატარ-პატარა ნაბეჭდი ქაღალდებით სავსე. მახარემ ამოიღო ჯიბიდან აბაზიანი და ჩაუგდო ქუდში. ყეყეჩმა თავისებურად უთხრა რაღაც უცნაურ ფრინველს. თუთიყუშმა ჩვეულებრივად დაუკანტურა თავი მახარეს და ადამიანის მსგავსად დაიჩხავლა: „ბედის წერილი“, იჩქითად გაქექა ქაღალდები, ნისკარტით გამოაძვრინა ქვემოდან ერთი ანაბეჭდი და გაუწოდა ყმაწვილს. მახარემ წაიკითხა: „სატრფოს გულის მოსაგებად ვაჟკაცობა გმართებს დიდი“. გაუკვირდა: „რა მისანი არის ეგ ჩიტი! ჩიტი კი არა, ბრძენი ყოფილა. როგორ გამოიცნო ჩემი გულის დარდი, რა თილისმა აქვს ასეთი?“

უნდოდა კიდევ გაეწირა ერთი აბაზი, მაგრამ მატარებელი ჩამოდგა სადგურში. ყველანი იქითკენ გაქანდნენ ჯახაჯუხით.

რამდენიმე წუთის შემდეგ მახარე ვაგონის ფანჯარასთან ატუზული ხარბად გასცქეროდა თვალწინ მქროლავ ბაღებს, პალმებსა და კიპარისებს. მიქროდა მატარებელი. მის ბავშვურ, მთრთოლვარე გულს სათუთად ატოკებდა ბედის წერილი: „სატრფოს გულის მოსაგებად ვაჟკაცობა გმართებს დიდი“...

ჩხავერის ღვინო

უდროოდ დაქვრივდა როსტომ ვაშალომიძე. მამაპაპურ ოჯახს გამოეცალა დედა-ქალი. პატარა დია დარჩა ობლად. როსტომმა არ მოისურვა მეორედ დაქორწინება. რა არ იღონა თებრონემ, მაგრამ ამაოდ. როსტომმა საბოლოოდ უარი თქვა მეორე ცოლის შერთვაზე.

— ხომ არ მამასხარავებ დაო? განგებამ ერთი ხურჯინი მომხსნა ზურგიდან, ახლა შენ გინდა მეორე ამკიდო?

— აბა, ქვეყანამ შენზე უნდა ილაყბოს, აზნაური ვაშალომიძე გადასულიაო?—შეუტია თებრონეს.—საგვარეულოშიაც აღარავინ გვრჩება გვარის გამგრძობი. დია სხვისი ნაცარია. ეგეც რომ არ იყოს, ამხელა ოჯახს მოვლა უნდა ძამია.

— დიაც შენია და ეს ოჯახიც, ჩემო დაო, დაჯექი და იპარპაშე. მადლობა ღმერთს, იმდენი მამული მაინც მოეპოვება როსტომ ვაშალომიძეს, რომ საყოფი მჭადი თავის შეუწუხებლად შემოგივა შინ. სხვა აზნაურებს ეგეც არა აქვთ. ქუთაისის ბანკმა გააღატაკა ჩვენი აზნაურობა. ლამის ჩარჩები დაეუფლონ ჩვენი მოგვარეების ისედაც მცირე მიწა-წყალს. ჩვენ ჯერჯერობით ეს არ დაგვმართია. ამიერიდან შენთვის მომინდვია, დაო, ოჯახიც, მამულიც და დიაც.

ასეთი სიტყვებით გამოემშვიდობა როსტომ ვაშალომიძე თებრონეს, შემოიწყო ზურგზე ხელები და გაუდგა გზას დროს სატარებლად.

ბაილეთიდან ოზურგეთამდე სულ რამდენიმე კილომეტრია. გადაივლის როსტომი მდინარე ნატანების ხიდს და აი, ოზურგეთიც — გურიის სამაზრო ქალაქი. ვინ გინდათ აქ არ ნახოთ: მთელი გურიის თავადობას იქ მოეყარა თავი—გურიელი, ნაკაშიძე, თავდგირიძე, გუგუნავა, ერისთავი, მაჭუტაძე და მაქსიმელიშვილი. თავადებს თან ახლავთ მათი ამფსონები—აზნაურობა, ვისაც ენა უჭრის, ვინც კამათლებს მოხდენილად აგორებს, ვისაც შნო აქვს უსაქმური მანდილოსნები მთქნარებას გადააჩვიოს, ვისაც კარგი მწევარი ჰყავს, ან კარგი მიმინო.

როსტომი გამოვა სობორის წინ, ასწევს ცხვირს ზევით და იმდენ ჰაერს შეიყნოსავს, რომ უსათუოდ გაიგებს, სად იწვის ქათამი და სად ხაჭაპური ცხვება. დიასახლისებთან იგი „შინაური კაცია“. ერთის ძმაა, მეორესი ძმობილი, მესამესი ნათლია, სხვების მამიდაშვილი და ასე: არ გამოელევა ნათესავის-ნათესავი, ან მეგობრის-მეგობარი, ან ძმობილის-ძმობილი, კამათლები რაა! დასჭყივლებს—„დუშაშ“ და დასვამს კიდეც. სხვა რა უკეთებია თავის დღეში!

ხალხში ახირებული თავის დაჭერა იცის როსტომმა. მის

უმდაბლესს ისე დაიბრიყვებს, რომ მიწასთან გაასწორებს, მის თანაბართან თანაბარია, უმაღლესთან ფინიაა ნამდვილი. როსტომის დანახვა რომელიმე თავადის, ან მოხელის გვერდით, უნებლიედ მოგაგონებდათ იმხანად გავრცელებულ აკაკის ლექსს: „ქუცი, ქუცი, შე საბრალო მურია...“

მართალია, როსტომს არც „შიოდა“ და არც „სწყუროდა“; ოჯახში გაუთხოვრად დაბერებული თებრონეს წყალობით ჯერ კიდევ მოეპოვებოდა მჭადი, ადესის ღვინო, ჭყინტი ყველი და მწვანილი.

დილით დაამზადებდა თებრონე საუზმეს, ჩამოჯდებოდა სამზარეულოს კარზე და ელოდებოდა როსტომის აბრძანებას როსტომი დაიბანდა ხელპირს თუ არა, იმწამსვე ჩოხაში გაუყრიდა მკლავს წასასვლელად.

— რა ამბავია, ადამიანო, სასამართლოში ხომ არ ხარ დაბარებული, საუზმე მაინც მიირთვი შინ,—უსაყვედურებდა თებრონე. როსტომი ხან მჭადის ქერქს მოიტეხდა, ხან ერთ სასმისს არაყს დალევდა.

— შენი ხათრი, დაო, თორემ, რა ფაიდაა ბეღელში შემონახულის ჭამა, უმჯობესია სხვისი ნამზადი მივირთვა. ნუ გეშინია. როსტომი მშიერი არ არის,—გადაიხარხარებდა როსტომი.

თებრონე ნაწყენი გააყოლებდა თვალს ძმას,—უყვარდა „ერთი კაკალი ძმა“ (ასე იფიცებდა). მერმე თვითონაც შეეჩვია როსტომის არყოფნას შინ, სადილსაც აღარ ამზადებდა ძმისათვის.

როსტომს იშვიათად ნახავდით სახლში. ხან იმდენ ხანს დაიგვიანებდა, რომ ძაღლიც კი შეუყეფდა ეზოში შემოსულ პატრონს.

იგი ხან ლევან გურიელს დაყვებოდა მხარდამხარ, ხან მაზრის უფროსს—ლაზარენკოს მისდევდა კუდში. ჩაფრების ცხენზე გადამჯდარი, ხან ქალებში დაღლაბუცობდა: ნინო დადიანს კაბის შლეიფს დაუჭერდა და შინ მიაცილებდა, კარებში ქოლგას და მოსასხამს ჩამოართმევდა. ნინოს არ აკვირვებდა ვაშალომიძის თავმდაბლობა. ნინოსთვის გუბერნატორიც „პატარა“ კაცია. როსტომი ვინ გდია! მეტი რა მოხელეა: ქოლგას დაუჭერს, მოსასხამს მოხდის, შლეიფს აუკეცავს, ცხვირსახოცი დაუვარდება და მიაწვდის. თუ არ დაუვარდა,

განგებ დააგდებს, უხარია, როცა როსტომის სისწრაფეზე აცინებს სხვებს.

ნინოს ერთ დღეს, მოულოდნელად, ქუთაისიდან გუბერნატორი სმაგინი ეწვია. მოახსენეს—გუბერნატორი მობრძანდაო.

თავადის ასულს ჩვეულებად ჰქონდა, როცა მოსამსახურე მოახსენებდა: ესა და ეს მობრძანდაო, უთუოდ ჩაილაპარაკებდა ვიღაცისთვის გასაგონად: დიდი ვინმე კი მობრძანებულაო. ახლაც გაიმეორა მისთვის ჩვეული სიტყვა, გადაიკისკისა და ბრძანა:—გაუღეთ კარი.

ნინოს, ესე გურიელის ქვრივს, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დადიანის ასულს, არ გაჰკვირვებია გუბერნატორის დარბაზობა.

გუბერნატორი მობრძანდა? დიდი ვინმე კი მობრძანებულაო,—ამბობს და, როგორც ქალი ყიფი და მედიდური, კეკლუცად ისწორებს ლეჩაქს აფხაზურ ყაიდაზე. თითებში კაკლისოდენა ქარვის კრიალოსანს ათამაშებს.

როსტომი ფეხის ცერებზე დგას. სტუმრების მოსაპატიჟებლად გარბი-გამორბის დადიანის ასულის ბრძანებით.

ლევან გურიელი გუბერნატორს ემასლაათება სადარბაზო ოთახში. სადარბაზო ოთახი დიდია, ცხენი გაჭენდება შიგ, რომ იტყვიან, ერთ კედელს მთლიანად ფარავს ძველებური ირანული ხალიჩა, გემოვნებით ნახელავი. თვალს იზიდავს ლამაზი პეიზაჟები: მთებში ამოწვერილი მზე ოქროსფრად მოჰფენია ათასნაირი ყვავილებით მოჩუქურთმებულ ტყეს. მაძებარს ირემი გამოუგდია ბილიკზე, მონადირე თოფს უმიზნებს. ახალგაზრდა ქალს სურა უჭირავს ხელში და ტაატით ჩადის წყაროზე, ოდნავ შემკრთალი მისჩერებია ირემს. გრძელი წარბები შოლტივით გადაუღვენთავს მაღალ შუბლზე. ვერ გაიგებ, უხარია მონადირის გამარჯვება, თუ სწყინს ირმის სიკვდილი. ერთი კია: სიბრალული არ კრთის მის გიშერივით შავს თვალებში. შეიძლება გრძელი და ხშირი წამწამები ფარავდეს საიდუმლოებას.

გურიელის საგვარეულო სასახლიდან სხვა აღარაფერი დარჩენილა, გარდა ამ ხალიჩისა. ხალიჩის პირდაპირ, მეორე კედელზე, ვეებერთელა კედლის სარკეა მიკრული, საიდანაც უფრო ვრცლად მოჩანს იგივე ტყე, ნახატები და პეიზაჟები.

ფანჯარაზე გამჭვირვალე ფარდები ჰკიდია. ჭერზე მრავალსანთლიანი წმინდა ბროლის ჭაღი იქცევს ყურადღებას. ტიტველ კედლებთან სელის სკამებია ჩამწკრივებული. დარბაზის ერთ მხარეს წითელი ხის რბილი სავარძელი დგას. მეორე მხარეს—დიდი, მრგვალი მაგიდა, რომელიც დარბაზის მთელ სიგრძეზე იშლება. საპატიო სტუმარი რომ მოვა, მაშინ შლიან ამ მაგიდას და დაბლა სართულში არ ჩადიან სასადილოდ. ასეთი უბრალო და სადაა სადარბაზო ოთახის მორთულობა—განის კარიდან მოსჩანს ყოფილი საერობო ყარაულის, აწ გარდაცვლილი ესე გურიელის კაბინეტი. კედელზე ჰკიდია ირმის რქები, შვლის ნუკრის ფიტული, ოქროთი მოქედილი ქამარ-ხანჯალი ესე გურიელისა, გრძელლულიანი თოფი, პაპის-პაპისეული ფარი და ჩაჩქანი, მოვერცხლილი ლაგამ-აბჯარი, ოქროსვადიანი ხმალი, ვერცხლის სათუთუნე, სპილოს ძვლის გრძელტარიანი ყალიონი და მათარა, წყვილი მოვერცხლილი ყანწი. ამ ოთახს კაცი ხელს ვერ ახლებს. ასეთია დადიანის ასულის ბრძანება.

როცა სადარბაზო ოთახში შედიხართ, ერთ-ერთ კუთხეში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმულ ღვთისმშობლის ხატს. ესე გურიელი წარმართის თვალით უცქეროდა ამ ხატს. ლევან ესეს ძისთვის კი სულერთია, ხატია თუ კედელი იქ. ღვთისმშობლის ხატს „ლამაზი ქალის“ სურათს ეძახის და ხარხარებს. სმაგინი შემოსვლისთანავე მივიდა ხატთან და მოწიწებით ემთხვია. ლევანმა ულვაში მოიკვნიტა, ან ფარისეველია ან ტუტუციო—გაიფიქრა.

როცა დადიანის ასული სამზარეულოსაკენ გაემართა შლეიფის შრიალით, სმაგინი ესე გურიელის კაბინეტს ათვალიერებდა. ნიკაპმოპარსული და ულვაშაწკეპილი მოხელე ცდილობდა ჯეროვანი სიტყვები წარმოეთქვა მასპინძლის პატივსაცემად. ხან ოქროს ხმალს სინჯავდა, ხან გრძელლულიან თოფს ატრიალებდა. მერე ხანჯალი ამოაგო ქარქაშიდან, ბასრი პირი მოეწონა, შეაქო: ხორასნის რკინა არისო ნამდვილი. ლევანმა თავმომწონედ მოახსენა, რომ ეს ხანჯალი მისი პაპის—გურიის უკანასკნელი მთავრის ნაქონი იყო. ხონთქარს მოერთმია მისთვის საჩუქრად. ოქროთი მოზარნიშებულ ვერცხლის ქარქაშზე კაკლისოდენა სამი იაგუნდის თვალი იჯდა.

უკანა მხრიდან, ქარქაშზე, სპარსულად იყო რაღაც წარწერა. ლევანი ვარაუდით ამბობდა: ალბათ სპარსელმა ვაჭრებმა თუ მოართვაო ხონთქარს ეს სატევარი. ბატონი გუბერნატორი ეთანხმებოდა: ასე იქნებოდაო უთუოდ, ხორასნის რკინა სპარსეთში მზადდებოდაო. მერმე ლევან ესეს ძემ ნადირობის შესახებ მოუთხრო სტუმარს, აქო საერობო ყარაულის უფროსის ვაჟკაცობა.

— მამაჩემმა ერთხელ პირდაპირ სასწაული მოახდინა ამ სატევრით. ნადირობა ყველას არ შეუძლია, ბატონო, ნადირობა ერთგვარი ვაჟკაცობაა. მამაჩემი ჩინებული მონადირე იყო. არაერთხელ აუგია ამ ხანჯლის წვერზე ნადირი. ერთხელ გარეულ ტახს შეუტია, დინგზე დაჰკრა და ეშვი მოსტეხა. ტახი დაბარბაცდა. ათმა კაცმა ძლივს ასწია. საუკეთესო სალანჩე კანი ჰქონდა. ერთი მტკაველი ქონი ედო კინჩხზე...

ლევანმა მზერა შეაპარა სმაგინის მხრებში ჩარგულ სქელ კისერს. კინაღამ წამოცდა: „თქვენსავითო“ და გაეღიმა ცვლისფერი სახე აენთო. ისევ ულვაშს დაუწყო წიწკნა. ახირებული სიცილი მოუნდა.

— თქვენო აღმატებულებავ, გურიელების ტყეები სავსე იყო სიმდიდრით, წიწიბო, გარეული თხილი, წაბლი გამოულეველი, პანტა, ძირტკბილა და სხვა, რაც ძალიან ასუქებს ღორს. ახლა საგრძნობლად გამოიფიტა ჩვენი ტყეები. რკინიგზის გაყვანამ უდაბური ტყეებიც კი გააჩანაგა. ტყის მობინადრეებმა მთებს მიაშურეს. ამიტომ ამ ბოლო ხანებში გურიაში გაძნელდა ნადირობა, განსაკუთრებით დათვზე. გარეული ღორიც ძნელი საპოვნელი გახდა. მთებში ნადირობა სახიფათოა. ჭალებშიაც, სადაც გარეული ფრინველები ბლომად ბუდობენ, არა ვართ დაზღვეული თავდასხმისაგან, ფირალებმა აგვიკლეს, თქვენო აღმატებულებავ.

სმაგინს გაეხარდა ფირალების ხსენება. სწორედ ამ საგანზე უნდოდა საუბრის ჩამოგდება.

— განსვენებული მამათქვენის სიცოცხლეში, როგორც გადმომცეს, ფირალები ფეხს ვერ დგამდნენ გურიაში.

— მამაჩემი ფირალების რისხვა იყო, ვაჟკაცობით განთქმული სისონა დარჩია მამაჩემმა ჩააძაღლა. ამ იშვიათი ფირალის მოკვლის დროს მეც ვახლდი მამაჩემს. მაშინ დავიჭერი.

— მაგისთვის მიიღეთ იუნკრის ჩინი?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ. მაგრამ მაინც რა გამოვიდა, მეორე წელს მეორე განთქმულმა ფირალმა—ივანე მეხუზლამ ისევ აიკლო გურია.

— მახსოვს, ის მგონი, მოხალისეთა რაზმის ოფიცერმა გარდაფხაძემ მოჰკლა.

— დიახ, გარდაფხაძემ წარმატება მიიღო მეხუზლას მოკვლაში და...

ლევანმა წარბები შეიკრა. ქერა ოფიცრის ხსენებამ უსიამოვნო გუნებაზე დააყენა. მოაგონდა კატო გურიელი. ლევანს სირცხვილად მიაჩნდა: გურიელის ქალმა როგორ გაუყადრაო თავი ვიღაც მოთრეულ სვანს და ქალაქის თავს, თავდგირიძეს, ზურგი შეაქციაო.

ამ დროს დარბაზში ნინო შემობრუნდა სამზარეულოდან.

ლევანმა დედინაცვალს შეაჩეჩა საპატიო სტუმარი და დერეფანში გავიდა ბრაზის გასაქარვებლად.

საპატიო სუფრა გაიშალა დარბაზში. როსტომმა ელვასავით დაურბინა პატარა ქალაქის „წარჩინებულთ". სასწრაფოდ შეიკრიბნენ სანადიმოდ მოწვეული პირები. დადიანის ასულმა მოისურვა განსაკუთრებული პატივი ეცა სადარბაზოდ მობრძანებულ გუბერნატორს. რაც რამ კარგი შემოვა სუფრაზე თავის ხელით მიართმევს საპატიო სტუმარს. თუმცა რუსული არ ეხერხება ნინოს, მაგრამ თითო-ორორ სიტყვას მაინც წამოისვრის, თან სიცილით ეუბნება: „თქვენც უნდა ისწავლოთ, ბატონო, ქართული, საქართველოში ბრძანდებით"...

სმაგინი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. თარჯიმანები უთარგმნიან ნინოს: გუბერნატორი ამბობს—უსათუოდ ვისწავლიო ქართულს.

— კარგი, მაშ მეც ვისწავლი რუსულს.

იცინის ნინო და უეცრად გაისმა სუფრაზე: „ხო... ხო... ხო"...

— სწორედ საგუბერნატოროა, ბა-ტო-ნო...—ზვიადად წარმოთქვა ქალაქის თავმა თავდგირიძემ. გამოჩნდა მსახური ვეებერთელა ლანგარით ხელში. სახსრებში წესიერად დაეჭრათ შემწვარი გოჭი. გოჭის ხახაში ქორფა მწვანილი ჩაეტენათ. გოჭის სიწითლე თითქოს ლაქიასაც მოჰკიდებოდა სახეზე. პირდაპირ დიასახლისს მიართვა (ასე ჰქონდა შემოღებული

წესად დადიანის ასულს). ნინომ კეკლუცად გადმოიღო გოჭის თავი და დიდი პატივისცემით გადააწოდა სმაგინს.

— კუშაი, სვინია, ეიბოღუ ვკუსნი!

სუფრაზე უეცარი უხერხულობა შეიქმნა. ზოგს ხმა ჩაუწყდა, ზოგს ყელი ჩაუხრინწიანდა, ზოგი გაყვითლდა, ზოგი გამწვანდა. „რა მოხდა?"—არ გამოეპარა ნინოს თვალს სუფრაზე შექმნილი უხერხულობა. ხოლო, როცა აუხსნეს მახლობლებმა, ცუდი რუსული გამოვიდაო, ნირი არ წაუხდა გურიელის ქვრივს, ყიფად და ეშხიანად გაუცინა გუბერნატორს და ბოდიში გამოსთხოვა.

წამოდგა მაღალი, გამხდარი, ოდნავ მხრებში მოხრილი შუახნის კაცი—ლევან ესეს ძე გურიელი, ღვინისფერი ჩოხის სახელოები გადაიკეცა და ბატონი გუბერნატორის სადღეგრძელო, თამადის უბოდიშოდ, ყანწით შესვა, უმდაბლესი ერთგულება გამოთქვა ხელმწიფის მიმართ.

— ალავერდი!—გადასძახა გურიელმა სუფრის თავიდან სუფრის ბოლოზე ნახევრად ცერებზე შემდგარ როსტომ ვაშალომიძეს. ლევანი სუფრაზე მსხდომთა შორის თავისი აზრების მეინახედ როსტომ ვაშალომიძეს სთვლიდა. დარბაზში ორმოცამდე ქალი და კაცი იჯდა. როსტომს იმწამს მახვილი სიტყვისათვის არ ეცალა, მოხალისეთა რაზმის ოფიცერ გარდაფხაძის რომანზე ეჩურჩულებოდა რაღაცას კატო გურიელს. კატოს სწყინდა, რატომ გარდაფხაძე არ იყო სადილად მოწვეული. უგუნებოდ იჯდა სუფრაზე.

როსტომმა უმდაბლესი თავის მოდრეკით შესვა სმაგინის სადღეგრძელო. ჩხავერის ღვინით სავსე ყანწი ნიკოკია თაყაიშვილს გადაუგზავნა. ლევანმა გაიღიმა და გვერდით მჯდომ მაზრის უფროსს — ლაზარენკოს მხარი გაჰკრა:

— ხედავ, რა ეშმაკია როსტომი? ეს ხრონწი არამზადა განგებ აიძულა... ხომ გეუბნებოდი: ბოქაულობა შეფერის ამ აზნაურს-მეთქი.

ლაზარენკომ ულვაშში ჩაიცინა, მკლავი მკლავზე გაუხახუნა გურიელს და სიტყვა გაუბა:

— ეს აზნაური, თავადო, თქვენთვის უფრო გამოსადეგი იქნება საიდუმლო საქმეებისათვის. თქვენ ხომ ოლქის ური-

ადნიკი უნდა გახდეთ ჩქარა. მთელი ბათუმის ოლქი თქვენს განკარგულებაში იქნება. სანდო კაცი დაგჭირდება.

ლევან ესეს ძეს ენიშნა მაზრის უფროსის რჩევა. მართლაც. როსტომზე მახლობელი ვინღა უნდა ნახოს? კარგი მწევარია. გაიფიქრა, დაენანა, რად წარმოვთქვი სისულელეო.

როსტომ ვაშალომიძეს წვრილი თვალები მოეწკურა. ზურგით მისწოლოდა სავარძელს. რაღაც იდუმალებით უსმენდა ნიკოკია თაყაიშვილის ობობას ქსელივით გაბმულ „რეჩს". თაყაიშვილი ჭირის ოფლში იწურებოდა. როსტომი გულში იცინოდა მის უილაჯობაზე.

თაყაიშვილი ისევ ალთაბალთას ედებოდა. ბოლოს აკაკის ლექსი მოიშველია და როგორც იყო შეაკოწიწა ორი სიტყვა:

— ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ სამშობლოში ვინც მობრძანებულა, ყველა მოხიბლულა ჩვენი ქვეყნის სილამაზით — დაამთავრა და უცებ სტუმართმოყვარეობაზე გადავიდა. ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ერთი ძველთაძველი ხალხური ლექსი მოაგონდა. ყანწი ზევით ასწია. ამ ლექსის მოგონებით აღფრთოვანებულმა, მოტვლეპილ შუბლზე ერთხელ კიდევ გადაისვა ცხვირსახოცი, ერთხელ კიდევ მოიწურა სიმწრის ოფლი, მერე ბებრული ჩახერგილი ხმით მაღალფარდოვნად დაიწყო:

ნეტავი ჩემი სასახლე მაღლა მთაზედა ამეგო.
გამვლელ და გამომვლელისთვის ყოველდღე კარი გამეღო,
რაც მეშოვნა და მეპოვნა სულ...

აქ შედგა ნიკოკია, ჩაახველა და ყანწი პირისაკენ წაიღო. ლექსი კი ასე ბოლოვდებოდა: „სულ ღარიბებზე გადმეგო". მაგრამ ნიკოკია უკანასკნელ სიტყვებს თვითონ არ იზიარებდა, სხვისთვის რა ეშმაკად უნდოდა.

ჩხავერის ღვინით აშუშხუნებული ყანწი ივანე ჯაყელს მიართვა, ძლივს ამოისუნთქა ბებერმა ახმახმა. სავარძელზე ისე მძიმედ დაეშვა, თითქოს აღარ აპირებდა ადგომას.

წამოდგა ნააზნაურალი, ადვოკატი ივანე ჯაყელი. რუსული ენა კარგად ეხერხებოდა. ყანწი ასწია.

— თქვენო აღმატებულებავ,—დაიწყო ჯერ დაბალი ხმით და მერე მიყვა ზევით, ბოლოს მაღლა ჭერამდე გაიჟღენთა. დარბაზი ივანეს ხმით. გადმოშალა და გადმოაფრქვია ერეკლე

შეფის ტრაქტატიდან—ასი წლის მანძილზე თუ რამდენ ომში მიუღია მონაწილეობა საქართველოს თავადაზნაურობას რუსის ხელმწიფის სადიდებლად, სად კავკასიის მთებს მიადგა, სად მთავარმართებელ პასკევიჩს გადასწვდა, სად ჰაჯიმურატის მოჭრილი თავი ააგორა. აქ შამილი ახსენა, იქ პუშკინს წამოავლო ხელი, არც ორბელიანები მიატოვა უყურადღებოდ. ბოლოს ისევ გურიის თავადაზნაურობას დაუბრუნდა, ყარსარდაგანს გადახედა და ჩოლოქის პირზე დაეშვა. თურქებთან გამართულ უკანასკნელ სამოცდაჩვიდმეტ-თვრამეტი წლების ომს შეეხო. აქ ივანესაც ნიკოკიასებურად აუჭიკჭიკდა თავში ლექსის წარმოთქმის სურვილი. გაახსენდა გურიაში ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული ლექსი, ხელმწიფის ომში თავგანწირული მებრძოლის — გრიგოლ ბატონიშვილის სადიდებლად შეთხზული „დვორიანსკაია დრუჟინაში“.

— აი, ბატონო, თუ გნებავთ საბუთი, როგორ იბრძოდა ჩვენი თავადაზნაურობა რუსთ ხელმწიფის ომში,—თქვა და მთელი ძალ-ღონით შეეცადა ლექსში დანთებული ცეცხლი არ ჩაექრო. ნიკოკიას გულის მოსაკლავად ივანემ, მართლაც, ჩინებულად თქვა:

ამ ჩვენს გრიგოლ ბატონიშვილს
თავი უკვდავი ეგონა,
ტყვიები რომ დაუშინეს,
ღომის კაკალი ეგონა.
მკერდს სისხლი გადმომდინარე
წითელი ვარდი ეგონა.
ვეფხვს, სანავარდოდ ტყედ გაჭრილს,
მტრები ჩიტები ეგონა.
ნათელი რომ დაუბნელდა,
მას დაღამება ეგონა.
საფლავში რომ ჩაასვენეს,
თავი ოთახში ეგონა.
დედის მდუღარე ცრემლები
ჟუჟუნა წვიმა ეგონა[1].

---

[1] ეს ლექსი შეთხზულია ჩოლოქზე ბრძოლის დროს, სადაც აღწერილია უშიშარი მეომარი გრიგოლ ბატონიშვილი. მან თავი ისახელა 1877-78 წ.წ. თურქების წინააღმდეგ. ცხრაას ხუთი წლის მოძრაობის დროს ეს ლექსი ჭიათურაში გადავიდა გურიიდან და ხალხმა რევოლუციონერ მერკვილაძეს მიაკუთვნა.

აღტაცებული ტაშის გრიალის შემდეგ, ჯაყელმა მეტად ზვიადად გადაუთარგმნა ლექსის შინაარსი გუბერნატორს. ნიკოკია გაშავდა, ბრაზი ყელში შემოენთო, მაგრამ რა ქნას კაცმა უღონომ? ენა ჩაიგდო თაყაიშვილმა და გულის დასამშვიდებლად გოჭის ძვალს დაუწყო ხვრა.

პლატონ ბერიძეს, ადვოკატს და აზნაურს, არ მოეწონა ჯაყელის სიტყვა.

„რას ატარტალებს უძვლო ენას,—გაიფიქრა,—ბატონ გუბერნატორს ყველანი ბრიყვები ვეგონებით ამ სუფრაზე: განა სმაგინი ისე სულელია, არ იცის რა გვაწუხებს ქართველებს?“ გაცეცხლდა ბერიძე, წამოდგა ჩონჩხადქცეული ბერიკაცი. ყანჩასავით წაგძელებული კისერი კიდევ უფრო წაუგრძელდა, თავში ჩხავერის ღვინო უშხაპუნებდა, გულში დაჩაგრული ქართველი ერის გრძნობა უდუღდა. სავსე ყანწი ალმაცერად ჩამოართვა ჯაყელს და მწარე სიტყვა გადაჰკრა.

ბერიძემ კარგა ხანს ილაპარაკა ქართული კულტურის შესახებ. განსაკუთრებით დაასურათა, თუ როგორ სდევნიდნენ შთელი საუკუნის მანძილზე ქართულ ენას რუსი მოხელეები.

— თქვენო აღმატებულებავ, არც ახლა ვართ უკეთეს პირობებში. ჩვენი გლეხები სასამართლოში თარჯიმანის მეშვეობით ისმენენ მართლმსაჯულების აქტს, — მერე ეროვნულ თავისუფლებაზე ილაპარაკა გაკვრით.. .და უცებ საქართველოს ავტონომია ახსენა. უკანასკნელი სიტყვა პლატონმა გაბედულად წარმოთქვა... და კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა აზარტში შესულს, შეზარხოშებულ ბერიკაცს, მაგრამ ვიღაც მოკეთემ მაგიდის ქვემოდან ისე მაგრად ჰკრა ფეხი წვივზე, რომ უცებ გამოფხიზლდა, მოაგონდა: სიტყვის თავისუფლება არავის მიუცია მისთვის.

სმაგინი მიამიტად იღიმებოდა, თუმცა კარგად ხედავდა, რომ სუფრაზე შეკრებილი საზოგადოება ბერიძეს თანაუგრძნობდა. თვით დადიანის ასულიც სიამოვნებით უსმენდა.

იღიმებოდა მისი აღმატებულება და გულში კი ფიქრობდა: „ვერაფერი გიშველიდა, შე ჯახრიკა ცხენო, დამხრჩვალო ყანჩავ, რომ ლამაზი ცოლი არ გეჯდეს გვერდით“.

ლაზარენკო გამწარებული იწიწკნიდა ულვაშს, ძაღლივით შესცქეროდა თვალებში გუბერნატორს.

ბერიძეს მართლაც მთვარესავით ცოლი ეჯდა გვერდით. ალმასის ბრჭყვიალა ძეძვებით მოქარგული, ხორცისფერი შიფონის კაბა ჩაეცვა იმ დღეს და, მართლაც, საგანგებოდ ჩამოსხმულ ქანდაკებას ჰგავდა. შორიდან უღიმოდა მის აღმატებულებას, ბაგე-კბილს მომხიბლავად აშუქებდა. ლამაზი და ზრდილი ქალები, სხვებიც უსხდნენ სუფრას, მაგრამ ავხორცი რუს ბიუროკრატს მაინც ალვასიზე რჩებოდა თვალი. იქნებ იმიტომ, რომ ბერიკაცის ცოლი იყო.

კატო გურიელი, რომელიც პირველ ლამაზ ქალად ითვლებოდა ოზურგეთში, დღეს რაღაც ვერ იყო გუნებაზე, გარდაფხაძეზე ფიქრებს შეეპყრო.

ლევან ესეს ძე წარბშეკრული იჯდა. დედინაცვლის ბრაზი მოჰკიდებოდა გულზე: „რად შეჰყარა გუბერნატორის წინაშე ეს ჭრელი ხალხი? რისთვის იყო საჭირო ეს გატლეკილი აზნაურები?“ არ მოსწონდა გურიელს მათი გუბერნატორის პირისპირ შეხვედრა. ალბათ კიდევ დიდხანს იქნებოდა ლევანი გოროზ გუნებაზე, რომ ამ დროს არ შეენიშნა სუფრის ბოლოში წყვილი ცარიელი სკამი.

სანამ სმაგინს ქალაქისთავი მობოდიშების მსგავს სიტყვას ეუბნებოდა, კატო გურიელი და როსტომ ვაშალომიძე უკანა კარიდან გაპარულიყვნენ. ლევანმა ულვაშში ჩაიცინა. უცებ წარმოიდგინა კატო გურიელის ცისფერი კაბის შლეიფი და როსტომის ჩანგალივით გრძელი თითები. მაგრამ ამ წამს ცდებოდა ლევანი, შლეიფის მაგიერ კატო გურიელის წერილი ეჭირა ხელში როსტომს და სვანი ოფიცრისაკენ მიეშურებოდა.

ქალაქის თავმა, თავადმა თავდგირიძემ, ყანწი დასცალა, გაავსო და ტოლუმბაშს გადაუგზავნა. თვალი მოავლო სუფრის ბოლოს და კატო გურიელი რომ ვეღარ დაინახა, კაცობიდან მოიშალა. მოაგონდა მეტოქე: მოხალისეთა რაზმის ქერა, მაღალი ოფიცერი, დეზების წკარუნით რომ იცოდა ქალაქის სამმართველოს წინ ჩამოვლა. ძალ-ღონით სავსე, ლოყებღაჟღაჟა ვაჟკაცს უცებ ხვლიკისფერი დაედო — ჩხავერის წვენმა არც ის დაზოგა. გაბრუებული თავდგირიძე უგემურად დაებჯინა სავარძლის ზურგს.

სასოწარკვეთილმა გაწედა კატო გურიელის სკამს. მერე

გვერდით მჯდომ მის მარად მეგობარს და მახლობელს —საშა ერისთავს ხელი დაადო მხარზე და ჩუმად წარმოთქვა ერთი ამოჩემებული ლექსის სტრიქონი: „ნუ შემიბრალებ, თუმცა ვგიჟდები და იმედს მცირეს არავინ მაძლევს“.

საშა ერისთავი კი სიბრალულით უცქეროდა პეტერბურგში უნივერსიტეტდამთავრებულ ახალგაზრდა იურისტს და ოზურგეთის პირველ ქალაქის თავს — თავდგირიძეს. გამოცდილებით გრძნობდა — რა ძნელი იყო ვაჟკაცის გულში აღმოცენებული გაუმართლებელი სიყვარული. ერისთავსაც ღვინო მოჰკიდებოდა. და მძაფრად აგონდებოდა გოგუცა თავდგირიძის ასული. მაგრამ გოგუცა თავდგირიძე ძალიან შორს იყო მისგან. მაინც ხედავდა გიტარაზე დაწყობილ, ქარვისფერ თითებს, მაინც ესმოდა თავდგირიძის ასულის მომხიბვლელი სიმღერა:

„საყვარელო, სადა ხარ და რომელსა მხარესა“...

სუფრის თავში სულ სხვა ამბები ხდებოდა: სმაგინს ხელი გადაედო გურიელის მხარზე და ბათუმის ოლქის უფროსი ურიადნიკის თანამდებობას სთავაზობდა. ლევანიც თანხმობას უცხადებდა.

ჯ ა ჯ ა

— ცარიელი ქვიშნარი ყოფილა ეგ დასაქცევი, — თქვა დაქანცულმა ბეგლარმა. თოხი დერეფნის კუთხეში მიაყუდა და ფაცხის წინ ჩამოჯდა.

— იმდენი გაგვაჯანჯლა იმ ჯაჯამ, აღარც ღირს სამესამედოდ ამ ხრიოკი მიწის აღება,—მიუგო მაკამ, ფაცხაში შევიდა. დაბალი მაგიდა გამოიტანა,—ბაღნები მივაკალით, წელში გაწყდნენ საწყლები, ხუმრობაა იმოდენა ქვების აკრეფა? ჭყიორიანი ზაფხული მაინც იქნებოდეს.

— ღვთის თვალი უფრო კარგად ხედავს, დედაკაცო, ქვეყნის ავ-კარგს. ჩვენ ჭყიორიან ზაფხულს ვნატრობთ, სუფსისპირის მეყანეები—გვალვიან ზაფხულს. ვის გაუგონოს ღმერთმა ?რომელი ერთი შეიწყალოს?

— გაიღიმა ბეგლარმა და გვერდით მოდგმულ აკვანს წაეპოტინა. სულიკოს ფუნთუშა ხელები ამოეძვრინა არტახებიდან, აფათურებდა, კრიალობდა და „ბა-ბა-ბას“, იძახდა

— ღმერთი მონახავს თავის ერთგულს,—გულწრფელად წარმოთქვა მაკამ.

სუფრას მოუსხდნენ.

საულის და ზაალს ეძინათ. მაკა წუხდა, მშივრები არიანო. მთელი დღე ქვების ზიდვისაგან მკლავებმოწყვეტილ ბავშვებს მკვდარივით ჩასძინებოდათ. ჯერ არც ისე შეღამებული იყო. ქათმები სხდებოდნენ ხვეზე, ამიტომ ვერ ისვენებდა მაკა.

— ეგებ შენს ხმაზე გაიღვიძონ კაცო, — არ ასვენებდა ქმარს, — გამიგონია, მშიერ ბაღნებს ჭიები აუღოღდებიანო.

წამოდგა ბეგლარი, მივიდა ბავშვებთან. საული და ზაალი ერთად იწვნენ ლოგინზე. ერთი სიმაღლისანი იყვნენ, არაფრით ერთიმეორისაგან არ განსხვავდებოდნენ, შუაზე გაჭრილ ვაშლივით გავდნენ ერთმანეთს. ბეგლარი დააცქერდა ტყუპებს, მერე ცოლს მიუბრუნდა.

— რა ვუყოთ, ქალო, ამ ბიჭებს? ვეღარ ვარჩევ ერთმანეთისაგან. ალბათ სამი დღე რომ ვერ ნახო, შენც გაგიჭირდება მათი გამოცნობა.

მაკამ გულიანად გაიცინა.

— მე ჩემ შვილებს თვალახვეული ვიცნობ. აბა დააკვირდი კარგად!

ბეგლარი დააკვირდა ბავშვებს.

— ვერაფერ განსხვავებას ვერ ვამჩნევ.

— მარცხენა ყურს ქვევით შეხედე ორთავეს.

— ხა-ხა-ხა... ამას მარტო შენი თვალი თუ დაინახავდა, დედაკაცო, სხვა ვერავინ.

მართლა დედის თვალი თუ შეამჩნევდა: პაწაწინა ქინძისთავისოდენა ნიშანი აჩნდა ზაალს ყურს უკან. ბეგლარმა ხელი მოუთათუნა ბავშვს ლოყაზე.

— გაიღვიძეთ, ბაბაიებო, გაიღვიძეთ,—წარმოთქვა წყნარად და გაშორდა ლოგინს, რაკი ბავშვები არ იღვიძებდნენ. ამ დროს ჭიშკართან რაღაც ხმაური გაისმა. ბეგლარმა გაიხედა: თებრონე მუნჯ გოგოს ლანძღავდა. გოგო საშინელი ყრო-

ყინით ეზოში შემოვარდნილ თეთრ გოჟს მოსდევდა. მაკა თებრონეს მიეგება.

— მობრძანდი, შენი ჭირიმე, დაიმუხლე, ამ გოჟს ჩვენ დავიჭერთ, ვეყო, ნუ ჯავრობთ.

— ავი კაცის მოცემული გოჟიც ავია,—თქვა თებრონემ კვიმატად და ლეღვის ტოტზე შემომჯდარ ჭრელფრთიან ვარიას შეავლო თვალი.

— რა ლამაზი ჯიშის ქათმები გყოლია... ეს ვარიკა მომეცი, თუ ქალი ხარ, დიას წავუყვან. დიას უყვარს ჭრელფრთიანი ქათმები.

მაკას ნემსის ნაჩხვლეტივით ემწვავა თებრონეს სიტყვა. ეს ერთი წყვილი ვარია სათესლედ ჰყავდა. „რაღა მაინცდამაინც სათესლე ქათამს შეასო ამ წყეულმა თვალი“,—გაიფიქრა და არ აყოვნა, მიწვდა ლეღვის ტოტზე ჩამომჯდარ ვარიას, ფრთაში ბურდღა გამოაძრო, ოჯახს დაუბრუნა და ვარია მუნჯ გოგოს მისცა, რომელსაც ცალ ხელში ნადავლი გოჭი ეჭირა. გამხიარულებული თებრონე სიცილ-ქირქილით გაუდგა შარას. მაკა გულდაწყვეტილი დაჯდა აკვანთან.

— ნამდვილი ჯაჯაა ეს ოჯახქორი.

ცეცხლი მოეკიდა ბეგლარს გულზე. თვალი გააყოლა მიმავალ თებრონეს კაბას, კარგი შეკერილი იყო. ცოლისათვის მოუნდა ბეგლარს გულში ისეთი ფერის კაბა. საწყლად შეხედა მაკას.

— ვაშალომიძის მეყანე ვართ, რავა გამეწბილებია ადამიანო! ხომ შეიძლება ჩვენი გაწმენდილი ყანა გაისად სხვას გადასცეს. სარფაც უნდა ვნახოთ და მოთანიც[1] უნდა ვუთხრათ, მეტი რა ჩარა გვაქვს.

თებრონეს მთელი სოფელი ჯაჯას ეძახდა. მართლაც ჯაჯასავით დასტრიალებდა სოფელს, სადაც შეადგამდა ფეხს, უსათუოდ რაიმეს მიასობდა თვალს, ან ქათამს, ან კატას, ან ძაღლს. ცარიელი ხელით შინ არ დაბრუნდებოდა. სოფელში ყველას ეჯავრებოდა თებრონე.

[1] მოთანი — შენდობის მსგავსი.

დიას ოცნება

მახარეს ბათუმში წასვლის ამბავმა დია მეტად დააღონა. შემოდგომიდან გაზაფხულამდე აღარ შეხვედრია დია მახარეს, რომლის ხსენება უნებლიეთ აწითლებდა გოგონას. ამ დილითაც, როცა ამხანაგებმა უთხრეს მახარეს ბათუმში წასვლის ამბავი, უცებ აენთო და გაფითრდა.

„როგორ? მახარე წავიდა? არც დამემშვიდობა". გული დაეცარა, თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მზით გაჩირაღდნებული გარემო უეცრად მღვრიე და ბურუსიანი გახდა დიასათვის, სოფელი უკაცური. გაზაფხულის მინდვრებში ელოდა დია მახარესთან შეხვედრას, შერიგებაზე ოცნებობდა. ვეტყვი: „კოცნა არ გაბედო, მეგობრები ვიყოთ-მეთქი". ახლა გაჰქრა ლამაზი ოცნება—მახარე წავიდა.

დია დგას ფიქრებით გარინდებული. ცამეტი-თოთხმეტი წელი ქალიშვილისათვის თავისივე გრძნობებში წვის ხანაა. მორცხვი მღელვარებით გაჰყურებს დია მომავალ წლებს. ნელ-ნელა შორდება ბავშვურ აღმაფრენას, თითქოს მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადავიდა, აქ იჩქითად გადაიშალა დიას თვალწინ სულ სხვა გარემო. გაჰქრა თივაში გუნდაობა, ხბოებთან კუნტრუში, ყვავილებში პარპაში, პეპლების დევნა. გაჰქრა ლაღი ბავშვობა.

„რად წავიდა მახარე ბათუმში? ალბათ სასწავლებლად, ნასწავლი კაცი უნდა გამოვიდეს, სახელი მოიხვეჭოს".

დიამ თვალი გააყოლა სადგურისაკენ მიმავალ თემშარას. წარმოიდგინა: აი, იქ, შელმართზე, ამოდის უცნობი, ქალაქურად ჩაცმული ახალგაზრდა. ცილინდრი და მოვერცხლილი ხელჯოხი უჭირავს. დინჯი ნაბიჯით უახლოვდება ვაშალომიძის ჭიშკარს.

— ვინ არის ეს კაცი?

— სოფლელს არა ჰგავს.

როსტომი შუბლს მოიჩრდილებს.

თებრონე კარებში გამოდგება.

დია კიბისკენ გაიწევს.

— მახარე!..—წაიჩურჩულებს და სახე აელეწება.

— ვინ მახარეა?—კითხულობს როსტომი გაოცებით.

— ჩვენი მეყანის, ბეგლარის ბიჭი, რავა არ იცი?—შეუტევს თებრონე ძმას.—ღმერთო, დაგელოცა სახელი, —გადაიწერს პირჯვარს,—ქვეყანა რატომ არ დაიქცევა, ბეგლარის ბიჭი კაცს დამსგავსებია.

განათლებულ მახარესთან პირველი შეხვედრის სცენა ასე გამოხატა. დაღონდა დია: „რაზე უნდა ესაუბროს განათლებულ კაცს?"

დიამ მიიხედ-მოიხედა, ოთახში ოთხკუთხა მაგიდას შეავლო თვალი და რა ნახა: ყდა გაცვეთილი ბუნებისკარი, მრავალთა ხელში გამოვლილი „თამარიანი", „მოლა-ნასრედინი" და ერთი-ორი უსათაურო ბროშურა. დიამ „თამარიანი" აიღო, გადაფურცლა და ცისფერი ლენტით ჩანიშნულ ადგილზე გაჩერდა. რამდენჯერმე გაიმეორა ერთი და იგივე: „შენსა ნახვას ვესწრაფოდი, მე სხვა საქმე არ მქონია"...

ადვილი წარმოსადგენია, რა მომხიბლავი იყო იმწამს დიასათვის ეს სტრიქონები. ოცნებას ეთამაშებოდა გოგონა, ეგონა, საიდანღაც, მართლაც, ესმოდა მახარეს ხმა — ნახევრად ბავშვური, ნახევრად ბოხი, რომელიც შალვასებურად ეუბნებოდა: „შენსა ნახვას ვესწრაფოდი"...

* * *

მას აქეთ, რაც როსტომ ვაშალომიძემ ოჯახზე ხელი აიღო, თებრონეს ტკბილი ძილი არ ღირსებია. დღედაღამ ფიქრობდა, როგორ მოეწესრიგებია ოჯახის საქმეები. „მეყანე გლეხებს თავზე უნდა ადგე, მტერ-მოყვარეს ანგარიში უნდა გაუწიო, სტუმარ-მასპინძელს ემსახურო". ყველაფერი ეს დიდ საქმედ ეჩვენებოდა თებრონეს. ყველაფერზე მეტად კი დიას გაჯიუტებული ხასიათი აღელვებდა.

— რა ვქნათ, სწავლა, სწავლაო, რომ დაიკინა ამ გოგომ, რა ვუყოთ ძმაო?—გამწარებული შესჩივლა ერთ დღეს თებრონემ ძმას.

— ვისი ბრალია, ჩემო დაო, ნამეტან თავგასულობას მიაჩვიე და არც ასე ვარგა. სოფლის კლასი დაამთავრა, წერა-კითხვა კარგად იცის, მადლობა ღმერთს თვალტანადობა არ

აკლია, ერთი კარგი სასიძო მოვნახოთ და... ქალს მეტი რა უნდა.

— ამ უპერანგო აზნაურებს ქალი კი არა, ლეკვი არ მიეცემა,—თავისებური ქირქილით თქვა თებრონემ. მერმე დაუმატა:—კარგი იქნება, მდიდარი გოგატაძე რომ წაიყვანდეს რძლად. გლეხია, თორემ, კაი ახალგაზრდაა სწორედ.

თებრონეს აზრი არ იუკადრისა როსტომმა,—ოხერი ოქრო ვის არ მოხიბლავს. ვაშალომიძეს მოაგონდა ოზურგეთში სამსონის კლუბი, ბაქარას მოთამაშეების წინ აჩხრიალებული ოქროს ხუთიანები და თუმნიანები. ოქრომ მოსტაცა როსტომს გული. მზად იყო მცირეწლოვანი ქალიშვილი ახლავე მიეთხოვებია გოგატაძისათვის.

— ამბობენ, ორმოცი ათასი მანეთი ოქრო აქვსო ბანკში.

— კიდევ მეტი,—შეუნთო თებრონემ ცეცხლი,—ორმოც ათასზე რა დააყენებს.

როსტომს მართლაც ჩაუვარდა გულში სასიძოდ გოგატაძის შვილი. მაგრამ დიას გაჯიუტებულმა, აჩემებამ როსტომის სურვილს აჯობა. თებრონე იძულებული გახდა აეკრა ბარგი ოზურგეთისაკენ.

—ვისთან გინდა დააყენო?—ჰკითხა დას როსტომმა.

— ჩემს ნათლიდედასთან.

— მერე თვალი სადღა გავახილო? მე მაღალ საზოგადოებაში ვტრიალებ და ჩემი ქალიშვილი საწყალი ქვრივი დედაკაცის ქოხში დავაყენო?

— ქოხი რატომ არის, ორთვალიანი ოდა აქვს—თეთრად შეღებილი, იატაკგალაქული. ჩვენ კი ამდენი წელიწადია იატაკის გალაქვა ვერ მოგვიხერხებია. რაც შეეხება მაღალ საზოგადოებას, შენი მაღალი საზოგადოება შენთვის დამილოცია. არ მიყვარს სხვის ფეხქვეშ გაგება.

— შენი ნებაა დაო,—დაეთანხმა როსტომი და გაყუჩდა. ამ შემთხვევაში თებრონე მართალი ეჩვენა როსტომს, თუმცა არ სიამოვნებდა დის ჯიუტი ხასიათი.

„თავისი ტოლი ხომ უნდა ყავდეს ადამიანს? ვინმე ხომ უნდა იყოს მისი ტოლი?“—ფიქრობდა როსტომი და ამ უსიამოვნო ფიქრისათვის რომ თავი დაეღწია, დილაადრიან გავი-

და შინიდან. თებრონემ რაიმე საქმის გადაწყვეტა და ასრულება უყოყმანოდ იცოდა.

— დია, მოემზადე, ოღონდ გაფრთხილებ, სირცხვილი არ მაჭამო,—მკვახედ თქვა და ხელად გამოაწყო დიას ბარგი. ერთ ხელში საკმაოდ მოზრდილი კალათი აჰკიდა მუნჯ გოგოს, მეორე ხელში თოკით შეკრული საბანი და ბალიში, კისერზე ორი ფუთა გადმოჰკიდა და გზა უჩვენა. საწყალობლად მიათრევდა ბარგს უიღბლო მუნჯი გოგო, ხვნეშოდა, თავბედს იწყევლიდა.

— გასწი, ნუ აყოვნებ!—პარმაღიდან უყვიროდა თებრონე და რგოლზე აცმულ გასაღებებს აჩხარუნებდა.

დია ცას სწვდებოდა სიხარულით. ხტუნვით მირბოდა ეწერზე. უახლოვდებოდა ოზურგეთს. მის წინ ბედნიერების გზა იშლებოდა. თვალები მზესავით უბრწყინავდა.

აგვისტოს მხურვალე მზე ოქროსფრად დაფენოდა ყანებს. დილის ნიავი მსუბუქად შლიდა ფრთებს. ფოთლები ფაფუკად შრიალებდნენ. დია ხმას არ იღებდა. თებრონე საკუთარ ფიქრებს მისცემოდა: „ვაითუ სახიფათო ნაბიჯი გადამადგმევინა ბაღანამ“,—წუხდა. თან ანგარიშობდა: რამდენი ფქვილი, რამდენი ყველი და სხვა სანოვაგე უნდა მიეტანა დიასთვის. ყველაფრის რიგზე შესრულებას შესძლებდა თუ არა? სწავლის ფულის შეტანაც მეტად უმძიმდა. წიგნებს ფული უნდოდა. ახლა მოსწავლის ფორმა?

მამიდა და ძმისწული ყურადღებას არ აქცევდნენ მუნჯ გოგოს, რა წვალებით მიათრევდა კისერზე გადმოკიდებულ ფუთებს. წელში მოხრილი, დაძაბული ძლივს მიაბიჯებდა, ნატანების ხიდზე მოაგონდა თებრონეს უკან ჩამორჩენილი მუნჯი. შედგა. მუშტის მოღერებით ანიშნა, გადმოადგი ეგ მოსატეხი ფეხიო.

მოედანი

ოზურგეთში, მოედნის გასწვრივ, სადაც ახლა ჭადრებია, ორი საყდარი იყო ამართული. ერთი რუსული, სამხედრო, ხოლო მეორე—ქართული, რომლის გუმბათი გურიელების

ისტორიულ ციხეს გასცქეროდა. იქ ხელმწიფის ჯარი იყო დაბანაკებული.

ამ საყდრების შესახებ ახალგაზრდებს აღარაფერი ახსოვთ და არც იმ ორიოდე წარჩინებული თავადის საფლავი აგონდებოდათ, გალავანში შემომსვლელთ რომ სჭრიდა თვალს მარმარილოს ძვირფასი ჩუქურთმებით. ხანდახან გამოივლის შორეული, ან მახლობელი ჭაღარა ქალი, ან კაცი, ჩამოჯდება ჭადრებში გამწკრივებულ სკამზე და შვილიშვილებს მოუყვება ძველ ამბებს...

ის იყო შუა წირვის ზარებს ჩამოჰკრეს, როცა თებრონე და დია მიადგნენ საყდრის კარებს.

— ღმერთო, კეთილად წარმართე ჩვენი გზა,—წაიჩურჩულა თებრონემ და სასოებით გამოისახა პირჯვარი.—დია, — მიუბრუნდა გოგონას,—მიდი, აუნთე ხატს სანთელი, ილოცე, კარგი სურვილები ჩაგინერგოს გულში უფალმა.

სირცხვილით აპილპილებულმა დიამ ფეხაკრეფით გაიარა ხალხში, მივიდა მნათესთან, ხურდა ფული დააწყო მაგიდაზე და ორი ღერი თაფლის სანთელი აიღო, წარსდგა ღვთისმშობლის ხატის წინ, პირჯვარი გამოისახა და ჩუმად თქვა:

— ღმერთო, აცხონე დედაჩემის სული...—და როცა მეორე სანთელს ანთებდა, მახარე მოაგონდა. თავის სურვილებზე არც ერთი სიტყვა არ წამოცდენია.

წირვის შემდეგ ჯარის აღლუმი უნდა ჩატარებულიყო მოედანზე. მცხოვრებლები სანახაობაზე მოსულიყვნენ. ჯარისკაცები მწკრივში იდგნენ გაუნძრეველად, პოლკის უფროსს და გენერალს მოელოდნენ. შორს გაისმოდა სამხედრო სასულე ორკესტრის გუგუნი. სობოროს წინ ჯგუფად იდგნენ ქალაქის წარჩინებულნი: მაზრის უფროსი ლაზარენკო, ქალაქის თავი—თავდგირიძე, მომრიგებელი შუამავალი — თავადი ტიფო ნაკაშიძე, მოხალისეთა რაზმის ქერა ოფიცერი, მომრიგებელი მოსამართლე და სხვები. იქვე იყვნენ ადვოკატები—პლატონ ბერიძე და ივანე ჯაყელი. მათ გვერდით იდგნენ მაღალი, წარმოსადეგი ლამაზი ქალები: კატო გურიელი და ელი აბაშიძე. გარდაფხაძეს კატო გურიელის ტრფიალი სწვავდა. მოხალისეთა რაზმის ოფიცერი ვაჟკაცურად იგრეხდა გრძელ ქერა ულვაშს და ისეთნაირად უცქეროდა ახალგაზრდა ბურისტს

თავდგირიძეს, თითქოს ეუბნებოდა: „ერთი ქალაქის თავი კი არა, სამისაც რომ იყო, მაინც არაფერი მარიფათიანი არა ხარ, ტყუილად დაღლაბუცობ... კატო გურიელს ვერავინ წამართმევს... ის ჩემია“. ჩაიმღერა გულში და ღიმილით გადახედა კატოს, რომელიც ეშმაკურად უცინოდა მარჯვნივ მდგომ თავდგირიძეს.

თავდგირიძეს საპატიო ადგილი ეჭირა ქალაქში. იმ ხანად რკინიგზის გაყვანის შესახებ ოზურგეთში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ხალხში და მისგან მოელოდნენ ამ დიდი საქმის მოგვარებას.

ათ წელიწადს გასტანა უცხოელ კაპიტალისტებთან მიწერ-მოწერამ ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის შესახებ, მაინც არაფერი მოხერხდა და რკინიგზა ისევ ოცნებად დარჩა ხალხს. ახლაც ჯაყელი ამის შესახებ ესაუბრებოდა თავდგირიძეს. ჯგუფს ლევან გურიელი აკლდა და, ჰა, ისიც გამოჩნდა. წელწვრილი, მაღალი ვაჟკაცი, მოგრძო სახის, ზევით აშოტილი შავი წარბებით. აგურისფერი, თეთრმასრებიანი ჩოხა უყვარდა ლევანს, ფეხზე—ვიწრო მესტები, თავზე—კრაველის შავი, მაღალი ინგუშური ბოხოხი. ლევანს საოცრად უხდებოდა მამისეული ოქროსვადიანი ხმალი, რომელიც ყაჩაღი სისონა დარჩიას მკვლელობისათვის მიიღო რამდენიმე წლის წინათ „საერობო ყარაულის“ უფროსმა ესე გურიელმა — ლევანის მამამ.

ლევანი მიირხეოდა თავისიანებისაკენ. სამხრეები ამშვენებდა ახლადდანიშნულ ოლქის ურიადნიკს. ლევანს უკან მისდევდა როსტომ ვაშალომიძე, კოხტა მხარბეჭიანი აზნაური, თაგვისფერ ჩოხაზე მარჯვედ შემოერტყა ვერცხლის მოზარნიშებული ქამარი და მოოქროვილი სატევარი. ვაშალომიძეც მესტებში იყო გამოწყობილი. თავზე თეთრი თივთიკის ყაბალახი გადაეგდო ირიბად. ვაშალომიძე კატო გურიელს მიესალმა და მოხერხებულად შეაქო ელი აბაშიძის ჟოლოსფერი კაბა, უკანასკნელ მოდაზე შეკერილი — შემოკლებული შლეიფით, რომლის ქობის არშიები შემოდგომის ფოთლებივით შარიშურობდნენ. ელი აბაშიძეს მეტი ეშხისაგან მარაო დაუვარდა. ბევრი წაეპოტინა ასაღებად, მაგრამ როსტომმა გარდაფხაძესაც აჯობა სისწრაფეში.

ლევან გურიელს გაუხარდა როსტომის სიმარჯვე და ლაზარენკოს ჩაულაპარაკა.

— ხომ ვამბობდი, ბატონო, როსტომს სისწრაფეში ვერავინ სჯობს-მეთქი.

ლაზარენკომ დინჯად ჩაიცინა და გვერდით მდგომ ბოქაულ კვაშალს ხუმრობით ხმალი გადაუდო ფეხებში. შემდეგ დაუმატა:—არც ერთს არ შეგიძლიათ იმდენი ასიამოვნოთ ქალებს, რამდენიც ამ აზნაურს. ნამდვილი ქალების ფარეშია

მოედანზე აღლუმი მიმდინარეობდა. სამხედრო ორკესტრი ისევ გუგუნებდა. რუსული საყდრის მგალობლები „ღმერთო, ფარვიდე მეფეს“ აგრიალებდნენ.

მოედნის გასწვრივ ქუჩაზე გამწკრივებულ ხალხში თებრონე და დია იდგნენ. თებრონემ შორიდან თვალი ჰკიდა როსტომს. გაფითრდა, ძმა რომ მაღალ საზოგადოებაში შენიშნა პირზე მანდილი მიიფარა.

— დია, მამაშენს ხედავ?

დიამ მიიხედ-მოიხედა, ვერ დაინახა მამა.

— სად არის მამა?

— საყდრისკენ გაიხედე, გურიელის გვერდით! წადი თუ გინდა მამასთან.

დიას ლოყები აუწითლდა. უკან დაიხია.

— მე ასეთ საზოგადოებაში თავის დღეში არ გავერევი, მამალი ინდაურივით გაბღინძულან,—თქვა დიამ და თებრონეს ამოეფარა.

დიას ახლოს, კლუბის კართან, რამდენიმე ევროპულად ჩაცმული მასწავლებელი შეგროვილიყო, გაზეთს ათვალიერებდნენ, თან მსჯელობდნენ. დიას ყურადღება ამ ჯგუფმა მიიქცია. ერთ-ერთი მათგანი ლევან გურიელის შესახებ ლაპარაკობდა: „აი, რარიგ დაეცნენ ჩვენი თავადები. გურიელი ოლქის ურიადნიკობას კადრულობს, გარდაფხაძე მოხალისეთა რაზმს დასდევს. ყველა კი ცდილობს, ძალად გააყაჩაღოს ვინმე და საწყალი ყაჩაღის სახელით ჯვარ-მედლები მიიღოს“.

— საძაგლობაა პირდაპირ... ესე გურიელს საუკეთესო მიწები დარჩა. მთელი სუფსის სანაპირო, კახური და ბაილეთი, საუკეთესო სამეურნეო მამულებია.

— სამაგიეროდ „საერობო ყარაულის“ უფროსი მწევარივით დასდევდა ყაჩაღებს.

— უნიათონი არიან ჩვენი თავადები. მათ კარგად ეხერხებათ გლეხის ნაშრომის მოტაცება, სხვისი ლუკმის ჭამა და სხვის ცოლთან არშიყობა.

ამ ლაპარაკში იყვნენ მასწავლებლები, როცა მესტამბე თავართქილაძე მოვიდა მათთან. იღლიაში ახალი წიგნები ამოეჩარა, ხელში ახალი აფიშები ეჭირა. თავართქილაძემ ერთი აფიშა გაშალა. დიამ შორიდან წაიკითხა: „ანონსი“. ქუთაისის თეატრი აპირებდა ოზურგეთში ჩამოსვლას. დიამ ახალ წიგნებსაც შეავლო თვალი.

მაშინ სტამბა ახალი მოვლენა იყო გურიაში. მესტამბეობა დიდ მოღვაწეობად ითვლებოდა. ერთმა მასწავლებელმა თავართქილაძე ასე შეაქო:

— თქვენ სახალხო საქმეს აკეთებთ. დანაბეჭდთან თქვენი სახელიც არ წაიშლება, პატივისცემით მოგიგონებენ.

— საწყალ ხალხს დავეხმარო მინდა. „გადავწყვიტე იაფფასიანი ბროშურები გავავრცელო თქვენი დახმარებით,—უპასუხა თავართქილაძემ მასწავლებლებს.

დია ყურადღებით ისმენდა მათ ლაპარაკს.

აღლუმი გათავდა.

დია დაფიქრებული მისდევდა მამიდას ახალი ბინისაკენ. გოგონას შორიდანვე არ მოსწონდა ის საზოგადოება, სადაც მამა შინაურ კაცად გრძნობდა თავს.

თებრონესაც არ მოსწონდა „დიდკაცობა“. ის ერთ აზრს ადგა მუდამ: სხვების ქედმაღლობის წინაშე არ უყვარდა თავის დახრა. „რა შავქვად მინდა მაგათი სალამი... თავიანთი ჩინები მე არ დამაკერონ ერთბაშად“,—საყვედურით გადაჰკრავდა ძმას შხამიან სიტყვას.

თებრონე ფიქრობდა: დიდკაცებთან დაახლოებამ როსტომს ოჯახზე გული აუგდოო.

გვალვიანი წელიწადი

ზაფხული ჩახურებულიყო ბაილეთის მიდამოებში. ხეს ფოთოლი შეხრუკოდა. ბაღჩაში ოქროცერცვი ძირფესვიანად გამხმარიყო. მწვანე მდელოს დასიცხული თამბაქოს ფერი დასდებოდა. ვაშლს ჭიები დახვეოდა. ზეგანის ყანების სიშინდს უდროოდ აეყარათ ტანი და ფოჩი დასაწყისშივე ჩახშობოდათ.

სოფლის ღელეები დამშრალიყო. წისქვილებს მძიმე ურდული ედო.

პოპიო დიაკონი ხმებს ავრცელებდა: წლევანდელ წელს შარეხი მფარველობს, ეფრემგვერდში სწერია, ყველაფერი გადახმებაო.

სოფლის მოხუც ქალებს სატირალს წასვლა ენატრებოდათ. მათ სწამდათ, მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ წვიმა მოვიდოდა და ქვეყანას ამოსუნთქვა ეღირსებოდა. მაკა ნაშუაღამევს ჩუმად გავიდოდა ფაცხიდან, გამოქნიდა თიხის ადამიანს, დაასვენებდა ყავარზე, გაიტანდა ეზოდან და ღელის პირას დაასაფლავებდა „სხვის მიცვალებულს“.

წვიმა მაინც არ მოდიოდა.

წახდა ზეგანი ადგილების მოსავალი. იზაბელას მტევნები შავი ლაქებით დაიჭორფლა. იშვიათად საპოვნი ჩხავერი სულ ჩამოხმა.

დილის ნიავს წინანდებურად აღარ მოჰქონდა ტყიდან საამო სურნელი.

— შვილო, დობილოში არ გახვიდეთ!—ეუბნებოდა მაკა ბავშვებს,—პარტახი უხსენებელიც აღარ იცდის თავის ხვრელში.

სოფელ ბაილეთის მოხუცებს იშვიათად ახსოვდათ ასეთი გვალვიანი ზაფხული. მხოლოდ შუა სერს ქვემოთ, შქერნალში, სამი ვეებერთელა წყავის ძირში, ჩვეულებრივად მორაკრაკებდა ცივი წყარო. „დაილოცა შენი გამჩენი!“ ამბობდნენ მგზავრები, როცა პეშვს შეუშვერდნენ და გახურებულ გულს მოიოხებდნენ. სოფლის ქალები და ბავშვები მიჯრით მიმწკრივდებოდნენ წყაროზე — ჩაფებით, დოქებითა და სპილენძის თუნგებით.

— ჰაიტ, თქვე შარახვეტიებო!—გადმოსძახებდა ქალებს შელმართზე გადმომდგარი თებრონე. — რა გეშველებოდათ, რომ ეგ წყარო არ მქონებოდა თქვენი წყურვილის მოსაკლავად! უმადურებო, აბა ერთხელ თუ იფიქროთ, ერთი ვარიკა მოგვაროთ ვაშალომიძის ოჯახს. დაილოცა თქვენი პატიოსნება! რა ქალები ხართ!

ილანძღებოდა თებრონე. ქალები ჩუმად ავსებდნენ ჭურჭელს.

თებრონემ დეკეული დაუკლა მიწისმზომელებს იმისათვის, რომ ორი ნაბიჯით დაექანებინათ ყორღანი და წყარო ვაშალომიძის მამულში დაეტოვებინათ. ახლა ბრაზი ახრჩობდა თებრონეს.

— ბატონო, ჩემი დეკეული ამინაზღაურონ და, მერე თუ უნდათ ჩაიხრჩონ ამ წყაროში!

ერთ დღეს იმდენი იქაქანა, ღობე გადმოთელესო, რომ შინ სტუმრად ჩამოსული როსტომიც კი აამხედრა სოფლის ქალების წინააღმდეგ. მაგრამ როცა დაინახა, ქალების და ბავშვების მაგიერ წყაროზე კაცები მოდიოდნენ ჩაფებით, ძმას პირზე ხელი დააფარა და მოთანი შეუთვალა ქალებს:

— ვეჟო, მე ის კი არ მითქვამს, წყალს ნუ წაიღებენ-მეთქი. ეს ამოსაწყვეტი ბიჭები ბაღს მიფუჭებენ, ღობეს მითელავენ-მეთქი, ამას ვამბობდი.

„ღვთის თვალი“ აღარ იხედებოდა ბეგლარ მანთიძის ოჯახში. შარშანდელმა ყანამ ვაშალომიძის ზეგანში კაი მოსავალი მისცა. ზამთარში მჭადით გაიტანა ოჯახი. თებრონეც დააკმაყოფილა. წელს ორი გოდორი ჟუნტალა არ მოიტეხებაო,—ამბობდა გულდათუთქული მაკა. ბეგლარი იდგა გარინდებული და ხელებს იფშვნეტდა. არსაით გასაქანი არ ჰქონდა. ჩალვადრობა დაეწყო, ხარები არ ჰყავდა. საიჯარო შეშა გაეჩეხა, იქაც ხარი და ურემი უნდოდა.

— წავალ, ქალო, სადმე, ეგეგ სიკეთეს წავაწყდე,—ვედრებით მიმართა ერთ დღეს ცოლს დაღონებულმა ბეგლარმა.

— ბაღანაი რომ დავკარგე, ეგეც მეყოფა სანანებლად, — თქვა თვალცრემლიანმა მაკამ, — მირჩევნია ჩემს ფაცხაში ამოვწყდე, ვიდრე ოჯახის მამა სახლიდან აღოღდებოდეს. კიდევ ერთი-ორი წელი და აგერ ბიჭები წამოგვეზრდებიან.

შთლად იმედს ნუ გავიწყვეტთ კაცო, იქნებ მახარეც გამოჩნდეს, ხელი წამოჰკრას ოჯახს.

მახარეს გახსენებამ გული დაუმდუღრა დედას. ბეგლარმა გაკვირვებით შეხედა ცოლს და ისევ მოყვა ხელების ფშვნეტას. კარგად იცოდა, მახარე ვერაფერს უშველიდა მის გაჭირვებულ ცხოვრებას. პირიქით, ფიქრი სტანჯავდა. მთელი წელიწადი გავიდა და ბიჭისგან ერთი წერილი არ მიუღია. „ნეტავი წერილის დაწერა ხომ არ დაავიწყდა ამ ბიჭს?"—გაიფიქრა ბეგლარმა. ისევ ცოლს მიუბრუნდა:

— ღმერთმა ყველაფერი კაი ქნას, ქალო, მარა სხვას რომ თავი დავანებოთ, თებრონეს რა გადაურჩება? ხუთი გოდორი სიმინდი საიდან ჩავუყაროთ ბეღელში?

— წელს იმ ქაჯმა ოთხივე მეყანე გაგვაცურა. ყველას ხუთ-ხუთ გოდორ სიმინდზე მოგვირიგდა ნარდად. მოგვიქონა თავი და სამესამედოდან ნაღდზე გადაგვიყვანა. ალბათ „დავითნში" თუ ამოიკითხა წყეულმა, გვალვიანი წელიწადი იქნებაო, თორემ ხუთ გოდორზე რატომ დაგვეთანხმა, როცა შარშან ექვსი გოდორი ერგო.

— ეშმაკია, ეშმაკმა წაიღოს მისი სული!

გვალვიანი ზაფხული გავიდა. თებრონეს მეყანეებმა სამსამი გოდორი სიმინდი ძლივს მოიწიეს. ჩალა აჩეხეს, შეკონეს და ყველაფერი თებრონეს კარზე მიიტანეს. ბეგლარი ხელცარიელი დაბრუნდა შინ. ოფლჩაქცეული ყანიდან გაწბილებული გადმოვიდა. ბაღჩაში ერთი გოდორი ტარო ატეხა მაკამ ღობის ძირში მითესილი სიმინდიდან. ეს ერთი კვირის სარჩო იყო ოჯახისათვის. გამწარებულმა ბეგლარმა არ იცოდა რა ექნა, საით წასულიყო, რით გამოეკვება ნაცარში ჩაყრილი ტიტლიკანა ბავშვები.

თმაშეევრცხლილ ბეგლარს ეძნელებოდა რომელიმე „უკუდო" აზნაურის ოჯახში მოჯამაგირედ დადგომა. უფრო შეუძლებლად მიაჩნდა შეძლებული გლეხის ოჯახში მოჯამაგირეობა. თუმცა ასეთები აქა-იქ კიდეც მოიპოვებოდა სოფლად. ზამთრის განმავლობაში კიდევ გადაწყვეტდა ამ „სამარცხვინო" საქმეს, მაგრამ მოჯამაგირეს მხოლოდ ერთი წლის ვადით იყენებდნენ სოფელში და ასეთ პირობას უდებდნენ: თუ ერთ

წელიწადს არ შეასრულებდა მოჯამაგირე დამქირავებლის სახლში, ჯამაგირს ვერ მიიღებდა.

ბეგლარს ზაფხულზე ყველაფერს ერჩია მის ყანაში თოხის მოქნევა. მიწა სხვისი იყო, მაინც მის ყანას ეძახდა, ცხელ ოფლს ღვრიდა. ახლა რა იღონოს? მისი ყანა დატოვოს და სხვისი თოხნოს?

— არა, ამას ვერ შევიძლებ!—გადაწყვიტა ბეგლარმა. — ბათუმში წავალ, მახარეს ვნახავ, ეგებ ბედს წავაწყდე,—ბეგლარის ხმამაღალ ფიქრს ყური მოკრა მაკამ.

— ფეხსაც ვერსად გადასდგამ! — შეუტია ქმარს, თან ღიმილით დაუმატა:—თუ მოგწყინდა, ბაღჩაში ჩადი და მიწის ვაშლი ამოთხარე.

ბეგლარმა ბარი აიღო და ისევ მიწას დაუბრუნდა მისი ფიქრი. მიწა რომ ჰქონდეს იმდენს იმუშავებდა დღე და ღამეს გაასწორებდა, ანდა საწისქვილე წყალი რომ გააჩნდეს. წისქვილს მოაწყობდა, მინდს პატიოსნად აიღებდა, მჭადი თავზესაყრელად ექნებოდა. ტყე არსად არის, თორემ შეშას დააპობდა, რკინიგზას მიყიდდა. ხარები ყავდეს, სარგებლიან საქმეს მოჰკიდებდა ხელს. რა ქნას კაცმა, რომელსაც არც მიწა აქვს, არც წყალი აქვს, არც ხარი ჰყავს, არც ტყე აქვს... „ცას როგორ გამოეკეროს ბედკრული ბეგლარი?“

მიწის ვაშლი ამოთხარა და დაღვრემილი ჩამოჯდა ბაღჩის ალაგეზე. ნაღვლიანად გადახედა მაღლობიდან სუფსის პირზე გადაშლილ ყვითელ ყანებს. გული დაეწვა. ერთი ქცევა საყანე მიწა მაინც ჰქონოდა გურიელის მამულში, საზამთრო მჭადს მოიწევდა. სუფსის პირის ყანებს გვალვიან წელს კარგი პირი უჩანდა. ახლა რა ქნას ბეგლარმა, ქვას ახალოს თავი თუ კლდეს? არაქათი გამოელია ამდენი ფიქრისაგან. ბოლოს მაკას აბრალებდა, ვაშალომიძის ქვიშნარს არ მომაშორაო.

ოქტომბრის დღეები ნელ-ნელა მიდიოდა. მზეს თანდათან აკლდებოდა სითბო. ზამთარი იხედებოდა ბეგლარის თვალებში. თოვლი, ტალახი, სიცივე, შიმშილი თვალწინ ედგა წვრილი შვილების მამას. ნახევრად ტიტლიკანა ბავშვები ეზოში დარბოდნენ, თამაშობდნენ. მაკა მზის ყურზე იჯდა, სიმინდის ფუჩეჩს სწეწდა, ბავშვებისათვის რბილ ლეიბს ამზადებდა. ეს ფუჩეჩი დარჩა ოჯახს წლევანდელი მოსავლიდან. წარბ-

შეკრული და გულჩათხრობილი დასცქეროდა კალთის წინ დაგროვილ ფუჩეჩს. ვინ გაუგებდა, რა დარდი ჰკლავდა მაკასცრემლს წამწამებშივე იშრობდა. ფიქრს ფუჩეჩის შრიალს აყოლებდა. მთელი არსებით მახარეს დასტრიალებდა სადღაც შორს. ხან როგორ წარმოიდგენდა და ხან როგორ მთელი წლის უნახავ შვილს. ბოლოს, დანის წვეტივით ჩაირჭობდა გულის ძირამდე სევდას და საწყალობლად წამოიძახებდა: „რავა დაავიწყდა სახლი იმ ბიჭს. მისი დედა მოკვდეს ადრე და მალე. ორი ბწკარი წერილი მაინც გამოეგზავნა!“

იქვე, ბაღჩის ღობესთან, ორი თითო ციდა გოჭი ღრუტუნებდა. ბავშვებს უყვარდათ გოჭები. მალ-მალ მიირბენდნენ მათთან, წიფლნარში აკრეფილ წიწიბოს მოუტანდნენ, ხან ტყის პანტას, ხან თავიანთ ლუკმასაც კი უტენიდნენ პირში, ეალერსებოდნენ. მაკა დიდ იმედს ამყარებდა ამ თითისოდენა გოჭებზე: „ჩქარა დაიზრდებიან, საახალწლოდ დიდი ბურვაკები გვეყოლება“, ამხნევებდა ბეგლარს. მაგრამ, დახეთ უბედურებას! აგერ ეზოში შემოიჭრა თებრონე, მთელი დღე მეყანეებთან ნარბენი პირიდან ცოფს ყრიდა, თვალები ბრაზისაგან ჩასწითლებოდა, ყვიროდა, კაპასობდა, ბინძური ენით ლანძღავდა მეყანეებს, იმუქრებოდა, ბეგლარისაკენ მიექანებოდა, ხელებს ასავსავებდა.

— რას ფიქრობ, ყაძახო, რად არ მაბარებ ორ გოდორ სიმინდს? ხომ არ გინდა გამაგიჟო? ხომ არ გინდა გადამრიო? ხომ არ გინდა თავბედი გაწყევლინო?—შემოსვლისთანავე მიაყარა ბეგლარს ცოფი.

ბეგლარი გამშრალი წამოდგა. მაკამ კაბის კალთა წამოიფერთხა. ბავშვები შეშინებულნი მისცვივდნენ დედას.

— რა ვქნათ, ქალბატონო,—დაიწყო მაკამ მოკრძალებით,—შრომა და ჯაფა არ მოგვიკლია ღმერთმა იცის. რაც მოსავალი იყო თქვენს მიწაზე, ქე მოგართვით. ნაქურჩალის მეტი ჩვენ არაფერი დაგვრჩენია. იცით, ქალბატონო, ამ საწყალმა ბაღნებმა რამდენი ქვა და ღორღი გაზიდეს თქვენი მიწიდან შარშან? მთელი თვე წელი სტკიოდათ.

— რა ჩემი საქმეა ვის წელი ეტკინა და ვის ფეხი! ხუთ გოდორ სიმინდზე მოგირიგდით. სიტყვა-სიტყვაა. არადა მომავალ წელს დაჰკარგავთ საყანეს. მთხოვნელი თმისოდენა

მყავს. მაინც რას იკატუნებთ ასე თავს? ამბობენ: ბიჭი კარგ ჯამაგირში გყავთ თურმე ბათუმში.

მაკას გულს ისარივით მოხვდა თებრონეს სიტყვა, არაფერი არა თქვა. დიდრონი, ნაღვლიანი თვალები გოჭებს მიაპყრო. სხვა აღარაფერი ეგულებოდა თებრონეს დასაკმაყოფილებლად.

— ჩემო ქალბატონო, აი, ორი გოჭი მყავს, ერთი სხვისია და ერთი ჩემი. იყაბულე ღვთის გულისათვის ერთი მათგანი.

თებრონე უცებ დამშვიდდა. დარწმუნდა, ბევრს ვერაფერს დააძრობდა გაღატაკებულ ოჯახს. დაყაბულდა ერთ გოჭს და ის იყო ეზოდან გავიდა, რომ უცებ რაღაც მოაგონდა, შემობრუნდა, გულიდან სიფიცხე გადაჰყროდა, სახე უჩვეულო სიმშვიდით უღიმოდა. ბეგლარს, რომელსაც წეღან უყვიროდა, ლანძღავდა, ემუქრებოდა, ახლა დათაფლული სიტყვებით თავს უქონავდა:

— ბეგლარ, ბიჭო, სხვა არა იყოს რა, მეზობლები ვართ, ჭირში და ლხინში ერთმანეთის შემყურე, ერთი ურემი შეშა ამომიჩეხე რიყეში, სამაგიერო ჩემზე იყოს.

ბეგლარს კარგად ესმოდა ეს დაპირება. იდგა გამშრალი და თავს აკანტურებდა. თან ჩვეულებრივად იფშვნეტდა ხელებს. მაკა კენტ გოჭს უთვალთვალებდა, ღაწვებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, სულიკო მუხლებზე ამოუხოხდა დედას, პატარა თითები ლოყაზე მოუცაცუნა და დაყვავებით უთხრა:

— ნუ იტილებ, ნენაა, ნუ იტილებ, დეიდა კიდევ მოგვიტანს გოწს.

ზაალი და საული მობუზული იდგნენ.

ახმედ-ალას ყავახანა

1900 წელი ილეოდა.

თოვდა. ცაში მოხვეტილი თოვლის ფანტელები ცვივოდა ბათუმის მიდამოებში. ქუჩები პირამდე ივსებოდა თოვლით.

ხალხი ფაცაფუცით ირეოდა დუქნებში. დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, ყველა ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა. სადღაც, დუქნების უკან, მთელი დღე გულს აწყვ-

ლებდა არღნის ერთი და იგივე ჭყრიალი. იქ, ბინძურ სამიკიტნოში, სადაც ღვინით სავსე რუმბები ეყარა, ერთმანეთზე შეწყობილი, ლოთები ქეიფობდნენ.

ოჯახის მამაკაცებს იღლიაში ამოჩრილი ღვინით სავსე ტიკები მიჰქონდათ, დიასახლისები გოზინაყს აკეთებდნენ.

ბავშვები თაფლიან თითებს ილოკავდნენ და გარეთ გარბოდნენ თოვლის საგუნდაოდ. ქუჩიდან მოისმოდა ბავშვების ჟივილ-ხივილი, მგზავრების ყაყანი და ეტლებში შებმული ცხენების ფლოქვთა თქარუნი.

ბავშვები მოურიდებლად უშენდნენ თოვლის გუნდებს ქალებს, ნაბდიანებსაც არ ზოგავდნენ.

აქა-იქ მბეჟუტავ ფარნებს ფარვანებივით ეხვეოდათ თოვლის ფანტელები.

ივერცხლებოდა ქალაქი.

ბურში გახვეული ზღვა ტალღების ოდნავი ტლაშუნით ლოკავდა ნაპირს.

გაბრწყინებული დარბაზებიდან მოჩანდა ჭერში მიბჯენილი ნაძვის ხეები, ბრჭყვიალა სათამაშოებით აჭრელებული და ბაბუას წვერივით დაფიფქული.

დუქნებში ხალხი ირეოდა. ნოქრებს სულს უმწარებდნენ ღარიბი მცხოვრებლები.

— ერთი კვერცხი თლახათლუხუმი ამიწონეთ, — შემოირბენდა პატარა ბიჭი.

— ორი ცალი ნახატიანი კანფეტი მომეცი, ძია,—შემოცუნცულდებოდა სიცივეთ აძაგძაგებული გოგო და ნოქარს ხელში შეაჩერდებოდა.—ის მომეცი ქალი, რომ ახატია.

მერე გაროზმოხვეული დედაკაცი შემოვიდოდა, ალერსით გადახედავდა ტკბილეულს, ხილეულს და მდიდრულად ჩაცმულ ქალებს გვერდს აუქცევდა, ორ ცალ ტკბილ პურჩიტას გაროზში ამოიდებდა.

ნაშუაღამევს, დუქნების დაკეტვამდე ორი წუთით ადრე, ტყაპუჭგათხუპნილი შეეზოვე შემოაბოტებდა წვირიანი წინსაფრით და ხუთ ცალ ფოჩიან კანფეტს სთხოვდა ნისიად ნაცნობ ბაყალს. მხიარულად ჩაიწყობდა გულის ჯიბეში ისე, რომ შინ შესვლისთანავე დაენახათ ბავშვებს, თუ რა მოუტანა მამილომ.

ᲣᲕᲔᲚᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ მᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ შᲔᲮᲕᲔᲓᲠᲝᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ წᲔᲚᲡ. გადაუღებლად თოვდა.

ქარხნებიდან გვიან დაბრუნებული მუშები მოხმაურობდნენ ქუჩებში და მომავალი წლის „ხვავსა და ბარაქას“ უსურვებდნენ ერთმანეთს.

ნორიაში თათრის ქალები ბატიბუტს, თხილსა და ქიშმიშს ხალავდნენ დილაადრიან გასაყიდად.

ალაყაფის კართან ვიღაც ახმახი თუჯის ქვაბში ინდურ თხილსა და წაბლს ხალავდა. ბავშვებს აბაზიანები დაეჭირათ ხელში და ქუდგადმობრუნებული უცდიდნენ ქვაბის გადმოდგმას. ამ დროს ლოთები გამოვიდნენ სამიკიტნოდან და გადაბრეცილნი არღნის ჭყრიალით ახმედ-აღას ყავახანისკენ გაეშართნენ. ნავით სეირნობის საღერღელი აშლოდათ. მაგრამ მეარღნის ბედზე არც ერთი მენავე ნავში არ იჯდა. მეარღნე კი ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, არწმუნებდა მთვრალებს, რომ ისევ თბილ სამიკიტნოში დაბრუნება ჯობდა ამ თოვლ-ბურით აფორიაქებულ ღამეში.

მენავე თათრებსა და ბერძნებს ჩვეულებრივად მოეყარათ თავი ახმედ-აღას ყავახანაში. ქალაქიდან განმარტოებით დგას დაბალი და ფართო დუქანი, უკან მიდგმული დახურული დერეფნებით. ფანჯრები პირდაპირ ზღვას გასცქერიან. მენავე თათრები და ბერძნები დინჯად სხედან პატარა მაგიდების ირგვლივ, კბილებში გამოჩრილ ყალიონს აბოლებენ, დომინოს თამაშობენ მშვიდად და შავ ყავას ხვრეპენ. მასლაათობენ. ყავახანაში ნისლივით დგას თამბაქოს ბოლი.

მაგიდაზე გადაფენილია ჭუჭყიანი სუფრები, იატაკი სველია და ტალახიანი. გულის ამრევი სიმყრალის სუნი დგას. ყავისფრად შელაქულ დახლთან ახმედ-აღა ზის და ხან ახალგაზრდა მუსტაფას გადახედავს, რომელიც დახლს განჯინის მხრიდან მოსდგომოდა და მოკალული სპილენძის ჩაიდნიდან მუშტარს გაურეცხავ ფინჯანში უსხამს ყავას.

ღუმელთან დაგროვილია ხერხის ქარხნიდან მოზიდული წაბლისა და მუხის ფიცრების გადანაჭრები, დახერხილი ლეღვის ხის ტოტები. გამოივლის მუსტაფა, შეყრის ღუმელში ნაფოტებს. აბრიალდება ღუმელი.

ტკაცუნობს ცეცხლში ლეღვისა და წაბლის ხის ხაფოტები.

ღუმელთან ზის მოკუნტული მახარე. თავი მუხლებში ჩაურგავს. ფიქრს მისცემია: იქით, შორს სადღაც მინდვრებია და ტყეები, ყანები და სათიბები, ფაცხები და ბოძებზე შემდგარი ოდები, წისქვილები და ჩამურები... იქ, შორს, ყველაფერს თეთრი თოვლი დაჰფენია. ბეგლარ მანთიძის ფაცხაც თეთრად გადაპენტილა, სახურავს ისლის მაგიერ თოვლის თეთრი ნაბადი დაუბურვია. კარის დირე და დერეფანი თეთრი ბროლით მოჩუქურთმებულა. ბეგლარს, ფაცხის გვერდით, ღელის პირას, ღორი წამოუქცევია დასაკლავად. ეს ის გოჭია, დეიდა რომ დაპირდა ნენას. რა დიდი გაზრდილა! მაკას მდუღარე წყალი მოაქვს გასაპუტავად. ზაალი და საული სუროიან თხმელაზე შაშვებსა და ჩხართვებს მახეს უგებენ. სულიკო ფაცხის დირეზე შემდგარა და თოვლში მოფრთხიალე ჩიტუნებს უთვალთვალებს. ჯამით ჩიტების საკენკი ქატო უჭირავს. ფანტავს ქატოს თოვლზე და ბუტბუტებს: „წიპუ... წიპუ... წიპუ...“ ოცნებიდან სიზმარეულ თვლემაში გადადის მახარე და საიდანღაც სულიკოს მაგიერ დია გაჩნდება მის წინ. მახარე შეკრთება, თვალს გაახელს. ყავახანაში რაღაც არაჩვეულებრივი ჩოჩქოლია. ზოგი წამომდგარა, ზოგი ისევ დინჯად ზის. ვიღაც მბრძანებლობს. ვინ არის ეს?

მახარეს ფერი ეცვალა, გაფითრდა, თმა აებურძგლა. ახმედ-აღას დახლთან დგას ლევან ესეს ძე გურიელი, ოლქის ურიადნიკი, მის უკან როსტომ ვაშალომიძე და კიდევ ორი ჩაფარი. მახარემ იცნო როსტომი—კარის მეზობელი. დაიკუზა, წამოავლო ფუთას ხელი, რომელსაც თავქვეშ იდებდა ღუმელთან ძილის დროს და სანამ „სტუმრები“ შემობრუნდებოდნენ, ტყვიასავით გავარდა კარში. მირბის მახარე, მირბის დამდუღრული ძაღლივით; გაიარა ერთი ქუჩა, მეორე, მესამე, სად გაჩერდეს?

ერთი, ორი, სამი... თორმეტჯერ დარეკა ქალაქის საათმა. სადღაც თოფი გაისროლეს. ტყვიამ შხუილით გადაურბინა ქალაქს. ერთ ტყვიას ორი მოჰყვა, ორს—ათი. ხალხი ახალწელს ეგებებოდა. მახარეს გაახსენდა „საჯობნელი“. ხომლი რომ ცის სხვენისაკენ წამოიწეოდა, მახარეს გააღვიძებდა

„ნენაი“ და „საჯობნელს“ აჭმევდა თოფის გასროლამდე. „გაჯობე, გაჯობეო“... მიაძახებდა მახარე და ლოგინიდან წამოხტებოდა.

ახლა?

დარბაზიდან ისმის მრავალჟამიერი, ჭიქების წკრიალი, ბავშვების კისკისი და საცეკვაო მუსიკის გუგუნი.

სამეიტნოში ისევ ჭყრიალებს არღანი. ქოხებშიაც ბჟუტავს ლამპები. ქუჩებში სიჩუმეა. არც ფეხის ხმა, არც ეტლების დქაფუნი.

—სადღაც გუშაგმა ჩაახველა და მახარემ უმატა სირბილს. სადგურში მატარებელი კიოდა. მახარე ქარივით გაიჭრა ბაქანზე. უნდოდა შევარდნილიყო ვაგონში და გაყოლოდა მატარებელს შორს, სადმე დასაკარგავში.

დაბარბაცდა მახარე, თავბრუდახვეული კედელს მიეყუდა.

მატარებელი დაძრულიყო, სემაფორს იქით მიჰკიოდა.

მახარე მიჭედილივით იდგა—ბაქანის კედელს მიყუდებული. ვიღაც ახალგაზრდა რკინიგზელი მიუახლოვდა და უთხრა:

— ბაქანზე გაჩერება არ შეიძლება, ყმაწვილო!

და კიდევ უნდოდა ეთქვა, აგერ ჟანდარმი მოდისო, მაგრამ შეჩერდა, მახარეს სახე ეცნაურა. ხელი მოჰკიდა მკლავში და თვალებში ჩახედა.

—ბიჭო, მახარე ხარ შენ? ბეგლარის ბიჭი? ძლივს არ გიცანი?

მახარე კარგა ხანს ვერ გამოერკვა, მოსაუბრეს მიაშტერდა, მერე გაყინული ბაგე ააცმაცუნა და ძლივს გასაგონად წაილუღლუღა:

—ერმილე... შენ... საიდან?

— მე აქ ვმუშაობ. შენ როდის ჩამოდი?

მახარეს ისევ დაება ენა. ფუთა იღლიაში ამოიდო, მხრები აიჩეჩა.

— მე, ისე... დიდი ხანია...

— აქ რას აკეთებ?—ჩაეკითხა ერმილე.

— არაფერს.

მახარეს ხმაში სასოწარკვეთილება გამოკრთოდა. ერმილე მიუხვდა.

— ბინა არა გაქვს? წამოდი ჩემთან, რატომ აქამდე ვერ შეგხვდი!

მახარე ათრთოლდა, მუხლები აუკანკალდა. არც „ჰო“, არც „არა“. უსიტყვოდ მოწყდა ადგილიდან და ნაბიჯაჩქარებული ერმილეს აედევნა. ნორიაში ცხოვრობს ერმილე, დარაბების უკან. მისი ოთახის ფანჯარა და კარი ეზოში გადის. მილმა ოთახში ცხოვრობს ნინიძე. ნინიძე ნავსადგურში მუშაობს მტვირთავ მუშად. როცა მზე ამოდის, პირდაპირ ერმილეს ოთახში შეიხედავს. ახლა თოვლი დაფენილა დარაბების უკან. ერმილეს ოთახში მეგობრები შეკრებილან. ნინიძეც აქ არის. ბარცხანიდან გოგილო ჩამოსულა. ის როტშილდის ქარხანაში მუშაობს. მანთაშევის ქარხნიდან ოლომფრე და ნიკიტა მოსულან. აგერ პორფილეც შემოვიდა. ნიკიტას გიტარა მოუტანია, მიჯდომია სუფრას, ღორის თავს უცქერის, სიმებს აეღრიალებს და მღერის:

სიყვარულმა ფრთა გაშალა,
ტურფავ, შენკენ გადმოფრინ-და-ა...
ჩემი გული მოგიტანა,
გქონდეს, გქონდეს, თუკი გინ-და-ა...

მღერის ნიკიტა და არ იცის, საიდან ჩაუფრინდა გულში ეს სიყვარულის აღმგზნები სტრიქონები. მოაგონდა ქეთინო, სიმონის სახლში რომ გაიცნო, შავთვალწარბა, ეშხიანი გოგო და მას შემდეგ გულში ჩაუვარდა.

ჩემი ფიქრი და გონება,
შენთან არის, გემონე-ბა-ა...

— არა, მე უთუოდ შეყვარებული ვარ!—წამოიძახა ნიკიტამ, გიტარა დაბლა დაუშვა და მირიანს გადახედა. მირიანი იყო ამაღამ მთავარი მასპინძელი ერმილეს სახლში. დილით ჩამოსულიყო სოფლიდან, ტიკით ღვინო და საახალწლო ღორის ხორცი ჩამოეტანა.

ბუხარში ცეცხლი ღვივის, მირიანი გასაცხელებლად მიწყობილ ხაჭაპურებს უტრიალებს. ქვისკეცზე გამომცხვარი მჭადიც ჩამოუტანია. მირიანს შუაცეცხლზე მიუფიცხებია. შამფურზე წამოჯარული შიგნეულის ძეხვები შიშხინებს. ნაკვერცხლებს ალი ედება, ქონი გადმოდუღს და ოთახში ნივ-

რის, ქონდრის და სანელებლის საამო სუნი დგას. სოფლის ფაცხების ჰაერი შემოჭრილა შპალერჩამოხეულ ფიცრის კედლებში. რამდენი ხანია მახარეს არ უყნოსავს ეს ჰაერი. ხაჭაპურები დაწითლდა, მჭადი გაფიცხდა. ახლა ერმილემ მოასწრო მირიანს, მჭადი და ხაჭაპურები სოფლურად დატეხა სუფრაზე, ოთახი უფრო გემრიელი სუნით აივსო. მახარე უსაზღვრო სიამოვნების გრძნობამ აიტანა. ზის სავსე სუფრის კუთხეში, აწურული, მორიდებული. ყველანი მასზე უფროსები არიან, ულვაშგადაწყობილნი, დავაჟკაცებულნი, საქმის კაცები. მახარეს ჯერ ზრდა არ დაუსრულებია. ცხვირის ნესტოებთან ახლა ოდნავ აბიბინებია ბუსუსები და ფიქრობს: „ნეტა მე როდის გავუტოლდები ერმილეს, გოგილოს, ნიკიტას“... ნინიძე თითქო აქათზე უფროსია, ოლომფრეც... მირიანი კარგი ვაჟკაცია, სისხლი უდუღს ძარღვებში. ოლომფრე წეკოს აბოლებს პორფილე გაზეთს კითხულობს.

ერმილე ახველებს.

— შე ოჯახკეტიანო, დაანებე თავი მაგ სკვარამ მახორკას,—ხუმრობით ეუბნება ერმილე ოლომფრეს.

— რა გიჭირს შენ დაანებო თავი იმ გოგოს?—იღრიჭება ოლომფრე.

მირიანი ცალი თვალით გადახედავს ძმას.

— ასეა, ბიჭო, საქმე? მაშ, დალიეთ ეგ ძირამოვარდნილი. ვადღეგრძელოთ ეი გოგო, მარა... ვერ მოგიწონებ ძმია. ჩვენ სოფლის ხალხი ვართ. ქალაქის გოგოები შარახვეტიები არიან.

— კაცო, მაგას უყურებ?—დარცხვენით თქვა ერმილემ და ცალყბად გადახედა ოლომფრეს.—მაგას გოგონებზე ფიქრმა შეაყვარა მახორკა.

— მე და ჩემმა ღმერთმა,—თქვა ნინიძემ დინჯად, —სულ გოგოებს დასდევს.

— ბახუსის მადლმა, აი,—დაუმატა გოგილომ.

ნიკიტამ ისევ წამოავლო ხელი გიტარას, ჩამოჰკრა სიმებს. მღერის ნიკიტა მთელი გულით, მთელი გრძნობით.

ალარ მინდა მე ამქვეყნად
არც სიმდიდრე, არც დიდება...
მინდა მხოლოდ განუყრელად
შენთან ყოფნა, შენი ცქერა-ა...

— ძმებო და მეგობრებო, მე უთუოდ შეყვარებული ვარ... ზომ გეუბნებით, მაპატიეთ უდროოდ სიმღერა, შეყვარებულს ყველაფერი მოეტევება-მეთქი. დამწვა კაკალი კაცი იმ გოგომ. კვესივით გაეკრა გულს, გამიჩინა ცეცხლი და მას მერე ბედივით ვიწვი... სანთელივით ვდნები.

ნეტა მომცა ფრთები,
შენთან მოეფრინდები...

ბიჭებმა ხარხარი ატეხეს. ნიკიტამ გიტარა ტახტზე დააგდო, ღვინით სავსე ჭიქა აიღო და დაიძახა:

— ამხანაგებო, მე ქეთინოს სადღეგრძელოს ვსვამ. ვიცი, ვაჟკაცები ხართ, თქვენც გეყოლებათ თქვენი „ქეთინო", დავლიოთ, ვადღეგრძელოთ ჩვენ-ჩვენი...

მირიანს მოაგონდა ცაცუსთან პირველი შეხვედრა. ის ერთი წუთით გადაფრინდა ფიქრით ბათუმის მიდამოებიდან, თავს მოევლო საყვარელ ცოლ-შვილს—ცაცუნიას და ზაზას და ისევ დაუბრუნდა სუფრას.

ნიკიტამ ჭიქა გამოცალა, საინზე დაამხო.

— ასე დაგეცალოთ მტერი. ალავერდი ძამია!—გადააწოდა ნინიძეს ჭიქა.

ნინიძემ გულგრილად გამოცალა ჭიქა. მას ჯერ კიდევ ვერ აერჩია მეგობარი ქალი და ამბობდა: ჯერ სამი ფუთი მარილი შეჭამე ქალთან და მერე ითხოვე ცოლადო.

— ხუმრობაა! ცოლთან სიკვდილამდე უნდა ვიცხოვრო... ის ჩემი გული და სული უნდა იყოს, ჩემი შეგნება, ჩემი აზრი, ჩემი სიტყვა...

— ვაი, ვაი, ძამია, დაბერებულხარ უცოლოდ და ეგ არის,—ჩაიცინა ოლომფრემ.—გოგილოს,—სიცოცხლე და დღეგრძელობა. გოგილო იტყვის მართალს, ალალი კაცია.

— ეეხ, ძმებო, რა უნდა ვთქვა? ხომ გაგიგონიათ: ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო,—თქვა გოგილომ. მოწკურული თვალებით ცარიელ კედელს მიაშტერდა, გეგონებოდათ რაღაც დიდი სამკაული დაჰკარგვია ამ კაცსო. მერე უცებ დასცალა. ჭიქა პორფილეს გადააწოდა. პორფილე დინჯად ისმენდა ამხანაგების ხუმრობას. ის ადრიან დაქორწინებულიყო. პორფილემ ჭიქა დასცალა.

— მირიანს ახალი წლის ხვავი და ბარაქა! ნუ მოგვიშალოს გამჩენმა შენი ტკბილი პურ-მარილი, რომელმაც ამ სუფრაზე შემოგვკრიბა ამაღამ ძმები საჭიკჭიკოდ და ჩვენი დიდი შოთას ენით რომ ვთქვათ,—სალაღობოდ. ერთს ვიტყვი მხოლოდ: მოჩვენებითი სიყვარული ყვავილივით გაგიქრება, ძამია, ხელიდან.

მახარე ფიქრში გახვეული, თავჩაკიდული დასჩერებოდა თეფშს, მის წინ სუფრის მაგიერ ვაშალომიძის სათიბი გაშლილიყო. დია დახტოდა, კისკისებდა. თეფშზე მოხატული ყვავილები დიას სახეზე ჩამოყრილი კულულებივით ირხეოდნენ მახარეს თვალში. ნიკიტას სიმღერა მის გულშიაც ჩაფრენილიყო. უცებ გამოფხიზლდა მახარე, მირიანს ჭიქა ჩამოართვა, დასცალა და ერმილეს შეხედა მოკრძალებით. უკანასკნელი სადღეგრძელო ერმილეს ეკუთვნოდა, როგორც ნამდვილ მასპინძელს, მაგრამ ამ დროს სეფემ შემოაღო კარი. შავი ნაბადი და ყაბალახი თოვლით შეფიფქოდა.

— ემატოს!..

— ემატოს!..

ერთხმად წამოიძახეს ბიჭებმა. სეფემ ხურჯინი კუთხეში დადგა, ნაბადიც იქვე მიაკიდა. ყაბალახი ფრთხილად მოიხადა.

— ემატოს!.. — თქვა სეფემ ისევ და მოხარშული ღორის კელავერი მოუმატა სუფრას.

— არ იქნა, ვერ მოვრჩი დუქნებში ხეტიალს. დედაჩემმა თავზე მოსახვევი დამაბარა, კიკინიამ თოფთოფელა მომიტანეო. ახლა იმ ობოლ ბაღნებსაც უნდოდათ ზოგს ფეხზე, ზოგს ტანზე. მთელი დღე დავჯახირობ. მტერი ჩავარდეს ვაჭრებიս ხელში.

სეფემ სტუმრებს გადახედა, ერმილეს ამხანაგები უცხონი არ იყვნენ სეფესთვის, გოგილო, ნიკიტა და სხვები არა ერთხელ უნახავს ერმილესთან. მახარეზე შეაჩერა თვალი. ეცნაურა: „გაღმელი უხდა იყოს",—გაიფიქრა და ერმილეს მოუხედა, ბუხარს შეშას რომ უკეთებდა.

— აი ბაღანაი მეცნობა, ბეგლარ მანთიძის შვილი უნდა იყოს, კაი ბიჭი დამდგარა. რას აკეთებ, ბიძია, ბათუმში?

მახარე გაფითრდა, არ მოელოდა სოფლელებთან შეხვედრას. რაღა მაინცდამაინც ჯიბრზე მირიანიც, სეფეც... არ უნ-

დოდა, სოფელში გაეგო ვინმეს მისი ამბავი. ყველა ნაცნობს ემალებოდა და მშობლებსაც ჯერჯერობით ვერ სწერდა წერილს. აგერ ორი წელიწადი გავიდა და მხოლოდ ორჯერ გაგზავნა შინ წერილი. სასიხარულო ვერაფერი მისწერა.

მირიანმა ღვინით სავსე სამი ჭიქა დაუდგა სეფეს წინ.

— ჯერ ეს ჭიქები დასცალე, მერე ვიჭიკჭიკოთ. ღმერთი სამებით არის. დუქნებში რომ ფეხი შემოითრიე, რა გეგონა, ღვინოს გადარჩებოდი?

— არა, ბიჭო, ღვინოზე არ მიფიქრია, მარა, შე რჯულძაღლო, როდის ჩამოგრჩენივარ ამხანაგობაში. გაუმარჯოს ჩვენი ძმის სახლში ამაღამ ჩვენს მეგობრულ შეხვედრას. ხვავით. ბარაქით და ბედნიერებით მობრძანებულიყოს ახალი წელი. მრავალჟამიერ, ბიჭებო!

დაიწყო სეფემ მაღალი მრავალჟამიერი მკვირცხლად და ვაჟკაცურად. მას ბიჭები მიყვნენ. მრავალჟამიერს ხელხვავი მოჰყვა, ხელხვავს კუჩხაბედნიერა და ახლა მარტო არღანი როდი უფრთხობდა ძილს დარაბების უკან მცხოვრებლებს.

სუფრაზე ნინიძე და მახარე არ მღეროდნენ. ნინიძისათვის მუსიკალური სმენა არ მიენიჭებია განგებას. მახარეს ხან ბოხი და ხან ბავშვური ხმა ჯერ კიდევ ვერ დამდგარიყო გარკვეულ კილოზე. მახარეს უფრო მოსწონდა გიტარის ჟღარუნი, სატრფიალო ნაწყვეტები. მახარეს თავბრუს ახვევდა სეფეს მოძახილი და მირიანის კრიმანჭული. ოლომფრე, გოგილო, ნიკიტა ბანს ეუბნებოდნენ, ხან მაღლა მიყვებოდნენ დამწყებს, ხან დაბლა ეშვებოდნენ. მახარეს სმენისათვის ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული გურული სიმღერების ზოგიერთი რთული მიმოხვრები.

ერმილე ახველებდა, თან აღტაცებით მისჩერებოდა მირიანის ცეცხლივით ღაჟღაჟა თვალებს. სეფესაც ღვინისფრად გასწითლებოდა ლოყები. ამ ორ მხარბეჭგაშლილ ვაჟკაცს სოფლის სიჯანსაღე და სურნელება შემოეტანათ ნესტიან სარდაფში. ლურჯხალათიანი ბიჭები მირიანთან და სეფესთან შედარებით მეტად ჩია კაცებად მოჩანდნენ. ნინიძეს ნეკრესის ქარები აწუხებდა. სახეზე დიდი მოუსვენრობა ეშჩნეოდა. ოლომფრეს ცივი, მელანქოლიური გამოხედვა სიამოვნებას ვერ მოგვრიდა ადამიანს. გოგილო მეტად დინჯ და გონივრულ

არსებად მოგეჩვენებოდათ, ცხოვრებაში ჩახედული, აზრიანი, მეტყველი თვალებით. მათში მახარე გამოირჩეოდა, ის არ გავდა ქარხნის ფერმკრთალ ბიჭებს. დაშხვართულ გრძელ მკლავებზე დედის შეკერილი ხალათის სახელო ოდნავ დამოკლებოდა. საყელოც ევიწროებოდა, ერთი ღილი შეეხსნა. ჯეირანივით მოყვანილი თავ-ყელი ამქლავნებდა ვაჟკაცის სასიამოვნო გარეგნობას.

მინელდა სიმღერა.

— მირიანის და სეფეს წამოდგომამ სუფრიდან, მოქეიფე სტუმრები უცებ დაადუმა. სადღაც სამჯერ დარეკა საათმა. ბაქოს მიმავალი მატარებელი უნდა გასულიყო. ერმილემ ძმის დაშორება მწვავედ იგრძნო. რაღაც ცხელი და ცივი გადაევლო გულს. მირიანისა და სეფეს გურიიდან ჩამოსვლამ და ერთად შეხვედრამ ბედნიერ დღეს, მშობლიური გრძნობით გაუთბო ერმილეს გული. ახლა დუღდა ეს გრძნობა. სოფელი და ქალაქი თითქო სხვადასხვა გამოხატულებას პოებდა ერმილეს შეგნებაში. ერმილე ცდილობდა ეს სხვადასხვაობა რითიმე ამოევსო. სოფელი და ქალაქი ორი გულივით რომ ესვენა მკერდში, ეს ტანჯავდა ერმილეს და არ იცოდა რა ეწამლა ამ „სენისათვის“. როცა მირიანი ჩავიდოდა სოფლიდან, ერმილე თითქოს იკურნებოდა ყოველგვარი სენისაგან. ორი გულის მაგიერ დღეს ერთი ხალისიანი გული მაქვსო. ამბობდა საუბარში.

ახლა საათივით რეკდა და ორად იბზარებოდა ერმილეს გული.

— ჩამოდით და მიდიხართ... ასე ჩქარა!—თქვა ერმილემ დარდიანად. ჭიქა აავსო ღვინით. მირიანსაც დაუსხა. ბიჭებმაც აივსეს ჭიქები. ყველა ერმილეს შეაცქერდა. სეფემ მოიბოდიშა, მატარებელი გაგვასწრებსო. მირიანმა უბოდიშოდ განმარტა აჩქარების მიზეზი:

— ჩვენ გლეხები ვართ, ძმებო, თქვენთან ვისიამოვნეთ. შევხვდით მხიარულ წელს. ახლა ოჯახსაც გვინდა გავუთენოთ მხიარული ახალი წელი. სწორედ მამლების ყივილზე ვიქნებით შინ.

— დედაჩემი მანამ არ გამიღებს ფაცხის კარს, სანამ სამჯერ არ მკითხავს, რა მოგაქვსო?—იოხუნჯა სეფემ და ყველამ

გადაიხარხარა. — მეც ვეტყვი: წმინდა ბასილის წყალობა, ოქრო-ვერცხლი, თვალმარგალიტი... ასი სული რქიანი საქონელი, ჭური ღვინით სავსე, სკა თაფლით სავსე, ბეღლები ღომით სავსე, მჭადი ულევი... ფრინველთა სიმრავლე და კაცთა მშვიდობა... გამიღე. ნენავ, კარი!

— კი მარა, სანამ გაგრძელდება ეს სულელური ჩვევები სოფლად ნეტავი?—თქვა პორფილემ უკმაყოფილოდ.

— პირიქით,—თქვა მირიანმა,—ეგ ჩვევებიც რომ არ იყოს, რაღა იქნებოდა სოფლის ცხოვრება? ახალ წელს რაღაც ახალი სიხარული მოაქვს სოფელში. ქალები ხაჭაპურებს დააცხობენ, ბავშვები ჩიჩილაკს მოკაზმავენ. ოჯახში სანთელი დაინთება, საკმეველი დაიკმევა... მკვდარს და ცოცხალს ვახსენებთ. წელიწადში ერთ დღეს მაინც გადვირეკთ გულიდან ჭირ-ვარამს. ეგეც არ იყოს?

— მართალს ამბობს მირიანი,—დაეთანხმა ერმილე ძმას,— ადამიანს სიამოვნება სწყურია, რა სახისაც უნდა იყოს ის. სოფლის ბავშვებს ჩიჩილაკი უხარიათ, ქალაქის ბავშვებს — ნაძვის ხე. მნათე საყდრის ზარებს რეკს, ფოფოდია საკურთხს ელოდება... ვინ იცის, შეიძლება ყოველივე ეს ჩქარა მიიფანტ-მოიფანტოს, ჩრდილოეთის ქარი ქრის... ბიჭებო,—მიუბრუნდა ამხანაგებს ერმილე,—ჩვენ რა გვაქვს სოფლელ ძმებთან სამალავი. ჩვენი ბავშვობის ნატერფალი ჯერ კიდევ აჩნია სოფლის მიწას. ჩვენი მშობლების ძვლები ჯერ არ გაციებულა იქ, ჩვენი მშობლიური კუთხის მიწაში. ზოგს ცოცხლებიც ჰყავს. მე ტყუილად როდი ვამბობ, — ორი გული მაქვს-მეთქი: გლეხი ვარ—სოფლის მიწის ჩამონაჭერი, მუშა ვარ—უცხო კაპიტალისტის მონა. ჩემი სოფელი ძმა უმიწაწყლოდ იხრჩობა ბუდიდან ამოვარდნილ თევზივით. ასე ცხოვრება არ შეიძლება.—ერმილემ ხმას დაუდაბლა,—ქალაქი და სოფელი უნდა გაერთიანდეს. გაგიმარჯოს, ძმაო, მირიან, სეფე! გწამდეთ. ახალი საუკუნე ბევრს რამეს მოგვიტანს ახალს. დანარჩენი გადავდოთ სხვა დროისთვის.

ერმილემ ჭიქა დასცალა, ბიჭებმაც დასცალეს. ერმილეს სიტყვამ ყველას გული სიამით აუძგერა. მირიანი წარბშეკრული დასცქეროდა მის წინ დადგმულ ღვინით სავსე ჭიქას. აიღო და უნდოდა უსიტყვოდ გადაეკრა, მაგრამ თვალი მოავლო

ბიჭებს. ისინი თითქო გადამწყვეტ პასუხს მოელოდნენ მირიანიდან, ისეთი უცნაური ღიმილით მისჩერებოდნენ ანთებულ-თვალებში.

— ძამიებო,—მტკიცედ წარმოთქვა მირიანმა, — შერცხვეს ჩემი ვაჟკაცობა, თქვენსკენ გამოსროლილი მტრის გახურებული ტყვიაც თუ არ დავიჭირო ამ მარჯვენით.

— ამინ!—შესძახა სეფემ.

სუფრაზე ერთი წუთით დუმილი ჩამოვარდა. მახარე ხარბად მისჩერებოდა ერმილეს. მის ყურში მგზნებარე მუსიკასავით ჟღერდა ერმილეს სიტყვები: „ჩრდილოეთის ქარი ქრის... გავერთიანდეთ!..“

„რა წარმტაცი სიტყვებია, საიდან ისწავლა ერმილემ ეს სიტყვები?—ფიქრობდა მახარე და გული ნაკვერჩხალივით უელავდა. უნდოდა დაეყვირა:—ძამია, ერმილე, გვითხარი ბარემ რას ნიშნავს „გავერთიანდეთ?“... „ჩრდილოეთის ქარი“ რაღა არის?“

რამდენიმე წუთის შემდეგ მირიანი და სეფე სოფლისაკენ მიქროდნენ მატარებლით.

— რაო, რას ნიშნავს ნეტავი „გაერთიანება?“—ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

— რაღაც ახალი სიტყვაა, ბიჭო, უთუოდ.

— წინათ, რომ არ ლაპარაკობდა ერმილე ასეთ რამეებს ჩვენთან?

— განა მარტო ერმილე? არ ხედავდი, რავა ერთსულოვნად გვექცეოდნენ ბიჭები? დაჩუმდი, არაფერი წამოგცდეს. საიდუმლოს მოვლა უნდა და გაღვივება.

— ხედავ, რა მხიარულად ამოციმციმდა ალიონის ვარსკვლავი? იქნებ ჩვენი ბედის ვარსკვლავმაც გაიღიმოს.

სეფემ ცას გახედა. არც ერთი ნაფლეთი ღრუბელი არ ჩანდა. ცა ლურჯად კრიალებდა და თეთრად გადაპენტილი, პირწაყინული თოვლი ლაჟვარდივით ცახცახებდა. გეგონებოდათ დედამიწა ახალი წლის შესახვედრად ცისკენ აწეულაო. სოფლის შესასვლელთან იჩქარეთად შედგნენ სეფე და მირიანი. შეფიცული ძმებივით შეხედეს ერთმანეთს და უსიტყვოდ გაუდგნენ გზას შინისკენ.

სოფელი იღვიძებდა. აქა-იქ სარკმელიდან გამოკრთოდა

წმინდა სანთლის შუქი. მირიანმა პატარა, კოხტა ოდის კარი რომ შეაღო, ცაცუნია სანოვაგით სავსე გობზე ჯვარედინ თაფლის სანთელს აწებებდა. წელში გასწორდა და სიცილით ჰკითხა მირიანს:

— რა მოგაქვს?

მირიანმა ხურჯინი ძირს ჩამოიღო, ცოლ-შვილი გადაკოცნა და სიცილითვე უპასუხა:

— რა მომაქვს და „ყველაფერი კარგი"...

ჩვენ ვხედავთ სიმართლეს

— აგრე, აგრე, ვაქკაცო, მოთელე, მოარჯულე და ჩამოაყალიბე. ასეა, ბიძია, ცხოვრება. ან ექიმი უნდა იყო, ან ვექილი, თუ არც ერთ არა ხარ, რკინის მოდრეკა უნდა შეგეძლოს, ხელობა უნდა იცოდე. ვინ იცის რა შეგხვდება ცხოვრებაში, ბიძია!—ღიმილით ეუბნება ოსტატი მახარეს და გულდასმით სინჯავს მახარეს გაჭედილ ლანდურებს. — სწორია ლარივით, არსად ყალიბი ადგილი არა აქვს. ასე: დღეს ლანდურებს გავაკეთებთ, ხვალ ნალებს, ზეგ თოხებს, სახნისებს. ყველა ეს საწყალ გლეხებს სჭირდებათ. შემდეგ ჯაჭვებს გამოვჭედთ. ჯაჭვები უფრო რთულ საქმეს ემსახურება. ჯაჭვით აბამენ გემებს. კარგ ძაღლებსაც ჯაჭვით აბამენ. ჯაჭვის ხიდსაც აკეთებენ. სოფელშიაც დიდი ხეების სათრევად ჩამოაბამენ უღელს — ცანდის[1] მაგიერ. გინახავს, ალბათ, სოფლის ბიჭი ხარ. მაგრამ იცი, ბიძია, ჯაჭვს ბორკილებადაც ხმარობენ. ტუსაღებს ადებენ ფეხებზე, ხელებზედაც.

— ბიძია, არ შეიძლება ასეთი ჯაჭვი არ გავჭედოთ?

— სულერთია, სხვები გასჭედენ.

— ვინ იცის, რამდენი მართალი კაცი დაიჩაგრება ჩვენი გაჭედილი ჯაჭვით!—ნაღვლიანად თქვა მახარემ და სახე მოეღრუბლა.

— ვინც სიმართლეს ემსახურება,—მხოლოდ ერთი კია: სიმართლე სინათლეს ჰგავს; ბნელი ცხოვრების გულს ანათებს და ჩვენ ვხედავთ სიმართლის სინათლეს... დაჰკარი, ბი-

---

[1] ცანდი—უღელზე ჩამოაბამენ და ზედ სათრიელს აჰკიდებენ.

ძია, მოდრიკე, მოარჯულე ეგ სკვარამი რკინა. გახსოვდეს: სიკეთე და ბოროტება ერთ ქურაში იწრთობა.

— მერე რა იქნება, ბიძია ტრიფონ?

— რა გითხრა, შვილო!.. რა ვიცი... ერმილეს ბევრი წიგნები აქვს?

— ბევრი.

— ერმილე ჭკვიანი კაცია.

* * *

მახარე გრძნობდა, მის თვალს იქით რაღაც ახალი საქმე კეთდებოდა, რაც დაუნახავად შედიოდა მის გონებაში. ჩაფიქრებული იჯდა ბუხართან. 1901 წლის იანვრის ღამე იყო და გარეთ ზღვის ქარი კიოდა. ერმილე მაგიდას მიჯდომოდა, წიგნები გაეშალა და რაღაც გრძელ ნაბეჭდ ქაღალდს კითხულობდა ჩუმად, თავისთვის. ბუხარში ჯირკი იწვოდა. მახარე გაღვივებულ ნაკვერჩხლებს ჩასცქეროდა. „არა, არა, ჩემი ოსტატი მარტო მჭედელი როდია“,—წამოიძახა ფიქრებში გართულმა მახარემ. ერმილემ თავი ასწია:

— რაო, რა თქვი, მახარე?

მახარე შეკრთა, გაკვირვებული შეხედა ერმილეს.

— მე? არაფერი მითქვამს. მხოლოდ გავიფიქრე: ჩემმა ოსტატმა უცნაური ლაპარაკი იცის. მე კი მეგონა, მჭედლებმა მხოლოდ რკინის გაჭედვა იცოდნენ. ბიძია ტრიფონმა კი ასე თქვა, თითქოს ჩვენ ვხედავთ „სიმართლის სინათლეს“...

— რომელიც ქვეყანას უნდა მოეფინოს.

ერმილემ სკამი ბუხრისკენ მიაბრუნა და მახარეს პირდაპირ ჩახედა თვალებში.

— ყური მიგდე, მახარე,—დაბალი ხმით დაიწყო ერმილემ,—ახლა შენ პატარა აღარ ხარ, ავსა და კარგს გაიგებ. დაიხედე ხალათის სახელოებზე, შარშანდელი შეკერილი ხალათი როგორ დაგივიწროვდა. შარვალიც დაგმოკლებია. ეს არაფერია, მოვახერხებთ გამოცვლას. მინდა სხვა რამე გითხრა,—ჰო, ის რომ ბავშვი არა ხარ. ჩვენ პურს ერთად ვჭამთ და ერთმანეთის უნდა გავიგოთ. ასე ცხოვრება არ შეიძლება. ქვეყნის ჩარხი სხვაგვარად უნდა შეტრიალდეს. ეს საქმე ჩვენ

უნდა გავაკეთოთ—ახალგაზრდობამ. ჯერ ოდის საძირკველს დასკვნიან და მერე კედელს ააშენებენ. ხომ მართალია? თუ ეს მართალია, უნდა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოც ძირიდან საჭიროებს აშენებას.

ერმილემ ოთახს მოავლო თვალი, მერე გრძელი ნაბეჭდი ქაღალდი გამოიღო წიგნიდან და ისევ მახარეს შეხედა. მახარე განცვიფრებული მისჩერებოდა მას.

— ამ ქაღალდს პროკლამაცია ქვია. ეს რომ გვინახონ, დაგვიჭერენ. პროკლამაციებში ჩვენი საბრძოლო ლოზუნგები იბეჭდება.

ეს ფურცლები ამ დღეებში გამოუშვეს თბილისელმა ამხანაგებმა.

— ვინ გამოუშვა? ვინ არიან თბილისელი ამხანაგები? ლოზუნგი რაღაა?

ერმილემ ბაგე მოიკვნიტა. მან ახლა იგრძნო, რომ დიდი ამბის ასე ერთბაშად მოყოლა არ ივარგებდა, მაგრამ გვიანღა იყო. მახარეს კითხვებზე სათანადო პასუხი უნდა გაეცა. ნათლად გაერკვია ყველა ის საკითხი, რაც ბუნდოვნად უკვე მოკალათებულიყო მახარეს თავში.

* *

მახარემ თხელი თეთრი ფარდა გადასწია. ქარი ჩამდგარიყო. ღრუბლების ნაფლეთებში განთიადის წინამორბედი ვარსკვლავი კიაფობდა. გრძელი საუბრის შემდეგ ერმილეს ჩასძინებოდა. ხოლო მახარეს ჯერაც არ ეკარებოდა ძილი. მას ეგონა: ჩვიდმეტი წელი საღათას ძილით ეძინა, ახლა გამოფხიზლდა და ბელამის გმირივით ერთბაშად იგრძნო და ერთბაშად დაინახა ყველაფერი, რაც უმისოდ კეთდებოდა. მთაგრეხილებზე ალიონი იღვიძებდა. მახარეს თვალებში მზე ამოდიოდა. სასწრაფოდ გორგლავდა პროკლამაციებს თითო-თითოდ და უბეში იწყობდა. ამ პროკლამაციებს დღეს პირველად უნდა აეხილა თვალი ბათუმის მცხოვრებლებისათვის. ეს მახარეს ხელით უნდა მომხდარიყო. უხაროდა რომ ერმილემ მას მიანდო ეს დიდი საქმე, რომ ერმილემ კარგად გამოიცნო მახარეს გული.

მახარემ უბე აივსო პროკლამაციებით, თავზე ერმილეს ქუდი ჩამოიფხატა და ქუჩაში გავიდა. გუშინდელ ქარს ტალახიანი ქუჩები გაეშრო. ცისკარს ცეცხლი წაჰკიდებოდა.

ჩქარა მზე ამობრწყინდა.

მახარე აჩქარებით გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაზე. მისდაუნებლიედ ყველა გამვლელს უღიმოდა. სიხარულითა და სიყვარულით ავსებულიყო დღეს მახარეს გული. ქუჩაში თვითოეული გამვლელი მახლობელ ადამიანად ეჩვენებოდა. რომ იცოდეთ, თქვენ, საბრალო მონებო, რა აქვს მახარეს უბეში,—ფიქრობდა მახარე,—თქვენც, ალბათ, სიხარულით გამიღიმებდით.

ვაჟთა გიმნაზიისაკენ მიიჩქაროდა. დღემდე შურითა და სიძულვილით უცქეროდა გიმნაზიის მოწაფეებს, მაგრამ დღეს ეს გრძნობა გამქრალიყო მისი გულიდან. ახლა ყველა მისი დები და ძმებია. ყველა უყვარს... მახარეს მიაქვს მათთან სინათლე, სამჭედლოდან — გიმნაზიაში, ვინ წარმოიდგენს ამას?

მახარეს გული წყდებოდა: ყველაფერი ეს ჩუმად უნდა გაეკეთებინა, ისე, რომ არც ერთ სულიერს არ შეემჩნია. მახარე სამჭედლოში გვიან გამოცხადდა. სახეზე უძილობა და მოქანცულობა ემჩნეოდა.

— სად იყავი აქამდე?—ჰკითხა ოსტატმა.

მახარემ წაიყრუა, არაფერი უპასუხა. ოსტატმა ახედ-დახედა მახარეს და ისევ ჰკითხა:

— ერმილემ არაფერი გამომიგზავნა?

— არაფერი,—ყოყმანით და დარცხვენით უპასუხა მახარემ.

— მაშ, მე გავუგზავნი,—სიცილით თქვა ოსტატმა და ჯიბიდან დაგორგლილი ქაღალდი ამოიღო. მახარეზე უფრო ადრე მის ოსტატს მიეღო „საიდუმლო ფურცლები“. მახარემ გაშალა ქაღალდი, სახე წამოუწითლდა, არ მოელოდა. მერე თვითონაც ამოიღო ერთადერთი ქაღალდი და უსიტყვოდ გადასცა ოსტატს. მოწაფე და ოსტატი მამა-შვილივით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

1901 წლის 31 დეკემბერი

— ძაღლივით ყნოსავენ ქუჩებს,—დაღვრემილად თქვა მახარემ და ერმილეს მიუთითა იქითკენ, საითკენაც გურიელის დამქაშები მიდიოდნენ ვაშალომიძის თანხლებით. მახარეს მახვილსა და გონიერ თვალს არ გამოპარვია მათი ნაკვალევი. მთელი დღე ქალაქს ზვერავდა მახარე. ბარცხანასა და ნორიას დასტრიალებდა. მთელი გულისყურით იკვლევდა: საით იქნებოდა ამაღამ მიმართული „მაძებართა“ მარშრუტი. მახარეს აზრით ნორიაში შეუძლებელი იყო კრების მოწყობა. ახმედ-აღას ყავახანა სავსე იყო ჭრელი ხალხით. დუქნებში ჩვეულებრივად ჭყვიტინებდა არღანი. ლოთები ახლა მუხამბაზის მაგიერ „ჩვენო კარგო ქვეყანას“ მღეროდნენ. „ახალი სიო“ ლოთებში და უსაქმურ ხალხშიაც შეჭრილიყო და პირზე ნერწყვმომდგარი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ როტშილდის ქარხნის შესახებ:

— მდიდრებს ჩამოართმევენ...

— ღარიბებს დაგვირიგებენ...

— თქვენ ვინ გითხრათ?

— ვინ მითხრა? ხა, ხა, ხა... განა თქვენსავით საყრუეში ვარ?

— კომიტეტმა ბრძანა...

— ვინ არის კომიტეტი?

— ვინც უნდა იყოს. ჩუმად იყავი, თბილისშიაო, ამბობენ.

— ცხრა მთას იქით იყოს. ოღონდ საქმე გააკეთოს და...

ერთ მათგანს პროკლამაცია ჩავარდნოდა ხელში. ყველაფერი უკუღმა გიეგო. ამიტომაც იყვნენ ამაღამ პატრიოტული გრძნობებით გატაცებულნი. ერმილეს არ გაჰკვირვებია, როცა მოესმა მათი სიმღერა: „აწყმო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. მხოლოდ ჯავრი მოერია:

— არ უყურებთ ამ ბედოვლათებს? ვინ მისცა ამ ალამცარიებს ქვეყანა?—მერე მახარეს შეხედა ფეხებზე და ისევ „მაძებარი ძაღლები“ მოაგონდა.

— ბიჭო, შენს ჩექმებს ქონისა და ვაქსის სუნი ასდის.

— ალბათ, იყნოსეს კიდეც,—თქვა მახარემ და გულიანად გადაიხარხარა.

მახარეს თავის პატარა ცხოვრების მანძილზე პირველად ეცვა მაგარი, ბოქსის ჩექმები. ერმილე ამიტომ წაეხუმრა. ბარცხანის ქუჩაში შეუხვიეს, გზაჯვარედინზე შედგნენ მბეუტავი ფარნის ქვეშ. პაპიროსს მოუკიდეს.

— დილამდის, ვინ იცის, რა მოხდება? ალს კვამლიც თან ხდევს. უკანასკნელ შემთხვევაში სამჯერ გააქანე მავთული და თავს უშველე,—ცოტა დაფიქრების შემდეგ დაუმატა ერმილემ:—იცი, ბიჭო, რას გეტყვი? ვფიქრობ აგიტატორად შენი კანდიდატურა დავასახელო კრებაზე. კომიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ ჩვენ თავისუფალი მუშაკები გვჭირდება. ეს საქმე შენზე იქნება გამოჭრილი. ენამახვილი ხარ, მეცადინეობა გიყვარს, გაიწვრთნები. შენი ოსტატიც ამ აზრისაა.

— ჩემი ოსტატი ფიქრობს სამჭედლოს თავი მივანებო?

— ასეთი ხალასი ნიჭი როგორ უნდა დაიკარგოსო.

მახარეს გული აუთამაშდა, ბნელ სივრცეს გახედა. სადღაც, შორს, გახურებული ბრძმედივით გამოკრთა ახალგაზრდა აგიტატორის ოცნება: „სამჭედლოდან ხალხში, კიდევ ზევით... საფეხურები ბევრია ასასვლელი, ბევრი... მერე ისევ ხალხში. არა მე სამჭედლოს თავს არ მივანებებ. რკინასაც გავჭედ და სიტყვასაც. მჭედელიც ვიქნები და აგიტატორიც. ვისწავლი კიდეც... მოვასწრებ...“

მახარე ოცნებამ გაიტაცა. ღამე ბნელია ლუსკუმასავით. ზღვა მშფოთვარე. ცაზე აქლემების კუზივით იზლაზნებიან შავი ღრუბლები. შარშან, ახალი წლის ღამეს, ბათუმს თეთრი ქათიბი ებურა. წელს ლამის ცა ჩამოიღვაროს. მაგრამ ის ვარსკვლავი ხომ ანათებს? აი, ღვივდება კიდეც, ღვივდება...

— ამხანაგს გამარჯობა!—შეეხუმრა მახარე ოლომფრეს. ოლომფრე შეკრთა. მიიხედ-მოიხედა, ვერავინ დაინახა. სწრაფად მობრუნდა უკან და გზააბნეულივით წაილაპარაკა:

— დასწყევლოს ღმერთმა, სად მივდიოდი და სად მოვხვდი. რავა მეცვალა მხარი!

— ოფოფები აგფრენია, ალბათ,—დასცინა მახარემ. მერე მკვახედ უთხრა:

— ვინ ოხერი ხარ? სად მიეთრევი? გეტყობა ღვინით ხარ გამობუჟბუჟებული, სალახანავ! „გასართობი სახლი“ აქ არ

არის. ამ ქუჩით წადი, აი, იქეთ!—და მახარემ გადასასვლელზე მიუთითა.

— სალახანაც ხარ და უარესიც! რას ილანძღები? ხომ გითხარი გზა ამებნა-მეთქი.

— მაშ მე გაჩვენებ გზას.

მახარე მიუახლოვდა ოლომფრეს, ღონივრად ჩაავლო ხელი სათბურში და წასჩურჩულა:

— შენ, მგონი, მართლა მთვრალი ხარ! შედი რაღა!

ოლომფრემ მახარე იცნო. უნდოდა გულიანად გაეცინა, მაგრამ შენიშნა ორი ლანდი მისკენ მომავალი. კიბის ქვეშ ჩაიკუზა. მახარემ მთვრალივით დაიწყო ქუჩაზე ბარბაცი, ლანდებს წინ გადაუდგა.

— ბო-დი-ში... ბა-ტონე-ბო!.. მგონი მხარი მეცვალა. იქნებ იცით, ახმედაის ყავახანა?

მახარემ ლანდები ქვეშქვეშა ცქერით შეათვალიერა. იცნო, ერთი მათგანი ვაშალომიძე იყო. თავში ჩაქუჩივით დაეცა რაღაც. არ შეიმჩნია.

— აქ ბარცხანის ქუჩაა, ახმედაის ყავახანა ნორიაშია.

— გზა ამებნა,—ენის ბორძიკით თქვა მახარემ.

— იქით ხომ არ მიბრძანდებით?

— იმ გზით...

მახარე აედევნა ლანდებს ხან კოჭლობით, ხან ბარბაცით. ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა.

— სად გალეშილხარ ასე? სადაური ხარ?

— სოფლელი ვარ. სადგურში დავლიე ბიჭებთან. ღამე მინდა სადმე გავათიო. ახმედაის ყავახანა მასწავლეს.

— ერთი ეს მითხარი, ამ გზაზე ნაბდიანი კაცი არ შეგინიშნავს?

— ნა-ბ-დი-ანი... ჰო, როგორ არა, სადგურის უკან ვნახე. მარინეს პროსპექტისაკენ მიდიოდა, — მახარემ მოხერხებულად წაიფორხილა, შედგა და თავის კანტურით იკითხა: — შორს არის?

— იარე და მიეთრევი.

მახარემ უფრო მოიკატუნა თავი.

უცნობი ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ მარინეს პროსპექტისაკენ. მახარე სწრაფად გამობრუნდა უკან. თავის სადარაჯოს

დაუბრუნდა. „დაითვალეთ, რამდენჯერ გაგაცურროთ!“—ჩაიცინა და გულისყურით დაუარა ეზოებს, სახლებს, ქუჩებს.

შუკებში გამოჩნდებიან ნაბადში გახვეული ადამიანები. ესენი სხვადასხვა წარმოების მუშები არიან. ამაღამ პირველად იკრიბებიან. საფუძველი უნდა დაუდვან „ახალ საქმეს“. აგერ ნიკიტა გამოჩნდა, მერე გოგილო. გოგილოს უკან ნინიძე მოდის ჯოხით ხელში. აგერ ბიძია ტრიფონიც.

31 დეკემბერია — 1901 წელი. მახარეს გულში შარშან ამ დროს ჩასახული ამბები წელს ხორციელდებოდა. ღიმილით უცქერის მახარე თავის მომავალს. გაივლის დღეები, მოუსვენარი აგიტატორი ყველგან მიიტანს ცეცხლს, ყველა დაჩაგრულს და უბედურს აუნთებს გულში თითო ნაკვერჩხალს, ყველა წყალწაღებულს გაამხნევებს. სოფლის კარიბჭესაც გაანათებს იგი. პირველად ბეგლარ მანთიძის ფაცხაში შეიტანს ნათელ შუქს და მოკრძალებით ეტყვის მამას: „ბაბა, გვეყო სივაგლახე, ასე ცხოვრება არ შეიძლება!“ მახარეს ხმაზე ზაალი, საული, კიკინია, ზაზა და ობოლი ზურიკო აცქვეტენ ყურებს. დაიზრდებიან ეს ბიჭები და მახარეს კვალს გამოჰყვებიან. მირიანი და სეფე სოფლის ბურჯებად დარჩებიან. ოცნებობს მახარე კიბის უკან ატუზული. მას არავინ ხედავს. ის კი ყველას ათვალიერებს. აგერ ერმილეც შევიდა იმ კარებში.

კარგა ხანი გავიდა. ბინის პატრონი პორფილე გამოვიდა გარეთ და მახარეს ჩასძახა კიბის ქვევით:

— ამოდი, ამხანაგო, ახალი წელი მობრძანდა.

მახარემ ქუჩებს გახედა, რაკი არავინ ჩანდა სულიერი, ქვის ექვსი საფეხური აიარა და პორფილეს ოთახში შეყვა. ოთახი სადღესასწაულოდ ახმაურებულიყო. ბუხარში რცხილის ჯირკვებს ცეცხლი აეგუზგუზებიათ. სახელდახელოდ გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ მხიარული ამხანაგები. სუფრის თავში ერთი შუახნის მუშა იდგა და ლაპარაკობდა:

— თუ მაგარი ნებისყოფისა ხარ, მებრძოლიც იქნები. შორს ჩვენგან ყოველი ჯურის ოპორტუნისტები. ჩვენ ერთი გზა გვაქვს, ამხანაგებო, რისთვისაც გვესაჭიროება ბრძოლა, ენერგია და კიდევ ბრძოლა...

მახარემ ფეხაკრეფით გაიარა ერმილესკენ. თვალი მოავ-

ლო ამხანაგებს. ქუხდა, ელავდა სიტყვები, ნამდვილი გულიდან წარმოთქმული იმ ადამიანების მიერ, რომელთაც უკვე შეეგნოთ უკუღმართი ცხოვრების მიზეზები, რაც ხელს უშლიდა მათ ბედნიერებას.

— უღიმღამოდ მავალი დღეები წარსულს ჩაბარდა, ამხანაგებო, ჩვენ გვაქვს მიზანი და შინაარსი...

ამხანაგებს არ გამოპარვია მხედველობიდან მახარეს ოთახში შემოსვლა. თვალი გააყოლეს მოხდენილ, პირტიტველ ახალგაზრდას. მოეწონათ, რომ ის იყო ეს ახალგაზრდა, რომელზედაც ამაღამ ლაპარაკობდნენ.

და როცა სავსე ჭიქა გადასცეს მას, მორცხვად წამოდგა, თვალი უფროსებს გაუსწორა და ახალგაზრდული მთრთოლვარე ხმით თქვა:

„მე, როგორც უმცროსი წევრი ამ სუფრისა, სიტყვას ვიძლევი ჩემი უფროსი ამხანაგების წინაშე, რომ გავამართლებ თქვენს ნდობას. ვიბრძოლებ ჩვენი გამარჯვებისათვის სანამ სული მიდგას“.

* *

შუაღამე ჩამოდგა. ღარიბთა უბანში აქა-იქ გაისმა ფილთა თოფების მხიარული ტკაცუნი. ბნელი ღამე იყო. მუშების ნესტიანი სადგომებიდან საამოდ კრთოდა პაწია ლამპების შუქი. ქალაქის ღარიბი მოსახლეობა სხვანაირი ექსტაზით ეგებებოდა 1902 წელს. ყოველ ჭიქას, ღვინით სავსეს, თან მოსდევდა სიტყვა:

„ჩვენი საქმე!“ „ჩვენი ერთობა!“ „ჩვენი კავშირი!“

ნამგალი

ბიძია ტრიფონმა სამჭედლოში დამზადებული ნივთები დაათვალიერა, მერე მახარეს მიუბრუნდა. მახარეს უკანასკნელი ნამუშევარი ეჭირა ხელში. ახალგაჭედილი ფოლადის ნამგალი ვერცხლივით ლაპლაპებდა მზეზე. მახარე ჩაფიქრებული დასცქეროდა ნამგალს. უყვარდა მისი გაჭედილი ნივთი.

ფიქრობდა დედისთვის წაეღო საჩუქრად. ახსოვდა როგორ გლეჯდა მაკა ხელით ბალახს ძროხისთვის. რკინების მაგიერ ახლა ახალი სიტყვა ჰქონდა მახარეს გასაჭედი, მხოლოდ სავალალო ის იყო, ამ ფოლადივით იბრწყინებდა მისი სიტყვა, თუ...

ბიძია ტრიფონმა გააწყვეტინა ფიქრი.

— რა უფრო მოგწონს, მახარე, შენი ნამუშევრიდან? სამჭედლოს სახსოვრად ხომ უნდა წაიღო რამე?—მამაშვილურად ჰკითხა ოსტატმა შეგირდს. და მახარემ შენიშნა: ბიძია ტრიფონს უეცრად .მომსკდარი ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან.

— შენი სიტყვა მეყოფა, ბიძია, სახსოვრად. შენ ხომ მითხარი — სიმართლე სინათლეს ჰგავსო.

— გარდა ამისა, მგონი, ეს ნამგალი მოგწონს? ისე დასცქეროდი, თითქო ნაკლს ეძებდი ფოლადზე. ხომ არაფერი აქვს ნაკლი?

— რკინა ხალასია. მე ისე, ფიქრში ვიყავი გართული. ეს ნამგალი დედაჩემის ხელებს მაგონებს. დედაჩემი ხელებით გლეჯდა ბალახს საქონლისათვის. სახსოვრად ნივთი რად მინდა. სამჭედლოს მიტოვებას არ ვაპირებ, ბიძია ტრიფონ, ხან რკინას გავჭედ, ხან სიტყვას.

— ეს შენ გადასწყვიტე როგორც გინდა, — ოსტატს სახე გაუნათლდა. მოეწონა შეგირდის აზრიანი სიტყვა.

მეგობრული საუბარი

ბათუმის ქარხნებში გაფიცვებისათვის ემზადებოდნენ მუშები. გაფიცვის მეთაურები თვალს ადევნებდნენ აგიტატორების მუშაობას. პარტიულ კომიტეტში მზადდებოდა საბრძოლო ლოზუნგები. მახარემ ჩქარა დაიმსახურა ამხანაგების ნდობა და პატივისცემა. მოუსვენარ აგიტატორს, მართლაც, ცეცხლი დაჰქონდა გულით. გამჭრიახი გონებით და მახვილი ენით ადვილად იპყრობდა ხალხის ყურადღებას. შვენოდა ახალმოლამული ულვაში. განსაკუთრებით — თეთრი საყელო ლურჯ ხალათზე უბრალოდ გადმოკეცილი, წელზე ფართო

ქამარი. მისი ნამუშევარი ფულით პირველად შეიკერა მახარემ ეს სადა ტანისამოსი. ახლა მშობლებისთვის აგროვებდა კაპიკებს. ორმაგი ძალით მუშაობდა სამჭედლოში. სამაგიეროდ ხშირად ხედავდნენ ამხანაგები უძილობით თვალებმიბნედილს. მთელი ღამეები წიგნებში ჰქონდა თავი ჩარგული, სააგიტაციო მასალას ამზადებდა. კომიტეტის დადგენილებები ორგანიზაციის წევრებში გადაჰქონდა. საგაზეთო კორესპონდენციის დაწერაც ჩინებულად ისწავლა.

მახარე თავის ნაწერებს უმალ ერმილეს უკითხავდა.

ახლოვდებოდა თებერვლის დღეები. როტშილდის ქარხნის მუშებში უფრო და უფრო ცხოველდებოდა გაფიცვის სურვილი. იანვრის გაფიცვები მანთაშევის ქარხანაში, გამარჯვებით დამთავრდა. ამ ამბავმა უფრო წააქეზა როტშილდის ქარხნის მუშები.

ყოველ დილით გულის ფანცქალით ელოდნენ მუშები საიდუმლო მთქმელს: „ხელი აიღეთ“... და იმწამსვე აღარავინ დარჩებოდა ქარხანაში მოხელეების მეტი. ან ვინ გაბედავდა დარჩენას, ვინ იკისრებდა ღალატს.

* *

ერთ საღამოს ერმილე ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაბრუნდა შინ. მახარე, როგორც ყოველთვის, ახლაც სამუშაო მაგიდასთან იჯდა. დღეს ადრე დაბრუნებულიყო სამჭედლოდან. ახალი სააგიტაციო მასალის დამუშავებაზე ფიქრობდა. სამღვდელოების წინააღმდეგ აპირებდა იმ დღეებში გამოსვლას. დარვინი, ბოკლი, ჰექსლი გადაეფურცლა. იქვე იდო „შრომა და კაპიტალი“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ერმილეს გაუკვირდა, როცა დარვინის წიგნი დაინახა გადაშლილი. მახარემ მტკიცედ წარმოთქვა:

— ვისწავლი, გავიგებ ყველაფერს,—და უცებ ერმილესათვის მოულოდნელად დაუმატა:—ეს შენი სიკეთით იქნება.

ერმილეს გულს ტკბილად ესალბუნა მახარეს სიტყვები. იგრძნო, მახარე აფასებდა ერმილეს მეგობრობას, რაც პირველად წამოსცდა მთელი წლის განმავლობაში, მხრებზე ხელი მოხვია და დინჯად უთხრა:

— ყოჩაღი ბიჭი ხარ. მჯერა, შენ ყველაფერს ისწავლი. შაგრამ ახლა ეს წიგნები იქით გადააწყე. სასწრაფოდ უნდა დაამზადო მოხსენება ხვალისათვის. რა შედეგები მოყვა იმ საკითხს, რომელიც კომიტეტიდან გქონდა მონდობილი. წარმოადგინე შენი მოსაზრებანი.

მახარეს უეცრად წითელი ფერი აეკრა სახეზე. ხვალ პირველად უნდა გამოსულიყო მისი ამომრჩევლების წინაშე მოხსენებით, ბუხართან ჩამოჯდა დაფიქრებული. არ შეუმჩნევია, როგორ ჩუხჩუხებდა სპილენძის თუნგით ცეცხლზე დადგმული წყალი, ერმილემ მოაგონა, ჩაის დალევის დრო იყო. როცა ჩაის შეექცეოდნენ, ერმილემ ჰექსლის ლექციებზე მიუთითა მახარეს.

— აი, ეს წიგნი შეისწავლე ჯერჯერობით თუ მაინცდამაინც გინდა. ამ წიგნიდან უფრო მეტს გაიგებ დარვინიზმზე, ვიდრე თვით დარვინიდან. თუ ბოკლის წიგნსაც შეისწავლი, ცოტა, სულ ცოტა წარმოდგენა გექნება მატერიალიზმსა და იდეალიზმზე. მერმე ეს მცირე შეგნება გაგიორკეცებს სწავლის სურვილს. პირველ ყოვლისა, უნდა შევისწავლოთ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.. ეს ჩვენი მომავალი მუშაობის სახელმძღვანელოა. ჩვენ ხომ ისედაც მატერიალისტებს ვუწოდებთ ჩვენს თავს.

— გაზეთების ქრონიკებით ვიკვებებით და „რწმენაზე“ ვავიძახით, როცა არაფერი გაგვეგება.

— ამიტომაც ვიკვეხნით ჩვენს მატერიალისტობას, რომ ათეისტები ვართ და აღარ ვიმეორებთ დიაკვნების ნაბუტბუტევს.

— ყველაფერი ზერელე და ყურწაკრული ამბავია ჩვენთვის. უნდა გითხრა გულახდილად: რამდენადაც მივტოპავ ამ წიგნებში, იმდენად მეტი და მეტი დაბრკოლებები მეღობება წინ. ჩემი პატარა ცოდნა არ კმარა ამ დიდი საკითხების გასაშუქებლად, რაც აუცილებელია კულტურული ადამიანისათვის. ჩემი სააგიტაციო მუშაობა, ბროშურებიდან ნაჯახირევი, ვის დააკმაყოფილებს. ვთქვათ, შემხვდა ვინმე მცოდნე — ხომ გავშავდები. მრცხვენია, ჩემი „პატარა თავით“ სად გამოვჩნდე. ამიტომ ვიქექები ამ წიგნებში, იქნებ რამე შევიძინო-მეთქი.

გაყუჩდა მახარე, ცოტა დუმილის შემდეგ ისევ ასწია თავი.

— მაშ, ამ წიგნზე რას იტყვი, ერმილე?—დარვინზე მიუთითა მახარემ,—ეს წიგნიც ჭეშმარიტ სიმართლედ მიგაჩნია?

ერმილე შეყოყმანდა, წიგნი აიღო, გადაფურცლა და ცივად თქვა:

— ჩემთვის ეს წიგნი ჩინური ანბანია. მხოლოდ შთაგონება დიდად უწყობს ხელს ადამიანის გონებრივ განვითარებას. შთაგონებით მწამს, რომ ეს წიგნი შეიცავს მატერიალისტური სიმართლის წყაროებს.

— მაპატიე, მეგობარო, საძაგელი ხასიათი მაქვს. პეშვით მიწა რომ აიღო და მარწმუნო, ეს მიწა არისო, ვერ დაგეთანხმები, სანამ გემოს არ გავუსინჯავ. უბედური კაცი ვიქნები ცხოვრებაში. რასაც ხელს შევახებ, მინდა ისე შევისწავლო ის საგანი, ერთი პაწაწინა ნაწილიც არ დამრჩეს შეგნების გარეშე. თამბაქოს ვწევ და მსიამოვნებს, არ ვიცი, რად მსიამოვნებს. ვარდს მოვწყვეტ, დავყნოსავ და ვერ გამიგია, საიდან მიიღო ვარდმა მშვენიერი სურნელი. ცას შევხედავ, თვალს მტაცებს მნათობთა კაშკაში... უძლური ვარ. არაფერი ვიცი. ყველაფერი სხვისი უნდა დავიჯერო და თუთიყუშივით ვიმეორო. არა, რა ვარ ქვეყანაზე? ჯერ ეს წიგნებიც ვერ წამიკითხავს.

მახარემ ერმილეს წიგნებს მიაპყრო თვალი—იატაკიდან ჭერამდე შეწყობილს.

— შენ ყველა წაკითხული გაქვს?

— ზოგი წაკითხული მაქვს და ზოგის კი მხოლოდ სათაურები. ბევრი რამ გასაგებია, ბევრი გაუგებარი. მაინც ყოველი ჯამაგირის მიღებაზე ვათვალიერებ კიოსკებს. ვნახავ ახალ წიგნს, ვყიდულობ. წავიკითხავ, ზოგს გავიგებ, ზოგს ვერ გავიგებ. დავდებ თაროზე, მოვა ვინმე, ჩემზე უკეთესი მკითხველი, და ის გაიგებს. იმედს მაინც არ ვკარგავ. ეს მაინც ხომ შემიგნია: არსებობს ქვეყანაზე ბევრი რამ, რასაც ვერ მივწვდები, მაგრამ ვიცი მისი არსებობა.

— და შეგიძლია იყო გულგრილი?

ერმილემ ჩაახველა და სახე დაეღრიჯა.

— უფრთხილდი ბაცილებს და გწამდეს ის, რაც აუცილებელია: თვითმპყრობელობა უნდა დაინგრეს. ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა უნდა მოისპოს.

— მწამს ურყევად.

— კიდევ რა გაიგე ამ წიგნებიდან?

— გავიგე, დედამიწაზე არსებობს მრავალი ღმერთი და არა ერთი უხილავი...

— რომელიც შექმნა ადამიანის გონებამ. მე კი მყავს ერთი თვალუჟუნა ღმერთი.

ერმილემ ულვაშში ჩაიცინა. გულის ჯიბიდან ამოიღო ლამაზი ქალიშვილის სურათი და მახარეს გაუწოდა.

— ხომ კარგი ღმერთია? ალბათ, შენც გყავს ამისთანა ღმერთი.

მახარე მოიღრუბლა. მოაგონდა დია. მერე უცებ შუბლი გახსნა და გადაიხარხარა.

— მე ღმერთი აღარა მყავს. მე მყავს „ჩემი თვალის სინათლე", და ხანდახან, როდესაც ჩემს „თვალის სინათლეზე" ვოცნებობ, თავი ყოვლისშემძლე მგონია. მინდა ხელმწიფის ტახტი სულის შებერვით გადავაყირაო, ყველა ახალგაზრდას ჩემი გული ჩავუდგა. ოხ, რა საბრალო ვარ! სურვილები, მარტო სურვილები...

მახარე ისევ მოყვა ოთახში ბოლთის ცემას.

ერმილეს ხველა აუტყდა და უსიტყვოდ ჩაწვა ლოგინში.

მეორე დღეს კომიტეტის სხდომაზე მახარეს ვიღაცამ აღგზნებული აგიტატორი უწოდა. ამის შემდეგ მახარე ერთიორად გაიზარდა ამხანაგების თვალში. თუ აქამდე მეგობრებს ეშინოდათ მახარესი — რაიმე შეცდომა არ დაუშვასო—ესიში მოიხსნა. მახარე მრავალი საქმით დატვირთა კომიტეტმა.

ახლა მახარეს ერთი წუთითაც არ ეცალა მის „თვალის სინათლეზე" საფიქრელად.

სოფელში მშობლების სანახავად წასვლაც აპრილისათვის გადასდო.

ერმილეს სიყვარული

ერმილეს ბინიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ქუჩის შარცხენა მხარეს, შეგხვდებათ ფიცრის ნაკიდურებით შემოღობილი პატარა ეზო. ეზოში ორთვალიანი თეთრი სახლია. სახლის წინ ვენახის ტალავერი. აქ ცხოვრობს თექვსმეტი წლის გოგონა ტასი. ტასის უფროსი და—მაგდა—ოცდარვაწლის ქალია. მაგდას დაქვრივების შემდეგ გურიის მაღლობიდან აქ ჩამოსახლებულან დები. ჭიშკარზე განცხადება გაუკრავს მაგდას: „ვკერავ მამაკაცების საცვლებს და ხალათებს“: ტასის სოფლის სკოლა დაუმთავრებია. კერვა არ უყვარს. როცა მაგდა გაუწყრება და დაემუქრება, ყოველთვის მე ვერ გაჭმევ პურსო, ტასი ტირილს მოჰყვება. მაგდას კეთილი გული აქვს, ისევ ჩქარა მოეფერება დას. უყვარს, მისი გაზრდილია ობოლი. ტასი მაშინვე გამხიარულდება და დაიწყებს ხტუნვას და სიმღერას. ლექსების წიგნები ბლომად მოუგროვებია, ლექსებიც ბევრი იცის ზეპირად, გურიაში განაგონი, სატრფიალო ნაწყვეტები. წამოგორდება ტახტზე და აჟღარუნებს გიტარას. მაგდა გამუდმებით კერავს.

ტასი ჭიშკართან შეხვდება ერმილეს ყოველ დილით, როცა პურის საყიდლად მიდის. ერთი გზა აქვთ ორთავეს. ერმილეს გულში ჩაუვარდა ტასის სიყვარული. მოკისკისებს ტასი, მოქღურტულებს, თითქო ყელამდე ბედნიერია. ერმილე იწვის, იხრუკება, და ვერ გადაუწყვეტია: „ვაი რომ უარი უთხრას ტასიმ?... მაშინ?..“

ისევ შორით ტრფიალი ამჯობინა ერმილემ. მაგდასაც ვერ დაუახლოვდა ჯეროვნად. ამ გარემოებამაც ხელი შეუშალა. პერანგი შეაკერინა ამას წინათ, მაგრამ საუბარი არ ჩამოუგდია. ერთი პროკლამაცია კი დააგდო საკერავი მანქანის გვერდით. „ნახა? ვინ იცის?“

— ტასი, რატომ კერვა არ გიყვარს? საქმროს ვინ უნდა შეუკეროს ხალათი?—ტასი კისკისით პასუხობს:

— ჩემმა დამ.

— მაშ, ხვალ მოვიტან შესაკერად.

ტასიმ გაკვირვებულად შეხედა ერმილეს, ხელი გამოსტაცა და ფურნისაკენ გაიქცა. შემოდგომამ განვლო მას შემდეგ,

ზამთარიც გადის. ერმილეს გულში ოდნავაც არ შენელდა ტასის სიყვარული. გუშინ ფოტოვიტრინაში ტასის სურათი ნახა. არ მოეშვა ფოტოგრაფს, სანამ არ იყიდა. გულჯიბეში ჩაიდო, ამოიღებს, დახედავს. ნაზ მადონას არა ჰგავს ტასი. ის ამ ეპოქის შვილია, ჯმუხი, ძვალმაგარი, წელში მკვრივი, ლოყები ვარდივით უელავს, თვალები შავეუეუნა—გრძელ წამწამებში ჩაყუდებული, მაღალ შუბლზე გადავარცხნილი სათითმა. ვნებიანი გულ-მკერდი.

მიდის ერმილე ქუჩაში, დაფიქრებული. შორიდან შემოესმა ტასის კისკისი. პური უყიდია, შინისკენ მიდის. ერმილე შედგა, მიესალმა, მაგდა მოიკითხა. ტასიმ ხალათი მოაგონა:

— მგონი, ხალათის შეკერვა გინდოდათ?

ერმილემ ტასი დაკვირვებით შეათვალიერა. ამ დილით რაღაც უფრო სათნო და ჭკვიანი ეჩვენა. მეტი სითბო და სიყვარული იგრძნო. მაინც თავი შეიკავა, დიდი გრძნობა წვრილმანზე გადაიტანა.

— სახალათე ნაყიდი მიდევს, ტასი, მაგრამ ვერ მოვიცალე მოსასვლელად. ეგ ოხერი, დატვირთული ვარ საქმით.

— ჰო, ვიცი.

— რა იცი?

— რაც თქვენ იცით.

— მაინც?—არ მოეშვა ერმილე და თავისკენ მოსწია ტასის ხელი.

ტასის ფერი ეცვალა, სათქმელი გადათქვა. გაიღიმა, სხვა მოიგონა.

— მე მეგონა თქვენც იცოდით.

— მაინც რა? გამიზიარეთ, ნუ გეშინიათ.

— ჩემს დას ხომ არ ეტყვით?

— აბა რა სათქმელია.

ტასიმ ლურჯ ცას ახედა და ერმილეს თვალი ააარიდა.

— გუშინ სცენის მუშაკთა წრეში მიმიწვიეს. „ბაიყუშიო" უნდა დავდგათ. მე თალიკოს როლს ვთამაშობ. ანტონი მამზადებს. ხომ იცით ვინ არის ანტონი?

— ვიცი, იმ დღეს გაიოზის როლს, რომ თამაშობდა.

— დიახ, ის.

— კარგია, მსახიობობა დაგიწყია,—ნაძალადევად გაიღიმა ერმილემ.

როცა რამდენიმე ნაბიჯით დაშორდნენ ერთმანეთს, ტასი შემობრუნდა.

— სხვაც ვიცი!—მიაძახა ერმილეს და ეზოში შეირბინა.

ერმილემ უცებ შეიგნო: ტასი გაფრენილი ჩიტი იყო მისთვის.

ლურჯი ხალათი

დაინტერესებული თვალი ადვილად იცნობს, ვინ არის მისკენ მომავალი უცხო კაცი, რომელსაც სახე გაუპარსავს და თმა მოუშვია. თავზე კეპი ახურავს, ან პანამის ფართო ქუდი, შავი ინდიგოს შარვალი, საყელოგადმოკეცილი ლურჯი ხალათი ფართო სახელოთი და წელზე ტყავის ქამრით. ხელში შოკაუჭებული, გახვეწილი შვინდის ხელჯოხი უჭირავს ვერცხლის მონოგრამით. გულჯიბეზე ლითონისთავიანი წითელი ფანქარი აქვს ჩამობნეული.

— ვინ არის ეს კაცი?

— სოციალისტია.

— არა, ანარქისტია!

— რას ამბობ, ნამდვილი სოციალდემოკრატია.

— სემინარიელი იქნება უთუოდ.

ყურს მოჰკრავთ ასეთ საუბარს მის შესახებ. ნამდვილად ამ კაცს სემინარიაში არასოდეს არ შეუხედავს. სოფლის ორკლასიან სამინისტრო სკოლაში სწავლობდა. ცოტა რუსული ენა ესმოდა. ერთ დღეს მოეპრიანა და უცხოეთის გემს გაჰყვა. რამდენიმე წელს არ გამოჩენილა სამშობლოში. არ იფიქროთ კაპიტნის თანამდებობას ასრულებდა იგი გემზე, ან მეცნიერი მკვლევარის ადგილი ეჭირა. არა, ასეთებიდან შორს იყო, თუმცა სურვილი დიდი ჰქონდა. უბრალოდ რომ ვთქვათ, მისი ღირსება ლაქიის თანამდებობას არ აღემატებოდა. მას მუდამ საქმე ჰქონდა თეფშებთან, დანა-ჩანგლებთან, მზარეულთან და სუფრასთან. მაგრამ, ნათქვამია: კაცს ნიჭი მიეცი და ორმოში ჩასვიო, ასე ითქმის ამ კაცზე. წლობით უამრავ მგზავ-

რებთან ტრიალში ცხოვრების ბევრი ავ-კარგი შეისწავლა. ინგლისურ ენაშიაც გაიწაფა. ბოლო ხანებში ის ინგლისელებისაგან არაფრით განირჩეოდა თავისი გარეგნობით. გემზე მოსამსახურე ინგლისელები მას მაინც ბერძენთა მოდგმას მიაკუთვნებდნენ და ხუმრობით დიოგენუსს უწოდებდნენ. ჩვენ კი ამ კაცს დოროთეს ვეძახით.

დიდი ხანი არ არის, რაც დოროთემ ინგლისის გემი მიატოვა და ინგლისური ტანისამოსიც ლურჯ ხალათზე გადასცვალა. ამის მიზეზი თურმე ფრიად სერიოზული შემთხვევა იყო. თითონ დოროთე ასე მოგვითხრობს ამ შემთხვევას:

„ბალტიის ზღვაზე მოგზაურობის დროს, 1901 წელს, ზაფხულში, ფინეთის ერთ-ერთ ნავსადგურში გავიცანი უცხოეთში მიმავალი რუსი ემიგრანტები. მათ შორის ერთი ქართველი, განათლებით სემინარიელი. დიდი ხანია ქართული სიტყვა არ მსმენოდა. ერთ დღეს, განთიადისას გემბანზე ავედი, ვხედავ, ეს ემიგრანტი მარტოდმარტო გადასწოლია მოაჯირს, ნაღვლიანი თვალებით მისჩერებია აცისკროვნებულ აღმოსავლეთს და ნელი ხმით ღიღინებს: „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“. გული ამიფეთქდა. უბრალო კაცი ჩანდა, როგორც მე ვარ ახლა ლურჯ ხალათში. მომესმა რა ქართული სიტყვა, ვერ მოვითმინე, მივედი და გადავეხვიე. იცოცხლეთ, იმასაც გაუხარდა, სულმა სული იცნო და დავმეგობრდით. ორი თვე მოგვიხდა ერთად მგზავრობა. უნდა გამოგიტყდეთ, ცოტა არ ესიამოვნა, როცა ჩემი თანამდებობა გაიგო. „აფსუსია, ქართველი კაცი და ლაქია!“

— განა მე მინდოდა ლაქიობა? სიღატაკეს გავექეცი. ვიფიქრე, უცხოეთში რაიმე ბედს წავაწყდები და კაცი გამოვალ-მეთქი. მაგრამ რის ბედი! სურვილი ერთია და ცხოვრებას თავისი გზა აქვს.

— არც ანეა, მეგობარო,—შემაჩერა ემიგრანტმა,—სურვილი, ადამიანის საუკეთესო დამხმარე საშუალებაა. ადამიანებს რომ თავიანთი ადამიანური სურვილები არ ჰქონდეთ, ისინი ჯოგივით გაჰყვებოდნენ დროთა მდინარებას.

— მართალია-მეთქი,—გულუბრყვილოდ დავეთანხმე. სხვა რა ჩარა მქონდა, როცა განათლებული კაცი მიმტკიცებდა: ბურვილს ხან ზესკნელში აჰყავს ადამიანი და ხან ქვესკნელში

ჩაჰყავსო. ორივე შემთხვევაში, ახლა მე თქვენ მოგმართავთ: სურვილის გარეშე რა იქნებოდა ადამიანი? მეც ადამიანურმა შეგნებამ და სურვილმა დამაბრუნა ჩემს სამშობლოში. მე არ შევნატრი ახლა ადვოკატების თანამდებობას, არც მომრიგებელი მოსამართლის სავარძელი მაინტერესებს, არც „წმიდა მამების კვერთხს“ ვუკმევ გუნდრუკს. განგებამ გამაჩინა თავისუფალ ადამიანად, რად უნდა გავხდე სხვისი კერძი? დებო და ძმებო, გამომყევით, პირველი ავალ ბარიკადებზე. ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის. თქვენც ხომ გიყვართ თავისუფლება?“

ასე მიმართავდა ხალხს დოროთე. დილით თმას რომ გადაივარცხნიდა. საღამომდე შინ არ ბრუნდებოდა. სადაც ხუთი კაცი შეეყრებოდა, დოროთეც იქ იყო ლურჯი ხალათით, ჯოხზე დაბჯენილი. მრავალი ქართველი ოჯახი გაიჩინა დოროთემ პატივისმცემელი. მისთვის არ იყო საჭირო სამზარეულოზე ზრუნვა, არც სამიკიტნოში ლოთებთან სადილობა. ყველა მოლიბერალო დიასახლისი თავის ოჯახში ეპატიჟებოდა ამ „ენავარდიან“ კაცს. ასე ეძახდნენ მას, რომელსაც ახალი ჟურნალ-გაზეთები იღლიაში ამოდებული დაჰქონდა ყველგან. –

განსაკუთრებით ბავშვებს უხაროდათ დოროთეს სტუმრობა. ჟივილ-ხივილით ხვდებოდნენ „ძია დოროთეს“.

დოროთე, როცა ოჯახის უფროსებთან მოათავებდა საუბარს, სადილის შემდეგ მიწვებოდა ტახტზე და ბავშვებს ათასი ფერებით მოუთხრობდა მისი მოგზაურობის ამბებს ოკეანეს კუნძულებზე. ხან ჯემს კუკის თავგადასავალს უამბობდა. ხან რობინზონ კრუზოზე მოუთხრობდა; ხან „ბიძია თომას ქოხს“ წაუკითხავდა რუსულად და გადმოუთარგმნიდა ქართულად. ბოლოს გაშლიდა რუკას და ფანქრით მოუხაზავდა, სად რომელი ქვეყანა მდებარეობდა. უყვარდა გარიბალდზე ლაპარაკი. თვალები უბრწყინავდა, როცა იტალიის გათავისუფლების ამბავს მოყვებოდა ხოლმე.

— თქვენც გაიზრდებით და იბრძოლებთ საქართველოს თავისუფლებისათვის.

ბავშვების სათუთ გულზე ფაქიზად იწერებოდა „ძია დო-

როთეს“ ნაამბობი. რამდენჯერ თხოვეს დოროთეს შესულიყო პარტიაში, მაგრამ დოროთემ უარი განაცხადა.

— მე უბრალო ადამიანი ვარ, არ ვიცი პარტია. ნამდვილი რევოლუციონერი ვარ. ვიბრძოლებ ყველასთან, ვინც დაამხობს თვითმპყრობელობას. პარტიულობა არ მიყვარს. ინგლისის ტრედუნიონისტების პროგრამა უფრო მომწონს.

— რა გაეწყობა, სინდიკალისტი ყოფილხარ!—აჯავრებდნენ ერმილე, გოგილო და ნიკიტა. მაინც უყვარდათ ამხანაგებს დოროთე. თუ რაიმე საღამო-წარმოდგენა გაიმართებოდა „ახალი საქმისათვის“, დოროთე იმწამსვე გაანაღდებდა ბილეთებს მის „მოლიბერალო დამებში“. ასე ეძახდა იგი ნაცნობ დიასახლისებს.

გვიანდებოდა ხალხში გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება. დოროთეს მოთმინება ეკარგებოდა. თავს ვერ იჭერდა, ერთ დღეს მეგობრის ოჯახიდან გამოვიდა ოდნავ ნაღვინევი. თანაც იმ დღეს გოგილოს ეთქვა მისთვის, თებერვლის გაფიცვა დაიწყება როტშილდის ქარხანაშიო. დოროთე არაჩვეულებრივად იყო გამხიარულებული. მარინეს გამზირზე ლევან გურიელი შემოხვდა დოროთეს. ლევანს ვაშალომიძეც მოსდევდა. დოროთეს არ ესიამოვნა მათი შეხვედრა, მაინც მიესალმა. ლევანმა შორიდანვე შენიშნა, დოროთე ნაღვინევი იყო. შეაჩერა და კბილების ღრჭენით ჰკითხა:

— ბრძენო დიოგენუს, როგორ არის ქვეყნის საქმეები? ამბობენ, კაცო, ჩქარა როტშილდის სიმდიდრეს გაგვინაწილებენო, მართალია?

გურიელს უნდოდა ესარგებლა დოროთეს სიმთვრალით. იქნებ წამოროშოს რამეო.

დოროთემ ხელჯოხის მოკაუჭებული თავი გურიელის ხმალს გამოსდო, ზევით ააქნია და ცინიკური ღიმილით უთხრა:

— როტშილდის სიმდიდრე არც თქვენ დაგწვავს პირს, მაგრამ ერთი ეს მიბრძანე, თავადო, ეს ძაღლის სახიფი[1], რომ არ გეკიდოს წელზე, კარგი იქნებოდა. ხმალი თქვენს პაპებს

---

1 ძაღლის სახიფი — გრძელი ჯოხი, ძაღლს ჰკიდებდნენ კისერზე, რომ შარაგზაზე არ გადამხტარიყო.

მტრების გასაგმირავად ესაჭიროებოდათ, თქვენთვის აფსუსია. ჩემი რომ იყოს ეს ხმალი...

— რას იზამდი?

— ჰმ... ისე .მეკითხებით, თითქო ბალღი ვიყო.

— მაინც?

— მართალი გითხრათ? პირველად მელიას წავაჭრიდი თავს,—უთხრა დოროთემ და ვაშალომიძეს შეხედა, რომელსაც ხანჯალი ნახევრად ამოეშიშვლებია ქარქაშიდან და გურიელს შესცქეროდა თვალებში. ლევანმა თვალით ანიშნა როსტომს. ვაშალომიძემ ხანჯალი ჩააგო.

— ოხუნჯებს როდი ელაპარაკებიან,—ბრაზით თქვა გურიელმა, — მას ალაპარაკებენ.

დოროთეს არ გაუგონია ლევანის უკანასკნელი სიტყვა.

* **

არ გასულა სამი დღე გურიელთან შეხვედრის შემდეგ, დოროთეს ბინაზე გამოცხადდნენ პოლიციელები. ჩქარა მოეფინა ბათუმის საზოგადოებას „დიოგენუსის“ დაპატიმრების ამბავი. დოროთე არ შემკრთალა, საჭირო ნივთები შეკრა და ამაყად გავიდა ოთახიდან. წინასწარ იცოდა დოროთემ, მისი გზა ციმბირისაკენ მიიმართებოდა. დოროთეს დაპატიმრებამ არასასიამოვნო გავლენა მოახდინა ამხანაგებზე.

— ფრთხილად, მახარე,—აფრთხილებდა ერმილე მის გაზრდილს.

ნინიძე შემკრთალი გამოდიოდა ქუჩაში. ნეკრესის ქარეგბიანს ეძნელებოდა მოსალოდნელი რეპრესიები. ოლომფრე, გოგილო და ნიკიტა ნირს არ იტეხდნენ. სასწრაფოდ აკერინებდნენ მაგდას საგაზაფხულო ლურჯ ხალათებს. ერმილემ ყველას დაასწრო ლურჯი ხალათის ჩაცმა და თმაც ოდნავ მოუშვა. ყველაზე გვიან მახარეს ხვდა წილად ლურჯი ხალათის შეკერვა. მაგდას არ ეცალა, დატვირთული იყო ლურჯი ხალათებით. ყველა დამკვეთი აჩქარებდა. განთქმული ფართლეულის მაღაზიებში გამოილია ცინდელის ლურჯი სატინი. ლურჯი ხალათი, გულზე მიბნეული წითელი ვარდი, ან წითელი მიხაკი, აგრეთვე წითელი ცხვირსახოცი გულისჯიბეში

ამოწეული, მაშინ ასეთი მორთულობით იგრძნობოდა რევოლუციონერი სოციალისტი.

დოროთე აღარ ჩანდა ბათუმის საზოგადოებაში, მხოლოდ დოროთეს სახსოვრად დარჩა ახალგაზრდობას ლურჯი ხალათი.

მახარესთვის სახიფათო გახდა ლურჯი ხალათის შეკერვა. ტასიმ გაიცნო თუ არა მახარე, გული აენთო ვაჟკაცის სიყვარულით. ტასი ეხვეწებოდა მაგდას, ხალათის შეკერვა დაეგვიანებია. მაგდას გამოცდილი ჰქონდა პირველი სიყვარულის ალმოდება. ებრალებოდა ტასი. ხან სახელოს მოარღვევდა, ხან საყელოს, ხან გადადებდა საკერავს და ხუთ წუთში ცხელ ხაჭაპურს გამოიტანდა, სუფრას გაშლიდა. მადიანად შეექცეოდა მახარე გულღია მასპინძლის მორთმეულს.

ტასი გიტარას აჟღრიალებდა და მომხიბლავად მღეროდა:

ჩემი გული შენ მოგიკლავს...

მახარე ამ დროს განგებ სხვა ამბავს მოყვებოდა, საპატიო ადგილზე ერმილეს ახსენებდა. მაგდას უცქეროდა, ტასის ქურდულ მზერას შეაპარებდა. ერმილეს სახელი ტასის ცივ ღიმილს გვრიდა. მახარე დარწმუნდა, ერმილე ტყუილად იწვოდა ტასისათვის.

ტასი გამოიცვალა. ესღა აკლდა: მიყვარხარ, ეთქვა მახარესათვის. მაგდა აფრთხილებდა:

— სირცხვილია, დადინჯდი, პირველად ვაჟმა უნდა გამოჟიცხადოს სიყვარული. თუ უყვარხარ, ასეც მოიქცევა.

— მე რომ ვუთხრა მიყვარხარ-მეთქი, რა იქნება?

— ეს არ არის მიღებული. არ გაბედო. უარი რომ გითხრას, ხომ შერცხვები.

დადარდიანდა ტასი. დღემდე ცინცხალი თვალები დაებინდა. მთელი დღეები მოწყენილ მელოდიებს მღეროდა.

ხან როლებს იზეპირებს. შეყვარებული ქალიშვილის გრძნობები ერთიორად იზრდება სცენაზე. ხან ცრემლში პოვებს ტასი თავის არტისტულ სახეს, ხან ალერსიან ღიმილში ნარნარებს იგი, ხან მაღალი იდეით აღფრთოვანებული ყოველივე ინტიმურს ივიწყებს და გმირი ქალის სახით ეკლინება სცენიდან საზოგადოებას. ჩქარა გაითქვა ნიჭიერი მსახიობის სახელი. კარგად შეიგრძნო ის, რაც კეთილშობილურია ადამი-

ანისათვის. მაინც ვერ შესძლო სიყვარულის გაღვივება მახარეს გულში. მახარე ისევ თავის „თვალის სინათლეზე“ ოცნებობდა, ისევ დია აგონდებოდა—ჯაშუშის ქალიშვილი. „ეს ასე მოხდება,—ფიქრობდა მახარე,—დია შეიგნებს თუ არა მამის უმსგავსო საქციელს, უარყოფს ხალხის მოღალატე მამას და რევოლუციონერებს მოგვემხრობა. უთუოდ ასე იქნება“. არ დაეჭვდა მახარე თავის ნაფიქრში. ამ გაზაფხულზე ეშურებოდა დიდი ხნით უნახავ დიასთან შეხვედრას. როგორც იყო, მოათავა მაგდასთან სიარული. ჩაიცვა ლურჯი ხალათი და გულის ჯიბეზე ფანქარი გაიკეთა. შვინდის ხელჯოხის ტარებაც დაიწყო მახარემ, ხელჯოხი განსაკუთრებით ღამით ესაჭიროებოდა ქუჩებში სიარულის დროს. დავაკაცდა და გალამაზდა. თვალში ცეცხლი მოემატა. ანლა უფრო ძლიერად აღეძრა მახარეს დიასთან შეხვედრის სურვილი. კიდევ ერთი თვე და... მახარე გაუმხელს დიას დღემდე დაფარულ სიყვარულს.

—

თ ე ა ტ რ ი

როტშილდის ქარხნის ახალგაფიცული მუშები ჯგუფ-ჯგუფად შემოდიოდნენ თეატრში, უკანა სკამებს იკავებდნენ და დაბალი ჩურჩულით გაცხარებული მსჯელობდნენ გაფიცვის მსვლელობაზე. თებერვლის გაფიცვებს არ მოჰქონდა მუშებისათვის კარგი შედეგები. პოლიციელები ყოველ დილით მორეკდნენ ქარხანაში უმუშევარ ბოგანოებს და გაფიცული მუშების მაგიერ ამუშავებდნენ. არც აგიტაცია, არც პროკლამაცია არ მოქმედებდა მათზე. შეუგნებლად ხდებოდნენ ბოგანოები შტრეიკბრეხერებად. პოლიციელები გაფიცვის მეთაურებს დაეძებდნენ. გაფიცულ მუშებში ერთსულოვნება ირღვეოდა. ქარხნის დირექცია გაფიცული მუშების მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებდა. ბოლოს ხელმძღვანელი ორგანიზაცია იძულებული გახდა ხელი აეღო გაფიცვის მოწყობაზე.

— თუ ბოგანოები დარჩებიან ქარხანაში, წაგებული ვართ და სამერმისო საქმესაც გავაფუჭებთ,—ამტკიცებდა ერმილე-

თეატრის კუთხეში ისხდნენ გოგილო, ოლომფრე, ნიკიტა. ნინიძე ერმილეს ედავებოდა. ის წინააღმდეგი იყო მუშაობის განახლებისა. მათ შორის ტრიფონიც ჩამჯდარიყო. ტრიფონი ჯერ კიდევ აუხდელ, მუსლინის წითელ ფარდას ანთებული თვალებით მისჩერებოდა. ცხრისნახევრამდე აგვიანებდნენ წარმოდგენის დაწყებას. მუშები არ ჩქარობდნენ, მშვიდად სწევდნენ თამბაქოს და განაგრძობდნენ საქმიან საუბარს. წინა რიგები ხალხით ავსებულიყო... ესენი პიესა „და-ძმას“ მოეზიდა თეატრში. ერთმანეთის მისალმებით ირთობდნენ თავს. აქა-იქ მარტოხელა ქალები ჩამომსხდარიყვნენ კენტად და ამთქნარებდნენ. მახარე წარბშეკრული იჯდა ერმილეს გვერდით. უგუნებობა ეჭნეოდა. შტრეიკბრეხერებზე ფიქრობდა. აგიტატორის გულში გაღვივებულმა ცეცხლმა ვერ გაარღვია ბოგანოების თვალებში ჩაჟამებული სიბნელე, ვერ მიაღწია მათ ტვინამდე მახარეს სიტყვამ. „ო, რა ძნელი ყოფილა ადამიანის შეგნების გარდაქმნა. აანთებ კოცონს, ცამდე გაანათებ ბნელ ღამეს, მაგრამ ვერ გაანათლებ ზოგიერთი ადამიანის ჩლუნგ გონებას“, ბორგავდა ფიქრში მახარე. ამ დროს თეატრში გაისმა დეზების ჟღარუნი და ხმამაღალი სიცილი. ყველამ იქით მიიხედა. ეს ლევან გურიელი მობრძანდებოდა თავისი ავანჩავანით. გაიარეს პარტერი და წინა რიგში დაბრძანდნენ. მათ დანახვაზე მახარე რაღაც ამპარტავნულმა ჟინმა აიტანა. წამოდგა, ხელში კოხტად ეჭირა ქუდი და ხელჯოხი, წინა რიგში გაიარა, გურიელს გადახედა, ვაშალომიძეს თვალები შეანათა და განის კარიდან ფოიეში გავიდა. ლევანმა ირიბად გადახედა ევროპულად ჩაცმულ უცნობ ახალგაზრდას, მერე როსტომს ჰკითხა:

— ვინ არის ეს ამპარტავანი ახალგაზრდა?

ვაშალომიძეს ერთი შეხედვით ეცნაურა მახარე. სადღაც უნახავს ეს ბიჭი. სად ნახა, ვერ მოისაზრა. არ მოაგონდა საწყალი ბეგლარ მანთიძე. ან როგორ იფიქრებდა, ბეგლარის შვილი იქნებოდა ასეთი მშვენიერი ვაჟკაცი. როსტომმა თავი გააქნია. ერმილემ თვალი გააყოლა მახარეს, არ მოეწონა ურიადნიკის ახლოს მისი ამაყი გავლა; წამოდგა და მახლობელი კარიდან თვითონაც გავიდა ფოიეში. მახარე იდგა სვეტივით ერთ ადგილას. ერმილემ ხელი გაუყარა, ორივენი

ფოიეს ბოლოში გაჩერდნენ, საიდანაც პირდაპირ მოჩანდა ლევან გურიელი იატაკზე დაბჯენილ ხმალზე დაყრდნობილი, ხან ვაშალომიძეს ეჩურჩულებოდა რაღაცას და ხან მის გვერდით მჯდომს, ქალაქის ბოქაულს.

მახარემ ხელი დაუპირა ერმილეს და აღშფოთებით თქვა:

— მე უნდა მოვკლა ეს გაიძვერა ჯაშუში, — როსტომზე ანიშნა, — გადავწყვიტე ქვეყნის სირცხვილიდან გავათავისუფლო ის მშვენიერი გოგონა. დიას მამაა ეს არამზადა. მე მიყვარს დია. კეთილი ქალიშვილია, მიყვარს იგი. უნდა გამოგიტყდე, მიყვარს ჯაშუშის ქალი.

— მახარე, დღეს ვეღარ გცნობ, რატომღაც არ მომწონს ამაღამ შენი საქციელი. შევიდეთ დარბაზში, აჰა, მეორე ზარია.

მახარე დანებდა ერმილეს სიტყვას. პაპიროსის ნამწვავები გადააგდეს და ორივე დინჯად შევიდა დარბაზში. მახარე ბიძია ტრიფონის გვერდით დაჯდა. მოიკითხა საყვარელი ოსტატი.

* * *

მაყურებელნი კმაყოფილი გამოვიდნენ თეატრიდან. მიდიოდნენ ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად და თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

— ანტონი შესანიშნავად თამაშობდა გაიოზის როლს,— ამბობდა ერთი.

— იშვიათი გაიოზია,—ადასტურებდა მეორე.

იწუნებდნენ ოტიას როლის შემსრულებელს.

ტასიზე ერთხმად ამბობდა ყველა, რომ ეს გოგონა კარგი მსახიობი დადგებოდა. ტასიმ უცებ მოიპოვა ხალხის თანაგრძნობა.

— მტკიცე დრამატიული ხმა აქვს,—ლაპარაკობდა ვიღაც.

— კარგად ჩაატარა მარინეს როლი,—იწონებდნენ ქალები.

ერმილე ღელავდა ტასის ხსენებაზე. თვითონ თავის აზრს არ ამჟღავნებდა. ტასი უკვე მოსულიყო შინ, ხის დიდი ჯამი გამოეტანა ტალავერში და სცენაზე მიღებულ ყვავილებს

წყალში აწყობდა. ტასის კაბის ღილები გაეხსნა, მთვარის შუქზე თეთრად ქათქათებდა სავსე გულ-მკერდი. გაზაფხულის ნიავი მსუბუქად უწეწავდა თმას. ყვავილში თითქო მახარეს თვალები ჩაეხატა .განგების ხელს. მახარეს დასტრიალებდა ტასის ფიქრები. ჯერ კიდევ თებერვლის ბოლო დღეები იდგა, მაგრამ არაჩვეულებრივად თბილოდა იმ წელს ზღვისპირეთში. გაზაფხულივით თბილი ღამე სუნთქავდა. ნიავს უხვად მოჰქონდა მიმოზების სურნელი. ერმილე მარტო რომ ყოფილიყო, ტასის ჭიშკართან შეჩერდებოდა, მახარე გრძნობდა ამას და სხვა საინტერესო ამბებზე გადაჰქონდა ერმილეს გულისყური. ხელი გაეყარა მკლავში და უიმედო სიყვარულით გულმოკლული მეგობარი შეუმჩნევლად მიყავდა შინისაკენ.

მაგდას ღრმად ჩასძინებოდა. ტასის თვალს ძილი არ ეკარებოდა. თეატრში შესვლის დროს თვალი მოჰკრა მახარეს, კინაღამ დაავიწყდა როლი. ახლა მთვარეს უცქერის ტასი, სკამლოგინზე ჩამომჯდარი და მთვარის ალა მახარეს სახედ ეჩვენება. რა ბედნიერი იქნებოდა ტასი ახლა, მახარე რომ უჯდეს გვერდით. როგორ ფრთხილად მოხვევდა ხელს, თავს გულზე მიადებდა და სასოებით ეტყოდა: „შენი მონა ვარ, შენზედ მლოცველი, შენი ერთგული... შენი!..“

ატირდა ტასი. ცრემლმა შვება ვერ მოჰგვარა. მთვრალივით წამოდგა, ბარბაცით შევიდა ოთახში. კარის ჭრიჭინმა მაგდა გამოაღვიძა.

— რატომ აქამდე არ გძინავს, ტასი?

— არ მეძინება. გადავწყვიტე თავი მოვიკლა.

მაგდა გაფითრებული წამოჯდა ლოგინზე.

— უგუნურო, უკეთესს რას იტყვი!

— მეტი არ შემიძლია. მახარე ყურადღებას არ მაქცევს.

— სისულელეს თავი დაანებე.

— ნუთუ ასე ულამაზო ვარ?

— უჭკუო ხარ! აქ მოდი, ჩემთან დაწექი. იცი, ანტონმა რა მითხრა შენზე? სახელოვანი მსახიობი გახდებაო. რა გაქვს სადარდელი?

— სხვა გულს ვერ ჩავიდგამ.

— დამშვიდდი, დაიძინე. ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას

მოგვიტანს. იქნებ მახარემ თვითონ შეგიყვაროს. ვფიქრობ ხაჭაპურზე დავპატიჟო მისი ამხანაგებით.

— ამხანაგები რა ოხრად მინდა.

— სულელო, ამხანაგები საჭიროა სახელის მოსახვეჭად.

— სახელის მოსახვეჭად... კარგი ამბავია! მერე სიყვარულს გამომიცხადებს თითო-თითოდ ყველა. მე სკივრი არა მაქვს, სად შევინახო ამდენი ამხანაგების სიყვარული? სამი გული უკვე მიდევს ყუთში, სასაცილოა, სამ სხვადასხვა მიჯნურის წერილში ერთი და იგივე წერია: ყველას ჩემი გაცნობისთანავე გული ასტკენია. დასწყევლოს ღმერთმა. მე მარტო მახარე მიყვარს. როდის დაპატიჟებ?

— კვირას.

— კვირამდე რამდენი დღეა?

— ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი.

— ო, რა შორს არის.

მაგდამ სასთუმალთან დაკიდებული ოქროს ძეწკვიანი საათი ჩამოიღო. ეს მაგდას შარნა იყო, რგოლის ბეჭედი და საათი. ახსოვს: როგორ თრთოდა მაგდა მაშინ, როცა საქმრომ პირველად ჩამოჰკიდა ეს საათი გულზე. ბეჭედს მუდამ ატარებს მაგდა. საათი კი ტასისათვის სურდა მიეცა საჩუქრად. ერთხელ შეესწრო: ტასის კისერზე შემოეხვია ოქროს ძეწკვი და სარკეში იხედებოდა. ახლა კარგი საბაბი ჰქონდა მაგდას, რომ ტასი რითიმე დაემშვიდებია.

— აჰა, ჩემი ოქროს საათი შენთვის მიჩუქნია. გამომართვი!

ტასი ცოტა შეყოყმანდა, არ მოელოდა ასეთ დიდ საჩუქარს დისაგან, რომელსაც ერთი საათის მეტი არავითარი სიმდიდრე არ გააჩნდა, მაგრამ სიხარული ვეღარ დაფარა და უცებ სტაცა ხელი, გულზე მიიხუტა და სარკეში ჩაიხედა. სარკეს პირდაპირ, ფანჯრიდან ანათებდა მთვარე. თეთრ გულმკერდზე აბრწყინდა ოქრო და ტასის ყველაფერი დაავიწყდა. მოყვა თავისებურ ხტუნვას და ცეკვას.

— ჰაი, შე ალქაჯო,—გაიცინა მაგდამ,—ხომ ჩქარა დაგავიწყე „დიდი სევდა?“ მართალი თქვი: ახლა ეს საათი უფრო გიყვარს, თუ მახარე?

ტასი შედგა. უცებ დაიხარა, დას მოეხვია და აცრემლებული ლუღლუღით უთხრა:

— ამ საათმა იმიტომ გამახარა, რომ მახარეს მოვეწონო. ზომ დაპატიჟებ?

— დავპატიჟებ.

სულის ჯაოგში

მომხიბლავი მთვარის ჯადოსნური სხივი ლევან გურიელის ბოროტ სულშიაც შეპარულიყო. მოქარაფებული იჯდა ფანჯარასთან, მკლავები მაგიდაზე დაეყრდნო და დისკოგაბადრულ მთვარეს მისჩერებოდა. გარეთ ნაზამთრი ხეები ქანდაკებასავით იდგნენ. კვიპარისებს ცისკენ აეტყორცნათ ხუჭუჭი თავები. არ ისმოდა ზღვის შრიალი. ქუჩებთან ერთად ბუნებაც მიდუმებულიყო. ღრმად ჩასძინებოდა ქალაქს.

ცერად შემდგარ თოფის პირზე თვლემდნენ ღამის გუშაგები. არ ეძინა მხოლოდ ოლქის ურიადნიკს.

რად სტეხდა ღამეს, რა აწუხებდა? იქნებ კეთილშობილურმა გრძნობამ გაიღვიძა მის გულში, იქნებ როტშილდის ქარხნის მუშების მდგომარეობა აღონებდა?

ეგებ გაიოზ ფაღავას სამშობლოზე ოცნებობდა? იქნებ რუსეთის იმპერატორის უღელქვეშ მკვნესარე საქართველოს ბედი ადარდებდა?

არა... სისონა დარჩიას მკვლელობის მონაწილეს, საეროზო ყარაულის უფროსის მემკვიდრეს, სიკეთის გრძნობა საშუდამოდ დაეხშო.

მაშ, რად იხედებოდა მთვარიანი ღამე მისი სულის ჯაოგში?

„ოტია ჯოლიას“ საყვარელი ჩაფრენილიყო მის გულში და ენებები აეშალა. წარმოდგენის შემდეგ თეატრის კიბეზე იდგა გურიელი, როცა ტასი ჯეირანივით გამოვარდა თეატრიდან და კიბე ჩაირბინა. მკლავით თაიგულები მიჰქონდა.

ტასის თვალები ისარივით მოხვდა გულში გურიის მთავრის შთამომავალს.

პოლიციელები გაფაციცებით ეძებდნენ როტშილდის ქარხანაში მომხდარი არეულობის მეთაურებს.

ოლქის ურიადნიკი, გურიელი, ოქროს აჩხრიალებდა.

ვაშალომიძე მელიასავით დაძვრებოდა ყველგან, უბით ოქროს ფული დაჰქონდა.

— ოქროს რა დაემალება, ბატონიშვილო! ოღონდ ოქრო იყოს და,—ამხნევებდა როსტომი გურიელს.

კომიტეტში სასწრაფო საყურადღებო საკითხი იდგა გადასაჭრელად. გემი „ეკატერინე მეორე“ უნდა მოსულიყო იმ დღეებში ბათუმის ნავსადგურში და ამ გემით არალეგალური ლიტერატურა უნდა გადაეგზავნათ მახლობელი ნავსადგურების მუშებისათვის.

მეორე უფრო გადაუდებელი საკითხი მოითხოვდა კომიტეტიდან დიდ პასუხისმგებლობას. დღითიდღე იზრდებოდა მღელვარება ბათუმის მუშებში. პატარ-პატარა ნაკადები ერთ დიდ მდინარედ აპირებდა ადიდებას, რომელსაც უნდა გადაელახა ნაპირები და მთელ ქალაქს მოსდებოდა. ეს იყო მოსალოდნელი დიდი დემონსტრაცია. ეს საკითხი გადაიდო მეორე სასწრაფო სხდომისთვის.

სახიფათოდ მიაჩნდათ არალეგალური ლიტერატურის გადატანაც. ამისათვის საჭირო იყო ქალი, რომელზედაც ეჭვს ვერ მიიტანდნენ ჟანდარმები. ჩემოდანი არც ისე დიდი იყო. თავისუფლად შეეძლო ქალს დაეჭირა ხელში. ქალი ბევრი იყო ბათუმში. უნდა გამოენახათ მათ შორის სანდო და გონებამახვილი.

— ამხანაგებო, როგორც ჩანს, ჩვენი მაგდა კეთილშობილ ქალია, შრომისმოყვარე და პატიოსანი. გავანდოთ მაგდას საიდუმლო, — წინადადება შემოიტანა გოგილომ.

— კი, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ის რომ, მაგდა მარტო არ არის.

ერმილემ წარბები შეყარა: „ტასის რატომ შეხედეს უნდობლად?“—გაიფიქრა, ცუდ გუნებაზე დადგა.

მახარეს არ გამოეპარა ერმილეს გულის ნაგრძნობი.

— ამხანაგებო,—დაიწყო მახარემ,—მაგდა უთუოდ სანდოა და მისაღები ჩვენს წრეში. მაგდა დიდად გამოგვადგება ჩვენს ფარულ საქმეში. მაგრამ ტასიმ რა დააშავა? რატომ გვგონია ტასი ვერ შეგვინახავს საიდუმლოს?

— ტასი ჯერ ბავშვია,—დაიცვა ოლომფრემ თავისი აზრი.

— რა ვუყოთ, რომ ახალგაზრდაა,—მორცხვად განაცხადა ერმილემ და სახეზე ზაფრანის ფერი აეკრა. კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც. ხველამ მოუსწრო.

ოლომფრემ შუბლზე ხელი გადაისვა. ეძნელებოდა რისი თქმაც სურდა.

— თქვი, ოლომფრე, დასამალი რა გაქვს ჩვენ ოჯახში,— შენიშნეს ზოგიერთებმა.

— არა. ისეთი არაფერია. მინდოდა მეთქვა, სიფრთხილეს თავი არა სტკივა-მეთქი. ცუდი ხმები დადის. ამბობენ, ჩვენი ტასი გურიელს ჩავარდნიაო თვალში. უმიზეზოდ ქარი არ აქროლდება.

ერმილეს ბაგე გაუთეთრდა.

ბიძია ტრიფონმა ჩიბუხი გამოიღო პირიდან, მონაწევი ბოლი გადაყლაპა და ცხვირიდან გამოუშვა. სიტყვა მოითხოვა, ულვაში გადაიგრიხა, სახეზე ღიმილი გამოხატა.

— სასაცილოა და მიუღებელი ოლომფრეს აზრი. ურიადნიკს ბევრი ვინმე ჰყავს თვალში ჩავარდნილი. ერთი იმ ყმაწვილ ქალსაც ვკითხოთ, მას კი ჩაუვარდა გულში გურიელი?

— საქმეც ამაშია!—ასტეხეს ხარხარი სხვებმა.

— ტრიფონი მართალს ბრძანებს. ასე საკითხისადმი მიდგომა არ შეიძლება,—თქვა ნინიძემ,—ქალი საუკეთესო კედელია ჩვენთვის. რაც შეეხება ტასის, ის დიდად გამოსადეგი იქნება მომავალი მუშაობისათვის. ჩვენ უნდა ვეცადოთ, თუ ცუდ გზაზეა დამდგარი, შემოვაბრუნოთ. ამისათვის შესაფერად მიმაჩნია, გამოვყოთ ერთი ამხანაგი, რომელიც იმუშავებს ქალებში. ამ საქმეს კარგად მოაგვარებს ამხანაგი სიბილო,—პედაგოგი კაცია, იმავე თეატრის მუშაკი, ვფიქრობ, თეატრი მთლიანად ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ.

ამხანაგებმა კვერი დაუკრეს ნინიძის წინადადებას.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ

კვირა დღე იყო. ბათუმის ნავსადგურში ხალხს მოეყარა თავი.

მზე ანათებდა დასავლეთის ჰორიზონტს.

წყნარი ზღვა იისფრად ლაპლაპებდა.

მშვიდი შეღამება მსუბუქად ესალბუნებოდა გულს. შორს, ტალღებში ირწეოდა გემი „ეკატერინე მეორე“.

— შეხედე, ტასი, რა შეედრება ამ სილამაზეს, რომელსაც ბუნება თვითონ ხატავს. რამდენი სითბოა და სიკეთეა ბუნებაში, რამდენი სიმშვენიერე... რაა მხატვრობა ცოცხალ ბუნებასთან შედარებით! ცოცხალი ბუნების ფერებში დაულეველი სითბოა, რაც თავისთავად შედის ადამიანის შეგრძნობაში, რაც გვახარებს და გვაცრემლებს. შეხედე, ცის ლურჯ ტატნობს, რა წარმტაცი სანახაობაა, რამდენი ოქროს ვარდი გაშლილა იქ, ადამიანის მიუწვდომ შორეთში. ჩვენ არა გვაქვს სულის სიმშვიდე, დავსტკბეთ ბუნების უთვალავ ფერთა მშვენებით. მონის უღელი გვადევს კისერზე. გული მუდამ ბოღმით გვაქვს სავსე. ეეჰ, ჩემო პატარა მეგობარო, მომეცი ხელი, ერთხელ კიდევ მითხარი: შენი გულივით შეინახავ ჩვენს საიდუმლოს? მითხარი: შენც იბრძოლებ თავისუფლებისათვის?

— ვფიცავ!—გულწრფელად წარმოთქვა ტასიმ და აღარ დაასრულა, ვის ფიცავდა.

სიბილომ გაკვირვებით აყარა წარბები.

— ასეთი ფიცი არ გამიგონია! და კიდევ უფრო მეტი, არ არის დამაჯერებელი. უნდა თქვა ვის ფიცავ?

— ვის ვფიცავ? გითხრა? ვის სახელსაც ისე ვუვლი, როგორც დიდ საიდუმლოს.

— მოსაწონი პასუხია. მაგრამ ჩვენ ხომ მეგობრობა აღუთქვით ერთმანეთს?

ტასიმ უეცარი უხერხულობა იგრძნო მეგობრის წინაშე.

— ჩემო ძვირფასო,—წარმოთქვა დარცხვენით,—ჩვენ ხომ ყველაფერი არ გვითქვამს ჯერ, რაც მეგობრობას შეეხება.

— ერთი უნდა გახსოვდეს მუდამ: მეგობრობა ყველა გრძნობაზე მაღალი და ფაქიზი გრძნობაა.

— მემახსოვრება,—თქვა და ნელი ნაბიჯით ბაქანზე გავიდა. ის იყო გემი „ეკატერინე მეორე“ ნაპირს მოადგა, მეზღვაურმა ღუზა გადმოაგდო.

ტასი ღელავდა. დიდი საქმე ჰქონდა დაკისრებული: გემზე არალეგალური ლიტერატურა უნდა აეტანა ჩემოდნით. კომიტეტის წევრები შორიდან უთვალთვალებდნენ. მხოლოდ სიბილო არ შორდებოდა მეგობარს.

ხალხი ირეოდა, ზოგი წამსვლელს აცილებდა, ზოგი მომსვლელს ხვდებოდა. გემბანზე გადმომდგარიყვნენ მზისგან გარუჯული, სპილენძისფერი მეზღვაურები. გემიდან გადმოვიდა ერთი პატარა ტანის მეზღვაური. გულჯიბეში წითელი ცხვირსახოცი საჩინოდ ამოეწია. მეზღვაური გულდასმით ათვალიერებდა ბაქანზე მოძრავ ხალხს. ეს ის მეზღვაური იყო, რომელსაც მოელოდნენ ამხანაგები. ტასი მიუახლოვდა მეზღვაურს და წითელი ცხვირსახოცი გადაუგდო. მეზღვაური მივიდა ტასისთან და მაგრად ჩამოართვა ხელი. სანამ ხალხი ირეოდა, მეზღვაურთან ერთად ტასი გემზე ავიდა. თამამად აიტანა ლიტერატურით სავსე ჩემოდანი. არ გასულა ხანი, ტასიმ მგზავრებთან ერთად კისკისით ჩაირბინა გემიდან. გვერდით მომავალ უცხო მგზავრ ქალებს მახლობელივით ელაპარაკებოდა, იცინოდა თითქო ვიღაც ნაცნობს შეხვედროდეს—ისე ეჭირა თავი.

სიბილომ ძლივს ამოისუნთქა.

პორფილე, გოგილო და ნიკიტა აღტაცებით შეხვდნენ მხიარულად მოცინარ ტასის.

— განა მარტო თეატრის თვალია? ახლა რას იტყვის ნეტა ოლომფრე?

გურიელი და ვაშალომიძე არხეინად სეირნობდნენ ბაქანზე. როგორღაც ხალხში ლევანმა ვერ შენიშნა ტასი. შორსმხედველობა აკლდა გურიელს.

ღამის ბინდი მოჰკიდებოდა ქალაქს.

სამხრეთის ცაზე ერთი ვარსკვლავი ციმციმებდა ობლად.

— და ის ვარსკვლავი შენა ხარ, ჩემო...—სიხარულით აღფრთოვანებული ეუბნებოდა სიბილო ტასის.

თავიდან მოგვწყდნენ

მარტის ცვალებადი დღე იდგა. ხან სუსხიანი ნიავქარი ამოიჭრებოდა ზღვიდან, ხან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ღრუბლების ქარავანი მიეფარებოდა მზეს.

შორს მოჩანდა დანისლული მთები.

დატყვევებული მუშები მოუთმენლად იცქირებოდნენ ყაზარმებიდან. მოუთმენლად მოელოდნენ ცხრა მარტის დილას. ამინდს აკვირდებოდნენ. მათ მზიანი დღე უნდოდათ. მაგრამ მზე უხალისოდ იხედებოდა ალაგ-ალაგ გაცრეცილ ღრუბლებიდან.

ეს იყო 1902 წლის რვა მარტს. ბათუმის მუშათა უბნებში ჩუმი მღელვარება იზრდებოდა. ლეგალური მარქსისტები ჩუმ-ჩუმად მოუწოდებდნენ მუშებს: „დაწყნარდით, ბათუმში არაფერი არ დაიმალება... დაიღუპებით...“

შავი ყორნებივით დასჩხაოდნენ ისინი და ხელს უშლიდნენ მუშათა სამართლიან გაფიცვებს.

კომიტეტში ფაცაფუცით და მღელვარებით მზადდებოდა ცხრა მარტის დემონსტრაცია.

— ამხანაგებო, თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს,—მჯიღის შემართვით თქვა ერმილემ.—ვის უნდა ვუცადოთ, სხვა მოვა და გაგვიკეთებს ჩვენს საქმეს? თავიდან მოგვწყდნენ ეგ „დასელი მარქსისტები“, თავის ტყავს უფრთხილდებიან. არ დაუჯეროთ!..—მაგათი აზრით ბედს უნდა ველოდეთ, — კოპები შეიკრა ილარიონმა,—ვუცქიროთ როდის დაცვივა მოწყალე ხელიდან მარგალიტები. კმარა ლათაიები. ვიცნობთ ვინც ბრძანდებიან ეგ ღია მარქსისტები. მაგათ სკამზე ბორძიკი ჩვენ არ გამოგვადგება.

— ჩვენ არ დავუჯერებთ არაფრის მაქნისებს,—თავისებური დინჯი ღიმილით წარმოთქვა ბიძია ტრიფონმა და უცებ პორფილესკენ მიიხედა, — თუ ძმა ხარ პორფილე, მეც მათქმევინე: ერთი გახურებული რკინა უნდა შევუჩიჩხინო მაგათ, შაშინ მოვლენ ბრძოლის ექსტაზში.

ბიძია ტრიფონის ხუმრობაზე ყველამ გულიანად გადიხარხარა.

ერთსულოვნად ამბობდნენ „ცხრა მარტი უნდა გახდეს კომიტეტში მუშათა სოლიდარობის დიად მოამბედ“.

ახალგაზრდა გურია

იღვიძებდა ახალგაზრდა გურია. გლეხებში სწრაფად ვითარდება მემამულეების საწინააღმდეგო მოძრაობა.

ცხრა მარტის სისხლიანი დემონსტრაციის შემდეგ პოლიციამ დიდძალი მუშები გაასახლა ბათუმიდან თავიანთ სოფლებში. იმათგან უმრავლესობა გურულები იყვნენ. უგნურ მოხელეებს ეგონათ ამით დააწყნარებდნენ ქვეყანას. მაგრამ რევოლუციონური მოძრაობა უფრო გაფართოვდა და გაიშალა. სოფლებში გაჩნდნენ ახალი ადამიანები, გაისმა ახალი სიტყვა, „ზიზღი თვითმპყრობელობას“, „ბოიკოტი მემამულეებს...“

ახლა საჭირო იყო ამ მოძრაობის სწორი გზით წარმართვა. ბათუმში მომუშავე გურულ მუშებს ჯერ კიდევ ცალი ფეხი გურიის მიწაზე ედგათ. ტყუილად როდი ამბობდა ერმილე „ორი გული მაქვსო“. სწორედ ეს „ორი გული“ მჭიდროდ აკავშირებდა გურიის გლეხთა მოძრაობას ბათუმის კომიტეტთან.

კომიტეტში მზად იყო დამუშავებული ლოზუნგები, რითაც უნდა ესარგებლა გურიაში წამსვლელ აგიტატორს, ან ბათუმიდან გასახლებულ მუშებს.

გაზაფხული იფურჩქნებოდა, გლეხები მინდვრებისკენ იყურებოდნენ.

სხვადასხვა სოფლის მოწინავენი ყოველდღე მიდიოდნენ ბათუმის კომიტეტში, იღებდნენ მითითებებს როგორ უნდა ემოქმედათ.

ერმილე ყოველდღე მოელოდა მირიანის ჩამოსვლას. ერმილეს და მახარეს სოფლიდან ჯერ არაფერი ისმოდა. თუმცა მერიაში ვიღაც მემამულე აზნაური მოეკლათ. მაგრამ მკვლელობის მიზეზი სოფელს თვითონ მიეჩქმალა. აი კიდევ ორმეთში ერთი თავადი მოეკლათ. ერმილე წარბშეხრილი იცქირებოდა სოფლისაკენ. არ მოსწონდა ნაადრევი ტყვიის ზუზუნი. მახარეც ყურს უგდებდა გურიის ამბებს. მახარე უფრო მოუთმენლად მოელოდა მირიანის ჩამოსვლას.

— თუ მირიანი არ ჩამოვა, თვითონ წავალ გურიაში, — მახარემ თავისი აზრი გაუზიარა ერმილეს.

— უფრო დიდი მემამულეები ჩვენს სოფლებშია. იქნებ მირიანი თვითნებურად აპირებს აჯანყების დაწყებას? ეს საკითხი ჩქარა უნდა დავსვათ კომიტეტში. ვფიქრობ, საჭირო იქნება გურიაში ჩვენი პროპაგანდისტების გაგზავნა და მათი საშუალებით გლეხებთან მჭიდრო კავშირის დამყარება. თუმცა ჩვენი მუშები მოეფინენ გურიის სოფლებს, მაგრამ აუცილებელია მაინც გლეხების ორგანიზებულად დარაზმვა.

— კომიტეტი რას ამბობს?

— კომიტეტი ჯერ კიდევ თებერვალში გზავნიდა სანდო კაცებს გურიაში.

ამ ლაპარაკში იყვნენ ერმილე და მახარე. აპრილი იდგა. ჯერ კიდევ დიდი დემონსტრაციის ჭრილობები არ იყო მოშუშებული ბათუმის კომიტეტში. მაგრამ გუგული ყოველ დილით „კაფე-თესეს“ გაიძახოდა. შოშიებიც მოფრენილიყვნენ გლეხების თავშესაფარში. გლეხებს საკუთარ პაწია ეზოებში ჩალის ღერები აეგუნდავებინათ და შეღამების ჟამს მოჩანდა აქა-იქ პატარ-პატარა კოცონები. გაზაფხულის საღამოს სასიამოვნოდ ეფინებოდა ჩალის ნამწვავების სურნელი. ყოველი ნაყანევი ახალ თესლს მოელოდა.

თესვა გვიანდებოდა.

დაითესოს თუ არ დაითესოს მემამულის მიწები?—ეს იყო მთავარი საკითხი. და აი, მირიანი ჩამოვიდა, ერმილეს ოთახში ისევ გაისმა ძმური სიტყვა.

— ერმილე, ბიჭო, კაცი გვინდა კომიტეტიდან. დიდი მიტინგი გვინდა მოვიწვიოთ. ხომ იცი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, ძამია, პირველად ვიწვევთ ხალხს. ვინმე უცნობი მოლაპარაკე გვინდა. კომიტეტიდან მოსულ კაცს უფრო დაუჯერებენ.

— მახარეს გამოგიგზავნით. ძალიან კარგი მოლაპარაკეა, ჭკვიანი ბიჭია.

— მახარეს ყველა იცნობს ჩვენს სოფელში. უცნობი ვინმე გვინდა. მარტო მე და სეფემ ვიცოდეთ მოლაპარაკის ვინაობა.

— ჩვენ ბევრი საშუალება მოგვეპოვება. ისეთი ფოკუსიც, რომ ნაცნობი უცნობად ვაქციოთ. თქვენ ხომ მიტინგს ღამით მოიწვევთ. ანტონ ელენტი კარგად იყოს და ყველა ჯი-

ბეში სხვადასხვა გრიმს ჩაუდებს აგიტატორს. ასე ხდება, გლეხო, ეს ამბავი,—ეხუმრა ერმილემ ძმას.—ვერც მეზობელი იცნობს და ვერც მამა. ყოველ შემთხვევისათვის, ბეგლარ მანთიძეს იმ ღამეს მაინც არაფერი უთხრათ.

შეთანხმდნენ ძმები.

1902 წელს აპრილში, მახარე ფარულად უნდა ჩასულიყო სოფელში მირიანთან.

მთვარე ცალი თვალით იცქირებოდა

შუაღელეში გამართულ კრებაზე ბეგლარ მანთიძე იმ დროს მოვიდა, როცა მირიანმა კრება გახსნილად გამოაცხადა. დიდ-ძალ ხალხს მოეყარა თავი. ბეგლარი შორს აღმოჩნდა ორატორისაგან, სწორედ იმ ბილიკის პირას, სადაც სეფე თოფშემართული იდგა.

ჩამავალი მთვარე ცალი თვალით იცქირებოდა ტყიდან ფოთლებში მიმალული. მკრთალ ნათელში სილუეტივით მოჩანდა ჯირკზე შემდგარი, ევროპულად ჩაცმული ვაჟკაცი — ქუდი წარბებამდი ჩამოეწია. ძნელი საცნობი იყო. მთვარემაც ჩქარა მილულა თვალი. ლაპარაკობდა მტკიცედ და დამაჯერებლად. ბეგლარი თრთოდა, თითქო ნაცნობი ხმა ესმოდა. აგონდებოდა მახარე. მხოლოდ ეს უფრო დასრულებული ვაჟკაცის ხმას ჰგავდა. ცმუკავდა ბეგლარი, ვერ ჰფარავდა აღტაცებას, ცალკე არგაგონილი ამბების სმენით, და ცალკე, მახარეს ხმის მსგავსებით. თუმცა ბეგლარს ფიქრადაც არ გაუვლია, თუ მახარე იქნებოდა ის. უფრო ხნიერს ჰგავდა ორატორი.

— რა გვარია ეს ახალგაზრდა?—ეჩურჩულებოდა ბეგლარი სეფეს, — რატომ გვარს არ გვეუბნება? განა ცუდ რამეს გველაპარაკება? ყველაფერს მართალს არ ამბობს?

— მოითმინე, ბეგლარ, გვარსაც გაიგებ და სახელსაც, — ღიმილით უპასუხა სეფემ.

— ვაცხონე ამის მშობლები!—წამოიძახებდა შეხმაურების ნიშნად ხანგამოშვებით ბეგლარი და ისევ მიუგდებდა

ყურს. სეფე მტკიცედ ინახავდა საიდუმლოს. არ უმხელდა ბეგლარს, თუ ის მისი მახარე იყო.

იქუფრებოდა ღამე.

სეფეს გული ეთანაღრებოდა: გაემხილა თუ არა ბეგლარისათვის აგიტატორის ვინაობა, ვერ გადაეწყვიტა მირიანის დაუკითხავად. ებრალებოდა მამა.

დუმდა ხალხი. პირველად ისმენდნენ სამართლიან სიტყვას. რაც მოისმინეს, ხალხის გულიდან იყო ნათქვამი. მხოლოდ ერთი რამ მაინც რჩებოდა უთქმელი და; აი, წამოდგა ბეგლარ მანთიძე, მოაგონა ხალხს, რომ ისინი საკუთარი სინდისის წინაშე იდგნენ.

— ამხანაგებო, — დაიწყო ბეგლარმა, — დავიდოთ ხელი ულვაშზე მამაპაპურად, დავდოთ ფიცი სინდისზე, რომ არ გავდგებით განზე და არ ვუღალატებთ ჩვენს „ძმობას“ და „ერთობას“, — ბეგლარი შეჩერდა, თითქო უცებ მოაგონდა რაღაც და მერმე ხმამაღლა დაიძახა: — ამხანაგებო, მომდურავები უნდა შევრიგდეთ...

ამ სიტყვებზე ატყდა ხალხში ჩოჩქოლი, სიცილი და მომდურავი მეზობლების გამოძახილი: „შევრიგდეთ, შევრიგდეთ!“ და ჩოჩქოლის შემდეგ ეხვეოდნენ მეზობლები ერთმანეთს, ჰკოცნიდნენ და სიტყვას სდებდნენ ფოლადზე უმტკიცესს, რომ არ გადაუდგებოდნენ „ახალ საქმეს“.

„სინდისი დადო ხალხმა საფიცრად, ამაზე ძლიერი რაღაა ქვეყანაზე!“ ფიქრობდა მახარე, ღელავდა მამის ხმაზე, უხაროდა, რომ პირველად ბეგლარმა აღიარა ადამიანური სინდისი. უნდოდა გადამხტარიყო ჯირკიდან, გადახვეოდა მამას, მაგრამ არ შეეძლო. ამაღამ მირიანისა და სეფეს განკარგულებაში იმყოფებოდა.

მეზობლებსაც არ უცნიათ მახარე. ვის მოაგონდებოდა სამი წლის წინათ სოფლიდან გადაკარგული ბეგლარის ბიჭი, ისიც მსახიობის გრიმით.

სეფეს გულმა აღარ მოუთმინა და კრების დაშლის შემდეგ, გზაში ბეგლარს ჩუმად უჩურჩულა, რომ ის კაცი ბეგლარის მახარე იყო. ბეგლარმა წაიყრუა, არაფერი უპასუხა ხეფეს. მამასხარავებსო, იფიქრა და გზა განაგრძო შინისაკენ.

— დაიჯერე, ბეგლარ, შენი მახარე იყო იგი,—არ ეშვებო-

და სეფე,—უთენიას ჩადი წისქვილში და ნახავ. მეწისქვილეს-თან არ წამოგცდეს, რომ შენი შვილია, არც შინ გაამხილო. ცოტა მოითმინე.

ბეგლარს ცრემლი მოადგა თვალზე. ამასწინათ წერილი მიიღო მახარესაგან, იწერებოდა, მალე გნახავთო, ახლა...

— რა იფიქრა ამ ბიჭმა, შინ რომ არ მოვიდა?!

არ ისვენებდა ბეგლარი. მთელი ღამე ეზოში დადიოდა. ბეღელში შევიდა, ცოტა სიმინდი ჩაჰყარა ტომარაში. მერე ფაცხაში შევიდა, თვალი მოავლო მძინარე ბავშვებს. მთელი დღე ბოსტანში მუშაობის შემდეგ, ისე ღრმად ჩასძინებოდა მაკას, რომ არ გაუგია, როგორ გააღო ბეგლარმა ფაცხის კარი. ბეგლარი დააცქერდა ცოლს და გაიღიმა. „ეგებ ძილში ესიზმრება?.. ცოდვაა ეგ ოჯახქორი“. ლოგინისკენ მიიწია, კინაღამ წაცდა საიდუმლო... მაგრამ ბავშვებს გადახედა და უკან გამობრუნდა. ფრთხილად გავიდა ფაცხიდან.

ალიოშინის ვარსკვლავი კაშკაშებს

ბეგლარი წისქვილის წინ კუნძზე ჩამომჯდარი, ფიქრებში გარინდულა. ზევით წისქვილის სათავანთან ჯარგვალი დგას ორმოცდაათი წელი მაინც იქნება, რაც ეს ჯარგვალი დაუდგამს აქ სოფელს მთავრობის ბრძანებით. მაშინ გზატკეცილის ყარაულები ათევდნენ აქ ღამეს და ამ ადგილს საყარაულოს ეძახდა სოფელი. მერე, როცა ყარაულობა გადავარდა, ჯარგვალი წისქვილის პატრონის განკარგულებაში დარჩა. ახლა სოფლებიდან სიმინდი ჩამოაქვთ ჩამოსაფქვავად, აქ ანთებენ კერაზე ცეცხლს და ელოდებიან სიმინდის ჩამოფქვას, გარდა სოფლელებისა, ათას შეგვიანებულ მგზავრს გაუთევია ამ ჯარგვალში ღამე. ახლა მახარეს სძინავს აქ. ფილიმონმა „უცხო მგზავრს“ ნაბადი მიუგო ფიცრის ლოგინზე. თვითონ წისქვილში იძინებდა ფილიმონი, აქ ჰქონდა თავისი განჯინა და კერა.

ბეგლარი მოუთმენლად მისჩერებოდა კარმიხურულ ჯარგვალს. სიმართლემ სინათლესავით შეაშუქა ბეგლარის გულში, მაგრამ მაინც არ სჯეროდა, რომ იგი მისი მახარე იყო,

რომელსაც მთელი ხალხი უსმენდა, რომელიც ყველაფერს მართალს ლაპარაკობდა: მზე და ჰაერი ყველას ეკუთვნისო; მიწაც ყველას უნდა ეკუთვნოდესო.

— ღმერთმა ჰქნას, შვილო!..

ბეგლარის გულმა უნებლიედ ამოიოხრა. შეკრთა, ფიქრიდან გამოერკვა. მახარეს ჩახველება მოესმა. წამოდგა, ჯარგვალში შესვლა უნდოდა და მახარე წინ შეეფეთა. გაუკვირდა მახარეს, არ მოელოდა მამასთან შეხვედრას.

— ბაბაია!—წამოიძახა ბავშვურად და გადაეხვია.

სანამ მეწისქვილე ჯარგვალში შემოვიდოდა, მახარე მამას ესაუბრებოდა. ჰკითხავდა სოფლის ამბებს, წუხდა ოჯახისათვის, ენატრებოდა დედა და ბავშვები.

— რატომ შინ არ მოხვალ, შვილო?—კინაღამ ატირდა ბეგლარი.

— ჩემი სოფელში გამოჩენა ამხანად არ ივარგებს, ბაბა!

მახარემ ჯიბეზე მოივლო ხელი. დიდი ხანია ცოტა ფულს აგროვებდა მშობლებისათვის. ამოიღო ქისა და მამას ჩაუდო ხელში.

— ამით ბაღნები შემოსე, ბაბა. უთხარი, მახარეს გამოუგზავნია-თქვა. ნენას არ დაუმალო ჩვენი საიდუმლო. უთხარი, რომ ზაფხულში მოვალ უსათუოდ. გაივლის ეს მღელვარე ამბები. ვნახოთ, როგორ წავა ქვეყნის საქმე.

მახარემ ღია კარიდან მეწისქვილე დაინახა.

— ეს მეწისქვილე სადაურია, ბაბა?

— ბახველია. კაი კაცია.

— უთვისტომო ყოფილა საწყალი. ბევრი ამბები მიამბო. გაზეთის თანამშრომელი ვარ-მეთქი, ვუთხარი.

ფილიმონმა დაბალი სუფრა შემოიტანა, მახარეს წინ დადგა და მოიბოდიშა:

— თქვენი საკადრისი არაფერი მაქვს, მაინც წავიხემსოთ ცოტა.

ყველი და მჭადი დატეხა.

— ბეგლარ, შენ რამ მოგიყვანა ამ დილაადრიან?

— ცოტა სიმინდი მაქვს, ფილიმონ, ჩამოსაფქვავი.

— მერე მინდის საქმე რავა ვქნათ?—გაიცინა ფილიმონმა და გამხდარ ღაწვებზე ნაოჭები ჩაკეცა.

— შუაღელეში იყავი წუხელ?

— ვიყავი, ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი,—კარგად ილაპარაკა სწორედ.

მახარემ მამას შეხედა, გაიღიმა და მჭადს ყუა მიატეხა.

მზე მთების მწვერვალზე იდგა, როცა მახარე მამას გამოეთხოვა. თვალი შეავლო სოფელს. სერზე შქერნალი აყვავებულიყო. გაფურჩქნილი ხეხილის სურნელი იდგა. გიორგობა იყო ამ დღეს — 1902 წლის 23 აპრილი. წმიდა გიორგის ეკლესიიდან ამაოდ ისმოდა ზარის წკრიალი, რომელიც ამაოდ მოუხმობდა მლოცველებს. ეკლესიაში მხოლოდ ათიოდე მოხუცს მოეყარა თავი. მათ შორის მოჩანდა ორი აზნაური, რომელნიც ამ ეკლესიაში მონათლულიყვნენ და აქვე დაბერებულიყვნენ. მაგრამ ასეთი უკაცრიელი გიორგობის წირვა არასოდეს ენახათ. უკვირდათ: მათ ყურამდე ჯერ არ მიღწეულიყო წინაღამეს შუაღელეში მომხდარი შეკრების ამბავი, რაც ივანე ხუცესს არ გამოპარვია.

ასე იწყებოდა სოფლად ბოიკოტის დღეები. სახელმწიფო გადასახადი თავის ნებით არავის შეჰქონდა. დრამის ფულზე უარს ამბობდნენ. გურიელის მამულში მოხნული ყანები მიატოვა გლეხებმა უთესლოდ. ტყისმცველებმა თავი მიანებეს ტყეს. მოჯამაგირეები გარბოდნენ დამქირავებლებიდან. მეწისქვილე ფილიმონი მინდს აღარ იღებდა ნაკაშიძის სასარგებლოდ.

ფარდის იქით

სიბილო დაჟინებით ამბობდა: მახარე გარეგნობით ნეაპოლელ ჰერმესს ჰგავსო, მისი გული სავსეა დაუცხრომელი სურვილებით, ცხოველი სისხლი ჩქეფს მის ძარღვებში, ასეთი ადამიანი უდროოდ დაიფერფლებაო.

აივანზე ისხდნენ ახალგაზრდები, მასლაათობდნენ. სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე სამოვარი ჩუხჩუხებდა. ტასი ჭიქებსა და ჩაის კოვზებს აწკრიალებდა. ღელავდა მახარეს ხსენებაზე.

მახარე ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო გურიიდან. მო-

უთმენლად მოელოდნენ. ამხანაგები დიდი დაძაბულობით ემზადებოდნენ საპირველმაისო დღესასწაულისათვის. „დე, გაიგოს მტერმა, — ამბობდა ერმილე,—რომ ერთის ადგილას ასი მოვდივართ". მახარე ბათუმში უნდა ყოფილიყო აუცილებლად პირველი მაისისათვის.

ტასიმ ჩაიზე მიიწვია სტუმრები. ღარიბული სუფრა ჰქონდა — ორიოდე თეთრი ჩიტპურა და შემწვარი სულგუნი, მაგრამ მხიარულება არ აკლდა. აგერ, დაროც მოვიდა. დარო თამამი ქალიშვილი იყო. სიბილო მას ახტაჯა გოგოს ეძახდა. ულამაზო იყო დარო და ამიტომაც დედაბრების როლში გამოჰყავდა ანტონს. უყვარდათ ამხანაგებს დარო, ვინაიდან დაროს გულის კარი და სახლის კარი მუდამ ღია იყო მათთვის.

მარჯვენა ოთახის ფანჯარაზე, სადაც მაგდა ყოველთვის მოჩანდა საკერავზე წახრილი, დღეს საგანგებო სქელი ტილოს ფარდა იყო ჩამოფარებული. ამ ოთახიდან ადამიანის სუნთქვა არ ისმოდა. მაგდა მთელი დღე იჯდა სულგანაბული, ქარგავდა წითელი ატლასის დროშაზე კარლ მარქსის სურათს.

ღამდებოდა. ოცდაათი აპრილი იმარცვლებოდა. მაგდას ეჩქარებოდა საქარგავის დამთავრება. ჩქარა ერმილე უნდა მოსულიყო დროშის წასაღებად. სიბილოც ერმილეს მოსვლას ელოდებოდა. ქუჩისაკენ ეჭირა თვალი. მაგდას ოთახს დარაჯობდა. „ავ თვალს არ სძინავს", ფიქრობდა სიბილო, ამიტომაც არ იშლიდნენ აივანზე მხიარულებას.

მაგდამ ოქრომკედის ყაითანი შემოავლო დროშას და ასწია ზევით, გაშალა. წითელი ატლასი, ოქროსფერი ყაითნებით ამოქარგული, წარმტაცად ელვარებდა. მაგდას დროშაზე ოქრომკედით წაეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" წარწერა გარს უვლიდა მარქსის სურათს. მაგდა თავმომწონების სურვილმა აანთო, ქალურმა გრძნობამ დასძლია, დროშა უფრო მაღლა ასწია და ფანჯარაზე ფარდა გადასწია. ყველანი სახტად დარჩნენ ნახელსაქმის სიმშვენიერით. მხოლოდ სიბილო მივარდა, ფანჯარას აეფარა და მაგდას დაუყვირა:

—სულელო, მაინც ქალის ჭკუა გაქვს!

ტასიმ ჭიშკრისაკენ მიიხედა. ეზოში ერმილე და მახარე შემოდიოდნენ.

— მახარე ჩამოსულა!—დაიძახა დარომ და სიხარულით ხელიხელს შემოჰკრა.

ტასი აილეწა.

მახარე არაჩვეულებრივ მხიარულ ხასიათზე იყო ამ საღამოს. აივანზე შემოსვლისთანავე გიტარას დაავლო ხელი და ტასის გადააწოდა.

— დაუკარი, ტასი, იქნებ ეს დღეც ჩქარა გავიდეს.

ტასიმ თითები ჩამოჰკრა სიმებს.

მღეროდა ტასი, მღეროდა მთელი გრძნობით. მახარეს სიყვარულით სავსე გული მოხდენილად გადაჰქონდა ნაზ მელოდიურ სიმღერებში. ამას ყველაზე უფრო ერმილე გრძნობდა. მახარე იცინოდა. იგი სხვაგან იყო ფიქრით. მის თავში საპირველმაისო დემონსტრაცია ხმაურობდა. წითელი დროშა ფრიალებდა. მახარეს მუსიკალურ სმენაში სასიყვარულო ლექსების მაგიერ, საბრძოლო ლექსის სტრიქონები ჟღერდა: „მეგობრებო, წინ, წინ გასწით...“ ხან მარსელიოზის ნაწყვეტები მიმოქროდნენ ყოვლისდამტევ გრძნობის სიღრმეში. ვის შეეძლო შეცნობა, რამდენი შხამი და შარბათი ჟონავდა მახარეს სულში. საპირველმაისო დემონსტრაციას უნდა გამოევლინა ხალხიდან ახალი მებრძოლები, უნდა გამოემჟღავნებინა ხალხის შეგნება, ხალხის მაღალი მისწრაფებანი. მარტის დიდი დემონსტრაციების შემდეგ ამხანაგებში არ შენელებულა ბრძოლის სურვილი. ის, რაც შთაინერგა ბათუმის მუშებში, მთელ ეპოქას ეყოფა იმის ნაყოფიო, ამბობდა ერმილე. მახარე იმიტომ იყო კარგ გუნებაზე, რომ ნაყოფი—ნაყოფიერდება, პირველი მაისის დღესასწაულს ამხანაგების ვარაუდით მთელი ხალხი შეუერთდება.

რამდენი სათქმელი ჰქონდა მახარეს ხვალ ტრიბუნიდან.

შეხვდებოდა თუ არა ხალხი თანაგრძნობით?

ეყოფოდა თუ არა მახარეს გამჭრიახობა ხალხის მოსაზიდად?

იცინოდა მახარე, მაშინ მახარეს ფიქრი უეცრად დიასთან გადაფრინდა.

№ 5, 7, 9. ამ ნომრებზე საიდუმლო აგენტების შერქმეული გვარები ჰქონდა გურიელს ჩამოწერილი. № 5 — „ქვეშ-ქვეშა“, № 7 — „დამაცადე“, № 9 — „კოღო“. გურიელი ოთახში დადიოდა, ბოლთასა სცემდა. ყაზარმაში ორმოცამდე მუშა და მოწინავე პირები ჰყავდა დატუსაღებული. მაგიდაზე ქაღალდი ედო, რომელზედაც აღნიშნული იყო ტუსაღების გვარები. იქვე ეწყო ქუჩებში შენაკრები პროკლამაციები. მარჯვნივ იდგა მრავალუჯრიანი სასტამბო ყუთი, სადაც უთავბოლოდ ეყარა ჟანგმოდებული ძველი შრიფტები, ქართული და რუსული. ახლა დროშის ბრაზი ეჩხირებოდა ყელში ლევანს, დროშამ, რომელმაც თვალი მოსჭრა დემონსტრაციაზე და სწრაფად გაჰქრა, ხალხში მიიმალა, ხალხის გულში დაბინავდა. ის, ის უნდა ამოირუჯოს ხალხის გულიდან.

არ ცხრებოდა გურიელი, დღეს მთელი დღე აგენტებს ლანძღავდა, გინდათ არ გინდათ, დროშა უნდა აღმოაჩინოთო. ხან „ქვეშქვეშას“ უყვიროდა, ხან „კოღოს“ ემუქრებოდა. როსტომს ესაყვედურებოდა:

— კაცო, ასეთი უბედურება გინახავს სადმე? ამხელა დროშა როგორ ნემსივით გაგეპარათ ხელიდან? ეს მხოლოდ ლაჩრებს დაემართება.

როსტომი საღამოს აღარ გამოჩენილა ურიადნიკის კაბინეტში.

ყაზარმიდან ისმოდა პატიმრების ხმამაღალი სიცილი და გურულ-მეგრული სიმღერები, რაც კიდევ მეტად აბრაზებდა ლევანს.

მეკარემ თავი შემოყო ოთახში.

— სტუმარი გიახლათ, ბატონო!—მოახსენა.

— აა, კარგ დროს გაგახსენდა მობრძანება! — მიმართა სტუმარს კოპებშეკრულმა ურიადნიკმა. სკამი უჩვენა, დაჯექი, უთხრა.

„დამაცადე“ შემცბარი ჩამოჯდა. არ ესიამოვნა უხეში შეხვედრა.

— უქეიფოდ ხომ არ ბრძანდებით, ბატონო?—ჰკითხა „დამაცადემ“ დუმილის შემდეგ.

— ჯერ ეს მიბრძანე, რა გააკეთე ამ დღეებში მისი მა-ღალბრწყინვალეების ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის სასარ-გებლოდ?

ენაბორკილი იყო „დამაცადე“ და ახლა მთლად დაება ენა.

— ბბბბატონო, ცოტა დდდამაცადე...

—რაო, რა თქვი?—საჩვენებელი თითი ცხვირთან დაუტ-რიალა გურიელმა. კიდევ „დამაცადე, დამაცადეს“ გაიძა-ხი? უგუნურო, იცი რას გიზამ? ვირის აბანოში ამოგაყოფი-ნებ თავს. ოქროების მუქთად გაფლანგვა არ შეიძლება.

— რრრას მერჩი, ბატონო, ეს ბბოროტი სტამბა ხომ აღ-მოგიჩინე?

გურიელმა შრიფტებს შეხედა, მოაგონდა: სტამბა „დამა-ცადეს“ აღმოჩენილი იყო. პროკლამაციების ასოები შრიფტს შეადარა. ამ შრიფტებით იყო დასტამბული ეს პროკლამა-ციები. ხმას დაუდაბლა, თითქმის მუდარით თქვა:

— ეს კარგი, მარა დროშა?

— დროშა მოოჩვენებასავით გაჰქრა, ბაატონიშვილო, ხაალხის ტალღამ წააიღო ის და ისე უუცებ დაიმალა, რომ... შეევხედე, ქალის ხელით იყო ნაქარგი. ქაალებიც გააეშმაკ-ნენ, ჯილაგგასაწყვეეეტლები.

„დამაცადე“ წასასვლელად წამოდგა. ფული უნდოდა ეთ-ხოვნა, მაგრამ ვეღარ გაბედა, ვინაიდან ურიადნიკი ცუდ გუ-ნებაზე იყო.

სანამ „დამაცადე“ კარებისაკენ მიდიოდა ფეხისთრევით, გურიელმა ორი ოქრო ამოიღო უჯრიდან.

— დამაცადე, კაცო, აღარ დამაცლი? ფული გინდოდა ალ-ბათ.

„დამაცადე“ შემობრუნდა, თვალები გაუბრწყინდა.

— შეენი ჭირიმე, ბაატონო! შენი წყალობა ნუ მოომი-შალოს ღმერთმა.

— დაღრეკილო, — გაიცინა ლევანმ, — ჰა, წადი და ის დროშა ამოთხარე საიდანაც გინდა.

გურიელმა კარი გამოკეტა. ბირქუში ცა წვიმას აპირებდა. „დამაცადე“ სამიკიტნოსაკენ მიიჩქაროდა ღვინის დასალე-ვად. არხეინად მიაწკარუნებდა ოქროს. დროშის აღმოჩენაზე

სულ არ ფიქრობდა. „სანამ შეგიძლია ითვალთმაქცე, ითაღლითე, აქეთაც იყავი, ბქითაც, ჭამე, სვი, გაერთე, სხვა ყველაფერი ფუჭია... პირში გაუცინე-ყველას, პირს უკან ყველას მიაფურთხე“. ასე მსჯელობდა თავის გულში „დამაცადე“. მანთაშევის ქარხნის მუშებმა ბოიკოტი გამოუცხადეს იმიტომ, რომ გაფიცვაში არ მიიღო მონაწილეობა. სამუშაოს თავი დაანება. „მაშ, რა ეგონათ, დავზოგავდი? ტყუილია, არავის არ დავზოგავ, არც მუშას და არც მის ბატონს, არც ურიადნიკს და არც მის მეკარეს“. ამ ფიქრით სამიკიტნოში შევიდა, ბნელ კუთხეში მიიყუჟა და მანამ სვა, სანამ კარგად არ გამოილეშა.

* * *

მიყუჩებულიყო მუშათა უბანი. ღამე ებურა ქალაქს. სადგურზე მატარებელი კიოდა.

ტასი სუნთქვაშეკრული იჯდა მაგიდასთან. სიყვარულს გაეფერმკრთალებინა მისი სახე. სატრფოს თვალებიდან გამომკრთალი ნაპერწკალი მძლავრად მოჰკიდებოდა გულზე. რაც დრო გადიოდა, უმაწვილი ქალი მისხლობით იფერფლებოდა. ქვეყანა უკაცრიელი ეჩვენებოდა. კარგი, რომ მაგდა არ იყო ამაღამ შინ. მაგდა ამ დილით გავიდა ბათუმიდან. დროშა გაატანეს ამხანაგებმა ბურიაში დასამალავად. ახლა ტასი თავისუფლად ტიროდა. არავის წინაშე სირცხვილი არ აწუხებდა. მიკრულივით იჯდა სკამზე და სარკეს ჩასცქეროდა უაზროდ. ღაწვებზე ჩამოღვრილი ცრემლი წვეთ-წვეთად ეცემოდა თეთრი ქსოვილის საფარს. იქვე ლამპა-ბჟუტავდა. ერთი პაწია ფარვანა შემოფრენილიყო ფანჯრიდან და თავს ევლებოდა ანთებულ პატრუქს. იწვოდა ფარვანა და მაინც არ შორდებოდა სინათლეს. დააცქერდა ტასი ფარვანას. დაასკუპდებოდა იგი ცხელ შუშას და კვლავ წამოფრინდებოდა, კიდევ და კიდევ, სანამ სულ არ დაეწვა ფრთები და არ დააკვდა სინათლეს.

„მეც ფარვანა ვარ, — გაიფიქრა ტასიმ, — შენ კი ჩემი სინათლე, ჩემო...“ ახლა მისი თვალის სინათლე პატიმრებთან იჯდა ყაზარმაში, მძიმე სასჯელი მოელოდა მახარეს. ამ საღამოს სიბილო მოვიდა ტასისთან. ქალივით ოხრავდა ვაჟ-

კაცი. ათი წლით კატორღა არ აცდებაო მახარეს. გოგილო შეწუხებული დარბოდა ამხანაგებში. ტრიფონს ერთი ქისა ოქრო დაეჭირა ხელში შავი დღისათვის შემონახული და გადარჩენილ ამხანაგებს ეუდრებოდა: წაიღეთ, ბიძია, აი პარტახი ოქრო და რამენაირად დაიხსენით იმ ბიჭის სიცოცხლე.

ერმილეს ოთახი გაეჩხრიკა და დაებეჭდა პოლიციას. ოლომფრე და ნიკიტაც მახარესთან ისხდნენ ყაზარმაში. ერმილე თავის თავზე არ წუხდა.

— გადამასახლებენ, ამით ხომ რევოლუციას ვერ ჩააქრობენ? გაიმარჯვებს ჩვენი დაწყებული საქმე და დავბრუნდებით, ბიჭებო, გული არ გაიტეხოთ!—მიმართავდა ერმილე ამხანაგებს.

ნიკიტა გიტარას ეხვეწებოდა ყველას. ოღონდ გიტარა მომიტანეთ და სხვა არა მინდა რაო, — სწერდა ქეთინოს ნაფლეთ ქაღალდზე, რომელსაც გაცნობის დღიდან, პირველად საპატიმროდან უცხადებდა სიყვარულს: „ძვირფასო, მე ჩქარა დავბრუნდები, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს. მანამ შორიდან ვებულბულები შენს სიყვარულს. მაპატიე, რომ დამიგვიანდა ადრე სათქმელი“, — ატყობინებდა ნიკიტა ქეთინოს. თანაც დასძენდა: არ დამივიწყოო... მოულოდნელი და გასაკვირველი იყო ეს ამბავი ქეთინოსათვის.

— ნუთუ ნიკიტას ვუყვარვარ? მერე სად იყო აქამდე? ახლა მეუბნება ამას? „დას“ რომ მეძახდა? ბრიყვი ყოფილა! — წამოიძახა ქეთინომ და გიტარაზე ძაფები დაამაგრა.

არც ოლომფრე ჩიოდა თავის თავზე. ყველას მახარეს დარდი სწვავდა. მახარეს შორს გაგზავნიდნენ, რადგან ტრიბუნაზე დაიჭირეს. „კოლომ“ ისახელა ამ საქმეში თავი. სამაისოდ შეკრებილ მიტინგზე პირველ საჯარო სიტყვას ამბობდა მახარე ბათუმის საზოგადოების წინაშე. ამას ზედ დაერთო ერმილეს ოთახის გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი წერილი, რომელიც მახარეს უცაბედად დაუვარდა პირველი მაისის დილას ოთახიდან გასვლის დროს. წერილი დიას ეკუთვნოდა. წერილში ერთ ადგილას მახარე სწერდა დიას:

„ჩემო მშვენიერო, ხუთი წელია ვოცნებობ შენზე, არც ერთი წუთით ეჭვის ჩრდილი არ მიკარებია შენს სახეს ჩემს ხსოვნაში. ისევ ლამაზი და სპეტაკი ხარ ჩემთვის, როგორიც

ციყავი თივაში თამაშობის დროს. თვრამეტი წლისა ხარ ახლა. მე ისევ ცამეტი წლის ტანლერწამა გოგონა მახსოვხარ და ვერ წარმომიდგენია, როგორ გექნება ახლა კაბის ღილები შეკრული გულზე? მაგრამ უფრო სხვა რამ მაინტერესებს... როგორ გრძნობ თავს გურიის ყვავილნარში? გაზაფხულია და თვალწინ მეხატება აყვავებული ნუში და ვაშლი, მწვანე ტყეები, ჭრელი მინდვრები და ვფიქრობ, კარგია ახლა შენთან ყოფნა. ვემზადები შენთან შესახვედრად და მეშინია: ვაი რომ იჩქითად გამიქრეს ის სახე, რომელიც წინ მიძღვის გმირობისაკენ.

რა ვიქნები მაშინ? — წერილის მეორე გვერდზე წერდა: მაინც მინდა გარკვევით ვიცოდე, როგორ უყურებ თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის საერთო საქმეს. ჩვენთან ხარ თუ... მინდა ჩვენთან იყო... მინდა შენ იყო პირველი ქალიშვილი თავისუფლებისათვის მებრძოლი... მწამს შენი სულის სილამაზე“...

ეს წერილი ამეღავნებდა მახარეს სულიერ დამოკიდებულებას დიასადმი. წერილი წაიკითხა გურიელმა, და მაგიდის ყუთში ჩაკეტა.

ტასიმ წერილის შესახებ არაფერი იცოდა. მას მხოლოდ სიბილო ჩასძახოდა ყურში: სამუდამოდ გადასახლება მოელისო მახარეს.

მახარესაც კარგად ესმოდა, მისი დანაშაული უფრო დიდი იყო, ვიდრე ამხანაგების, მეტი სასჯელი მოელოდა, მაინც მხიარულად ეჭირა თავი.

— გადამასახლებენ, ამით ხომ ჩემი საქმის კვალს ვერ წაშლიან. რევოლუცია მაინც გაიმარჯვებს. — თქვა მახარემ აუღელვებლად და იატაკზე მიწვა, მკლავი თავქვეშ შემოიდო, ეძინებოდა. ნიკიტა უფრო ადრე მიწოლილიყო კუთხეში და ძილისპირულს ღიღინებდა.

* *

ტასი ჯერ კიდევ თავის ოთახში იჯდა. საშინელი ამაზრზენი ფიქრი უვლიდა თავში. მთელი დღე ლუკმა არ ჩაუდია პირში. პატიმრებს ხვალ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გადაიყვანენ. მერე შველაზე ფიქრი გვიანღა იქნება. წავალ,

ფეხქვეშ ჩავუვარდები ოლქის უფროსს. ნუთუ „ნოინზე“ უფრო ბოროტია ქართველი თავადი? ნოინმა შეიწყნარა ქალის თხოვნა, დაუბრუნა მას სატრფო, იქნებ მეც მაჩუქოს გურიელმა მახარეს სიცოცხლე? იქნებ დააბრუნოს ციმბირის გზიდან.

მეტი ფიქრის დრო აღარ იყო. წამოდგა, კაბა გადაიცვა, სარკეში ჩაიხედა. შინაგანი მღელვარება მეტ ეშხს ჰმატებდა ყმაწვილი ქალის სახეს. მოეწონა ტასის თავისი ტანი, სახის ნაკვთების შეხამებული მოხატულობა და კანის ფერის სისპეტაკე. ისევ ამაზრზენი ფიქრი შეეჭრა გულში. შიშმა აიტანა. თითქო ვიღაცის ხელი ეხებოდა მის სხეულს. და ეს ვიღაცა ის იყო, ის „მტარვალი“. და ტასიმ იყვირა უნებლიეთ. ზურგის უკან სარკეში მოელანდა ლევან ესეს ძის ცვილისფერი მოგრძო სახე, აგურისფერი ჩოხა და სირმანაკერი ჩინები.

სარკეს მოშორდა. მიიხედ-მოიხედა. კარგი, რომ მაგდა არ იყო შინ. „დასწყევლოს ღმერთმა, რა მემართება. წმიდაო გიორგი, დამიცავი, სამას სამოცდახუთო ანგელოზო — დამიფარე, ღმერთო, განდევნე ჩემგან შიში!“ სასოებით აღაპყრო ცისკენ თვალი. დიდი ხანია აღარ ლოცულობდა. ახლა დაუფიქრებლად წამოცდა.

„მე უნდა გადავარჩინო იგი სამუდამო დაღუპვას“. ცრილი წვიმა ეშხაპუნებოდა ვაზის ფოთლებს. ფანჩატურშიბნელოდა.

შუა ქუჩაზე მიდიოდა ტასი იქითკენ, საიდანაც მოჩანდა ჭრელი სვეტი ფანრით განათებული. იქ იყო ალაყაფის კარი აგურის შენობისა, სადაც ცხოვრობდა ოლქის უფროსი— გურიელი. ღია ფანჯარაში ოდნავ ატოკებდა ნიავი მძიმე ფოჩებიან სუროსფერ აბრეშუმის ფარდას, საიდანაც ლამპის შუქი გამოკრთოდა.

აგურის შენობის უკან, ეზოში მოჩანდა ქვისაგან ნაგები გრძელი ყაზარმა. ეს საპატიმრო იყო.

ტასი ჭიშკრის მავთულს შეეხო.

მეკარემ გამოიჭვრიტა.

— ღედაკაცო, ახმედ-აღას ყავახანა ხომ არ გგონია აქ, ალბათ ღამის გასათევს ეძებ? — გაეხუმრა მეკარე.

— არა, ღამის გასათევს არ ვეძებ. კარგად ვიცი, სადაც ვარ. წადი, ურიადნიკს მოახსენე, ქალი გეახლათ, თქვენი ნახვა სურს-თქო.

ორი წუთის შემდეგ ტასი დინჯი და გაბედული ნაბიჯით ავიდა კიბეზე. შავი შალიდან წვიმის წვეთები ჩამოდიოდა.

გურიელი ჩვეულებრივ მოქარაფებული იჯდა ჟოლოსფერ მაუდგადაფარებულ მაგიდასთან. ფეხი ფეხზე შემოედგა. ქარვის მუნდშტუკში ბამბაწახვეულ წინდის ჩხირს უჩხიკინებდა, თუთუნის ძინთს სწმენდდა. საწოლი ოთახის კარი გამოეღო. კანდელივით შუქი ლიცლიცებდა იისფერ აბაჟურში. სასთუმალთან კედელზე ტიტველი ქალის პორტრეტი ეკიდა.

ატოკებული ფარდის ფოჩები, „ლორიგანის“ სურნელებას ანიავებდა ოთახში.

ორმოცი წელი შეუსრულდა გურიელს, მაგრამ ჯერ ცოლის შერთვას არ ფიქრობდა. ეს უკანასკნელი ნაშიერი იყო უშვილოდ გადასული გურიელების გვარისა.

ტასი ზღურბლზე შედგა შავშალმობურული. გული აუცახცახდა.

ურიადნიკმა თვალი შეავლო უდროო სტუმარს, სახე დაეღრიჯა. გაიფიქრა ტუსაღის დედა იქნებაო, როგორ გაბედაო ამ დროს მოსვლა. მუნდშტუკიდან წინდის ჩხირი გამოძურწა, ძინთი გააცალა და ცალუბად ჰკითხა:

— რისთვის მოსულხარ, დედაკაცო, ვინ დაგიბარა? არ იცი, რომ ამ დროს აქ მოსვლა არ შეიძლება?

ტასის ენა დაება. იდგა ერთ ადგილზე და თვალს ადევნებდა გურიელის კოპებშეკრულ სახეს, უსიამოვნო სტუმრის დანახვაზე რომ დაეღრიჯა. მხოლოდ, როცა ლევანი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სტუმარს, ტასიმ მაშინ მოისაზრა შალის მოხდა პირისახიდან. გურიელი შეკრთა. მოულოდნელი სიხარული ეწვია თავადს. ღილებგახსნილ ახალუხს სწვდა შესაკრავად. თან თავაზიანად მოიბოდიშა, რომ ქარაფად იჯდა შინ. არავის მოველოდიო, თქვა. მოლისფერი ხავერდის სავარძელი შემოაბრუნა, წინ დაისვა სტუმარი.

დიდხანს ჩასცქეროდა ტასის წამწამდახრილ თვალებში.

ქალი თვალებდახრილი იჯდა. გული ძლიერად უძგერდა.

ხან შენაციებივით აუცახცახდებოდა ქვედა ბაგე, ხან ნაპრალის პირას მდგომი ნუკრივით შეშინებული გამოიხედავდა.

გურიელს ჩუმი სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა ტანში. ბუნებით მშვიდსა და თავდაჭერილს, უჩვეულო მღელვარება იპყრობდა. ეჩქარებოდა გამორკვევა, მისი სიყვარული აძალებდა ტასის უდროოდ აქ მოსვლას, თუ სხვა რამე.

სიტყვას ეძებდა სათქმელს...

— თქვენ დააგვიანეთ ჩემთან მოსვლა. მსახიობი ქალი ხართ, თქვენ თითონ უნდა ეტანებოდეთ სიამეს ამქვეყნისას. მოიგონეთ სარა ბერნარი — განთქმული მსახიობი ქალი. ყოველ ქალაქში ახალ საყვარელს გაიჩენდა.

ტასი შეშფოთდა სარა ბერნარის ავად ხსენებაზე. თვალებში ცეცხლი ჩამოკვესა. ხედავდა, სასტიკად ტყუოდა გურიელი. ბრაზით მუხლები აუცახცახდა. უნდოდა დაეყვირა, ტყუითო... მაგრამ ჩქარა მოისაზრა,—თავდაჭერა ჯობდა.

— არ ვიცი,—თქვა ცახცახით ტასიმ,—არ ვიცნობ სარა ბერნარს. არ ვარ ამდენად განათლებული.

— უნდა განათლდე!—გადაიხარხარა ლევანმა. მოეწონა ბავშვური პასუხი. წამოდგა, კარი მოსინჯა.

ფარდების ფალდებს ისევ აფორიაქებდა ნიავი. მივიდა, ფანჯარა დაკეტა, ისევ დაჯდა, თითქოს დინჯად, მაგრამ ნამდვილად მოთმინება ეკარგებოდა თავადს.

— რაღა შორს წავიდეთ, ღვთის ბატკანი არც ჩვენი მსახიობი ქალებია.

აქაც დუმილი არჩია ტასიმ.

საწოლ ოთახში გავიდა გურიელი. ვერცხლის ლარნაკით ტკბილი სასმელები და ნამცხვრები გამოიტანა. ერთი ლამბაქი ოქროს ხუთიანებით აევსო პირამდე. აიღო, ტასის დაუდგა წინ.

— ეს შენი საჩუქარია, ჩემო გვრიტო,—თქვა და თვალებში ჩააშტერდა.

ტასის სირცხვილისაგან ლოყები შეუწითლდა, ახლა ლიქიორი მიაძალა ესეს ძემ. მაგრამ ტასიმ არ ჩამოართვა, უარი თქვა, სასმელებს არ ვარ ჩვეულიო.

გურიელი აიმღვრა. აღარ იცოდა რა მოემოქმედა. ოქროთი სავსე ლამბაქი აიღო, უნდოდა უბეში ჩაეჩხრიალებია

ტასისათვის ეს ოქრო და სავსე გულ-მკერდზე ურცხვად მოევლო ხელი, მაგრამ ტასი ამაყად წამოდგა სავარძელიდან.

— მე სათხოვნელად მოვედი, — დაიწყო თითქოს მშვიდად, მაგრამ მღელვარედ.

— სათხოვნელად?

ფერი ეცვალა ლევან ესეს ძეს, ოქროთი სავსე ლამბაქი ხელში შეაცივდა, წარბები მოხარა, მოპირქუშდა და ასე გაიფიქრა:

„ნანატრი ბედი შინ შემოგიფრინდეს, კარი გაუღო და გაუშვა?

არა... ასეთ გულუბრყვილობას ჩვეული არა ვარ“.

— ეს უნდა იცოდეთ, ქალბატონო, იოლად არაფერი არ კეთდება. მაინც რისთვის გარჯილხართ?

— ბატონიშვილო,— დაიწყო გულაჩუყებულმა ტასიმ,— დარწმუნებული ვარ, ნოინზე უფრო მრისხანე არ იქნებით ქართველი თავადი?

— მერე?

— გთხოვთ, ვითარცა ნოინმა აჩუქა ნათელას თავისი სატრფოს სიცოცხლე, ისე მაჩუქოთ მეც ჩემი შეყვარებული, ბატონიშვილო!

— ვინ არის შენი შეყვარებული? — ცბიერად ჰკითხა ლევანმა.

— ის არის დღეს რომ... მანთიძეა მისი გვარი, ბატონო.

— მერე იცით ვის თხოულობთ? ავაზაკს, ხელმწიფის მოღალატეს, ქვეყნის დამღუპველს. როგორ მიბედავთ? — ურიადნიკმა მუშტი დაჰკრა მაგიდას ისე, რომ ჭიეეაი აწკარუნდა. — როგორ მიბედავთ-მეთქი?

— ბატონიშვილო!.. სიყვარულმა მიბრძანა...—ისევ ცახცახით თქვა ტასიმ.

— სიყვარულმა გიბრძანა? ჰმ, განა სიყვარული ბრძანებლობს ადამიანს?—უცებ მოლბა, გაიღიმა და ქალისაკენ მიიწია, — სიყვარულმა გიბრძანათ!

— გულმა, ბატონიშვილო!

— ა, უფრო საკვირველი,—გააზვიადა სიტყვა ლევანმა.— გულმა გიბრძანათ. ეს კი მჯერა, მჯერა, ჩემო მშვენიერო, მჯერა, რომ ქალს გულის მეტი არა გააჩნია რა. მაგრამ შენ

მოსაუბრესაც რომ გული აქვს და ამაზე საამო არა არს რა ჩემთვის, როცა ლამაზი ქალი თავის გრძნობებზე მეტიტინება. თქვენ დგეხართ მამაკაცების ახლოს ტყიდან გამოვარდნილი ნადირივით. მახსოვს ერთხელ საყორნიაზე ვნადირობდი. შველს მოვკარი თვალი, ბორცვზე იდგა, და მშვიდად წუწნიდა ბალახს. მივეპარე ქვევიდან და ხმალი შემოვკარი ბარკალზე. მიმოიხედა აცახცახებულმა და გაქენდა. იმ შველს მაგონებს ეგ შენი თვალები და ისე მომწონხართ...

ლევანმა გრძელი თითები ფაფუკად მოჰკიდა ქალს მკლავში და სავარძელში დასვა.

— დაჯექი, მეტიტინე მაგ ტკბილი ენით. მიამბე, რა არის ეგ შენი სიყვარული? მომწონებია ქალი, ხან ძილიც გამტეხია ქალზე ფიქრით. ბევრი დრო მიტარებია ლამაზებთან და ყველანი გაქრნენ, როგორც პეპლები ქრებიან საღამო ჟამს. არც სახეები მახსოვს მათი და არც სახელები. ახლა შენ მომწონხარ, ხვალ შეიძლება სხვა მომეწონოს. იქნებ ამიხსნა, რა არის სიყვარული, რომელმაც გიბრძანა შუაღამისას ჩემთან მოსულიყავ ავაზაკის გასათავისუფლებლად?

— ბატონიშვილო, ის ავაზაკი არ არის. ის ნამდვილი ადამიანია, უაღრესად კეთილშობილი.

— იმას კატორღა მოელის. ის ხელმწიფის მოღალატეა, გესმის?

— არაფერი არ მესმის. ის მიყვარს.

— გიყვარს?

— უიმისოდ ქვეყანა ცარიელი მეჩვენება.

— დაივიწყე...

— მოვედი გამოვისყიდო იგი. გევედრებით!

— მხოლოდ ერთი პირობით.

— რა პირობით? — შეშფოთებით მიაჩერდა ტასი.

— იმ პირობით, რომ ბათუმის მიწაზე ფეხი აღარ დაადგას. ახლა მოიფიქრე, როგორც გინდა.

გურიელი წამოდგა, მაგიდიდან ქაღალდი ამოიღო.

— რა გადაწყვიტეთ? — ჰკითხა ტასის.

ტასის გადასაწყვეტი არაფერი ჰქონდა. იგი წინასწარ განზომილი გადაწყვეტილებით მოვიდა.

გურიელმა სწრაფად დაწერა ქაღალდზე რაღაც.

— წამიკითხეთ რა დაწერეთ!—თხოვა ტასიმ ურიადნიკს.

— მახარე ბეგლარის ძეს მანთიძეს, წინადადება ეძლევა, რომ მან, მანთიძემ, ოცდაოთხ საათში დასტოვოს ბათუმის მიდამოები. ხელს აწერს ბათუმის ოლქის უფროსი ურიადნიკი ლევან ესეს ძე გურიელი.

1902 წელი, 2 მაისი.

ტასიმ თავი დახარა.

გურიელმა ჩქარი ნაბიჯით გაიარა დარბაზი და კარი ჩაკეტა.

მამლები ყიოდნენ

— ჩუმად იყავი-მეთქი, ნუ ბოდავ!

მახარემ თავი წამოსწია.

— ნუთუ სიზმარი იყო! დედავ, დედილო!..

—სსს, ჩუმად!

— შენ ვინ ხარ? ოლომფრე, რას დაბორიალობ?

— ადექი, ჩქარა, ჩუმად, გიბრძანებენ...

მახარეს გააკრჟოლა, იცნო, საკანის მეთვალყურე იდგა მის წინ, შავად გაბოლილი ფანარი ეჭირა ხელში.

წამოდგა მახარე, თვალი მოავლო საკანს. ღრმა ძილს მისცემოდნენ პატიმრები. მძიმე და სულისშემხუთავი ჰაერი იდგა საკანში. მახარე მეთვალყურეს მიაჩერდა თვალებში.

— აქ ქალი იყო ვინმე?—ჰკითხა დაბალი ხმით.

— ვინ ქალი, რას ბოდავ, გამომყევ ისე, რომ არავინ გაიგონოს შენი ხმა, თორემ დაისჯები.

— ბრიყვო. დასჯა არ მაკლია. ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით.

საკანის კართან შედგა მახარე. ერმილეზე დარჩა გული. მოაგონდა მისი დიდი ამაგი: „ნეტა სიცოცხლე დასცლოდა მახარეს, ყველაზე უმალ მეგობრის ამაგს გადაიხდიდა. მშობლების ამაგიც მიყვება მახარეს“... მწუხარებამ დაისადგურა მის გულში. მოაგონდა მამის სიტყვა: ბიჭო, ხიფათს გადაეკიდები და მამაშენის საჯახირო გახდებიო, რომ უთხრა მაშინ:

„არა, ბაბა, მახარიას შენი ჯახირი აღარ დასჭირდება. გმადლობ შენ, დედავ ბატონო, რომ ეგ შენი ცრემლი სინანულით არ ავსებს ჩემს სულს“.

ლიბრი ღამე იდგა.

მარტო ორნი ხედავდნენ ერთმანეთს.

სადღაც შორს მამლები განთიადს უყიოდნენ.

მოწმენდილიყო ცის გუმბათი, ხოლო ცის კიდურები ჩაქუფრულიყო, როგორც ეს ალიონის წინ იცის.

ჭიშკართან მივიდნენ ორნი.

მეთვალყურემ ფრთხილად ამოიღო უბიდან მოკეცილი ქაღალდი და მახარეს გადასცა. ჭიშკარი გამოაღო და ისე მაგრად ჰკრა ხელი გულზე, რომ მახარე წაბარბაცდა, თან ღვარძლიანი ხმით მიაძახა:

— დე ვიყო ბრიყვი, მაგრამ ჩემი ხელობა ჯაშუშობას მაინც ჯობია. შენ ჯაშუშობისათვის გაგათავისუფლა ურიადნიკმა.

ამის გამგონე მახარე სახტად დარჩა. მიიხედ-მოიხედა, მართლაც არსად ჩანდა შავი ეტლი, არც წითელხალათიანი ჯალათი, ქუჩებში ბაიბური არ ისმოდა. გაშალა ქაღალდი, ღამის ფანარს მიუშვირა, წაიკითხა ბრძანება გურიელის ხელმოწერილი.

უსიხარულოდ გაიარა ქუჩები. გული საკანში რჩებოდა. მამლები ისევ ყიოდნენ ღარიბთა უბანში. განთიადს უხმობდნენ.

მახარე სიზმარეულივით მიდიოდა. ვერ წარმოედგინა თუ რა მოხდა მის თავზე.

„მზეო, ამომავალო, ჩამოიხედე ჩემ სულში! მე ხომ ღალატი არ ჩამიდენია, არც განმიზრახავს“, გაიფიქრა და სიბნელეში გაუჩინარდა.

* *

ტასიმ შალი წამოიხურა და ის იყო კარებში გასვლას აპირებდა, მაგრამ ლევანი დაეწია, ხელი სტაცა მკლავში და სამუშაო მაგიდასთან მიიყვანა. ყუთი გამოაღო და დიასთვის მინაწერი მახარეს წერილი ამოიღო, სპარსული აბრეშუმის

ცხვირსახოცი გაშალა, ოქრო აიღო და ცხვირსახოცში შეახვია. ნეკიდან ბრილიანტის თვლებიანი ბეჭედი წაიძრო და საჩვენებელ თითზე წამოაცვა ტასის. ოქრო უბეში ჩაუდო.

— ეს ბეჭედი ჩემ სახსოვრად გქონდეს. ეს ოქროც წაიღე. ოღონდ მითხარი, დარჩები თუ არა ჩემი? ცოლს არასოდეს არ შევირთავ. ყელამდე სიმდიდრით აგავსებ. პაემანზე სადაც გნებავს იქ გეახლები. ოღონდ ჩემი იყავი, მუდამ ჩემი.

გურიელმა კვლავ მოხვია ხელი ქალს, თავი გადაუწია და ტუჩებში აკოცა. ტასის შეაკრჭოლა. ბეჭედი წაიძრო თითიდან, ოქრო ამოიღო უბიდან და მაგიდაზე დააწყო.

— ოქროზე არ ვყიდი ჩემს სხეულს. ბეჭედი რად მინდა? არ მინდა მახსოვდე! მინდა ახლავე დაგივიწყო.

ლამაზი კაცი იყო გურიელი, მაგრამ ტასის გულში იოტისოდენა სითბო ვერ გამოიწვია. ძალიან ცდილობდა ნაზი ალერსით შეეყვარებინა თავი ქალისათვის, მრავალი დაპირებებით მოეხიბლა და გადმოებირებინა თავისკენ, მაგრამ ამაოდ, არაფერმა არ გაჭრა.

— გესმის, გოგონა? წადი, მაგრამ არ ინანო. ის ავაზაკია, ვისაც შენი სიქალწულე შესწირე. დაგიმტკიცებ, რომ ავაზაკია. მე კი შენი სიყვარულისათვის ფიცი გავტეხე ხელმწიფის წინაშე და ავაზაკი გავათავისუფლე.

კარამდე მიაცილა ქალი და ცივად გამოეთხოვა. კარში მახარეს წერილი გადასცა.

— ეს წერილი ჩემთვის საჭირო აღარ არის, კიდევ გიმეორებ, რომ ის ავაზაკია.

ტასიმ გაკვირვებით ჩამოართვა მოკეცილი წერილი, არ იცოდა რა ეწერა წერილში და ვის ეკუთვნოდა. სწრაფი ნაბიჯით ჩაირბინა კიბე, მეკარესათვის არ შეუხედავს, ისე გაიარა ჭიშკარი. თვალებზე და ტანზე მაგდას დიდი შალი ებურა. მირბოდა შინისკენ, მაგდამ არ მომასწროსო, ფიქრობდა.

მატარებელი, რომლითაც მაგდა უნდა დაბრუნებულიყო ვურიიდან, კივილით შემოდიოდა სადგურში.

ოთახის კარი გამოაღო ტასიმ, ქაღალდის ნაფლეთი დაუვარდა ფეხებში. მახარე ციხიდან აქ მოსულიყო და მაგდასთვის წერილი დაეტოვებია.

ახლა ჩემი წასვლა ჯობს ბათუმიდანო, სწერდა მახარე შაგდას, სთხოვდა ერმილეს ოთახისათვის ყურადღება მიექცია მირიანის ჩამოსვლამდე, თან ატყობინებდა: დღეს პატიმრები მიჰყავთ და საგზლისათვის იზრუნე, ფულს ბიძია ტრიფონი მოგცემსო.

მახარეს წასვლის ამბავმა თავზარი დასცა ტასის, საპირვარდო მაგიდასთან ჩამოჯდა, უნებლიეთ სარკეს წააწყდა მისი თვალები. ეუცხოვა თავისი სახე. ქუთუთოებში ნაღველის ფერი ჩამუქებია, ტუჩები გაფითრებია, სახეზე ავადმყოფის ფერი დასდებია.

გურიელის ნაბოძები წერილი ამოიღო უბიდან, თვალები ალმოვრა, ძლივს წაიკითხა:

„ისევ ლამაზი და სპეტაკი ხარ ჩემთვის, როგორც იყავი თივაში თამაშის დროს. გაზაფხულია და თვალწინ მეხატება აყვავებული ვაშლი, ნუში და ვფიქრობ, კარგია ახლა შენთან ყოფნა“. ტასის თვალები დაუბნელდა. ახლა გაიგო მის სათაყვანებელს სხვა უყვარდა.

* *

მზე ცის მაღლობიდან დაჰყურებდა დედამიწას.

ღრმა ძილში სიბილო მოელანდა ტასის, უცებ გამოეღვიძა, ზანტად წამოდგა, თავბრუ ეხვეოდა. მიიხედ-მოიხედა, გაეხარდა. მაგდა არ დაბრუნებულიყო გურიიდან. ჯერ კიდევ კარგად გამოფხიზლებული არ იყო, როცა ოთახში სიბილო და დარო შემოვიდნენ.

— მაგდა არ დაბრუნებულა?—იკითხა დარომ.

— არა.

— იცი, ტასი, დღეს ჩვენ უნდა ვიკისროთ მაგდას მაგიერობა.

— ამხანაგებს საგზალი უნდა მოვუმზადოთ, ტასი, აბა თქვენ იცით, როგორ დატრიალდებით,—უთხრა სიბილომ.

— ტასი, ახალი ამბავი იცი?—მხიარულად წამოიძახა დარომ,—მახარე გაქცეულა ციხიდან.

— სასწაულია პირდაპირ, როგორ მოახერხა! — იშვნეულობდა სიბილო, მაგრამ როდესაც ტასიმ მახარეს ნაწერი

წერილი გაუწოდა, სიბილო დარწმუნდა, მახარე ნამდვილად გაქცეულიყო ციხიდან.

— უთუოდ იმ მჭედელმა მოახერხა,—კმაყოფილი ღიმილით წარმოთქვა სიბილომ.

— ბიძია ტრიფონმა?

— ასე მგონია, მოხერხებული კაცია ტრიფონი. იგი ჩვენი ახალგაზრდობის გულწრფელი მეგობარია.

ტასი სდუმდა. მხოლოდ გაკვირვებას გამოთქვამდა. თითქოს კმაყოფილი იღიმებოდა. გულში კი ნაღველი ჰქონდა ჩამდგარი. სიბილოს მზერა ვერ მისწვდა ტასის გულს.

საღამოს სადგურზე გამოფენილიყო ხალხი, გადასახლებულთა მეგობარნი და ჭირისუფალნი. ყველას სანოვაგით სავსე კალათი ეჭირა ხელში. გამცილებლებს ცრემლი ჩამოსდიოდათ თვალებიდან.

ტუსაღები ხმაურობდნენ ვაგონში, მღეროდნენ. ფანჯარაში გადმოეყოთ თავი, მხიარული ოხუნჯობით და სიცილით ეთხოვებოდნენ ბათუმს. აგერ, ახალგაზრდა ქალიშვილმა ნიკიტას გიტარა მიაწოდა ფანჯარაში. ეს ქეთინო იყო. ნიკიტამ თითები ჩამოჰკრა სიმებს და გაისმა აკაკის ლექსი:

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო!

დარო და სეფე ოლომფრესაკენ წავიდნენ კალათებით. აგერ პირგაბადრული მჭედელიც გამოჩნდა თეთრი გოგორა პურებით.

ტასი და სიბილო ერმილეს ეძებდნენ. ერმილემ მოგვიანებით გამოჰყო თავი ფანჯარაში. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ტასიმ სანოვაგით სავსე კალათთან ვარდების კონა მიაწოდა წითელი ლენტით შეკრული. გურიელი ყანდარმებით დადიოდა ბაქანზე. თვალი მოჰკრა ტასის იმ დროს, როცა ყვავილებს აწვდიდა ერმილეს. შეკრთა გურიელი. ტასის ორი მარცვალი ცრემლი ვერცხლივით უციმციმებდა თვალებში. ახლა გაცილებით უფრო ლამაზი ეჩვენა იგი ლევანს. შეშფოთდა. ტასიმ უყურადღებოდ ჩაუარა. მატარებელი დაიძრა. ვაგონებში გაისმა სიმღერა.

ხალხი ქუდებს ისროდა.

ავადმყოფი ნინიძე ჯოხზე დაბჯენილი გაჰყურებდა მიმავალ მატარებელს. მთების მწვერვალზე ჩამავალი მზის სხივი ციმციმებდა და ნათელი დღის შუქი ჰქრებოდა.

ნინიძის სულში შემოდიოდა ღამე კანდელივით მკრთალი ვარსკვლავებით. იდგა ერთ ადგილს და ჯოხს არაკუნებდა ქვაზე.

ხალხი დაიშალა.

ბაქანი დაცარიელდა.

— რას ელოდები?—ჰკითხა ლუღლუღით ვიღაცამ ნინიძეს.

— არაფერს,—ყრუდ გაისმა პასუხი მწუხარე გულიდან.

მოიხედა, გოგილო იდგა მის გვერდით. ხელში ქალის მანდილი ეჭირა და ცრემლს იწმენდდა. ნინიძემ იცნო ქეთინოს ხელით ნაქარგი მანდილი, ნიკიტასთვის გადასაცემად რომ მოიტანა ქეთინომ, მაგრამ იმ წამს მატარებელი დაიძრა და მანდილი გოგილოს შერჩა ხელში.

ეს სხვა რამეს ხომ არ მოასწავებსო?—გაიფიქრა ნინიძემ და მწარედ გაიღიმა. იქნებ ქეთინოც გოგილოს შერჩესო?

გურიის ყვავილნარში

საითაც გაიხედავთ, ყველა ეზოში, ყველა აივნის წინ მაისის ვარდები გაშლილან. მთავარ ქუჩებს მწკრივად მიყვება ცისფრად და თეთრად შეღებილი ოდები. ოდების წინ კოხტა ეზოები კოინდარით აჟუჟუნებულა. ოდის გვერდით ბაღჩებში ალუბლები და ალუჩები შეთქვირებულან.

ყველაფერს სიახლისა და სიმწვანის ფერი აძევს.

ყველაფერს ხაამო სურნელი ასდის.

ატლასივით სრიალა ფოთლებზე ნამი მარგალიტივით ციმციმებს.

დილაა.

მზეს ოქროსფერი წამწამები ამოუწვერავს ჭაღარა მთების გადაღმიდან. მერცხლების დაუსრულებელი ჭიკჭიკი აღვიძებს ქალაქს. ეს ქალაქი პატარა ოზურგეთია, გურიის სამაზრო ქალაქი, შემკობილი მრავალფერი ყვავილებითა და

ხეხილებით. ორი მდინარე საზღვრავს მას — ერთი მხრით— ჟუჟი და მეორე მხრით—ნატანები. ქუჩის გაღმა-გამოღმა მხარეს, მაღაზიების წინ, ნაკადულები მიჩხრიალებენ. ქალაქის ახალ მესვეურს მოედანზე კვიპაროსები დაურგავს. ბილიკებზე აგურის ფხვნილი დაუფრქვევია. მოედანის მარჯვნივ, კუთხეში, მაღალ აკაციებს შორის, სამსონის კლუბის წინ პატარა ტალავერი აუგია, მაღალი, მრგვალი, ვიწრო კიბით, ოთხი-ხუთი კაცის დასაჯდომი, დასასვენებელი. კოშკს უფრო ჰგავს ეს ტალავერი. დილაადრიან დიტია მგელაძე და კაცია ნაკაშიძე გამოსულან კლუბიდან, ასულან კოშკზე და დამსხდარან ახალუხის ამარა. ეტყობათ ბანქოს თამაშში კლუბში გაუთენებიათ ღამე.

— ფრაპში მაინცადამაინც არ დაიღუპება კაცი, მაგრამ ეს ბაქარა... დასწყევლოს ღმერთმა ამის მომგონი, — გულგრილად ამბობს კაცია ნაკაშიძე, — ფულის მახეა ნამდვილი.

— მერე უბედურებაა: თუ ჩაჯექი, ვეღარ მოშორდები, ან როგორ უნდა მოშორდე ოქროს კალოს!—შეესიტყვა კაციას მგელაძე, — ერთი ბანკი თუ მოხსენი, ერთი წლით დაზღვეული ხარ.

— ყველა ამას ფიქრობს და ამიტომაც არის სწორედ, უკანასკნელ ჩოხას რომ ტოვებენ.

— არა, ამ მეფართლე დონაძის ვაჟი, შეამჩნიეთ, თავადო, როგორ აგებს მამის ქონებას? ამბობენ ელიზე არისო შეყვარებული.

— თუ პირიქით, ელი არის დონაძის ფულებზეო შეყვარებული.

— ხა, ხა, ხა... დიდი ჭკუამახვილი ბრძანებულხართ. უთუოდ ასეა. ეს ვერ მოვისაზრე. ახლა კი ყველაფერი მესმის... ადვოკატები გაკოტრდნენ. ელის ქმარს კაპიკი არ მოეძებნება. ელის შვილები ჰყავს გასაზრდელი. ლამაზი ქალია, მსუყე ბეღელს მისდგომია. ფული... გული... ხა, ხა, ხა...

კაცია კაციას ძემ ცალყბად ჩაიღიმა. დიტიამ ახლა სხვაგან გადაუგდო სიტყვა.

— მაკვირვებს მაინც, თავადო კაცია, თქვენი მოურავი დიდი ძუნწი უნდა იყოს.

— რაზე ამჩნევ?

— მთელი ღამე თავზე დაგვტრიალებდა წუხელ და არც ერთხელ ბანქოსკენ არ წამოწეულა.

— დაფიცული ვარ, ბანქოს არ მოვკიდო ხელიო,—მთქნარებით თქვა ნაკაშიძემ.

წამოდგა დიტია.

— კლუბში ჯობს, ბატონო, წასვლა,— შეახსენა კაციას.

ახალუხის ამარა ბაღში ჯდომა უხერხულად მიაჩნდა მგელაძეს. ქალაქი იღვიძებდა.

ქუჩებში ხალხმა იწყო დენა.

ის იყო კოშკიდან ჩამობრძანდა ნაკაშიძე, ბაღში მისი მოურავი ჭაპანაძე მოიჭრა და უხეშად მიმართა ბატონს:

— თქვენ, ბატონო, ბანქოს თამაშით ერთობით აქ და თქვენს მამულში არც ერთი გლეხი არ ჩადის. საყანე მიწები ჯერაც მოუჩალავია. თესვის დროც გადის, წავიდეთ, ბატონო, შინ... უნდა მოელაპარაკოთ გლეხებს. შეთანხმებაა, ბატონო, საჭირო.

დიტია მგელაძე ინგლისურ სიგარას აბოლებდა დოინჯშემოყრილი.

ნაკაშიძემ პაპიროსს მოუკიდა.

— ცხენი მომიყვანე?

— ჭაკი მოგიყვანე, ბატონო, ულაყი ვერ დავიჭირეთ, გავერანდა უხედნელი.

— ესღა მაკლია, იორამ, ახლა ჭაკზე შემსვა,—თქვა უკმაყოფილოდ კაციამ.

— ბატონო, ჯორზე ნუ შეჯდებით და ჭაკს არა უშავს,— ჩამოართვა სიტყვა მოურავმა. — ჩამობრძანდით, ბატონო, ჯორიდან. დაუთმეთ გლეხებს ცოტა რამ, თორემ...

— არაფერსაც არ დავუთმობ. რა მმართებს მათი? ეზოს დავათესიებ ფარნაოზას და მეყოფა. მორჩა.

— ფარნაოზასო? ჰმ...

გაყუჩდა მოურავი, არ უნდოდა ყველაფერი ერთად მიეხალა თავადისათვის.

კლუბის ეზოში მუცელგამობერილი ჭაკი ება, შეკაზმული. სხვა რა გზა ჰქონდა. შეჯდა თავადი ჭაკზე და გაემგზავრა, ზედობანს გადაღმა — თავის სასახლეში. ჭიშკრიდან სანამ

სასახლემდე მიაღწევდა, ერთი-ორი კილომეტრი ბაღნარი უნდა გაევლო. უცებ ტყვიამ იშხუვლა ხეებიდან.

კაციამ ჭაკი გააჭენა. ტყვია აიცდინა, სახლში შევარდა და კარი ჩაკეტა.

საღამომდე ელოდა ფარნაოზას, მაგრამ არსად ჩანდა. ოცი წელი ემსახურებოდა იგი ნაკაშიძის ოჯახს ერთგული ძაღლივით. ვერ წარმოედგინა კაციას ოცი წლის ერთგულ მსახურთან ასე უცებ დაშორება. ფარნაოზაც სწუხდა. შეჩვეულ ლხინს შეჩვეული ჭირი მარჩევნიაო — ამბობდა. დაყრუებული ფაცხის წინ იჯდა მარტოდმარტო. ჩამავალ მზეს გასცქეროდა. თუთუნს სრესდა ხელისგულით და ჩიბუხს ტენიდა. აგონდებოდა, ბატონის სასახლის ბაღში საღამოობით ჩამავალი მზე, როგორ ეფინებოდა მაისის ვარდებს. ამ დროს ნაკაშიძის ხასასთან ერთად დადიოდა ფარნაოზა ბაღში და ასუფთავებდა ბილიკებს, თან სოფლის ჭორებზე ემასლაათებოდა. ეთამაშებოდა ფარნაოზა ქალბატონს და განაგონს არ უმალავდა.

— ქალბატონო, ბატონს უშენოდ სული ამოსდის, როცა შინ არ ბრძანდები, დღე წელიწადად ეჩვენება. რა გიჭირთ. ბარემ ჯვარი დაიწერეთ და სოფლის ყბა ჩააჩუმეთ?

— რა გულუბრყვილო ხარ, ფარნაოზა, ბატონი ერისთავის ნასიძევია. ერისთავის ქალის დროსაც ხომ ემსახურებოდი შენ ბატონს?

— ვემსახურებოდი... და თუ გინდა მართალი მოგახსენოთ, ასე ტკბილი არ იყო მაშინ სასახლე.

— ეს იმიტომ, ფარნაოზა, რომ შენ გლეხი ხარ და მეც გლეხის სისხლი მიდგას. თუმცა რა ყურს ვუგდებ ხალხის ლაპარაკს. მე ბატონი მიყვარს,—ამოიოხრა კაციას ხასამ.

ფარნაოზამ გაიღიმა.

„ახლა? ახლა რას ისურვებს ნეტა ნაკაშიძის ხასა?—გაიფიქრა ფარნაოზამ, — სიყვარულს ამჯობინებს თუ ხალხის სიმართლეს?“

ნაკაშიძის ხასა ამ დროს გაფითრებული იჯდა ბატონის გვერდით და შეშინებული პირჯვარს იწერდა:

— ვმადლობ უფალს, რომ ტყვია აგცდა, ბატონო.—თან ცრემლებს აღვარღვალებდა.

კაცია კაციას ძემ ხელი მოხვია მტირალ ქალს და ჩურ-ჩულით უთხრა:

— ადექ, მარინე, ჩაიცვი, დროა ჯვარი დავიწეროთ.

მარინე გაშტერებული მიაჩერდა ბატონს. ყურს არ უჯერებდა განაგონს. მაგრამ ნაკაშიძემ მის პასუხს აღარ დაუცადა, კარადიდან მოსასხამი გამოიღო და თავისი ხელით მოახურა მარინეს.

— წავიდეთ!—თქვა და ხელი მოჰკიდა ქალს.

კარებში ჭაპანაძე შეეჩეხა. ეს-ეს იყო მოაღწია ოზურგეთიდან ფეხით მომავალმა. აქოშინებული მიიჭრა ბატონთან გზაში გაეგო თოფი ესროლესო თავადს. ორი რევოლვერი აიღო ნაკაშიძემ, ერთი იორამს მისცა და ერთი თვითონ დაიკიდა ქამარზე. წავიდნენ ზედობანს, მთავარანგელოზის ეკლესიაში.

ღამე იყო. მიდიოდნენ ტყის ბილიკით შეყვარებულები და მათი მოურავი. ბულბული ხის ტოტზე შემომჯდარიყო და შეღამების საგალობელს გალობდა. მთვარე ვერცხლისფრად მოსავდა ზედობნის ხერნალს, საითკენაც ბილიკი მიიმართებოდა. მარინეს გულში იფურჩქნებოდა ქალის ნაზი გრძნობა, გრძნობა ქალის, რომელიც პირველად ხდება „მხევალი" ქმრისა, თუმცა ოცი წელი გაატარა მარინემ ხასის სახელით და ორმოც წელს გადასული იყო.

* *

როცა კაცია ნაკაშიძე ჭაკზე შეჯდა ზედობანს წასასვლელად, დიტიამ მოედანი მიატოვა, მივიდა შინ. მამას დილამშვიდობისა უსურვა და ოთახში ჩაიკეტა. ცოლს მუქარით უთხრა: არავინ გაბედოს ჩემს კარზე დაკაკუნებაო.

ვატა მგელაძე — დიტიას მამა „დვარიანსკი დრუჟინის" ყოფილი ოფიცერი, ტანიდან არ იშორებდა ლურჯი მაუდის მუნდირს. ოფიცრის ჩინიც მუდამ მხარზე ეკერა. სახლშიაც არ იხდიდა ოფიცრის რუსულ ქუდს. ვატას რამდენიმე წელია მიწაზე ფეხი არ დაუდგამს. მაღლა სართულიდან ვეღარ ჩადიოდა დაბლა. დილიდანვე მუნდირში გამოჭიმული, აივანზე იჯდა, ჭიპამდე დაყრილი თეთრი წვერი თოვლის ბა-

ბუას ამსგავსებდა, ყურს არ ესმოდა. მასთან მივიდა ცოლი— ჩხირივით ხმელი დედაბერი და რაც ძალ-ღონე ჰქონდა ყურში ჩასძახა: „წამოდექი, ბერიკაცო, ალბათ, შენს შვილს რაღაც ცუდი ამბავი შეემთხვა“. ვატა წამოდგა, მუნდირი გაისწორა, წვერზე ხელი ჩამოისვა და ოთახის კარს მიადგა ქუსლჩაკეცილი ფლოსტების ჩლარტუნით.

— დიტია, — ბრძანებით მიმართა ყოფილმა ოფიცერმა შვილს, — გააღე კარი!

დიტიამ უსიტყვოდ გააღო კარი. ვატა შევიდა შვილთან. დიტია მაგიდასთან დაჯდა. ვატა გვერდით მოუჯდა.

— შვილო, რამდენჯერ მითხოვნია შენთვის, თავი დაანებე ბანქოს თამაშს-მეთქი!—ბაგეების ცმაცუნით უთხრა ვატამ და თვალებში მიაშტერდა შვილს.

შავგვრემანი, პირხმელი, შუატანის კაცი იყო დიტია. ზაფხულობით ევროპულად შეკერილი თეთრი „პარუსინის“ ტანისამოსი უყვარდა. მამის ჩვეულებას არც ის ღალატობდა, იუნკრის ჩინი მუდამ მხარზე ეკერა. იშვიათად იცვამდა ჩოხა-ახალუხს. ამ დილით სწორედ ეს იშვიათი ჩერქეზული ჩაეცვა და ის იყო ლაზარენკოსთან ემზადებოდა წასასვლელად. განცხადებას წერდა ქვეყნის დაცვის საჭიროებაზე. დიტიას მამას — ყრუ ბერიკაცს არაფერი არ ესმოდა, რა ხდებოდა ქვეყანაზე. დიტიას ოთახში ჩაკეტვის მიზეზი ბანქო ეგონა. ალბათ, უკანასკნელი კაპიკი წააგო,—ფიქრობდა.

— რომელ ბანქოზე მეუბნები, მამაჩემო?—გაიკვირვა დიტიამ, და რომ არ ეყვირა სხვის გასაგონად,—წერილით გაესაუბრა ყრუ მამას.

„ჩვენი ცხოვრებაც, მამაჩემო, ბანქოს ჰგავს, ტრიალებს ბაქარასავით და, ვინ იცის, ვის ერგება წილად ბედნიერება. დრომ სხვა ამბები მოიტანა, ბანქოზე საშინელი და ოქროზე მკაცრი, საჭიროა ხასიათის სიმტკიცე... ღალატის სუნი ტრიალებს, მამაჩემო. შენ ხომ ხელმწიფის ერთგული ხარ! მეც შენი შვილი ვარ. ხელმწიფეს უნდა ვემსახურო. ახლა შეიძლება უბრალო იუნკერიდან გენერალ-გუბერნატორი გახდეს კაცი. ლევან გურიელს ოლქის უფროსობა ჩააბარეს“.

დიტია წამოდგა, მაზრის უფროს ლაზარენკოსთვის მისარ-

თმეკ განცხადებას ხელი მოაწერა, გულის ჯიბეში ჩაიდო და სახლიდან გავიდა. ეს იყო 1902 წლის 12 მაისს.

ვატამ ჯოხის ბიჯებით გაიარა აივანი. ბერიკაცს მხოლოდ ხელმწიფის ერთგულება ჩარჩა გულში. სხვა მისთვის გაუგებარი იყო ყველაფერი, რაც მის შვილს ამოქმედებდა. ვატა ნაჩვევ სავარძელში ჩაჯდა, ნახევრად დადამბლებული მუხლები მოხარა და თეთრი წვერი მზეს მიუშვირა.

სიყვარულის ჰიმნი

„ჩემო ძვირფასო, მზიური სიმღერის ერთ უმცირეს სიმს რომ არხევს სიო მარადისობიდან,—ეს შენი ხმაა, სპეტაკი ისე, ვით იადონის სალბუნები, ვარდზე ნაცრემლი, ჟამსა ცისკრისას. ჩემო ძვირფასო, მოვერცხლილ ტბაზე, როცა რძისფერ ლოტოსს მთვარე დახედავს, — მომეჩვენები, თითქოს ჩემ წინ დგეხარ უმანკო, ვით ის ლოტოსი ბრინჯაოსფერ ტბის მინანქარზე, და შენი სახის სინარნარე წარმტაცებს მზერას. ჩემო სიცოცხლევ, ვით გვალვიან დღეს მოსწყურდება მგზავრს უდაბნოში, — ისე მწყურია ჩემი სული შთავნერგო შენში, რომ ერთი გრძნობით, ერთი აზრით, ერთი შეგნებით, ერთად შევსტრფოდეთ მზის და მთვარის ამობრწყინებას. და ასე ვლიდეთ გზას დიდების, კაცს რომ შეშვენის, პატიოსნებისა და სიკეთის დასამყარებლად“.

სკამლოგინზე ზის მახარე, ზურგით მისწოლია ასწლოვან მუხას. შემოღამების მწუხარებას დაუბინდავს მისი სული და ფოთლებიც თითქოს ეჩურჩულება: „ამაოაო ყველაფერი, რასაც ეტრფი... ვერ აფრინდები მიწის ზევით, ვერ აფრინდები“.

რა ემართება ამაღამ მახარეს? რად ჩაღვრია სულში მოწყენის ნაღველი? დღეს შელლის ლექსის თარგმანის ხელთნაწერს კითხულობდა. ეს ლექსი ლიმან-მელიედან[1] წამოღებული ერთ-ერთი არალეგალური წიგნის უკანა გვერდზე იყო მიწერილი ლამაზი ხელით: „მოწოდება“... იქვე იყო აღნიშ-

---

[1] ლიმან-მელიე — ასე ეწოდებოდა ბათუმის მუშათა ერთ-ერთ უბანს.

ნული ლექსის ავტორი. დღეს ისე შეიჭრა მახარეს გულში ეს ლექსი, რომ არ იქნა მისი განდევნა. საშინელი დარდი შეიგრძნო, თითქოს ჩასულ მზესთან ჩაესვენაო ყველაფერი სასიცოცხლო და მხოლოდ მიწა დარჩა ფეხქვეშ. „დღეს იქნება თუ ხვალ, ზეგ თუ მაზეგ, სულერთია, მახარეც მიწად იქცევა“.

დარჩება მხოლოდ სულის ძახილი: „მეგობარო, ტკბილზე ტკბილო, სანატრელო...“

უმთვარო ღამეა. გარინდებული დგანან მუხები.

დღეს დილიდანვე ბაღში საქველმოქმედო მიზნით სეირნობა იყო მოწყობილი. სეირნობის მომწყობ კომისიაში დია ვაშალომიძეც ღებულობდა მონაწილეობას. შევახშმებისას ბაღში ხალხი შემცირდა და ახლა ცაში ავარდნილ ცეცხლის კუდიან მაშხალებს აივნებიდან უცქეროდნენ. იქ, მუხებს იქით, ბაღის მეორე კუნჭულში როტონდა ბრწყინავს გაჩირაღდნებული. როტონდაში მოცეკვავე ახალგაზრდობა შეკრებილა. სასულე ორკესტრი უკრავს ვალსს, წყვილ-წყვილი მოცეკვავენი ტრიალებენ, წრეს უვლიან და მსუბუქად ირხევიან.

წყვილების ტრიალში გამოიქროლებს დია, ღია ირისისფერი მსუბუქი კაბა აცვია. მხრებზე დაყრილი ოქროსფერი კულულები თეთრი ძვლის სავარცხლით აუბნევია ყურებთან. წელზე დიდი, თეთრი ბანტი შეუკრავს გრძელი ჩაშვებული ბოლოებით. ლერწამივით ირხევა დიას წელი. გულ-მკერდი ოდნავ ამობურცვია. მაღალ შუბლზე შვენის წვრილი წარბები — თმაზე უფრო მუქი. მოცისფრო თვალებს გარს ევლებიან ხშირი წამწამები.

ახალგაზრდა კადეტი მიაფრენს დიას. მარჯვენა ხელით შორს დაუჭერია დიას წელი და გეგონებათ მიაცურებსო. მათ გვერდით მოქრიან გიმნაზიელი ქალიშვილები და ვაჟები. მერე სტუდენტები, მწვანეკანტიანი ლურჯი კიტელებით. ვაჟები და ქალიშვილები.

რა სწრაფად შეცვლია ფერი გურიის სამაზრო ქალაქს. გამქრალან დიდგვართა შთამომავალნი და წამოზრდილან მდაბიო ხალხის ნაშიერნი.

ზაფხულის არდადეგებია. მოსწავლე ახალგაზრდობას მო-

უყრია თავი ოზურგეთში. თბილისის პანსიონიდან ჩაშოსულან ყმაწვილები, ქუთაისიდან — სემინარიელები, პეტერბურგიდან — კადეტები, კიევისა და ხარკოვის უნივერსიტეტებიდან — სტუდენტები.

სიღარიბეში და სიღატაკეში გამოზრდილი ახალგაზრდები სხვა აზრით და შეგნებით დაბრუნებულან სამშობლოში. ხალხს უნდა ემსახურონ. ქვეყანას სინათლე მოჰფინონ. დღეს ყველას საქველმოქმედო საქმე დაუსახავს მიზნად. მათ შორის ერთი პირველთაგანია დია.

დღეს სეირნობის დასასრულს, სილამაზის ჯილდო დიას არგუნა ხალხმა. ახლა მოცეკვავე გიმნაზიელები არ ასვენებენ. ხან ერთი იწვევს საცეკვავოდ, ხან მეორე, ხან მესამე.

დია ყველასთან ერთნაირი ხალისით ცეკვავს.

გამოჩნდება დია და მახარეს თვალში გაიელვებს მისი ირისისფერი კაბა და თეთრი სპეტაკი სახის პროფილი.

■ ■

მახარეს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა დიასთან შეხვედრა, ინტიმურ გრძნობებზე საუბარი უფრო შეუძლებლად მიაჩნდა. მახარემ გაიგო: დია უკვე გურიის მოწინავე გლეხობას და ახალგაზრდობას მიმხრობოდა და მათთან შეეკრა მეგობრული კავშირი. ერთად მიეღოთ მეგობრული ფიცი, რომ საერთო საქმეს არ უღალატებდნენ.

ამ დღეებში სწორედ მოწინავე გლეხების და ახალგაზრდობის კრება იყო მოწვეული. მახარეს მოხსენება უნდა გაეკეთებინა. ბათუმის ორგანიზაციიდან ჰქონდა დავალებული. უთხრეს, კრებას დიაც დაესწრებაო. ეს შეხვედრა სამუდამოდ ჩააქრობდა დიას გულში მახარესადმი სიყვარულის იმ პაწია ნაპერწკალს, რომელიც ბავშვობიდანვე აკრთობდა დიას. ბათუმის ორგანიზაცია სასიკვდილო განაჩენის ქვეშ აყენებდა გურიელის ჯაშუშებს. მათ შორის დიას მამასაც. ეს ამბავი ზარდამცემი იქნებოდა დიასთვის. მახარე სწუხდა: ბათუმის კომიტეტის სახელით სასტიკი განაჩენი უნდა გამოეტანა როსტომ ვაშალომიძისათვის. ბათუმის კომიტეტი უზიარებდა მის გადაწყვეტილებას გურიის მოწინავე ადამიანებს, რადგან

ვაშალომიძე გურიის მცხოვრები იყო. სხვანაირად არ შეეძლო. ყველამ იცოდა, როსტომი გურიელის ოფიციალური ჯაშუში იყო. ის ფიქრები, რომლითაც წინათ სუნთქავდა მახარე,—ვითომ დია უარყოფდა მამას და საერთო საქმეს უფრო მაღლა დააყენებდა, ახლა ზღაპრად ეჩვენებოდა. „დია ვერ დასთმობს მამას... ამხანაგებს ვერ უღალატებს... მაშ როგორ მოიქცევა?“ მთელი ღამე გაათენა ამ ფიქრში მახარემ.

„სულო, შხამი ჩადგა ჩვენს სიყვარულში...“ დაღონდა ვაჟკაცი. აწ დიას სახელი ვეღარ გაუნათებს სავალ გზას.

მახარეს ცრემლი მოერია. ეგონა უეცრად ჩამოინგრა ის საფეხურები, რომელზედაც მახარე ადიოდა, და ზევით დარჩა ოცნება ისევ ლამაზი და მიუწვდომელი.

„ახ, რა ყოფილა ეგ ცხოვრება, ზღვის გულივით დაუნდობელი. ეძებ ბედნიერებას და იგი შორს მიიწევს“.

—

მ ო ი დ ა ნ ა ხ ე

ოზურგეთში ყველა უბანზე უფრო მიყრუებული უბანი იყო მაშინ მოიდანახე. მე დავინტერესდი, მინდოდა გამეგო რატომ ჰქვია ამ ადგილს „მოიდანახე“, მაგრამ დღემდის გაუგებარი დარჩა ის ჩემთვის. იქ სანახავი არაფერი იყო, გარდა მაღალი ხეებისა და ტალახიანი ქუჩებისა. მაინც მიყვარდა პატარაობისას მოიდანახეზე არბენა. თვალწინ გაიშლებოდა ბორცვნარზე გაშენებული პატარა სოფელი, ლამაზი ბაღჩებით და ფიცრული ოდებით. ხოლო სოფელს გადმოღმა ფერდობები დაფარული იყო გვიმრით, სადაც ახლა ჩაის ბუჩქებია აბიბინებული.

ორი რამ მაკავშირებდა ამ უბანთან: ერთი ის, რომ მამიდაჩემი ცხოვრობდა იქ, მოხუცი დედაკაცი, რომელსაც მუდამ ჰქონდა ჩემთვის შენახული ჩურჩხელები და თხილი. მეორეც, ეს გვიმრით დაფარული ფერდობები სავსე იყო მარწყვით. მაგრამ რამდენადაც მიყვარდა ეს უბანი, იმდენად შიშს მგვრიდა იქ მისვლა. შუა მოიდანახეზე იდგა ერთი ყრუ სახლი — ისლით დახურული. ეზო, მოშენებული ხეებით და ხეხილებით, ბალახბულახებით გაქსუებული და მოუვლელი

მოჩანდა. სახლს ალენჯა შემოჰკვროდა გარშემო. ისლი ალაგ-ალაგ აეგლიჯა ქარს. ბეღელზე ყავარი ჩამომპალიყო. ნალიას ორი ბოძი გამონგრეოდა და გადმოყირავებული ეგდო მიწაზე. სანამ მამიდაჩემთან მივიდოდი, უთუოდ ამ გაპარტახებულ ეზოსთან უნდა გამევლო. საშინელი ფიქრი შემიპყრობდა.

— სად არიან, მამიდა, ამ ეზოს და სახლის პატრონები?— ვკითხე ერთხელ მამიდაჩემს.

— აღარავინ დარჩა, შვილო, საშინელმა სენმა ამოწყვიტა მთელი ოჯახი, — მიპასუხა მამიდამ და თან ოხვრით დაუმატა,—ალბათ, ხატზე იყვნენ გადაცემულიო.

— მერე ასე უნდა იყოს ეს სახლკარი მიტოვებული?

— თექვსმეტი წელიწადია ასეა. ხველებით დაიხოცნენ უბედურ დღეს გაჩენილები. ვინ გაბედავს იქ მისვლას. ღამით მხოლოდ ჭინკები მიდიან და ქვებს ურახუნებენ კედლებს. ჩქარა წამოდი, შვილო, აქ არასოდეს არ გაჩერდე, — მითხრა და სწრაფად გამაქანა შინისაკენ.

მარწყვის საკრეფად უთუოდ მამიდაჩემი უნდა წამყოლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოიდანახეს ბავშვები ძალიან კარგად მეპყრობოდნენ, უმამიდაჩემოდ მაინც ვერ ვბედავდი წასვლას. სადაც მარწყვი იყო ასე ტკბილი და მიმზიდველი, იმ ფერდობების დაბლა ყელამდე გვიმნარში ჯარისკაცთა სასაფლაო იყო. თეთრად შეღებილი ხის მაღალი ჯვრები მოჩანდნენ შორიდან. აქა-იქ მხვდებოდა ამოთხრილი საფლავები. შიში ამიტანდა. მეგონა: სასაფლაოზე ტურები რომ ყმუოდნენ ღამით, ისინი თხრიდნენ მიცვალებულებს. მაგრამ მამიდაჩემმა დამამშვიდა:

— შვილო, ლაზარეთში რომ ჯარისკაცები კვდებიან, ჭირისუფალს არა აქვთ უფლება თავის სახლში წაასვენონ. აქ ასაფლავებენ. აფხაზები და მეგრელები ჯიუტი ხასიათის არიან. ჩვეულებად აქვთ ეს წესი: თავიანთ მიცვალებულს სხვაგან არ დატოვებენ. მოკვდებიან, სანამ შინ არ წაასვენებენ. ღამით მოვლენ იმსიშორედან, ამოთხრიან თავიანთ მიცვალებულს და მიასვენებენ თავიანთ ქვეყანაში. ცარიელ კუბოს

აქ ტოვებენ. იქ, სადაც ჯვრებია ამართული, უპატრონო ჯარისკაცები არიან დასაფლავებულნი. რუსებია, სადაური ვინ იცის!

მარწყვით სავსე ჩალის კალათებთან ერთად, გულით მომქონდა შიში და საოცარი ამბები.

ახლა, მატარებლიდან რომ გავხედავ ციტრუსებით აყვავებულ მოიდანახეს, მომაგონდება ბავშვობა და, რაც უფრო მთავარია, 1902 წელი, როცა დიას ტოლა ვიყავი.

მომაგონდება მოიდანახეზე ის გრძელი პარმაღიანი სახლი, ხეთა ჩრდილებიდან რომ გადმოყურებდა ნატანების ქუჩას, რომელიც 1906 წლის დასაწყისს კრილოვის ჯარმა გადასწვა. მე მაინც მგონია ისევ იქ დგას ის სახლი, სადაც აფთონი ცხოვრობდა, ულვაშ-აწკეპილი ახალგაზრდა რევოლუციონერი გლეხი.

გურიის სამაზრო ქალაქის ბაღში, მუხის ქვეშ, როცა მახარემ იმღერა „ჰიმნი სიყვარულისა",— სწორედ მეორე ღამეს აფთონის სახლში მოწვეული იყო. მოწინავე ახალგაზრდების კრება რევოლუციონერ გლეხებთან ერთად. ხმა დადიოდა, მომხსენებელი ბათუმის კომიტეტიდან გუშინ ჩამოვიდაო.

დია ადრე მივიდა აფთონისას. ჯერ კიდევ ღამის ბინდი არ მოჰკიდებოდა მოიდანახეს.

აფთონის დედა ელისაბედი სამზარეულოს დერეფანში ვახშამს ამზადებდა. დია რომ დაინახა ოდის კიბეზე ამავალი, სიცილით მიაძახა:

— აბრძანდი, ქალიშვილო, სახლში, და თუ ამაღამ, ვინ იცის. ეშმაკს არ სძინავს, ჯაშუშები დაგვესხას თავს, ნუ იუკადრისებ, დედაშვილობას, თქვი, თითქო ნიშნობა გვაქვს გამართული, ტოლმეგობრები გვყვანან მოპატიჟებულნი-თქო.

ელისაბედის ხუმრობაზე დიამ გადაიკისკისა და გრძელი პარმაღი გაიარა. დაწნულ სავარძელში ჩაჯდა. სვეტებზე გაბმულ ვენახს მტევნები დაესხა და ლორთქო ფოთლებს ქარი აფუსფუსებდა.

— დილით აფთონი მერიაში წავიდა, — ბოდიში მოიხადა ელისაბედმა, რომ მარტო ტოვებდა სტუმარს. დიასაც ეს უნდოდა, გადაკეცილი წიგნი ეჭირა ხელში. ყდაზე „რენანი"

ეწერა. ეს წიგნი ერთმა სემინარიელმა მოუტანა დღეს და უმტკიცებდა, ქრისტეს იქით არაფერი არ არისო.

დია წიგნს ჩასცქეროდა, მაგრამ დღის სინათლე ჩაიბინდა. მთვარემ მიანათა თვალებში.

ვარსკვლავების მსგავსად დაჩითული სპარსული ქისეის კაბა ეცვა, გულამოღებული და ქალიშვილი უფრო სათნო და მშვენიერი მოჩანდა მთვარის ვერცხლისფერ შუქზე.

„ნუთუ სულიც ასეთი მშვენიერი აქვს?“ გაიფიქრა მახარემ და მოკრძალებით შემოდგა კიბეზე ფეხი. მახარე კარგა ხანს უცქეროდა მთვარეზე თვალმიპყრობილ დიას. ქრისტეს იქით არაფერიაო... ჩურჩულებდა დია შორეულ ოცნებაში გადაკარგული.

— ღმერთო, სახიერო, მე არ მინდა მიწის ჭია ვიყო, — წარმოთქვა ბაგეების თრთოლვით დიამ და შეკრთა, მოიხედა: მახარე უახლოვდებოდა ნელი ნაბიჯით.

— სალამი, დია!

— მახარე?!.— წამოიძახა დიამ. იცნო ბავშვობის მეგობარი. გული აუფეთქდა. უხერხულად წამოიწია სავარძლიდან, უნდოდა გადახვეოდა, უსაზღვრო სიხარული გამოეხატა, მაგრამ ქალწულის მორცხვი გრძნობა წინ აღუდგა სურვილს. მახარეს დიას ფაფუკი ხელი შერჩა ხელში. კარგა ხანს შესცქეროდნენ ერთმანეთს უსიტყვოდ. მერე უცებ მიბრუნდა მახარე, მრგვალი მაგიდის იქით მდგარ დაწნულ სავარძელში ჩაჯდა. ქუდი არ ეხურა. დღეს მაკას მოქსოვილი ჩალისფერი დარაიის ხალათი ჩაეცვა ლურჯი ხალათის მაგიერ. დია გაყუჩებული უცქეროდა. ვერ ახერხებდა საუბარს, მახარესაგან ელოდა პირველ სიტყვას. მახარემ შუბლზე ხელი გადაისვა. ეტყობოდა, მასაც ეძნელებოდა პირველად გამოსაუბრება. ბოლოს, მაინც დაარღვია დუმილი.

— მგონი შევრიგდით, დია, არა?

— ახლა ხომ ბავშვები არა ვართ?—თქვა დიამ ღიმილიდ

— მით უკეთესი, თუ ბავშვები არა ვართ.

— სულ შევრიგდეთ, თუ ცოტა ხნით?—ჰკითხა დიამ და თვალებში შეხედა.

— ეს თქვენზეა დამოკიდებული.

„თქვენობით შორეულ ადამიანს ელაპარაკებიან. ნუთუ მახარე ასე შორეული გახდა ჩემთვის?“—გაიფიქრა დიამ.

— მიხარია, დია, რომ ჩვენი საერთო ოჯახის წევრი გამხდარხართ. ხალხის თავისუფლება, სამშობლოს თავისუფლება დაგისახავთ მიზნად.

— პირველ ყოვლისა — თანასწორობა! —მტკიცედ წარმოთქვა დიამ.

— რა თქმა უნდა, თანასწორობაც! მხოლოდ, უნდა იცოდეთ, ბევრი უსიამოვნება შეგხვდებათ ამ გზაზე. გულწრფელად უნდა გწამდეთ ის, რასაც ემსახურებით.

— გულწრფელად მწამს და ვემსახურები ჩვენს საქმეს. თუ საჭირო იქნება, არც ციხეს და ტყვიას შევუშინდები.

— მაშ შესაძლოა თუ არა მშობლებზე მაღლა საქვეყნო საქმე დავაყენოთ?

— ეს ასე მოხდება, ალბათ. ცოტა რამ წამიკითხავს ისტორიიდან, საუკეთესო დედები შვილებს ქვეყნის საქმეს სწირავდნენ.

მახარე დიას ნათელ თვალებში ჩააცქერდა და დაბეჯითებით თქვა:

— შეიძლება პირიქით მოხდეს, ამხანაგო დია, შეიძლება ახლა შვილებმა გასწირონ უღირსი მშობლები. ხალხის სიმართლეს ვერავინ დაუდგება წინ.

მახარემ მაჯის საათს დახედა. ცოტაღა აკლდა ამხანაგების შეკრებას.

ღელავდა მახარე, გაემხილა თუ არა დიასათვის ამდენი ხნის ნაურვები სიყვარული? თუ ამას კრების დაწყებამდე ვერ მოახერხებდა, მერე მახარეს სიკვდილამდე დარჩებოდა გულში უთქმელი ძვირფასი გრძნობა.

„არა, ან ახლა, ან არასოდეს“.

დია დუმდა. ასე ცივად შეხვედრას არ მოელოდა მახარესაგან. ქალიშვილი არ იყო საცნაურს, რა ხდებოდა მახარეს გულში.

მახარე წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და უკან. მერე დიას მიუახლოვდა.

— დია, ჩემო ძვირფასო, ადამიანმა თავისი გულის ნაგრძნობი და ნაფიქრი ერთხელ მაინც უნდა თქვას.

— უსათუოდ...—ბაგის თრთოლვით უპასუხა დიამ და სახეზე ყაყაჩოსფერი აეკრა.

— იმ დღიდან, რაც ჩვენ დავშორდით ერთმანეთს თქვენს სათიბში, შენი სახელი მიმიძღვის წინ,—ძველებურად შენობით მიმართა ისევ მახარემ, — და ახლა შენამდე მოვიტანე ბავშვური ფაქიზი გულით შენი წმიდა სიყვარული. მე მგონია გამიგებ.

დიამ თავი ჩაღუნა:

— დიახ...—ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა.

— მერე? რას ამბობს შენი გული? არა, შებრალებას არ გთხოვ... არც მოწყალებას გთხოვ... ხელს გთხოვ, მეგობრულ ხელს.

— უნდა გამოვტყდე, — მორცხვად დაიწყო დიამ,—მეც ბევრი ღამე გამიტეხია შენზე ფიქრით, მოველოდი შენს ნახვას... მიყვარხარ, როგორც მაშინ მიყვარდი.

— დია!—აღფრთოვანებით შესძახა მახარემ.

დიამ უსიტყვოდ გაუშვირა ხელი, მაგრამ გაოცდა: მახარემ უეცრად დაიწია უკან და ტანჯვით წარმოთქვა:

— არა, დღეს არა, არა, დია, ხვალ გადავწყვიტოთ, ზეგ... მაზეგ...

დია აღელვებული წამოდგა. ვაზის ყლორტიდან ერთი ფოთოლი მოწყვიტა და უნებლიედ დაუწყო სრესა.

„რატომ ხვალ... ზეგ... მაზეგ?!“

ცახცახებდა დია. მხრებზე მახარეს ხელს გრძნობდა... ბაგეზე მახარეს ბაგის სიტკბო ეღვრებოდა... „რატომ ხვალ... ზეგ... მაზეგ?!“

მახარე ჩაქედილივით ზის სავარძელში.

კრება და მოხსენება უტრიალებს თავში.

„რას გადასწყვეტს დია? მამაზე აიღებს ხელს?“

აფთონის დედამ ელისაბედმა სინათლე აანთო სასტუმრო ოთახში და სტუმრები შეიპატიჟა.

* *

ოცამდე კაცი შეიკრიბა აფთონის სახლში. მათ შორის იყო ორი ქალი,—დია და ბაბი გურგენიძე, დაბალი, ჩამკვრივე-

ბული გოგო. ბაბი დაბა სუფსის ორკლასიანი სკოლის მასწავლებელი იყო. ბაბის არასასიამოვნოდ მოხვდა თვალში დიას სახე. არ მოელოდა კრებაზე ჯაშუშის ქალიშვილს..

— მერე რა არის გასაოცარი?—ჩააჩუმა მირიანმა ბაბი,— რწმენის საქმე არ არის?

ბაბი გაუჩდა. მხოლოდ დიასთან ახლოს არ დაჯდა, თავი არ გაუყადრა. ზედობნელებთან მისწია სკამი. ხრიალეთელ ლუკა მეგრელიძეს მიესალმა, სეფე მოიკითხა.

მირიანი მახარესთან დაჯდა. მახარემ ერმილე მოაგონა მირიანს. პეტერბურგს უნდა წავიდეო, ირკუტსკიდან ერმილეს გადმოყვანა უნდა მოვახერხო, თბილი ჰავა არისო ასტრახანში. მირიანს გულზე მოეფონა ძმაზე მზრუნველობა. თავის მხრითაც შეჰპირდა დახმარებას. ამ დროს აფთონი დაბრუნდა მერიიდან. მას ორი ახალგაზრდა მოჰყვა—მხარბეჭგაშლილი ვაჟკაცები. ერთი ჩოხატაურის რაიონიდან იყო, მეორე ვაკიჯვრიდან.

ხიდისთავიდან ვარლამი ჩამოვიდა. ვარლამს ჩია ინტელიგენტს ეძახდნენ ამხანაგები. მას მუდამ ორჭოფი ლაპარაკი უყვარდა, მიკიბულ-მოკიბული, არც „ჰო“, არც „არა“.

კრების მდივანი, კიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ბიქტორი, „სრფისტს“ ეძახდა ვარლამს. მსოფლმხედველობით დუალისტური მიმართულების იყო, არც „ცისიერი“, არც „მიწიერი“.

კრების თავმჯდომარედ ექიმი ბესარიონი აირჩიეს.

დია გრძელი ტახტის კუთხეში იჯდა ფანჯარასთან. გადაშლილ წიგნში ფანქრით რაღაცას ხაზავდა.

— ამხანაგებო,—დაიწყო თავმჯდომარემ, — დღევანდელი კრება მოწვეულია ჯაშუშების საპასუხოდ. სიტყვა მოხსენებისათვის ეკუთვნის ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელს. მაგრამ, სანამ მოხსენებას დავიწყებდეთ, მოვისმინოთ გუშინ ჩატარებული სეირნობის ანგარიში და სხვა წვრილმანი.

ბიქტორმა წინადღით გამართული სეირნობის ანგარიში წაიკითხა:

—სეირნობიდან შემოსული თანხა, ამხანაგებო, რაც ჩვენ ვიღაც არარსებული სტუდენტის სახელით შევაგროვეთ, სას-

წრაფოდ უნდა გადაეგზავნოს გადასახლებულ ამხანაგებს. ამ სეირნობის მოწყობაში დიდი შრომა გასწია დიამ. ამხანაგი დია ამ დღეებში კიდევ აწყობს წარმოდგენას დაბა ლანჩხუთში.

— დიდად სასიხარულოა, — დაიძახა კუთხიდან პაპუნამ,— ნეტა ასეთი ქალიშვილები კიდევ შეგვემატებოდეს პარტიაში. მაგრამ არ შეიძლება ვთხოვოთ დიას, ერთი წარმოდგენა აკეთში გაგვიმართოს? ჩვენც დავეხმარებით. კაი იქნებოდა, ი არსენა რომ არის, ოძელაშვილი, იმას რომ წარმოადგენდნენ.

—კაია მე და ჩემმა ღმერთმა!—გაეხუმრა ვაკიჯვრელი ახალგაზრდა აკეთელ გლეხს და ულვაშის გრეხით გადახედა დიას. — ვაკიჯვარშიც შეიძლება, ქალიშვილო, ერთი წარმოდგენის დადგმა. მოაგარაკენი ბლომად იქნებიან წელს.

პაპუნა, აკეთელი გლეხი, ყურებთან თმაშეევრცხლილი, ყველაზე ხნიერი მოჩანდა ამხანაგებში. დიასთან იჯდა ახლოს. დიამ თანაგრძნობით დაუქნია თავი პაპუნას და სიტყვა ითხოვა:

— ამხანაგებო, მე უკვე შედგენილი მაქვს პლანი.

—გეგმა...—გაუსწორა ბესარიონმა სიტყვა დიას.

— დიახ, გეგმა. ამ ზაფხულს ვფიქრობ მოვაწყო წარმოდგენები ლანჩხუთში, აკეთში, ჩოხატაურში, ვაკიჯვარში და ერთიც ისევ ოზურგეთში. ნებართვას ბიბლიოთეკის სახელით ვახერხებ.

ბაბი, რომელიც შურით უცქეროდა დიას, წამოდგა, სიტყვა არ უთხოვია, ისე განაცხადა:

— ამხანაგებო, ამ დღეებში სუფსაში ვაწყობ წარმოდგენა „და-ძმას“, ვფიქრობ კარგი შემოსავალი გვექნება.

— კეთილი და პატიოსანი. როგორც ჩანს, ფული გვექნება,—მხიარული ხორხოცით თქვა ბესარიონმა.

— კიდევ აქვს ვინმეს განცხადება?

— მე მაქვს, ამხანაგო ბესარიონ,—წამოდგა მირიანი, — კაცო, ყანების დათესვა დაგვიანდა. ცხადია, გურიელის მიწაზე არ ჩავა ხალხი, მაგრამ ნაკაშიძის მამულში ზოგიერთებმა დაიწყეს თესვა. ნაკაშიძის მოურავი, გაიძვერა ჭაპანაძე, სამეათედოდ მორიგებია მეყანეებს. ან ყველას უნდა მიეცეს ნება თესვის, ან ყველა უნდა დავითხოვოთ.

— ამხანაგებო, გადავდოთ ეს საკითხი, გავიგოთ რა აზრის არის ბათუმის კომიტეტი და მერე ვიმსჯელოთ, მოვისმინოთ ჯერ მოხსენება, — წინადადება შემოიტანა კრების მდივანმა ბიქტორმა.

— მოვისმინოთ!—გაისმა ხმები.

სანამ მახარე მოხსენებას დაიწყებდა, კუთხეებში რაღაც ფარული ჩურჩული გაისმა. ბაბი გურგენიძემ დია აივანზე გაიხმო და მკვახედ უთხრა:

— ხომ იცი, დღეს მამაშენზეა ლაპარაკი. არ გირჩევნია კრება დასტოვო?

დიას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ეს გაიფიქრა: რამდენიც მიწის ზევით ხარ, იმდენი მიწაშიო, და დარბაზში შებრუნდა.

ახალგაზრდებს თვალი აარიდა და მოხუც პაპუნას გვერდით ჩამოჯდა.

დიას გაკვრით კიდეც ესმოდა მამის შესახებ არასასიამოვნო ამბები. თებრონესაგანაც ხშირად გაუგონია: ლევან გურიელმა გამიციაო ოჯახი.

მაგრამ რა ექნა, მამა ისე უყვარდა, რომ მის წყენას ერიდებოდა. თანაც ძალიან იშვიათად ხედავდა მას.

დიამ არ იცოდა მომხსენებელი რას იტყოდა და წინასწარ ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო. მხოლოდ ერთი რამ კი უცვლელად ჩასჭედოდა თავში. ეს იყო „ხალხის სიმართლე", რომელმაც დიას ფაქიზი სული ახალგაზრდობის მოძრაობასთან შეაკავშირა.

მახარემ მოხსენება დაამთავრა.

ყველაფერი გარკვევით იყო მოხსენებაში ნათქვამი.

ბიქტორმა წინადადება შემოიტანა:

„არ დაითესოს გურიელის მიწა, ვინაიდან გურიელი აშკარა მტერია ხალხის".

„დაითესოს ნაკაშიძის მიწა, მხოლოდ ნაკაშიძე გაძევებული იქნეს გურიიდან, როგორც ჯაშუში".

„ნაკაშიძეს მოურავს, ჭაპანაძეს, გამოეცხადოს გაფრთხილება „ზალპით".

„მოიხმარონ გლეხებმა ტყეები თავისი საჭიროებისათვის. ტყისმცველებმა არ გაბედონ ხმის დაძრა".

„დაენიშნოს სასჯელი — სიკვდილით, გურიელის ჯაშუშს როსტომ ვაშალომიძეს, ბათუმის მუშების აწიოკებისათვის“.

საერთო დუმილი ჩამოვარდა. ყველამ დიას გახედა ცალი თვალით. დია თავის ფეხებს დასცქეროდა გაფითრებული, ქვასავით ცივი და უძრავი.

მახარე კოპებშეკრული იჯდა, მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებში ჩაერგო თავი.

დუმილი პაპუნამ დაარღვია. პაპუნა მშობლიური გულისყურით იზიარებდა დიას მდგომარეობას.

— ამხანაგებო, ყველაფერი მისაღებია, რაც მომხსენებელმა ბრძანა. ბათუმის კომიტეტის დადგენილება ჩვენთვის უდავოა, მარა...

— მარა... რა... დააბოლოვე, პაპუნა, შენებურად, გულახდილად!—დაუძახა მეორე კუთხიდან ვიღაცამ.

— დიდი ჯარაფერი, ამხანაგებო, — ჩამოისვა წვერზე ხელი პაპუნამ, — უკანასკნელ წინადადებაზე მოგახსენებდით, იქნებ ნაწილობრივ შევამსუბუქოთ სასჯელი-მეთქი.

— გლეხური გულკეთილობა გალაპარაკებს, ალბათ, პაპუნა, — უთხრა პაპუნას ბესარიონმა. ბესარიონს სახე დაღრეჯოდა. ხშირად გასცქეროდა კუთხეში თავდახრილ დიას. თავმჯდომარის თვალი კრების სხვა წევრებსაც არ ტოვებდა დაუზვერავად. არავის სურდა ჯაშუშის დამცველად გამოსვლა. მირიანი არწივის მძაფრი თვალით დასტრიალებდა ამხანაგებს. ძმის მოღალატის სისხლი სწყუროდა.

— ამხანაგებო, — თქვა დაბალი ხმით თავმჯდომარემ, — ვინ არის უკანასკნელი წინადადების მომხრე?

მდივანმა ხმები დათვალა. დია ისევ თავჩაქინდრული იჯდა. ვარლამს მუხლებზე დაეწყო ხელები.

— წინააღმდეგი ვინ არის?

— არავინ,—გასაგონად თქვა მდივანმა.

— თავი ვინ შეიკავა?

ისევ მოავლო თვალი ბესარიონმა კრებას. ვარლამს აეშვირა ერთი თითი ზევით.

მახარემ ირიბად გახედა დიას. დია რაღაცნაირად იშმუშნებოდა, ხან მუხლებს ჩააფრინდებოდა ხელისგულით, ხან თი-

თებს იმტვრევდა, ხან შუბლს ისრესდა ისე მაგრად, რომ მახარეს საოცარმა ფიქრმა გაუელვა: „საზიზღარი მამის აჩრდილს იგერიებსო თვალიდან“.

— თავს იჭერს „ცისიერი-მიწიერი“, — გაიხუმრა ბიქტორმა. კუთხეებში გაისმა ხარხარი.

— ამხანაგო თავმჯდომარე! — წამოდგა ხრიალეთელი ლუკა მეგრელიძე, — მე პროტესტს ვაცხადებ: ჩვენ, ამხანაგებო, მოწმეები არ გვჭირდება. ჩვენ ვიკრიბებით ჩვენი მტკივნეული საკითხების გადასაწყვეტად. დღეს პირველი არ არის, არც მეორე, არც მეათე... ამხანაგი ვარლამი ყოველთვის თავს იკავებს. რა თქმა უნდა, ეს მისი შეგნების საქმეა, მაგრამ თუ ყველა საკითხზე თავი შევიკავეთ — რა გამოვა. შეიძლება არ ეთანხმებით, უნდა თქვათ თქვენი მოსაზრებანი. მადლობა ღმერთს, ლაპარაკი კარგად გეხერხებათ, ამხანაგო ვარლამ.

კრებამ სამართლიანად მიიღო ლუკა მეგრელიძის შენიშვნა.

— ყველაფერზე თავშეკავება, ამხანაგებო, არარაობას უდრის.—განმარტა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლავროსიმ.

შემდეგ თავმჯდომარემ მოულოდნელად განაცხადა:

— ამხანაგი დია თხოულობს სიტყვას.

ყველა დიას მიაშტერდა, ეგონათ დია ითხოვდა ჯაშუში მამის შეწყნარებას.

დია იდგა, მუხლები უკანკალებდა, სახე საოცრად დაგრძელებოდა, ბაგე უთრთოდა, თვალები მიბნედოდა. მახარეს მეტს თითქოს არავის ხედავდა. და ამ წამს ისე სძულდა მახარე, გაფიქრებაც არ შეეძლო, თუ ოდესმე უყვარდა იგი.

— პატივცემულო თავმჯდომარე, — თქვა დიამ და უფრო აუთრთოლდა ხმა, — იმ მოხსენების შემდეგ, რომელიც მოვისმინეთ ბათუმის კომიტეტის წარმომადგენლისაგან... — დიას ყელში რაღაც მოებჯინა, კისრის ძარღვები დაჭიმა, ერთხელ კიდევ დაიმტვრია თითები და უკანასკნელი სიტყვა ისე ბეჯითი ხმით წარმოთქვა, რომ ეჭვი არავის შეჰპარვია მისი სიტყვის სიწმინდეში, — მე ხმას ვუერთებ ამხანაგების გადაწყვეტილებას მამაჩემის შესახებ.

დია მამასთან

ოთახში ღამის სანათური ბუუტავს. შებოლილ შუშას ფარვანები ეხვევა. დიას თეთრი ზეწარი წაუფარებია და სძინავს. თებრონე წამოდგება პერანგის ამარა, დახედავს დიას და ისევ ჩაწვება ლოგინში.

დაბინდდა... მთვარეს არ დაუცადა... სიბნელეში მოდის... მახარე...

საზიზღარი... ზურგით კუბოს მოათრევს... მა-მა... მა-მა.... დაიკივლებს დია. თებრონე გულგახეთქილი წამოვარდება.

დია წამოჯდება ლოგინზე, თვალებს იფშვნეტს.

— რა დაგემართა, დია, ავადა ხარ?

— არა, არაფერი... საშინელი სიზმარი ვნახე. ღმერთო დამიფარე!

— რა გესიზმრა ასეთი, შეგაშინა ვინმემ?

— ნეტა როდის გათენდება?

თებრონე ფანჯარასთან მიდის, ფარდას გადასწევს.

— ალიონის ვარსკვლავი კაშკაშებს. ჩქარა გათენდება.

—ჩემოდანი გამიმზადე. დილით მამასთან უნდა წავიდე ბათუმში.

— ბათუმში წახვიდე? ხომ არ გინდა მამაშენი გადარიო. რამდენჯერ დამაბარა: ბათუმში არ ჩამოვიდესო დია.

— ცუდი სიზმრები მაქვს. უნდა შევეხვეწო მამას, ჩამოშორდეს ლევან გურიელს. გურიელი ქვეყანას სძულს. შინ დაბრუნდეს, სოფელში იცხოვროს. სხვებივით იშრომოს.

თებრონეს მუხლები მოეკვეთა.

— დია, ნუ მიმალავ, შენ რაღაც იცი მამაშენის შესახებ.

— მე... არაფერიც არ ვიცი... მე... არაფერი არ ვიცი... ეს ვიცი, რომ ქვეყანა იცვლება. გესმის? ნაკაშიძეს ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. ივანე ხუცესს არავინ ეკარება. ეკლესიაში ხალხი აღარ დადის. გურიელის მიწები გავერანებულია. მადლობელი ვიყოთ, გლეხები სალამს რომ იმეტებენ ჩვენთვის.

— რა ვქნა, რა დამიშავებია. წყაროს მედავებოდნენ და, ვაჩუქე სოფელს. ზეგანს ჩემი ხელით ვთოხნი. მეტი რაღა უნდათ!

— მამაჩემი უნდა მოვიყვანო შინ.

— წადი, გენაცვალოს ჩემი თავი. მარა, ვგრძნობ რაღაცას მიმალავ.

— არ გიმალავ...

— რა გესიზმრა მაინც?

— ნუ მკითხავ, მეშინია.

* *

როსტომი ახალუხის ღილ-კილოს იკრავდა ბატის ფრთით, როცა დია შევიდა ოთახში. როსტომმა ფრთა გააგდო, ქალიშვილს მიეგება კარებში და ჩემოდანი ჩამოართვა. მხრებზე ხელი მოხვია, სკამზე დასვა და შუბლზე აკოცა.

— მამა, ხომ არ ჯავრობ?

— რატომ, შვილო?—გაიღიმა როსტომმა.

— იმიტომ, რომ ჩამოვედი.

— არ მსიამოვნებს, მარა თუ საჭიროა... ან რა სასიამოვნოა ჩემს ოთახში სტუმრობა.

— მე ხომ სტუმარი არა ვარ, მამა?

— სტუმარი ხარ, მაშ!—გადიხარხარა როსტომმა.

— არა, მამა, სტუმარი არა ვარ. მინდა შენ მამა იყო ჩემი და მეგობარიც.

— კარგად გიფიქრია, შვილო.

— შეიძლება ცუდად...

როსტომმა წარბები მოღუშა.

— მართლა სტუმრად ჩამოვედი, მამა, ორი საათით.

დიამ ჩემოდანი გახსნა, ამოალაგა სანოვაგე: ხაჭაპურები, შემწვარი წიწილები და სანთლის არაყი. მაგიდაზე დააწყო, ოთახში მიმოიხედა.

როსტომს ჯერ ლოგინი არ გაესწორებინა. არც ფიქრობდა ოთახის დალაგებას. დიამ ფანჯარა გამოაღო.

ქუჩის პირას იყო როსტომის ოთახი. მცირე ნიავსაც საკმაო მტვერი შემოჰქონდა ფანჯრიდან. არ ესიამოვნა დიას,— ყველაფერს მტვრისფერი ედო ოთახში. მაგიდას ჭუჭყიანი სუფრა ეფარა. ფანჯრის ფარდებიც ჭუჭყიანი იყო.

სოფელში უფრო სუფთად და ლამაზად ჰქონდა თებრონეს დალაგებული როსტომის ოთახი. სასთუმალთან ლევან გურიელის სურათი მიეკრა როსტომს თავისი ხელით. მეორე კედელზე პირდაპირ, კონსტანტინე დადეშქელიანის დიდი სურათი ეკიდა, ფანქრით დახატული, ქუთაისელი მეწვრილმანე ებრაელიდან ეყიდა თებრონეს ეს სურათი, მოსწონებოდა. კარგი ვაჟკაცი იყო. თმა შავი კრაველის ბეწვივით დახუჭუჭებული ეყარა შუბლზე. ხშირად უცქეროდა დია კონსტანტინე დადეშქელიანის პორტრეტს, მხატვარს ქართველი რაინდის სული ჩაედგა სურათისათვის. როსტომსაც მოსწონდა ეს სურათი ვაჟკაცური მხარგაშლილობით.

— მამა, შენი ოთახი სოფელში უფრო ლამაზია.

— ლამაზია და მოსაწყენი.

როსტომმა ბარკალი ააგლიჯა ქათამს და დიას დაუდო თეფშზე.

— დია, რა გიყვარს ქათმის?

დიამ გაიცინა. მოაგონდა, როგორ უპასუხებდა მამას ამ კითხვაზე ბავშვობისას.

— ჰო, მიპასუხე წინანდებურად, ბავშვურად!

დია ცდილობს ასიამოვნოს მამას და ბოლოს ნელ-ნელა შეაპაროს სათქმელი.

— ლა მიყვალს, მამა? კულტუმ-მკელდი, მხალ-ბალკალი.

— ჰა, ჰა, ჰაi..—ხარხარებს როსტომი.

კისკისებს დია. ჰაგრამ... უეცრად თითქოს გული ყელში მოებჯინაო—ენას ვეღარ მოიბრუნებს და საშინელი ტირილი წასკდება ერთბაშად.

— მე ყველაფერი ვიცი... და მიკვირს რად გჭირია ამდენი ცრემლი, როდესაც ერთი მართალი სიტყვა არ მოგეპოვება მამაშენისათვის. სულერთია, დია, საიდუმლოს ცრემლი ამჟღავნებს. ჯობს აღიარო ყველაფერი. მამა ვარ შენი. შეცდომებს გაპატიებ. ალბათ, მშობლიურმა გრძნობამ ჩამოგიყვანა ჩემთან. მესმის... საბრალოვ, შენ ეგეც არ იცი, რომ ყოველ ჩირგვში კურდღლის მაგიერ ჩვენი შიკრიკი ზის, რომელსაც შენი ამხანაგები ჯაშუშს ეძახიან. იცოდე, ოქრო ყველაფერზე ძლიერია. ოქრო ჯოჯოხეთს გაანათებს.

— მაგრამ მზეს ვერ დააბნელებს. ხალხის სიმართლეც, შამა, მზეს ჰგავს, ხალხის შეგნებაში ამობრწყინებული. მამა, ჩემო მამა, წავიდეთ სოფელში ხალხთან, ვიშრომოთ პატიოსნად და ვიცხოვროთ. მამა, ერთ წუთსაც არ მოგაწყენ. მუდამ შენთან ვიქნები. მამა, ლევან გურიელი ქვეყანას სძულს. ჩამოეთხოვე ლევანს, თუ შვილი გიყვარს. წავიდეთ შინ. ჩვენც ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის, თანასწორობისათვის, სამართლიანობისათვის.

— დია, ჩვენი გზა არ შეერთდება. შენი ოცნება ბავშვურია. თავისუფლება, თანასწორობა, ჩირიკა ხალხის მოჭორილი ამბავია. არასოდეს არ გამართლდება. დაიღუპები, შვილო, შენ არ შეიბრალე მამა, შენმა სინდისმა იცოდეს... მე მაინც მებრალები!..

— არ მესმის...—თქვა დიამ და თავი დახარა, თვალი აარიდა მამას.

— სხვანაირად არც შეგეძლო,—განაგრძო მიტოვებული სიტყვა როსტომმა,—არ გამტყუნებ...

— მამა...—სასოწარკვეთილად დაიყვირა დიამ.

როსტომმა საათი ამოიღო გულის ჯიბიდან, დახედა.

— ჩქარა მატარებელი გავა. გაგვიანდება. მე სიტყვა მივეცი გურიელს სიკვდილამდე მისი ერთგული ვიყო.

* *

მახარე ამაოდ ელოდა დიას ნახვას, ყოველ საღამოს ჩაივლიდა დიას ოთახის წინ ქალაქის ბაღის გვერდით. დიდხანს იდგა ფანჯარასთან მღელვარე. უნდოდა ერთხელ კიდევ შეევლო თვალი დიასთვის, ეთქვა: მახარე არავის არ შეიყვარებს თავის დღეში. სიკვდილამდე დია იქნება მახარეს ოცნება, გზის მანათობელი, რომ დიას სპეტაკი სული ზღაპრული სილამაზით წაუძღვება წინ, სანამ მზე არ დაუბნელდება მახარეს თვალებს.

ოცნებობდა მახარე, მაგრამ დია არ ჩანდა ნათლიდედის ბინაზე. სოფელში წავიდაო, უთხრეს.

კლუბში შეიარა მახარემ. ახალგაზრდები წარმოდგენი-

ნათვის ემზადებოდნენ. დიას ჩამოსვლას უცდიდნენ. როლები გადაეწერათ. არსენას როლს ვაკიჯვრელი მასწავლებელი თამაშობდა. ნინოს როლი დიასთვის შემოენახათ.

კლუბის გამგემ სამსონმა ანთებული ლამპა შემოიტანა. ლამდებოდა. მახარე დაინახა. გაუხარდა სამსონს. ორი დღეა ექიმი ბესარიონი დაგეძებსო, უთხრა. მახარე იმ წამსვე წავიდა ბესარიონთან. წერილი დახვდა დაბეჭდილი. ბათუმის კომიტეტში იბარებდნენ სასწრაფოდ.

მოულოდნელი ამბები

მახარე ბათუმს არ მოშორებია. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ერთი კვირით წავიდა გურიაში. გურიის საქმეები მიმოიხილა და ისევ დაბრუნდა ფარულად. უკანასკნელად ბათუმის კომიტეტის დავალებით იყო გურიაში წასული. არ იცოდა რად იწვევდნენ უკან. ღელავდა მახარე. ცხრა საათის შატარებელს ჩამოჰყვა. საბარგო სადგურზე ჩამოხტა და კრებაზე გაეშურა. სწორედ მორიგი კრების დღე იყო. ბინის პატრონი ისიდორე მოღუშული შეხვდა მახარეს. ეუცხოვა. სხვა დროს ასეთი შეხვედრა არ იცოდა ისიდორემ. „რა მოხდა?“

ნინიძე ხელმძღვანელობდა კრებას. გოგილო ყურებჩამოყრილი იჯდა. ბიძია ტრიფონს დანა პირს არ უღებდა. მაგდას წარბები მოეხარა.

— რა ამბავია, ამხანაგებო, რამ დაგაძმარათ?—შესვლისთანავე იკითხა მახარემ.

— მოდი, კაცო, დაჯექი, რა დროს ძმარია!—წაიხუმრა ნინიძემ და თავის გვერდით გამოუწია სკამი.

მახარე დაჯდა. ტრიფონს შეხედა. ტრიფონმა თვალი აარიდა ყოფილ შეგირდს.

„რა მოხდა ნეტა?“

თავმჯდომარემ მშვიდად გადაფურცლა მაგიდაზე გაშლილი საქმის ქაღალდები და მახარეს აცნობა გურიიდან გამოწვევის მიზეზი.

— არასასიამოვნო წერილი მივიღეთ ერმილესაგან,

მახარე შეკრთა. ავად იქნებაო, გაიფიქრა და ყური მიუგდო წერილის შინაარსს.

„ამხანაგებო, არ მჯერა, მახარე ამხანაგებს ღალატობდეს, მაგრამ რაკი გადასახლებაში მყოფ ამხანაგებში წარმოიშვა სამწუხარო ეპვი, საჭიროა გამოირკვეს. მე არ ვამტყუნებ ამ ეპვისთვის აქ მყოფ ამხანაგებს. მახარე შუაღამეზე გაქრა საკანიდან. ქუთაისში გვითხრეს გამგზავრების წინ, მახარე გურიაში ვნახეთო. „მაშ ცოცხალია?“ ეს მოულოდნელი ამბავი იყო ჩვენთვის. საბაბი ჰქონდათ ამხანაგებს ეფიქრათ კიდევ უფრო მეტი“.

მახარე გაფითრდა. დიდხანს იჯდა გაყუჩებული. ბოლოს ისევ მჭედელმა დაარღვია დუმილი.

— მახარე, ბიძია, — თქვა ტრიფონმა დაბალი ხმით და მტკიცედ,—დუმილის დრო არ არის. თავი უნდა იმართლო. მართლაც, რა მოხდა ისეთი, რომ შუაღამეზე გაგაპარეს საკანიდან და გაგათავისუფლეს? ჩვენ, თვითონ უნდა გამოგვერკვია ეს საქმე. ახლა პასუხს ვაგებთ...

მახარემ ხელი მოივლო ჯიბეზე. ნაფლეთი ქაღალდი ამოიღო გურიელის ხელმოწერილი.

— მე არაფერი არ ვიცი. გამომიყვანეს საკნიდან ჩუმად. მეგონა დასახვრეტად მივყავდი ჯალათს. მოულოდნელად ეს ბრძანება მომცეს ხელში და გამომაგდეს ეზოდან. თუ არ დამიჯერებთ. თქვენ თვითონ დაადგენთ მოღალატის სასჯელს.

მახარე წამოდგა, ის იყო ოთახიდან გასვლას აპირებდა, ისიდორე შემოეხეჩა წინ. ისიდორეს ტასი შემოჰყვა ოთახში—ნარმის ფერი დასდებოდა სახეზე. ამხანაგებს გაუკვირდათ. ტასის არ მოელოდნენ ამ კრებაზე. ტასი ჯერ კიდევ პარტიის წევრად არ ითვლებოდა.

— არაფერია, ამხანაგებო, ისეთი, მაპატიეთ! — ნაძალადევად გაიღიმა ტასიმ და წერილი პირდაპირ თავმჯდომარეს მისცა ხელში. მახარეს შეხედა და სწრაფად გაბრუნდა. კარში ისევ ისიდორემ გააცილა ტასი.

თავმჯდომარემ წერილი გახსნა.

მახარე იდგა წასასვლელად მომზადებული. უნდოდა გაეგო წერილის შინაარსი, მაგრამ უხერხულად გრძნობდა

თავს. ისევ წასვლა დააპირა. ამ დროს თავმჯდომარემ შეაჩერა:

— სად იჩქარი, ამხანაგო, წერილი შენ გეხება.

მახარე გაოცდა.

— მე?!

ყველანი სმენად გადაიქცნენ. ცხრა თვალი მოუთმენლად უმზერდა თავმჯდომარეს.

ბიძია ტრიფონმა ჩიბუხში თუთუნი ჩატენა, გულზე მოეშვა, რაღაც „მუხრუჭი" რომ უჭერდა, თითქო შეიცნო: წერილში მახარეს სიმართლე გამოჩნდებოდა.

— წერილი მეტად სერიოზულია,—განაცხადა თავმჯდომარემ.

„ამხანაგებო,—წერდა ტასი, — იყავით მართლმსაჯულნი. გთხოვთ გაათავისუფლოთ მახარე საზიზღარი ცილისწამებისაგან. ის სპეტაკია, ცამდი მართალი. მახარემ არაფერი არ იცის. მე გავათავისუფლე ის... მე... ორი მაისის ღამეს... მე გამოვისყიდე მახარეს სიცოცხლე... მახარე სპეტაკია... მშვიდობით, ამხანაგებო... სთხოვეთ ჩემს დას—მაგდას, მაპატიოს, როგორც მაპატიებდა ყოველთვის ჩემს ცელქობას".

ტასი.

* *

ტასი მთელი ღამე ავი სულივით დაძრწოდა ქუჩებში, იმალებოდა კიბის ქვეშ, ალაყაფის კარების უკან, ორღობეებს იქით. შორიდან ხედავდა, როგორ გარბოდნენ მის საძებრად.

ცივად უცქერდა აწრიალებულ ამხანაგებს. არავინ არ ებრალებოდა, არც მაგდა, არც სიბილო. თვალი მოჰკრა ანტონ ქღენტს მაგდასაკენ მიმავალს. ანტონს დარო მისდევდა. ტასის ყველა სძულდა ამაღამ, თითქო ჯავრს იყრიდა ამხანაგებზე. „აგრე... აგრე...—ჩურჩულებდა თავისთვის — იწუხეთ, იწრიალეთ... გაიწეწეთ... სულერთია ჩემთვის... მოიქანცებით და დაეგდებით. მოგშივდებათ და ჭამთ... მოგწყურდებათ და დალევთ — გულს დაიმშვიდებთ".

• •

მთვარე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო. ქალაქის საათმა თორმეტჯერ დარეკა. შორს იცქირებოდა ტასის თვალი, ქუჩებში წრიალი რომ მიწყდა, ტასი გამოძვრა კიბიდან, ორღობეებს მიჰყვა, ეკლესიის კედელს აეტმასნა. მიიხედ-მოიხედა, არავინ იყო ორი ბრინჯაოს ძეგლის გარდა. მხოლოდ ერთი ციცინათელა დაფორიაქობდა თბილი ღამის მსუბუქ კალთებში. ტასის მოაგონდა, ერთ დროს როგორ მხიარული დასდევდა ციცინათელებს. იჭერდა ჭრელ პეპლებს, ჭიამაიებს და მძივებივით იბნევდა გულზე. ეს სულ ცოტა ხნის წინ იყო, მაგრამ ამაღამ, ფიქრში გართულ ტასის ეგონა რამდენიმე ათეული წელი გავიდაო მას შემდეგ და ახლა სარკეში რომ ჩაიხედოს, ალბათ, მოხუცებულს დაინახავს თავის სახეს. ამოიოხრა, რაღაც შვება იგრძნო. მოაგონდა დიდი პოეტის ლექსის ერთი სტრიქონი: „ოხვრა არის შვება უბედურის“-ო. ფეხაკრეფით შემოუარა ეკლესიას და სამრეკლოზე ასვლა დააპირა. შეკრთა ტასი, კიბეზე შენიშნა: შავებში ჩაცმული, ჭაღარა წვერით კაცი იჯდა. წინ დიდი კალათი ედგა. კალათზე დამხობილი თვლემდა. დააკვირდა. იცნო მეწვრილმანე მოშა. მოშა ყოველ უთენიას, ეკლესიის წინ, გზაჯვარედინზე, გაშლიდა საწვრილმანოს და გამვლელ-გამოვლელს მისძახოდა: „ძაფი, ნემსი, ქინძისთავი... ფანქარი, ბლოკნოტი... საპარსავი სამართებელი-ი!..“ ვაჭრობდა მოშა და თბილ ღამეებში აქვე იძინებდა სამრეკლოს კიბეებზე. მოშა გამოფხიზლდა, თავი ასწია, წვერი შეარხია და მის წინ ქალი რომ დაინახა, ლიფლიფით თქვა:

— ვინ ხარ, რა სული ხარ? ჩემს კალათაში ხომ არ გინდა ჩაძვრე?

— ჩუმად, მოშა!.. ტასი ვარ... ხომ გახსოვს, ამას წინათ ბაფთები რომ ვიყიდე შენგან, შენ რომ ვარდისფერი მულინეს ძაფს დამპირდი.

— მახსოვს... ლამაზო ქალო, რამ გაიძულა აქ მოსულიყავ?

— ჩემმა დამ გამაბრაზა. ამაღამ აქ მინდა დავიმალო, მო-

შა. თუ ვინმე მოვიდეს, არაფერი უთხრა და აპა შენ სამაგიეროდ საჩუქარი.

ტასიმ ყელიდან ახალნაყიდი წითელი აბრეშუმქსოვილი მოიძრო და მოშას დაუგდო წინ. მოშამ უბეში ჩაიტენა საჩუქარი. ტასი ჩუმად აცოცდა სამრეკლოზე. მოშამ თვალი გააყოლა კიბეებზე მიმავალს. გულში კი გაიფიქრა: „ალბათ, კუროები ეყოლებაო ამ გოგოს“. ბებერ ებრაელს სძულდა ასტაჯი გოგოები. „ბინძურ სულდგმულს“ ეძახდა მათ. პირი მიიბრუნა უკუღმა და ათასჯერ ნათქვამი ლოცვა წაიბუტბუტა ებრაული თალმუდიდან: „გმადლობ შენ უფალო, რომ ქალად არ გამაჩინე“.

* *

თოლიები დაფრინავდნენ ზღვაზე. ლურჯ მოკამკამე ალიიონს ალმასები დაეფრქვია მათ ფრთებზე. ნელ-ნელა იბზარებოდა ზღვის იისფერი უზარმაზარი სარკე —უნაპირო ცის ქვეშ გადაშლილი. თეთრად აქაფებული ზვირთების შხეფები კრისტალებივით ცვიოდნენ ნაპირზე. შემოთენებული მთვარე ცხენის ნალივით მიკროდა ცას. მშვიდად იღვიძებდა სიცხით დათენთილი ზაფხულის ღამე. ზანტად იზმორებოდა ქალაქი.

სადგურის უკან ეტლები იდგნენ. მეეტლეებს სადავეები ცხენების ზურგზე დაეყარათ და კოფოზე ყვინთავდნენ.

მოშამ თვალები ამოიფშვნიტა. დიდი კალათი გზაჯვარედინზე გამოიტანა და ჩვეულებრივად გაშალა სავაჭრო წვრილმანი. ტასის ნაჩუქარი წითელი აბრეშუმქსოვილი მანდილი კალათის ხელზე გადმოჰკიდა. მოშას არ შეუმჩნევია მანდილის რიდეზე ვარდისფერი ძაფით წარწერილი სახელი „ტასი“.

— მოშა, როგორ ყიდი ამ მანდილს?

მოშამ თვალები დააფახულა.

— ერთ ოქროდ, თქვენი ჭირიმე!

მახარე არ შევაჭრებია, ამოიღო ფული და მანდილი უბეში ჩაიდო. მერმე ჰკითხა:

— მოშა, ვინ მოგცა ეს მანდილი? მართალი მითხარი, მოშა, თორემ...

მოშამ წვრილი თვალები მახარეს მშვენიერ სახეს მიაშტერა. ოხუნჯის გამომეტყველება მიიღო და ხუმრობის კილოთი უპასუხა:

— თქვენმა ანგელოზმა, ჩემო ხელმწიფევ.

— შენ სად ნახე, მოშა, ის ანგელოზი?

— წუხელ ამ სამრეკლოზე გაათია ღამე, შენი ჭირი შემეყაროს. დამ გამაბრაზაო. გათენებამდე ლოცულობდა და ტიროდა. მაღლიდან წვიმასავით მაცვივოდა მისი ცრემლები. ქუდი მოვიხადე და შიშველი თავი მივუშვირე. ეგების თქვენი ანგელოზის ცრემლებმა წარხოცოს ჩემი ცოდვები-მეთქი, გავიფიქრე გულში.

მახარეს მაინც თვალები აებლანდა, ტირილი მოუნდა. ამ წუთს ყველაფერი დაავიწყდა: მისი ბავშვობაც, როსტომის სათიბიც, დიაც, გაქრა ლამაზი ოცნებები... მხოლოდ ტასი ნახოს მახარემ და სხვა არაფერი უნდა ქვეყანაზე. ტასი ანუგეშოს, მიუალერსოს. ტასი ყოფილა ამქვეყნად მახარესათვის ყველაფერი — სიცოცხლის დამბრუნებელი, პატიოსნების მომნიჭებელი. ტასიმ მახარეს სიცოცხლისათვის გასწირა ქალიშვილის ღირსება, მახარეს პატიოსნებისათვის გასცა თავისი საიდუმლო...

მახარე ფიქრიდან მოშას ხმამ გამოარკვია. თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა, მოშას დაღრეჯილ სახეს შეხედა.

— რაც გითხარი, არავის უთხრა, შენი კვნესამე!

— არავის ვეტყვი, მოშა, მარა, სად წავიდა მერე ის ანგელოზი?

— იქით წავიდა, ჩემო ბატონო,—მოშამ ხელი ზღვისაკენ გაიშვირა.

* *

ექიმ მონსეს პირსახოცი ამოედო იღლიაში, ზღვაზე საბანაოდ მიდიოდა დილაადრიან. ბაღში კაცი არ ჭაჭანებდა. მარტო ფარდულის მოსამსახურე ქალი ტრიალებდა: სამოვარს

აჩაღებდა, პატარა მაგიდებზე თეთრ სუფრებს აფარებდა, კალათებით ტკბილი ნამცხვრები მოეტანა საშაქარლამოდან, დახლზე მინის ყუთებში ალაგებდა. ჩაის ჭიქები დაეწკრიალებია და ბროლის ლამბაქებს წმენდდა ნაყინისათვის. მონსემ ფარდულის წინ ჩაიარა, მიესალმა თეთრწინსაფრიან ქალს. ფროსი იცნობდა ექიმს. ყოველ დილით, ბანაობის შემდეგ, აქ მიირთმევდა ექიმი ჩაის. სუფთა საზოგადოება იყრიდა აქ თავს. ყველაფერი ორმაგ ფასად ღირდა სხვა საჩაიებთან შედარებით. ამიტომ ღარიბი ხალხი არ ეკარებოდა ბაღის ფარდულს.

ექიმმა მონსემ ზღვის პირად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. მის წინ გაირბინა ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა—თეთრ, მსუბუქ ტანისამოსში — და გედივით შთაინთქა ტალღებში. იმავე წუთში გიჟივით გამოვარდა ბაღიდან სასიამოვნო გარეგნობის ვაჟკაცი, ფეხებიდან ფეხსაცმლები წაიგლიჯა, ლურჯი ხალათი გაიხადა და ზღვაში გადაეშვა. წმინდა იყო ზღვა, არაფერი დაემალებოდა კაცის თვალს.

ექიმი მონსე მიხვდა, მობანავენი არ იყვნენ ისინი. რაღაც უბედურება მოხდა მის თვალწინ. ქუჩაში გაიჭრა ექიმი და შემზარავი ყვირილი მორთო. ხალხი შექუჩდა. აჩოჩქოლდა ბაღი. ვიღაც ჭკუამახვილმა ახმედ-აღას ყავახანისაკენ გაქუსლა, მენავეები წამოაგდო. მეორემ სადარაჯოში შეირბინა. ტელეფონს ეცა და ნავსადგურიდან მეზღვაურები გამოიძახა. მაგრამ იმათ მოსვლას დაასწრო თავგანწირულმა ვაჟმა. ვაგუდული ქალი ნაპირზე გამოიყვანა. ექიმი მონსე ქალთან მიიჭრა. ბაღის თავში გაისმა უეცარი კივილი. მაგდა მორბოდა სახედაკაწრული. სიბილო, ანტონი, გოგილო, ტრიფონი, დარო, — მორბოდნენ ყველანი. არც ერთს იმათგანს იმ ღამეს არ უძინია. ტრიფონმა შორიდან იცნო, მკერდტიტველა მახარე იდგა შექუჩებულ ხალხში. ბიძია ტრიფონმა გამოცდილი თვალი მიმოავლო ქუჩებს. ბაღის ბოლოში შენიშნა, არა ერთხელ ნახული ახმახი პოლიციელი მოდიოდა. პალტო გაიხადა, მახარეს ჩააცვა და მკლავში მაგრად მოჰკიდა ხელი.

— აქ შენი ადგილი არ არის... წავიდეთ! — ბრძანებით უთხრა მჭედელმა ყოფილ შეგირდს.

ყორანივით შავი ღამე იყო. წვიმით გაჟღენთილი შავლეგო ღრუბლები ჩამოსწოლოდა გურიის ცას. ზედობანს გადაღმა გამუდმებით ყმუოდნენ ტურები. ძაღლები ყეფით ეხმაურებოდნენ ტურებს.

იატაკზე გართხმული იორამ ჭაპანაძე გატვრენილი უგდებდა ყურს ტყვიების წივილს. მიწყდა სროლა. ერთი საათი გავიდა, იორამი მაინც ვერ ბედავდა წამოდგომას. მერე ფრთხილად წამოჰყო თავი, წამოხოხდა და დაოთხებული გაფორთხდა მეორე ოთახში.

— ცოცხალი ხართ?— ჩურჩულით ჰკითხა ცოლ-შვილს.

ჭაპანაძის მეუღლეს უზარმაზარი არყის სახდელი ქვაბი გადმოეშხო და მისი თორმეტი წლის ვაჟი შეემწყვდია შიგ გოშივით. იქვე ვეებერთელა სპილენძის ტაშტი წამოექცია პირქვე და თვითონ დაედო თავზე და მხრებზე. ჭაპანაძის მოსამსახურე გოგოს — ფატუს თავი შეეყო ტაშტს ქვეშ, წელსქვედა ნაწილი ტაშტის გარეთ გაეშხლართა. სამივე ძაგძაგებდნენ. იორამის ხმაზე ფატუ გამოძვრა, დაოთხებულ ბატონს რომ შეხედა, თვითონაც დაოთხდა.

— აქეთ მოდი, ბოშო, — თქვა ჭაპანაძის მეუღლემ, ხელი წაავლო ქმარს სახელოში და თავისკენ მისწია. იორამმაც შეყო თავი ტაშტს ქვეშ, ფატუ ისევ გაიშხლართა იატაკზე. მთელი ღამე იყვნენ ასე გატვრენილნი. ძლივს ეღირსა იორამს გათენება. ცისკარმა შემოიჭვრიტა ფანჯრებში. პირველად ფატუ გამოძვრა ტაშტის ქვემოდან.

— გათენდა, ბატონო, გათენდა!—სიხარულით წამოიძახა გოგომ და უძინარი თვალები კარისაკენ გააცეცა.

იორამმა თავით ასწია ტაშტი. ჯორკოზე ცალი კიდით დამხობილი ქვაბი გადააგორა, დოდიკს ჩასძინებოდა.

— დედა მოგიკვდეს, შვილო!—შეწუხდა ჭაპანაძის მეუღლე, გამოაფხიზლა ყმაწვილი და გულში ჩაიკრა.

— მადლობა ღმერთს, ცოცხლები ვართ, — წაიბუტბუტა იორამმა და პირჯვარი გადაიწერა. კედლების მაღლა ნაწილი დაცხრილული იყო ტყვიებით. ნატყვიარ ჭერში თაგვების წრუწუნი ისმოდა.

ცას ღრუბლები გადაეწმინდა. შარაზე სოფლელები მიდიოდნენ ყანის სატეხად. ჭალაში ბიჭებს ხბოები მოერეკათ და მღეროდნენ.

ჭაპანაძეს ფეხი აღარ დაუდგამს ნაკაშიძის მამულში.

— რა ვქნა, ბატონო, ღალას არ იძლევიან გლეხები, — არწმუნებდა იორამი ნაკაშიძეს. მარინა თავისი ხელით მოწეულ ბოსტანში წითელ ბადრიჯანს ჰკრეფდა. ნაკაშიძე იჯდა აივანზე ყურებჩამოყრილი. სიკვდილი იცქირებოდა კაციას თვალებიდან. გავერანებული იყო ყვავილნარი.

ნელ-ნელა ცვიოდა აკაციის ყვითელი ფოთლები.

— იორამ, ადი თუ კაცი ხარ, ორი მტევანი ყურძენი ჩამოწყვიტე იმ ხურმის ხიდან. ხურმის ქვეშ გემრიელი ყურძენი იცის, — მორიდებით სთხოვა თავის მოურავს ნაკაშიძემ.

იორამმა გიდელის კავი გაირჭო ქამარში და საცალფეხო კიბე მიუდგა ხეს. ნაკაშიძეს მოაგონდა ფარნაოზა მჟავია. ფარნაოზმაც ასე იცოდა ხეზე გიდელის ატანა. მჟავია მაშინ კაცია კაციას ძეს ერთგულებაზე ეფიცებოდა, მაგრამ „ეჰ, ყველაფერი ამაოა. ერთადერთი მართალი სიყვარული ყოფილა“, გაიფიქრა თავადმა. ამ დროს მარინე ამოვიდა კიბეზე პირმცინარი. ბადრიჯანით სავსე კალათი ამოიტანა.

— ბატონო, შენს თავს ვფიცავ, — გაიკისკისა მარინემ,— ახლა დავრწმუნდი, ამქვეყნად ბედნიერება სიყვარულში ყოფილა.

— ამაზე ფიქრობდი ამდენ ხანს, მარინე?

— განა სხვაფრივ შეიძლება ამ დროში იფიქროს ადამიანმა? ბატონო, მე ვინატრებდი, ჩემსავით უყვარდე სხვებსაც. მაშინ ასე არ შეგვიძულებდა სოფელი.

— ყველაფერი გაივლის, მარინე, სანამ ცოცხალი ვარ, შენი სიყვარული მეყოფა, ხომ არ მოგწყინდა მარტოობა?

— სანამ შენ გხედავ, რა მომაწყენს, ბატონო.

— ამაღამ იორამი ჩვენთან დარჩება. იორამს მირონი სწამს.

სიმთვრალეში წამოვროდე

დიდი სამაზრო ყრილობა უნდა მოეწვიათ ოზურგეთში. მაზრის უფროსისაგან ნაბრძანები ჰქონდათ ჩაფრებს გურიის სოფლებიდან ძალად მოერეკათ ხალხი ქალაქში მთელი კვირა დაჯირითობდნენ კარდაკარ ჩაფრები. ვინც არ გამოცხადდებოდა, დასჯით ემუქრებოდნენ.

გლეხებს შემოდგომის მოსავალი უკვე დაებინავებიათ თავიანთ ბეღლებში. საქონლის საკვები ჩალა ზვინებად დაედგათ ბეღლის უკან. სასწაული მომხდარიყო წელს ჩვენს სოფლებში: ყველა უმჭადოს საკმაო მჭადი მოეწია ნაკაშიძის მამულში. ბეგლარ მანთიძეს პირამდე აევსო ნალია სიმინდის ტაროებით. ბეგლარი თვალით ზომავდა ნალიაში შეყრილი სიმინდის გროვას და სიამოვნებით ჩურჩულებდა: „ჩემო მიწავ, საყვარელო მიწავ, მამა-პაპის ოფლით განოყიერებულო ტკბილო მიწავ“... ვინ თქვა, ბეგლარს მუშაობა არ შეეძლო, მაგრამ მიწა არ ჰქონდა. ახლა მიწაც ბეგლარის არის და მზეც. ოღონდ მახარე და მირიანი ჰყავდეს ქვეყანას ცოცხალი. ვაშალომიძის მწირი მიწა აღარ იყო საჭირო ბეგლარისათვის. ზაალის და საულის გაწმენდილ ზეგანზე თებრონე ატეხდა თავს. ნანობდა: ყველამ რომ მიატოვეთ ჩემი ზეგანი, რა გააკეთეთ უკეთესიო,—ესაყვედურებოდა განსაკუთრებით ბეგლარის ოჯახს. რთველის აღების შემდეგ მხიარული გლეხები ტყეში გასულიყვნენ შეშის საჩეხად. ბეგლარ მანთიძეს ვეებერთელა წაბლის ხე წაექცია გურიელების ტყეში. სეფემ და მირიანმა წააქეზა ბეგლარი. ოდის მასალა დაამზადებინეს. ხარები მირიანმა ათხოვა. სოფლის ახალგაზრდებმა „ელესას“ სიმღერით გამოიტანეს ხეები გზაზე და ხარუღელს აჰკიდეს სათრიელი. ბეგლარმა ფაცხის დერეფანში დააწყო ოდის მასალა. გამხიარულდა მაკა. იმედი მოეცა, ოდესღაც მის „ბაღნებსაც“ ექნებოდათ ოდა.

მხიარულობდა სოფელი. სინათლის ხილვამ სიბნელე დაავიწყა გლეხებს. ეგონათ ჩქარა გადაიგდებდნენ კისრიდან ბატონის უღელს. შქერის წნელს ჭრიდნენ, ეზოებს იღობავდნენ. ახლო მდებარე მიწის ნაკვეთებს თავისკენ იტოვებდნენ.

არავინ ჰყავდათ მოდავე — წისქვილზე მინდს არავინ იხდიდა ნაკაშიძის სასარგებლოდ.

— რა ვქნა, ბატონო, ასე მიბრძანეს,—თავს იმართლებდა მეწისქვილე; ხოლო ვინ იყვნენ მბრძანებლები, ამაზე კრინტს არ სძრავდა ფილიმონი.

ტყისმცველებმა თავი მიანებეს ტყის დაცვას.

ზედობანის მამასახლისმა ჯაჭვი მოიხსნა. სოფლის მწერალმა თავს უშველა.

სამრევლო ფული იყო სოფელში ასაკრეფი. მღვდლები ხმაგაკმენდილი ისხდნენ. ფოსტის ფულის გადასახადზე პირველად ხრიალეთელებმა განაცხადეს უარი. გზის შესაკეთებლად მირიანმა აზნაურებიც გამოიხმო. აზნაურებს ტყვიასავით ეშინოდათ ბოიკოტის. რატომ არ ვიმუშავებთ, ძმებო, გზა ქვეყნის არისო, გაიძახოდნენ დიდად კმაყოფილებივით.

ჯაშუშს, აზნაურ ლევარსის, ზედობნელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ლევარსიმ მოციქული მიუგზავნა მირიანს და სეფეს: არ მინდა აზნაურობა, ძმებო, გლეხად ჩამწერეთ, ამხანაგად მიმიღეთო, მირიანმა უპასუხა: ჯაშუში რომ ამხანაგად მივიღოთ, სადღა გავახილოთო თვალი, დუნია მელექეთში მოგვეჭრება თავიო. ლევარსი იჯდა თავის ბუნაგში დაძმარებული. „ნეტა ფეხი მოსტეხოდა ლევარსის და იმ დასაქცევ სამიკიტნოში არ შესულიყო. ეშმაკად გადაეყარა დიტია მგელაძეს. ორი ჭიქა ღვინო დალიეს ერთად სკოლის მეგობრებმა. მერმე რა მოხდა? არაფერი ისეთი. დიტიამ გამოთხოვებისას ხელი მხურვალედ ჩამოართვა. სადღეგრძელოში ორი სიტყვა წამოროშა ლევარსიმ. ეს იყო და ეს...“

— ეს იყო და ეს...—ხმამაღლა წამოიძახა ლევარსიმ განაფიქრი.

ოთახში გოგონა შემოვიდა, დალუქული წერილი შემოუტანა მამას. ლევარსიმ ბარათი გახსნა. მაზრის უფროსი იბარებდა საჩქაროდ. ელდა ეცა: მიხვდა დიტიას კარნახით იყო დაბარებული. არ წავიდეს არ შეიძლება, წავიდეს და სოფელში რა პირით დაბრუნდეს? ორ ცეცხლსშუა მოექცა ლევარსი. წამოდგა. დალუქული ბარათი ხელში დაიჭირა და მირიანისაკენ გაეშურა. ეს ერთადერთი გზა ჰქონდა წინ. მირიანი თოფს სწმენდდა. დაშლილი ჩახმახი მაგიდაზე ეწყო, იქვე

გროვა ვაზნები ეყარა. შევიდა თუ არა ლევარსი ოთახში, გამარჯობა არ გახსენებია, მირიანის წინ მუხლებზე დავარდა.

— მაპატიე, მირიან, ძმაო, მაპატიე...—წამცდა... სიმთვრალეში წამოვროშე... მა-პა-ტიე... —აკვნესდა ლევარსი.

მირიანმა ულვაში გადაიგრიხა და ზიზღით ჩახედა თვალებში მის წინ კუნძივით დაგდებულ ახოვან ლაჩარს.

— აა, ლევარსი ბრძანდები?

— ლევარსი ვარ, ღმერთგამწყრალი, თავლაფდასხმული, ცოცხლად-მკვდარი.

— კმარა, ბატონო ჩემო, თავის დროზე უნდა გეფიქრა. ღმერთმა კბილები ენის ჩასაკმენდათ მოგვცა, მარტო საღეჭად როდი მოუცია. სულ ერთია, წაგცდა თუ წამოროშე. ამ თოფს შენისთანა ძაღლებისათვის ვწმენდ.

ოთხმოცი წლის ბერიკაცი

მოედანზე ეკლესიის წინ შეგროვილიყო სოფლებიდან ძალად მორეკილი ხალხი. ქმრებს ცოლები. მოსდევდნენ, შვილებს დედები, ძმებს დები და მამებს შვილები. ქუჩაზე ორმოცამდე ცხენოსანი კაზაკი იდგა მწკრივში. ბოქაული ჩაგუნავა ცხენით დათარეშობდა ქუჩებში, ხალხს მათრახით ემუქრებოდა. მაზრის უფროსი ლაზარენკო ტალავარზე გადმომდგარი ფეხებს ისე მაგრად აბაკუნებდა, რომ დეზების წკარუნი ზარივით გაისმოდა ხალხში.

— ნუ ,უჯერებთ მატყუარებს, ღვთისაგან გადამდგართ. თქვენ დაგღუპავთ იმათი აყოლა. დამიჯერეთ, ისმინეთ ჩემი რჩევა. დაუყოვნებლივ შეაგროვეთ ფოსტის ფული, გადაიხადეთ დრამის ფული, მიეცით მემამულეებს ღალა!—ყვიროდა ლაზარენკო ხალხის განაგონად.

შუა მოედანზე გოროზად იდგა ცხვირაშვერილი, გრძელლულიანი ზარბაზანი. ტალავარის დაბლა მემუსიკე ჯარისკაცები იდგნენ ერთ ადგილას შექუჩებულნი, დაძაბული ელოდნენ კაპელმეისტერის ჯოხის აქნევას.

ლაზარენკო განაგრძობდა:

— თქვით, ვინ ჩაგაგონათ ყოველივე ის, რასაც თქვენ მოქმედებთ, ვინ მოგცათ ნება სახელმწიფო ტყეში თარეშის?

რომელი უფლებით მიითვისეთ მემამულეების მიწები?.. ვინ თქვა, ლომისკარის ხატი მჭედლის გაჭედილი არისო? ურჯულოებო, ესღა გაკლიათ ცაზე კიბე მიიდგათ და ღმერთს მოეპოტინოთ. გირჩევნიათ დროზე მოინანიოთ შეცოდებანი...

ტაძარში ზარის გუგუნი გაისმა. კვირა იყო, წირვად დგებოდა დეკანოზი დუმბაძე. ლაზარენკომ ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადაიწერა. ხალხს გადახედა.

მიძინებულ ზღვის გულივით დუმდა ხალხი. არავის პირჯვარი არ გამოუსახავს. არავის სინანული არ გამოუთქვამს. ჩაგუნავამ ცხენს დეზები ჰკრა, „ფაფარა" შუა ხალხში შევარდა, ტორები ასწია და უკანა ფეხებზე შედგა.

ხალხი დაფრთხა, მიიწ-მოიწია. ტაძრის საკურთხევლიდან ბარძიმით გამოვიდა დეკანოზი დუმბაძე. რომანოვების გვარისთვის ილოცა. შუა წირვის ჩამოჰკრეს ზარს. სასულე ორკესტრმა „ბოქე—ცარია — ხრანი" დააგუგუნა. ლაზარენკომ ისევ მოიხადა ქუდი. ხალხს მზვერავი თვალით გადახედა. ხალხი კვლავ დუმდა. არავის აზრად არ მოსვლია ქუდის მოხდა. „ჯიუტია გურიის ხალხი", გაიფიქრა მაზრის უფროსმა. კბილები დაახრჭიალა და ჩაგუნავას გადახედა. ჩაგუნავას კვლავ ტალავართან მოეგდო ცხენი. ბოქაული წელში აიწია და ხალხს გადასძახა:

— რას დამუნჯებულხართ, ხალხნო, გვიპასუხეთ, ასრულებთ თუ არა მაზრის უფროსის ბრძანებას?

ხალხიდან წინ გამოვიდა ოთხმოცი წლის ბერიკაცი. გამხდარს, კაფანდარას, შავი ჩოხა ეცვა, თავზე შავი ყაბალახი წაეკრა, მკერდზე წვერი სცემდა.

— ჩემო ბატონო,—ასე მიმართა ბერიკაცმა მაზრის უფროსს, — ჩვენ ჩამგონებლები არა გვყავს. ფოსტის ფულს გადავიხდით, ბატონო, რაც შეეხება ღალას, რად უნდა გადავიხადოთ, მოხვნაზე მოგვეხმარა ვინმე? სათესლე მოგვცეს! რა გვმართებს, ბატონო, მათი?

— ჰეი, შენ, ბებერო, ბევრს ნუ როშავ!—დაიყვირა ბოქაულმა ჩაგუნავამ და მათრახი მწვავედ დაჰკრა ზურგზე ბერიკაცს. ამ დროს ხალხიდან სწრაფად გამოიჭრა აღშფოთებული ახალგაზრდა ქალი და წაბარბაცებულ მოხუცს გადაეფარა. მესამედ მოქნეული მათრახი ქალს მოხვდა მხრებზე.

ქალი არ შედრკა, წელში მაგრად ჩასჭიდა ხელი ბერიკაცს და ჩურჩულით უთხრა:

— წამოდი, ბაბუ, რა გალაპარაკებს!

ხალხი აჩოჩქოლდა. არ მოელოდნენ ოთხმოცი წლის ბერიკაცის გამათრახებას. იუკადრისეს ვაჟკაცებმა, წინ მოინდომეს გაწევა,—მაზრის უფროსისაკენ. გამწარებული ქალები უკან ეწეოდნენ კაცებს. იქ ვიღაცამ ზარბაზნის აშვერილი ცხვირი დაბლა დააყენა. ამ დროს შუა ხალხში გრიგალივით ჟაისმა მოწოდების ხმა:

— დაიშალენით!

მაზრის უფროსს ფერი ეცვალა. შენიშნა ხალხი ღელავდა. აბობოქრებული ჯგუფები წინ მიიწევდნენ. წრიალებდნენ ბებრები, ქალები, ახალგაზრდები მუშტს იშვერდნენ ზევით. მაშინ ლაზარენკომ ხმა დაიდაბლა:

— შვილებო,—რბილად მიმართა ხალხს,—თქვენთვის ვამბობ, ნუ აჰყვებით მაცდურს, ნუ დაიღუპავთ თავს-მეთქი. დაფიქრდით, შვილებო! სამ დღეს გაძლევთ ვადას. გონს მოდით!

* *

დღე და ღამე გაიყარა. აზნაური ლევარსი და ნაკაშიძის შოურავი ჭაპანაძე მაზრის უფროსის ბინიდან გამოვიდნენ, შიშით გააცეცეს თვალები. ქუჩაში არავინ ჩანდა.

— კაცო, ორ ცეცხლშუა ვართ ჩავარდნილი, — ჩაილაპარაკა ლევარსიმ.

— ახლა ორ ცეცხლშუა ჯობს ყოფნა, ლევარსი, რომელიც უფრო გაჩაღდება, ჩვენც იქით მივიწევთ. დამქრალ მუგუზლებზე ადვილია წყლის დასხმა,—გაეხმაურა იორამი ლევარსის, და ბნელ მოსახვევში მიიშალნენ.

ჯ ი ლ უ ვ ა ვ ე ბ ი

დეკემბრის ცა მოპირქუშებული დაჰყურებდა გურიის საშაზრო ქალაქს. მოედანს ჭილყვავები შესეოდა. საზარლად ჭყიოდნენ, მცხოვრებლებს ცივი იანვრის მოახლოებას აუწყებდნენ. ჭადრებს ტიტველი კენწეროები აეშვირათ ცისკენ.

ჭუჭყის სუნი იდგა ტაძრის გალავანში. გაფცქვნილი ვარდეების ყლორტები სევდის მომგვრელად მიჰკვროდნენ მარმარილოს ძეგლებს. ქალაქში არ ჩანდა სტუდენტობა. არდადეგების შემდეგ ყველანი რუსეთს გაკრებილიყვნენ. უფრო ადრე გიმნაზიელები და სემინარიელები გამგზავრებულიყვნენ თბილისს. ქუჩებში მხოლოდ მოსწავლეები ხმაურობდნენ. ლევან ესეს ძე გურიელის სასახლეში, მოედნის გვერდით, კაზაკები დაბინავებულიყვნენ დაბლა სართულში. ყაზარმაში, რომელიც საერობო ყარაულის უფროსს ესე გურიელს ოდესღაც სათიევედ ჰქონდა მიჩნეული, ახლა კაზაკების ცხენები ება. ხმელი ჩალის ღერს ტკვერდნენ ულაყები და ხვიხვინებდნენ.

გურიელის ქვრივი მაღლა სართულში ჩაკეტილიყო. დიტია მგელაძეს ბედის კარი გახსნოდა: ორმოცი კაზაკი გადმოეგზავნათ მის განკარგულებაში, ოფიცრის ჩინიც მიეცათ და ოდესღაც უმამულო, მაძიებელი აზნაურის შთამომავალი, ახლა წელგამართული დადიოდა, კაზაკებს წინ მიუძღოდა და სოფლებს აწიოკებით ემუქრებოდა: თუ გადასახადი არ შემოგიტანიათ, შავ დღეს დაგაყენებთო. სწორედ იმ ცივსა და ნამიან დღეს, როცა მოედანს ჭილყვავები შეესია, დიტია თავისი ამალით გაკირულ ხიდთან მიაჭენებდა ცხენს, საიდანღაც უეცრად გაიშხუვლა ტყვიამ და ბარძაყი გაუხვრიტა.

მაზრის უფროსი ლაზარენკო ფანჯრიდან უცქეროდა დეკემბრის ჩაქუფრულ ღამეს. მთელი სამი წლის მანძილზე მომხდარი ამბები შიშის ზარსა სცემდა მაზრის უფროსს.

მემამულების გაბოროტება, ათასი თავდასხმა, დემონსტრაციები, დროშაზე თავდაყირა დახატული მეფე-დედოფალი, მოწაფეების არეულობა, კიდევ თავდასხმა, კიდევ დემონსტრაცია, მაგრამ ყველაზე უფრო ლაზარენკოს ფიქრში გამოიყო ჯარში გასაწვევ ახალგაზრდების დემონსტრაცია. მაზრის უფროსის აზრით, ეს მეტად საშიში გამოსვლები იყო.

— ლაწირაკები, — ჩაიჩურჩულა ბრაზმორეულმა, — დამშვიდებას, დაწყნარებას, კიდევ დამშვიდებას და კიდევ დაწყნარებას აღარა აქვს ბოლო. გურია კი არა, ყაჩაღი უნდა იყოს გურიის სახელი,—ჩაიქნია ხელი ლაზარენკომ და ფანჯრის ფართო რაფას დაეყრდნო. ამ დროს დიტიას დაჭრის ამბავი მოახსენეს. შეშფოთდა ლაზარენკო, ჯერ ერთი უბედუ-

რება ვერ გადაეხარშა, მეორე დაერთო: აგერ ორი თვე გავიდა ბოქაულ ჩაგუნავას დაკარგვის შემდეგ. ახლა გუბერნატორისათვის მისართმევ „პატაკზე“ - ფიქრობდა. არ იცოდა რა დაეწერა, ვისთვის მოეხვია თავზე დანაშაული. რაღაც ზღაპრული ამბავი ხდებოდა მის თვალწინ. ჩაგუნავას ღამით თავის ოთახში დაუძინია თურმე, მაგრამ დილით ამდგარი არავის უნახავს. ეძიეს აქეთ-იქით. კაცი გაქრა „უმუნდიროდ“.

საშინელმა ფიქრმა შეიპყრო ლაზარენკო — ბუნებით მხდალი, ჭაღარაშერეული მოხელე. მაგიდაზე ბროლის ვაზაში უსახელო წერილები ეწყო: „ერიდე ხალხის აწიოკებას, თორემ ტყავს დატოვებ გურიაში“, — წერდნენ ვიღაცეები. ლაზარენკო დუმდა, დროს იგებდა, სანამ ზევიდან არ დააჭერდნენ მუხრუჭს, და ეს მუხრუჭის დამჭერი ჯერჯერობით არავინ ჩანდა. თითო-ოროორი მკვლელობისათვის არავინ იწუხებდა თავს. ბოლოს მაინც საჭირო იყო „პატაკის“ დაწერა. ადგა ლაზარენკო, მეორე ოთახში გავიდა შიშის გასაქარვებლად, მეკარეს ხმა გასცა, ისევ შემობრუნდა კაბინეტში, მაგიდას მოუჯდა, ლამპა აანთო.

ცივი ცრემლები ხცვიოდა დეკემბრის ცას.

ცხრაას ოთხი წელი მიდიოდა. ექვს წელზე მეტი იყო, რაც ლაზარენკო მაზრის უფროსად გამოგზავნეს გურიაში. წინათ უდარდელი პოლიციელი შიშმა შეიპყრო. ორიოდე უდანაშაულოს გადასახლება ძლივს მოახერხა და პასუხისმგებლობაც ჩაგუნავას მოახვია თავზე. ახლა დიტია მგელაძეზე ამყარებდა გურიის ბედ-იღბალს.

გაზეთებში ყოველდღე ეწერა ერთი-ორი გულშემზარავი ამბავი: „თბილისში, № ქუჩაზე, ბოროტმოქმედებმა ღამით მოჰკლეს აზნაური როსტომ ვაშალომიძე, გურიის მცხოვრები. მიცვალებული პოლიციამ დაასაფლავა“. ლაზარენკომ შუბლზე ხელი შემოიკრა. არაერთხელ უნახავს ლევან გურიელთან როსტომ ვაშალომიძე. თან თვალწინ წარმოუდგა ბათუმის ოლქის ურიადნიკის დაღვრემილი სახე.

— ცუდი დრო უდგება ქვეყანას, — წაიბუტბუტა თავისთვის მოხელემ და კალმისტარს მოჰკიდა ხელი,—რა დაწეროს?

„მის აღმატებულებას ბატონ გუბერნატორს“...

მერე?

ხელი გაუჩერდა. დიდხანს იფიქრა, როგორ გადაირჩინოს თავი ხალხის რისხვისაგან. და ჰა, ძლივს მოიფიქრა. „ასე ჯობს“, დაასკვნა და დაიწყო:

„თქვენო აღმატებულებავ, ბოქაული ჩაგუნავა წინა დღეებში რაღაც არეულად ლაპარაკობდა, თითქო ვერ იყო სრულ ჭკუაზე. უადგილოდ იცინოდა. გამოძიებამ გამოარკვია: ბოქაული ჩაგუნავა ხიდიდან გადამხტარა მდინარე ნატანებში. მწყემს ბავშვებს დაუნახავთ, იმ დღეებში ხანგრძლივი წვიმების შედეგად მდინარე ადიდებული იყო და მღვრიე. მრავალი ხერგი მოჰქონდა მთიდან. გვამი ვერ აღმოვაჩინეთ.

თქვენო აღმატებულებავ, გვიბრძანეთ როგორ მოვიქცეთ?“

ორი კვირის შემდეგ ლაზარენკომ გუბერნატორის სამმართველოდან ასეთი შინაარსის განკარგულება მიიღო: „ვინაიდან უფალმა ჩვენმა ინება ბოქაული ჩაგუნავას წიაღთა თვითსა განსვენება, და ეს მოხდა ნებითა მისითა, კეთილ ინებეთ და გადაუხადეთ პანაშვიდი სასიქადულო ბოქაულს. რათა პატივი სცეთ მიცვალებულს ხელმწიფის ერთგულებისათვის“.

ლაზარენკომ შეიცნო: მიღებულ ბრძანებაში დაცინვის კილო ისმოდა. შვებით ამოისუნთქა და ერთი თვის უძინარს დარდით ისე ღრმად ჩაეძინა, რომ გულიდან საბოლოოდ გადასცილდა მეორე „პატაკის“ დაწერა დიტია მგელაძის გახვრეტილი ბარძაყის შესახებ. როცა ტაძარში შუაწირვის ზარები აგუგუნდა, დიტია კოჭლობით მიადგა ლაზარენკოს კარზე და ცხრაას ხუთი წელი მიულოცა.

ერთი სცენისათვის

ჩაესვენა უკანასკნელი „მზე“ გურიელების გვარისა.

— ძაღლი ჩაკვდეს სულში,—გაიფიქრა მაგდამ და შალი მოიხვია. წამლებისათვის წავიდა აფთიაქში.

ტასიმ თვალი გაახილა.

— რა თქვი, სიბილო ბატონო, ყვავილებით შეამკეს? საბრალო ყვავილები...

— ალბათ, დაგესიზმრა ყვავილები, ჩემო გოგონავ, ყვავილი სიხარულის ნიშანია.

— უთუოდ მახარე ჩამოვა.

— ურიადნიკს არც ერთი ყვავილი არ მიუღია. ამბობენ ცინკის კუბოშიაო ჩაჭედილი.

— ძვირი ღირს ცინკის კუბო? გთხოვთ მეც ცინკის კუბოში ჩამჭედოთ.

— ტასი!—შესძახა სიბილომ,—რამდენჯერ გთხოვე ასეთ სისულელეებზე ნუ იფიქრებ-მეთქი.

— ცუდად ვგრძნობ თავს.

— ამ მოღუშული, ნაღვლიანი დღეების ბრალია. მოვითმინოთ, ეს ზამთარიც ჩქარა გაივლის.

— მაშინ მე აღარ ვიქნები.

— მარტში ვაკიჯვარზე წავალთ, მერმე ბახმაროზე. სექტემბერში ჩამოვალთ ჯანმრთელი და ვიქორწინებთ. ჯერ შენ და მახარე, მერე მე და მაგდა. მეც მომბეზრდა მარტო ცხოვრება.

სიბილო ადგა, ბუხარს ცეცხლი შეუკეთა.

— ჩემო პატარა მეგობარო, ძნელია მარტოობა სულისა...

— მას ელტვიან სიამენი სოფლისა,—განაგრძო ტასიმ მინაბული ხმით. თვალებზე ცრემლი გადმოეკიდა, გამხდარი ხელი გამოიღო საბნიდან და თვალები მოიწმინდა.

— მაშ, შემიძლია უდარდელად მოვკვდე? დავიჯერო ჩემს დაიკოს შენისთანა კარგი მეგობარი ეყოლება?

— მე სიცოცხლეზე გეუბნები, დარწმუნდი. მახარეს შენს გარდა არავინ უყვარს.

— გვიანღაა ჩემთვის ყველაფერი. მე მახარეს არ წავყვები. მის პირველ სიყვარულს არ შევეცილები. პირველი სიყვარული დაუვიწყარი იქნება მისთვის. მე სინდისის ნაკარნახევი ცოლი დავრჩები მუდამ. გადავწყვიტე: თუ მეღირსა ფეხზე ადგომა, მესამე ცოლი გავხდე ორჯერ ბედნაცვალი კაცისა.

— ხა, ხა, ხა...—გადაიხარხარა სიბილომ, — გენიალური აზრია. შენს მეტი ვერც ერთი ქალიშვილი ვერ იტყოდა ამას.

ტასის უნებლიედ გაეცინა და ხველა აუვარდა. დასუსტდა.

ისევ მინაბა თვალები. გამხდარ ღაწვებზე ვარდი ეფინებოდა ტასის. სიმხურვალე თავში აუვარდა, სიცხემ უმატა.

ქუჩებში, ნავსადგურიდან რკინიგზის სადგურამდე ყარაულები იდგნენ. არ ისმოდა ქარხნების საყვირი. დღეს, დილიდანვე გაფიცულიყვნენ მუშები. ისინი პეტერბურგის მუშებს ეხმაურებოდნენ ცხრა იანვარს მომხდარი ხოცვა-ჟლეტის გამო. კიცხავდნენ მღვდელ გაპონს, კიცხავდნენ თვითმპყრობელ მთავრობას, ემუქრებოდნენ ადგილობრივ პოლიციას. მთელი კვირა იდგა დაუტვირთავი გემები. გიმნაზიელები სკოლის ფანჯრებს ამტვრევდნენ, ხელმწიფის პორტრეტს ფეხით თელავდნენ.

ტასიმ ისევ გაახილა თვალი, მიიხედ-მოიხედა.

— მახარე მოვიდა მეგონა.

— ალბათ დაგესიზმრა. უთუოდ ჩამოვა დღეს,—აუხსნა სიზმარი სიბილომ.

არ გასულა ხუთი წუთი—მაგდა და მახარე ერთად შემოვიდნენ ოთახში.

— დილით ჩამოსულმა ძლივს მოვახერხე მოსვლა. ქუჩებში, სადგურში, ყველგან პოლიციელები დგანან. საცაა გამოასვენებენ ურიადნიკს. მიწა ერთნაირად შეინდობს ყველას. უკანასკნელად ნახავს ბაილეთის მყუდრო სასახლეს ულირსი თავადი,—თქვა მახარემ და ნამგზავრი, სათბურების გახდის შემდეგ, ტასის მიუბრუნდა, ავადმყოფის სასთუმალთან მისწია სკამი.

— ჩემო მშვენიერო,—წაიხუმრა მახარემ,—დღეს უნდა აღსრულდეს ჩვენი პირობა: ხალხის მტრის ჩაძაღლებას ლხინით უნდა შევხვდეთ, ასეთი იყო ხომ ჩვენი პირობა? ადგომა არ გჭირია, აქ მოვიყვან მღვდელს, რადგან მაგდას სურვილია ქრისტიანული წესით მოხდეს ჩვენი ჯვრისწერა.

— სამართლიანია მაგდას სურვილი, — დაასკვნა სიბილომ,—ვინაიდან ჯერ არ არსებობს შეუღლების სხვა წესი.

ტასი თეთრ ბალიშზე დახატულივით იწვა. შავი ნაწნავები გვერდზე გადმოეწყო. მახარე თვალს ვერ აშორებდა. სიბრალულის სავსე გრძნობით ჩასცქეროდა თვალებში. მახარემ იცოდა მეტად ხანმოკლე იყო ტასის სიცოცხლე. ცდილობდა სიხარულით აევსო ავადმყოფის გული. უბის ჯიბიდან ამოი-

ღო ორი საგვირგვინო ბეჭედი, სიბილოს მისცა ხელში და უთხრა:

— შენ უნდა იყო ჩვენი მეჯვარე. წამოგვაცვი თითზე.

სიბილომ აიღო ბეჭდები, ერთი მახარეს წამოაცვა მარჯვენა თითზე. ერთი ტასის. ტასი ხმას არ იღებდა. მოჯადოებულივით უსმენდა მახარეს განკარგულებას.

სიბილო ბუხართან მოფუსფუსე მაგდასთან მივიდა და რაღაც წასჩურჩულა. მაგდა გაკვირვებული მიაშტერდა სიბილოს.

— ძამია, ღვინო ხომ არ დაგილევია დღეს?—გაეღიმა მაგდას.

უცებ ყველამ ყურები ცქვიტა. ქუჩიდან მოისმა სასულე ორკესტრის სამგლოვიარო გუგუნი.

— ამაყენეთ, ჩქარა ამაყენეთ!—დაიძახა ტასიმ და რაღაც არაჩვეულებრივი სიმსუბუქე იგრძნო. მაგდამ სწრაფად ჩააცვა თბილი ხალათი. მახარემ წამოაყენა ტასი, წელზე მკლავი მოსჭიდა, ფანჯარასთან მიდგნენ. დუმდნენ ყველანი. მიასვენებდნენ გურიელს სადგურისაკენ. არავინ მიჰყვებოდა თმაგაშლილი, არავინ ტიროდა. მიცვალებულს მარტო პოლიციის მოხელენი მიყვებოდნენ. მოხელეების შემდეგ მემუსიკენი. ბოლოს ბალდახინი. ტასიმ თვალი გააყოლა ჟანდარმების აშვერილ ხელებზე შედგმულ ნაცრისფერ კუბოს. მოაგონდა 1902 წლის 2 მაისის ღამე. იისფერი სინათლე ჩადგა ტასის თვალებში. სული შეეხუთა, შეწუხდა, ერთი მძიმედ ამოიკვნესა და მახარეს მკლავზე ჩაჰკიდა თავი.

საძულველი ლანდი დაეუფლა მარადიულ ძილში ჩათვლემილ ტასის. თითიდან საგვირგვინო ბეჭედი წაძვრა. ოქრომ იატაკზე გაიწკარუნა.

მახარემ უკანასკნელად ჩახედა ხშირ წამწამებში ჩამუქებულ თვალებს. მშვიდად წაიძრო ბეჭედი და ბუხრის ქვას დაახეთქა... იმ დღიდან სამუდამოდ დატოვა მახარემ ბათუმი. ცრემლით გამოეთხოვა საყვარელ მიდამოებს, სადაც ესოდენ სიავე და სიამე განიცადა, სადაც მომწიფდა და დავაჟკაცდა.

ვაშლნარი

მშრალი, ყინვიანი იანვარი იდგა გურიაში. ბიჭებს ციგაობა ენატრებოდათ. ცივი ქარი სისინებდა. „კაცთა მშვიდობა და პირუტყვთა დანაკლისი“,—ასე ხსნიდნენ ამ წელს მედავითნენი.

ხრიოკი ეწერი დამზრალიყო ყინვით.

ბაგაში დაბმულ პირუტყვს მკბენარი დახვეოდა. ფერდებჩაცვენილი ძროხები ძლივს მიბობღავდნენ მდინარეზე წყლის დასალევად. მოკუნტულიყვნენ ჯიგრდაუყრელი, კანჭებშემხმარი ხბოები. სოფელს ტყე არ ჰქონდა. მდინარე სკურდუმის გაღმა, მოდგმიდან—მოდგმამდე თხრილშემოვლებული შქერით შეკავებული ვაშლნარი ისევ ისე იდგა ხელშეუხებლად. ეს ტყე გარს ერტყა თავად ტიფო ნაკაშიძის სასახლეს. საკვირველი იყო: ცხრაას ხუთი წლის იანვარი ილეოდა, გლეხებს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ ამ ტყეში შესვლა. ტყე ლამაზი, სწორი ბილიკებით იყო დასერილი. პრინც ოლდენბურგს უყვარდა ამ ტყეში სეირნობა, როცა ქვისლს ესტუმრებოდა ქუთაისიდან. განსაკუთრებით შემოდგომის დღეებში, როცა ოქროსფერ ფოთლებს საამოდ ააშრიალებდა ნელი ნიავი. საგანგებოდ მოშენებულ შველზე და კურდღელზე ნადირობდა პრინცი. ციყვიც საკმაოდ მოიპოვებოდა ვაშლნარში. გარეულ თხილს ეტანებოდა პაწია ნადირი. პრინც ოლდენბურგს ციყვზე ნადირობა უფრო საინტერესოდ მიაჩნდა. თავადმა ტიფომ არ იცოდა ნადირობა. თვალის სასეიროდ თუ გაყვებოდა პრინცს ტყეში და ძვირფას ხეებს ათვალიერებდა. ხანდახან ზამთრის ბუხართან მოიგონებდა ამ ამბავს ცოლის გასაგონად თავადი. ტიფოს მეუღლე — რაჭველი ჯაფარიძის ქალი დასცინოდა ნახევრად მოშინაურებულ შველზე პრინცის ნადირობას. ჩვენი აფხაზი მეჯინიბე უკეთესი მონადირეაო, — ამბობდა, — ხოხობს და ტყის ქათამს მარჯვედ ამოიღებსო ნიშანში. კარგა ხანია არაფერი აღარ იცოდა ტიფომ ქვისლის. პრინცი ოლდენბურგი ადრიან გამგზავრებულიყო ქუთაისიდან რუსეთს, ბევრი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი ქუთაისში პრინცს და დროზე ამჯობინა წასვლა. მთელმა ქუთაისმა იცოდა, როგორ წაართვა პრინცმა

აგრაფინა ჯაფარიძის ქალი პირველ ქმარს—დადიანს. ეს ამ-ბავი საჭორიკანოდ მოედო ქუთაისს. ქალიშვილები გიტარაზე მღეროდნენ: „აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო“.

პრინცის მეუღლე ბევრჯერ ყოფილა დასთან სტუმრად და დასწრებია პრინცის ციყვზე ნადირობას. ახლა თავადი ტიფო იშვიათად მოდიოდა სოფლად. მომრიგებელი შუამავ-ლის თანამდებობას ასრულებდა ოზურგეთში და იქ ამჯობი-ნებდა ცხოვრებას. ამაოდ იმტვერებოდა შპალიერის მაგიერ ხავერდებით და ატლასებით მორთული სასახლის კედლები. ამჟამად აფხაზი მეჯინიბე ცხოვრობდა სასახლეში და ერთი ღვთისაგან მოძულებული შუახნის ზანგი, რომელიც პრინც-მა უსახსოვრა ქვისლს. ზანგი ჟამიდან ჟამამდე დადიოდა ბაღ-ში. კარგი მოვლა იცოდა ბაღის. თავისი შავი კანით და თეთ-რი კბილებით აფრთხობდა სოფლის ბავშვებს. აღარ იყვნენ სასახლეში მექათმე ქალები, ძროხის მწველავები და მოჯამა-გირეები. ყველანი გაქცეულიყვნენ.

გლეხები ღელავდნენ სკურდუმს გაღმა. დღე-დღეზე უცქე-როდნენ ტყეს გასაჩეხად. წინა ღამით, ოცდაცხრა იანვარს ვიღაცას პროკლამაციები დაეყარა სოფელში: „რას უყუ-რებთ, გახსენით ვაშლნარი და ისარგებლეთ!“ მოუწოდებ-დნენ სოფელს. აზავდა სოფელი თოხებით, ბარებით, ნაჯახე-ბით და დაანგრიეს მოდგმიდან-მოდგმამდე გამაგრებული ვაშლნარის ღობე-ყორე. შეშინებულმა აფხაზმა მეჯინიბემ ჩქარა შეკაზმა თავადი ტიფოს ცხენი, მოახტა ზურგზე და გზატკეცილზე შეაყენა. ფაფარზე ხელი გადაუსვა. სულ ელეოდა აფხაზს ამ ცხენისათვის. სწორედ ცხენის ქურდობი-სათვის იყო აფხაზეთიდან გამოქცეული. ახლა ადვილი ეჩვე-ნებოდა აფხაზურ ფაცხაში დაბრუნება. ეშმაკი ჩაჯდომოდა გულში და აფხაზეთისაკენ ეწეოდა. კიდევ გადაუსვა ცხენს ხელი და ამომავალ მზეს გახედა..

— საით გავფრინდეთ, ჩემო რაშო?—ჩაეკითხა პირუტყვს მეჯინიბე. ცხენმა ნაჩვევი გზისაკენ გაიწია. მეჯინიბემ სადავე მოსწია და მარცხნივ მიაბრუნა ცხენი. ზამთრის მოკლე დღე თვალის დახამხამებაში ჩაიქუფრა. აფხაზმა ფიჩორზე მიაგდო ცხენი. გურიის საზღვარს რომ გასცილდა, მშვიდად ჩაითქვა

სული აფხაზმა, უკან მოიხედა, მის კვალს ღამე დაუფლებოდა.

* *

მომრიგებელი შუამავალი თავადი ტიფო ნაკაშიძე, ზანტად წამოდგა ლოგინიდან, თეთრეულის ამარამ თბილ ბუხარს მიაშურა. რუსული ჩექმები ჩაიცვა და ხელ-პირი დაიბანა. მეორე ოთახში ბავშვები აჟრიამულდნენ. ცოლის ხმაც შემოესმა. საათს შეხედა. სამმართველოში ხალხი ჰყავდა დაბარებული. სწრაფად ჩაიცვა თაგვისფერი ქურქი, კვერნის ტყავით გამოკრული, თავზე ცილინდრი დაიხურა და სახლიდან გავიდა.

მზის თვალს ღრუბლის თეთრი ფთილები მიფარებოდა, უხასიათოდ იცქირებოდა მზე. უცებ მაუზერმა იქუხა ზედიზედ, მომრიგებელი შუამავალი თავადი ტიფო ნაკაშიძე ჭიშკართან გაიშხლართა მიწაზე, ცილინდრი გვერდზე გადაუვარდა. ჯაფარიძის ქალმა კარი გამოაღო, დაინახა რა მეუღლე უსულოდ დაგდებული, წაბარბაცდა და პირქვე დაემხო იატაკზე.

* *

პატაკზე ეწერა: 20... 23... 29...

ლაზარენკო მაგიდაზე ხელებდაბჯენილი დგას. თმა ზღარბივით აბურძგნია, სახე ახორკლია. წუხელ, მაზრის უფროსის პირადი მდივანი, მთელი ღამე პატაკს წერდა. კალმისტარზე ჩამოეყვინთა თვალებგადმოღამებულ, მომცრო ტანის კუზიან მოხელეს. ამ დილით თვალები დასწითლებია. სიწითლე გუგებზედაც გადასდებია.

— კოხტა! ბორის სიმჟავით მოიბანე, კაცო, თვალები, მეშინია შენი შეხედვა. კომპრესი დაიდე,—ეუბნება ლაზარენკო წელმოკლე კუზიან მოხელეს. გულში კი ფიქრობს: „მისი დედა... ვინც შენ კოხტა დაგარქვა“. მოსწყინდა ლაზარენკოს წლობით ამ უემურის ცქერა, მაგრამ ვინ სულელი შეელევა კოხტას. ოქროს ხელი აქვს. გააქნევს კალამს და კი არ წერს, ხატავს. საიდუმლოს შენახვაც იცის კოხტამ. „სინდისიერი ორფეხა ცხოველია“, ასე ახასიათებს უფროსი მის მოხელეს.

ლაზარენკოს არასოდეს არ უფიქრია კოხტას დაწინაურებაზე. კოხტა დაბერდა კანცელარიაში. ვერ ეღირსა ბოქაულის თანამდებობას. ამის მიზეზი მისი „ოქრო ხელია". რამდენჯერ ეაახეთქა იატაკზე კალმისტარი კოხტამ, მაგრამ ისევ აიღო.

— როდის დავიდო, ბატონო, ეს პარტახი კომპრესი. გთხოვთ დროებით მაინც გამათავისუფლოთ.

ლაზარენკომ წარბები შეკრა, კოხტას შეუბღვირა:

— მე კი მათავისუფლებენ? მეორეჯერ არ წამოგცდეს ასეთი რამ! რას ნიშნავს ეს ჩამწკრივებული ციფრები?

— თარიღია, ბატონო! 20 იანვარს მოკლეს ბოქაული კოსტავა და ჩაფარი კოვალენკო.

— ღმერთმა განუ ვენოს ორივეს. ტახტის ერთგულნი იყვნენ,—მაზრის უფროსმა პირჯვარი გადაიწერა.

— 23-ს დასჭრეს ბოქაულის თანაშემწე კვაშალი.

— მძიმე ჭრილობა აქვს?

კოხტა შეყოყმანდა, რაღაცნაირად დაიღრიჯა, მერე თავი აიღო და ყოჩაღად შეხედა უფროსს.

—იქნებ მე გადამიყვანოთ, ბატონო, კვაშალის ადგილზე.

— მიჰქარავ!—ლაზარენკომ ჩექმები დააბაკუნა და უფრო აემრიზა სახე ბრაზისაგან.

— ეს 29 რაღაა?

-- ლანჩხუთის ახლოს რკინიგზის ლიანდაგი აყარეს.

-- საშინელებაა,—წაიჩურჩულა უფროსმა.

-- ამავე დღეს თავს დაესხნენ უფროს ჩაფარს—ნაჭყებიას, წაართვეს იარაღი და ცხენიდან ჩამოაგდეს.

ლაზარენკომ ამოიოხრა. მერე მშვიდად წარმოთქვა:

— დაუმატე თარიღი 31.

კოხტამ კალმისტარი მოიმარჯვა.

„ოავის ჭიშკართან მოჰკლეს მომრიგებელი შუამავალი თავადი ტიფო ნაკაშიძე. გამოვიყვანეთ მთელი რაზმი და სოფელ ზვანამდე მივსდიეთ მკვლელებს, ვერ დავეწიეთ. დავაპატიმრეთ ოთხი სოფლელი, რომელნიც გულგრილად შეხვდნენ ჩვენს შეკითხვას და არ გვითხრეს საით წავიდნენ მკვლელები".

ლაზარენკომ ხელი მოაწერა პატაკს.

— დაიცა, კოხტა!—მიაძახა ოთახიდან მიმავალ მოხე-

ლეს,—დაწერე ბრძანება: „დიტია ვატას ძე მგელაძე... დროა სამსახურს დაუბრუნდეს“.

— გუშინ ვნახე, ბატონო, თქვენ რომ ზვანში წაბრძანდით, მკვლელობის ადგილს, მოვიდა კოჭლობით. არ შემიძლია ცხენზე ჯდომაო.

— კოხტა, მე ნუ მასწავლი!

— მესმის, ბატონო!

ფიქრმა წაიღო ლაზარენკო. სავარძელში ჩაჯდა. სევდა შემოაწვა. „არც მუქარა მოქმედებს ამ ხალხზე, არც მამაშვილური დარიგება. საშიშარია წარმართი გურია, ვისაც ანბანი უსწავლია, ყველა ათეისტია, ვისაც ევროპული ქუდი ახურავს, ყველა სოციალისტია. მოწაფეები ხელმწიფის სურათს გლეჯენ კედლიდან, ღმერთო, დამიხსენი შეშლილებისაგან“.

სამჯერ გადაიწერა ლაზარენკომ პირჯვარი. ზარს თითი დააჭირა, ეტლის შებმა უბრძანა მოსამსახურეს.

მომრიგებელ შუამავალის, თავადი ტიფოს, ქვრივი შავი პირბადით იჯდა მიცვალებულის თავთან. ლაზარენკომ ხალიჩებით დაფენილი დარბაზი გაიარა და გულთბილად მიუსამძიმრა ძალად დაქვრივებულს. დუმდა დარბაზი. ლაპლაპებდა თაფლის სანთლების კელაპტარი. დეკანოზი დუმბაძე კუბოსთან იდგა მოვერცხლილი ოლარით და სახარებას კითხულობდა. სხვა არავინ ჩანდა ჭირისუფალი. როცა ლაზარენკო კუბოს მიუახლოვდა, დეკანოზმა მძიმე ჯვარი ასწია მიცვალებულის გულიდან და საპატიო სტუმარს ჯვარცმული ქრისტე მიაგება.

* *

როსტომ ვაშალომიძეზე მოიდანახეზე დანიშნული განაჩენი თბილისში აღსრულდა. გურიელის სიცოცხლეში მოხდა ეს ამბავი.

როსტომმა შენიშნა, ვიღაც უცნობები უთვალთვალებდნენ მის ოთახს. აუცილებელი საფრთხე მოელოდა. ბათუმში მის დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. პატარ-პატარა ღამის შიკრიკებსაც ვეღარ ხედავდა როსტომი გურიელის კარზე. „კო-

ღო“ სადგურის უკან ნახეს მკვდარი მეეტლეებმა. შიგ გულში ჰქონდა ტყვია ჩამჯდარი. ხმა დადიოდა „ქვეშქვეშამ“ მოუღოო ბოლო. ამით გამოისყიდაო დანაშაული. „ქვეშქვეშა“ მართლაც დაბრუნდა ქარხანაში თავის სამუშაოზე. დაერწმუნებია ამხანაგები იმაში, რომ „ქვეშქვეშას“ დიდი ცოდვები არ მიუძღოდა. პატარა შეცდომები ქრისტე ღმერთმა მაპატიოსო, იცრემლებოდა „ქვეშქვეშა“. „დამაცადეს“ ლანდი აღარ ჩანდა ბათუმში. არც არავინ იცოდა, სად გადაიკარგა. ბოლო ხანებში გურიელი როსტომს შესცქეროდა თვალებში და ვერ ატყობდა, რომ როსტომს მისთვის აღარ ცხელოდა. გაქცევაზე ეჭირა თვალი. როსტომი ახლა თავის გულს ეხმაურებოდა. „საით, როსტომ? სად გაქვს წასასვლელი? გურიელი ვერ დაგიფარავს, სოფელი შენი მტერია. ნათლიდედები ირიბად გიცქერიან. შვილი გადაგიდგა, შვილი, საკუთარი სისხლხორცი...“

არ ასვენებდა როსტომს ფიქრი, სიზმრები, მოჩვენებები. ეგონა ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასდევდნენ შეიარაღებული ტერორისტები. იმ დღეებში ახმახი პოლიციელი მოჰკლეს ნავსადგურში, ბებუთი დაჰკრეს ზურგში და ეს ბებუთი იყო, რომ აწამებდა როსტომს.

ღამე იყო. როსტომი მოდიოდა ქუჩაში და გრძნობდა, აი ახლა წამოეწეოდნენ უკანიდან და დაჰკრავდნენ.

როსტომს უკან-უკან ცქერით კისერი მოეგრიხა. გულამოვარდნილი მიადგა გურიელის კიბეს, შედგა, დაფიქრდა: როსტომს ერთადერთი გზა ჰქონდა—მანჯურიისაკენ. მოაგონდა, ქუთაისში რომ იყო ამას წინათ, სევერიან მიქელაძესთან. სევერიანე მანჯურიაში აპირებდა გასამდიდრებლად წასვლას. არაყის წაღებას ფიქრობდა ფარულად. არაყს კარგი გასავალი ჰქონდა. ერთი პატარა ჩინური ფარდული ჯარის ზურგში—ააშენებდა მიქელაძეს. როსტომი გაირჯებოდა და თავს შეაფარებდა მეგობართან. ახლა როსტომს მხოლოდ ფული სჭირდებოდა სასწრაფოდ. სოფლისკენ ვეღარ მიიხედავდა, თორემ თებრონე ქვას გახეთქავდა და უშოვნიდა. „საწყალი თებრონე“. მარტო თებრონეს უყვარს როსტომი. ერთ კაკალა ძმას ვფიცავო, რამდენჯერ გაუგონია როსტომს

თებრონეს პირიდან წარმოთქმული. შეებრალა დაი. იცოდა, აწ ვეღარ ნახავდა თებრონე მის „ერთ კაკალა ძმას“.

არის დანაშაული, რომლის გამოსყიდვა არაფრით არ შეიძლება.

„არაფრით არ შეიძლება“, დაადასტურა როსტომმა. ახლა ფულია ერთადერთი მხსნელი ვაშალომიძისა და... როსტომმა ულვაშზე გადაისვა ხელი, ჩასკვარამებულ ჰორიზონტს გახედა.

რამ დააბნელა ამაღამ ეს ცა როსტომის სულივით?

„იტყუე... იცრუე... და იხილავ სინათლეს“, ჩასჩურჩულა ვიღაცამ როსტომს ყურში. ეს მისი ჩაღამებული გულისხმა იყო.

ზარს თითი დააჭირა ვაშალომიძემ.

ლევან ესეს ძე ტახტზე იწვა. სადილის შემდეგ ძილი მოჰკიდებოდა, იზმორებოდა, ეზარებოდა წამოდგომა.

— კარგ დროზე მოხვედი, როსტომ, სწორედ შენზე ვფიქრობდი. ამაღამ ერთ ოჯახში ვარ მიპატიჟებული,—თქვა გურიელმა და ზანტად წამოდგა.

— ამაღამ არ გირჩევ, ბატონო, გარეთ გამოსვლას.

— რათა, რა მოხდა?!—გაიკვირვა ურიადნიკმა.

როსტომმა თავი მოიკატუნა, სიტყვა გააზვიადა.

— ვიღაც შავი ნაბდიანები შევნიშნე, შორიახლო გივლიან. ამაღამ ჩემი დაგეშილი ბაცაცები უნდა დავატრიალო. როსტომი არ ვიქნები, თუ მათ სეირი არ დავმართო. მაგრამ, ბატონო, ყველა წინასწარ თხოულობს ამ ოხერს.

როსტომმა თითებით ანიშნა ურიადნიკს,—ფულიო.

ისედაც ფერმკრთალ სახეზე თაბაშირის ფერი დაედო ლევან ესეს ძეს. არ შეიმჩნია.

— როგორ, ვიღაც სადღაც დადის და მე სახლში ჩავიკეტო? ჩემს მდევარს მე თვითონ გამოვუდგები და სიქას გავაცლი.

ლევანმა ტანზე ჩაიცვა. მამაპაპური ხმალი გადაიკიდე და როცა ნაბიჯი კარისაკენ გადადგა, როსტომმა ვედრებით სტაცა ხელი ჩოხის სახელოზე.

— თავადო, გთხოვთ! დამიჯერეთ, ორი საათი მაინც დარჩით შინ. ჯერ მე დავივლი ქუჩებს. სიფრთხილეს თავი არ

სტკივა. თერთმეტი საათისათვის უბრძანეთ ეტლი. გთხოვთ. ორი საათი დამითმოთ!

ლევანი მოლბა. მეგობრულად გადასდო ხელი ვაშალომიძეს მხრებზე და შეჩერდა:

— რაკი ასეა, დაგიჯერებ.

— მე თქვენი კეთილდღეობისათვის ვზრუნავ, ბატონო ჩემო, თორემ როსტომს სულიც დალეოდეს უთქვენოდ.

— მესმის, უშენოდ მძიმე იქნებოდა, როსტომ, ჩემი ცხოვრება. აღარ ვხედავ კაცს სულით მონათესავეს, გულის მეინახეს, შენს გარდა. მოდი, თითო ჭიქა არაყი შევსვათ ამ ცხელ გულზე, — მაგიდას მოუბრუნდა ლევანი, არაყი ჩამოასხა,—ჭაჭის არის. გაგიმარჯოს, ძმაო!

ჭიქები მიუჯახუნეს ერთმანეთს. გურიელმა განაგრძო:

— მე ვისურვებ, ჩვენი მეგობრობა ასე მტკიცე ყოფილიყოს მუდამ. ერთი რამ გწამდეს, როსტომ, რუს ხელმწიფის ტახტი ურყევია. სამასი წელია რომანოვების გვარი მეფობს. სამას წელიწადს იმეფებს კიდევ. დაიხსომე, როსტომ, ჩემი სიტყვა. ეს ლაწირაკები დაღუპავენ საქართველოს. თვითონაც დაიღუპებიან ისე, რომ მათი სინსილა არ დარჩება. გაგიმარჯოს!

გურიელმა ვაშალომიძე გადაკოცნა.

როსტომს მღელვარება დაეტყო. სინანულის პაწია გრძნობა აუჩქროლდა გულში. ათი წლის მეგობართან ვერ გამონახა თაღლითი სიტყვა. მართალი არ ეთქმოდა, საკუთარი ტყავი უფრო ეწვოდა. წასასვლელად წამოდგა.

ურიადნიკმა ყუთი გამოაღო. ხუთიოდე ოქრო ჩაუდო ხელში როსტომს. არ დამაგვიანოო, — დააბარა.

ეს უკანასკნელი საუბარი ასე დამთავრდა ლევან გურიელსა და როსტომს შორის—1905 წლის ექვს იანვარს—ნათლიღება ღამით. რა იცოდა გურიელმა, თუ მისი სიცოცხლის დღეები დათვლილი იყო. არც როსტომმა იცოდა, „გადარჩენის“ გზაზე დამდგარს, რომ სიკვდილი ყურის ძირში უდარაჯებდა.

როსტომ ვაშალომიძე მეორე დღეს თბილისის სადგურზე ჩამოხტა საბარგო მატარებლიდან. არ შეუმჩნევია იმავე მატარებლიდან როგორ ჩამოვიდა ნაბდიანი ვაჟკაცი შავი ყაბა-

ლახით თავწაკრული. ფეხდაფეხ მისდევდა ბათუმიდან გამოპარულ ჯაშუშს. როსტომი სადგურის უკან გავიდა, თავისუფლად ამოისუნთქა. ყოველი ხიფათი ბათუმში დატოვა ეგონა, ახლა მანჯურიისაკენ მიქროდა როსტომის ოცნება. თვალწინ ეხატებოდა სეევერიან მიქელაძის ჩინური ყაიდის ფანზა, პატარა მაგიდები და არაყით გალეშილი რუსის ჯარისკაცები. ღმერთმა ააშენოს ოიამას ოჯახიო, უნდოდა ეთქვა თავის გულში და უეცრად დაიგრიალა ბრაუნინგმა. როსტომი წაიქცა. მკვლელობის ადგილას მკვლელის ნაბადი ეგდო უპატრონოდ, ვილაცამ აიღო და მიცვალებულს წააფარა.

თებრონემ გვიან გაიგო ძმის სიკვდილის ამბავი.

მეც ამიტომ მომიხდა გარდაცვლილი ადამიანების ურთიერთგანწყობილებაზე საუბარი.

ზამთარი უკვე გასული იყო. ცხრაას ხუთი წლის გაზაფხული იწყებოდა. ლევან გურიელი კარგა ხნით ადრე განისვენებდა მამა-პაპათა სასაფლაოზე. გურიელის გულზე ბაილეთის ზეგნის ძელქვები ეყარა. არავინ რგავდა მის საფლავზე ვარდსა და სუსამბარს.

თებრონეს მოთქმას ყურს არავინ უგდებდა. მარტი დგებოდა. საგაზაფხულო შრომაში გართულიყო სოფელი. ხნავდნენ, ფარცხავდნენ გურიელის უპატრონო მიწას. ნაკაშიძის მიწასაც ჩალავდნენ, ხნავდნენ. თებრონეს სად ჰქონდა მუშაობის თავი. მის საყანე ზეგანში ალენჯა იკიდებდა ფესვს.

დია ეხვეოდა, ეფერებოდა, კოცნიდა მამიდას. ნუ ტირიო,—ეხვეწებოდა,—სოფლის ყბად ასაღები გახდებიო.

თებრონემ დაუჯერა დიას. მარტო მუნჯი გოგო ხედავდა მის ცრემლებს. დიამ მკვიდრი დის უფლებით აღადგინა მუნჯი გოგო ოჯახში. სოფელში ახალი საპორიკანო ამბავი გავრცელდა: მუნჯი გოგო როსტომის ბუში არისო. თებრონემ იმიტომ შესწირაო თავი მის გაზრდას, ამიტომ დაბერდაო გაუთხოვარი.

სოფელში ამასაც ჩურჩულებდნენ: „დიამ პირველმა მოაწერაო ხელი მამის სასიკვდილო განაჩენს“.

თებრონეს ვერ უბედავდნენ ამ „მომაკვდინებელი ცოდვის“ გამხელას. ამ ამბავმა ბეგლარ მანთიძის ყურამდეც მიაღწია. მაკამ სიმართლის ნასახი შეიცნო დიას მოქმედებაში.

— ბეგლარ, წადი, კაი საქმე არ დაგვეკარგება, ორი კაკალი სიმინდის თესლი ჩაუგდე იმ გოგოს ჩვენს გაწმენდილ ზეგანში! — შეემუდარა მაკა თავის მეუღლეს. ბეგლარს არ გაჰკვირვებია მაკას გულკეთილობა. სოფელში ერთი წარმოდგენის დადგმით გაითქვა დიამ სახელი. პირველად დიამ აჩვენა ხალხს „არსენა". ახლა ქოხსამკითხველოს დასაარსებლად ზრუნავდა. ყველას უყვარდა დია. მაგრამ მაინც შეჭოჭმანდა ბეგლარი.

— მერმე რას იტყვის, ქალო, სოფელი?

— სოფელმა რა უნდა თქვას? დია ხომ სოფლის მომხრეა. ცოდვას ვერ ვიტყვი, თებრონესაც არ მოსწონდა გურიელისა და როსტომის მეგობრობა. მაინც ჰკითხე მირიანს და სეფეს. მათი საქმე არ არის?

თებრონეს ხმა არ ამოუღია. ეგონა მანთიძემ მიითვისაო მისი გაწმენდილი მიწა.

ერთ დღეს წყაროზე მიდგა მაკა, გამოიხმო თებრონე და თავაზიანად მოახსენა:

— ქალბატონო, შეგიძლიათ უპატრონოდ თქვენს ზეგანს. ბეგლარმა ყანა დიას დაუთესა.

თებრონეს მუხლები მოეკეცა. საშინელი სირცხვილი იგრძნო. მოაგონდა, უკანასკნელი გოჭი რომ წაართვა ღალაში გვალვიან წელს მანთიძის ოჯახს. ენა ჩაუვარდა, გაიხსენა საღმრთო წერილის ერთი სიტყვა: „წინანი უკან" და სინანულით გადახედა მაკას.

მზადება კრიმ-გირეის [1] შესახვედრად

შუაღამე გადასულიყო. ჩაქუფრულიყო ცისკიდურები. ასპიროზის ციმციმს ელოდნენ მგზავრები. მდინარე სუფსის ნაპირს მიყვებოდნენ ზღვისკენ. ზანტად მიედინებოდა სუფსის მღვრიე ტალღები, არ ჰგავდა ნატანებისა და ჟუჟის ვერცხლისებრ ჩხრიალს. მუდამ ტალახისფერ სუფსას იშვიათად თუ ნახავს კაცი დაწმენდილს. მაინც მდინარის ხმაურზე არ-

[1] კრიმ-გირეი—მეფის ლიბერალური მოხელე: მთავარმართებლობის საბჭოს წევრი.

ჩევდნენ სიარულს. ამაღამ ხიდისთავში ჰქონდათ კრება გურიის მეთაურებს. გარს უვლიდნენ სოფელს.

ძალზე დაქანცულიყვნენ მგზავრები. ესენი ქვედა გურიის ორგანიზაციის წევრები იყვნენ; მირიანი, სეფე და ლუკა შეგრელიძე. მახარეც დაბრუნებულიყო თბილისიდან და ამაღამ შინ აპირებდა დარჩენას. მათ ორი ახალგაზრდა სტუდენტი ახლდა:—ქართველი ებრაელი მოშიაშვილი და ივანიძე. ორივე ქუთაისლები იყვნენ, ხოლო პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ. უკვე დაემთავრებინათ უნივერსიტეტი. გურიის ამბებით დაინტერესებულნი თათბირს ესწრებოდნენ. ყველას საგზალი ეკიდა ზურგზე. ძლივს მიადგამდნენ ფეხებს. სტუმრები სადგურისკენ იჩქაროდნენ.

მოშიაშვილი არ იმჩნევდა დაღლილობას. ბრიუსელის ყრილობის შედეგებზე ედავებოდა ივანიძეს რაღაცას, მათ დავაში არ ისმოდა მტრული განწყობილება ერთმანეთისადმი. უფრო თვითგამორკვევის ამბავს წააგავდა.

მოშიაშვილი წინათ „„ბუნდის“ წევრი იყო, ივანიძე ლენინური „ისკრას“ მიმდევარი. ბრიუსელის ყრილობის შემდეგ ორთავეს სოციალდემოკრატიული პარტიის მანდატით მოჰქონდათ თავი. აშკარად ამბობდნენ, რომ მათ გლეხური მოძრაობა უფრო კარგად ესმოდათ. მირიანი დუმდა. მირიანს თოფზე და იარაღზე ეჭირა თვალი. მას მხოლოდ ერთი რამ სწამდა კარგად — მტერი და მოყვარე. მახარე ყურს უგდებდა ახალი გაცნობილი მეგობრების საუბარს და რაღაც დიდი და დიადი გრძნობა აკავშირებდა მათთან. ეს არ იყო მარტო სამი დღის მეგობრული ნაცნობობის შედეგი. უფრო ბრწყინვალე ამბები ედო საფუძვლად მახარეს გულში. ეს იყო ის, რომ ბრიუსელის ყრილობის შემდეგ ეს ორი ახალგაზრდაც მახარესთან და მირიანთან ერთად ლენინის მხარეზე იდგენ. კომუნისტური გრძნობით მიიწევდნენ რევოლუციისაკენ და დიდი ხელმძღვანელის მითითებებს იზიარებდნენ: „გამარჯვებისათვის ბრძოლაა საჭირო და ბრძოლისათვის იარაღი...“

მახარესთვის გამორკვეული იყო მეორე ყრილობის ამბები. ჯერ კიდევ 1904 წლის ბოლოს ბარცხანაში გამართულ „უმცირესობას“ და „უმრავლესობას“ შორის დისკუსიებს

შახარეც დაესწრო. მაშინ მახარემ მტკიცედ გადადგა ნაბიჯი უმრავლესობისაკენ და ასე დაახწია თავი მენშევიკური „ობობის ქსელიდან“. ხოლო ამას კი გრძნობდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა მახარეს.

მირიანმა თანამგზავრებს გადახედა და ახალგაზრდებს შეეხმიანა:

— ჯობს, იარაღს მოვკიდოთ ხელი, ძმებო! ლათაიებით ვის შევაშინებთ!

დუმდა ღამე. მიდიოდნენ ექვსნი. დუდუნებდა სუფსა.

* *

დღეს მეთაურთა კრებაზე ბევრი ფარული „მრჩეველი“ ეწვია გურიას.

ეს ფირცხალავაო, ეს ლასხიშვილიო, ეს ნათაძეო, თბილისელებით აივსო ხიდისთავი. გარს შემოუარეს ოზურგეთს. ასკანა, ჩოხატაური, ლანჩხუთი—აქეთ მიიმართებოდა კრიმ-გირეის მარშრუტი.

რას ეტყვის ხალხი კრიმ-გირეის ამისთვის იყვნენ ყველანი ჩამოსულნი.

— ვინ არის ეს ლასხიშვილი? — იკითხა მოშიაშვილმა. თან დაუმატა:—კარგი მოლაპარაკეა ვიღაცაა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა არ იცოდა საქართველოში რამდენი პარტია არსებობდა, ან ამ პატარა ქვეყანაში ყველა მოკალმე ჯგუფებს თუ თავისი ჟურნალ-გაზეთი ჰქონდა. ჯერ სავსებით არ გასცნობოდა ადგილობრივ ამბებს. მოშიაშვილი ოთხი წელი მოწყვეტილი იყო საქართველოდან. ზაფხულობითაც პეტერბურგში რჩებოდა საქმეების გამო.

— დემოკრატია,—უთხრა მახარემ, — კერძო საკუთრების მომხრეა. „იზმი“ არ განხორციელდებაო, დაგვცინიან კიდეც.

— დაიკარგოს იქეთ, — თქვა მირიანმა მკვახედ,—მაგისთანა „მრჩეველს“ ფეხს არ დავადგმევინებ გურიაში, თუ ულვაში მაქვს.

— ი ფირცხალავაც ძალიან იგდებდა თავს, — თქვა სეფემ,—ვინ არის, რა იდეის კაცია? გამეცინა, სათვალეს ქვევიდან გვიცქეროდა. კინაღამ დავუძახე: მოიხსენით სათვალე, იქნებ უფრო კარგად დაგვინახო-მეთქი.

ძალიან დაქანცული იყო ივანიძე, მაგრამ ისე გულიანად გადაიხარხარა სეფეს სიტყვაზე, რომ ყველანი აჰყვნენ მის სიცილს.

— „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელია, ფედერალისტი,—განმარტა ისევ მახარემ.

— არა, საკვირველი ის არის,—მოგვიანებით გაიღიმა ლუკამ,—ყველა იმას ცდილობს, თავიანთი აზრი მოახვიონ თავზე ხალხს.

— კარგად უპასუხა ერთმა ამხანაგმა: ხალხმა უფრო კარგად იცის თავისი სატკივარი. მომეწონა,—განაგრძო სიტყვა ძოშიაშვილმა.—ის ვინღა იყო, დაყუდებულ ბერს რომ ჰგავდა?

— იმას მე ვიცნობ კარგად, — თქვა ივანიძემ, — არაუშავს, კეთილშობილი კაცია. ერთ დროს ტოლსტოის მიმდევარი იყო, მაქსიმალისტია, სტუდენტობის დროს პირველ წლებში ერთად ჩავკირკიტებდით ჩერნიშევსკის. მერმე დაგვეკარგა ერთმანეთის მისამართი.

უცებ შეწყვიტეს საუბარი. ცხენების ფლოქვების თქარათქური მოესმათ.

მირიანი, რომელიც მეგზურის მოვალეობას ასრულებდა, სწრაფად შემობრუნდა და ამხანაგებს შესძახა:

— გადადექით გზიდან, მეგობრებო!

ერთ წუთში ყველანი მიიმალნენ, ჩირგვების უკან ჩაწვნენ, ხეებს ამოეფარნენ. მირიანი დიდ რცხილას აეტუზა, იარაღი მოიმარჯვა. არ გასულა ხუთი წუთი, ჭენებით ჩამოაქროლა ცხენები ორმა მხედარმა, ჩასცილდნენ მიმალულ მგზავრებს და პირდაპირ სუფსაში გადააგდეს ბედაურები, არ ეძიეს ფონი. მირიანმა მოგვიანებით იცნო აფთონი. „მეორე ბიქტორი იქნებოდა უთუოდ“, ჯუმათის მონასტრისაკენ მიაჭენებდნენ ცხენებს. მირიანმა არაფერი თქვა. თუმცა იცოდა, ჯუმათის მონასტერში იარაღი ჰქონდათ ამხანაგებს შენახული ბერებთან.

მახარე დაეწია დაწინაურებულ მირიანს და დაბალი ხმით წასჩურჩულა:

— ჩვენები იყვნენ არა? რატომ არ შეაჩერე?

— ვერ გავარჩიე ბნელში, გვიან ვიცანი.

— ხვალ იარაღი უნდა ჩააბარონ პარტიზანებს.

— ალიხანოვს ჰგონია, გავანიავებო გურიას. ვნახოთ, — ჩაიცინა მირიანმა.

ალიხანოვ-ავარსკი დამსჯელი ჯარით ნატანებში იდგა და მალამას ბრაზი ადგა ყელზე, რად გამოგზავნაო კრიმ-გირეი გურიაში.

ორი კაფანდარა

„ძიმ-ძიმ“... წკარუნებდნენ მონასტრის წვრილი ზარები. ორი ხანში შესული ბერი დაფუსფუსებდა ეკლესიაში. ორივე გამხდარი, კაფანდარა. ერთს მეჩხერი შავი წვერი ვაცივით ჩამოეშვა გრძელ ნიკაპზე. მეორეს, უფრო შავგვრემანს, ყურებამდე გაებურძგნა შავი ხშირი წვერ-ულვაში და სტაფილოსფერი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა.

მონასტრის გვერდით სენაკში ორი ძალზე მოხუცი მონაზონი ცხოვრობდა. ერთი დავარდნილი იყო ლოგინად, მეორე—მანიჟა მონაზონი ძლივს იდგა ფეხზე. ყოველ შაბათს შევიდოდა მანიჟა ეკლესიაში, დაემხობოდა ღვთისმშობლის წინ და ევედრებოდა უფალს: „უფალო, მიიღე სული მონისა შენისა — ჯუფანა მონაზონისა, ვინაიდან არ არს მწირსა სენაკსა სიცოცხლე მისი, არ.არს ფეხისდგმა მისი, არ არს სენაკსა სიცოცხლე მისი, არ არს ფეხისდგმა მისი, არ არს საზრდო კუჭისა მისისა, მუცლისა მისისა, ჭიებისა მისისა. არა ბრწყინვალებს მზე თვალთა მისთა. მიიღე უფალო სული ჯუფანა მონაზონისა“.

შაბათი საღამო იყო. არავინ მიდიოდა მონასტერში სალოცავად. არავის მიჰყავდა ზვარაკად შესაწირავი ციკანი, არც მოზვერი — ვერცხლით რქამოჭედილი. აგერ ორი წელიწადი მიდიოდა, მონასტერში ზედაში არ დაღვრილა მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად.

— უფალო, მოხედე ქვეყანას შენ მიერ გაჩენილს. უფალო, გვიხსენ გზასა ეშმაკეულსა,—ღაღადებდნენ ბერები.

დიდმარხვა იდგა, მაგრამ არავინ მიდიოდა ეკლესიაში წმიდა ზიარების მისაღებად. დაღონდნენ ბერები. საერთო ბეღელში პურის ფინჩხი გამოელიათ. ელოგიისათვის სეფისკვერი არ გააჩნდათ. მთელი დღე გზისკენ აცეცებდნენ თვალებს, იქნებ გამოჩნდესო ვინმე ქრისტიანი.

— ზოსიმე! ზოსიმე!—ღია კარიდან მიაძახა სერაფიონმა საკურთხევლის წინ ზურგშექცეულ ზოსიმეს,—ერთ წუთს აქ მობრძანდით!

ზოსიმე სასწრაფოდ გამოვიდა ეკლესიიდან. ეგონა ჯუფანა მონაზონი გაათავისუფლაო დედა მარიამმა. სერაფიონმა არ აცალა ამოსუნთქვა, მძლავრად წაავლო ხელი ანაფორის სახელოში და ჩიქჩიქით მიიყვანა ორღობესთან.

— გადაიხედე, ზოსიმე,—ჩასძახა ყურში.

ზოსიმემ შუბლი მოიჩრდილა, გაიღიმა. მეჩხერ წვერზე სიამოვნებით ჩამოისვა ხელი.

— მადლობა უფალს! — კმაყოფილებით წარმოთქვა სერაფიონმა.

გამოცუნცულდა ზოსიმე, მონასტრის კარი ფართოდ გააღო. აღსავლის წინ ფეხთსაფენელი დააგო. გარდამოხსნას ფარჩა ახადა და გამოიტანა კუბოზე გადასაფარებლად. ისევ გავიდა გარეთ, სერაფიონს ამოუდგა გვერდით, გადაიხედეს. რვა კაცი შემოდგომია მონასტრის აღმართს. უზარმაზარი ფიცრის კუბო შეუდგამთ მხარზე.

ღამის ბინდი ეფინებოდა სოფელს. შორს, დაბლობში მიმოფანტული ქოხ-ფაცხებიდან კვამლი ამოდიოდა. ვახშმის მზადებას შესდგომოდნენ ქალები. მიცვალებული მონასტრის კართან მოასვენეს.

— ღვთით მომადლებულო მამებო,—დაიწყო ერთმა, როცა კუბო ფეხსაფენელზე დადგეს,— ეს მიცვალებული მდევკაცისოდენა იყო. ბრგე მხარბეჭი ჰქონდა. ამ დილით უცებ გაეპარა სული.

— ცხონებული ყოფილა, შვილო,—სასოებით წარმოთქვა სერაფიონმა.

— დიდი ვინმეა. თბილის ქალაქიდან არის. სანამ კაცს

გავგზავნით. ძმას გავაგებინებთ ამ უბედურებას, მანამ აქ ესვენოს.

შეშფოთდნენ ბერები. ზოსიმემ თვალები დააჭყიტა.

— უწმინდური სუნი გაუვარდება, — თქვა სერაფიონმა მორიდებით...

— არა, მამაო, ნუ სწუხარ!—ყველამ ერთხმად წამოიძახა.

— ეს წმიდა მიცვალებულია,—განაგრძო მეთაურმა, — თიხაში გვყავს ჩასმული. მიხედეთ, ქრისტიანია. უწირეთ, ულოცეთ ქრისტიანულად.

მეორემ ათიოდე ვერცხლის მანეთიანი ამოიღო ქისიდან.

— ეს თქვენ ინებეთ წირვა-ლოცვისათვის. როცა ძმა ჩამოვა, კიდევ მოგცემთ. ღამით მარტოდ არ მიატოვოთ, მამაო, ქრისტიანია.

— უფალმა აცხონოს სული თქვენი მიცვალებულისა, — თქვა სერაფიონმა.

— ვალდებული ვართ ეუპატრონოთ, — სიტყვა დააბოლოვა ზოსიმემ. ვაშალა ყვითელი სირმანაქსოვი ფარჩა და კუბოს გადააფარა. შემობაჯბაჯდა მანიჟა, დაიჩოქა და ფორთხვით მივიდა კუბოსთან. კუბოზე დასვენებულ ჯვარს ეამბორა, პირჯვარი გამოისახა: დიდი ხანია მანიჟას ზედაშეში ჩაწებული თეთრი პური არ უჭამია. ყველას ხელში შეხედა. ერთმა ამოიღო ჩანთიდან ერთი ბოთლი ღვინო და ბამბასავით თეთრი პური. ყველას თითო ჭიქა ღვინო დაუსხა და თითო ნაჭერი პური ჩამოურიგა. გახარებულმა მანიჟამ, როცა პური ჩალუკმა, მერე გაახსენდა საპყარი ჯუფანა მონაზონი.

— შვილებო, — აქაქანდა მანიჟა ნახევრად მტირალი ხმით, — ერთი ლუკმა ჯუფანა მონაზონსაც ახვედრეთ, საპყარია, შვილებო, მადლია.

— აჰა, ეს ჯუფანას,—სიცილით თქვა „მერიქიფემ“.

ფრთაშესხმულივით წაფარფატდა მანიჟა სენაკში. კარში შესვლისთანავე ლოცვის ხმით აღაღადა:

— უფალმა მოისურვა შენი დაპურება, ჯუფანავ!

ჯუფანას ნიკაპი აუცახცახდა თეთრი პურის დანახვაზე. ჭიქაში წითელი ღვინო ბრჭყვიალებდა.

— პანაშვიდის შემდეგ, ზოსიმე დარჩა კუბოსთან ღამის სათევად. შუაღამე დადგა. ერთი ღერი თაფლის სანთელი

ბეჭეტავდა კელაპტარზე. ყვინთავდა ზოსიმე და ბუტბუტებდა გაზეპირებულ ლოცვებს. უცებ ლოცვა შესწყვიტა. თავი ასწია, მიიხედ-მოიხედა. ეკლესია დაკეტილი იყო. გუმბათის სარკმელში მთვარე იქვრიტებოდა. ზოსიმეს რაღაც გამოურკვეველი ეჭვი შეეპარა გულში. თიხაში მიცვალებული თავის დღეში არ სმენია ბერს. ასწია ფარჩა, მოშინჯა კუბოს თავი, მაგრად იყო დაჭედილი. მერე ფეხებთან მივიდა, ეცადა კუბოს აწევას, მაგრამ ვერ დასძრა. „ცოდვილია უბედური", გაიფიქრა ბერმა. გულში მაინც რაღაც სხვა დარჩა. შეშინდა, ყური მიუგდო, კარზე სერაფიონი აბრახუნებდა. ცვლის საათი მოღწეულიყო.

ახლა სერაფიონმა შესცვალა ზოსიმე.

ინათა, სადაფისფერი შუქი მოეფინა მონასტრის რუხ ქედლებს. სერაფიონი ყვინთვიდან გამოერკვა. ახედა გუმბათს. ლურჯი ცა კამკამებდა. კელაპტარი ჩამქრალიყო. ადგა ბერი, თაფლის სანთელი აანთო. დილის ლოცვას შეუდგა. „უ-ფა-ლო, შეი-ი-წყა-ლე მო-ნ-ა შე-ნ-იი ფ... ფ... ფ..." გადაავიწყდა სერაფიონს მიცვალებულის სახელი. გაშეშდა ბერი. მიატოვა ლოცვა. საკურთხეველში შევიდა. კუთხეები მოათვალიერა. ტრაპეზს ახედ-დახედა. მობრუნდა. ისევ კუბოს დააშტერდა. ძალზე დიდი მოეჩვენა, უზარმაზარი. „ჯერ თიხაა ალბათ ჩადებული, თიხაში კი კაცი, მერე კიდევ თიხითაა დახურული". ასწია ფარჩა, დაყნოსა, მიცვალებულის სუნი ვერ შეიცნო. მივიდა ფეხებთან, ზოსიმესავით მოინდომა კუბოს აწევა, ვერ დასძრა. „უჰ, უჰ, რა ცოდვილი ყოფილა!" ზოსიმესებურად წარმოთქვა სერაფიონმაც. კარისკენ მიბრუნდა. კარში ზოსიმე შემოხვდა, ხელპირდაბანილი. გაუკვირდა სერაფიონს, რამ გააღვიძაო ასე ადრე მთელი ღამის უძინარი ბერი, ხელში ჩანთა ეჭირა ზოსიმეს.

— მამაო სერაფიონ! პურისთვის წავალ სადგურში, — მორიდებით მიმართა ზოსიმემ სერაფიონს და თვალში შეაცქერდა — რას იტყვისო. სალარო სერაფიონს ებარა. სერაფიონი მომთვარულივით იდგა გალენჩებული, რაღაცაზე ფიქრობდა. მოგვიანებით მოიქექა თავი და ალმაცერად თქვა:

— -მამაო ზოსიმე, ჯერ ვილოცოთ ამ ცოდვილი კაცისათ-

ვის. ყოველ საათში მძიმდება და სივდება, ლამის საყუდელი ამოხეთქოს.

შეყოყმანდა ზოსიმე, მიცუცქდა კუბოსთან, დაყნოსა:

— პა-პა-პა... სუნი გავარდნია.

სერაფიონიც მიფარფატდა, დაყნოსა, დაიჯღანა ბერი.

— წუხელს აქეთ სულ წამხდარა.

აფუსფუსდნენ ბერები, ჩაიცვეს ოლარი და შეუდგნენ ლოცვას. მიადგნენ ისევ სახელს „უ-ფა-ლ-ო-, შ-ე-ი-წ-ყ-ა-ლ-ე სუ-ლი-ი მო-ნი-სა შე-ნი-სა ფ... ფ... ფ“...

— ზოსიმია, — გაბრაზებულმა წამოიძახა სერაფიონმა,— რატომ სახელი არ დაიწერე ამ მიცვალებულის? ხომ იცი, გულმავიწყი ხარ.

— რატომ შენ არ დაიწერე? ხომ იცოდი მახსოვრობა გაკლია! — მკვახედ უპასუხა ზოსიმემ.

— შენ უნდა დაგეწერა.

— რატომ მე და არა შენ?—დაიბღვირა სერაფიონი.

„ფ... ფ... ფ“... — განაგრძო ზოსიმემ და გახარებულმა დაიყვირა: „ფილთანელ“.

გალობით დაამთავრეს ლოცვა ბერებმა.

დგას ზოსიმე, ელოდება როდის მოიღებს ხმას სერაფიონი. სერაფიონმა ათი ვერცხლი დათვალა, თითო მანეთიანი.

ზოსიმე ხელში უცქერის.

— ერთი მანეთი გეყოფა.

— მანეთი რაა. მანეთისთვის გავიცვითო ფეხის გული?— ბურდღუნებს ზოსიმე.

— ადამიანო, დაზოგვა უნდა ვისწავლოთ. დროებას უნდა მივყვეთ. ერთი აბაზის ხახვს იყიდი, სამი აბაზით ღვინოს,—აბაზიც პურისათვის.

— მამაო სერაფიონ, მონაზნები შაქარს თხოულობენ მისაკვნეტად. დიდი ხანია ჩაი არ მიურთმევიათ.

— რა თქვი ზოსიმია?—გაბრაზდა სერაფიონი, — არ მიურთმევიათო? ვინ უნდა მიართვას?

ზოსიმემ გრძელ ნიკაპზე ჩამოისვა ხელი და მეჩხერი წვერი ააფაფალა, ულვაშში ჩაიცინა და წვრილი თვალები ეშმაკურად შეაჭყიტა სერაფიონს.

— ვინც ჩვენ მოგვართვა, მამაო! მერე ცისკენ ააპყრო

ზოსიმემ თვალი. უკმაყოფილოდ აიღო მანეთიანი და ფეხის თრევით გაუდგა გზას. ნელა მიდიოდა ზოსიმე, თითქო რაღაც რჩებოდა უკან. ზეთისხილი ენატრებოდა ბერს. დიდმარხვა იყო, ხარება ახლოვდებოდა. დოში გაახსენდა, დიდი ხანია ზურგიელი არ უჭამია. „ახი იქნება ცოცხალი არ დახვდებოდეს ზოსიმეს ძუნწი სერაფიონი“. ეს გაიფიქრა და ერთხელ კიდევ ამოიხედა ზევით, თავდაღმართში მიმავალმა. დაინახა სერაფიონი, გორაზე გადმომდგარიყო.

— სერაფიონ, მამაო, რას მიბრძანებ, ზეთისხილი მოვიტანო? — ამოსძახა ქვევიდან.

სერაფიონსაც უშრებოდა პირი ზეთისხილისათვის, მაგრამ არ იმჩნევდა, მომჭირნეობას იჩენდა. რაკი ზოსიმემ გაახსენა, ამოიღო მანეთიანი და გადაუგდო.

მზე ამოვიდა. სერაფიონი საფლავის ქვაზე ჩამოჯდა. საით გაიხედოს, რომელი სილამაზით დასტკბეს. დასავლეთით ზღვა გაჭიმულა ცისკიდემდე, აღმოსავლეთით ბუმბერაზი მთები აყუდებულან. ორივე მიმზიდველია, ორივე მშობლიური. უყვარს სერაფიონს ეს ქვეყანა, ეს სიცოცხლე. მაგრამ... უფრო უყვარს მეორე სიცოცხლე... „აქ ლეშია ადამიანის, იქ სული მარადიული. ვაი იმას, ვინც სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს, ვინც ბეწვის ხიდს ვერ გაივლის“. დახედა სერაფიონმა შის გვერდით გაშოტილ ფართო ლოდს. არაერთხელ წაუკითხავს ეს წარწერა: აქ განისვენებს ახალგაზრდა თავადი ვარდინ გუგუნავა, დედის ერთა შვილი“. ქვევით მიწერილია: „წყეული იყოს ქალის სიყვარული“.

სერაფიონს გაახსენდა პაშა ერისთავი, უნაკლო სილამაზით შემკული თვრამეტი წლის მონაზონი. ჯუფანამ მოაქცია პაშა მონაზნად. ჯუფანასთან ცხოვრობდა სენაკში, შავებით პირდაბურული შემოდიოდა სალოცავად ეკლესიაში. მონაზნად მოქცევის შემდეგ, როცა ბერებმა ლოცვა-კურთხევით დაამკვიდრეს პაშა მონასტერში, სამუდამოდ წაშალეს ხსენება ერისთავისა. პირველ ხანებში ბევრი საჩუქრები მისდიოდა ნათესავებიდან „პაშა მონაზონს“, ვერ ივიწყებდნენ ნათესავები ერისთავის მშვენიერ ასულს. ტიროდნენ, რად გამოეთიშაო ქვეყანას, რა ჩაუჯდაო გულში. სწყევლიდნენ ვარდინ გუგუნავას დედას; მაგ კაპარნახის ბრალიაო ყველაფერი. საქმე

ასე იყო: ქრისტეს ამაღლების წინა დღით ვარდინი დაპირებოდა ააშას, რომლის სიყვარული ადრევე ენთო ჭაბუკს გულში, ხვალ დილით ცხენებს მოვიყვან და ამაღლებაში წაგიყვანო საეკლესიო დღესასწაულზე. გათენდა ამაღლება დილა. ვარდინი დედის უკითხავად შევიდა საჯინიბოში, შეკაზმა ცხენები, შეჯდა ერთზე და მეორე ქალისათვის გამოიყვანა შეკაზმული. ამ დროს ვარდინის დედა გამობრძანდა აივანზე.

— სად აპირებ წასვლას, ყმაწვილო? — მკვახედ ჰკითხა შვილს.

— პაშასთან, — უპასუხა ვარდინმა.

— ტყუილად გიფიქრია. ახლავე მოხადე უნაგირი ცხენებს!—ბრძანებით გადმოძახა აივნიდან. ვარდინს ხმა არ ამოუღია. უსიტყვოდ შეასრულა დედის ბრძანება. გამოვიდა საჯინიბოდან და იქვე მოიკლა თავი. პაშა ერისთავი მონასტერში ჩაიკეტა. „პაშა მონაზონის“ სახელწოდება მიიღო. სამი წელიწადი იგლოვა ვარდინი. სამ წელიწადს ილოცა სულისათვის.

ერთხელ ოზურგეთიდან ახალგაზრდა ოქრომჭედელი ვანო ავიდა მონასტერში. შესაწირავი მიართვა ბერებს დედის სულის მოსახსენებლად. პაშა მონაზონმა დაინახა თუ არა ვანო ოქრომჭედელი, დაიჩემა: ვარდინ გუგუნავას ჰგავსო. ადგა და გაედევნა. თორმეტი შვილი გააჩინა ვანო ოქრომჭედელთან და სიყვარულით გაატარა ღარიბული ცხოვრება.

სერაფიონს აგონდება ეს ამბავი, დასცქერის ლოდს და ფიქრობს: „ვარდინ გუგუნავა, როგორც თავისმკვლელი, ვერასოდეს ვერ ეღირსება სასუფეველსა უფლისა. ერისთავის ასულს აპატიებს უფალი შეცდომას, ვინაიდან პაშამ შეიყვარა მდაბიო ადამიანი და თორმეტი შვილი აღუზარდა ქვეყანას“. გაიფიქრა ეს სერაფიონმა, მაგრამ უცებ არ მოეწონა ნაფიქრი. „როგორ? მარტო ვარდინი იყო დამნაშავე? პაშას სიყვარულმა არ მოაკვლევინა ვარდინს თავი? მერე იმ დედაკაცმა ღვთისმშობელიც რომ შეარცხვინა? მონაზნებს სახელი გაუტეხა. ეშმაკი ეჯდა ალბათ ტანში... ჩვენთან არს უფალი...“ პირჯვარი გადაიწერა სერაფიონმა. თვალი მოჰკრა აღმართში მომავალ ორ მხედარს. წამოდგა, დააკვირდა. ერთერთი ის იყო, რომელმაც ვერცხლი აჩუქა. გაუხარდა, მიცვალებული მოიკითხესო. აგერ ზოსიმეც გამოჩნდა ნავაჭრით

მხარზე აბგაგადაკიდებული. ზოსიმემ პირდაპირი ბილიკით ამოასწრო ცხენოსნებს.

დაფაცურდნენ ბერები. გადაიცვეს ოლარები და შეუდგნენ ლოცვას.

აფთონმა და ბიქტორმა თქარუნით მოაგდეს ცხენები ეკლესიის კარზე. შეხედეს ღვთის მსახურთ და ულვაშში ჩაიღიმეს.

სანამ მხედრები დაქვეითდებოდნენ, შალწამოსხმული მანდილოსნები შემოიკრიბნენ სამლოცველოში. სერაფიონს თვალები გაუბრწყინდა. დიდი ხანია ამდენი მლოცველნი არ უნახავს. ზოსიმე მიცვალებულს გარს უვლიდა საცეცხლურით, აკმევდა საკმეველს და გალობდა „უფალო შეგვიწყალეს". ბოლოს სერაფიონმა ჯვარი აიღო კუბოდან და ზვიადად წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვა: „შენმა სიმართლემ გაცხონოსო" და ამით დაამთავრეს ლოცვა ბერებმა.

ბიქტორი ძლივს იკავებდა სიცილს, აფთონი წარბშეკრული უცქეროდა საბრალო კაფანდარა ბერებს. „მაშ, მარტო სიმართლე მიყვება ადამიანს ამქვეყნიდან? — გადაულაპარაკა ბიქტორს,—სიმართლეშია ადამიანის სულის სიმშვიდე".— გაიცინა ბიქტორმა და იქვე მდგომ ქალს მოკლეტარიანი ნაჯახი გამოართვა. მანიკა მონაზონი კუბოს თავთან იყო დაჩოქილი.

— წამოდექი, დედი, — მშვიდად სთხოვა აფთონმა და მკლავში მოჰკიდა ხელი წამოსაყენებლად. ბიქტორი კუბოს გახსნას შეუდგა. დატრიალდნენ ბერები, წმიდა ზეთი გამოიტანეს მიცვალებულის გულზე და შუბლზე საცხებლად.

როცა ბიქტორმა კუბოს თავი ახადა, ბერები შეკრთნენ. ზეთი და ჯვარი იატაკზე დაუვარდათ. თითონაც აკანკალებული დაემხენ იატაკზე. განცვიფრებული მანიკა მიცოცდა კუბოსთან, ჩაიჭვრიტა, მონაზონმა თვალზე ხელი მიიფარა და ისიც დაემხო იატაკზე. „წაწყმედილები ვართ", წაიბუტბუტა სერაფიონმა და ყველანი ატირდნენ.

სანამ ღვთისმსახურნი იატაკზე ცახცახებდნენ და ტიროდნენ, ბიქტორმა იარაღი უკვე ჩააბარა ქალებს თავიანთი ქმრებისათვის. ქალები სხვადასხვა ბილიკით გაიპარნენ მონასტრიდან.

— აბრძანდით, მამაო, ნუ გეშინიათ, თქვენ არაფერს გერჩით,—მიმართა აფთონმა ბერებს.

— ჩვენ წაწყმედილები ვართ,—წამოიძახეს ერთხმად სამთავემ და უფრო მოიკუნტნენ. მერე მანიჟა წამოდგა, წასძლია ცნობისმოყვარეობამ, მიცუცქდა კუბოსთან, ცალი თვალი აფთონს მიაპყრო. ბერებიც წამოფორთხდნენ, ჩაიჭვრიტეს კუბოში, კუბო ცარიელი იყო.

აფთონმა ბრძანებით უთხრა ბერებს:

— სულიერო მამანო, ხმა არ დასძრათ, თორემ... ეს კუბო შეშად გამოიყენეთ, ახლავე დაჩეხეთ.

მანიჟას გაუხარდა. წაბაჯბაჯდა, ნაჯახი მოიტანა.

ზოსიმემ კუბოს თავი მოაბრუნა დასაჩეხად. როცა ნაჯახი მოუქნია, სერაფიონი უცებ, თითქო ძილიდან გამოფხიზლდაო, ხელში ეცა ზოსიმეს და შეაჩერა:

— სულელო,—შესძახა ბერმა,—ეს კუბო ჯუფანა მონაზონს დასჭირდება.

ზოსიმემ ნაჯახი დაუშვა.

— დიდია, მამაო,—წაიბურდღუნა და თვალებში მიაშტერდა სერაფიონს.

— სულელო ბერო,—გადაჭრით თქვა სერაფიონმა, — კუბოზე უფრო იაფად დაგვიჯდება ფართო მიწის გათხრა.

ცრემლები

ზღვა ხალხი მოაწყდა ლანჩხუთის სადგურს დიდი მიტინგის შემდეგ. გურულები პატივისცემით გამოეთხოვენ კრიმ-გირეის, რომელმაც ყველაფერი კარგი დაჰპირდა ხალხს. როცა კრიმ-გირეი კუპეში შებრძანდა და მატარებელი სადგურს გაშორდა, ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა:

— ხალხის მწყალობელო, რა დასკვნა გამოიტანეთ გურიაში მოგზაურობიდან?

კრიმ-გირეიმ კორესპონდენტს გაუღიმა. მერე ამოიოხრა.

— რა მოგახსენოთ, მე ვფიქრობ ეს ხალხი აღარ „მოითოკება“.

— მაშ ეს ავარსკის რეპრესიები უნდა გავრცელდეს გურიაში?

კრიმ-გირეი დაფიქრდა და, პატარა პაუზის შემდეგ, წარბების ზევით აკეცით თქვა:

— მე მგონია, ეს რეპრესიები უფრო გააცოფებს ამ ხალხს. თბილისში ჩასვლისთანავე მივიღებ სასწრაფო ზომებს, გენერალ ავარსკის ჯარები ახლავე გაიყვანონ სადმე ნატანებიდან. კრიმ-გირეის „გულკეთილობისათვის" კორესპონდენტმა მადლობა გადაუხადა. კრიმ-გირეი ხალხის მოთხოვნილებებით გურიიდან დატვირთული მიდიოდა. ყველაფერი ეს რომ განეხორციელებინა ხელმწიფეს — გენერალ-ლეიტენანტ მალამას[1] თავის ხელით უნდა აეკრა ბარგი და წასულიყო თბილისიდან. ხელმწიფე იმპერატორიც თავისი ნებით უნდა ჩამობრძანებულიყო ტახტიდან. ცხადია, პურიშკევიჩის პარტია სულ აღიგვეზოდა მიწის პირიდან. ვორონცოვ-დაშკოვიც აცდებოდა მეფის ნაცვლის თანამდებობას საქართველოში..

უსისხლოდ დამყარდებოდა რესპუბლიკა. ასეც ფიქრობდნენ ზოგიერთი გულუბრყვილო მოკალმენი.

* *

— ჰოდა, მეც ამას მოგახსენებდი, მირიან,—განაგრძო საუბარი ბეგლარ მანთიძემ,—რამდენი რა უნდა აგვისრულონ. ერთბაშად მივაყარეთ, რაც გულში გვქონდა სათქმელი. ვინ ოხერი ჩამოხტება თავის სურვილით საკუთარი ცხენიდან და გეტყვის: „მირიან, აბა შებრძანდით, ბატონო, და იარეთ, სანამ გენებოთ". ხელმწიფე საკუთარ ტახტზე ზის, მიდის, მიაჭენებს წლებს და საუკუნეებს. სამასი წელი ფაფარი ვერავინ შეურხია მის „მერანს". ახლა მე, საწყალი, უპერანგო გლეხკაცი ვეუბნები: ჩამობრძანდით ძირს, თქვენო ბრწყინვალებავ, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძევ, აგერ, (მისი ჭირი შემეყა-

---

1 მალამა—მთავარმმართებლის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში — კავკასიაში — 1904—1907 წ.

როს) ჩემს მახარეს მოუნდა პრეზიდენტის თანამდებობა-მეთქი, ჰა-ჰა-ჰა,—ხარხარებს ბეგლარ მანთიძე.

მახარემ გულიანად გადაიხარხარა.

— საქმეც ეგ არის, ჩემო ბეგლარ,—თქვა მირიანმა თავისებური დინჯი სიცილით,—რომ მაგ შენს ოხუნჯობაში იმდენი სიმართლეა, რამდენიც სიტყვაა. მაგრამ გურულმა კაცმა უკან დაიხიოს? შეარცხვინოს ღმერთმა. ჩვენ გამოვთქვით ჩვენი სურვილი და ჩვენი ის იქნება, რასაც ჩვენ თვითონ მოვიპოვებთ.

— ამ კურმუხეთ ალიხანოვის ჯარს მაინც გაიყვანდნენ უკან. ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქავდით, — ჩაილაპარაკა ბოლოს ბეგლარმა და ჭიშკარი გამოაღო.

მაკამ დაინახა კართან მირიანი იდგა შინაურებთან ერთად, მთელი კეცი მჭადი სუფრაზე დადგა ხელგობით, კაბა გაისწორა და ფაცხიდან გამოვიდა.

— მირიან, ბატონო, შემობრძანდი, ცოტა დაიმუხლეთ,— მიმართა მაკამ ჭიშკართან მდგომ სტუმარს.—ვითომ რა იქნება ჩვენს ღარიბულ ფაცხაშიც ერთხელ გავტეხოთ მჭადი. ნამგზავრი ბრძანდებით.

მახარემ ხელი მოჰკიდა მკლავში მირიანს და ყველანი ეზოში შეჰყვნენ მაკას. სეფემ შორიდან დაინახა მახარე და მირიანი, გადახტა ალაგეზე და უცერემონიოდ შევიდა ეზოში. სუფრას მოუსხდნენ. მაკას, საგანგებოდ, საგაზაფხულო შეჭამადი მოემზადებია მახარესათვის. წიწილა ჩაეწყო ყარაოს[1] წვენში. ჭყიმა-ფხალი ნიგვზით და ძმრით შეეკაზმა. ჭყიმა-ფხალი ძლიერ უყვარდა მახარეს. ბოსტნეულის ბატონს ეძახდნენ „ბატონიშვილები“ ჭყიმას. ეს ფხალი საქართველოში არსად არ მოიპოვება გარდა გურიისა.

— ნენა, თუ გიყვარდე,—ალერსით მიმართა მახარემ დედას,—ეცადე ეს ფხალი არ მოისპოს შენს ბაღჩაში.

— ვფიქრობ, არ მოვსპო. ჩვენს მიწას ეგუება ეს თესლი, კარგად ხარობს.

— ჩვენთან არ ივარგა ძირამოსაგდებმა. რამდენჯერ დათესა ცაცუნიამ, გადახმა, — თქვა მირიანმა და მშვიდობა

---

[1] ყარაო—ტყემლის წვნიდან კეთდება. შავია, დიდხანს ინახება.

უსურვა ოჯახს. წითლად ბრწყინავდა ოდესის ღვინო ჭიქაში. ფერი კარგი აქვს და გემო არ უვარგაო, ამბობდა ბეგლარი, მაინც სთავაზობდა სტუმრებს. სტუმრები არ იწუნებდნენ ღვინოს, მადიანად სვამდნენ, თან მასლაათობდნენ, ლანჩხუთში კრიმ-გირეისთან შეხვედრის ამბავს უყვებოდნენ მაკას. მაკას გაუხარდა, დეპუტატებში ქალებიც რომ იყო არჩეული.

— ვინ იყვნენ ქალებიდან?—მოუთმენლად იკითხა მაკამ. იმწამსვე დია მოაგონდა: ვაითუ ის ულაზათო აირჩიეს, სირცხვილი გვაჭამესო, გაიფიქრა ბაბი გურგენიძეზე. მაკას სიმპათია დიასკენ იყო მიქცეული. „სილამაზე ქალისათვის თუ ჭკუაც უჭრის—დიდი სამკაული არის“, ამბობდა მაკა. და რომ მიიღო პასუხი, კახურელებმა და ზედობნელებმა დია გაიყვანესო დეპუტატად, მაკას სიხარულის მზე მოეფინა სახეზე. გულში თითქო უნებლიედ შეუძვრა ახირებული ფიქრი. დიას ხსენებაზე მახარეს ისეთი ფერი გადაჰკრა, რომ მაკამ იგრძნო: დედის ფიქრები ეხმაურებოდა შვილის გულს.

მაკას და მახარეს ფიქრები სეფემ დაარღვია. მახარეს სადღეგრძელოს დროს ბეგლარს მოაგონა მახარესთან პირველი შეხვედრა წისქვილში.

— მეწისქვილე ფილიმონმა დღესაც არ იცის, იმ ღამის სტუმარი თუ შენი მახარე იყო. ბეცია ის უბედური. სოფელშიაც არავინ იცის ვინ იყო ის ახალგაზრდა მოქადაგე, რომელმაც პირველად აუხილა თვალი ხალხს. — მერე დაუმატა სეფემ:—მადლობა ღმერთს, ახლა არაფერი გვაქვს ხალხისგან დასამალავი.

გვარიანად შეზარხოშდნენ სტუმრები და მასპინძლებიც. მახარემ სტუმრები ჭიშკრამდე მიაცილა. ზაალი და საული მოიკითხა:

—სად არიან, ბაბა, ბიჭები?

— მდინარე სუფსაზე წავიდნენ თევზის საჭერად მთელი სოფლის ბიჭები. ამაღამ თევზების თამაშს უდარაჯებენ. ხვალ ტობს და წვერას ცოცხალ-ცოცხალს მოიტანენ. ჭინჭლის ყრის დროა, ხომ არ დაგავიწყდა, ბაბა?

— არა, ბაბაია, რა დამავიწყებს,—გაიცინა მახარემ და სოფლის შარაზე გავიდა.

დღე და ღამე იყრებოდა. ცა ისე წმინდად კამკამებდა,

თითქოს ფირუზები სცვიოდა. პირნაკლული მთვარე ნათელით მოსავდა ქვეყანას. თუმცა რვა მარტი იყო ძველებურად, მაგრამ გურიის დაბლობში გაზაფხულის სითბო იდგა. ღამე მიკამებულიყო. ოდნავი ზეფირიც არ იშმუშნებოდა. სულგანაბული თვლემდა ბუნება გაფურჩქვნის ასაკში ათქვირებული.

მთვარიანი ღამის მყუდროებაში დამარტოებულ მახარეს ათასგვარი ფიქრი აღეძრა. გულსათუთი ხდება ადამიანი სოფლის უსაზღვრო ფანტასტიკურ დუმილში, როცა ქოხებს სძინავთ და მთვარე ობლად გამოკრთის ცაზე. მახარეს თვალს ძილი არ ეკარებოდა. არ უნდოდა ადრიან დაბრუნება ფაცხაში. სწყუროდა მარტოობა, თავის გულთან გასაუბრება. ბევრი რამ ჰქონდა მახარეს გულში პასუხგაუცემი. რა ეღონა ახლა, როცა გული თვითონ თხოულობდა პასუხს.

მახარე ფიქრით გაბრუებული მიდიოდა იქით, სადაც ბავშვობის განცდილი სიხარულის მაგვარი რაღაც ჩარჩენოდა სულში. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და... შედგა მახარე. კარგა შორს წამოსულა შინიდან. შეუმჩნევლად მისდგომია ვაშალომიძის ეზოს. სარკმელიდან ციმციმებდა სანათურის მკრთალი შუქი. ეს დიას ოთახია. „მოიდანახეს“ შემდეგ მახარე დიას პირდაპირ აღარ შეხვედრია.

ტასისთან განვლილმა ამბებმა მახარეს გრძნობები არევდარია. ავადმყოფი ტასის პორტრეტი წარმოუდგა თვალწინ და დიას ღვთაებრივი სახე დაჩრდილა. დაემსხვრა ოცდაორი წლის ნორჩი გული მახარეს.

ღვინო მოერია. ცრემლი მოადგა თვალებზე. კაკლის ხის ქვეშ ჩამოჯდა. ტირის მახარე, ცრემლი ღაპაღუპით ჩაშოსდის. ვის ეკუთვნის ეს ცრემლი—მთვარიან ღამეს, ტასის თუ დიას... თუ სოფლის ვარამს?..

ცრემლმა გამოაფხიზლა მახარე, წამოდგა, თვალები მოიწმინდა. გულის სიმსუბუქე იგრძნო. ისევ გახედა ვაშალომიძის კარ-მიდამოს. შუქი აღარ ციმციმებდა სარკმელში.

მიყრუებულიყო ყველაფერი.

მთვარე კაშკაშით მირონინებდა დასავლეთისაკენ. ირიბად მიწოლილიყვნენ ხეთა ჩრდილები. შუაღამე გადასულიყო.

სამხედრო წესები

მრისხანე გენერალ-მაიორი, ალიხანოვ-ავარსკი, შუბლ-შეკრული გაჰყურებდა გურიის მთებს. გურიელის სასახლე-ში მოეკეცა ფეხი. არავინ ჰყავდა მოქიშპე დიდი უფლებით აღჭურვილ მბრძანებელს.

შორიდან სომლიის მწვერვალი მოჩანდა. მარტის მზეს ჯერ ვერ გაელხვო მარგალიტშეყინული ქედები. ბარშიაც გა-ზაფხულის ცვალებადი ამინდი იდგა. ალიხანოვის ფეხოსნები აღრენილნი ირეოდნენ ქალაქში. ქალაქის ბაღში საცეკვაო როტონდაზე ცხენები ებათ. იქვე საქალაბო სკოლაში ცხე-ნოსანი ჯარის ოფიცრები დაბინავებულიყვნენ. ჰოსპიტალი მოეწყოთ. მოედანზე ცხენების განავალი ეყარა.

პლატონ ბერიძე ყურებჩამოყრილი იჯდა ქალაქის თვით-მმართველობაში. ქალაქის თავის საპატიო ჯაჭვი ეკიდა გულ-ზე, მაგრამ ქალაქის არაფერი ეკითხებოდა. გურიის სამაზრო ქალაქში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. ავარსკი განაგებდა ხალხის ბედს. წყება-წყებად იგზავნებოდა ხალხის რჩეულნი ციმბირში. იქლიტებოდა გურია. ასე გაგრძელდა გაზაფხულის თვეები. ზაფხული დადგა. მთებში დათბა. ავარსკის ქვემძრომი თვალები ხედავდა რეპრესიებით მაინც არ „მშვიდდებოდა“ გურიის ხალხი. თუმცა მემამულეები ცალკბად აცხადებდნენ, დაგვაკმაყოფილა გლეხებმაო და ხუცებიც ხმაჩაკმენდილი ეყუდნენ თავიანთი ეკლესიის კა-რებთან. სასამართლოს კარი მთელი ღღე ღია იყო. მაზრის მოსამართლე მთელი დღე თვლემდა. ახალგაზრდები სასწრა-ფოდ იწერებოდნენ პარტიზანულ რაზმში და მთის კალთებს აფარებდნენ თავს. ამიტომ გაუცქეროდა ახლა ალიხანოვ-ავარსკი შუბლშეკრული გურიის მთებს და გადაჭრით ეუბ-ნებოდა ქუთაისიდან ახლად ჩამობრძანებულ ჯამბაკურ-ორ-ბელიანს:

— თქვენო აღმატებულებავ, შეხედეთ ამ მთებს, ამ ღრე-ებს და უკუმ ტყეებს, ამ ბუნებამ შვა ეს ავაზაკები. მამაშვი-ლური დარიგებით ვერაფერს გახდებით მათთან. თქვენი ჩა-მობრძანებით სასწაულს ვერ მოახდენთ. აქ ძალაა საჭირო, ძალა უნდა ვაჩვენოთ ხალხს. თქვენო აღმატებულებავ, საჭი-

-როა უფლება გამოვითხოვოთ ხელმწიფე-იმპერატორისაგან და ორი ბოძი ავმართოთ ამ მოედანზე. ორი-სამი მეთაური ჩამოვახრჩოთ. დამერწმუნეთ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ამ ავაზაკების გატეხა,—დაჟინებით დააბოლოვა ალიხანოვმა.

ჯამბაკურ-ორბელიანმა ულვაში გადაიგრიხა, ორი ნაბიჯი წინ და უკან გადადგა, თვალი აარიდა ალიხანოვ-ავარსკის სახით მის წინ მდგომ მხეცს. მერმე ღვთისმშობლის ხატს შეხედა, რომელიც ისევ იქ ესვენა, სადაც სმაგინი ეამბორა ღვთაებრივ სახეს, და აუღელვებლად წარმოთქვა:

— ღვთის მადლი იყოს თქვენი შემწე, ბატონო ავარსკი, მაგრამ ბოძების ამართვას ნუ იჩქარებთ. უზენაესი სასამართლო ამხანად არ აპირებს გურიაში ჩამობრძანებას. გადასახლების უფლება ხომ თქვენს ხელთ არის.

ეს თქვა ჯამბაკურ-ორბელიანმა და ჩქარა გაბრუნდა ქუთაისს.

ავარსკის ფიქრს ფრთა შეატყდა: არ სიამოვნებდა შეკვეცილი უფლებებით გურიაში ყოფნა. ჯარისკაცებს მოსწყინდათ უმოქმედოდ ჰატარა ქალაქის ჭუჭყიან ქუჩებში ხეტიალი. გარე უბნებში იწყეს ნელ-ნელა გასეირნება. მუსიკას უკრავდნენ, მღეროდნენ რაღაც ლექსებს სამშობლოში მიტოვებულ სატრფოზე. მერე ისევ „სალდატუშკას“ წამოიწყებდნენ. მათ ხშირად ხვდებოდათ გარე უბნებში ყანიდან მომავალი გლეხები თოხით მხარზე. გამარჯობას ეტყოდნენ ერთმანეთს, სადაურობას გამოკითხავდა გლეხი ჯარისკაცს.

— მამაშენიც გლეხი ყოფილა, თქვენს ქვეყანაში კარგად ცხრვრობენ გლეხები?

ჯარისკაცი თავს უკმაყოფილოდ გააქნევდა, წარბებს ოდნავ შეხრიდა, თითქო ერიდებოდა გლეხებთან საუბარს, მიიხედ-მოიხედავდა ირგვლივ. ასე იწყებოდა ჯარისკაცისა და გლეხის ნაცნობობა. სიტყვას სიტყვა მოყვებოდა და ნელ-ნელა გებულობდნენ ჯარისკაცები გურიის გლეხების მდგომარეობას და მათ ჩანაფიქრს. თქვენს მშობლებსაც ხომ ჩვენი სატკივარი სტკივათ? რატომ მოდიხართ ჩვენს დასასჯელად? ჯარისკაცი დუმდა. მაგრამ დუმილში ნათლად მოჩანდა ახალგაზრდა ჯარისკაცის სულიერი მღელვარება. ავარსკის თვალს არც ეს რჩებოდა შეუმჩნეველი. თუმცა ყოველ დღე

ელოდა ბრძანებას: „დასტოვეთ გურია“. და, მართლაც, ზაფხულის ბოლოს მოიხსნა სამხედრო წესები და ავარსკის ჯარი გურიიდან გავიდა. ეს მოხდა სტაროსელსკის შუამდგომლობით.

აგვისტოს მხურვალე მზე ამობრწყინდა. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა, ახალი გუბერნატორი სტაროსელსკი არ აპირებდა გურიის „დამშვიდებას“. გუშინდელი აგრონომი, საქართველოს მიწა-წყალს შეჩვეული, რევოლუციის მომხრე აღმოჩნდა. თავისუფლების ნათელმა შუქმა გაანათა გურიის სოფლები. მთებს შეფარებული პარტიზანები თანდათან ბარში ჩამოვიდნენ და გურიის კომიტეტის გარშემო შემოკრბენ.

დადგა კრებებისა და მიტინგების თვე.

ზიმ... ზიმ... ზიმ... სამჯერ ჩამოჰკრეს ეკლესიის ზარი.

არც მღვდელი ჩანდა, არც დიაკვანი. ზარი გლეხებს მოუხმობდა მიტინგზე. ეკლესიას ბოქლომი ედო. ყრუდ გამოიყურებოდა. ასი წლის მუხას შორს გაეშალა ტოტები. ეკლესიის გვერდით, გალავანს, სასიამოვნო ჩრდილი მოფენოდა. აგვისტოს მზე საშუადღეოზე წამოწეულიყო. ცხელოდა, მუხის ფოთლები ოდნავ ირხეოდნენ. „დაიქროლე მადლიანო ნიავო, დაიქროლე... უჰ, ცხელი აგვისტოა“. დინჯათ წარმოთქვა ვიღაც მოხუცმა ხალხში და შუბლიდან ოფლი მოიწურა. მან აღმართი ამოიარა. დაიღალა ბერიკაცი. მიიწ-მოიწიენ, ჩრდილში დაუთმეს ადგილი. ეს მოხუცი შორი სოფლიდან იყო მოსული. მანთაშევის ქარხნის ყოფილი მუშა იყო. ახსოვდა 1902 წლის 9 მარტის დემონსტრაცია ბათუმში. ბერიკაცს უთხრეს ბათუმელი ამხანაგები იქნებიანო მიტინგზე და ამიტომ მოვიდა მეხუთე სოფლიდან. რამდენიმე წუთში ხალხით აივსო ეკლესიის გალავანი. ბევრი საფლავის ქვებზე ჩამოჯდა. ბევრი მდელოზე გაიშალა. ელოდნენ მიტინგის გახსნას. არ ჩანდნენ მოკამათეები. ხალხი ღელავდა. ხალხში ვიღაც ილანძღებოდა: „რად გვინდა ბულიგინის სათათბირო, ვისთან რა მაქვს მოსათათბირებელიო, ვის ატყუებენ?“ არ ცხრებოდა ხალხი, სხვადასხვა აზრს გამოთქვამდა. ვიღაცამ ესეც თქვა: ჯერ ცოტას დავჯერდეთ და მერე ბევრისკენ გავიწიოთო. ხალხმა სიცილი დააყარა. მეორემ თავი წამოსწია,

ის წითური კაცი იყო შუახნისა. რეფორმისტებს კუდებიც ყოლიათო, დაიძახა. კიდევ მეტი ხარხარი გაისმა ხალხში. მაგრამ უცებ მიწყნარდა სიცილი. მოკამათეები გამოჩნდნენ ტრიბუნაზე.

მახარე გათენებამდე გავიდა ოზურგეთიდან. აღარ დაუცადა 12 საათის დილიჟანსს. მისი ვარაუდით მიტინგის გახსნამდე უნდა მისულიყო ადგილზე. შორი გზა ჰქონდა გასავლელი. ოზურგეთიდან ჩოხატაურში უნდა მისულიყო ფეხით. იქ იყო დღეს მოწვეული გლეხთა მიტინგი, სადაც მახარე აღტაცებით მოელოდა ბათუმელ ამხანაგებთან შეხვედრას, განსაკუთრებით გოგილოს. შარშან ბარცხანაში, გოგილოს მენშევიკებთან კამათში გამოსვლამ საბოლოოდ აუხილა თვალი მახარეს. და ახლაც ის ერთადერთი გზა იშლებოდა მახარეს წინ, რომელიც დასახეს ლენინის თანამოაზრეებმა მშრომელი ხალხის გამარჯვების მოსაპოვებლად. უხაროდა მახარეს, რომ ახლა მიტინგები დღის სინათლეზე იმართებოდა. აღარ იყო საჭირო მთვარიანი ღამის ლოდინი. უმადლოდა სტაროსელსკის. აძაგებდა „რიონის რაზმის“ მრისხანე გენერალს. რამდენი ფიქრი ეხვეოდა მახარეს ამ შორ გზაზე. მიდიოდა ფეხჩქარა. სრულიად არ გრძნობდა დაღლას. ვარდისფრად შეღებილიყო ცისკარი. შორს გაწოლილი მოჩანდა რუხი ფერის შარაგზა. გზის პირას ჩიტები ჟღურტულებდნენ. ეს იყო განთიადის. საგალობელი, რომელიც ასე ტკბილად შეეხმაურა მახარეს გრძნობებს. „ბუნება იღვიძებს, ჩიტები ჟღურტულებენ ტკბილად, ბალახებში ყვავილებს გაუღია თვალები და მზის ამოსვლას შეხარიან. ჭიამაიაც გამომძვრალა ფესოებიდან. „ადამიანო, გახსენი შუბლი, შენც გაუცინე მზის ამოსვლას“... ამ ფიქრით გაიარა მახარემ ნასაკირალი. მთებში ამომაეალმა მზემ თვალებში მოანათა. ნახევარი გზა კიდევ ჰქონდა გასავლელი. მიიჩქაროდა მახარე. მოუსვენარ ყმაწვილ კაცს ყველაფერი ეჩქარებოდა: ბრძოლა და გამარჯვება, ენატრებოდა მისი ქვეყნის თავისუფლება. გასცქეროდა ახლომახლო მდებარე სოფლებს, ლარიბ-ლატაკ ქოხებს. ნაღელარადან ისმოდა მწყემსი ბიჭების კრიმანჭული. ისინი თავიანთ ნიშა ხარებს მწყემსავდნენ, რომ ბატონის მამულში არ შესულიყვნენ.

მიიჩქაროდა მახარე.

მზეს მუხის კენწეროზე დაეყარა ცხელი ლითონივით მხურვალე სხივები. მახარემ აღმართი აიარა და ეკლესიის გალავანში შედგა ფეხი. შორიდან მოესმა გოგილოს ხმა: „არ მოტყუვდეთ, სისხლი იღვრება, ემზადეთ აჯანყებისათვის... გამარჯვება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება... შეიარაღდით, ამხანაგებო... ძირს ბულიგინის სათათბირო!“

შუა ხალხში ვიღაცამ წითელი დროშა გაშალა. ხელმწიფე—იმპერატორი თავდაყირა დაეხატათ დროშაზე. მახარემ ხალხი გაარღვია. კამათი დამთავრებულიყო. ტრიბუნაზე არავინ ჩანდა, გოგილო ხალხში იდგა, ცხვირსახოცით სახეზე ოფლს იწმენდდა. მახარე გადაეხვია საყვარელ ამხანაგს. გოგილომ ცხვირსახოცი მოიშორა შუბლიდან, მახარეს ახედ-დახედა, გაუხარდა. უკანასკნელად ბათუმში ნახა გასულ წელს.

— საიდან მოდი ბიჭო? სად ხარ?

— სად ვიქნები, სადაც თქვენ ხართ, მეც იქა ვარ!—მტკიცედ უპასუხა მახარემ და მაგრად მოუჭირა ხელი გოგილოს ხელს.

ოცი ღამის ქრონიკა

1905 წელია. ოქტომბერი.

მთელი ღამე გრძელდება ნასაკირალის შეტაკება კაზაკებსა და წითელ რაზმელებს შორის. რაზმელებს მირიანი და აფთონი მეთაურობს. განუწყვეტლივ ისმის სროლა. საშინლად ბნელა. ახლომახლო მცხოვრებთ სინათლე ჩაუქრიათ. ცაზე საავდროდ ირევა ღრუბლები.

ყანებში კალოები ჯერ კიდევ არ აუღიათ. მინდვრად ყრია სიმინდის მოტეხილი ტაროები. მარტო ქალები და მოხუცები ფუსფუსებენ ყანებში. ბავშვები აქა-იქ დარჩენილ ლობიოს კრეფენ. ბიჭები პატარა გოდრებს დაათრევენ და მოჭრილ ჩალაზე შეტოვებულ „ჟუნტალებს“ აგროვებენ. ახლა, ღამის სიბნელის გამო, ხელი შეუშვიათ მუშაობისათვის და მთვარის ამოსვლას ელოდებიან. ჯირკების და ნაღობრების ცეცხლი დაუნთიათ ნალიის ქვეშ, ჭყინტ სიმინდს სწვავენ.

აგერ ალიონიც შემოადგა ჩამუქებულ მთებს. მიმოფანტულ ნაფლეთ ღრუბლებში გამოჩნდა მთვარე.

— ჩალის აღება უნდა მოვასწროთ, თორემ მთვარე პირს იბრუნებს და გაწვიმდება, — ამბობს ჯირკზე ჩამომჯდარი მოხუცი და ყვერო თუთუნით ჩიბუხს ტენის, ღადარში ამოუსვამს და გააბოლებს.

ყურს მიუგდებს: სროლა მძაფრდება.

მეყანეები მიატოვებენ მინდვრებს და შარაზე გამოვლენ.

— რა ამბავია, ნენავ, თუ იცი?—ეკითხება მოხუცი დედაკაცი ახალგაზრდა ვაჟს, რომელსაც ხელში თოფი უჭირავს და ტყისკენ გარბის.

— ნუ გეშინიათ, ძაღლებს ვხოცავთ, ნენავ.

— ვაიმე, რას შვებით, ხომ მოგვსპობენ, ხომ ამოგვაგდებენ, — ქაქანებს და ტირის დედაკაცი.

გადაივლის შუადღე, სროლა მიწყდება, მიწყდება ცხენების ჭიხვინიც. აზავებულა ხალხი, ტყის ბილიკებზე მირბის ნასაკირალისაკენ დიდი და პატარა.

— რა ამბავია, ნენავ?

— რა იქნება, შარა სისხლით და მკვდრებით არის დაფარული.

დახოცილ კაზაკებს შორის ოთხი ახალგაზრდა რაზმელი წევს.

— ვაი მათ დედას.

სისხლში გდია ლაზარენკოს ლურჯა.

— ნეტა ლაზარენკო სად გაჰქრა?

არავინ იცის მაზრის უფროსის ასავალ-დასავალი. ბომბები დაფლეთდაო, ამბობენ.

ხმელ ტყეს ცეცხლი მოსდებია.

საღამოს მოვიდა ახალი რაზმი კაზაკებისა და გადასწვეს ნასაკირალი.

ფერფლად იქცა სახლები.

რა ჩააქრობს ამ ცეცხლს გურიის გულში?!

* *

აფთონის დედა ელისაბედი ალაგეზე ზის, ხელში დიდი

ჯოხი უჭირავს. ასეთია ელისაბედის ჩვეულება: დაჯდება ალაგეზე და მთელი ღამე ელოდება შვილის მოსვლას. მეტი არავინ გააჩნია სახლში, რა დააძინებს. ელისაბედთან ერთად სახლის კატასაც არ სძინავს. მიცოცდება, შეახტება მხარზე და ყურის ყვრიმალთან მიადებს თავს, მოჰყვება კრუსუნს.

ფოცხვერა კიბის თავზე წევს მოკუნტული, ხანდახან წამოჰყოფს თავს და მგზავრს შეჰყეფს. ამაღამ არ ყეფს ფოცხვერა — ყმუის.

— რა ჯანდაბა გეწია, შე სასიკვდილევ! — წამოდგება ელისაბედი და ჯოხისცემით ჩამოაგდებს ძაღლს კიბიდან.

ფოცხვერა გზაზე გადახტება, დაჯდება უკანა ფეხებზე და ისევ ყმუის.

— უფალო, დამიფარე, — პირჯვარს იწერს გულგახეთქილი დედა, — რა ამბავია ნეტა ჩემს თავზე?

წუხელ საშინელი სიზმარი ნახა ელისაბედმა. ვითომ წინა კბილი მოსძვრა. გაახსენდა, აკანკალდა. წავიდა სამზარეულოში, დიდი ნატეხი მჭადი ბამოიტანა და გადაუგდო ძაღლს.

— ჰა, ჭამე. ფოცხვერავ, ჭამე და გაყუჩდი, შე საძაგელო!

მიდუმდა მოიდანახე.

განთიადმა მოატანა. ცისფერი ნათელი ჩამოეშვა დედამიწაზე. აფუსფუსდა ნიავი და ააშრიალა ფოთლები. სათიბიდან ჭწყერების ჭუკჭუკი შემოესმა ელისაბედს.

შარაზე ურმები აჭრიალდნენ. გამოიღვიძა მოიდანახემ. ელისაბედი ეზოში დაბარბაცებს მთელი ღამის უძინარი.

— როგორ ვუთხრათ მარტოხელა დედას ერთადერთი შვილის დაკარგვა? — ერთმანეთს შეეკითხნენ მეზობლები და ჭიშკართან შედგნენ.

სტარუსელსკი გურიაში

კაცია ნაკაშიძის მოურავი, ჭაპანაძე მთელი კვირაა შინ არ გამოჩენილა.

ნასაკირალზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტის მესამე დღეს გურიაში ხელახლა გამოცხადდა სამხედრო წესები. ამან გამოაცოცხლა ჭაპანაძე, შურისძიების სურვილი აღუძრა გულში. ნასაკირალის ამბავს მეორე დიდი ამბავი მოჰყვა. მეფის ნაცვალი ატყობინებდა ხელმწიფე-იმპერატორს: გრენადერების დივიზიის ექვს ბატალიონს ვაგზავნითო გურიაში ხალხის დასამშვიდებლად. ეს ცნობა ოცდარვა ოქტომბერს გავრცელდა. გრენადერების ბატალიონს ისევ ალიხანოვ-ავარსკი მეთაურობდა. მრისხანე გენერალს მეორედ უხდებოდა გურიაში მოსვლა. ლანძღავდა თავის გულში კრიმ-გირეის, რომლის მეოხებით გაზაფხულზე დატოვა ავარსკიმ გურია გაუნადგურებელი. უჭკუო, ტუტუც გენერალს ეძახდა ჯამბაკურ ორბელიანს. ზვერავდა სტაროსელსკის.

ალიხანოვი ქვას-ქვაზე არ დატოვებსო, ამბობდნენ ჭკვიანი ადამიანები. შეიარაღდა გურია. პარტიზანებად გავიდა ტყეში მთელი ახალგაზრდობა. გარს შემოერტყენ ოზურგეთს დასაცავად.

1905 წლის ოქტომბერი ილეოდა. სისხლისფერი მზე ანათებდა გურიის ცას. ყვითელი ფოთლები ცვივოდა მაღალ ჭადრებს. ყრუდ გამოიყურებოდა უკაცრიელი მოედანი.

კაცია ნაკაშიძეს სამსონის სასტუმროში შეეკეტა ოთახის კარი და თავის მოურავს შესცქეროდა ხელში. ჭაპანაძე ხან დიტია მგელაძესთან დაძვრებოდა ბინაზე, ხან მემამულეებთან დალაქლაქებდა. სოფლის მეთაურებზე დაედგა ჭაპანაძეს კბილი. მირიანისა და სეფეს ოჯახი ამოეღო ნიშანში. ბეგლარ მანთიძეს გამათრახებას უპირებდა მახარეს გაჩენისათვის. დიას ვაშალომიძის გიჟს ეძახდა. მის კუროებს მოაკვლევინაო შამა. ავრცელებდა ჭორებს. უფრო მირიანის სახელი კბენდა გულზე. ახლა ნაკაშიძის წინაშე იდგა და გამბედაობას უწუნებდა თავის ბატონს.

— სხვა მემამულეები დღედაღამ ზრუნავენ „ავსულთაგან“ სოფლის გაწმენდისათვის, თქვენ კი, ბატონო, გაგიტკბათ სასტუმროს თბილი ოთახი,—ჩუმ-ჩუმად აპარებდა მწარე სიტყვებს თავის ბატონს ენაეკლიანი მოურავი.

— სადაც შენ ხარ, ჩემო შევარდენო, იქ მწყერჩიტებს რა გადაარჩენს.—ირიბი ღიმილით უპასუხა ნაკაშიძემ ერთ-

გულ მოურავს. თავის გულში კი ფიქრობდა: „ეს ხეპრე, ველარ ხედავს, საით მიჰყავს ბედის ტრიალს მისი ბატონი?“ კაცია კაციას ძე ნაკაშიძე სხვა მემამულეებს არა ჰგავდა. ის ზოზობივით მალავდა თავს. აჭარისაკენ ეჭირა თვალი, თავის გადარჩენისათვის ზრუნავდა. ხულოში, ხიმშიაშვილების სასახლეში აპირებდა შეყუდრებას,

„მოვა ალიხანოვი, გამინაღდებს საყანულს, ამინაზღაურებს გაჩეხილ ტყეს, მერე რა? წავა ექსპედიცია და ჩემს სახლს „ზალპი“ არ ასცდება. კაციას ძვლებსაც ვერავინ ნახავს მამაჩემის ნასახლარზე,“ გაიფიქრა კაციამ და მოურავს შიუბრუნდა:

— ბიჭო, ცხონებულ მამაჩემს ტყუილად კი არ დაურქშევია შენთვის იორამი. ნამდვილი თავადის სისხლი უდუღს ამ ბიჭსო ამბობდა. შენ გგონია, მე გამბედაობა მაკლია? ვისი უნდა მეშინოდეს? მანთიძის ლაწირაკის? მაგათი რევოლუცია დამარცხდა, ჩემო იორამ. საჭიროა მხოლოდ თითოროლა ხრიკიანი გულზვიადი პირების თავიდან მოშორება.

— ვინლა დაგვრჩა ბატონო, ჩვენს სოფელში? — მკვირცხლად და ხალისიანად წამოიძახა ჭაპანაძემ. — ლუკა მეგრელიძე ხომ დაიჭირეს, მირიანს და სეფეს ისე გავუხდი საქმეს, რომ მათი ჩამომავალიც კი არ დარჩეს ამქვეყნად. „სოდომ გორომად“ გავხდი მათ ოჯახს, თუ ვყოფილვარ იორამი. შარშან რომ ჩემს სახლს „ზალპი“ მისცეს და ახალთახალი წაბლის ფიცრები დამიჩარჩეს, ბატონო, ეს დამავიწყდება ოდესმე? მაშ, ლაჩარი ყოფილა იორამ ჭაპანაძე. არა, ბატონო, მე ვიცი როდის უნდა სამაგიეროს გადახდა.

— სწორედ დროც ახლა არის,—ცალყბად დაუდასტურა ნაკაშიძემ და განაგრძო: — მეც იმას ვამბობ, საშიშარი უკვე აღარაფერი დარჩა. და არც არავის მეშინია, მაგრამ ამჟამად ძალიან ავად ვარ, იორამ. ამ ოხერმა ჭაჭების ტკივილმა ისე შემომიტია, რომ ვფიქრობ, დღესვე წავიდე ქუთაისს და საავადმყოფოში დაწოლა მოვახერხო. მაგრამ დღეს ერთი კაპიკი არ გამაჩნია. აგერ, ნისიად ვცხოვრობ სასტუმროში, აბა რა ვქნა, ბიჭო, გლახასავით ხომ ვერ დავიწყებ კარდაკარ თრევას ღამის გასათევად, თორემ მოგეცა ლხენა, აქ მასპინძლები მყავდნენ.

ჭაპანაძე დააშტერდა მხარ-თეძოზე წამოწოლილ ბატონს და ახალმა აზრმა გაუელვა თავში: „ერთ ორასიოდე მანეთს მოვუხერხებ და იმ მამულს ჩავიგდებო ხელში“.

— ბატონო, მოგიკვდეს იორამი, ქუთაისს წასასვლელ ფულს აქვე მოგიხერხებ, ნდობა არ დამკარგვია ვაჭრებში. მარა, სხვათა შორის მოგახსენებ, ბატონო, რადგან სიტყვას მოჰყვა, თქვენ რომ წყალობას მპირდებით, ის გამიფორმეთ ბარემ.

— მიწის შესახებ ამბობ? ახლავე გაგიფორმებ, ამაზე ადვილი რაღაა. რატომ აქამდე არ გამახსენე, ბიჭო?

ჭაპანაძეს თვალები გაუბრწყინდა, უცებ წარმოიდგინა წყალწმინდის ტყემდე გაფართოებული ეზო. თუმცა შემოდგომა იყო, გრილოდა, მაგრამ სიხარულის ოფლით გაიქონა იორამის სხეული. საჩქაროდ გავარდა სასტუმროდან, ვითომ ფულის საშოვნელად, ნამდვილად ჯიბეში ედო საკმაო თანხა.

კაცია ნაკაშიძემ მწარედ ჩაიცინა, სულ ერთი იყო მისთვის, ჭაპანაძეს დარჩებოდა მიწა თუ მეავიას.

* *

თითქოს ქუთაისისკენ გამგზავრებული კაცია ნაკაშიძე ბათუმში ჩავიდა. ბაზრის პროსპექტზე აიარ-ჩამოიარა. საშაქარლამო „ბალახვანაში“ შევიდა. მეგობარ აღას გაესაუბრა და დიდი ხნის ნაზრახ-ნაფიქრალს ჩაუჯდა. კარგა ხანია აჭარის ბეგები და ნაკაშიძე ერთმანეთს მეგობრობდნენ. და აი, ახლა, ნაკაშიძეს მხოლოდ მდინარე ჭოროხს იქით ეგულებოდა ერთადერთი მშვიდობიანი ადგილი, სადაც შეეძლო დროებით მაინც გაექარვებინა გულის მღელვარება, შემდეგ... ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა ქვეყნის საქმე. ნაკაშიძემ ძალიან კარგად იცოდა საფრანგეთის რევოლუციის ისტორია — ნაპოლეონის რესტავრაციით დამთავრებული. მოაგონდა ბევრი რამ განვლილი რევოლუციიდან. ფიქრით მოცული ნაკაშიძე „ბალახვანას“ მყუდრო კუთხეში მწვანე აბაჟურჩამოფარებულ ლამპასთან ჩამოჯდა. საფრანგეთის რევოლუციის მოგონებამ ოლიმპიადა დეგუჟი გაახსენა —

ქალთა უფლებისათვის მებრძოლი გმირი ქალი, თავი რომ მოჰკვეთეს ნაპოლეონის დროს. „ყველა ერს ჰყავს თითოოროლა შეშლილი. ალბათ, ჩვენშიაც გამოჩნდებიან ასეთი ქალები“, გაიფიქრა კაციამ, მაგრამ მერე თვითონ დაიწუნა ჩანაფიქრი.

კაცია პარიზში სამი წელი ცხოვრობდა. არ მოსწონდა მკერდმსუბუქი ფრანგი ქალები. მისი აზრით ერთი-ორი „გიჟი“ ფემინისტი ვერ იხსნიდა ფრანგ ქალებს პარიზის ჭაობიდან. „რად უნდა ფრანგ ქალს ხმის უფლება!“ ფრანგი ქალი მოდისთვის არის გაჩენილი. ტყუილად როდი ამბობდნენ სენსიმონისტები ფრანგი ქალები უფლებას ვერ მოიხმარენო, ფიქრობდა ნაკაშიძე და თვალწინ ედგა სოფიო პეროვსკაია რუსი რევოლუციონერი, „ნაროდნაია ვოლია“-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იგი მაინც ყველას მის „მარინეს“ ამჯობინებდა. „ქალების გმირობა წამიერი აფეთქების საქმეა. ადამიანი ხანგრძლივი გამოცდით ხასიათდება“.

ნაკაშიძის აზრით ვერც ერთი ევროპიელი ქალი ვერ შეედრებოდა ქართველ ქალს სიყვარულში. ეს მაღალი, ფაქიზი გრძნობა ქართველი ქალებისათვის მიუნიჭებიაო განგებას. „რა არის ყველაფერზე ძვირფასი ადამიანის ცხოვრებაში? სიყვარული... დიახ... მაგრამ...“

კაცია კაციას ძეს უცებ შეაჟრჟოლა.

– რა მოუვიდა? იქვის მატლი ხომ არ შეუძვრა გულში?

მარინეს გლეხის სისხლი აქვსო, უცებ გაიფიქრა, ვინ იცის სად მიღალატებსო. შეშინებული წამოდგა თავადი, ქუჩაში გასვლა დააპირა უხეირო ფიქრის გასაფანტავად.

— ბატონო, საწერ-კალამი მოგართვით, — მიაძახა ალამ. კაცია შემობრუნდა ფიქრიდან გამორკვეული. გაახსენდა წერილი ჰქონდა დასაწერი ბეგთან.

„ძვირფასო ჯემალ, ძმაო და მეგობარო! ხომ გაგიგონია— სისხლი-სისხლისაო და ხორცი-ხორცისაო? განა ამაზე ჭკვიანურს იტყოდა ქვეყნად ვინმე რამეს? ჩვენ ხომ ერთი სისხლისა და ერთი ხორცისანი ვართ.. რა ვუყოთ თუ შენ ალახს იფიცავ და მე კი ქრისტეს! ვითომ რა იქნებოდა, ჩვენთვის რომ ვთქვათ ჩუმად, არც ერთი რომ არ დაგვეფიცა? ამით არაფერი დაშავდებოდა, რადგან ჩემმა ქრისტემ უკვე მოი-

ტეხა კისერი, მამალმერთს საცნაური დაეკარგა, ლომისკარე-ლი დაყრუვდა და წმინდა გიორგის კოვზი ნაცარში ჩაუვარ-და. „ოჰ, ღვთისმშობელო დედავ, წმინდაო მარიამ!“ წამოიძა-ხებს ვინმე ჩერჩეტი დედაბერი ამის გაგონებაზე, მაგრამ ამისთანა ჩერჩეტი მთელს მილეთში ერთი ან ორი თუ მო-იპოვება. ყველა გუშინდელმა ღვთის გლახამ წამოჰყო თავი და ჭკუა ისწავლა. მერე იცი, ვინ არიან ამ საქმეში დამნაშა-ვენი? ყველა ის კუდაბზიკა, რომელთაც ანბანი უსწავლიათ და თავი სოციალ-დემოკრატებად მოაქვთ. ნამდვილი სოცი-ალ-დემოკრატი განა მე მესროდა ტყვიას? მეც ხომ მძულს რუსი მოხელეები, მეც ხომ ისე მიყვარს ჩემი სამშობლო, როგორც ყველა თავადს და კეთილშობილ ადამიანს უნდა უყვარდეს. მაგრამ რა გაეწყობა, რას უზამ ამ კუდაბზიკა „მჭერმეტყველებს“. ისინი ფართო ლაპარაკით ხიბლავენ ხალხს, თავისკენ იბირებენ და აჯანყებენ მემამულეების წი-ააღმდეგ. ერთხელ ლაპარაკში წამომცდა: მამაპაპისეულ ადგილ-მამულს მუქთად არავის დავუთმობ-მეთქი. თურმე ნუ იტყვით, ქვეყანა დამიქცევია! მეორე დღეს ცხელმა ტყვი-ამ იშხუვლა ჩემს ყურთან. კარგი რომ ბედზე ამცდა. ახლა გიცდი აღას „ბალახვანაში“ და ველოდები თქვენს პასუხს. შემიფარეთ დროებით. აბა რა ვქნა, ძმაო, მეც ხომ ლევან გურიელივით „ურიადნიკის პაგონებს“ ვერ გადავიკერებ მხარზე. არა, ღმერთმა დამიფაროს. ეს ხომ სასირცხო საქმე იქნება. სირცხვილსაც რომ თავი დავანებოთ, გურიელს რა ხეირიც დააყარეს, მეც იმას დამმართებენ. შენ ხომ იცნობ-დი ჩემს ბიძაშვილს მომრიგებელ შუამავალს ტიფო ნაკაში-ძეს, პრინც ოლდენბურგის ქვისლს—თავის ჭიშკართან მოჰ-კლეს. გურული გლეხი ფიცხი და თავზეხელაღებულია. მე კარგად ვიცნობ მამაჩემის ნაყმევის თვალებს. ან რად დამინ-დობენ: საზიზღარმა ჩხირკედელა სოციალ-დემოკრატებმა ჩა-აგონეს მათ, რომ მიწა და წყალი, როგორც ჰაერი და მზე, ყველას უნდა ეკუთვნოდესო.

შენ გინახავს ჩვენი მოჯამაგირე ფარნაოზა მჟავია. ახლა უნდა ნახო, მჟავია მე ვარ და ნაკაშიძე ის არის. წინათ ერთ წკეპლასაც ვერ მოსტეხდა ჩემს მამულში, ახლა ხარივით ბუღრაობს და სალამსაც არ მაძლევს. შორიდან შემომითვა-

ლა: რა ვქნა, ჩემო ბატონო, ბოიკოტი გაქვსო გამოცხადებული და ვერ გეახლებიო. ვინ გამომიცხადა ბოიკოტი? საზიზღარმა სოფლის ავაზაკებმა. მაგათ მომრავლებას ჯობდა ჭირი გაჩენილიყო.

ხულოში, ალბათ, დიდხანს იქნება მშვიდობიანობა. ეცადეთ ჩოლოქს იქით არ გადმოუშვათ გურულები, თორემ თქვენი მშვიდობიანი ჰაერიც ჩქარა მოიწამლება. მერე სტამბოლში მოგვიხდება გარდახვეწა. ასე ძმაო და მეგობარო, ჯემალ! შენსავით გენერლის ჩინი რომ მეკეროს მხარზე, მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამდი".

დაასრულა წერილის წერა ნაკაშიძემ. აიღო, შეატრიალა, დაფიქრდა. ბევრი სიყალბე იგრძნო თავის წერილში. გონების თვალით გახედა შორს, ქარხნებში მიმოიხედა. კაცია კაციას ძე ხედავდა: უზარმაზარი რუსეთის პროლეტარიატი იბრძოდა თავისუფლებისათვის და მას უდიდესი ნებისყოფის ადამიანები ხელმძღვანელობდნენ. იცოდა, ხალხის საქმეს მარტოოდენ მის მიერ წარმოდგენილი „სოციალისტები" როდი მეთაურობდნენ. მაგრამ ახლა ამ პატარა წერილით დიდი ამბები როგორ გააგებინოს ნაკაშიძემ ხულოს ბეგს? იქაც მოესწრება საუბარს.

— წერილში ჯობს ასე უბრალოდ და მოკლედ ეწეროს დიდი ამბავი,—თქვა კაციას ძემ და წერილი დაბეჭდა.

სამი დღის ლოდინის შემდეგ. ეახლა ხიმშიაშვილისაგან გამოგზავნილი კაცი.

ნაბადში და ყაბალახში შეფუთვნილი ნაკაშიძე მიიპარებოდა ხულოსაკენ. ტოვებდა მამაპაპურ სასახლეს. ჯიბეში ჩაკეცილი უცნაური ბარათი ისე სტანჯავდა, რომ ეგონა, უბრალო ქაღალდის მაგიერ ერთ-ერთი მდევარი ეჯდა ჯიბეში. ბათუმიდან ხულოსაკენ მიმავალს ხან მირიანის თვალები ელანდებოდა, ხან სეფეს აჩრდილი უფრთხობდა ფიქრს. ეს საფრთხობელა ბარათი ოზურგეთში მიიღო. ბარათის შინაარსი ასეთი იყო: „ერთხელ აგაცდინეთ ტყვია, მაგრამ მეორედ აღარ აგაცდენთ, თუ არ გასცლილხარ გურიას". წერილის ქვევით კუბო იყო დახატული.

ფიქრში წასული ნაკაშიძე ვერ ამჩნევდა მის გარშემო აპარის მიდამოების სილამაზეს. ტოტებდახრილ ნაძვებში მი-

აქროლებდა ბეგის ბედაური დარდებით გარინდებულს მის მხედარს.

* *

ამ დროს ნაკაშიძის მოურავი ჭაპანაძე ოზურგეთში იყო. შემოდგომის მსუბუქ და სასიამოვნო ღამის ბურანში ეხვეოდა. ხან თვალს მილულავდა, ხან კურდღელივით ყურს აცქვეტდა. მაგრამ ამ მკრთალი ძილის დროსაც კი საუცხოო სიზმრებს ხედავდა: აგერ გაზაფხულის მზეს აბრეშუმის კალთები გაუფენია ჭაპანაძის ეზოში, ატმისა და ალუჩის ყვავილები დაქინდრულა, მწვანე კოინდარი ატლასივით დაფენილა და ზურმუხტისფერ ბაღებს სიო აშრიალებს. ეზო ისე გაშლილა და გაწეულა ნაკაშიძის მამულში, რომ სასახლის ღობე-ყორემდე მისულა. „ჰა, ხომ გეტირა დედა ნაკაშიძევ“! ფიქრობს ჭაპანაძე და გულმომსუყებული გადაჰყურებს ზღვისპირისაკენ გაშლილ ველებს.

„იქნებ გვარსაც შეიცვლი, ბატონო ჭაპანაძევ?“—ეკითხება თითქო ვიღაც ჩინოსანი კაცი.

„შევიცვლი, სიამოვნებით შევიცვლი, მაგრამ ნაკაშიძეთ ხომ არ დამწერთ?“

„რადაც გინდათ, იმად დაგწერთ“, თითქოს კვლავ ეუბნება უცხო კაცი.

ჭაპანაძე სიამოვნებით შლის ხელებს და... მშვენიერი სიზმარი ქრება. მასთან არავინაა. ისევ ღამეა და დუქნის უკან ფანარი ბჟუტავს. ისევ მიეძინება ჭაპანაძეს. ახლა თავის სახლში წევს იორამი, ღამეა, ყველას სძინავს, სადღაც მამლები ყივიან, ფანჯრის მინებზე მთვარე ალვისხის ფოთლებს ხატავს. ფოთლები ცეკვავენ, ფრიალებენ... ოხ, რა ბედნიერებაა ასეთი სიმშვიდე... აგერ გაზაფხულის შქერი და იელი აყვავებულა. იორამი სიამოვნებით უცქერის ირისის ფერად და ყვითლად აფეთქილ შქერნალს. ეს ივანე ხუცის ოდის უკან გაშლილი სერია. აგერ, შქერნალში ივანე ხუცესმა ამოჰყო თავი. ჰაიტ, დასწყევლოს ღმერთმა, წყეულები. ეს რა უქნიათ საწყალ ხუცესისათვის, ნახევარი წვერულვაში გაუპარსავთ... რა უნდა ქნას ახლა საწყალმა ხუცესმა? ივანეს ლანდი ქრება და იორამი თვალებს ყვავილებში

აცეცებს. რა მყუდროებაა, რა სიმშვიდე, ბუზის გაფრენაც ესმის იორამს და... უცებ გაისმის „ზალპი“. ერთი წუთი და ყოველი მხრიდან ტყვიები მოშხუიან.

ჭაპანაძე შეხტა, უაზროდ წამოვარდა ლოგინიდან, თვალები მოიფშვნიტა. გათენებულა. ბაზრის დარაჯი ფანარს აქრობდა.

ასეთი სიზმარი ბევრჯერ უნახავს ჭაპანაძეს, ბევრჯერ დაუფრთხია „ზალპს“ მისთვის ტკბილი ძილი. ეს ხომ გასული წლების ამბავია და ისევ სეფე და მირიანი აგონდება იორამს. იორამის აზრით ისინი უნდა მოისპონ, და მაშინ დამყარდება სოფლად მშვიდობიანობა. ეს ჩქარა იქნება, რა კარგი ქნა იორამმა, წინდაწინ რომ გამოართვა ნაკაშიძეს მამულის ფაქტიური ნასყიდობა.

იორამმა გაიზმორა და საჩქაროდ გავიდა დუქნიდან. მოედანზე მოულოდნელ ამბებს წააწყდა. ტაძრის წინ სადღესასწაულოდ მოკაზმული ხალხი გამოფენილიყო. დიტია მგელაძის წინამძღოლობით ქუჩაში კაზაკები იდგნენ მწკრივში. ტრიბუნაზე იდგა ქალაქის თავი და რამდენიმე საპატიო პირი. ღია იყო ტაძრის კარი, დეკანოზი დუმბაძე შემოსილი იდგა საკურთხევლის წინ.

— რა ამბავია? — შეეკითხა იორამი ნაცნობებს.

— გუბერნატორი სტაროსელსკი მობრძანდება, — უპასუხა ერთმა მოზრდილმა გოგონამ.

— რად მოდისო, ბიძია, თუ თქვეს?

— გაზეთში ეწერა, ნასაკირალზე მიბრძანდებაო, წუხელ ღამით ქალაქისთავის გამოგზავნილმა კაცებმა ჩამოიარეს სახლები ხალხის დასაბარებლად. იმიტომ ვართ მოსული.

იორამმა გახედა ქალაქის მესვეურებს და უნებლიედ გაიფიქრა: „ალბათ, გუბერნატორს თავი უნდა მოუქონონ“.

— ამბობენ სტაროსელსკი კაი კაცი არისო,—თქვა ვიღაცამ ხალხში..

— ვითომ გადაგვარჩენს გადაწვას?

— ხალხის დასახმარებლად მოდისო, თქვეს.

— ღმერთმა უშველოს, ყველა ლაპარაკობს, გუბერნატორი კაი კაცი არისო,—გაესაუბრა ნაცნობი ნაცნობს.

ჭაპანაძეს კაცის ფერი დაეკარგა. სამსონის კლუბისაკენ

წავიდა. მეორე, უფრო დიდ ამბავს წააწყდა. ერთი მასწავლებელი ახალ გაზეთს კითხულობდა ხალხის გასაგონად: თბილისის ქართველ მოღვაწეთა თხოვნით, მეფის ნაცვალს უნებებია მალამას გაგზავნა გურიაში ხალხის დასამშვიდებლად. მალამა ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტს გააცნობსო გურულებს. იქვე ქვევით ეწერა უფრო დიდი ამბავი: პირველი გრენადერების დივიზიის ექვსი ბატალიონი ალიხანოვ-ავარსკის წინამძღოლობით, რომელიც თბილისიდან გაიგზავნა გურიაში ხალხის დასამშვიდებლად, შორაპანში გააჩერესო. ჭაპანაძეს ელდა ეცა, ხელები მოიფშვნიტა. დაწყობილი გეგმა ჩაეფუშა. თვალი გააცეცა ხალხში. ლევარსი დაინახა ორღობესთან ატუზული.

— არ ხედავ, ლევარსი, მირიანის „ჯოგს" გუბერნატორიც დაუშინებია და მეფისნაცვალიც?

— მე თავიდან გეუბნებოდი, კაცო, დათვი რომ მოგეჩრიოს, ბაბა უთხარი-მეთქი.

— არა, ეს მითხარი, იორამ,—ცოტა დუმილის შემდეგ ჰკითხა ლევარსიმ, — ნაკაშიძე სად წავიდა, რომ არსად ჩანს?

— ნაკაშიძე, კაცო, არც წყალია და არც ღვინო, ჭაჭების ტკივილი მოიმიზეზა. ქუთაისს წავიდა საავადმყოფოში.

— ჰმ!.. ასე გგონია შენ?

— მაშ, სად წავიდოდა?—ჩაეკითხა იორამი.

ლევარსი გაყუჩდა, თავი გააქნია.

— რა ვიცი... წასავალი ადგილი ცოტაა?

სადგურიდან მომავალი ეტლები გამოჩნდნენ. ხალხი დაიძრა. პურ-მარილი მიართვეს სტაროსელსკის. გუბერნატორი უბრალოდ მიესალმა ხალხს. მის სიტყვაში არ ჩანდა, რომ ხალხის დასასჯელად იყო ჩამოსული.

როცა ეტლები ნასაკირალისაკენ დაიძრნენ, ბატონმა გუბერნატორმა არ ისურვა კაზაკების თანხლება. დიტია მგელაძემ თავი ჩაღუნა და კაზაკებმა ცხენები შეაყენეს.

— რას ნიშნავს, ლევარსი, ეს? — შეეკითხა აღშფოთებული ჭაპანაძე ლევარსის.

— ჩვენ სოფელში აღარ გვედგომება.

იორამს უკან აღარ მიუხედავს, დუქნის დერეფანში მიბ-

მულ ნაკაშიძის ცხენს მოახტა და სოფლისაკენ გაქანდა. ნატანების ხიდზე რომ შედგა იორამი, შორიდან იცნო: მირიანის „თოხარიკს“ მოაქროლებდა მახარე.

— მახარე, ბიძია მახარე!—შესძახა იორამმა.

მახარემ ცხენი შეაყენა.

— რა ამბავია იორამ?—გაიცინა მახარემ.

— ყველაფერი კაი და შენი გამარჯვება. რამდენი ხანია ვფიქრობდი, ორი სიტყვა მეთქვა შენთვის. ვერსად შეგხვდი, ბიძია. ახლა დიდი კაცი ხარ, მარა მაინც საცოდავი უწყინარი ბეგლარ მანთიძის შვილი ხარ და იმიტომ გეუბნები,—იორამმა შემპარავი ღიმილით შეხედა მახარეს.—ქვეყანა ბიძია, ხან წალმა შემოტრიალდება და ხან უკუღმა. ორივე შემთხვევაში, ყველა ხის ძირი არ უნდა გასვარო, თორემ ავდარი რომ მოგეწიოს, გადასაყუდრებელი ადგილი არ გექნება. აი მინდოდა მეთქვა ბიძია, მეტი არაფერი.

— კარგი, მემახსოვრება, იორამ!—გადაიხარხარა მახარემ და გააჭენა ცხენი ზვანისაკენ, სადაც მირიანის რაზმი ეგულებოდა დაბანაკებული.

— ამხანაგებო! — მიმართა მახარემ წითელრაზმელებს,— მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ავარსკის ჯარი შორაპანში გააჩერეს. როგორც ჩანს, სტაროსელსკი ხელს გვაფარებს. თბილისის ქართველობა ფეხზე დგას. ვორონცოვ-დაშკოვთან შუამდგომლობენ, გრენადერების დივიზიის ბატალიონები არ გამოგზავნონ გურიაში. ახლა, ამხანაგებო, ერთი პატარა საქმე გვაქვს გასაკეთებელი. სტაროსელსკი ნასაკირალის დასათვალიერებლად გაემგზავრა. ნასაკირალიდან სადგურამდე გზა უნდა შეკრათ ისე, რომ პროვოკაცია არავინ მოგვიწყოს. ასეთია ამხანაგების დადგენილება, გესმით, ამხანაგებო! მტერი ბევრი გვყავს.

— გესმის, — თქვა მირიანმა დინჯად.

მერე მირიანი გამოიხმო მახარემ, მისი „თოხარიკა“ გადასცა და ჩუმად უთხრა:

— მირიან, მეგობარო, საქმე არც მთლად კარგად არის. იცოდე, თვითნებობას ადგილი არ ექნეს. თუ გავიმარჯვებთ, ხომ კარგი, თუ დავმარცხდებით, ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ხალხი არ განადგურდეს. შეიძლება თბილისში გამაგ-

ზავნონ დღეს. ჩვენსა და მენშევიკებს შორის უთანხმოება დღითი დღე მწვავდება, — თქვა დაბალი ხმით მახარემ და მირიანის ცეცხლიან ჩიბუხზე პაპიროსს მოუკიდა. — ხომ გახსოვს ივლისის და აგვისტოს მთელი რიგი სადისკუსიო მიტინგები იანეულში და სხვაგან, სადაც ჩვენებმა გაანიავეს მენშევიკების ტაქტიკა. ახლა ორი გზა გვაქვს, მირიან: ან უნდა გადავიდეთ შეიარაღებულ შეტევაზე, ან უნდა ავიღოთ ხელი რევოლუციაზე. თითოეული ჩვენი რაზმელის გული შეიარაღებული აჯანყებისათვის ფეთქავს. ეს ხომ თვითონ იცი. მოგვიმრავლდა თვითმართველობის ხალხი. თვითმართველობაზე დაყრდნობა ხომ სიკვდილია ნამდვილი რევოლუციის. ჩვენი ხელმძღვანელობა აივსო ათასი ჯურის ადამიანებით. ფართოდ გაღებულ კარებში ვინ არ შემოვა. ამიტომ არის სწორედ ზოგიერთი „ამხანაგები“ რეფორმებს რომ ებლაუჭებიან.

— რის რეფორმა? — აპილპილდა მირიანი, — თქვენი აბლაბუდის თასმებით მირიანის რაზმს ვერ დააბამთ-თქვა, ასე უთხარი იმ ექიმს და აგრონომს, იქ რომ წამოსკუპებულან. ჩოფანები, მშიშრები, ვიცი, რაც რევოლუციონერები არიან.

დიდხანს იჯავრა მირიანმა. ცხენს ლაგამი წააძრო პირიდან და ბალახზე მიუშვა. ვეებერთელა მუხის ძირში ჩამოჯდა. მიმავალ მახარეს ზურგს მიაჩერდა, მანამ უმზირა, სანამ თვალს არ მოეფარა. უნდოდა კიდევ დაებარებია რაღაც და ახლა მოაგონდა: ნასაკირალზე დახოცილი ოთხი ძმის წინაშე ფიცი რომ დასდო მირიანმა, იმ ფიცს არ გასტეხს, მაგრამ მახარე უკვე შორს იყო საფარიდან.

ეს, ძალბატონო!

დასავლეთის ცა თითქო იწმინდებოდა. მაღალი ხეების კენწეროებზე „მკვდრის მზე“ ანათებდა — სისხლისფერი. მთებს ღრუბელი ჩამოსწოლოდა. დეკემბრის ღამე შემოდიოდა სოფელში — ცივი და სუსხიანი.

მარინემ გაფიცხებული მჭადები გადმოაწყო საინზე,

ლობიოს სანელებელი ჩაურთო. ფანჯარაში გაიხედა, ჯარგვალის კარი გაეღო ვიღაცას. მიხვდა: ფარნაოზა მჟავია მოვიდოდაო.

— ფარნაოზა, ბიჭო, — დაუძახა მარინემ დაბალი ხმით.

— მე გახლავარ, ქალბატონო!

— რას უცდი მანდ, ამოდი.

ფარნაოზამ მკლავით შეშა ამოიტანა, ბუხარს შეუკეთა. მარინემ ცხელი ლობიო და მჭადი მოიტანა სუფრაზე, ბოლოკი დათალა.

მარინე და ფარნაოზა ტკბილად შეექცნენ ვახშამს. მჟავია სასახლეში უცოლშვილოდ დაბერდა, მისად მიაჩნდა აქ ყველაფერი. ქვეყანას ერჩია ეს სახლი. ყველა ხე და მცენარე მისი და მარინეს შრომით იყო მოვლილი და გახარებული. ოჯახის წევრად გრძნობდა თავს მარინესთან. როცა გაიგო ბატონი სოფლიდან წავიდაო და მარინე მარტო დარჩაო, გული აუჩუყდა, ვეღარ მოითმინა, ადგა და ჩუმად დაიწყო სასახლეში სიარული. დილით ადრე ტყის ბილიკით დაბრუნდებოდა თავის ფაცხაში. მერე სადგურზე ჩავიდოდა, ან სოფლის კანცელარიის წინ თავშეყრილ ხალხს დაუჯდებოდა გვერდით და ნელ-ნელა აბოლებდა გრძელტარიან ჩიბუხს. ახალ ამბებს ყურს მიუგდებდა, ქვეყნის ვითარებას გამოიკითხავდა და საღამოს ყველაფერს მარინეს დაუკაკლავდა.

— იცი, ქალბატონო, დღეს სადგურის ჟანდარმი დააპატიმრეს ჩვენებმა. სადგურზე წითელი რაზმელები დგანან, ტელეგრაფი არ მუშაობს, მატარებელი არ დადის. მერე ჩვენს კანცელარიაზე ამოვიარე და რა ვნახე, ქალბატონო! ჩვენი მამასახლისი და მისი ჩაფრები ჩაუკეტიათ ოთახში და მათი იარაღი ჩვენს ბიჭებს გადაუკიდიათ მხარზე.

— ვენაცვალე მათ!—წამოიძახა მარინემ მხიარულად, — როგორც ჩანს, რევოლუცია იმარჯვებს, ფარნაოზ!

— მერე თქვენ რა გიხარიათ, ქალბატონო?!—გაკვირვებით ჰკითხა მჟავიამ ბატონის მეუღლეს.

— ტუტუცო, ჩემი ხალხის გამარჯვება მიხარია, თავისუფლება, თანასწორობა მიხარია, რამდენი რა გითხრა... რა მიხარია? — რაც ხალხს უხარია.

— ნამდვილი გლეხის ქალის სისხლი გაქვს, ბატონის მეუღლევ, მარა, ბატონზე აიღე ხელი?

— ფარნაოზავ, ძველთაგან ქართველი ქალი სამშობლოს თავისუფლებისათვის სწირავდა ყველაფერს.

— ახლა კი სტყუი, ქალბატონო, — სიცილით შეაპარა სიტყვა ფარნაოზამ და გრძელი ჯოხით ცეცხლს შეუჩიჩხინა,—ბატონის სიყვარულს შენ არაფერში არ გასცვლი.

— მართალია, ბატონის სიყვარულს არაფერში და არავისში არ გავცვლი, მაგრამ ხომ შეიძლება ჩემი თავი ვანაცვალო ჩემი ხალხის ბედნიერებას?

ფარნაოზამ თითქოს გულწრფელობა იგრძნო მარინეს სიტყვაში და ამოოხვრით თქვა:

— ეხ, ქალბატონო! საბელი გაწყდა... სოფელს მაინც ვერ შეაყვარებ თავს.

მარინემ გარეთ გაიხედა. თხელ ბურუსში მოჩანდა ახალთ-ახალი მთვარე, ცერად შემდგარი.

— ავდრის ნიშანია, ფარნაოზავ, მე კი მინდოდა ხვალ ოზურგეთში წასულიყავი.

— რა იცი, რომ ავდარი იქნება?

— ბიჭო, შენგან გამიგონია: ახალი მთვარე. რომ ცერად გამოჩნდება, ავდრის მომასწავებელიაო, დაგავიწყდა?

ა მ ნ ი ს ტ ი ა

ახალი მთვარის გამოჩენის შემდეგ სამი დღე კიდევ ვერ დადგა კარგი ამინდი. მეოთხე დღეს, უღრუბლო ცაზე მზე რომ ამობრწყინდა, ფარნაოზა მჟავიამ საგზალი გამოკრა ტომსიკაში და ოზურგეთისაკენ გაუდგა. ნატანების ხიდზე წითლების ყარაულები გადაეღობნენ წინ. ერთი მათგანი იცნო მჟავიამ. მისი ახლო მეზობლის ვაჟი იყო, გაუხარდა.

— რა ამბავია, ბიძია, ქალაქში?—ჰკითხა ფარნაოზმა გასაუბრების შემდეგ.

— ეე, ჰე-ი, ბიძია, ჭურში ხომ არ ზიხარ?—წაეხუმრა ვაჟი და მერე დინჯად აუხსნა:—ბიძია, ჩვენ უკვე რესპუბლიკანელები ვართ, გაიგე?

მეავია ვერ მიხვდა. პირველად ესმოდა სიტყვა „რესპუბ-ლიკა“ და გაშტერებული მიაჩერდა ვაჟს.

— რა არის, ბიძია, „რესპუბლიკა?“

— რევოლუციაა, ბიძია, რევოლუცია... ჩვენს ხელშია ყველაფერი. წადი, ქალაქში გაიარე.

— არა, ბიძია, იგი ერთი სიტყვა დამიწერე!

— რა სიტყვა? — განგებ ჰკითხა ვაჟმა.

— რაცხა „რესულიკა“ რომ თქვი.

ფარნაოზმა ერთი ახალი სიტყვა უკვე ჩაიწერა მარინე-სათვის.

მარინემ დააბარა: რაც გაიგონო ახალი, ამ რვეულში ჩაა-წერინეო, თან ფანქარიც მისცა წვერწამახული. „რესპუბლი-კა... რესპუბლიკა“... სამჯერ გაამეორებინა რაზმელმა მეავი-ას და ისიც უთხრა: ახლა ლაზარენკოს მაგიერ რესპუბლიკა-ნელები განაგებდნენ მთელ გურიას. ორასი ყაზახი ჰყავდათ განიარაღებული. დიტია მგელაძეს მიცემული ჰქონდა მკაცრი გაფრთხილება, — ოთახიდან არ გადაედგა ფეხი.

მოედანზე ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი. გურიელის სასახ-ლის აივანზე წითელი დროშა ფრიალებდა. იქ ახლა პოლი-ტიკური საკრებულო გაემართათ. სამსონის კლუბზედაც ფრიალებდა წითელი დროშა. ქუჩებში რაზმელები მიდიოდ-ნენ წყებ-წყებად. რაზმელებს თან მისდევდნენ თეთრხალა-თიანი ქალიშვილები, კოხტა საექიმო დახმარების ჩანთებით. მკლავზე წითელი ჯვარი ჰქონდათ გადაკერილი.

ცხენოსნები მოედანზე ჩამოხტნენ. ისინი მირიანის ათა-სეულის ნაწილები იყვნენ. არ გასულა ხუთი წუთი, მოედანი ხალხით გაიჭედა. წინასწარ გავრცელებულიყო ხმა: ამნის-ტიას გამოაცხადებენო. დაინტერესებული იყო საზოგადოება, ვის მოხსნიდნენ ბოიკოტს რევოლუციის მეთაურები, ან სა-ბოლოოდ ,ვის გაასახლებდნენ გურიიდან. ტრიბუნაზე გა-მოჩნდნენ აგიტატორები. აგიტატორებს შორის იყო ერთი ქალი. ყველა მას უცქეროდა, ყველა ამ ქალზე ლაპარაკობ-და. ეს იყო დია ვაშალომიძე. ყოველივე სიკეთე და სიმშვე-ნიერე ჩაეხატა დღევანდელ დღეს დიას თვალებში. განა მარ-ტო დია ვაშალომიძე იყო დღეს ასეთი მშვენიერი! სხვაც ბევ-რი იყო ხალხში ლერწამტანი ქალიშვილი, მაგრამ დია მათზე

მეტი იმით იყო, რომ ის ტრიბუნიდან მოჩანდა მეთაურთა შორის, რაც შარავანდედს ჰფენდა დიას სახელს ხალხში. დია ღელავდა, უცქეროდა ხალხს. ყველგან მახარეს ეძებდა შეყვარებული ქალის თვალი. ტრიბუნაზე, ხალხში, ქუჩაში, არავინ ჩანდა მამაკაცთა შორის, რომელიც შესცვლიდა მახარეს. დიას გულში მამაზე ფიქრი სიყვარულს შეენელებია. გამარჯვებული ხალხის სიმღერები აღფრთოვანებდა ახალგაზრდა ქალს. დია თვითონაც კარგად მღეროდა. ჩონგურზე ხშირად ამღერებდა ლექსს: „დაუსრულებელ სიყვარულს". ერთი მიყვარს... ერთი მიყვარსო... დაბოლოებდა. თუ გიტარა მოხვდებოდა ხელში, პირველ რიგში უთუოდ „საიდუმლო ბარათოს" იმღერებდა. მახარესაც ძალიან უყვარდა. მაგრამ დია გრძნობდა, მახარეს უფრო საბრძოლო ლექსები იზიდავდა. ერთხელ მახარემ სასოებით სთხოვა დიას, ემღერა „მზე ამოდის და მზე ჩადის, ჩემს საკანში კი ბნელა"... ამ სიმღერის დროს მახარეს აგონდებოდა გადასახლებაში მყოფი ამხანაგები. დია ამჩნევდა, ეს სიმღერა რაღაც ბუნდოვან დარდებს იწვევდა მახარეს გულში. იმწამსვე გადავიდოდა მეორე სიმღერაზე: „მწყობრად და მედგრად".

მახარე და დია უკანასკნელი თვის საერთო საქმემ თავისთავად დააახლოვა. ხშირ-ხშირმა შეხვედრამ დიას გულში უფრო გაამძაფრა მახარესადმი ტრფიალი, ხოლო მახარეს ამის მსგავსი არაფერი ემჩნეოდა. რაღაც უჩვეულო, გულგრილი ეჩვენებოდა დიას მახარე. „ნუთუ დაავიწყდა ხელს რომ მთხოვდა? ან იქნებ სხვა შეუყვარდა?" არა დიას ოზურგეთში არავინ ეგულებოდა მისი მეტოქე. მაინც ღელავდა, ტრიბუნაზე პირველად უხდებოდა საჯაროდ გამოსვლა. სწყინდა, რომ მახარე ვერ მოისმენდა მის სიტყვას. ქალთა თანასწორობის საკითხებზე უნდა ელაპარაკნა. ასე ჰქონდა პარტიის მიერ დავალებული. ამნისტიის შემდეგ რესპუბლიკის წესები უნდა გაეცნოთ ხალხისათვის.

მოედნის მიღმა ქუჩაზე, ნატანების სადგურიდან, ცარიელი ეტლები მორახრახდა. მატარებელი დღესაც არ მოვიდაო, — ამბობდნენ მეეტლეები. საერთო მიმოსვლას მთელი კვირა მოწყვეტილი იყო გურია. ტელეგრაფის ანძები დალეწილი ეყარა გზატკეცილზე. სადგურ საჯავახოს წითელი რაზ-

ში დარაჯობდა. სასწრაფო საქმეებისათვის თბილისში გამგზავრებულ მახარეს შორაპანში მოუსწრო რკინიგზელების გაფიცვამ. მახარე დარჩა შორაპანში, სადაც ალიხანოვ-ავარსკი იდგა თავისი ჯარით და ზარბაზნებით. დიას თვალები ამაოდ ეძებდა მახარეს. თვითონაც იცოდა, მახარე თბილისს იყო წასული, მაგრამ, რატომღაც ფიქრობდა, დღეს უნდა დაბრუნებულიყოო.

როცა კრების ზარი აწკარუნდა, ფარნაოზა მჟავია ტრიბუნასთან მიჩოჩდა და კიბეს აეკრა. სიტყვა ამნისტიის შესახებ ბიქტორს ეკუთვნოდა.

— ამხანაგებო! — დაიწყო ბიქტორმა, — დღეს მეორე დღეა ჩვენი რესპუბლიკის. უღირსი ადამიანებიდან უნდა გაიწმინდოს გურია, ხოლო ზოგიერთი წინათ გაძევებულნი გურიის საზღვრებიდან, უნდა დაბრუნდნენ, — ბოლოს მთელი მიტინგის გასაგონად დაიძახა ხმამაღლა: — მოეხსნას ბოიკოტი და დაბრუნდეს თავის სახლში თავადი კაცია კაციას ძე ნაკაშიძე.

ფარნაოზა მჟავიას ამის გაგონებაზე თავბრუ დაესხა. ყურები მოიფშვნიტა ბერიკაცმა, მოეყურა ეგონა. თავი ასწია, მოლაპარაკეს შეხედა.

სხვა აღარაფერი აინტერესებდა მჟავიას, ოღონდ ვინმე მადლიანს ჩაეწერა ეს ამნისტია სიტყვა-სიტყვით მის რვეულში.

— რად გინდა ბიძია ჩაწერა? ამ ქაღალდზე სწერია ყველაფერი.

ამ დროს კომიტეტის დავალებით ხალხში ვილაცა პროკლამაციებს ყრიდა. სწრაფად წაავლო ხელი გოგონამ ორ ცალ პროკლამაციას და ფარნაოზს მიაწოდა.

— ამ ქაღალდზე ამნისტია წერია, ბიძია? — განმეორებით ჰკითხა მჟავიამ ქალიშვილს.

— ჰო, ბიძია, ამნისტია წერია, — გარკვევით უპასუხა ქალიშვილმა. მჟავიას აღარ მიუხედავს უკან, სწრაფად წავიდა სოფლისაკენ. უბეში ჩახუტებული მიჰქონდა მარინესთან ოქროზე ძვირფასი, დიდზე დიდი განძი, რაიც აუწყებდა ქვეყანას „ბატონის პატიოსნებას“.

— ახლა რას იტყვი, ფარნაოზავ. საბელი გაინასკვება?—

ჰკითხა გაღვივებულ ბუხართან მუთაქაზე ჩამომჯდარმა მარიწემ და ოზურგეთის ამბების მოსმენის შემდეგ ვახშამზე მიიწვია ბატონის ერთგული ნაყმევი.

მჟავია დაფიქრდა და ცოტა დუმილის შემდეგ ნაღვლიანად წარმოთქვა.

— არა, ქალბატონო!..

ბეგის სასახლე

გზიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მოჩანს ხულოს უკანასკნელი ბატონის, გენერალ ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის მოწითალო ტუფისაგან ნაგები მთაკორტოხზე წამოდგმული სასახლე. უცქერი და გიკვირს, რა ძალამ აზიდა ამ კორტოხზე ეს ვეებერთელა ქვები.

დეკემბერია. თოვს ხულოში. თეთრი ნაბდები მოუხურავს ნაძვებს და ფიჭვებს.

— წელს არა უშავს, თავადო, — ეუბნება ჯემალ-ბეგი ნაკაშიძეს, — გვიან დაიწყო ზამთარი, — ფანჯარაში იცქირებიან და ჯემალ-ბეგი განაგრძობს: — თუ ასე გაგრძელდა თოვა, მოსალოდნელია დიდი თოვლი.

რა ენაღვლება ხიმშიაშვილს, ფეხის გადადგმა არსად სჭირდება. სამი ზამთრის საკმარისი მარაგი აქვს. დერგებით ყაურმა უდგას, ყველი, ერბო და ბრინჯი თავსაყრელი. შინაური ფრინველებით სავსეა საქათმე. დეკეულს დაკლავს და ნეტა კიდევ ვინმე მოვიდოდეს სტუმარი, თავს გაირთობდა ბეგი.

დიდი სასტუმრო ოთახი სულ ხალიჩებით არის მოფენილი. ერთი კედელი მთლიანად სარკეა, ჭერში ძვირფასი ჭაღი ჰკიდია ორმოცდაათი სანთლით შემომწკრივებული. კუთხეში შრედერის ფირმის საუკეთესო პიანინო დგას. არავინ არის პიანინოს დამკვრელი. ხანდახან ხორახანუმის რძლები ჩააყოლებენ თითებს კლავიშებზე. აქა-იქ რბილი ტახტები დგას ხავერდის მუთაქებით და ბალიშებით. შუაში დაფენილ ხალიჩებზე დიდრონი სამკუთხედი სავარძლებია. ტახტების წინ პატარა, მრგვალ მაგიდებზე წვრილმანი ნივთები აწყვია.

იქვე მეორე ოთახი მთლიანად ნოხებით არის მოფენილი. ბუხარში ცეცხლი ღვივის. ბუხრის წინ რბილი ხავერდის ბალიშებზე ფეხმორთხმული ზის ხორა-ხანუმი. გვერდით რძლები უსხედან და ბანქოს შლიან, თავს იქცევენ. ხორა-ხანუმი ჯემალ-ბეგის პირველი და უკანასკნელი ცოლია. ხიმშიაშვილი რუსის ხელმწიფის ყოფილი გენერალია. არ უყვარს მრავალცოლიანობა. ხორა-ხანუმს ერთი გულით შებერებია. თეთრი ჩარგვალებული ქალია ხორა-ხანუმი სავსე გულ-მკერდით და ჩასუქებული თეძოებით. შავი ფუდუსოს კაბა აცვია. მკერდის მთელ სიგანეზე ოქროს ფულებისაგან შეკოწიწებული გულსაწყო აქვს ჩადგმული. გარს შავი ქსოვილი ბრწყინავს. წინ რძლები უსხედან იისფერი ხავერდის განიერი კაბებით. კაბების ქვევით კოჭებამდე შარვლები აცვიათ. ფეხებზე კი ხორცისფერი ატლასის თბილი მაშიები.

კვირადღეა. ყველა თავსაქცევ სასიამოვნო საქმეს ეწევა. ქალები ხან ბანქოს შლიან, ხან დომინოს თამაშობენ. მოსამსახურეები ვახშმის სამზადისს შესდგომიან. ჯემალ-ბეგს და ნაკაშიძეს მოსწყინდათ ნარდის თამაში. ისევ ფანჯარაში იცქირებიან.

— იმას ვამბობდი,—განაგრძობს ხიმშიაშვილი, — როცა ბათუმი წაართვა თურქებს რუსთ ხელმწიფემ, ბევრმა თურქმა დატოვა მაშინ ქალაქი. ზოგი ხულოს შემოესახლა, უფრო მდიდრები ტრაპიზონს გადასახლდნენ. მაშინ თურქების სახლკარს მუქთად ყიდულობდნენ ქართველები. ახლა რომ დიდი სავაჭროებია, ის წინათ ქესიბ-ოღლების იყო. მდიდრები იყვნენ. ნავში ჩატვირთეს თავისი ქონება და ტრაპიზონს წავიდნენ.

— ჯემალ-ბეგ, — დინჯი ღიმილით თქვა ნაკაშიძემ,—წინათ, თამარ მეფის დროს, საქართველოს საზღვრები უფრო ფართო იყო,—აქ ნაკაშიძემ თავი შეიკავა, არ თქვა სათქმელი და სიტყვა განზე გადააგდო.—მიყვარს რუსი ხელმწიფე, — რუსი ხელმწიფე დღეს თუ ხვალ შეიძლება აღარც დარჩეს ტახტზე.

— სწორედ ამ დროს ელიან თურქები,—უნებლიედ წაშოცდა ხიმშიაშვილს და სიცილით დაფარა სიყალბე.

ნაკაშიძემ ისევ თავი შეიკავა. რა ექნა, ბეგის ოჯახის სტუ-

მარი იყო. აშკარად ხედავდა, ბეგს თურქებისკენ ეჭირა თვალი. არც რუსი ხელმწიფის მომხრე იყო კაცია. მას ძველი საქართველოს საზღვრები უნდოდა აღედგინა ხიმშიაშვილის აზროვნებაში. ამით უნდოდა ეთქვა: ხიმშიაშვილები, აბაშიძეები, ხალვაშები და ბასილაშვილები ქართველი წარმოშობის არიან. მათ საქრისტიანო საქართველოში ჰყვანანო მეგვარეები. მაგრამ რაღაც უხერხულად იგრძნო თავი და დუმილი არჩია. ნაკაშიძემ ბუნების სილამაზეზე ჩამოაგდო საუბარი. მხატვრის დახატულს მიამსგავსა აჭარის მთები და ხულოს მიდამოები, წიწვიანი ტყეები და თეთრი თოვლით დაფენილი ნაძვები და ცადაწვდილი ფიჭვები. ამ ფიჭვებს მიამსგავსა აჭარელი ქალის აღნაგობა და თქვა: ამ ბუნების წყალობააო აჭარელ ქალებს პირის კანზე რძის და ღვინის ფერი რომ დაჰკრავსო. შეაქო ბეშუმის ჰაერი. თოვდა. ფართო ფანტელები ცვივოდა. მართლაც, ლამაზი მოჩანდა ხიმშიაშვილის მთაკორტოხიდან თეთრად შემოსილი ლანდშაფტები. ბათუმიდან მომავალი შარაგზა უვლიდა ჯემალ-ბეგის სასახლეს.

ღამდებოდა, როცა მთაკორტოხის ძირს ნაბდით და ყაბალახით შეფუთვნილი მხედარი მოადგა. მხედარმა ცხენი შეაყენა, შუბლი მოიჩრდილა და ზევით ამოიხედა. ჩანდა ბეგის სტუმარი იყო: „ქაჯეთის ციხეს ჰგავს ხიმშიაშვილის სასახლე“, გაიფიქრა მხედარმა და გაუხარდა, ეგონა უკვე მივედიო. სადავე დაძაბა და აღმართს შეუდგა. ხვნეშოდა ცხენი.

— ვინ უნდა იყოს?—თქვა ნაკაშიძემ.

— არ ვიცი, მე არავის მოველი!—გაიკვირვა ბეგმა. მიბრუნდა, ბინოკლი აიღო, შეხედა აღმართში შემომდგარ თეთრ ცხენოსანს. გოჯის სისქე თოვლი ეყარა ყაბალახზე და ნაბადზე.

— ცხენი კარგი ჰყავს, ნაჩვევი, — შენიშნა ჯემალმა.

ახლა ნაკაშიძემ ჩახედა ბინოკლს. რატომღაც მარინე მოაგონდა. წუხელ სიზმარში ნახა მარინე. ბრილიანტის ყელსაკიდი ჰქონდა გულზე. ნაკაშიძე ფიქრობდა, ეს სიზმარი უთუოდ რაღაცას ნიშნავსო.

კიდევ შეაყენა ცხენი მხედარმა. ციხე თავზე აქვს წამოყუდებული. გზა განზე მიდის.

ჯემალ-ბეგი და ნაკაშიძე უკანა აივანზე გავიდნენ. ოთახში ქალები წამოიშალნენ, სამზარეულოდან მოსამსახურეები გამოცვივდნენ. კიბესთან ჯაჭვზე დაბმულ მურას ადგილი გადაუნაცვლეს. მოისმა ცხენის ფლოქვების თქარუნი. კიბეს თეთრი მხედარი მოადგა, შეაყენა ცხენი და ყოჩაღად გადმოხტა.

— ჩამოართვით ცხენი და ნაბადი! — ბრძანა ბეგმა.

მოსამსახურეებმა ყაბალახი და ნაბადი მოხადეს.

— მარინე! მარინე! — შეჰყვირა გაოცებულმა ნაკაშიძემ და გადაეხვია ქალს.

მარინე უხმოდ შევიდა დარბაზში. ბუხარს ცეცხლი შეუკეთეს. ხორა-ხანუმი თავისი რძლებით გამოეგება სტუმარ ქალს. ნაკაშიძეს არ ერიდებოდნენ ქალები, შინაური კაციაო, ბრძანა ბეგმა და კაცია მართლაც, შინაური იყო ოჯახში.

როცა გათბა მარინე და ადამიანის მშვიდი სახე დაუბრუნდა, მერე ჰკითხა ნაკაშიძემ:

— რა ამბავია, მარინე, რამ მოგიყვანა ამ სისხამზე, შენც ხომ არ გამოგაგდო სოფელმა?

— ამნისტია, ბატონო, — ღიმილით უთხრა მარინემ და უბიდან ამოიღო ამნისტიის პროკლამაცია.

— შეგიძლია, ბატონო, უშიშრად დაბრუნდე შინ.

— ეს მეტად რთული ამბავია, მარინე, კარგად შესწავლას მოითხოვს.

კაციას და მარინეს საუბრის დროს, ბუხართან ფართო საკარძელში ჩამჯდარი ხიმშიაშვილი რაღაც ფიქრს მისცემოდა. „ჩანს, რუს ხელმწიფის ტახტი დაინგრა“,—ფიქრობდა ჯემალი. ხულოს ბატონი ოსმალეთისკენ იცქირებოდა გონების თვალით. დროც ახლა დგებაო,—გულხმიანობდა. მერე ნაკაშიძეს მიუბრუნდა:

— ჯერჯერობით თქვენი სამშობლოში დაბრუნება თავადო, ნაადრევია.

— მეც ასე ვფიქრობ, — დაადასტურა ნაკაშიძემ.

მარინემ გულისწყრომით თქვა:

— არავითარი საშიშროება ხალხიდან არ მოგელის, ბატონო, მე მოვედი თქვენ წასაყვანად.

მარინეს სიტყვებმა გასჭრა: სამი დღე ხორა-ხანუმთან

მეგობრულ ვითარებაში გაატარა მარინემ. მეოთხე დღეს თოვამ გადაიღო. ჯემალ-ბეგი იძულებული გახდა ცხენები შეეკაზმა სტუმრებისათვის.

ბათუმში რომ შეაჭენეს ცხენები მარინემ და მისმა მეუღლემ, გულსაკლავი ამბავი დახვდათ. ქუჩებში რევოლუციონერების მაგიერ რუს ხელმწიფის მდაბიო მოხელეები იდგნენ. სადგურზე ჟანდარმი გამოჭიმულიყო. გამოკეტილი იყო „ბათუმის გაზეთის“ რედაქცია. ქალაქი ავსილი იყო სამხედროებით. პოლიტიკურ საკრებულოში ჯარი იდგა. არსად წითელი დროშის ნასახი არ ჩანდა. ცხენები მხლებელს ჩაბარა ნაკაშიძემ და მეგობარ აღასთან შევიდა საშაქარლამო „ბალახვანაში“, ცხელი ჩაი მოითხოვა. მარინეს დანა პირს არ უხსნიდა.

— ბატონო, — ძლივს წარმოთქვა მარინემ, — აწი ჩვენი სიცოცხლე აღარ ღირს. ვინ იცის, გურიაში რა ამბავია.

— მართალი ხარ, მარინე, უმჯობესი იქნებოდა ხულოდან არ წამოვსულიყავით.

— მუდამ სხვის კარზე ხომ არ დავრჩებოდით! ხომ გაგიგონიათ, ბატონო, დილას ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტა დაგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევიო, — უთხრა მარინემ და თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა.

ჩ ა ბ ო ბ ნ ე ლ დ ა

სოფლის დაბლა, წისქვილის სათავესთან, დილიდანვე შეკრებილიყვნენ ბიჭები. თითო ფუთი სიმინდი ჩამოეტანათ დასაფქვავად და თავიანთ ჯერს ელოდებოდნენ, კარავში ცეცხლი დაენთოთ და შეშის ნაჭრებზე ჩამომსხდარიყვნენ. ხან წისქვილში ჩაირბენდნენ, ტომრებს დახედავდნენ.

— ჩემი ჯერი აღარ მოვიდა, ბიძია ფილიმონ?

— არც ჩემი ჯერი, ბიძია?

ეკითხებოდნენ მეწისქვილეს.

— ოთხი დოლაბის მაგიერ, ორი ძლივს ღანჭალებს, ბიძია, და აბა რა ვიცი, რა ჩამოფქვავს ამდენ სიმინდს! ამ ზამ-

თარს ჩვენს ჯინაზე მდინარეც დაშრა, — გულისტკივილით თქვა, ბოლოს, ფილიმონმა.

წინათ, მართლაც, ისე ბრუნავდნენ ეს დოლაბები, რომ თვალს ვერ უსწრებდა კაცი. ახლა წელმოწყვეტილი ზოზინით უვლიდნენ ღერძს. სარეკელაც აღარ რაკრაკებდა წინანდებურად.

ბიჭებზე მეტად ფილიმონს ეჩქარებოდა დღეს ამ სიმინდის დაფქვა. სათავეს უტრიალებდა, ერთ წვეთ წყალს არ ჰკარგავდა. ყველას ღარში უშვებდა. მთელი კვირაა ფილიმონს ღამითაც არ მოუხუჭავს თვალი. გულფიზელ მეწისქვილეს ყოველ წამს დამსჯელი ექსპედიცია აგონდებოდა. რომელსაც დღითიდღე ელოდებოდნენ სოფლელები. ფილიმონმა კარგად იცოდა, რაც მოელოდა. არა ერთხელ უგემნია ფილიმონს მათი სუსხი. „შარისპირას მაინც არ იყოს ეს ოხერი წისქვილი," — წაიჩურჩულა თავისთვის და საყარაულოს კარს მიადგა, სადაც ბიჭები ერთმანეთს ეშაირებოდნენ და ხითხითებდნენ. ახლა გამოცანები მოიგონეს და ზურიკომ, ცამეტი წლის ბიჭმა, აღარ აცალა მეწისქვილეს სულის ამოთქმა, სხაპასხუპით მიაყოლა:

„აქედანა გავიქეცი, იორდანას ფეხში ვეცი.

იორდანამ მოიხედა.

— რამ დაგბადა ასე მხეცი?"

ბიჭებმა ისევ ხითხითი ასტეხეს, მაგრამ სხვა დროს მხიარულ ფილიმონს ახლა არაფრად ეპრიანებოდა ბიჭებთან ლაყბობა. ფილიმონმა მოტვლეპილ შუბლზე ყაბალახი აიწია და დოინჯშემოყრილმა მიმართა ბიჭებს:

— ბიძიებო, რა დროს ამოცანებია, სოფელი იღუპება. უკეთესია ერთი სიკეთე ქენით: რიგრიგობით აირბინეთ კორტოხზე და გადაიხედეთ სადგურისაკენ, იქნებ ის დაღუპულები შეამჩნიოთ.

ბიჭები უცებ დაწყნარდნენ, მერე უცებ წამოიშალნენ და უსიტყვოდ გაჰკურცხლეს კორტოხისაკენ.

კორტოხიდან წითელი წერტილივით მოჩანს კრამიტით დახურული სადგური. დაბლა რუხი შარა მიიკლაკნება და შორს, ხეებით დაბურულ მოსახვევში წყდება.

გურიის მთებს კვამლისფერი პირბადე ჩამოუბურავს.

ცას შავი ღრუბლები მიფარებია. ზღვის ნესტიანი ქარი სისინებს.

— ხედავ? თოვს ბიჭო!—სიხარულით წამოიძახა ზურიკომ.

— ნეტა იმდენი დათოვოს, რომ ის საზიზღარი კაზაკები შიგ ჩაიხრჩონ. — ბრაზით თქვა ზაზამ და რადგან არსაიდან ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა, ბავშვები ისევ სირბილით დაეშვნენ წისქვილისაკენ.

მალე წვრილი ფიფქი ფანტელებად გადაიქცა და თეთრად გადაბარდნა სერები და მინდვრები. ეზოები უხვად აივსო თოვლით. შაშვებმა სუროებში დაიწყეს ფრთხიალი და სოფლის გოგო-ბიჭები მახეებისა და რაგვების დადგმას შეუდგნენ.

* *

სანამ ზაზა და ზურიკო წისქვილში დაბრუნდებოდნენ. სადგურიდან ზაალი და საული მოსულიყვნენ. გაყინული ფეხები ცეცხლზე მიეშვირათ.

ფქვილით გაფუთქვნილმა მეწისქვილემ ნიჩაბი ხელიდან გააგდო და ტომრებზე ჩამოჯდა.

— ვერ გაიგეთ, ბიჭებო, როდის მოელიან იმ საპარტახეებს?

— ვინ გვეტყოდა! ბიძია, სადგურზე კაცი არ არის. მარტო წითელქუდიანი მოხელეები გამოჩნდებიან ხანდახან ბაქანზე. ვაჭრებს დუქნები დაუცლიათ, ერთ ღერ ასანთს ვერსად იშოვი, — თქვა ზაალმა. — ქალები სოფლებში გახიზნულან. ყველა სახლის კარი დახურულია.

— ჩვენი სიმინდი არ ჩამოგიფქვავს, ბიძია?

— თქვენი სიმინდი აგერ არის, ჯერში. მირიანის ბიჭისა და კიკინიას სიმინდი ძლივს ჩამოიფქვა.

ფილიმონმა ისევ აიღო ნიჩაბი, ზაზასა და კიკინიას ფქვილი ახვეტა, ტომრებს თავი მოუკრა და ბიჭებს მხრებზე აჭკიდა.

— გასწიეთ, ბიძია! ჭკუით იარეთ! შინ რომ მიხვიდეთ, მა-

მა თქვენს უთხარით, მჭადი თუ მოგინდეთ, ფილიმონს მიაკითხეთ-თქო!

ზაზა და კიკინია მარდად გაუდგნენ გზას შინისაკენ. არ სიამოვნებდათ ამხანაგებს ზურიკოს ჩამორჩენა წისქვილში. მაგრამ არა უშავს რა, ხვალ დილით კორტოხზე შეეხვედეთ ერთმანეთსო, მოილაპარაკეს ამხანაგებმა. ცოტა აღმართი, რომ აიარეს, ჭაპანაძის მოჯამაგირე გოგო შემოხვდათ წინ. ფატუს მისოდენა ტომარი შეედგა მხარზე, ძლივს მიადგამდა ფეხს. ტიტველი ხელები სიცივისაგან გაჰყინვოდა. კაბის ამარას თხელი ღაწვები დალურჯებოდა.

— შენ კიდევ ჭაპანაძისას გდიხარ, გოგო? — თვალების ბრიალით ჰკითხა ზაზამ ფატუს. ფატუ გაწითლდა, უნდოდა ჩქარა გაქცეულიყო თავის გზით, მაგრამ ახლა კიკინიამ გადაუდო ფეხი და დაუცაცხანა:

— შენ გამოშტერებულო, რამდენჯერ გითხრეს, ჭაპანაძისას ნუ გდიხარო? შენი ბატონის თოლხო ბიჭი რას აკეთებს? თვითონ ვერ წაათრია სიმინდი წისქვილში? ახლავე გაიპარე შენს ფაცხაში, თორემ ისე გაგხდი, რომ შენს ბურდღას ამ ტყეში კაცი ვერ ნახავს. ახლა წაეთრიე და კრინტი არ დასძრა ჩვენს შესახებ, თორემ...

ფატუ კანკალით გაუდგა გზას წისქვილისაკენ. ბიჭები ხარხარით დაეშვნენ სოფლისაკენ და მხიარული სიმღერა წამოიწყეს:

გაუმარჯოს ერთობასო, ხელში მოგვცემს ხელთოფასო,
წაეიდეთ და მას ვესროლოთ, ვინც დაგვიშლის ერთობასო.

ბიჭები კიდევ არ იყვნენ დარწმუნებული, არ სჯეროდათ რევოლუციის დამარცხება.

— იქნებ ხვალ კაი ამბავი მოვიდეს,—იმედიანი ხმით უთხრა ზაზამ კიკინიას, როცა ღელის ხიდთან დაშორდნენ ერთმანეთს.

* *

მთელი დღე თოვდა. ჩამობნელდა ცა. მირიანი გვიან დაბრუნდა მიტინგიდან, ნაბადი მოინსნა და ბუხარს მიუჯდა.

ცაცუნიამ სუფრა ცეცხლთან მისწია და მირიანს რომ შეხედა, შეკრთა, ეუცხოვა ვაჟკაცის გაფითრებული სახე და დაღვრემილი გამოხედვა.

— ავად ხომ არ ხარ, მირიან?—ჰკითხა ცაცუმ ქმარს. მირიანმა გაიცინა და ზაზა მოიკითხა. აგერ ზაზაც შემოვიდა და დაგვიანებულ სადილს მიუსხდნენ.

— რა ამბავი იყო, ბაბა, დღეს მიტინგზე?—ვეღარ მოითმინა ზაზამ, უნდა გაიგოს რაიმე ახალი, სასიხარულო. მაგრამ მირიანის თვალებში სიხარულის ნაპერწკალი ჩამქრალა. რაღაც მძიმე და უჩვეულო ფიქრი დაუფლებია მას. ხოლო შურისძიების ცეცხლი აინთება ხანდახან მირიანის თვალებში და ისევ ჩაქრება.

— რა იქნებოდა, ბაბა, სასიხარულო? ყველა გუშინდელი ნაბოიკოტარი ხალხში შემოძვრა და სოფლის მეთაურებზე თავდასხმა მოინდომეს. მაგრამ ხალხმა არ მიიღო მათი ლათაიები. არც ერთ ჩვენს მეთაურს არ გავცემთო, მტკიცედ უპასუხა ხალხმა ლევარსის. როცა მისი წინადადება არ გავიდა, ლევარსიმ და მისმა ამქრებმა ჩუმ-ჩუმად დაიწყეს ხალხში სისინი: თუ მეთაურები არ გავეცით, აგვაწიოკებენ, გადაგვწვავენ და დაგვანგრევენ. მერე გვიან იქნება, მერე კი დაიწყებთ თითზე კბენასო. მაგრამ ხალხმა ისე უყვირა ნაძირალებს, რომ უკანასკნელნი შეშინებული ტურებივით გაიპარნენ კრებიდან.

— ჭაპანაძე ეზოს აფართოებსო, — თქვა ცაცუმ და მწუხარება გამოეხატა სახეზე. ცაცუც არ იყო დღეს გუნებაზე. ქალთა კრებები ჩაიშალა და ბევრი რამ დარჩა გაურკვეველი.

— ნუთუ ასე სწრაფად გაქრა, მირიან, ჩვენი თავისუფლება?! ვინ გაუძლებს აწი ჭაპანაძის ცოლის დაცინვას!

— ნუ გეშინია, ცაცუნი, გენაცვალე, ის, რაც ხალხის გულში დაინერგა, ჩვენს მტრებს რომ ჰგონიათ, არც ისე ადვილად ამოითხრება. მე იქნება აღარ დავრჩე იმ დროს, მაგრამ აგერ ხომ მეზრდება ვაჟკაცი?

ზაზას გადახედა მირიანმა, აიღო ღვინით სავსე დოქი და სამივე ჭიქა გაავსო.

— ახალი წელი მოდის. იქნებ ვერ გნახოთ, არ ვიცი, სად

მომიწევს ხეტიალი. დავლიოთ თითო ჭიქა, ვადღეგრძელოთ ერთმანეთი, გაგიმარჯოთ!

მირიანმა ჭიქა გამოსცალა, წამოდგა, ჯერ ზაზა გადაკოცნა, მერე ცოლს მოეხვია და კარს გახედა. გარეთ ცივი, თოვლიანი ღამე ელოდებოდა. მირიანმა მაუზერის რევოლვერი ქამარში ჩაირჭო და ახალი სისტემის ბერდენის თოფი აიღო. „მეტი აღარ ედგომება შინ. ვინ იცის, გარეწარნი რა წამს დაესხმიან...“ ასე გაიფიქრა მირიანმა და თვალი შეასწრო ცოლს, ნაბადზე ხმელ ტალახს რომ აშორებდა, სახელოთი იწმენდდა ცრემლს. ზაზა ბუხარზე ატუზული მიშტერებოდა შეიარაღებულ მამას.

მირიანს ყველა იცნობდა გურიაში, როგორც გამოჩენილ პარტიზანს და სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლს. მირიანის სახელი შიშის ზარს სცემდა მემამულეებსა და პოლიციელებს, მათ ამქრებსა და ჯაშუშებს.

ნაბადი წამოისხა, კართან შედგა და ცოლს მიმართა:

— ცაცუნი, გენაცვალე, ჩვენ ხომ გვინდოდა ბედნიერი ცხოვრება, თავისუფლება, თანასწორობა, შრომა და სიხარული, მაგრამ რა ვქნათ, რევოლუცია დამარცხდა. ახლა ჩემი სადგომი ტყე-ღრეა და, ვინ იცის, კიდევ რა ჯანაბა. იქნებ ხვალ-ზეგ ჩვენი სახლ-კარი გადასწვან. უაზახ-რუსებს გაერიდეთ. სიცოცხლე და პატიოსნება ერთია ქვეყანაზე. თავშესაფარი ათასი.

—კი მარა, შენ სად მიხვალ მირიან? — აცრემლებული შეეკითხა ქმარს ცაცუ.

— ცაცუნი, თუ გიყვარდე, ნუ ინახულებ ჩემს ბინას. ეს მე და ზაზას საიდუმლოებათ დარჩეს ცოტა ხნით, — თქვა მირიანმა და ალერსით `გადაჰკრა მხარზე ხელი ცამეტი წლის ბიჭს, — ჩემი „ვაჟკაცი“ ზაზა, ვიცი, არ გამცემს და სამ დღეში ერთხელ ამომიტანს მჭადს. ცაცუნი, მეტს არაფერს გთხოვ, მხოლოდ ტყეში ნუ დაიწყებ ხეტიალს ჩემ საძებნელად. ნუ დაღონდებით! მონობას ვეღარ შევურიგდები, და თუ დავიღუპები, სოფელში მაინც იტყვიან: სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდაო, ძმობასა და ერთობას შესწირა თავიო.

დაასრულა თუ არა თავისი სიტყვა, მირიანი მაშინვე გაუდგა გზას ტყისაკენ.

დეკემბრის ღამეა. მირიანის ფეხქვეშ გაყინულ თოვლს ხრაშუნი გააქვს. სუსხიანი ქარი სისინებს და ყურში თითქო ყინვის ლოლუებივით უძვრება. თოვას გადაუღია. ცაზე არც ერთი ნაფლეთი ღრუბელი არ ჩანს.

გაჰყურებს მირიანი თეთრად გადაფთილულ ქვეყანას. მალალი, ლურჯი ცა ვარსკვლავებით მოჭედილა. მთები გვიანი მთვარის შუქს შეუმოსავს. დათოვლილი ქედები მოალმასებულ ზვინებივით მიბჯენიან ცას. „რამდენი სილამაზეა ამ თეთრად დამუნჯებულ ღამეში! რა საუცხოოდ მოჩუქურთმებულა მირიანის სამშობლო...“

მარმარილოს ობელისკებივით ამართულან თეთრად შეფუთვნილი ხეები. თეთრი დათვებივით დგანან დათოვლილი ჯაგები. იქ, შორს, ბექობებს დაბლა, თვალუწვდენი თეთრი ველი გაშლილა. რამდენი ვარსკვლავი ციმციმებს, მაგრამ... „მირიანის ვარსკვლავი რად ჩამქრალა? რად არ ციმციმებს? — მირიანმა შუბლი მოისრისა. — არა, ისევ ამოვა... სამუდამოდ არ ჩამქრალა, ამოვა... ამოვა“.

მირიანი შედგება. მისთვის სულერთია წყალწმინდის ტყეში გაათენებს, თუ სოფლის შუკებში ივლის. დროსა და საათს ფასი დაეკარგა. სასწრაფო საქმეებზე აღარ მიეჩქარება, ყურს მიუგდებს გატვრენილ ღამეს. მხოლოდ თავისივე ფეხის ხმა მოესმის:

ხრაშ... ხრაშ... ხრაშ...—ხმაურობს ფეხქვეშ თოვლი.

ბაბუა ყაფლანი

წისქვილიდან დაბრუნებული ფატუ საკუჭნაოში შევიდა და თავის ფალასფულასს დაუწყო ძებნა. პატარა ფუთა შეკრა და ლოგინქვეშ შეაგდო. მეორე დილით ფატუს საქათმის კარი არ გაუღია, საკუჭნაოდან გამოძვრა და ჯერ მზე ამოწვერილი არ იყო, რომ ჭაპანაძის ეზოდან გავიდა, დალმართი ჩაირბინა. ღელის გაღმა სეფეს დედას, სალომეს, ფაცხის კარი გამოეღო, კერაზე ცეცხლი გიზგიზებდა.

— სად მიხვალ, გოგოვ, ამ უთენიას?—შორიდან მიაძახა სალომემ სიცივით აძაგძაგებულ ფატუს. მიუახლოვდა, კაბაში ხელი წაავლო და შინ მიიწვია.

— შემოდი, შე საწყალო, ცოტა მაინც გათბი ცეცხლთან.

ფატუს ძალიან უნდოდა ცეცხლთან გათბობა, მაგრამ კიკინიას დანახვაზე პილპილივით აენთო. კიკინიამ, როცა ფატუ დაინახა მისი ფუთით, ბევრი იცინა. მერე ნიშნის მოგებით ჰკითხა:

— წაბრძანება ინებე და კიდევ დაბრუნებაზე ფიქრობ?

ფატუ გაწითლდა. ამის დასაცინი როგორ გავხდიო, — გაიფიქრა და პასუხი მოიმარჯვა.

— შევარცხვინე, ვინც შენზე ნაკლები „ერთობის“ კაცი იყოს. წავედი და არც დავბრუნდები.

გაბრაზებულმა ფატუმ მუგუზლებზე გადაალაჯა და ფაცხიდან გასვლისას მკვახედ უთხრა სალომეს:

— ბიცოლა, მაგ ბიჭს უთხარი, ჩემს დაცინვას თავი დაანებოს.

— სად მიიჩქარი, გოგოვ, მოიცა მჭადი ვჭამოთ, — დაუწყო ხვეწნა სალომემ, მაგრამ ფატუმ უკან არ შოიხედა. კიკინიამ სწრაფად დაავლო ხელი ერთ ნაჭერ მჭადს და შემწვარ შაშხს, სირბილით დაეწია ფატუს და წინ გადაუდგა:

— თუ და ხარ შევრიგდეთ, თავის დღეში აღარ დაგცინებ, ოღონდ ახლა შევრიგდეთ... ჰა, გამომართვი...

ფატუს წამწამებს უნებლიედ მოწყდა ცრემლი, სახე განზე მიიბრუნა და აღელვებით წარმოთქვა:

— დედა დაიფიცე, რომ აღარ დამცინებ!

— დედას ვფიცავ...—სინარულით წამოიძახა კიკინიამ.

კიკინია ფაცხაში შებრუნდა და თავი უცებ ვაჟკაცად წარმოიდგინა: დღეს გოგო გავუქციე ჭაპანაძეს, ხვალ უარესს დავმართებო. — გაიფიქრა, მაგრამ კიკინიას ოცნებასაც მალე მოეღო ბოლო. სადგურიდან მეზობელი მოვიდა, სალომეს შეატყობინა: სეფე მოულოდნელად ჩავარდნოდა ხელში დიტია მგელაძის რაზმს. სალომეს შვილის დაჭერის ამბავი ელდად დაეცა გულზე, მუხლები მოეკეცა. კიკინიამ საჩქაროდ გამოიტანა სეფეს თოფი და დაიძახა:

— მამაჩემის იარაღს ცოცხალი თავით არ მივცემ არა-

ვის,—ქონით დათხუპნა, მუშამბაში გახვია, ზედ ფიცრები შემოაკრა და ტყეში წაიღო დასამარხად. ყმაწვილის შინ დაბრუნებამდე, სალომეს სასწრაფოდ შეედგა ცეცხლზე კეცი. ღორის მთელი გვერდი მოეხარშა, ძეხვები შეეწვა და მამლისთვის წაევლო ხელი. მამალი კიკინიას მიაჩეჩა და ბრძანების კილოთი უთხრა:

— გაიყვანე და დაკალი ეგ საოხრე!

ჯაჭვზე დაკიდებულ ქვაბში ქათმის გასაფუთქი წყალი დუღდა. საღამოს რაც რამ სურსათ-სანოვაგე გააჩნდა შემონახული, ყველას კალათებში აწყობდა და კიდევ გულნაკლულად ამბობდა:

— რას ეყოფათ საცოდავებს, მგლებივით მშივრები იქნებიან. ღმერთი ამოაგდებს დიტია მგელაძის ოჯახს, ღმერთი ცეცხლს გაუჩენს ჭაპანაძის სახლ-კარს, ღმერთი ამოსწყვეტს ლევარსის ცოლ-შვილს.

იწყევლებოდა სალომე და საჩქაროდ ამზადებდა სადილს. სალომემ კარგად იცოდა, მარტო სეფე არ იქნებოდა ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლში. „სეფესთან სხვებიც იქნებოდნენ — რევოლუციონერები, თავისუფლებისათვის მებრძოლი ვაჟკაცები. და განა მარტო ვაჟკაცები? სუფსელი მასწავლებელი ქალი, ბაბი გურგენიძეც ხომ დაიჭირეს? ლუკა მეგრელიძეც ხომ იქ ზის? ყველას ჭამა უნდა“,—ფიქრობდა სალომე, ტრიალებდა, კალათას სტენიდა, დოქში ღვინოს ასხამდა. ბოლოს კიკინიას დააბარა: ნენაია, სიმინდს უშველეო, ფატუ მოგეხმარებაო, ამაღამ ვერ ჩამოვალ და ბაბუა ყაფლანს სთხოვე ჩვენთან გაათიოს ღამე.

სანოვაგით დატვირთული სალომე მამაცურად გაუდგა გზას ოზურგეთისაკენ. შორი მანძილი ჰქონდა გასავლელი სამაზრო ქალაქამდის. მისი ფიქრით სამხრობამდის მაინც უნდა მიეტანა სადილი ტუსაღებისათვის. ჭაპანაძის ეზოსთან რომ ჩაიარა სალომემ, უკვე გვიან იყო. საქათმის და საღორის კარი ჯერაც არავის გაეღო. ქათმები კაკანებდნენ და ღორები ღრუტუნებდნენ. სამზარეულოშიაც არ ამოდიოდა ბოლი, ეტყობოდა ჭაპანაძის მეუღლეს კიდევ ეძინა, ან ფატუს შესვლას ელოდებოდა, უცდიდა როდის დაანთებდა გოგო ბუხარში ცეცხლს. გამწარებულმა სალომემ უნებლიედ

გაიღიმა და ნიშნის მოგებით თქვა თავისთვის: „აბრძანდი, მოურავის მეუღლეე, გეყოფა ძილი, უყმო ქალბატონო, ფატუ დღეს თქვენს ბუხარში ცეცხლს აღარ აანთებს. მიხედეთ ღორებს, ქათმებს, სანამ არ დაგწვიათ სახლ-კარი“.

მართლაც, დიდხანს ელოდა ჭაპანაძის მეუღლე ფატუს.

— ნეტავ სად ჯანდაბაში წავიდა, ეგ გოგო?

ბრაზი მოერია მოურავის მეუღლეს და შვილს გასძახა მეორე ოთახში:

— დოდიკ! დოდიკო, ადექი, გენაცვალოს დედა, ნახე ერთი რა დაემართა იმ გოგოს, იქნებ კიდევ შეუჯდა ეშმაკები, აა!

დოდიკომ თვალი ძლივს გაახილა, ზმორებით წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და მთქნარებით წარმოთქვა:

— შეშაც არ მოუტანია მაგ ზარმაცს. ალბათ, წისქვილში წაეთრეოდა.

— ერთი ამ ძღინკლიანს უყურეთ! როგორ გაბედა, რომ შეშა არ მოუტანია!—აკაპასდა ჭაპანაძის მეუღლე.

ოთახში ძალზე ციოდა. თეთრად კიაფობდა თოვლით შეფუთვნილი მიდამოები. თეთრი შალითა ებურა იორამის ეზოს, თეთრ შალითაზე მხოლოდ ფატუს პატარა ფეხის ნატერფალი მოჩანდა.

კიკინიამ იმ საღამოს ზურიკო და ფატუ მოიპატიჟა სიმინდის საფშვნელად. ზაზასთანაც ჩაირბინა. ზაზა და ცაცუ თავიანთ სიმინდს ფშვნიდნენ მთელ დღეს და ხელები დაკორძებოდათ. გამობრუნებული კიკინია ბაბუა ყაფლანთან შევიდა. ბაბუა ყაფლანს სიმინდის ფშვნა არ შეეძლო. ოთხმოცდაათი წლის იყო ბაბუა ყაფლანი. სამაგიეროდ, ბიჭებთან საუბარი, ძველი ამბების თხრობა უყვარდა. განსაკუთრებით უყვარდა სასახლის მოგონება და გულქანის მკვლელობის ამბის მოყოლა. კიკინიამ ცეცხლის პირას ჭილობი გაშალა და ბაბუას მუთაქა დაუდო. კერაზე ცეცხლი ააბრიალა. მეგობრები მოუსხდნენ სიმინდს საფშვნელად.

— სად შევწყვიტეთ, ბაბუა, საუბარი იმ დღეს?—ჰკითხა ბაბუა ყაფლანმა კიკინიას.

— სასახლე რომ ბრწყინავდა ლამპებითა და ვერცხლის შანდლებით. სოფელს ჭრაქი არ ჰქონდა,—გაახსენა კიკინიამ.

— მართალია. — ღიმილით თქვა ყაფლანმა, სოფელს ჭრაქიც არ ჰქონდა, მხოლოდ ბატონებიან ბაღნებს უნთებდნენ ბაზმას. სასახლე კი უთვალავი სიმდიდრით ბრწყინავდა. სტამბოლის ქარვები, თეირანის ნოხები, ყანაუზები და ატლასები, ოქსინო და მირინოზები, ვერცხლით მოჭედილი რახტი და აბჯარი. ვინ მოსთვლის, ბაბა, იმდენ სიმდიდრეს.

რად მოჰქონდათ სტამბოლის სოვდაგრებს ამდენი საჩუქრები სასახლეში? ჩვენი ქალიშვილების ქება, ბაბა, ცის კიდემდე იყო განთქმული. ჩვენი ბიჭების სიყოჩაღე ქვეყანას აკვირვებდა. ამიტომ მოდიოდნენ ამ სიშორეზე სტამბოლელი სოვდაგრები.

ერთხელ კაი ტაროსიანი ზაფხული იდგა. გლეხებმა ყანების გათოხნა მოათავეს. საზამთრო შეშის მოსაჭრელად ვემზადებოდით. გვიხაროდა მოსავალს კაი პირი უჩანდა. კვირადღეობით წირვას ვესწრებოდით და გასათხოვარ ქალიშვილებს ვათვალიერებდით ახალგაზრდები. ბატონის დანა კისერზე გვედგა, მაგრამ მაინც ცხოვრებაზე ვფიქრობდით. ასეა ბუნების კანონი. ვაჟი რომ დავაქაცდება, ცოლი უნდა ითხოვოს, ასე მომდინარეობს დასაბამიდან. ბატონებს ყმების მომრავლება უნდოდათ და ქვეყანას მომავალი თაობის აღზრდა. ასეა, ბაბა, დრო დროს სცვლის, ჟამი ჟამს და თაობა თაობას. ჰოდა, იმას ვამბობდი: კაი ბიჭი ვიყავი, მაღალი, წერწეტა, მხარბეჭიანი. ადვილად ბატონიც კი ვერ შემხედავდა, თავადაზნაურებს ტოლს არ ვუდებდი, მარა მაინც არ მირევდნენ თავიანთ წრეში. თვრამეტ-ცხრამეტი წლისა ვიყავი. არც ბატონის მეშინოდა, არც ღმერთის. ერთ დღეს დაბადებული ერთ დღეს მოვკვდები, ოღონდ გულქანი გავათავისუფლო ქალბატონის ფარეშობიდან-მეთქი, ვფიქრობდი. გულქანის სილამაზე განთქმული იყო ბაბა, დუნია მელექედში. სოფლის ბიჭები გულქანზე ლექსებს მღეროდნენ:

სუფსის პირზე, ბაილეთში,
სასახლეა ბროლისაო,
გულქან, შენი სიყვარული
მეღირსება როდისაო.

მინდორშია თეთრი ქვაო,
დაეკარ ხელი თან ამყვაო,
გულქან, შენი სიყვარული
სადაც წაველ, თან წამყვაო.

მღეროდნენ ბიჭები ლექსს და მე გული ბოღმით მევსებოდა. ვიცოდი ქალბატონი ადვილად არ შეუშვებდა იმ გოგოს ხელს. ისიც ვიცოდი, რომ ბატონი სტამბოლელი სოვდაგრის ადლით ზომავდა მას და ქალბატონსაც მოალბობდა დატვირთული ჯორების დანახვა. ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლები, ბრილიანტის საყურეები, ლალ-მარგალიტის სამაჯურები და იაგუნდის თვლებიანი ქამრები, ძვირფასი ქსოვილები და ხასხასა აბრეშუმის თავსახვევები. განა ტყუილუბრალოდ უგზავნიდა სტამბოლის ფაშა ამდენ სიმდიდრეს გურიის მთავრის შთამომავალს? ფაშას მოსწონდა ჩვენი ლერწამტანი ქალიშვილები და ბატონიც არ იშურებდა ფაშისთვის საჩუქარს. ღვთის პირიდან გადავარდნილები, რომ მომაგონდებოდა ბაბა, კბილები ამიკაწკაწდებოდა, სანამ მქონდა ის ოხერი. ახლა აღარც კბილები მაქვს და...

ბაბუა ყაფლანმა ნაღვლიანად მოავლო თვალი კერასთან მოგუზგუზე ცეცხლს. ენანებოდა მოხუცს წარსული ახალგაზრდობა. ახლა ენანებოდა, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანაში წინანდებურად ვეღარ სჩქეფდა სისხლი მის ძარღვებში. მაგრამ გული მაინც არ უდგებოდა. ახალი, განმეორებული სიცოცხლე სწყუროდა. ენატრებოდა თავისუფალი სამშობლო.

— მერე, მერე, ბაბუა,—აღარ აცალეს მოხუცს ბიჭებმა დაფიქრება.

— მერე ერთ ზაფხულს, სასახლეს სტამბოლის სოვდაგრები ეწვია. შეკვეთილში ნავები დააბეს და ძღვენი ჯორებზე გადმოტვირთეს. ძვირფას ნივთებს ქალბატონი აწესრიგებდა დაკეტილ ოთახში. გულქანი თავზე ადგა ქალბატონს და არ იცოდა საწყალმა, რომ ეს ძვირფასი ნივთები მისი სიცოცხლის საფასურად იყო მოტანილი. როცა ხარბად დაჰყურებდა ნივთებს, ქალბატონმა თავი ასწია სკივრიდან და ცბიერი ღიმილით ჰკითხა:

— გოგოვ, არ გინდა შენც გქონდეს ამისთანა ფარჩის კაბები და ფოჩიანი მოსასხამები?

— მე ვინ მაღირსებს, ქალბატონო, ამ ბედნიერებას?!

— მინდა ფაშას მიგათხოვო, რომ ყელამდე სიმდიდრით აგავსოს, ოქროში და ვერცხლში ჩაგსვას და ქალბატონივით გაცხოვროს. შენთვის სიკეთე მინდა. რას იტყვი ჩემი დედობრივი მზრუნველობისათვის, გოგოვ? ხომ მოხარული იქნები ბატონისა და ჩემ მიერ ამ ბედნიერების მონიჭების გამო?

გულქანი გაქვავებული იდგა, ხმას არ იღებდა. ბოლოს თვალები რომ დაუბნელდა და ხელიდან ნივთები დაუცვივდა, ქალბატონმა მარაო მოუფართხუნა სახეზე და დაცინვით უთხრა:

— რა მოგივიდა, გოგოვ, რა ღმერთი გიწყრება, სიხარულმა ხომ არ გაგაბრუა, საცოდაო? ეგებ ელდა გეცა ერთბაშად?

ქალბატონმა ვარდის წყალი მიაპკურა სახეზე. როცა გულქანი გონს მოვიდა, საბრალოს თავი სიზმარში ეგონა. არ სჯეროდა, თუ ქალბატონი გაიმეტებდა.

—ქალბატონო, შენი ჭირიმე, მეორედ აღარ მეხუმრო! არც ფაშა მინდა და არც მისი სიმდიდრე. ყველაფერს მირჩევნია ნენაის ფაცხა და თქვენი სამსახური, — შეევედრა გულქანი ქალბატონს.

— ბრიყვო, რა იცი შენ კაი და ავი. ღორის თავს ხალიჩაზე დებდნენ და ნაცარში მიგორავდაო, ხათქვამია: ისე გჭირს შენც. მადლობა უთხარი ბატონს, რომ გაგაბედნიერა.

— რა მინდა, ქალბატონო, სათათრეთში! ცოცხალი არ წავალ და მკვდარს თუ წამიღებენ—წამიღონ, — გადაჭრით თქვა გულქანმა.

— მერე, ბაბუა, შეასრულა სიტყვა გულქანმა? — მყისვე შეეკითხა ფატუ ბაბუა ყაფლანს.

— აი, გეტყვი, ბაბა, როგორ შეასრულა: გამგზავრების წინა ღამით, როცა სასახლე მშვიდი ძილის ტკბილ სიზმარში გაეხვია, გულქანმა სასახლიდან გამოპარვა მოახერხა. ჩემსკენ გამოქანდა. ზაფხული იყო და იცოდა, იმ ღამეს საჯინიბოს ღია დერეფანში მეძინა. მოვიდა და სვეტივით გაჩერდა

ჩემს წინ. ნუ შეკრთებიო, მითხრა, ვაკაცს გმირობა გმართებსო.

— მართალია-მეთქი, დავუდასტურე, ქალის ლეჩაქი დამეხუროს, რასაც შემასახელებ, თუ ვერ შეგისრულო-მეთქი.

გულქანს თვალები გაუბრწყინდა სიხარულით.

— ვიცი, ჩვენი გული დიდი ხანია ერთმანეთისათვის ფეთქსო, მითხრა, მარა ჩვენ სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ ერთმანეთს.

ცა ჩამოინგრა მეგონა ჩემს თავზე. მაგრამ ისევ გულქანმა შემომძახა: არ წახდეო, ვაკაცი, — არა-მეთქი,—მივეცი სიტყვა. მაშინ დაიჩოქა და შემევედრა: თათრების ხელში ნუ ჩამაგდებო. მამაჩემის გვერდით დავიმარხოო. საცოდავმა დედამ დამიტიროსო. მომკალიო, მხოლოდ მაშინ, რაწამსაც ქალბატონმა გასამგზავრებლად გამიმეტოსო.

მთელი ღამე ვლესე დანა. საზარლად მიძგერდა გული. ვერ გადამეწყვიტა, ვისთვის დამეკრა სასიკვდილოდ — ბატონისთვის, ქალბატონისთვის, თუ გულქანისათვის, რომელიც ქვეყანას მერჩია.

დილამ ინათა. მოვემზადე „საყაჩაღოდ“, — გადავწყვიტე ჯერ გულქანს მოვკლავ, მერე ბატონს და ამის შემდეგ აღარ ვჩივი ჩემს თავს-მეთქი. ავიარე სასახლის კიბე სწორედ იმ დროს, როცა გულქანი თავის ოთახიდან გამოჰყავდა დარაჯს ნაბადში შეხვეული. როცა დამინახა გულქანმა, ნაბადი მოიგლიჯა და ისეთი მომხიბლავი თვალები შემომანათა, რომ დასაკრავად აწეული მარჯვენა ჰაერში გამიჩერდა. მაშინ გულქანი თვითონ მწვდა, დანა გამომგლიჯა და თვითონ დაიკრა გულში. წავხდი ვაკაცი... ასე იყო, ბაბა, ეს ამბავი. ასე დაიღვარა გულქანის უმანკო სისხლი ამ ღვთის გაჩენილ მიწაზე. მანამ არ აშრება, ბაბა, ეს სისხლი, სანამ ბატონიშვილების გვარი არ მოსინსილდება.

— მოსინსილდა კიდეც,—თქვა კიკინიამ.

ზურიკომ, რომელიც დიდი ხანია მოხუცს გულზე უცქეროდა, უცებ ჰკითხა:

— ბაბუ, ეს მედალი საიდან გაქვს?

ყაფლანმა გაიცინა.

— ხომ გითხარით, ბაბა, კაი ბიჭი ვიყავი-მეთქი. სასახ-

ლის იმ საშინელი ამბის მერე „დრუჟინაში“ მიმიღეს და ეს მედალი იქ თათრებთან ომში მივიღე.

— რისთვის მოგცეს?

— „ზახრაბუსტის“ მენდალია, ბაბა.

— რა არის, ბაბუ, „ზახრაბუსტი“?

— ვაჟკაცობისათვის, გამბედაობისათვის.

— აა, მივხვდი, მივხვდი, ბაბუ!

კიკინიამ გადაატრიალა ყაფლანის გულზე დაკიდებული მედალი და წაიკითხა რუსული ასოებით დაწერილი.

— ხა, ხა, ხა,—გადაიხარხარეს ბიჭებმა. ფატუს არაფერი ესმოდა მედალის. სულ გულქანზე ფიქრობდა.

მოათავა ბაბუა ყაფლანმა ამბის თხრობა და განთიადმაც შემოაჭყიტა სალომეს ფაცხაში.

უკანასკნელი იარაღი

. მზე მაღლა იდგა, როცა ზაზა, კიკინია და ზურიკო ერთმანეთს შეხვდნენ კორტოხზე. კიკინიამ ბევრი აცინა ზაზა, — უამბო, როგორ მირბოდა ფატუ თავისი ფუთით შინისაკენ.

— აბა ახლა ვნახოთ, ვინღა ამოუტანს ჭაპანაძის „ქალბატონს“ ფქვილს,—თქვა ზაზამ.

— ვნახოთ „გიმნაზისტი“ როგორ მოიკიდებს ზურგზე ტომარას, — ჩაიცინა კიკინიამ და მერე სამივემ ხარხარი მორთეს.

დოდიკა ბათუმში სწავლობდა გიმნაზიაში და დეკემბრის არდადეგებზე ამოსულიყო შინ. ზაზა, კიკინია და ზურიკო სოფლის ორკლასიან სკოლაში სწავლობდნენ და შურით უცქეროდნენ გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილ ჭაპანაძის ვაჟს, რომელიც ჩირადაც არ აგდებდა სოფლის ბიჭებს.

მზე ოდნავ ათბობდა ჰაერს.

ბიჭები კორტოხიდან დიდხანს იყურებოდნენ სადგურისაკენ.

— ეს ვინ არის, კორტოხზე რომ ამოდის?

სამივემ იქით მიიხედა.

— ბიძია ფილიმონია, ბიჭო, შეხედე, როგორ მობობღავს საწყალი, — სიბრალულით თქვა ზაზამ.

— ამას რაღა აწუხებს? — გაიღიმა ზურიკომ. — ქვეყანა რომ გადაიწვას, ამას მაინც არაფერი არ დაეწვება.

ფილიმონს მართლაც, არაფერი არ გააჩნდა, არც ცოლ-შვილი, არც სახლ-კარი. ერთი დათვის ტყავი ჰქონდა და ერთი რუხი ფერის კატა ჰყავდა. ვირთხებს ეშინოდა ფილიმონის. კატა დიდ მეგობრობას უწევდა ვირთხების წინააღმდეგ ბრძოლაში, — წისქვილის გმირს ეძახდა. ყველის ნატეხი თუ გააჩნდა, უმალ მის „კატუნიას“ აქმევდა.

— ამას რატომ ამბობ?!—შეუტიეს ზურიკოს კიკინიამ და ზაზამ. — ბიძია ფილიმონიც ხომ ახალი თაობის არის? ახალი თაობის კაცები მარტო თავისთვის ზრუნავენ?

— არა, სოფლისათვის ზრუნავენ, სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძვიან, — შერცხვა ზურიკოს და შეეცადა შეცდომის გამოსწორებას.

— ჰოდა რაღას ხუმრობ? ბიძია ფილიმონსაც ხომ გული აქვს!

— და მერე როგორი კეთილი გული!—დაუმატა ზაზამ კიკინიას ნათქვამს.

აი ბიძია ფილიმონიც. ძლივს ამობობღდა. რამდენჯერმე დაუცდა თოვლზე ფეხი, არ დაუკვნესია. მადლიანი თვალით გადახედა ველებს.

ბუნების სილამაზემ მოხიბლა ფილიმონი. სიხარული სწყუროდა ბერიკაცს, მაგრამ სიხარულის ნაცვლად ფილიმონს სევდა შემოაწვა. ჩამოკენკილი ფარაჯის კალთები აიკეცა და ბიჭებს მიმართა:

— ბიძიებო, იცით, როგორ მიყვარს სიცოცხლე? მინდა კიდევ ვუმზირო ამ მშვენიერ ქვეყანას, ერთ ხანს კიდევ მათბობდეს ეს მზე. მარა რა გაეწყობა, მოვხუცდი, მგონია, სიკვდილი ყოველდღე მიკაკუნებს წისქვილის კარზე. ვწუხვარ, რომ ვეღარ ვნახავ ჩემს ლამაზ სამშობლოს თავისუფალს.

— რას ამბობ, ბიძია ფილიმონ, რა დროს სიკვდილია!— მღელვარე ხმით შესძახა ზაზამ, — ას წელს უნდა იცოცხლო. მტრების ჯინაზე უნდა მოესწრო თავისუფლებას. არაუშავს, დღეს დავმარცხდით, ხვალ გავიმარჯვებთ.

— ღმერთმა ჰქნას, მარა მაშინ ნუ დაგავიწყდებით, ბიძიებო, და თქვით: საწყალ ფილიმონსაც უხაროდა სამშობლოს თავისუფლება-თქო. მოდით და ერთი წითელი ნაჭერი ჩემს საფლავსაც დააფარეთ.

ზაზას გულით უნდოდა ფიცი დაედო ფილიმონის წინაშე, რომ შეასრულებდა მის ანდერძს, მაგრამ ამ დროს მათი ყურადღება კორტოხის ძირში, შარაზე მიმავალი ურმის ჭრიალმა მიიქცია. ფილიმონმა შუბლი მოიჩრდილა.

— ეს რა მიაქვთ ურმით?—იკითხა, რადგან მისი თვალი შორს ვერ ამჩნევდა საგანს.

ზურიკოს სიცილი აუვარდა. კიკინიამ და ზაზამაც გადაიხარხარეს. მათ იცოდნენ სოფელი დღეს უვარგის იარაღს აგროვებდა მთავრობისათვის ჩასაბარებლად.

— შეხედე, ბიძია ფილიმონ, თამარის ციხეზე რომ ადამისდროინდელი დაჟანგული ზარბაზანი ეგდო, ისიც დაუდიათ ურემზე. ხა, ხა, ხა...—ახარხარდნენ ბიჭები.

— ბიძიებო, რა დროს სიცილია. თქვენს გაზრდას, ერთი დაეწიეთ და გააჩერეთ ის ურემი.

როდესაც ბიჭები ურმებისაკენ გაიქცნენ, ფილიმონი კორტოხიდან დაეშვა და ისე ჩასრიალდა, თითქოს ციგაზე იჯდა. თავი ვეღარ შეიკავა, გადაყირავდა და შუა შარაზე გაიშხლართა. ძლივს წამოფოფხდა, შედგა, კვლავ წაფორთხილდა. არ შეუნიშნავს, მისი თავკომბალა ბზის ჯოხი რომ ხელში აღარ ჰქონდა.

— ჰა-უუ!..—ისე დასჭყივლა, სანამ ბიჭები დაეწეოდნენ ურმებს, მეურმეები გაჩერდნენ.

— რა იყო, ფილიმონ, რამ აგაღელვა, კაცო, ეგებ გგონია ვარგისი იარაღი მიგვაქვს? ისე ღმერთი ააშენებს ჭაპანაძისა და ლევარსია კოტრის ოჯახს,—გესლით თქვა სიკომ, ხოლო გიგო, რომელიც ყოველთვის ოხუნჯობის ხასიათზე იყო, ფილიმონს წინ გადაეღობა და განგებ შესძახა:

— აბა, აბა, ხელები ზევით, ბერიკაცო!.. თორემ ხომ ხედავ ჯარბაზანს? გავარდება, ბუ...—და ისე დაუსტვინა გიგომ, რომ ყველას გაეცინა, მხოლოდ ფილიმონი ალუღლუღდა საყვედურით:

— მომკალით კაკალი კაცი და ეგ არის. აწი მე რაღას

ვივარგებ! როცა ფქვილი გამოგელევათ, მაშინ გაგახსენდებათ ფილიმონი, როცა „საქმეა“, მაშინ არ ფიქრობთ ფილიმონსაც თუ გული აქვს. ოჯახქორებო, ერთი გეკითხათ მაინც იქნებ მეც მქონდა ეგ საპარტახე იარაღი.

ფილიმონი წისქვილში ჩავიდა, უჩახმახო, დაჟანგული ფილთა გამოიტანა და ურემზე დააგდო.

— ახლა, წადით, ნულარ აყოვნებთ,—თქვა დინჯად ბერიკაცმა,—მხოლოდ გახსოვდეთ: სადაც თქვენი თავი კაცად ახსენოთ, იქ ფილიმონსაც ნუ დაივიწყებთ.

დარბეული ოჯახი

ცის დაღმართისაკენ დაქანებული, სითბომოკლებული ზამთრის მზე უხალისოდ იხედებოდა, როცა ზაზამ მამას საქმელი წაუღო ტყეში. მამა კარავში არ დაუხვდა. მირიანი წინა ღამით ზემო გურიაში წასულიყო მეთაურების კრებაზე. ზაზამ, დარიგებისამებრ, აბგაში ჩაუწყო მამას საქმელი, ხეზე დაკიდა და უკან გაბრუნდა ცარიელი კალათით. ტყიდან სერზე რომ აირბინა და გადაიხედა, თეთრი რიკულებიანი პატარა ოდა აღარ ჩანდა. ოდის ადგილას დაგრაგნილი კვამლი ამოდიოდა. ზაზამ სირბილით გასწია შინისაკენ. წნელით შეღობილი ეზო სულ დაელეწათ კაზაკების ცხენებს. ოდა ცეცხლში იყო გახვეული. ზაზამ აღშფოთებული თვალები ყოველ მხარეს მოავლო, შეფიქრიანდა: „სად უნდა წასულიყო დედა? მოასწრო გაქცევა, თუ ცეცხლში იწვის?“ შავი ფიქრები აირ-დაირია ყმაწვილის თავში. აგერ უცებ, კაზაკების ცხენებში თვალი მოჰკრა ჭაპანაძეს. ბრაზმა აიტანა ზაზა. იორამს ყინვით წაწითლებული ცხვირი ურცხვად გამოეყო ყარაბანდულის ყაბალახიდან და მირიანის ხელით შენახულ სანთლის არაყს ოფიცერს სთავაზობდა. აგერ, ერთ, კაზაკს დამარილებული ღორის ხორცი გამოეტანა და სასოებით ამოედო იღლიაში. მიიხედა ზაზამ და დაინახა, მეორე კაზაკი მის წაბლისფერ ლამაზ დეკეულს მიათრევდა.

საკმაოდ შეღამებული იყო, მაგრამ თოვლის სითეთრეზე და ცეცხლის სინათლეზე ყველაფერი კარგად ჩანდა. ნაკაში-

ძის ნამოურავმა თვითონაც გადაჰკრა არაყი. კიდევ აავსო ჭიქა და ოფიცერს წასჩურჩულა: „ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს“. ოფიცერი ფეხზე ძლივს იდგა. ჭაპანაძე სადგურშიაც გაუმასპინძლდა მათ დაკეტილი დუქნების იატაკქვეშ ჩამალული ღვინოებითა და მაგარი სასმელებით. იორამის თვალს არ გამოეპარა ვაჭრების „ოინი“, იცოდა იატაკქვეშ მათი მარნები. ახლა ოფიცერი და მისი კაზაკები—ყველანი მთვრალები იყვნენ, გარდა ჭაპანაძისა. ზაზა უეცარმა სიბრაზემ აანთო. აღარ დაფიქრებულა, საღორის წინ დაგდებულ ქვას ხელი წამოავლო და პირდაპირ სახეში ესროლა ჭაპანაძეს. იორამს ქვამ წინა კბილები ჩაუნგრია. ჭაპანაძეს სისხლი გადმოსცდა ცხვირ-პირიდან. ცხენზე შემჯდარ ოფიცერს ხმალში სწვდა, დუ ენის ბორძიკით უთხრა:

— შეხეთ, ბატონო, ეს კვიმატი ბიჭი იმ ძაღლის ლეკვია.

— ეს რა ჰქენი, „ჩორნი ჩორტ“,—დაუყვირა ყმაწვილს ოფიცერმა. მერე ცხენს სადავე გაუწია, გვერდით მიაყენა და მრისხანედ დაუწყო გამოკითხვა:

— ეს კალათი სად გქონდა? სადილი წაუღე მამაშენს? სად არის მამაშენი?

ზაზა გაქვავებული იდგა ერთ ადგილას. კარგად ესმოდა, რასაც ეკითხებოდნენ რუსულად, მაგრამ ყურში არ უშვებდა, ხმას არ იღებდა. ზაზას დედაზე ფიქრი სტანჯავდა, თვალით დედას დაეძებდა, ელანდებოდა: დახვეულ ალსა და კვამლში ცეცხლი თითქოს დედის კაბის კალთას ებრიალებოდა.

როცა ოფიცერმა კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო, გადასწვდა, მხრებზე მათრახი გადააწნა და ხმამაღლა ჩასძახა:

— თქვი, ბიჩო, — თქვი, თორემ...

ზაზა მათრახის სიმწვავისაგან ოდნავ დაიმანჭა, ზიზღით შეხედა ოფიცერს.

„ფუ! ჩორნი ჩორტ!“—ოფიცერმა კბილები დააღრჭიალა ბრაზისაგან და ხელი დამბაჩაზე იტაცა...

ზაზა თოვლზე შეტორტმანდა...

ოფიცერმა ცხენი შეაბრუნა. თითქო აბეზარი კაჭკაჭი ჩამოაგდო ტოტიდან,—მეტი არაფერი უგრძვნია მის გულს.

როცა ცხენმა წაქცეულ ღობეს გადაალაჯა, ოფიცერმა

ცივად ბრძანა: დედაკაცს ყბა და ხელ-ფეხი გაუხსენითო. კაზაკებმა ბრძანება შეასრულეს. ქალს თოკი მოხსნეს, გაათავისუფლეს და თოვლზე დააგდეს. ჰკრეს ცხენებს მათრახი და გზას გაუდგნენ.

დამბაჩის ქუხილმა სოფელს თავზარი დასცა. სერს გაღმა ყორეს მოფარებული ხალხი შორიდან ხედავდა, როგორ იფერფლებოდა მირიანის ოჯახი, როგორ იკლაკნებოდა ჰაერში ალი და კვამლი. მაგრამ არ იცოდნენ რა ხდებოდა იქ. ცეცხლის სინათლეზე მხოლოდ კაზაკებს ხედავდნენ.

— კაცო, მირიანი ხომ არ გაისროდა?

— რას ამბობ, კაცო! მირიანს ხუთი ოჯახი რომ ჰქონოდა და დაეწვათ, სოფლის გადაწყვეტილებას მაინც არ დაარღვევდა.

ესიტყვებოდნენ გლეხები ერთმანეთს.

— ამ დროს პროვოკატორის მეტი ვინ გაისროდა!—თქვა ბოლოს სიკომ. სოფელში საჩიტე „ფილთის“ გასროლაც კი აკრძალული იყო.

— იქნებ თვითონ კაზაკებმა გაისროლეს ხალხის დასაშინებლად, — ჩაერივნენ ლაპარაკში ქალები.

— კი, მარა, ერთი კაკალი ტყვია?!—არ დაეთანხმა სიკო ქალების აზრს.

ღამე ჩამობნელდა. ცეცხლის ალი ჩაქრა.

კაზაკები რომ წავიდნენ, მეზობლები მირიანის ეზოს მიუახლოვდნენ. ჩალეწილი ღობიდან გადაიხედეს. არავინ ჩანდა.

— ცა-ცუ-ნი-აა!...

— ზა-ზა-აა!..

გადასძახეს ჩასკვარამებულ მიდამოს.

მირიანის ეზოში ადამიანის ბაიბური არ ისმოდა.

— ცაცუნია ალბათ, ძმასთან წავიდოდა ნაციხარზე. ზაზასაც, რასაკვირველია, თან წაიყვანდა.

— ცა-ცუ-ნი-აა!..

— ზა-ზა-აა!..

კვლავ არავინ პასუხობდა.

მხოლოდ ღამის დუმილში ბროლიას ყმუილი გაისმა და ისიც მიწყდა.

მეზობლები გულდამწვარი დაბრუნდნენ შინ. ხვალ თუ ზეგ მთელი სოფლის აწიოკებას მოელოდნენ.

ჯარი უკვე შესული იყო ოზურგეთში. იწვოდა ქალაქი. შაზრის ახალი უფროსი ოზურგეთში იბარებდა გლეხკაცობას, მემამულეების ზარალის ანაზღაურებას და სოფლის მეთაურ-რევოლუციონერების შეპყრობას მოითხოვდა. ამაზე იყვნენ ახლა გლეხები აღშფოთებულნი. შავ ფიქრებში გახვეული ისხდნენ კერასთან და ტანთგაუხდელი სთვლემდნენ. არავინ იცოდა დანამდვილებით, რას მოუტანდა ქვეყანას 1906 წელი.

* *

თოვლზე მკვდარივით დაგდებულმა ცაცუმ ხელ-ფეხი გაანძრია. თითქოს დიდი ხნის საღათას ძილიდან გამოერკვაო. მის გახელილ თვალებში ადამიანური აზრი აღარ გამოკრთოდა. ცეცხლის მეტს აღარაფერს ხედავდა თავის გარშემო. წამოხტა და გონებადაკარგულმა ტანისამოსს დაუწყო გლეჯა. მერე ხელები გაშალა და გაიქცა. უსიტყვოდ მირბოდა, ეგონა ყოველი მხრიდან ცეცხლი ეკიდებოდა. ასე ირბინა უგზოუკვლოდ სოფელს გადაღმა თოვლით დაფენილ ჭალებსა და შინდვრებში. არ შეუმჩნევია ცის კიდემდე გაშლილი ზღვა, ქარივით მიჰქროდა წინ, უაზროდ შევარდა აქაფებულ ზვირთებში და შთაინთქა.

ბროლიამ კარგა მანძილზე მისდია ცაცუს ნაკვალევს. სოფლის ბოლოზე შეჩერდა. გონიერ ძაღლს ეზოში მარტოდ მიგდებული ზაზა ეგულებოდა. შემობრუნდა, შინისკენ მოკურცხლა, გარეჯულ ბუხარს შემოურბინა და წკნავილით მიიჭრა ზაზასთან, გვერდით მოუწვა და თავი გულზე დაადო.

* *

ცხრაას ხუთი წლის დეკემბრის უკანასკნელი ღამე მიიწურა. ახალი წელი თენდებოდა.

მთებს იქით გაშლილი ჰორიზონტი ალიონმა შეაფერადა. სოფელი დუმდა. თოფი არავის გაუსროლია, არც ჩიჩილაკი

გაუწყვია წითელი კურკანტელით, არც „აგუნა“ გადაუძახიათ, არც „ქათამი უფერხავთ“.

გათენდა ცხრაას ექვსი წელი. სოფელში ჩამიჩუმი' არ ისმოდა. მხოლოდ კბილებჩამტვრეულმა იორამ ჭაპანაძემ გამოიტანა, საჩიტე ფილთა და სამჯერ გაისროლა, „გაჯობეო“. — გადასძახა სოფელს და თაბახზე დადებულ ღორის თავს პირველმა მოსჭრა ყური. ღვინით სავსე ჭიქა აიღო და ჩახლეჩილი ხმით შემოსძახა: „ჟა-მი-ერ, ბეირუმ მრავალ ჟა-მი-ერ“. ცოლ-შვილს ახალი წელი მიულოცა და სუფრას მიუჯდა.

ამ დროს სამი ღამის უძინარი, გაფითრებული მირიანი სერზე ამოდიოდა იმ ბილიკით, საიდანაც ზაზამ გუშინ ამოირბინა. მირიანმა იცნო გაყინულ თოვლზე ზაზას პატარა ფეხების ნაკვალევი. მაგრამ ახლა არ იცოდა სად იყო მისი „ვაჟკაცი“, ან ცაცუნიამ სად შეაფარა თავი. სერიდან გადმოიხედა, მის ეზოში მარტო შავად გარუჯული ბუხარი იდგა.

მირიანი ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ნასახლარისაკენ. ბროლიამ შორიდან იყნოსა ოჯახის უფროსის ეზოში შესვლა. გაიქცა, მირიანს შეახტა, ნაბადზე მოეტორტმანა, ფეხებში გამოედო, ისევ შეახტა გულზე, მერე უკან გაჰკურცხლა, ბუხარს შემოურბინა, ზაზასთან მიიჭრა.

მირიანმა იგრძნო ოჯახის გადაწვაზე უფრო დიდი უბედურება. საღორეს ჩაუარა, შეიხედა, იქ არავინ იყო. მერე იქით მოუარა, სადაც ძაღლი წკმუტუნებდა. ზაზა გალურჯებული ეგდო პირაღმა. წაბარბაცდა მირიანი, მუხლები აუცახცახდა. „ზაზა, ბაბა, ჩემო ნუგეშო!“ წაიჩურჩულა და უგონოდ ჩაიკეცა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოიკრიბა ძალ-ღონე, წამოდგა და დააცქერდა თავის „ვაჟკაცს“.

არსაიდან ბაიბური არ ისმოდა. ჯერ მზე არ იყო ამოწვეერილი. მირიანმა სოფელს გახედა და თავში ახირებული აზრი დაებადა: „ნულარ იხედები იქით, მირიან, სოფელს შენს თავს სთხოვენ, შენი გულისათვის ემუქრებიან, შენ ახლა ყაჩაღი ხარ და ჩქარა გაეცალე აქაურობას!“

უბედურმა მამამ საღორესთან ბარი ნახა დაგდებული, აიღო და ბუხრის წინ საფლავი გათხარა. ნაბადი მოიხსნა, შვილის გაცივებული გვამი ფრთხილად შეახვია და საფლავში ჩაასვენა, ზევიდან ფიცრები გადაახურა და მიწა დააყარა.

ცაცუნია აღარ მოუკითხავს. მისთვის გასაგები იყო, რომ ცაცუ ცოცხალი აღარ იქნებოდა.

დიდხანს იდგა დამწუხრებული მირიანი. დასცქეროდა ლოდს და აგონდებოდა ოთხი დღის წინ იქ გაშლილი პატარა სუფრა, უკანასკნელი ტკბილი საუბარი. ამ ტკბილ ადგილას ახლა მისი ვაჟკაცის საფლავს ტოვებდა ობლად.

ოზურგეთი იწვოდა

გზამშვიდობისა, კეთილო ადამიანო, მადლობის ნიშნად თქვა ერთმა ქუთაისელმა ცნობილმა ქართველმა, როცა თვალი შეასწრო სადგურზე ოთხი ჟანდარმის თანხლებით განსაკუთრებულ ვაგონში მჯდომ სტაროსელსკის. 1906 წლის 12 იანვრის ღამე იყო.

მატარებელს მიჰყავდა კეთილი ადამიანი. არამზადებს დარჩათ ხელში ქვეყნის სადავე. დღეიდან ალიხანოვ-ავარსკი განაგებდა მთელი გუბერნიის ხალხის ბედს. გურიას კრილოვის ჯარი უკიდებდა ცეცხლს. იწვოდა ოზურგეთი.

პეტერბურგის მუშებმა წააგეს რევოლუცია. დამარცხდნენ ქედმაღალი სევასტოპოლის მეზღვაურები. უკუნეთი დაეუფლა „ქართა ქალაქს“.

მოედანზე ჭვარტლი ეყარა. ცეცხლი ეკიდებოდა სახლებს. არავინ აქრობდა. ასე სურდა ავარსკის და კრილოვიც მის ბრძანებას ასრულებდა. ცეცხლში იყო გახვეული ჩოხატაური, ასკანა, ხიდისთავი.

გარბოდნენ მეთაურები, საითაც მოასწრებდნენ გაქცევას. ალიხანოვი ბრძანებას ბრძანებაზე გზავნიდა: მოგვეცით მეთაურებიო. ხალხი დუმდა. მოხუცები გულგრილად უცქეროდნენ გადამწვარ სახლ-კარს. ტყეში გასულ შვილებზე ფიქრობდნენ.

ბეგლარ მანთიძე მთელი დღე გაშტერებული იჯდა ფაცხაში, რომელიც რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ არ დაეწვათ.

მაკა კრიჭაშეკრული ჩაჰკირკიტებდა მახარეს წერილს. გუშინ გზად მიმავალ მახარეს წისქვილში დაეტოვებია წერილი. დღეს ფილიმონმა ამოუტანა.

მახარე აცნობებდა მშობლებს მის გამგზავრებას საზღვარ-გარეთ. „ახლა მე დამაბრალეთ ყველაფერი. თქვით, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე". —სწერდა მშობლებს მახარე.

სამშობლოზე ფიქრი

გემ „სანტას" დასავლეთ ევროპისაკენ ეჭირა გეზი. „სანტა" ერთი კვირის წინ გავიდა ბათუმის ნავსადგურიდან. ეს იყო აპრილში, 1906 წ. „სანტა" ნელა მიაღწევდა წყნარ ზღვას.

მახარე გემბანზე იდგა, გამხდარი, გაფითრებული. სამი თვე ტყე-ღრეში ნახეტიალს ადამიანის ფერი დაჰკარგოდა. ფეხებთან ჩემოდანი ედო. თავჩაკ̀ხდული დასცქეროდა ზღვას. ხანდახან დელფინები ამოყოფდნენ თავს, შეხედავდნენ ქვეყანას და ისევ ჩაიმალებოდნენ წყალში.

მახარეს შუბლი სამშობლოზე ფიქრს დაეღარა. მშობლიური კუთხის ამბები ირეოდა მის თავში. თვალწინ ეხატებოდა გადამწვარი სოფლები, ცხენების ფლოქვებით გათელილი გურიის სამაზრო ქალაქი, მირიანის დანგრეული ოჯახი.

მახარე თითქოს ხედავდა ისლიანი სახლების წინ ჩამომსხდარ მოხუცებს. მოხუცები, ალბათ, ფიქრობენ: როგორ მოიყვანონ ჭკუაზე თავიანთი შვილები. არა, არა, ტყუილად ფიქრობს ბატონი მალამა, ერთ სიტყვასაც ვერ დასტყუებს „ბრძენ' მოხუცებს".

გემი „სანტა" ტალღებს მიარღვევს.

— რას იზამს ნეტავ ხალხი? შეურიგდება მონობას? მახარემ იქ გაზაფხული დატოვა. ბეგლარ მანთიძის ფაცხის გვერდით ატამი ყვაოდა. დიას ეზოში ალუბლები თეთრად შეფიფქულიყო.

ცისკრის ჟამს გამოიარა მახარემ სოფელში. უკანასკნელად ნახა მშობლების ფაცხა და ეზო, ტყუპი ძმები და პატარა დაიკო. დედას გადაეხვია და მამას მშვიდობით ცხოვრება უსურვა. როდის ნახავს კიდევ მშობლებს?

მიცურავს გემი „სანტა". შორს მოჩანს ცის დასავალი.

ზაზას საფლავზე

პირველი მაისია. ნაჯახირევი გურია მწვანით შემოსილა. სისხლსა და ქვარტლზე ყვავილები გადაფეთქილა. ბუჩქებიდან იები იკვირებიან.

მოსწყვინდა მირიანს ტყეში ყოფნა, კარავში მარტო ჯდომა. მოენატრა შვილის საფლავის ნახვა, გულიდან დარდების გადმოღვრა. თოფი გადაიკიდა და ბილიკზე გამოვიდა. მზე ზღვისაკენ გადახრილიყო. ნასახლარს რომ მიუახლოვდა, შედგა: რაღაც მომხიბლავი ხმები შემოესმა. შეკრთა. ცივმა ერუანტელმა დაურბინა ტანში. შუბლი მოიჩრდილა, დააკვირდა.

ეწყინა მირიანს, როგორ წამიხდაო ასე ვაჟკაცობა. ისევ მოიჩრდილა შუბლი და იცნო ზაზას ამხანაგები: ზურიკო, კიკინია, ფატუ. „ის ორნი ვინღა არიან?“ ისევ დააკვირდა მირიანი. „აა, მახარეს ძმები მოსულან, ზაალი და საული“ ბავშვებს ზაზას საფლავი ბზის ტოტებით, თეთრი ვარდებით, იებით და ნარგიზებით მოეფინათ. დაჩოქილიყვნენ და მარსელიოზას[1] მღეროდნენ.

მღეროდნენ მთელი გრძნობით .და ეს ბავშვური, უმანკო, წკრიალა ხმები უნაზეს სიმფონიად იფანტებოდა მარადისობის უსაზღვრო სივრცეში.

მირიანმა თოფი დაუშვა, ყაბალახი მოიხსნა, ატირდა, მაგრამ ეს მარტო ნასათუთევი გულისა და თვალის ნაჟური ცრემლი არ იყო. ვაჟკაცის ცრემლში სასტიკი შურისძიების გრძნობა ალესილიყო.

---

1 მარსელიოზა მაშინ ძალიან გავრცელებული იყო გურიაში.

ჩემი ოცდოვრების ლოდინები

არ მავიწყდება ის კარ-მიდამო, სადაც პირველად ავიდგი ფეხი, სადაც პირველად ავდევნებივარ გაზაფხულის ფრთა-ფარფატა პეპლებს.

ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი დიდი ეზო შქერით და თხილით შემოღობილი. სასიამოვნო მოგონებებს მიღვიძებს ჩვენი ტყე ვეებერთელა წიფლის ხეებით და რცხილებით, ბებერი მუხებით და პირდაბზარული წაბლის ხეებით. მახსოვს, პატარა ნადირივით რომ დავძვრებოდი ეკალ-ბარდებში, ვაგროვებდი წიწიბოს და წაბლს, ვივსებდი კალთას და მივრბოდი ჩემს საყვარელ დედასთან. თვალწინ მეშლება დიდი ბაღი თუთებისა და ალუბლების ხეივნებით, ხშირ ტოტებში სანეფო ვაშლი რომ დაიწითლებდა ლოყებს. მაღალ ხეებზე ჩამოხუნძლული იზაბელას მტევნები და ხის კენწეროზე შემდგარი მამაჩემი. თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ აფრიალებს ნიავ-ქარი მისი ახალუხის კალთებს. ვდგავარ შემკრთალი ხის ძირას და ჩურჩულით ვეუბნები:

— არ ჩამოვარდე, მამაჩემო!

— შვილო, ხეზე ასულ კაცს დაბლიდან არ უნდა ელაპა-

რაკო,—მარიგებს დედა, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ მამა თვითონ გვეძახის კენწეროდან:

— გიდელი გამომიცვალეთ!

მწვანედ შეფოთლილ ტოტებს შორის მოშრიალებს გიდელი. მე ვასწრებ დედას და ვეებერთელა გოდორში ვაპირქვავებ ყურძნით სავსე გიდელს, მერე ისევ ვკიდებ თოკზე და რაც შემიძლია ხმამაღლა შევძახი:

— მამა, მშვიდობით ჩამოდიი!..

აი, შემოდგომის ფარჩებში გახვეული კარ-მიდამო. ყვითლად ბზინავენ ფოჩებშემხმარი სიმინდის ტაროები. მწველი სხივებით დასცქერის მზე თავდახრილ ყანებს. სიმინდის ყანების იქით იწყება ღომის ყანა. ქარვისფრად ჩალანძულან ღომის თავთავები. ვის არ გაახარებს მწიფე თაველის ხელის შეხება, ღომის ჩალების მხიარული შარიშური. ამ ოქროსფრად ანთებულ ყანებში აქა-იქ მოჩანს ბრინჯაოსფერი გოგრები, ზედ ლერწები შეხმობიათ და განგებ დაყრილ კუნძებს გვანან.

მამა ხიდან ჩამოდის და სავსე გოდრებს საწნახელში სცლის. საწნახელი კოპიტის ხისაგანაა გამოთლილი. კარგად მახსოვს ეს ძველთაძველი, დიდზე დიდი კოპიტი, რომელიც ჩახრამულში ზვიადად იდგა. ათმა კაცმა ძლივს მოჭრა იგი და ხრამიდან „ელესას“ სიმღერით გამოიტანეს. ხარ-ურემს აჰკიდეს სათრიელი და ასე მოიტანეს შინ. ოსტატმა საწნახელი გამოთალა მისგან. ოთხმა კაცმა ოთხი კეტი დაუდო და სამზარეულოს დერეფანში „ოხო-ხოს“ ძახილით, შემაღლებულ მორებზე შედგა.

საწნახელი პირამდე აივსო ყურძნით. საამო სუნი დადგა. ფუტკრები ზუზუნებდნენ საწნახელის გარშემო. დედას ალვის ხის გრძელი ტოტი ეჭირა ხელში და ცდილობდა გაედევნა ფუტკრები, მამაჩემი მიჯავრდება:

— წადი, გოგო, აქედან, თორემ დაგჭამს ფუტკარი!

ჰმ... რა შვილი ვარ წავიდე! ვარჩევ გიშერივით შავ მტევნებს და შევექცევი. მიხარია. ყურძნის წნეხას. შეუდგნენ, შარბათის ტბა დადგა. დედა კოპით ტკბილს იღებს და სპილენძის დიდ ქვაბში ასხამს. ჯაჭვზე მძიმედ კიდია ეს ქვაბი. დედა ქვაბში ფქვილს ჰყრის და გრძელი ლაფერით ურევს.

აკეთებს ტკბილსა და გემრიელ ფელამუშს. ჯოხზე მწკრივად კიდია ნიგვზის, თხილის და ვაშლის ჩურჩხელები. უჰ, რამდენია!

მამაჩემმა მუშამბა დააფარა ტკბილით სავსე საწნახელს და ღიმილით თქვა:

— ჩქარა დადუღდი, ჩემო ღვინოვ, მტერ-მოყვარის გულის მომლხენო!

ტოტებდახლართულ ვაშლის ძირშია ჩვენი მარანი. ჭურები მიწაშია ჩაფლული. მამა კოკით წყალს ასხამს ჭურებში და ორჩხუშით რეცხავს. მე ორკოპეს წავეპოტინე, მინდა წყალი ამოვიღო ჭურიდან და გადავღვარო, მაგრამ წყალი ფეხებზე დავისხი.

— ახია შენზე!—მიწყრება მამა, ორკოპე წამართვა და თვითონ ხელად ამოხაპა წყალი ჭურიდან. ქვაზე ვიჯექი და სველ ფეხსაცმელებს ვიხდიდი.

— მოდი აქ, „უჰუ“ ჩასძახე ჭურს!—ბრძანებით მითხრა მამამ.

ვდგები, პირს ვაღებ ჭურის პირზე და ვყვირი:—უჰუუ!..

— რა გიპასუხა ჭურმა?

— ჭურმაც უჰუო, თქვა.

— ჰოო, ასეა ჩემო გოგოვ, ზოგიერთი ტლუ კაცი ჭურსა ჰგავს, ყოველთვის სხვის ნათქვამს იმეორებს, თავისი არა იცის რა. ასეთ კაცზე იტყვიან: ჭურს, რასაც ჩასძახებენ, ემას ამოსძახებსო. გაიგე? თუ გაიგე, დაიხსომე კიდეც.

დავიხსომე შენი სიტყვა, მამაჩემო, ამიტომაც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სხვისი ჩაძახილით არ მიმოქმედია.

როცა მამამ ხუთივე ჭურში ღვინო დააბინავა, მუხის ხისგან ხუთი როგო გამოთალა და ჭურებს დააფარა, თეთრი თიხით პირი მოუგლისა. ორჩუხში და ორკოპე დერეფანში დაკიდა და მთელი ოჯახის გასაგონად, ვალმოხდილად თქვა:

— ისე გავაკეთე ჩვენი მარანი, რომ ცვარიც ვერ ჩავა შიგ.

— მე კი ისეთი ჩურჩხელები ამოვავლე, უცხო სტუმარს რომ მიერთმევა,—გაეხმაურა დედა კმაყოფილებით.

ახლა ღომის საკრეფად ვემზადებით. დედასთან ერთად მეც მივათრევ პატარა კალათს. ეს კალათი იობამ დაწნა ჩემ-

თვის. ხელში მოკლე დანა მიჭირავს. ჩამოვწევ თაველს და ვჭრი დანით. მიხარია. ჩქარ-ჩქარა ვავსებ კალათს, მივარბენინებ და ჩელტზე ვყრი თაველს. აივსება ჩელტები, ჩელტებს ზევით ასწევენ და აბოლდება ჯირკების ცეცხლი. ბოლი გაივლის ჩელტებზე დახვავებულ ღომის თაველში. ამას ეძახიან სოფელში ღომის გაწყობას. ღომი ბეღელში მოვათავსეთ. ვფუსფუსებ, ვშრომობ. ჩემი პატარა კალათით მივარბენინებ ბეღელში თაველს. დედა სახლის მერცხალს მეძახის. როდი დავდივარ, დავფრინავ... განა ზარმაცი ვარ, ან საპყარი ვარ, რომ დავეგდო გატენილ ტომარასავით?

სიმინდის ყანაში შევდივართ სატეხად. შუადღისას სიცხე ჩამოწვა. მამაჩემი დასიცხული ჩამოჯდა ნაპირზე.

— ლილია, (ასე მეძახდნენ პატარას) ცივი წყალი დამალევინე, შვილო!

წყარო შორს არის. ტყის ბილიკი უნდა ჩავირბინო. ცოტა მეშინია, მაგრამ არ ვიმჩნევ. წამოვავლებ ჩემს პატარა სპილენძის თუნგს ხელს და მივრბივარ „ია-უას“ სიმღერით. ეს „ია-უა“ საუკეთესო საშუალებაა შიშის გასაფანტავად. მივქრი ხშირი ტოტებით დაბურულ ბილიკზე და აი წყაროც. ამოქუხს ყინვასავით ცივი წყალი. ვსვამ პეშვით და სახეზეც ვისხამ. წყალი წურწურით ჩამომდის, მაგრამ არ მაწუხებს, ისევ სიმღერით ვბრუნდები უკან.

სოფლის ცხოვრებაში ბევრი რამ არის სასიამოვნო. ერთი ასეთთაგანი სიმინდის სარჩიელში კალოზე შემოთენებაა.

მოთავდა რთველი და ღომის დალაგება. დაიწყო კალოობა. ნალიის ქვეშ ჭერამდე ამაღლდა ჩვენი კალო. დედა შეუდგა ვახშმის მზადებას. მამას ჩუმად თხილნარში გოჭი წაეყვანა და დაეკლა. მე ეს მაშინ ვნახე, როცა გრძელ შამფურზე აეგოთ გოჭის ხორცი და კერიის ცეცხლზე ატრიალებდნენ, სწვავდნენ.

ოდის განიერ პარმაღზე დედამ სუფრა გაშალა, კეცის მჭადი დატეხა და შემწვარი გოჭი და ტყემლის საწებელი ჩამოარიგა. ჭყინტი სიმინდი და მოხარშული კვახები ჩამოდგა თაბახით. მომცრო დოქებით მაჭარი ჩაამწკრივა. სანათის ანთების დრო იყო. ჩვენი ნადი ნელ-ნელა შემოუსხდა სუფრას. მოსავალი დალოცეს, მაღალი მრავალჟამიერი დაალღღუნეს,

ივახშმეს და კალოს მიაშურეს. მხოლოდ მე ვიყავი იქ პატარა, დედის კალთასთან ჩუმად მიყუჟული ნაქურჩალებში. კალოს მეორე მხარეს ახალგაზრდები ხმაურობდნენ, იცინოდნენ, სატრფიალო შაირებს მღეროდნენ და წამდაუწუმ გარჩეულ ტაროებს ისროდნენ იქვე დაფენილ ჭილობებზე. ჩემს გვერდით მოხუცები ისხდნენ. ბიძია მევარი, გრძელწვერა სოლომონი და ხუმარა იობა... მათკენ მაქვს ყური მიპყრობილი. სასიამოვნო მოსასმენი იყო ამ ჭაღაროსნების გაპაექრება. მთელი ღამე არ თავდებოდა ნაირ-ნაირი იგავ-არაკები, გამოცანები და ფერად-ფერადი შაირები. ესენი იყვნენ ჩვენი მეზობლები, ღარიბი გლეხები, წერა-კითხვის უცოდინარნი. ბევრი რამ კარგი მახსოვს მათგან. ამ მხიარულებაში აიკრიფა ჩვენი კალო. უკანასკნელად „ელესა“ დაამღერეს და წამოვდექით ნაქურჩალებიდან. აღმოსავლეთს რიჟრაჟის ვარდი ეფინებოდა, სიო ფრთებს იბერტყავდა, ფოთლები შრიალებდნენ, იღვიძებდა დილა... ოჰ, რა კარგია სიცოცხლე!.. ბუნება... სიხარულის დილაა!

ასეთი იყო ჩემი ბავშვობის პირველი ნახევარი—უბრალო და ლაღი. ასეთი იყო ჩვენი კარ-მიდამო და ჩვენი ოჯახის თავშეუწუხებელი შრომა, რაც ლხინს უფრო წააგავდა. მაგრამ იმასაც ვხედავდი, თუ რა ხდებოდა ჩვენი ჭიშკრის იქით.

— დედიკო, რატომ ტიროდა დღეს თათია? ამ დილით ჩვენს ჭიშკართან ჩამოიარა, ცრემლი დიოდა და რატომღაც იწყევლებოდა კიდეც? —შევეკითხე ერთ დღეს დედას.

— ერთი ფური ჰყავდა საწყალს, ჩაფრებმა გადასახადში წაართვეს, — მიპასუხა დედამ.

— ნანობას რაღა აკვნესებდა?

— ნანობას ნამზითევი სპილენძის ქვაბი ხელიდან წააგლიჯეს.

ასე თარეშობდნენ სოფელში მეფის ჩაფრები და აწიოკებდნენ ხალხს. გლეხის მოწეულ ყანაში მებატონის მოურავი აწესრიგებდა მოსავალს. იობას ნაოფლარ სიმინდს შუაზე ყოფდა და იობას ზურგითვე მიჰქონდა ბატონის ბეღელში. იობის ბავშვები უმშადოდ რჩებოდნენ. ასეთი იყო ბიძია მევარის ოჯახის ბედი, გრძელწვერა სოლომონისა და ყველა იმ გლეხის ოჯახისა, ვინც სხვის მიწაზე მუშაობდა.

მამაჩემი დიდი მემამულე არ იყო. ჩვენი მიწა და ტყე ჩვენს ოჯახს სარჩენად ჰყოფნიდა. ეზოს გარეთ ზეგანის მამულიც გვქონდა. ამ მამულში ბროწეულები ხარობდა. მშვენიერი სანახავი იყო სისხლისფრად დაწითლებული ბროწეულები.

ზეგანის მამულის ჩამონაჭერ ნაკვეთზე ცხოვრობდა ბაბუაჩემის ნაყმევი გლეხი შავარდენა მუჯირი. მას ჩვენს საზღვარზე ედგა მიწური სახლი. სახლის გვერდით ქალტა და საღორე ედგა. ხნვა გასაქანი არ ჰქონდა ამ ოჯახს. ძროხა მუდამ სარზე ჰყავდა მიბმული. ღორს დიდი უღელი ედო კისერზე, რომ სხვის ეზოში არ შემძვრალიყო. შავარდენას ძაღლიც დაუღლული ჰყავდა. არ გაგეცინოთ და მუჯირის ეზოში ქათმებიც კი შებორკილი ფარფატებდნენ. შავარდენა მუჯირი ყოველ გაზაფხულზე ჩვენს საზღვარზე ახალ ღობეს ავლებდა. ზამთრამდე ჩაილეწებოდა ხოლმე მისი თხმელის წკეპლების ღობე. ზამთარში მუჯირი ხმელ ნაღობარს ცეცხლში ჰყრიდა. გაზაფხულზე ისევ გაავლებდა ახალ ღობეს. ერთხელ მას თავისი ღობე ერთი მტკაველით გადმოეწია ჩვენს მამულში. ეს შეუმჩნეველი დარჩა მამაჩემს. მეორე გაზაფხულზე შემოვლებული ახალი ღობე მუჯირს კიდევ ერთი მტკაველით გადმოეწია ჩვენს საზღვარზე. მამამ ახედ-დახედა ღობეს, რაღაც არ ესიამოვნა, კვეს-აბედს გაუქნია და ყალიონი გააბოლა. ამ ჯერადაც არაფერი თქვა.

ზეგანის მამულში განსაკუთრებით ხარობდა ნესვი და საზამთრო. მარტის „ნასესხები“ გავიდა. ეს იყო ჩემი ბავშვობის უკანასკნელი გაზაფხული პატარა გურიანთაში. „ნასესხების“ შემდეგ წავედით ნესვისა და საზამთროს დასათესად ჩვენს მამულში შესასვლელი ბილიკი მუჯირის კართან მიდიოდა. მუჯირს ამ გაზაფხულზეც ახალი ღობე გაევლო ჩვენს საზღვარზე. წათამამებულ ბერიკაცს ჩვენი მიწის კიდევ ერთი მტკაველი ჩაეღობა მისკენ. ღობის გასწვრივ თუთის ნერგებიც ჩაერგო. გაფურჩქვნილიყო პატარა თუთები და სიმწვანის ლამაზი ფერი მოჰფენოდა საწყალი გლეხის ეზოს.

მამაჩემი მწყრალად გაჩერდა ღობესთან, იუკადრისა: ყაზახმა როგორ გამიბედაო ეს? ყალიონი ქამარში გაირჭო და ისე მაგრად მოჰკიდა ამ წკეპლის ღობეს ხელი, რომ თვალის

დახამხამებაში მოგლიჯა. არც თუთა დაზოგა. ასე გაავებული მამა არასდროს არ მინახავს.

— შავარდენავ, შავარდენავ! — დაიძახა მან. ქალტიდან მუჯირის ქვრივი რძალი გამოვიდა. უკან ბავშვები გამოჰყვნენ. ქალმა ნახა, რაც მოხდა და იქვე გაშეშდა. აგერ დარცხვენილი შავარდენაც გამოჩნდა. ოთხმოცი წლის ბერიკაცი დაბალი, წვერშეჭრილი, გრძელი თეთრი ულვაშით, ფეხზე მოკოპილი ქალამნებით იდგა ჩვენს წინ. ალაგ-ალაგ დაკერებულ ტილოს ხალათზე უბრალო ტყავის ქამარი ჰქონდა შემოჭერილი, თავზე გახუნებული ყაბალახი ეკრა. მუნჯივით იდგა შავარდენა და საწყალობლად დაჰყურებდა გარღვეულ ღობეს, ამოგლეჯილ თუთებს!..

განვლო იმ დრომ, მაგრამ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მხარდამხარ მომდევდნენ ჩემი შეზობლების დაბეჩავებული სახეები: ბიძია მევარი, გრძელწვერა სოლომონი, იობა და ნანობა, თვალცრემლიანი თათია და განსაკუთრებით შავარდენა მუჯირი, ეს მორჩილი ტანის ბერიკაცი, მისი მოკოპილი ქალამნებით და შებორკილი ქათმებით, სარზე მიბმული ძროხით და დაუღლელი ძაღლით. ჩემს ბავშვურ პატარა გულში ბევრი კეთილშობილური გრძნობა შთანერგა ამ ხალხმა. ეეხ, საწყალო შავარდენა მუჯირო, ახლა არც შენ ხარ ქვეყანაზე და არც შენი მესაზღვრე... ახლა თქვენს ნატერფ მიწაზე სხვა ცხოვრება იფურჩქნება, ადამიანური ცხოვრების ვარსკვლავებით მოხატული და გაბრწყინებული.

* * *

შემოდგომის დღეებით დავიწყე ჩემი ბავშვობის გაზაფხული, რადგან ნამდვილ გაზაფხულზე დაიწყო ჩემი ბავშვობის შემოდგომა. მაისის დღე იყო, დედაჩემი რატომღაც მოწყენილი გამოიყურებოდა. ისეთი სიხარულით აღარ დასტრიალებდა ბაღ-ბოსტანს, როგორც წინათ. ამის მიზეზი თურმე ის იყო, რომ მამაჩემს სამაზრო ქალაქში გადასახლება გადაეწყვიტა.

თითოეული ადამიანის თავგადასავალი ნაწილია ხალხის

ცხოვრებისა, ვინაიდან ის იწერება იმ ვითარებაში და გარემოცვაში, როგორშიაც თვით ხალხია.

პატარა გურიანთას ეძახდნენ ჩვენს სოფელს. ამ სოფელში არ იყო სკოლა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოზე წარმოდგენა არ ჰქონდა ხალხს. ჟურნალ-გაზეთების ხსენებაც არ იყო იშვიათად მოიპოვებოდა წერა-კითხვის მცოდნე. ამ მხრივ ერთი იშვიათთაგანი იყო დედაჩემი. დედაჩემი ეკატერინე ჟორდანიას ასული, ლანჩხუთიდან იყო გამოთხოვილი და მშობლების ოჯახიდან ალბათ მზითვივით გამოჰყვა წერა-კითხვის ცოდნა. მამამ ანბანი არ იცოდა, არ იცოდა წიგნის სითბო. ის დიდი გაჭირვებით აწერდა ხელს რაიმე უწყებაზე ან თამასუქზე—ისმაილ მამულაიშვილი. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მამაჩემმაც ისევე, როგორც სოფლის მოხუცმა გლეხებმა, ზეპირად იცოდა ლექსები, შაირები, იგავ-არაკები, გამოცანები. მათ ჰქონდათ გემოვნება სილამაზისა, შნო და ლაზათი ოხუნჯობისა და, თუ გნებავთ, ჩხუბისაც.

ერთი რამ არ მახსოვს, მამაჩემის ოჯახში იყო რაიმე ქართული წიგნი თუ არა? შაბათ-კვირას ჩემი უფროსი ძმა ჩამოდიოდა ხოლმე სამაზრო ქალაქიდან. მის ჩანთაში მხოლოდ რუსული სახელმძღვანელოები ეწყო. ჩანთას კუთხეში მიაგდებდა. ორშაბათს ისევ აიღებდა და წავიდოდა.

ერთ დილას, როცა ცხოველმყოფელი მზე მოეფინა ჩვენს კარ-მიდამოს, დედამ ხელი მომკიდა და მდინარე სკურდიმზე წამიყვანა. ამ მდინარის ნაპირიდან იწყებოდა ჩვენი მამული.

— დღეს, ჩემო გოგოვ, წიგნი უნდა დაგაწყებინო,—მითხრა დედამ და ტიტველი ფეხებით ჩამაყენა მდინარეში. მისი ხელით ჩამოწერილი ანბანი მომცა ხელში: „ან-ბან-განდონ“... ვიმეორებდი სიხარულით, ფეხქვეშ კი ანკარა წყალი მიჩხრიალებდა.

ო, საყვარელო დედავ, შენ მასწავლე დედაენა, შენგან ნასწავლი ანაბანით ვსუნთქავ მთელ ჩემს სიცოცხლეში. შენი ქართულით ავიდგი ენა. შენ მასწავლე პირველი ლექსი: „ნახტომსა შველსა ფერდსა ჰკრა, ისარი ორბის ფრთიანი!..“ როცა შენ ბატის ფრთის კალამი მომეცი ხელში, ჩემს მიერ პირველად დაწერილის პირველი სიტყვა იყო: „მამაო ჩვენო...“ შენ მიკარნახებდი და მე ვწერდი: „რომელი ხარ ცათა შინა...“

ჩემო დედა, რა ნაზი იყო და სათნოებით სავსე ეს ლოცვა მაშინ, როცა შენ სასოებით მიაპყრობდი თვალებს ცისკენ. დიდი ხანია ჩემთვის „ცათა შინა“ აღარ არსებობს. ყველაფერი ეს გაქრა მსუბუქი ნისლივით. მაგრამ როცა სკურდიმის თეთრი ზვირთები გაილივლივებს და შენი ხმა გაიშრიალებს ჩემს ფიქრებში, სინაზისა და სათნოების სისავსით აღივსება ხოლმე ჩემი გული.

შორს დარჩა ჩემი ბავშვობის გაზაფხული.

1891 წელს მამაჩემი ოზურგეთში გადასახლდა. ჩვენს ნასახლარში დარჩა მიწაში ჩაფლული ჭურები, საწნახელი, ორკოპე და ორჩხუში. ეს ქალაქში აღარ იყო საჭირო. კოპე და დოქი ჭიდან წყლის ამოსაღებად ვედრომ შესცვალა. ცივი წყარო ჭის უგემურმა წყალმა. ხეივნების მაგიერ ტიტველი მინდვრები იშლებოდა ჩემს გარშემო. ჩვენი ეზო ოცათეულ საჟენზე იყო გადაშლილი და ნატანების გზატკეცილის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. გზატკეცილის მარცხენა მხარეს ეგრეთ წოდებული შევარდნაძის მინდორი იყო გადაჭიმული. არც ერთი ხე არ მოიპოვებოდა ჩვენს ვეებერთელა ეზოში. ასეთ ტიტველ მინდორზე იდგა მაღალ ბოძებზე შემდგარი მამაჩემის ექვსთვალიანი ოდა. ხან ზენა ქარი წიოდა ყავრით დახურულ სახურავში და ხან ქვენა ქარი, რაც მე ძალიან მაშინებდა. კარგი რომ მუხის მაგარი ბასკით იყო ყავრები დაჭედილი, თორემ სახურავი ქარს ვერ გადაურჩებოდა. ასე იყო ჩვენი ოზურგეთში დასახლების პირველ წელს, მეორე გაზაფხულზე ჩვენი ოდის გარშემო უკვე ყვავილნარი აბიბინდა. სოფლის ლაღი მამული მაინც შორს დარჩა ჩემგან, ჩემი ბავშვობის პირველი გაზაფხულივით.

უკვე სკოლაში დავდივარ, „უნდა ვისწავლო და ადამიანი გავხდე“, ასე ჩამაგონა დედაჩემმა. მძინავს დილის ტკბილი ძილით და უცებ მომესმის საყვირის ხმა. საჩქაროდ გადავწევ ფანჯარაზე ფარდას. შევარდნაძის მინდორზე უკვე ჩამწკრივებულან ჯარისკაცები და ვარჯიშობენ. ეს საყვირი ისე ტკბილად მაღვიძებდა ყოველ დილით, რომ ახლაც, სამოცი წლის შემდეგ, სიამოვნების გრძნობით ვიმსჭვალები თუ შემთხვევით ყური მოვკარი იმგვარ ხმას. მივრბოდი სკოლაში და სკოლიდან შინ. ქალაქის ბაღში იდგა ჩვენი სკოლა—თეთრი, და-

ბალი შენობა. ჩემი მასწავლებელი რუსის ქალი იყო, გვარად კალინინა. შაბათობით იგი სამხედროების კლუბში ცეკვავდა. ღია ფანჯრებიდან ვხედავდით ბავშვები, თუ როგორ ნაზად მიარხევდნენ წელს. მოხდენილი ქალი იყო კალინინა, ლამაზიც. ორმოცდაათი წლის შემდეგ თბილისში შემხვდა, პირველი მაისის ქუჩაზე. ვერ მიცნო, გავახსენე ოზურგეთი. გაუხარდა. მერე თვითონ მოიგონა, რომ ის „ვერცხლისწყალს" მეძახდა სკოლაში, და არ ესიამოვნა ახლა, როცა მთლად თეთრი თმით ვიდექი მის წინ. მეც ძალიან გამეხარდა მისი ნახვა. ამ ქალმა მასწავლა რუსული წერა-კითხვა და ის პატარ-პატარა ლექსები, რომლებიც ოქროს გასაღებივით მომცა ხელში რუსული კლასიკური ლიტერატურის შესასწავლად. კალინინა დიდხანს დარჩა მასწავლებლად ოზურგეთის საქალებო სკოლაში, მისი „ვერცხლისწყალი" კი ჩქარა წაცქრიალდა სკოლიდან. ამის მიზეზი ის იყო, რომ დედაჩემი მოულოდნელად გარდაიცვალა. აქ დაბნელდა ჩემი ნათელი გზა და მას შემდეგ არა ერთი და ორი ეკლიანი ბილიკი გამივლია ჩემს ბავშვობაში.

შვიდი და-ძმა დავრჩით დედაჩემს. დაიწყო მამაჩემის ოჯახის ნგრევა. ჩემი უფროსი ძმა ამერიკაში გაიქცა. ის ჩხარტიშვილის მომღერალთა და ცხენოსანთა გუნდს გაჰყვა. მერე გურიაში აღარ დაბრუნებულა. მეორე ძმა სადღაც დაიკარგა და შინ მაშინ დაბრუნდა, როცა კვდებოდა. მესამე ძმა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, ბათუმში გაიპარა სახლიდან და მამაჩემის ოჯახში აღარ დაბრუნებულა. ჩემი უმცროსი და დედაჩემის გამზრდელმა ბიძამ წაიყვანა ლანჩხუთში, არც ის დაბრუნებულა მამაჩემის სახლში. სოფელ აკეთიდან ჩამოვიდა დეიდაჩემი, შემისვა ცხენზე და მეც წამიყვანა. ვშორდებოდი შინ დარჩენილ პატარა და-ძმას და გული მათთან მრჩებოდა. ასე განიტვირთა მამაჩემი მრავალრიცხოვანი შვილებისაგან და ჩვენი დიდი ოჯახი დაიშალა.

* * *

დეიდაჩემი არაფრით არ ჰგავდა დედაჩემს. მას არ სჩვეოდა ალერსიანი სიტყვა. არ მახსოვს ოდესმე ხელი მოეხვიოს

ჩემთვის და მომფერებოდეს. დილით პირველ ყოვლისა პირისახეს შეიფაქიზებდა. ქართული კაბით და ლეჩაქით მორთული, დედოფალივით იჯდა თავის სამუშაო ოთახში. მხოლოდ თავის გასართობ საქმიანობას ეწეოდა. მაგიდაზე ედგა საკერავი მანქანა. სჭრიდა და კერავდა კაბებს და ახალუხებს. ქსოვდა თავსაფრებს, აბრეშუმის ხელთათმანებს, აბრეშუმის წინდებს ქალისათვის და კაცისათვის. ძაფის სართავი მანქანაც ჰქონდა. ამ მანქანაზე ართავდა აბრეშუმის ჭიიდან შინ გამოყვანილ ძაფს. მერე ნაცრის წყალში მოხარშავდა, რასაც ის გამოგბობას ეძახდა. ეს გამომგბარი ძაფი ისეთი კარგი გამოდიოდა, როგორსაც ახლა ქარხნებში ამზადებენ. ქსოვდა საკაბე და საახალუხე დარაიას. ოქრომკედით ქარგავდა ყაბალახებს, ქართული კაბის გულისპირს, ჩიხტაკოპებს და სხვას. ყველაფერ ამას აკეთებდა თავის ოჯახისათვის და კიდევ იმისათვის, რომ სოფლის ქალიშვილებს ესწავლათ ხელობა. მის სახლში მუდამ იყვნენ სოფლის გოგონები და ხელსაქმეს სწავლობდნენ.

დეიდაჩემის მეუღლე შეძლებული აზნაური იყო. მუდამ ჰყავდათ მოახლე და მოჯამაგირე. მიუხედავად ამისა, თვითონაც ეწეოდა სოფლის მეურნეობას. ოჯახს არაფერი არ აკლდა. როგორც დეიდაჩემს, აგრეთვე მის მეუღლეს, ჩემს ჯუმადიას, ასე უწოდებენ გურიაში დეიდას მეუღლეს, არ სჩვეოდათ ალერსიანი სიტყვა. წყენას ან სიამოვნებას ის გამოხატავდა ან მცირე ღიმილით, ან წარბის ოდნავი შეხრით. როცა ის გავიცანი, უკვე ხანში შესული კაცი იყო. თეთრი წვერი ჰქონდა. სახის მოხაზულობა ქართული, კლასიკური. ზომიერი სიმაღლის ტანადობა. მუდამ ნაცრისფერი ჩოხა ეცვა. წელზე სადა ქამარი ერტყა, ყოველგვარი იარაღის გარეშე. თავზე თეთრი ყაბალახი ეხურა. არასოდეს გლეხურად ყაბალახს არ წაიკრავდა. მას ოჯახში დიდიდან პატარამდე, ყველანი „ბატონს“ ეძახდნენ. ეს „ბატონი“ უაღრესად ღვთის მორწმუნე და მწიგნობარი კაცი იყო. ხშირად მოდიოდნენ მის ოჯახში გლეხის ქალები, ზოგს წერილის დაწერა უნდოდა, ზოგს მიღებული წერილის წაკითხვა და ზოგსაც რა... შაბათ-კვირას ლოცვის და წირვის შემდეგ დიდხანს ისხდნენ ეკლესიის ეზოში დიდი ცაცხვის ძირში სოფლის აზნაურები

და გლეხები, მათ შორის ჩემი ჯუმადიაც. ისმოდა ხმამაღალი მსჯელობა სოფლის საქმეებზე. ამ სოფელში აზნაურებიც ერეოდნენ სასოფლო საქმეებში — ეკლესიის შეკეთება, სკოლის შენობის მოწესრიგება... უკვე კარგა ხანია არსებობდა აქ ორკლასიანი სკოლა. ჯუმადია სასოფლო შარაგზის შეკეთებასაც არ თაკილობდა, თუმცა ეს გლეხების ვალდებულებას შეადგენდა. სწორედ ამიტომ უგზოობით იტანჯებოდა სოფელი. მისი ეზო და ბაღი. სოფლის შარაგზაზე მდებარეობდა. როცა გლეხები გაიწვიეს გზის საკეთებლად, ბატონმა ჯუმადიამ უბრძანა მოჯამაგირეს:

— დავით, შეაბი ხარები!—და გაუყენა ურემი მდინარისაკენ ქვიშის ამოსაზიდად. მისი ბაღისა და ეზოს გასწვრივ თვითონ გაიყვანა შარაგზა. ამით ჩიხში ჩააყენა სხვა აზნაურები. „გზა ყველასია, გაანძრიეთ ხელი“, ამბობდა ის. მაგრამ არავის ეპრიანებოდა სახელმწიფო გზის კეთება. როცა გლეხები გზის ნაპირებს თხრიდნენ, ასწორებდნენ, ქვიშას ყრიდნენ, ოფლს ღვრიდნენ, იქვე გზის პირას თავდგირიძის გორაზე, დიდი მუხის ძირში, ეს მუქთახორა ხალხი კამათლებს ბგორებდა. მათი ხმამაღალი შეძახილი — „დუშაში“, გზის გაყვანაზე მომუშავე გლეხების ყურამდე აღწევდა.

ერთ დღეს ხმა დაირხა — ეკლესიასთან ერთკლასიან სამრევლო სკოლას ხსნიან, იქ ბავშვები ქართულად ისწავლიანო. „ეს კარგი საქმეა“, მცირე ფიქრის შემდეგ დინჯად წარმოთქვა ბატონმა ჯუმადიამ და ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა. შენობა გამონახეს, საჭირო ნივთები შეიძინეს და ამრიგად გაიხსნა სოფელ აკეთის ეკლესიასთან სამრევლო ქართული სკოლა. მასწავლებლად დანიშნეს ვინმე ღლონტი, რომელიც დეიდაჩემის ოჯახში დაბინავდა. ბედნიერება მეწვია. აქ გადავფურცლე პირველად გოგებაშვილის დედაენა. კითხვა კარგად ვიცოდი. წიგნი მუდამ ხელში მეჭირა. ამ წიგნის სათაური „დედაენა“ იყო. დიდხანს მქონდა შენახული ეს წიგნი. მასწავლებელი ღლონტი მესაუბრა, თუ რატომ იყო ჩვენთვის ძვირფასი დედაენა და ქართული სკოლა.

ჯუმადია, როგორც ღვთისმორწმუნე კაცი, ყოველ დილა-საღამოს თითო საათი იდგა ხატის წინ სახარებით ხელში და ჩუმად, გულმოდგინედ ლოცულობდა. კარის ჭუჭრუტანიდან

ვუკვირდებოდი, როგორ აღაპყრობდა ხოლმე ხატისაკენ ხელებს. მერე პირჯვარს გამოისახავდა და მჯიღს ჩაიცემდა გულში. ვუცქეროდი და ვფიქრობდი: რატომ მამაჩემი არ ლოცულობდა? არასოდეს არ მინახავს, რომ მამას პირჯვარი გამოესახოს. ახალ წელს სანთლებანთებულ თაბახს სამჯერ შემოაბრუნებდა წაღმა, საკმეველს დააკმევდა ჯამზე გაღვივებულ ნაკვერჩხლებზე და ამით თავდებოდა მისთვის ახალწლის ლოცვა. ხშირად იტყოდა: შვილებო, რომ მოვკვდები, არაფერი არ მინდა. სიცოცხლეში გამახარეთ, მოვკვდე მიწა მომაყარეთო. მიუხედავად ამისა, ის შვილებისაგან უსიხარულო წავიდა.

ჯუმადია საღამოს ლოცვას რომ მორჩებოდა, ჩაწვებოდა ლოგინში, სასთუმალთან პატარა მაგიდაზე ედო სქელტანიანი წიგნი „დაბადება“. მე ერთხელ ნაბრძანები უნდა შემესრულებინა ყოველ საღამოს. ვაი იმ სირცხვილს, თუ ნაბრძანების მეორედ ბრძანება დამჭირდებოდა. დაბადების ხუთი გვერდი უნდა წამეკითხა ხმამაღლა და მერე წავსულიყავი დასაძინებლად. ბატონ ჯუმადიასაგან სხვა არაფერი მევალებოდა. ჩემი მეორე ვალდებულება იყო, იქვე ვმდგარიყავი, როცა დეიდა ჭრასა და კერვას დაიწყებდა. ეს დიდად გამომადგა ცხოვრებაში. მადლობის გრძნობით უნდა ვთქვა, რომ ჯუმადიას ოჯახი ჩემთვის უაღრესად სასარგებლო სკოლა აღმოჩნდა. სახარებისა და დაბადების გარდა, მაგიდები სავსე იყო სხვა ქართული წიგნებით, ამ ოჯახში წავიკითხე პირველად ყაზბეგის „ელგუჯა“, აკაკის „გამზრდელი“, ილიას „გლახის ნაამბობი“ და ის ლექსები, რომლებიც იმხანად გამოქვეყნებული იყო. აქ გავეცანი ბარათაშვილის ლექსებს და ვისწავლე „მერანი“, რომელიც არა ერთხელ წარმომითქვამს შემდეგ სცენაზე. ვისწავლე ლექსი „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა...“ უკვე განვლე ჩემი ცხოვრების დიდი გზა და ამ ლექსს ჩემს გულში არ მიჰკარებია დავიწყების ჩრდილი. ახლაც, როცა შეღამების ჟამს აივანზე ვზივარ და პირსავსე მთვარე ანათებს, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე ყვარლის მთები და განმარტოებით მდგარი ილია. საიდანღაც შემოიჭრება ჩემს სმენაში, „ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ მაგრამ მისმა სანატ-

რელმა გაღვიძებულმა სამშობლომ ვერ დაიხსნა ილია საზიზ-ღარი ჯალათებისაგან. აქ შევიცანი ნინოშვილის ცრემლის მომგვრელი მოთხრობები. ამ ოჯახში ვნახე სულხან-საბა ორ-ბელიანის წიგნი და შემდეგ საბავშვო მწერლების წიგნები, რომლებიც ახლა წინ მიდევს, დამთავრებული დუტუ მეგრე-ლის ლექსებით.

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა
საყვარელი საქართველო...

შემდეგ ეს ლექსი მე ჩემს შვილებს ვასწავლე.

ჯუმადიას რუსთაველის პორტრეტი ხატივით ჰქონდა და-კიდებული სასტუმრო ოთახში. წიგნების მაგიდაზე განსაკუთ-რებული ადგილი „ვეფხისტყაოსანს“ ეჭირა. იქვე იდო გუ-გუნავასეული გალექსილი თამარიანი. არ ვიცი, ეს ურყევი ღვთისმორწმუნე, წმინდანივით კაცი რას გრძნობდა, როცა დაბადებასთან და სახარებასთან ერთად ამ წიგნებს კითხუ-ლობდა. ეს კია, რომ ქართული კულტურის დიდი თაყვანის-მცემელი იყო.

აქ შევიგნე რას წარმოადგენდა გაზეთი „ივერია“, „კვე-ლი“ და სხვ. ეს ჟურნალები, გაზეთები და წიგნები მისით როდი მოფრინავდნენ თბილისიდან. მაშინ ფოსტა არ იყო რიგიანად მოწესრიგებული. ამ ოჯახს ჰყავდა რკინიგზელი სიძე, რომელიც მატარებელზე მთავარ კონდუქტორად მუშა-ობდა. ეს კონდუქტორი ძალიან ხშირად ჩამოდიოდა ცოლ-შვილთან. ლანჩხუთიდან აკეთამდე ერთი საათის გზაა. კონ-დუქტორს მოჯამაგირე სადგურზე ცხენს დაახვედრებდა და დატვირთული ცხენი მოგვადგებოდა კარზე. დიასახლისები საოჯახო ნივთებს სტაცებდნენ ხელს. ხოლო ბატონი ჯუმადია წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით სავსე ჩემოდანს ხსნიდა. მეც მასთან მივცუცქდებოდი, ვეხმარებოდი, ვასუფთავებდი წიგნებს და მაგიდაზე ვაწყობდი.

— მოდი, ბოშო, აქ!—ასე იცოდა ჯუმადიამ დაძახება, — შეხედე ამ წიგნებს, აიღე, წაიკითხე, რომელიც მოგწონს და ისე დაალაგე, როგორც არის.

— დიახ, ბატონო,—ვუპასუხებდი მოკრძალებით და ზუსტად ვასრულებდი მის მითითებას.

ამ დიდებულ ოჯახში მაინც ობლად ვგრძნობდი თავს, მაგონდებოდა მამის ოჯახი. არ ვიცოდი ჩემი გაფანტული ძმების ამბავი, მენატრებოდა შენ დარჩენილი პატარა და-ძმა. ვდარდობდი ყველაზე. დედის საფლავთან ოცნებით ჩამოვჯდებოდი... ვნაღვლობდი. ჩემი გულის დარდი იცოდა მხოლოდ ჩემმა ბალიშმა, რომელიც ღამღამობით იშრობდა ჩემს ცრემლს. აღარ მიზიდავდა ყვავილები, რაც ბლომად იყო დეიდაჩემის ეზოში. ჩემთვის ყველაფერს წარმავლობის მჭკნარი ფერი დაჰკრავდა. ჩამავალ მზეს მიყვებოდა ჩემი ბავშვური ოცნებები...

დეიდაჩემი მიშლიდა მოსამსახურეებთან დალაპარაკებას, მე კი საღამოობით ჩუმად ჩავირბენდი სამზარეულოში და ხანში შესულ მოჯამაგირესთან, დავითთან გავაბამდი საუბარს. კერაზე ცეცხლი ბრიალებდა. ქვის დიდი კეცი ხურდებოდა. იქვე მოსამსახურე დედაკაცი ფუსფუსებდა, ვახშამს ამზადებდა. დავითი იჯდა გრძელ ჯირკზე ცეცხლისპირას და მოქანცული, თმაშეევერცხლილი კაცი ჩიბუხს აბოლებდა. თითქოს ჩიბუხიდან ამოსულ კვამლს მისი ფიქრები შიყვებოდა, ისე ნაღვლიანად მიაყოლებდა თვალს. მე გრძელ ჯირკის მეორე თავში ჩამოვჯდებოდი. დავითი მოიხედავდა, დამინახავდა და გამიღიმებდა. გავაბამდით საუბარს. ხან რას ვკითხავდი და ხან რას... ერთხელ რატომღაც ვკითხე:

— ბიძია დავით, შენ სახლი არ გაქვს?

— ჩემს სახლში, ბიძია, ტურები ჰყავიან.

— შვილი არა გყავს?

— რად მინდა შვილი, ბიძია, შვილს გაზრდა უნდა. მე კი მხოლოდ ცარიელი ხელები გამაჩნია.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დეიდაჩემი ნებას მომცემდა სოფლის რომელიმე ქალიშვილს რამდენიმე ხნით სოფელში გავყოლოდი. სოფელში ჩემდა უნებლიეთ ყველაფერი ჩემს ყურადღებას იქცევდა. სოფელ აჯთისა და აკეთიდან ოცდახუთი კილომეტრის სიშორეზე მდებარე პატარა გურიანთის მოსახლეთა შორის თვალსაჩინო განსხვავება იყო. აქ თითქოს ღარიბთა ქოხებსაც რაღაც ქალაქური

იერი გადაჰკრავდა. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ოჯახში თუ ორი მამაკაცი იყო, ერთი მათგანი უთუოდ სადმე სამუშაოდ იყო წასული, მეტწილად შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში. საშოვრად წასულ გლეხებს ოჯახი როდი ავიწყდებოდათ: ხშირად მოდიოდნენ სოფელში და ქალაქური ნივთები მოჰქონდათ. ამიტომაც ქალაქური ელფერი აფერადებდა სოფელს. თუ გლეხები, ასე თუ ისე, მაინც მიმოდიოდნენ ქალაქებში, აქაური მრავალრიცხოვანი აზნაურები მაგრად იყვნენ მიკრული თავიანთ მიწაზე. ჯუმადიას მოგვარეები — დათუნაიშვილები, შემდეგ ჯაყელები, მგელაძეები, ბაეუნაიშვილები, შალიკაშვილები. აი, ვინ იყვნენ აქაური აზნაურები. ისინი პატარა მემამულეები იყვნენ, ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ საშოვარზე წასვლას მაინც არ კადრულობდნენ. ოთხიოდე თავადი თავდგირიძე მიწის ისეთ სიმცირეს განიცდიდა, რომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, წლის საკმარისი მჭადი არ შედიოდა მათ ბეღელში.

აკეთში სოფლის სკოლაზე აზნაურებიც ზრუნავდნენ. ამ აზნაურებმა წერა-კითხვა იცოდნენ. „ვეფხისტყაოსანი", „თამარიანი" და „ვისრამიანი" მოიპოვებოდა იმათ ოჯახებში. ქვედა გურიის მცხოვრები მემამულეები გურიელი და ნაკაშიძე, არა თუ გლეხებისაგან, აზნაურებისაგანაც შორს იდგნენ, მათ მამულს მოურავები განაგებდნენ, აკეთელ თავდგირიძეებს კი სამოურაო არაფერი გააჩნდათ.

ზაფხულში ქალაქებიდან დასასვენებლად დაბრუნებულ გლეხებს თან მოჰქონდათ ჟურნალ-გაზეთები. ისინი ჩაცმულობითაც განირჩეოდნენ სოფლელებისაგან. ფეხზე „სკოროხოდები" ეცვათ, თავზე ყაბალახის მაგიერ, ჩალის ქუდი, ტანზე უბრალო, იაფფასიანი, მაგრამ ევროპული ტანსაცმელი. ასეთი ხალხის გამოჩენამ და ამავე დროს სკოლებისა და მასწავლებლების მომრავლებამ გამოიწვია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის საჭიროება. დიდი ზეიმით გაიხსნა აკეთის ბიბლიოთეკა-სამკითხველო. საზეიმო სადილზე მოწვეული იყვნენ ოზურგეთიდან და სოფლებიდან იმ დროის რჩეულნი. აკეთის ბიბლიოთეკა მეორე ბიბლიოთეკა არისო გურიაში, ამბობდნენ. პირველი ბიბლიოთეკა არ ვიცი რომელ სოფელ-

ში არსებობდა. მხოლოდ ეს ვიცი, ოზურგეთში ჯერ კიდევ არ არსებობდა ასეთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ამ საზეიმო სადილზე გავიცანი კოწია ერისთავი. შემდეგ კარგა ხანს ვმღეროდი მის ლექსს—„ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი...“ ამ ზეიმზე გავიცანი სიმონ გუგუნავა. ერთხელ ბატონმა ჯუმადიამ ს. გუგუნავას უთხრა, ამ პატარა ქალიშვილმა თქვენი თამარიანი ზეპირად იცისო. გუგუნავამ ისეთი მზიური ღიმილით შემომხედა, ასე მეგონა, მის გულზე დაფენილი თეთრი წვერი უსილავმა სიომ შეაშრიალა-მეთქი. არ ვიყავი ჩვეული ასეთ სათნო ღიმილს.

— ძალიან კარგი ქალიშვილი ყოფილხარ,—მითხრა გუგუნავამ,—მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ თუ წაგიკითხავს?

— წამიკითხავს...

— ხომ არ გახსოვს რომელიმე ტაეპი?

— მახსოვს...

და სხაპასხუპით დავიწყე: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და...“ არც მაშინ და შემდეგ კიდევ კარგა ხანს არ ვიცოდი რას ნიშნავდა სიტყვა „სადავითა“.

აკეთის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამო გამართულ საზეიმო სადილს გლეხები არ დასწრებიან. მრავალჟამიერით დამთავრდა ზეიმი. აქაურ თავადაზნაურობას ხალხური სიმღერები არ უყვარდა, ხალხური სიმღერისათვის თითქოს შეკრული ჰქონდათ ყბა. გიტარაზე კი აბარტყუნებდნენ „გულიმჯანს...“ სამაგიერად აკეთში ცხოვრობდნენ სამნი ძმანი თოხაძეები. ისინი ნამდვილი მეთოხე გლეხები იყვნენ. მათი კრიმანჭული ქვეყანას გადაწვდებოდა, მაღალი მრავალჟამიერი და ხასანბეგურა ადამიანს აცოცხლებდა. საიდან სად არ გაისმოდა მათი ყანური. ოფლის ღვართან სიმღერის ნიაღვარიც ედებოდა გლეხების ყანებს. განა მარტო ყანებს? გლეხის ქორწილი მათ გარეშე არ მოხდებოდა. დადგებოდა ზაფხული. დეიდაჩემის ოჯახში დაიწყებოდა განუწყვეტელი სტუმრობა. მოდიოდნენ ბათუმიდან სტუმრები, ლანჩხუთიდან ნათესავები, თბილისიდან მთავარი კონდუქტორი და მისი ნაცნობები. ამათთან შემოიკრიბებოდნენ ადგილობრივი თავადაზნაურობა და გაჩაღდებოდა სადილები, გიტარა, ნარ-

დი და ფანდი. ეს იყო ზაფხულის მხიარულება. გარდა ამისა არაფერი არ აწუხებდა ამ ხალხს. ამას ემატებოდა მოქეიფე ახალგაზრდების ქართული ხელებგაშლილი ცეკვა, თუ ფრენა... ეს იყო ტრფიალი და წმინდა გულის მღელვარება.

თექვსმეტი წლის ვიყავი, როდესაც დეიდაჩემმა კოჭებამღე გრძელი კაბა შეშიკერა. ახლა უკვე გასათხოვარი ქალი ხარო. ეს იყო 1898 წელი. ერთ დღეს ბატონ ჯუმადიასთან მოვიდა ნაცნობი მასწავლებელი კაცი და ჩოხაში გამოწკიპული ახალგაზრდა აზნაური — ვალერიან შალიკაშვილი. დეიდაჩემს სთხოვეს, რომ მონაწილეობა მიმეღო რომელიღაც წარმოდგენაში. რა პიესის დადგმას აპირებდნენ, არ მახსოვს. წარმოდგენა და თეატრი ჯერ არ მენახა. პიესები ცოტა მქონდა წაკითხული. დეიდაჩემმა ცივი უარით გაისტუმრა კულტურის მოყვარული ეს ორი ახალგაზრდა, მათ შორის ერთი შემდეგში ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ვალერიან შალიკაშვილი. გამოთხოვების დროს ვალერიანმა ასე წამჩურჩულა: „ეცადეთ გახდეთ მსახიობი...“ მაშინ პირველად ვნახე ვალერიან შალიკაშვილი. კარგად მახსოვს მისი რჩევა. შემდეგში დიდი გულისყურით ვკითხულობდი ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ ვალერიანის წერილებსა და ეტიუდებს.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ფიქრებმა შემიპყრეს. ვიგრძენი, რომ ამ ურყევ ტრადიციულ ოჯახში ჩემი ნება-სურვილი მუდამ შებოჭილი იქნებოდა. ჩემი გული კი შეუზღუდველ, თავისუფალ ჰაერს თხოულობდა. ვერ ვიტანდი კარჩაკეტილ ცხოვრებას. ისევ ოზურგეთი მაგონდებოდა, მამის ოჯახი. დღე-დღეზე ველოდი მამაჩემის გამოჩენას. გავიგე, მამას უნდოდა ჩემს სანახავად მოსვლა.

საღამოს ბინდი ეკიდებოდა სოფელს. ქათმები უკვე ხეებზე სხდებოდნენ. დავითთან ჩავირბინე სამზარეულოში. მოსუცმა შემამჩნია, რომ მოწყენილი ვიყავი. ჯორკოზე ჩამოვჯექი. ამ დროს ძაღლების ყეფა მომესმა. რაღაც მიგრძნო გულმა, გარეთ გავვარდი. ჭიშკართან მამაჩემი იდგა. სიხარულით ენა დამება. ძაღლები ჩავაჩუმე და ოდაში შევუძეხი მამას. მეორე დილით ცრემლით დავაღწიე თავი დეიდაჩემის იმდროისათვის დიდებულ ოჯახს, რომელმაც ბევრი სიკეთე შემძინა. გამოვცილდი თავდგირიძეების გორას, მოვიხედე

უკან და გავიფიქრე: მშვიდობით, აკეთო, მშვიდობით!.. მაგრამ ამ ოჯახიდანაც გამომყვა ერთი გულსაკლავი სახსოვარი— მოჯამაგირე დავითის დაღვრემილი სახე. ეს სახე დიდი ხნის შემდეგ გამოვხატე ლექსში „იმ დროს გიხილე?“ ეს ლექსი დაიბეჭდა გაზ. „თემში“, 1914 წ.

ლექსი ასე ბოლოვდებოდა:

შენი ყვავილნიც გაიშლებიან,
ჩემი ოცნებაც შვებით ფრთებს გაშლის,
მაგრამ მაგ სახეს ტანჯვით აღსავსეს
ამ ჩემს ხსოვნაში ვერა რა წაშლის.

და მართლაც ჩემი ხსოვნიდან არ ამოიშალა ამ დაბეჩავებული ადამიანების სახეები: შავარდენა მუჯირი, ბიძია მეევარი, გრძელწვერა სოლომონი, თვალცრემლიანი თათია, იობა და ნანობა. ამათ მიემატა მოჯამაგირე დავითი და ყოველ შეღამების ჟამს, როცა ფიქრები მოყვებიან თვალთა ბინდს, ეს სახეებიც შემოკრბებიან ჩემს გარშემო.

* * *

დავბრუნდი მამაჩემის სახლში. ქუჩებში ფარნები ბჟუტავდა. ოზურგეთი მიდუმებულიყო. არ ისმოდა ქალაქის თავში ჩამწკრივებული სამჭედლოების ჭახაჭუხი. ვაჭრებს მაღაზიები დაეკეტათ. გვიან იყო. ნიავი ძილისპირულივით აშრიალებდა ფოთლებს. აივანზე მოგვეგება სახეშეცვლილი შუაღნის ქალი. მომესალმა, გადამკოცნა და სახლში შემიძღვა. ბავშვებთან გავირბინე მეორე ოთახში. ბავშვები უკვე ჩაწოლილიყვნენ ლოგინში. თავი წამოყვეს, გადამეხვივნენ და ჩუმად ჩამჩურჩულეს:

— ჩვენი დედინაცვალი ნახე?

— ვინა, ის ქალი?

— ჰო, ის ჩვენი დედინაცვალია.

თავზარი დამეცა. მხოლოდ იმ წამს გავიგე, რომ დედინაცვალი მყოლია. ახლა მივხვდი ამ სიშორე გზაზე რატომ შოდიოდა მამაჩემი მუნჯივით. ასე ყოფილა ჩემი ბედი. აქაც განმარტოებულად უნდა ვიცხოვრო.

ისევ მე და ჩემი ბალიში... ჩუმი, გამოუთქმელი წუხილი...

დილით თვალი მოვავლე ყველაფერს. ოთახები უკვე სულ სხვა წესრიგზე იყო დალაგებული. გარეთ გავიხედე, ჩვენს დიდ ეზოში ხუთი ოჯახი ჩამოსახლებულიყო. ახალი მეზობლის ღობე ჩვენი ოდის გვერდში აღმართულა. გზატკეცილის პირას აკაციები აწვდილან და შუადღის მცხუნვარე მზეს გვიჩრდილავს. ბაღ-ბოსტანში ნორჩ ხეხილებს ტოტები გაუშლია. ოდის წინ დედაჩემის ხელით დარგული ვაშლის ხე აღმართულა. ფანჯრის მინაში ჩემი ლანდი დავინახე. „მეც გავზრდილვარ", გავიფიქრე. ქუჩაში გავედი. ახალ მეზობლებს მინდა გავეცნო. ხუთი ოდის წინ ჩავიარე. ყველას თავთავისთვის პატარ-პატარა ეზო გადაუღობავს. არც ერთს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. ეტყობა მამაჩემს ნაწილ-ნაწილად გაუყიდია მიწა. აწი რაღას გაყიდის? რა აქვს კიდევ გასაყიდი? გურიანთისკენ გამაქანა ფიქრმა. იქნებ იქაური მამულიც გაყიდა? იქ რომ პატარა ფაცხა დავტოვეთ, ღამის გასათევი, იქნებ ისიც გაყიდა? საწნახელი? ორკოპე? ახლა სხვა ოცნებაშ გამიელვა თავში და მდინარე სკურდიმის პირას ჩავიქროლე. მიყვარს ეს წყალი: ქვიდან-ქვაზე მხტუნავი თეთრი ზვირთები. მის ნაპირზე გაფურჩქნული მდელო და მისი შხეფებით ნაპკურები ყვავილები. მიყვარდა მის ნაპირას ბორცვზე ჩამოჯდომა. დიდხანს, დიდხანს ჩავცქეროდი ხოლმე ამ მდინარეს. ერთხელ აკეთში ყოფნის დროს ისე გამიტაცა ოცნებამ, რომ ასე მეგონა სკურდიმის პირას ვიჯექი. პაწაწინა ლექსიც კი დამცდა:

მიყვარს, სკურდიმო, როს შენს ნაპირას
ვზიავარ ფიქრებით გარემოცული,
მე გულში ჩაგცქერ და შენ კი, ცელქო,
ჩხრიალით მიჰქრი გამალებული.

კარგა ხნის შემდეგ ამ ტაეპს მეორე ტაეპი მოემატა და ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა.

თვალი მოვავლე ახალ მოსახლეებს. ბოძებზე შემდგარ მათ ოდებს ზოგს ფანჯარა აკლდა და ზოგს კარი. ქალები აივანზე ჭილობებს და ძველ საბნებს ფენდნენ. ეზოში ფეხშიშველა ბავშვები დატანტალებდნენ. ესენი ხომ სოფლის ღარიბი

გლეხები არიან? რად ჩამოსახლებულან აქ? ალბათ, ჩაფრებს და კაზაკებს გამოექცნენ ᲮᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ და ამ პატარა ქალაქს შემოაფარეს თავი. მაგრამ, აი ეზოებიდან ურმებით და თოხებით გამოვიდნენ გლეხები და ᲮᲝᲤᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ გაეშურნენ მიწის დასამუშავებლად. ზოგს ლაითურში აქვს ყანა, ზოგს ჩაჩიაზე. გამახსენდა იობას ნათქვამი შაირი: ანაკლიას ყანა მქონდა, ჩანაკლიას ნალიაო... ასე გამხდარა ამ ხალხის საქმე. მივბრუნდი ᲭᲘᲨᲙᲐᲠᲗᲐᲜ, გავჩერდი, ვუცქერი მამაჩემის სახლკარს. დედაჩემის ხელით დარგული ვენახი გაზრდილა, გაყოლია პარმაღის სვეტებს და ფათალო გაუშლია. ვაშლების ძირში გუნდ-გუნდად გაბადრულან ვარდები. მომაგონდა დედა, ვჩურჩულებ: „ჩემო დედა, როგორ გიყვარდა მწვანე მდელო, როგორ გიყვარდა ყვავილები, როგორ გიყვარდა ლაჟვარდი ცა, გიყვარდა გურიის მთებიდან ამოკაშკაშებული დილის მზე, რომელსაც ერთ დროს შენთვისაც მოჰქონდა სიცოცხლე, მაგრამ ახლა!..“

— რას უყურებ, შვილო?—მომესმა მამაჩემის ხმა.

მივიხედე. ის თურმე ჩემზე ადრე ამდგარა და პურის საყიდლად გასულა.

— სოფლის მამულიც გაყიდე, მამა? თირის წყაროც?

მამა ამ შეკითხვას არ მოელოდა, ცალი ხელი ᲭᲘᲨᲙᲐᲠᲡ დააბჯინა და ნაღვლიანად თქვა:

— გავყიდე, შვილო, ბაღნები სწავლობენ... ასი გასაჭირი მადგა.

ხმა აღარ ამომიღია: პური გამოვართვი და ოთახში შევედი, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ჩამიქრა ლამაზი ოცნებები, რომელიც ბავშვობიდან ნათელ შუქად მევლინებოდა.

იმ დღეს პირველად ვნახე მამის დაღვრემილი სახე.

* * *

რა გამაჩერებს შინ. ქალაქი მინდა დავათვალიერო. ნაცნობი ქუჩები მინდა შემოვირბინო. იქნებ სკოლის ამხანაგებმა მიცნონ. ისინიც ჩემოდენა ქალიშვილები იქნებიან ახლა. ნეტა რას აკეთებენ? ჩემი ახალი თუთრი კაბა გადავიცვი და სახლიდან გავედი. დედის მაგიერმა ამხედ-დამხედა, არ მოე-

წონა, რომ ნებართვა არ ავიღე მისგან. „ესღა მაკლია, მაგისაგანაც ნებართვა ავიღო“, გავიფიქრე.

მამაჩემი პარმაღის კიბეზე ჩამომჯდარიყო. წყნარად ჩავედი საფეხურებზე და მორიდებით მივმართე:

— მამა, ცოტას გავისეირნებ.

მამამ ყალიონი ორ თითში დაიჭირა და ღიმილით მითხრა:

— თუ გინდა ბევრიც გაისეირნე, ვინ გიშლის. დღეს კვირაა და მოედანზე ხალხი იქნება, — მერე ღიმილით დაუმატა: — გაიხედ-გამოიხედე, იქნებ ვინმეს მოეწონო!

მამაჩემი ყოველთვის ამაყობდა ჩემი გარეგნობით და როგორც მაშინ შევნიშნე, თეთრ კაბაში უფრო მოვეწონე. ალბათ დედინაცვალმაც ამიტომ გადმომხედა ფანჯრიდან.

როგორც ზევით აღვნიშნე, ჩვენს ქუჩაზე წითლად შეღებილი ყაზარმები იყო. მასში ჯარისკაცები იყვნენ დაბანაკებულნი. შორიდანვე დავინახე, ჯარისკაცების სამზარეულოს კართან, ხელში ტომსიკებით და ხელქვაბებით პატარა ბიჭები იდგნენ.

— რას ელოდებიან ის ბიჭები?—ვკითხე ჩემს გვერდით მიმავალ მეზობლის ქალს.

— ამ სიშორეზე ხედავ, ქალიშვილო? რას ელოდებიან და ჯარისკაცის ნასუფრალს... ჩემი ბიჭიც იქ არის,—რალაც მკვახედ მიპასუხა ქალმა და განაგრძო:—სილარიბეში ვართ. სოფელი დავტოვეთ და ქალაქში კენჭების მეტი არაფერი ყრია, იქ ჩაფრებს ვერ გავუძელით, სახელმწიფო და ბატონის ბეგარას გამოვექეცით. ღმერთმა დასწყევლოს ამისთანა ცხოვრება. მთელი დღე რომ იარო ქუჩაში, გროშს ვერ იშოვი.

ჩქარი ნაბიჯით შემოვიარე ნაცნობი ქუჩები. თითქმის ყველა ქუჩაზე ახალი ოჯახი ჩამოსახლებულიყო. უკარ-ფანჯრო სახლებიდან ისმის ბავშვების ტირილი. ფუსფუსებენ ქალები პაწაწინა ეზოებში, რომლებშიც ხელის წისქვილიც ძლივს მობრუნდება: აგერ აივანზე წამოწოლილა ზორბა ქალი და აკაციის ტოტით ბუზებს იგერიებს. იქ, სხვა ოდის პარმაღზე გოგოს გიტარა უჭირავს ხელში, აწყობს და ვერ აუწყვია. უფრო იქით, ბიჭებს ქაღალდზე ნარდი დაუხატავთ და პურისაგან დარგვალებულ კამათლებს აგორებენ. ოჯახის მამები არ ჩანან. დედაკაცებს თავსაფარი მოუხვევიათ და

ეკლესიისაკენ მიიჩქარიან, ჯიბეში ორ კაპიკს ეძებენ თაფლის სანთლის საყიდლად. მოისმის ეკლესიის ზარების ხმა.

სავაჭრო მაღაზიების წინ ჩავიარე. ვაჭრები გულხელ-დაკრეფილი სხედან დახლში. „მობრძანდი, ქალიშვილო!..“ მეძახის ვიღაც გაბერილი კაცი. ფეხი ავაჩქარე. შუა ბაზარში შევედი. სოფლელ დედაკაცებს ცოცხები დაუწყვიათ წინ. „ნანობა!“ დავიყვირე და ჭაღარა ქალს გადავეხვიე. მოხუცებულა ნანობა. მიცქირა, მიცქირა და უცებ მითხრა: „დედას დამსგავსებიხარ, რა თავმდაბალი და კეთილი ყოფილხარ, იხარე, შვილო!“

ეკლესიიდან ისევ შემომესმა ზარების რეკვა. შუა წირვაა. წინ ორი ქალიშვილი შემეჩეხა. — ლიდია მამულაიშვილი ხარ?!—შემომძახეს. ჩემი სკოლის ამხანაგები იყვნენ — ცაცა და პელო. აღტაცებით გადავკოცნეთ ერთმანეთი.

— კარგ დროს შეგხვდით, — მეუბნებიან,—ჩვენთან უნდა წამოხვიდე!

— საით?

— ფილიმონ ქორიძე ხომ იცი?

— გამიგონია.

— კონცერტი უნდა გამართოს. ქალიშვილებს დავეძებთ. ჯერჯერობით ხუთნი ვართ. მეექვსე შენ იქნები.

არ დავფიქრებულვარ. ფილიმონთან შევედით, ფილიმონი ზორბა კაცი იყო. „ოო, მეექვსე!...“ გაუხარდა ფილიმონს, პატარა, დაბალ ფისგარმონიას მიუჯდა და პირი გააღო:

— ااا... დიახ, დიახ, ძალიან სასიამოვნოა, — ფანქარს დაავლო ხელი, — ერთი მოგვემატა. მაგრამ რას გვიშველის ერთი? მართლაც ვერ ვუშველეთ ფილიმონს. საკმაო რაოდენობით არ შეიკრიბნენ მომღერლები და განზრახული კონცერტი ჩაიშალა.

ამხანაგებს დავშორდი. მოედანი გავიარე. ხალხი ზანტად მიმოდის. ზოგნი ფიცრის სკამლოგინზე ჩამომსხდარან. ესენი უდარდელი მცხოვრებნი არიან, სადღაც მოკალათებულან, ლუკმაპურს ჭამენ და უდარდელად ატარებენ დროს. კიდევ ორი ნაბიჯი და კლუბის კარზე ახალი განცხადება შევნიშნე: „ბიბლიოთეკა-სამკითხველო ღიაა 12-3 საათამდე“. ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის. ახლახან გაეხსნათ ბიბლიოთეკა.

შაშ, შემიძლია წიგნებით ვისარგებლო. მაგრამ მანეთი რომ არის საჭირო საწევრო გადასახადი? სად ვიშოვნო მანეთი? მამის ოჯახისკენ მივიხედე. უიმედობამ მოიცვა ჩემი გული. მანეთის პური ერთ კვირას ეყოფა ბავშვებს. ვინ მომცემს მანეთს? დედა რომ მყავდეს...

სამკითხველოში შევედი. შიგ სამი ევროპულად ჩაცმული კაცი გაზეთს ათვალიერებდა. ყველამ გაკვირვებით შემომხედა. თურმე იმიტომ, რომ ქალიშვილები არ დადიან სამკითხველოში. მაგიდაზე თავისუფალი გაზეთი არ იყო.

— წიგნი მინდა!—ვეუბნები გამგეს.

— აი, წიგნები,—მიმითითა თაროსკენ,—ილია, აკაკი, ;ყაზბეგი, ნინოშვილი, აირჩიე, ქალიშვილო!

ბიბლიოთეკა მეტად ღარიბი იყო წიგნებით.

—ეს წიგნები წაკითხული მაქვს,—ვუპასუხე მე.

ბიბლიოთეკის გამგემ წიგნების სია ამოიღო ყუთიდან და შომაწოდა.

— მაშ, თქვენ თვითონ ამოირჩიეთ, გადასინჯეთ, რომელი წიგნი არ წაგიკითხავთ.

ვათვალიერებ სიას. ორი წიგნი აღმოჩნდა ჩემთვის უცნობი. „ქილილა და დამანა“ და „ნემესიოს ემესელი“. ავიღე „ნემესიოს ემესელი“. ვჯდები გრძელი მაგიდის კუთხეში და ვკითხულობ თავჩაღუნული. ხან ფარულად შევავლებ ხოლმე თვალს იმ მამაკაცებს.-ისინი კვლავ გაკვირვებით მიცქერიან, რაღაც გადაუჩურჩულეს ერთმანეთს. ერთი მათგანი მიახლოვდება და ხმადაბლა მეუბნება:

— ძალიან მსიამოვნებს, რომ წიგნის მოყვარული ქალიშვილი ყოფილხარ, მაგრამ ეს წიგნი,—ხელი დაადო ჩემს წიგნს,—ძნელი წასაკითხავია.

თვალი მივაშტერე მოსაუბრეს. მეტად სიმპათიურ ადამიანად მეჩვენა. მორცხვად მივმართე:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

მან გამიცინა.

— კოწია თავართქილაძე. საკუთარი სტამბა მაქვს. წიგნებს ვბეჭდავ. წიგნის მაღაზიაც მაქვს.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მინდა გავიგო რას წარმოადგენს ეს „ნემესიოს ემესელი“...

მესამე დღეს თავართქილაძე მოვიდა ჩემთან და ახალი წიგნები მომიტანა საჩუქრად. ამ წიგნებში იყო თედო სახოკიას პატარა ლექსიკონი, სადაც ახსნილი და განმარტებული იყო ზოგიერთი უცხო სიტყვა. მეორე წიგნი იყო „თავადის ქალი“, ავალიშვილის მიერ თარგმნილი და სხვა...

სამკითხველოს დაკეტვის დრო მოვიდა. წიგნი ჩავაბარე. გამგემ მომაგონა, ერთი მანეთი მოიტანე და წიგნებს შინ გაგატანო. მანეთის გახსენებაზე ისევ ელდა მეცა. გარეთ გავედი. ბიბლიოთეკის ეზოში ვიღაც ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ და რაღაცაზე გაცხარებული მსჯელობდნენ. მათ შორის ჩემი ნათესავი დათიკო დავინახე. პეტერბურგში მეგულებოდა. მინდა დავუძახო, ვაი რომ ვერ მიცნოს? ვეღარ მოვითმინე და ახლოს რომ ჩავუარე, ბავშვურად შევცინე:

— დათიკო!

ყველამ ჩემკენ მოიხედა. დათიკო გაკვირვებული მომიახლოვდა. თურმე მასაც არ ვეგონე ოზურგეთში.

— რამხელა გაზრდილხარ, გოგო, უკვე ქალიშვილი გამხდარხარ!—ხელი მომხვია და ახალგაზრდებთან მიმიყვანა. ხარხარით წამოიძახა: „ეძებდე და ჰპოვებდე...“ სათითაოდ გამაცნო ყველა.—ეს ვასო ურუშაძეა, არტისტობას აპირებს, ეს ალიოშა წუწუნავა, ესეც არტისტობს. ეს ახალგაზრდები ჩვენი სკოლის. მასწავლებლებია — ლადიკო და სილოვანი, ესენიც თეატრს ეპოტინებიან. ეგ კი გერასიმეა, თბილისის სემინარიელი, ჩვენი თანამგრძნობი. ეს თეთრჩოხიანი კოლია ბებურიშვილია. ეს კი უეჭველად მომავალი არტისტია. თბილისის პანსიონიდან არის. აგერ ცაგარელის პიესები ჩამოუტანია. წარმოდგენა გვინდა დავდგათ. თალიკოს როლის მოთამაშეს ვეძებდით და გნახეთ კიდევაც.

— პიესები წამიკითხავს, ვიცი როგორ იწერება, მაგრამ თეატრი არ მინახავს, არ ვიცი თამაში,

— თქვენ მხოლოდ წრეში მუშაობის თანხმობა მოგვეცით, სხვას ნუ დარდობთ. ისე მოგამზადებთ რომ...—არ აცლიდნენ ერთმანეთს, ყველა მთხოვდა.

აღფრთოვანებული დავშორდი ახალგაზრდებს. აი ის, რასაც გული მთხოვდა. აი, ის აღტაცება, რაც ოცნებად მეხატებოდა.

ეს იყო ჩემი ქალიშვილობის დასაწყისი. მაშინ, მხოლოდ მაშინ იღვიძებდა ჩემს მთრთოლვარე გულში რაღაც ახალი გრძნობა ფარული და მოკრძალებული, გრძნობა შეუცნობი ტრფიალებისა, როდესაც ყოველ საგანს ისე შევხაროდი, როგორც საყვარელ ადამიანს.

პირქუშად არავის ვხვდებოდი.

ნაცნობს შორიდან ვუცინოდი.

უცნობს პირდაპირ ვუცქეროდი. მინდოდა ყველგან და ყველაფერში მეხილა სილამაზის განსახიერება, თუნდაც პატარა ყვავილში, რომელიც რიჟრაჟის შუქივით ამობრწყინდებოდა ჩემი ცხოვრების განთიადზე.

ყველაფერში ჩქარი და მოუსვენარი ვიყავი. ქუჩებში მოცინარი სახით მივდიოდი. არა, კი არ მივდიოდი, მივფრინავდი... აი ისევ მოედანი ხეივნებით და აგურის ფხვნილით მოფრქვეული ბილიკებით. ხეივანში ერთი მხრიდან შემომსვლელი კარგად ხედავს მეორე მხრიდან შემომსვლელს. იცნობს კიდეც თუ ნაცნობია.

მოედანზე არავინ ჩანს. ხალხი გაკრეფილა.

მარტომ უნდა გავიარო ხეივანი. მაგრამ... აი, მეორე მხრიდან ვიღაც შემოვიდა. ღია ფერის ევროპული ტანსაცმელი აცვია. ცილინდრიც ღია ფერის ხურავს. ხელში ვარდის შეფოთლილი შტო უჭირავს, მოათამაშებს. მე და უცნობი პირისპირ შევხვდით ერთმანეთს. წინ გადამიდგა.

„ქალიშვილო, ეს ვარდი თქვენ უფრო დაგშვენდებათ!“ მითხრა და ვარდი გამომიწოდა. შევკრთი. პირდაპირ შევხედე ჩემს წინ მდგომ უცნობს და მორცხვად ჩამოვართვი ვარდი. არ შევჩერებულვარ, არც ის შეჩერებულა. ასე დავშორდით ერთმანეთს. მინდა მოვიხედო უკან, მაგრამ იმანაც რომ მოიხედოს? არა, არ ივარგებს...

ჩქარა გავიარე მოედანი. გულმა აღარ მომითმინა. მივტრიალდი. ვხედავ, უცნობმა გაიარა მოედანი და ერთი ჩემი ნაცნობის ოჯახში შევიდა. ძალიან კარგი. ხვალ უთუოდ გავიგებ მის ვინაობას. სიმაღლით საშუალო ტანისა. ცილინდრში მოუჩანს ოდნავ ქერა თმა. თვალები ზღვისფერი, დინჯი. მხიარული სახე. ის განათლებულ ქართველ კაცად მეჩვენა.

ვარდიც ისე თავაზიანად მომაწოდა, როგორც ზრდილ ადამიანს შეშვენის.

ვინ უნდა იყოს ეს კაცი?

ჩქარა გავშორდი მოედანს. სასოებით მიმაქვს ნაჩუქარი ვარდი. მგონია, ყველანი ფანჯრიდან მე და ჩემს ვარდს გვიცქერიან. რა ლამაზი ვარდის შტოა: სწორი შეფოთლილი ტოტი, მწვანეში ჩამჯდარი ერთი ვარდი. რა ლამაზია... და მე უნებლიეთ ვღიღინებ: „საყვარელი ვარდის შტო ხარ, მებრალები მარტო რომ ხარ!..“

იმ დღეს შინიდან აღარ გავსულვარ.

არ მინდოდა მეორედ შეხვედრა იმ კაცთან. ვფიქრობდი: ოცნებად დარჩეს ვარდი უცნობ ქალიშვილთან. მაგრამ, იქნებ მასაც უნდა ჩემი გაცნობა? უფრო კარგი.

ვარდი ლარნაკში ჩავდე, თავთან დავიდგი და მივწექი. ვფიქრობ: ნეტავ, ერთხელ კიდევ შეეხვდე იმ უცნობს... ორი დღის შემდეგ გავიგე: ის კაცი, რომელიც ასეთი ფაქიზი სახით მეჩვენა, თურმე თედო სახოკია იყო.

ახალგაზრდა თედო სახოკია, ევროპული განათლებით სამშობლოში დაბრუნებული, საქართველოს ყოველ კუთხეს ათვალიერებდა. ეცნობოდა ხალხის ყოფაცხოვრებას და აგროვებდა სიტყვიერ მასალას. თედოს დიდი და ხანგრძლივი შრომა მიუძღვის მისი „ხატოვანი სიტყვების“ შეგროვებისათვის.

ახ, რატომ არ ვიცოდი თუ ის თედო სახოკია იყო? ვეტყოდი: მისი „ქათინაური“ მე უკვე ვიცი. მისი თარგმნილი წიგნიც წაკითხული მაქვს.

ვნანობდი დიდხანს და არ ვიცოდი თუ ოდესმე შევხვდებოდი თედოს და ასე მახლობელი მეგობრები გავხდებოდით.

1919 წელს ერთ-ერთ რედაქციაში გავიცანი თბილისში. ახლაც ისევ-ისე განათლებულ ქართველ კაცად და სპეტაკ ადამიანად მეჩვენა. შემდეგ მრავალი წლის მანძილზე მეგობრულად ვხვდებოდით მე და თედო ერთმანეთს. არა ერთხელ მომიგონებია მისთვის ოზურგეთის მოედანი და ვარდის შტო... თედო ყოველთვის სიამოვნებით იღიმებოდა ამ მოგონებაზე.

გავიდა სამოცი წელი მას შემდეგ და ის ვარდი ისევ უჭკ-

ნობია ჩემს გულში, როგორც სილამაზისა და სისპეტაკის სიმ-ბოლო.

ჰოდა ამ სილამაზემ და სისპეტაკემ მიმიყვანა ოზურგეთის მოედანზე თედოს შეხვედრის მეორე დღეს ახლად გაცნობილ თეატრალურ ახალგაზრდებთან. ხალისით და სიხარულით შევუდექით მუშაობას.

პირველი წარმოდგენის რეპეტიციები ექიმ ბესარიონ კალანდაძის ოჯახში ჩავატარეთ, რადგან ბებურიშვილი სტუმრად მასთან იყო ჩამოსული. მასპინძელი დიდი თანაგრძნობით გვეპყრობოდა. რეპეტიციების შემდეგ გვიმასპინძლდებოდა კიდეც. სულ მალე მოვამზადეთ ცაგარელის კომედია „ბაიყუში". წარმოდგენა დავდგით ქალთა სასწავლებელში, სადაც ჯერ კიდევ პატარა, სკოლის მერხზე ვიჯექი. ახლა იმ მერხებიდან საზოგადოება ტაშით გვხვდებოდა. მართლაც ბებურიშვილმა თავისი მოხდენილი თამაშით ბევრი აცინა ხალხი. ამის შემდეგ ეს ნიჭიერი ახალგაზრდა დაიღუპა გიმნაზიის პანსიონის შეზღუდული ცხოვრებისა და წესების წყალობით.

თეატრისათვის შენობა არა გვქონდა. ხან სად ვმართავდით წარმოდგენებს და ხან სად. მეორე წარმოდგენისათვის სამხედროების კლუბი ვითხოვეთ. დარბაზი პატარა იყო და სცენაც პაწაწინა. საღამოზე სიმონ გუგუნავა დაგვესწრო. თეთრწვერა მოხუცი პარტერში იჯდა და ღიმილით შემოგვცქეროდა ახალგაზრდებს — ჯერ კიდევ ბავშვებს. მე ეს მახარებდა და მაშინებდა კიდეც. ვაითუ ჩემი თამაში არ მოეწონოს-მეთქი, ვფიქრობდი, ჩემი თვალები პარტერში სხვას არავის აღარ ხედავდა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ გუგუნავას შვილები დავითი და გრიგოლი მოვიდნენ ჩემთან და მთხოვეს, ვალერიან გუნიას პიესა—„და-ძმაში" შემესრულებინა მარინეს როლი. მარინეს როლისათვის პატარა ვიყავი. ბევრი ყოყმანის შემდეგ მაინც დამიყოლიეს. ამისათვის ლანჩხუთში წასასვლელად მოვემზადეთ. „და-ძმა" ლანჩხუთში უნდა დაგვედგა. საღამო ღარიბი სტუდენტის გრიგოლ მახარაძის სასარგებლოდ იმართებოდა. დავით გუგუნავა თავისი გარეგნობით ნამდვილი ოტია ჯოლიას ტიპი იყო. მისი ძმა გრიგოლი ნამდვილი გაიოზ ფაღავა. ეს ორი ძმა ისე ჰგავდა ამ ორ გმირს, რომ მათთვის გრიმიც კი არ იყო საჭირო. ლან-

ჩხუთის სკოლის დარბაზი ხალხით აივსო. მაგრამ ისეთი მიმონგრეული სცენა იყო, რომ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ყველაფერს ბრახუნი გაჰქონდა. ამ წარმოდგენის დასასრულს ერთი მეტად კურიოზული შემთხვევა მოხდა. პიესის ბოლოს ოტია ჰკლავს მარინეს. სათეატრო ხმლის მაგიერ გუგუნავას ნამდვილი კრიალა მახვილი ერტყა წელზე, რომელსაც ცხოვრებაშიც ატარებდა. ფარდის დახურვის წინ ხმალი ჩემთვის უნდა დაეკრა. რაღაც განგებით მე მოვასწარი იატაკზე დავარდნა. უკან გაბრუნებული ხმალი თვითონ მას ლოყაზე მოხვდა. მერე მთელ მის სიცოცხლეში აჩნდა ეს ჭრილობა. ამის შესახებ გაზ. „ცნობის ფურცელშიც" კი დაწერეს: საშიშია, ამ თეატრალურმა ახალგაზრდობამ სცენაზე ერთმანეთი არ დახოცოსო.

მეორე დღეს ოზურგეთში დავბრუნდი. სემინარიელ გერასიმეს ჩემს დაბადების დღეს ჩემთვის საჩუქრად ალბომი მოეტანა. შიგ ლექსი ჩაეწერა: „ცხოვრებაში გმირი იყავ, როგორც იყო ჟანა დ'არკი. ქველმოქმედებით გაქებდნენ, არვინ გეყავდეს შესაფარდი!.." იმ ლექსიდან ეს ტაეპი ჩამრჩა გულში. მრავალი წლის განმავლობაში იატაკქვეშ მუშაობის დროს არასოდეს უკან არ დამიხევია. „ცხოვრებაში გმირი იყავ!" ეს სიტყვა მუდამ გზას მინათებდა, მივყავდი.

ზაფხულის ბოლოს სტუდენტები პეტერბურგს გაემგზავრნენ. მაინც საკმარისად დავრჩით ახალგაზრდები ადგილზე. ალიოშა წუწუნავა ჩვენთან დარჩა. შევემზადეთ ახალი წარმოდგენისათვის. შესაფერისი პიესა ვერ ვიშოვეთ. გადავწყვიტეთ დაგვედგა უფასო საღამო და ჩამოსახლებული გლეხებისათვის შესაფერისი წარმოდგენა გვეჩვენებინა. არ ვიცი, როგორ გავბედე, ავიღე ნინოშვილის „გოგია უიშვილი" და პიესად გადავაკეთე. ალიოშას მოეწონა. იმ საღამოს ალიოშა რეჟისორობდა. ალიოშამ თავის მხრივ რაღაც ვოდევილი დაუმატა. არ მახსოვს, რა პიესა იყო. როცა ჩვენ გოგია უიშვილი დავდგით, წუწუნავა ახალგაზრდა იყო. ცოცხალი, გონიერი, ამავე დროს თავშეკავებული. დიდ ენერგიას იჩენდა თეატრის საქმისადმი. ჩვენს როლებს ჯერ თვითონ გაითამაშებდა, მერე ჩვენ მიგვითითებდა ნაკლზე. სცენას საუკეთესოდ და მოხერხებულად მოაწყობდა. ამხანაგების გამტანი და

კარვი სამეგობრო კაცი იყო. იმ უკარფანჯრო სახლში მთელი დღე იმუშავა. სჭედდა ფიცრებს და ჰკიდებდა ნოხებს. ამ დაუბეჭდავი პიესის დადგმის ნება არა გვქონდა, მაგრამ ამას არ დავეძებდით.

მზადა ვართ... ნებართვას არ ვეძებთ, ან ვინ მოგვცემს დაუბეჭდავი პიესის დადგმის ნებას? ეს ისე, ფარულად უნდა ჩავატაროთ. ნატანების ქუჩაზე არც ერთი პოლიციელი არა ცხოვრობდა. ვნახეთ. ერთი ახლად აშენებული ოდა, ფარღალალა, უკარფანჯრო. ოდა აშენების პროცესში იყო. დაგვეთანხმა პატრონი და გვათხოვა დარბაზი. პიესის დადგმის ნებართვა თუ არა გვქონდა, არავინ იცოდა. დავტრიალდით, გადავზიდეთ მეზობლებისაგან ნოხები, ჭილობები, ტახტები, სკამები და მოვაწყეთ წარმოდგენა. ეს უფასო „თეატრი“ ჩამოსახლებული ღარიბი ხალხით აივსო. ეს ხალხი პირველად ხედავდა თეატრს და „გოგია უიშვილის“ ცეცხლი იმათაც მოეკიდა. ხალხმა ყვავილებით და პატივისცემით აგვავსო. წარმატებით დავამთავრეთ წარმოდგენა. მაყურებელნი დაიშალნენ. დავიწყეთ ნივთების პატრონებთან მიტანა. ნივთების გადაზიდვაში დაგვათენდა. ვხედავთ, ქალაქის ბოქაული — ჟიორგი ნაკაშიძე პოლიციელების თანხლებით დაგვადგა თავს. დაიწყო ყვირილი:

— ამას რას ჩადიხართ!.. ვინ მოგცათ ამის ნება!.. არამზადებო! როგორ გაბედეთ!.. ახლავე ციხეში ჩაგყრით! — ეს ბოქაული არც ისე ცუდი კაცი აღმოჩნდა. გამახსენდა: „გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი...“ მივუახლოვდი და თავაზიანად ვუთხარი: — ბატონო, თქვენ ხომ შარტო ბოქაული არ ბრძანდებით. თქვენ ქართველი კაცი ბრძანდებით... გამოიჩინეთ სულგრძელობა და გვაპატიეთ ახალგაზრდებს ეს ერთი შეცდომა. შემდეგ აღარ ჩავიდენთ ამის მსგავს რაიმეს.

ბოქაული გაბრუნდა. ჩემი სახლის წინ რომ ჩაიარა, მამაჩემი ჭიშკართან იდგა.

— ისმაილ მამულაიშვილო,—შესძახა ბოქაულმა, — შენ ჯოგოს ვერ მოუვლი, ასე რომ აგიშვია?!

ვაი ჩემს დღეს, როგორ მივიდე ახლა შინ?.. მუხლები მეკაკცება. ერთი ხელით ნივთებს მივათრევ, მეორე ხელით ყვა-

ვილებს. გადავყარო? არ მემეტება. ამხანაგები წავიდნენ. მივდივარ გაფითრებული, უძინარი, მშიერი. მამამ შორიდან დამინახა. მიბრუნდა და ბოსტანში შეიმალა. შევამჩნიე, არ უნდოდა ჩემი წყენა. მამა ყოველთვის ერიდებოდა ჩემს წყენას (ალბათ ასეა, დედით ობოლი შვილი ებრალება მამას). ახლა უფრო შემრცხვა, მომეხათრა მამის. ოდაში შევედი. დედინაცვალი გაკაპასებული დამხვდა. ვითომ არ მესმის, ყრუ ვარ, მუნჯი ვარ... ჩემს ოთახში შევედი. სანამდე ვიცხოვრო ასე? სიხარულით აღსავსე საღამოს შემდეგ ცრემლი მცვივა თვალთაგან.

* * *

დადგა 1899 წელი. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულია. მთელი ზამთარი დანაღვლიანებული ვიჯექი ბუხართან. ჩვიდმეტი წლისა ვარ. გული მღელვარედ მიცემს.

არა მაქვს პალტო, არა მაქვს კალოში. ცივა, ყინავს. ჩემი და-ძმანი თოვლ-ჭყაპში ამოგანგლული ფეხებით მოდიან სკოლიდან. ვფუსფუსებ, მინდა რამენაირად მოვეხმარო ოჯახს. მამაჩემს მოაქვს ჯირკვები, ბუხარში ყრის, მაგრამ მაინც ვერ ვთბებით. ჩემთან ხანდახან მასწავლებელი სილოვანი მოდის. მისგან გავიგე ამხანაგების ამბები. ზოგი წასულა ოზურგეთიდან. ჩამოვიდა ახალი მასწავლებელი — ავქსენტი მეგრელიძე, ის მომღერალია. „ნუ მოიწყენ, წრეს შევქმნით", — მაიმედებს სილოვან მასწავლებელი.

„ჩქარა წადი, გაგვშორდი, სუსხიანო ზამთარო, ამობრწყინდი, შზეო გაზაფხულისავ!.."

აპრილმა ამოანათა. აყვავილდა ტყემალი, ალუჩა, ატამი, ბალი და ალუბალი. ოდები და „ოდოხირები" ყვავილებში ჩაიმალა. ყვავილნარად იქცა პატარა ქალაქი. ჩემმა მეზობლებმა გახრეკილი ნაზამთრი პირუტყვი ზვანისაკენ გარეკეს. მეთოხე გლეხები ისევ გაუდგნენ ლაითურის გზას. აგრონომმა მიხამ აბრეშუმის ჭიის მური გამოიყვანა. ამ აპრილის სითბოში მეც მურივით გამოვედი შინიდან, ისევ შევხვდით ერთმანეთს ახალგაზრდები. სადაცაა მაისიც მოგვადგება კარზე. რამე უნდა გავაკეთოთ... მაგრამ პიესები არა გვაქვს.

ალიოშა წავიდა ოზურგეთიდან. სხვა ახალგაზრდები შემოსულან ჩვენს წრეში.

— ვინ გვიხელმძღვანელებს?

— ხელმძღვანელების მეტი რა ვართ,—წაიხუმრა ვიღაცამ.

— ეს აქვსენტი მეგრელიძე გახლავთ, — გამაცნო სილოვანმა, — სიმღერა-გალობის მასწავლებელი.

მეგრელიძე შესახედაობით განირჩეოდა უბრალოების მოყვარული ჩვენი წრის ახალგაზრდებისაგან: შავი მაუდის ფრაკი ეცვა, მუდამ გახამებული გულისპირით, საყელოთი და სამაჯურებით. შავი, ბაფთად შეკრული ჰალსტუხი ეკეთა, ზევით აჩეჩილი მუქი წაბლისფერი ხუჭუჭი თმა ჰქონდა, რაც ძალიან უხდებოდა. ჟილეტის ჯიბეში მოუშორებლად ატარებდა კამერტონს. რომ შეხედავდით, პორტრეტებში ნახული ევროპელი კომპოზიტორი მოგაგონდებოდათ.

უცხოსთან არა მჩვევოდა სითამამე და განმარტოებით ჩამოვჯექი. იმ დღის შეკრება ვიღაც ვაჭარ ჭინჭარაძის სახლში მოვაწყეთ. იქვე გავიცანი ჭინჭარაძის ტანმაღალი ვაჟი. ისიც თეატრში მუშაობისათვის ემზადებოდა. სადარბაზო ოთახის მოწყობილობის მიხედვით ჭინჭარაძის ოჯახი საშუალო შეძლებისა იყო. მეშჩანური იერი დაჰკრავდა ყველაფერს, რაც გვამცნობდა დიასახლისის უგემოვნებას. პირველ რიგში ნარდი და გიტარა მოგხვდებოდათ თვალში. ამხანად გურიაში გავრცელებული იყო გიტარა. ჩონგურის ჭაჭანება არსად იყო. იშვიათად ვინმეს თუ მოეპოვებოდა ძველისძველი ჩონგური, ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ „ბატონებიან“ ავადმყოფისათვის ემღერათ: „ბატონებო, მოუოხე!“.

სილოვანმა გიტარა შესთავაზა მეგრელიძეს და ყველამ ვთხოვეთ რამე ემღერა. მან ამ საღამოს პირველად მოგვასმენინა გიტარაზე სიმღერა — „ვერა, ბედო, ვერ მძლევ, იგრძენ, იწამე...“ სასიამოვნო და ძლიერი ბარიტონი ჰქონდა.

მომღერალი უცებ წამოდგა, გულის ჯიბიდან კამერტონი ამოიღო და ჩემს ყურთან მოიტანა.

— რომელი ხმაა?—მკითხა დაურიდებლად. გიტარის სიმზე ვუჩვენე რომელი ხმაც იყო. „მართალია, ლირიკული სოპრანოა...“ ეს სიტყვა პირველად გავიგონე. კამერტონიც პირ-

ველად ვნახე, მიუხედავად იმისა, რომ გიტარა მიყვარდა, მრავალ სიმღერასაც ვმღეროდი, არ ვიცოდი ეს მუსიკალური ტერმინი. იგი მეგრელიძისაგან გავიგე.

მეგრელიძემ გიტარა გადმომაწოდა და მოურიდებლად მითხრა:

— თუ შეიძლება იმღერეთ—„ტურფავ, ტურფავ!"

ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ,
მოაცურე ჩემსკენ ნავი,
ერთად დავსხდეთ და ვუყუროთ,
როგორ არხევს წყალს ნიავი...

ეს იყო ჰაინრიხ ჰაინეს ლექსი. ეს ლექსი იმ ხანებში ძალიან გავრცელებული იყო გურიაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი გაუძლო ამ ლექსმა გიტარაზე მომღერალ ხალხს და ისევ უჭკნობი დარჩა.

გამოირკვა, რომ ჩვენ პატარ-პატარა სიმღერებითაც შეგვეძლო ჩვენი სამოღვაწეო რეპერტუარის შექმნა.

ამხანაგებს ვთხოვე მდინარე სკურდიმის ნაპირის მოსახლე გლეხებისათვის ერთ კვირადღეს ლიტერატურული დილა მოგვეწყო. სოფლის გზაჯვარედინზე იდგა ერთი ძველი დუქანი, რომელსაც გზის პირას გრძელი ღია პარმაღი ჰქონდა. სილოვანი წინასწარ წავიდა და ის-პარმაღი სცენად მოაწყო. სოფელში კი ხმა გავრცელდა, ჯამბაზები მოდიანო.

მაისია, თბილი მზიანი დილა გათენდა. ამხანაგებმა თავი შევიყარეთ და ერთად გავეშურეთ იმ დუქნისაკენ. დიდი მანძილი გავიარეთ ფეხით. ექვსნი ვიყავით. მხოლოდ მე ვიყავი მათ შორის ქალი. მეგრელიძეს გიტარა მოაქვს. სკურდიმის ხიდზე გავედით, მამაჩემის ნამოსახლარ მამულს გვერდით ჩავუარეთ, ისევ დამეთალხა გული. დამინახეს ძველმა მეზობლებმა. ყველა მომესალმა, მეც გულთბილი სალამით ვუპასუხე. მასწავლებელმა, ჩვენი წრის ერთ-ერთმა წევრმა, ლადიკო ჭანტურიშვილმა მოკლე სიტყვით აუხსნა ხალხს მწერლობისა და ლიტერატურის მნიშვნელობა. ყველამ წავიკითხეთ ლექსები. მამია გურიელის „ადამიანი", ნ. ბარათაშვილის „მერანი", ნაწყვეტები ილია ჭავჭავაძის, ნინოშვილისა და სხვა ქართველი მწერლების მოთხრობებიდან. მე წავიკით-

ხე აკაკის „დედა“, მეგრელიძემ იმღერა სამი სიმღერა. ბოლოს ყველამ ერთად ვიმღერეთ „საიდუმლო ბარათო“ და ჩამოუშვით ფარდა.

ამ ხალხმა პირველად ნახა ლიტერატურული დილა. პირველად მოისმინა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სცენიდან მხატვრული ნაწარმოები. ხალხი არ იშლებოდა, გროვდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და შინ გვეპატიჟებოდნენ, მაგრამ ჩვენ მათი თხოვნის შესრულება არ შეგვეძლო, რადგან საჩქაროდ უნდა მივმალულიყავით. არც ახლა გვქონდა ნებართვა. აქაც უნებართვოდ მოვაწყეთ ეს ლიტერატურული დილა. გზაზე დამეწია მოხუცი ქალი ნანობა, ჩემი ძველი მეზობელი და ვაზის ფოთოლში შეხვეული ცხელი, ყველიანი მჭადი ჩამიდო ხელში—სავსე მთვარესავით მრგვალი, თან მომაძახა: „იხარე, შვილო, იხარე...“ მჭადი იქვე დავტეხე ექვს ნაწილად და ამხანაგებს გავუნაწილე.

* * *

განვიზრახეთ ზაფხულისათვის მოგვემზადებინა ა. ცაგარელის პიესა „ბაიყუში“. ეს წარმოდგენა ლანჩხუთში უნდა გაგვემართა. რეპეტიციებს ვატარებდით. ამ დროს ოზურგეთში პირველად ჩამოვიდა ქუთაისის დასი შალვა დადიანისა და ნუცა ჩხეიძის მეთაურობით. მათ დადგეს „თამარიანი“. ჩვენი წარმოდგენის რეპეტიციის დროს, ერთ დღეს, შალვა დადიანს ვთხოვეთ რეპეტიციაზე დაგვსწრებოდა. შალვა, მართლაც, მოვიდა თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, ლამაზი, ქართული თავადური იერით.

ისევ თალიკოს როლს ვასრულებდი. ისე შემრცხვა, რომ სიტყვის წარმოთქმის უნარი დავკარგე, როლიც დამავიწყდა.

— ქალიშვილო,—მეუბნება შალვა ალერსიანი ხმით, — თქვენ ბუნებით მხიარული ხართ, ცოცხალი და ცქრიალა, რატომ იბერებთ თავს?

შალვა დადიანი და ნუცა ჩხეიძე პირველად მაშინ გავიცანი. ზაფხული იყო, თბილოდა და ქუთაისის დასმა „როტონდაში“ ღია დარბაზში დადგა წარმოდგენა. ძლივს შეივსო „როტონდა“ მაყურებლებით.

ქუთაისის დასი შალე გაბრუნდა უკან, მათ მეორე წარმოდგენა აღარ დაუდგამთ. ჩვენი წარმოდგენაც ჩაიშალა. სულ მალე სამოსწავლო წელიც დამთავრდა და წრის წევრებიც დავიშალენით. იმ ზაფხულში ა. მეგრელიძეზე გავთხოვდი.

მშვიდობით, ოზურგეთო, ჩემო ლამაზო და საყვარელო ყვავილნარო, ჩემო მეგობრებო, კეთილშობილო ახალგაზრდებო... მშვიდობით, უწყინარო მამავ!.. დედის საფლავი ვინახულე და თვალცრემლიანი გამოვბრუნდი უკან. კართან ეტლი იდგა. ბავშვებს დავემშვიდობე. მეზობლები გზას მილოცავენ, ბედნიერებას მისურვებენ. მიჯქრის ეტლი. გავცილდი ნატანების ხიდს, ჩავუარე პატარა გურიანთას, უკან მოვიტოვე ბავშვობა და აწალგაზრდობა. მიმაქროლებს ეტლი ბედნიერსა და მხიარულს. გულში კი რაღაც მომტირის, ეს ჩემი მამის მიტოვებული ოჯახია. მამაჩემი ჭიშკართან იდგა მოღრუბლული. პატარა და-ძმანი ხელს მიქნევდნენ. ეტლი მიქრის. ყველაფერი, რაც მტანჯავდა და მახარებდა, თვალს მოეფარა. მაგრამ გულს რა დაემალება? ჩემი გული ზღვაა... ჩემს გულში რაც ჩასახულა, ვიდრე ცოცხალი ვარ, არ ამოიშლება.

* * *

1901 წელია. ქალაქ ფოთში ვარ. უკვე შვილი მყავს, პატარა გოგონა. მუდამ ხელში მიჭირავს. ასე მგონია, არც ერთ დედას ჩემსავით არ უყვარს შვილი. ვერც ერთი დედა ჩემსავით ვერ მოუვლის შვილს. ასე ვფიქრობ... ასე მეჩვენება... მეორე ოთახში ცხოვრობს ბავშვიანი ქალი. მთელი ღამე ტირის და ტირის მისი ბავშვი აკვანში. თვითონ კი სძინავს... ხვრინავს. არიან ასეთი დედებიც. თხელი კედელია ჩვენს შორის და ყველაფერი მესმის. ოჰ, როგორ მინდა კედელს ვკრა, ვუსაყვედურო ასეთ დედას. ჩემი ბავშვი აკვანში თავს რომ გაანძრევს, ისიც კი მაღვიძებს. ახლა დედა ვარ და დიასახლისი!

—

ბავშვი ძუძუს წოვს და თვალებში მომჩერებია. განუზომელია დედის სიყვარული. ჩემს პატარას ვეჩურჩულები: — სიყვარული-გზრდის, ჩემო ეოგონავ, სიყვარულია ადამიანის

ცხოვრების აზრი, ადამიანის სიხარულის და მოწყენის მიზეზი. დეე, სიყვარულმა ააყვაოს ჩემი სამშობლო! სიყვარულმა გაუხსნას ჩემს სამშობლოს ბრწყინვალე გზა მთელი ქვეყნის კიდით კიდემდე.

* * *

სექტემბრის ბოლოა. კვირა დღეა. ჩემი მეუღლე—ავქსენტი მეგრელიძე ფანჯრიდან იხედება.

— სტუმრები მოდიან!

ბავშვს საჩქაროდ ჩავაცვი და სტუმრებს შევეგებე.

— ეს მასწავლებელი ვანო ყანჩელია, ეს მისი მეუღლე ნინო!—ორი ახალგაზრდა თვითონ გამეცნო:

— თეოფილე გოგიტიძე გახლავართ.

— მე კი ალექსანდრე მგელაძე.

— ავქსენტი, ერთი ფრიად საჭირო საქმე გვაქვს თქვენთან,—დაიწყო ყანჩელმა,—არა, უფრო თქვენს მეუღლესთან.

— არა, ორივესთან, — შეუსწორა გოგიტიძემ. — ჩვენ გვინდა თეატრალური ძალები შევკრიბოთ. გადავწყვიტეთ მუშათა მუდმივი თეატრი დავაარსოთ.

— დიახ,—განაგრძო მგელაძემ,—ამ საქმის შესრულებას საკმაოდ დიდი დრო მოუნდება.

— ჩვენ გვინდა, — დაიწყო ისევ ყანჩელმა, — ახლავე დავდგათ რამე იაფფასიანი წარმოდგენა. ყაზბეგის „არსენა". გვინდა ვუჩვენოთ მუშებს. ვნახოთ, როგორ მივიზიდავთ მშრომელ ხალხს. გავიგეთ, თქვენი მეუღლისათვის უცხო არ არის თეატრი. ვთხოვთ, ითამაშოს ნინოს როლი.

მართლაც ჩამოვაყალიბეთ თეატრალური ახალგაზრდობის წრე. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე ფოთში მოღვაწეობდა, ქალაქის საბჭოში ჯერაც არ იყო დასმული საკითხი თეატრის აშენების შესახებ. აქვე მოღვაწეობდა იონა მეუნარგიაც, მაგრამ ფოთის ქალაქის საბჭოში იაკობ ფანცხავას მოსვლამდე ქალაქს თეატრი არ გააჩნდა. ბულვარის წინ, ორსართულიან კერძო სახლში ქალაქის კლუბად გამოყოფილი იყო ერთი დიდი ოთახი. ამ კლუბში მოწყობილი იყო პატარა სცენა, სადაც კრებებს მართავდნენ ჭიათურის მარგანეცის მწარმოებელნი. ხშირად ბანქოსაც თამა-

შობდნენ იქ. იშვიათად თუ ჩამოვიდოდა ქუთაისის დასი, დადგამდა რომელიმე უბრალო ვოდევილს და გაბრუნდებოდა უკან. კლუბს მუშები არ ეკარებოდნენ. სხვა საკრებულო არსად იყო. ძალიან იშვიათად იმართებოდა რაიმე საქველმოქმედო საღამო. საღამოებს დაბალი ფენის ხალხი არ ესწრებოდა. სწორედ ამ კლუბში დავდგით პირველი მუშათა წარმოდგენა „არსენა“.

დამარცხდა ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია. მე და ჩემს მეუღლეს ფოთში აღარ გვედგომებოდა. დროებით მაინც უნდა გავცლოდით აქაურობას, ვიდრე არ შენელდებოდა ჟანდარმერიის საშინელი რეპრესიები.

პორტში გაჩნდა რეაქციის შავბნელი ცეცხლი. სხვა გზა არ იყო. დავჯედეთ ბინის კარი და მე და ჩემი მეუღლე წავედით სოფელ ხრიალეთში, ახლანდელ შრომის თემში. ეს კი თურმე იმას ნიშნავდა, რომ ნაკლები ცეცხლიდან უფრო დიდ ცეცხლში გადავარდნილიყავი. ჩემს მეუღლეს დედა იქ ჰყავდა. იქ უნდა შეგვეფარებინა თავი. მოხერხებულ ადგილზე იყო სოფელი. ზღვის მხრიდან ტყეები და ყანები ეკვროდა. ადვილად შეიძლებოდა მიმალვა. ამავე დროს სახიფათო გზების გამო ქვედა გურიის ზოგიერთ სოფელში ვერ შედიოდნენ დამსჯელი ჯარის ნაწილები. ჩვენთან ერთად მოდიოდა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი პროკოფი კილურაძე. ჩვენ პორტის მუშათა ორგანიზაციის დავალებით წავიღეთ სოფელში ხელსტამბა. კილურაძემ იცოდა სტამბის აწყობა. ამიტომ წამოვიდა ჩვენთან. სტამბა ცხენზე ავკიდეთ და სხვა წვრილმანი ბარგიც. მიგვყავს ორი ბავშვი და მივალთ ასე ბედის ამარა. 1906 წლის სამი იანვარია. სადგური სუფსა უნდა გავიაროთ. ყოველ საათში მოგრიალებს თბილისიდან ჯარით და ზარბაზნებით სავსე მატარებლები. ისინი სადგურ ნატანებში უნდა ჩამოსხან. სუფსიდან ნატანები მეორე სადგურია. მშვიდობიანად გადავედით რკინიგზის ხიდზე და შევუდექით სოფლის აღმართს. დაღამდა. თოვს. თოვლი მუხლებამდე გვწვდება. ძლივს მივიკვლევთ გზას. ოღროჩოღრო ადგილებია. ვიფლობით თოვლში. ბავშვები მამაკაცებმა შეისვეს მხარზე, მე ცხენი მომყავს. ფეხებში სიცივე ჩამიდგა. ვფიქრობ: ოღონდ ბავშვები შინ ცოცხალი მივიყვანო, ჩემს

დედამთილს ჩავაბარო და სხვა არაფერი მინდა. ის მოუვლის, არას გაგვიჭირვებს. ყოჩაღი ქალია, იმის იმედით ვარ. დიდი გზა გვაქვს კიდევ გასავლელი, ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ სოფელს. ჩვენი სახლიდან მოჩანს სინათლე. ეს ისეთი სიხარულია, როგორც განწირული ხომალდისათვის შუქურას გამოჩენა.

სოფელში სიწყნარეა. ზედა გურიას ცეცხლი ეკიდება. საღგურ ნატანებიდან მიდის და მიდის ჯარი ოზურგეთისაკენ გზაზე არ ინდობენ არაფერს. ალბათ, გაზაფხულზე ჩვენს სოფელსაც ეწვევიან კაზაკები.

ასეთ მღელვარებაში დამთავრდა სუსხიანი და სისხლიანი ზამთარი. ჩვენი სოფელი გადარჩა გადაწვას.

ფოთიდან გვწერენ: „გამოგვიგზავნეთ პროკლამაციები, რომ ხალხს რაიმე სანუგეშო ვუთხრათ". დავჯექით, შევადგინეთ ტექსტი: „გამხნევდით, ძმებო და დებო, ნუ დავეცემით... გულს ნუ გაიტეხთ, ეს ყველაფერი დროებითია... წარმავალია... ჩვენ გავიმარჯვებთ!"

საღამო ჩამოიბინდა. ფანჯრებზე სქელი ფარდები ჩამოვუშვით. შევუდექით შრიფტების აწყობას– და ბეჭდვას. ნაბეჭდ ფურცლებს იატაკზე ვყრით, რომ ჩქარა გაშრეს. ოთახი ანაბეჭდით აივსო, კარ-ფანჯარა დახურულია. ცხელა. მამაკაცებმა შარვალი გაიხადეს და თეთრეულის ამარა მუშაობენ. ჩემი დედამთილი გარს უვლის ეზოს და გზას გაჰყურებს მთელი ღამე. სადგური სუფსიდან მომავალი შარაგზა ჩვენს ჭიშკართან გავლით მიდის მერიაში. განთიადი ახლოვდება და უნებლიეთ თავს ვდებთ ბალიშზე. თურმე დაღლილებს, დაგვძინებია. უკანა კარიდან ჩემი მული ლიზა მეგრელიძე-მეავანაძისა შემოვარდა გაწეწილი. „თავს უშველეთ, კაზაკები მოღიან სუფსის გზიდან. ზარბაზნები მოაქვთ". მამაკაცები ლოგანიდან წამოვარდნენ და ტყისკენ გავარდნენ.

ფიქრის დრო აღარ იყო. ყუთში ჩავყარეთ შრიფტები და ანაბეჭდი ფურცლები, ყანაში გავიტანეთ და ბუჩქებში გადავაგდეთ ყუთებით. მძინარე ორი ბავშვი პირდაპირ მცხოვრებ მღვდლისას გადავიყვანე. შინ მოვბრუნდი. ამოწვერილი შუბ ფანჯრებს მოადგა. ფარდის ქვევიდან გავიჭვრიტე. ჭიშკართან კაზაკები შეგროვილან. ცხენები მესერზე მიუბამთ.

ნაწილი ეზოში შემოსულა. მათი წინამძღოლი დიმიტრი (დიტია) მგელაძე წინ წავიდა. ჭიშკარი ოდიდან კარგა მოშორებით გვაქვს. გავიხედე გზის სიღრმეში, რას ვხედავ, რაღაც უზარმაზარი ლულააშვერილი მოდის სუფსის მხრიდან. ვფიქრობ, ნეტავ მღვდლისას არ მივიდნენ. ბავშვების დარდი მკლავს... დედამთილი მეუბნება: „გარეთ არ გახვიდე! ერთი კაზაკი მოდის ჩვენსკენ". ჩემმა დედამთილმა კარი გააღო და მხიარულად დაუქნია თავი, „მობრძანდი!" მიაძახა მხიარულად.

— კალო!—ეუბნება კაზაკი ჩემს დედამთილს,—დაი ცკალი! „ალბათ დიტია მგელაძემ ასწავლა ასეთი ქართული", გაშიელვა გულში და კინაღამ გამეცინა. აი, ის რაღაც ვეებერთელა მოადგა ჩვენს ჭიშკარს. თურმე ეს „საშინელება" კაზაკების საგზაო სამზარეულო ყოფილა. მგელაძე სოფლების შესაშინებლად დაატარებდა კაზაკებს. საწყალ სოფლელებს სამზარეულო ზარბაზანი ეგონათ. ახლა ვეღარ მოვითმინე სიცილი. მადლობა ღმერთს, წყალი სდომებიათ, მეტი არაფერი—ძლივს ამოისუნთქა ჩემმა დედამთილმა და გულშემოყრილი ჩამოჯდა ოდის კიბეზე.

გადავრჩით ხიფათს.

დაბრუნდნენ გაქცეულები. ორმა მოწინავე მეზობელმა იცოდა ხელტამბა გვქონდა შინ და პროკლამაციებს ვბეჭდავდით. ესენი იყვნენ ვასილ ზაპერგოვი და ყარამან ჩხაიძე. მოვიდნენ აღშფოთებული და მოითხოვეს ეს „საეშმაკო" სტამბა გაგვეტანა სახლიდან. მეზობლები მართალი იყვნენ. შეიძლება ჩვენს სტამბას სოფელი დაეღუპა და ჩვენი ოჯახიც.

დაჭმუჭნილი პროკლამაციები გავასწორეთ. დავალაგეთ. ვინ გადაიტანს ახლა ამ „საფრთხობელებს" ფოთში? მალთაყვაში მესაზღვრე რუსები დგანან. ბორანზე გამსვლელებს ჩხრეკენ. კიდევ ვღებულობთ ფოთიდან წერილს: „ჩქარა გამოგვიგზავნეთ ის, რაც გამოსაგზავნია".

—არა, თქვენ ვერ წაიღებთ!—გადაჭრით ვუთხარი ჩემს მეუღლეს და ჩევს სტუმარს.—კაცებს გაუშინჯავად არ გაუშვებენ ბორანზე.

— ჩვენ წავიღოთ!—ჩამიკრა თვალი ჩემმა მულმა ლისა მეგრელიძე-მეავანაძისამ.

— რა უნდა ამის ბორანზე გადატანას!—წამოვიძახე მე,— ჩვენ ქალები წავიღებთ.

ჩემი მული ვაჟკაცური ქალი იყო. პროკლამაციები ტანზე შემოვიკარი. ამაზონკა ჩავიცვი და ცხენზე შევჯექი. თავზე ქუდი, ხელთათმანი და ქოლგა... ჩემი მული უნაგირიან ცხენზე შეჯდა, უკან ხურჯინი შემოიკრა. ხურჯინი სავსეა მჭადით, ხაჭაპურებით, გოჭის ხორცით, შემწვარი ქათმებით. არც ჩურჩხელა და თხილი აკლია ხურჯინს. თანაც პატარა ბოთლით ჭაჭის არაყი.

ყველაფერი ეს მესაზღვრეების ყურადღებისათვის მოაქვს ჩემს მულს. ვითომ ქორწილში მივდივართ. მოხდენილად ვარ გამოწყობილი ძველი თავადის ქალივით. ვინ დაეჭვდება ჩემზე? გავედით ეზოდან. ჩემი მეუღლე ღელავდა.

— ნუ გეშინიათ, საღამოს აქ ვიქნებით.

წინ მე მივდივარ, მივაჭენებ ცხენს. უკან ჩემი მული მომდევს უნაგირზე გადამჯდარი, ხურჯინით, აი, მალთაყვა. მივადექით ბორანს. არ მინდა ჩამოვხტე ცხენიდან. ჩემი მული ჩამოქვეითდა. ჩემს ცხენს სადავეში ხელი მოჰკიდა და ნაპირიდან ავედით ბორანზე. დაიძრა ბორანი. გაღმა ნაპირზე ჩამოდგნენ მესაზღვრე რუსები. ჩვენ ვიცინით და ვიცინით, მაგრამ ვაი ამ სიცილს... ჩემი მული მეუბნება: „შენ არ გაჩერდე! გადადი ნაპირზე და გააჭენე ცხენი. მე გავუსწორდები მათ!“ ფართო მდინარე კაპარჭინა უერთდება ზღვას მალთაყვაში. აჰა, გავედით გაღმა ნაპირზე.

„გამარჯვებათ!“ — ქართულად მივაძახე მცველებს, ცხენი არ შევაჩერე. ისინი ხურჯინიან ცხენს შემოეხვივნენ. გავიხედე უკან, ჩემი მული სიცილ-ჭირჭილით აწვდის ხაჭაპურებს რუსებს. ეგეც გოჭის ხორცი... ქათამი და... აი არყიანი ბოთლიც გადადის საწყალი ჯარისკაცების ხელში. უფრო ავაჩქარე ცხენი. ისევ მოვიხედე უკან. ჩემი მული უკვე შემჯდარა ცხენზე და მოაჭენებს. „მადლობა ღმერთს. გადავრჩით საფრთხეს!“ წამოიძახა ლისამ. ჩავედით ფოთში. პორტის მუშების რწმუნებულს — ათანასე ფაჩულიას — ჩავაბარეთ პროკლამაციები და გამარჯვებულნი დავბრუნდით შინ.

დადგა აპრილი. მზიანი დღეები დაიწყო. ისევ გაიშალა ყვავილები, ისევ გაიფურჩქნა ხეხილი, ისევ ამწვანდა ტყეები.

ჩემი გულიც სხვანაირად აჩქროლდა. სოფლის მეთაურები აღარ ჩანან. ხალხი უღიმღამოდ შეუდგა ოჯახის საქმეებს. ვხედავ, ღრმად მოხუცებული გაბილა ჩხაიძე დამჯდარა ფაცხის წინ, მზის ყურზე, კვეს-აბედი დაუჭერია ხელში და ცდილობს ცეცხლი გააჩინოს. ჩემს გულში მწუხარედ დაირხა გრძნობის სიმები... მინდა რაღაც ვთქვა, რაღაც ამოვიღო გულიდან და ვიწყებ ლექსს:

ჩამოჰკარ კვესი, ბაბუა, კიდევ,
მეც აბედივით დავიწვე იქნებ.
იქნებ ეს გული ცეცხლმონაკიდი
გადავატანო დღეებზე ფიქრებს.
არ მენანება, თუ შენს ახოში
გული ფერფლივით დაიფურცლება,
ოღონდ თუ შემდეგ ჩემს სამშობლოში
თავისუფლება გაიფურჩქნება.
ჩამოჰკარ კვესი და სიყრმე მიქე,
მეც აბედივით დავიწვე იქნებ...

სექტემბერი მოახლოვდა. ფოთის ქალაქის ადმინისტრაციას განცხადება გამოუკრავს: „ფოთიდან გასული მასწავლებლები სასწრაფოდ დაუბრუნდნენ სკოლას“. სკოლიდან სწერენ ჩემს მეუღლეს, ჩამოდით. თქვენს გარდა, ყველანი დაბრუნდნენო.

ხვალ პირველი სექტემბერია. მასწავლებელი სკოლაში უნდა იყოს. ვინც არ გამოცხადდება, მოხსნიან სამსახურიდან. მივდივართ ისევ ფოთისკენ. აღარ ისმის მცხოვრებლების ჩვეულებრივი მხიარული ჟრიამული. სახლის პატრონს ჩვენი ბინა გაუღია. ოთახების გაქირავებას აპირებდა. „მადლობა ღმერთს, კარგ დროს ჩამოხვედით“,—მოგვაძახა დიასახლისმა.

წინა დღეს წვიმა მოსულა.

ქალაქში ჭაობი დგას. ოხშივარი ასდის მიწას მხურვალე მზეზე. სუფთა ჰაერი არ იგრძნობა. (ასე იყო ძველად. ფოთის ღარიბთა უბნები ჭაობში იყო ჩაფლული. ახლა სულ სხვაა კოლხეთი. პალიასტომის ტბას რიონისკენ გაეხსნა კარი. ამოშრა ჭაობები და გალამაზდა ჩვენი მამული. ყველგან სიმწვანე ბიბინებს).

პორტის მოწინავე მუშები ფოთიდან გადაესახლებინათ. რიონის ხიდთან გულსაკლავად გამოიყურებოდა დამსჯელი

ექსპედიციის მიერ გადამწვარი სახლ-კარი. ბურუსში თვლემდა ქალაქი. ტაძრიდან ყოველდღე ისმოდა ზარების გუგუნი. ეკლესიაში გალობდნენ „ბოჟე ცარია ხრანი“-ს.

ვზივარ, შევცქერი გაპარტახებულ გარემოს. დავდევ ბავშვებს, ვაკეთებ საოჯახო საქმეს. სულ ეს არის ცხოვრება? ჩემს მეუღლესთან მოჰყავთ მშობლებს მოსამზადებლად მოწაფეები. მეუღლე ქალთა გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას და სიმღერა-გალობას. კარგი მასწავლებელი იყო, მის გაკვეთილზე ყოველთვის იგრძნობოდა მასწავლებლისადმი პატივისცემა.

რუსულ გიმნაზიაში 1905 წელს რევოლუციის შემდეგ შემოიღეს ქართული ენის სწავლება. პროგრამით გათვალისწინებული იყო. რუსული სიმღერები, მაგრამ მეგრელიძე ქართულ სიმღერებსაც ასწავლიდა ბავშვებს.

ავქსენტი მეგრელიძე ძალიან უყვარდათ გიმნაზიაში მოსწავლე გოგონებს. მეცადინეობის შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად მოჰყვებოდნენ და სახლამდე მოაცილებდნენ.

გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, საშუალო განათლება მიმეღო.. ვინ იცის ცხოვრებაში როდის რა დამჭირდება? ჯერ ცხოვრება არც კი დამეწყო რიგიანად. მაგრამ საღმრთო სჯულს ვეღარ ვისწავლი. ღმერთი ამოვარდნილია ჩემი გულიდან და გონებიდან. ტაძარში მხოლოდ იმიტომ მივდივარ, რომ ტკბილი გალობა მოვისმინო, ნაცნობები ვნახო.

ერთხელ, აღდგომა დღეს, ლეონიდ ეპისკოპოსს გადაეწყვიტა წირვის შემდეგ ყველა მასწავლებლის ოჯახს სწვეოდა.

— უთუოდ ჩვენთანაც მოვა,—მარიგებს მეუღლე,—როცა ჯვარს გადაგსახავს, ხელზე უნდა ეამბორო. სხვანაირად არ გაბედო!

როგორ ვწუხდი, სანამ ამ ცერემონიას მოვრჩებოდი. ძალიან მაინტერესებს ისტორია, რომლის ცოდნაც აუცილებელია ყოველი კულტურული ადამიანისათვის. უცხოეთის ლიტერატურა და დედამიწის გარშემო შემოვლა. მინდა გავეცნო მსოფლიოში მცხოვრები ხალხების ყოფა-ცხოვრებას. ის უკვე ნასწავლი მაქვს, რომ დედამიწა მზის სისტემაში შედის და გველეშაპის ზურგზე არა დგას, როგორც ეს დედაჩემს და

მამაჩემს ეგონათ. მიწა იძრა, გველეშაპი გაინძრაო,—იტყოდნენ ჩვენი წინაპრები.

— მერე მცირეწლოვან მოწაფეებთან დაჯდები და ისწავლი, არ შეგრცხვება?..—მეკითხება ჩემი მეუღლე,—ჩქარა ჩვენი ბავშვები წავლენ სკოლაში,—დაუმატა ესეც `სიცილით,—ბარემ მათთან ერთად ისწავლე!

— შეიძლება ასეც მოხდეს. მერე რა არის აქ სათაკილო?

ამრიგად, ცხრაას ექვსი წლის შემოდგომიდან დავიწყე მეცადინეობა საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით და ვიმეცადინე 1910 წლის ბოლომდე. ცხრაას ხუთი წლის შემდეგ და უფრო ადრეც ვწერდი ლექსებს, მაგრამ დასაბეჭდად არსად ვგზავნიდი. ამ ლექსებიდან რამდენიმე უფრო მოგვიანებით დავბეჭდე—1914 წელს გაზ. „თემში“. 1910 წლის არდადეგების დროს სააგარაკოდ გურიაში, ვაკიჯვარში წავედი, სადაც მშვენიერი ბუნებაა და ყოველი მხრიდან ნაკადულები მოლიკლიკებენ. ბავშვების ალერსმა კვლავ დამიგროვა გულში პოეზიის სითბო. დავიწყე საბავშვო ლექსების წერა. ოჯახურ საქმიანობაში გართული, ბავშვების ალერსში ლექსებს ადვილად ვიგონებდი. როცა გონებაში დაიწერებოდა, მაშინვე ჩავწერდი რვეულში და დავმალავდი, რომ არავის ენახა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, აკაკის იუბილემ ახალი სიხარული და აზრთა ცხოველმყოფელობა შემოიტანა ფოთის ცხოვრებაში.

აქ არ შემიძლია არ მოვიგონო აკაკის ქუთაისი.

შემოღამება გორაზე.

ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე მოსეირნე წყვილთა სიცილ-კისკისი.

მთვარე ფოთლებში...

მზიანი დილა...

ქალაქის ბულვარი, ბუმბერაზი ხეები, ვარდების ხეივნები...

თეთრი ხიდი და რიონის უწყვეტი შხრიალი... მივარდნილ აივანზე ვიღაცის ტკბილი ღიღინი:

„მშვენიერო ქუთაისო, სავარდო და სამაისო...“

ასეთი იყო მაისის ქუთაისი, აქ მღეროდნენ „ციცინათე-

ლას“ და „სულიკოს“, „მხოლოდ შენ ერთს“ და „ოხ, მარგალიტას“.

ქუთაისში იქმნებოდა მრავალი საგიტარო სიმღერა. აქ შემოიკრა პირველად ჰაინეს ლექსი „ტურფავ, ტურფავ“.

ქუთაისში მოისმენდით წმინდა ქართულ სიტყვას, თავისი სისადავითა და მრავალფეროვნებით.

ქუთაისი არ იყო მდიდარი ქალაქი.

ბულვარის გვერდით, ეგრეთწოდებულ „გოგია ჩხაიძის“ სასტუმროში გროვდებოდნენ გურია-სამეგრელოსა და იმერეთის არაფრის მაქნისი, გაფუქსავატებული თავადები. ეს თავადები თავიანთი გარეგნული მოკაზმულობით რაინდულ ერს ჰფენდნენ ქუთაისს, რაც ძველ საუკუნოებს გვაგონებდა.

უცხო სტუმრები იხიბლებოდნენ ქუთაისელი ქალების ნატიფი სილამაზით.

ახალგაზრდებს თავბრუს ახვევდა საშა ჩიქოვანის „უზუნდარა“.

ქუთაისში ცხოვრობდა განთქმული ლამაზი ქალი მერი შერვაშიძე.

აქ დაიწერა გალაკტიონ ტაბიძის შედევრები: „მერი“ და „მე და ღამე“.

აქ ვნახე პირველად ლადო მესხიშვილი „მეფე ლირში“ და „ჰამლეტში“, და სამუდამოდ დამრჩა გულში მისი განუმეორებელი სახე. ქუთაისში აღიზარდა იმ დროს ბრწყინვალე მსახიობი ნინო ჩხეიძე და ხელოვნების მრავალი სხვა მუშაკი.

ქუთაისში მოღვაწეობდნენ საუკეთესო პედაგოგები. აქაურ საშუალო სასწავლებლებში აღიზარდა ბევრი ცნობილი რევოლუციონერი.

ქუთაისში ცხოვრობდნენ გამოჩენილი მწერლები და პოეტები გ. აბაშიძე, გ. ვოლსკი, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), კიტა აბაშიძე და სხვები.

აკაკის უყვარდა ქუთაისი და მის სამაისო ქუთაისსაც უყვარდა აკაკი. ბევრი პატრვისმცემელი მასპინძელი ჰყავდა მგოსანს აქ. საჩხერედან ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში.

გაზაფხულის მზიან დღეებში აკაკი თავისი ხვეული ჭაღა-

რით ამშვენებდა ქუთაისის ბულვარს. აკაკის აჩემებით უყვარდა ბულვარში ერთი ადგილი: ყოველთვის ნახავდით რიონის მხარეს, გრძელ მერხზე ჩამომჯდარს და ზურგით მიყრდნობილს. დაფიქრებული გასცქეროდა რიონს თეთრი ხიდისკენ, თავაწეული, ამაყი, ნაღვლიანი და მომღიმარი. იქვე, რიონზე, იყო სუფთა საჩაიე. დილით, ათ საათზე იქ მიირთმევდა ჩაის. თერთმეტ საათზე გამოემართებოდა დინჯი ნაბიჯით ბულვარში.

ჩემი ქალიშვილობის უკანასკნელ გაზაფხულზე მომიხდა ქუთაისში ცხოვრება. ძალიან მიყვარდა აკაკი. სულ ზეპირად ვიცოდი მისი ლექსები, რაც დღემდე შერჩა ჩემს მეხსიერებას. ყოველ თერთმეტ საათზე მეც გავჩნდებოდი ბულვარში. ამოვეფარებოდი დიდ ხეს და ჩუმად ვუცქეროდი მგოსნის გასხივოსნებულ თვალებს, რომელშიაც თითქოს შორიდან ვკითხულობდი:

დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო...

როგორ მინდოდა მივსულიყავი და მოკრძალებით შევხებოდი მის მადლიან ჭაღარას, მაგრამ, ჩემი მორცხვი ხასიათის წყალობით, ბევრი რამ დამრჩა ნატვრად ცხოვრებაში.

აკაკის გვერდით ხშირად, თითქმის მუდამ, იჯდა მაიაშვილი.

გავიდა ხანი, ქალაქ ფოთში აკაკის იუბილე გადაუხადეს. სადგურიდან ზღვამდე ქალაქი ცოცხალი ყვავილებით იყო მორთული. ყველა მონაწილეობას ვიღებდით აკაკის იუბილეს მოწყობაში. მე იმოდენა გოგონა მყავდა მაშინ, რომ აკაკის ლექსი წაიკითხა სცენაზე.

ჩამოდგა ქუთაისის მატარებელი. გამოჩნდა იუბილარი თუ არა, გაისმა ხალხში ტაშის გრიალი და ხმამაღალი შეძახილები. სადგურიდან სასტუმრომდე, (მისთვის სასტუმრო ნიკოლაძის კოშკში იყო მოწყობილი), აკაკის ეტლი მოდიოდა ნელა. მხარდამხარ მიყვებოდნენ მომღერალი ცხენოსნები. მღეროდნენ „მაყრულს“. უკან მიჰყვებოდა რამდენიმე ეტლი, რომლებშიაც მგოსნის პატივისმცემელნი ვისხედით. გზადაგზა ხალხი ტაშითა და „ვაშას“ ძახილით ევებებოდა. დარბაისლური ღიმილითა და თავმდაბალი მადლობით ესალმებოდა

ხალხს მგოსანი. იუბილეს მეორე დღეს ნავსადგურის მუშებმა მიიწვიეს აკაკი სადილად ზღვისპირა სასადილოში. ამ შეხვედრის დროს, გულითადი მადლობა გადაუხადეს მგოსანს იმ სიყვარულისა და მზრუნველობისათვის, რომელსაც იჩენდა ხალხისადმი — დემოკრატიისადმი. აკაკი დიდათ ნასიამოვნები დარჩა მუშებთან შეხვედრით.

აკაკის ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს, ავადმყოფი მგოსნის დამხმარე კომიტეტი აცხადებდა გაზეთებში: ვინაც შეგიძლიათ და რითაც, დაეხმარეთ ავადმყოფ მგოსანს, უსახსრობის გამო. გაჭირვებას განიცდისო.

ზაფხული იყო და სოფელ ხრიალეთში ვიყავი. გადავწყვიტე სახელდახელოდ მომეწყო აკაკის საღამო. ნებართვა ძნელი ასაღები იყო. მხოლოდ მსახიობებს ჰქონდათ უფლება წარმოდგენის დადგმისა. გამოვიწვიე ფოთიდან სცენისმოყვარეთა თეატრის ხელმძღვანელი მსახიობი სტეფანე ხარაზიშვილი და მისი სახელით დავდგით პიესა „არსენა“, ხარაზიშვილმა საგულდაგულოდ მოამზადა პიესა. მიქელ-გაბრიელის (ახლა შრომის თემის) მასწავლებლებმა რომ გაიგეს, ნამდვილად აკაკისთვის იყო საღამოს შემოსავალი განკუთვნილი, ერთსულოვნად ხელი შემიწყეს, პიესაში მონაწილეობა მიიღეს. სცენის მოწყობაში მეხმარებოდნენ სოფლის მოწინავე გლეხები.

საღამოზე აკაკის მოღვაწეობის შესახებ მე გავაკეთე მოხსენება. პიესაშიც ნინოს როლი მე ვითამაშე. ბილეთები მცირე ფასში გავყიდეთ, რომ ხალხი მოგვეზიდა. მართლაც, ხალხი მახლობელ სოფლებიდან მოლოდინზე მეტი მოგროვდა. შემოსავალი დარჩა 127 მანეთი. აკაკის პატივისცემით ნასიამოვნები ხალხი მადლობით დაგვშორდა და მეც მშვიდათ ამოვისუნთქე, რომ ჩემი პატარა წვლილიც შევიდა ავადმყოფი მგოსნის დამხმარე ფონდში.

აღნიშნულ საღამოს დაესწრნენ მაშინ ყმაწვილები, ახლა ცნობილი მწერლები იონა ვაკელი და იაკინთე ლისაშვილი.

ეს საღამო იყო პირველი და უკანასკნელი გურიაში აკაკის საპატივსაცემოდ მოწყობილი, მგოსნის სიცოცხლეში.

რაჭა-ლეჩხუმის შემდეგ აკაკის ძალიან უნდოდა გურიაში

ემოგზაურა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ გურიაში ისევ მძვინვარებდა საზიზღარი რეპრესიები.

1912 წელია. ისევ ფოთში ვარ. ახლა შემიძლია ჩემი აზრი საზოგადოებას გავუზიარო და, თუ საჭირო იქნება, დავიცვა კიდეც.

ჩემი ბინის უკანა კარიდან ჩუმ-ჩუმად იწყეს პორტის მუშებმა სიარული. ამხანაგები გადასახლებიდან დაბრუნდნენ.

გამოცოცხლდა პორტის მუშების ორგანიზაცია. ქალაქს სიცოცხლე დაეტყო. ფოთში გამართულმა აკაკი წერეთლის იუბილემ ცხადჰყო, რომ ქალაქის მოსახლეობა სულით არ დაცემულა. არსდება საგანმანათლებლო წრეები, თეატრი და სხვა... მეც მათთან ვარ. გაზეთში წავიკითხე, რომ თბილისში დაარსდა „კავკასიელ ქალთა საზოგადოება". უცებ გულში ჩამეჭრა სურვილი ასეთივე საზოგადოება ფოთშიაც დამეარსებინა. გავემგზავრე თბილისში. მაშინ პირველად ვნახე ნინო ნაკაშიძე, მიუხედავად იმისა, რომ ცხრაას ათი წლიდან ჩვენ ერთმანეთთან მიწერ-მოწერა გვქონდა. ნინოს გაუხარდა ჩემი გაცნობა და მომიწონა განზრახვა. გამაცნო ქალთა საზოგადოების მუშაობა და ერთი ცალი დაბეჭდილი წესდებაც მაჩუქა. ილია ნაკაშიძე დამპირდა: ჩამოვიდოდა ფოთში და წაიკითხავდა ლექციებს ქალთა საკითხებზე. დავბრუნდი ფოთში, მოვიწვიე მასწავლებელი ქალები და გავაცანი ჩემი განზრახვა. ქალები აღფრთოვანებით შეხვდნენ ასეთ სასიქადულო საქმეს. ახლა საჭირო იყო გუბერნატორის ნებართვა. ამხანაგ ქალებთან წესდება დავამუშავე, თხოვნა დავწერე და გუბერნატორთან დასამტკიცებლად გავგზავნე. ერთი კვირის შემდეგ გამომეცხადა ჟანდარმი ანტიპოვი და გამომკითხა, თუ რა მიზანი ჰქონდა ქალთა საზოგადოებას, თუმცა ყველაფერი ეს წესდებაში მოხსენებული იყო. ჟანდარმი ანტიპოვი დავარწმუნე, რომ ეს მხოლოდ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება იქნებოდა.

როგორც იქნა, მივიღეთ დამტკიცებული წესდება. მოვიწვიე კრება. პირველ დღესვე შვიდასი ქალი ჩაეწერა. ესენი იყვნენ მასწავლებლები, მუშების ცოლები და სხვ. პირველ კრებაზე მოვიდა ორიოდე „ბობოლა" ქალიც. მათ გადახედეს

შდაბიო ქალებს, არ მოეწონათ, ცხვირი აბზიკეს და წავიდნენ.

ქალთა საზოგადოებამ თავმჯდომარედ მე ამირჩია. დავაარსე წესდებით გათვალისწინებული ორი სკოლა. ერთი საკვირაო—წერა-კითხვის უცოდინართათვის, მეორე — საღამოს კურსები — მცირეწლოვან ნოქრებისათვის. საკვირაო სკოლა მოვათავსეთ იმ სკოლის შენობაში, რომლის გამგეც იყო მასწავლებელი პეტრე ქუთათელაძე, საღამოს კურსები მოვათავსეთ ლიალინის ქუჩაზე ნინო პარკაიას რწმუნებულ სკოლის შენობაში.

საკვირაო სკოლაში თავისთავად გროვდებოდა ხალხი და სიამოვნებით სწავლობდნენ წერა-კითხვას, როგორც ქალები, ისევე მამაკაცები. მაგრამ მცირეწლოვანი ნოქრების გათავისუფლების საქმე სავაჭროების პატრონებისაგან ძალიან გაძნელდა. ამისათვის დიდი ბრძოლა დამჭირდა ქალაქის მმართველობაში. ნიკო ნიკოლაძესთანაც მომიხდა მისვლა. ვთხოვე დამხმარებოდა. როგორც იქნა, მოვიპოვე ამის უფლება. საღამოს ექვს საათზე ათავისუფლებდნენ მცირეწლოვან ნოქრებს. საჭირო გახდა ყოველ საღამოს სავაჭროების ჩამოვლა. ფოთში მაღაზიები ერთ მწკრივად იყო ჩამდგარი ბულვარიდან რიონის პირამდე. სხვა გამოსავალი არ იყო. ყოველ საღამოს ექვს საათზე დავიწყებდი რიონის პირიდან და ჩამოვყვებოდი ყველა მაღაზიის კარებს, გამოვიგდებდი წინ პატარა ბიჭებს, რომელნიც მთელი დღე იდგნენ მაღაზიის კართან და „მობრძანდი, მიბრძანდის“ უძახდნენ გამვლელებს. ცოტა არ იყოს, მერიდებოდნენ ვაჭრები და, როგორც კი დამინახავდნენ, მაშინვე უშვებდნენ ბავშვებს. ჩემს წინ მორბოდნენ პატარა ბიჭები ჟრიამულით. ეს ისე მახარებდა და მაღფრთოვანებდა, რომ სულ არ ვგრძნობდი დაღლას. მჯეროდა, კარგ საქმეს ვაკეთებდი. დაიზრდებოდნენ ეს ბავშვები და სასარგებლო ადამიანები გახდებოდნენ.

მასწავლებლები, რომლებიც შემოკრებილი იყვნენ ჩემს გარშემო (საშა ბებია, ნინო პარკაია, ქსენია თურქია, ნინო გოგავა, ნადია კასრაძე, პეტრე ქუთათელაძე და ალექსანდრე ცანავა), გულწრფელად მუშაობდნენ ბავშვებთან. არ ზოგავ-

დნენ ენერგიას ბავშვების საკეთილდღეოდ. ყველანი გრძნობ-დნენ, რომ კარგ საქმეს ემსახურებოდნენ.

ქალთა საზოგადოების სახელით გავხსენით იაფფასიანი სასადილო, რომლითაც მუშები და ხელმოკლე ინტელიგენ-ცია სარგებლობდა. იმ პატარა შემოსავლით ვათავისუფლებ-დით სწავლის გადასახადისაგან გიმნაზიის ორ ღარიბ მოწაფე ქალს.

წესდების ძალით ჩვენ საღამოებისა და წარმოდგენების მოწყობის უფლება გვქონდა. ამ შემოსავლიდან ვფარავდით ზოგიერთ სხვა ხარჯს. გადასახლებულ ამხანაგებსაც ვუწევ-დით მცირეოდენ დახმარებას. ვაწყობდით ლექციებს საგან-მანათლებლო თემებზე. ილია ნაკაშიძე ორჯერ ჩამოვიდა ფოთში და სრულიად უსასყიდლოდ ორჯერ წაიკითხა ლექცია ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე. ქუთაისიდან მოდიოდნენ იმ დროის საუკეთესო ლექტორები. კითხულობდნენ ლექცი-ებს უსასყიდლოდ, გზის ფულსაც კი არ იღებდნენ. ერთხელ პორტის მუშებმა მთხოვეს დამეწერა წერილი გაზეთში ფო-თის ქალაქის უმოქმედობის შესახებ. დავწერე და დავბეჭდე კიდეც „ნამცეცას“ ფსევდონიმით. აგრეთვე პალიასტომის ტბაზე მომუშავე მეთევზეებმა მთხოვეს დამებეჭდა გაზეთში წერილი მოიჯარადრეებთან შექმნილ უხეშ დამოკიდებულე-ბაზე. დავწერე და დავბეჭდე გაზეთში „დასელი ქა-ლის“ ფსევდონიმით. 1915 წელს დავწერე ოთხი დიდი წერილი მშრომელ ქალთა მდგომარეობის შესახებ დასავლეთ საქართველოში. წერილში მოვუწოდებდი ქალებს მხარი დაეჭირათ მუშათა ორგანიზაციისათვის, ვასაბუთებდი, რომ ამ გზით შეიძლებოდა ქალთა თავისუფლებისა და თანა-სწორობის მოპოვება... ეს წერილები დაიბეჭდა გაზ. „ახალ კვალში“.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ერთი წელიწადი კიდევ ვიმუშავე განათლების დარგში. პირველად მოვაწყვე საბავშ-ვო წარმოდგენა მსახიობ ხარაზიშვილის დახმარებით. ფოთის ქალაქის ცხოვრებაში ეს პირველი საბავშვო წარმოდგენა იყო. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ჩემი ორი ბავშვი. მსახიობმა სტეფანე ხარაზიშვილმა დიდი შრომა გასწია ბავშ-ვების მოსამზადებლად.

1918 წელს ზაფხულში გამოვეთხოვე ფოთს და ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახით თბილისში ჩამოვედი.

იმდენი ამბები გადამხდა თავს, მეგონა ცხოვრება დავამთავრე-მეთქი, მაგრამ სულ რაღაც ოცდათექვსმეტი წლისა ვიყავი. კიდევ უნდა ვიშრომო,—გადავწყვიტე და ახლა ახალი სურვილი დამებადა. უნივერსიტეტში უნდა შევდგა ფეხი. „ესღა გაკლია", მითხრა მეუღლემ და გაიცინა.

— რატომაც არა, რატომ არ უნდა ვისწავლო, დღეს თუ ხვალ მეტი მეცოდინება?—ასეთ აზრს ვადექი მუდამ და ვადგევარ დღემდეც. ყოველდღე შეიძლება ახალი რაიმე შეიძინოს ადამიანმა.

ვეწვიე ივანე ჯავახიშვილს, ვუცდი ხელსაყრელ მომენტს, როდესაც მარტო დარჩება კაბინეტში, რომ შევიდე მასთან. გული მიფანცქალებს. ვერ ვახერხებ, სად დავიწყო სათქმელი. პირველად ვხედავ ამ კაცს. ის მასწრებს და მეკითხება:

— რა გნებავთ?

— მინდა უნივერსიტეტში შემოვიდე ისტორიის ფაკულტეტზე, მაგრამ გიმნაზიის დამთავრების ატესტატი არა მაქვს. ზოგიერთი საგანი საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი, ზოგიერთზე კი მხოლოდ წარმოდგენა მაქვს.

ჯავახიშვილმა პირველად გაკვირვებით ამხედ-დამხედა, მერე დინჯად გამომკითხა ვინაობა. სიამოვნებით მისმენდა და იღიმებოდა. ახლაც აღბეჭდილია ჩემს ხსოვნაში მისი სათნო სახე.

— არა უშავს, თქვენისთანა დაგვიანებული სტუდენტი მე სხვაც მყავს. ნუ გეშინიათ, დაგეხმარებით, ყველაფერში ხელს შეგიწყობთ.

გახარებული გამოვედი კაბინეტიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ რვეულით და ფანქრით ხელში მივდივარ უნივერსიტეტისაკენ. მოკრძალებით შევდივარ აუდიტორიაში და უკანა მერხზე ვჯდები. ი. ჯავახიშვილის ლექციაა. ვუმზერ ლექტორის მშვიდ სახეს, ვისმენ მის წმინდა ქართულს და რაღაც შორეული სიამტკბილობით ივსება გული.

ივანე ჯავახიშვილის ყოველი სიტყვა გონების თვალით

იყო მიმოხილული, რაც თავისთავად ქმნიდა მსმენელში სიმ-
შვიდეს.

თვალწინ მეხატებოდა ჩემი ბავშვობა და ვფიქრობდი:
საიდან სად მოვედი...

ასე დამთავრდა ჩემი ცხოვრების პირველი ნახევარი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

ფანჯრები გავაღე 3
ეპიტაფია 7
დედის რძე 13
თბილისის ფსკერზე 17
განთიადის წინ 26
ცოლი 33
შვებულება . 44
შორეულ სადგურზე 52
დიახ, გიცანით 59
ერთის ამბავი 62
ახალი მემკვიდრე 71

მ ვ ო ბ ლ ი ო ს ი ც ი ს ქ ვ ე შ

ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

„ბედის წერილი“ 95
ჩხავერის ღვინო . 101
ჯაჯა 113
დიას ოცნება 116
მოედანი . 119
გვალვიანი წელიწადი . 124
ახმედ-აღას ყავახანა . . 129
ჩვენ ვხედავთ სიმართლეს 142
1901 წლის 31 დეკემბერი 146
ნამგალი . . 150
მეგობრული საუბარი 151
ერმილეს სიყვარული . 156
ლურჯი ხალათი . 158
თეატრი 164
სულის ჭაობში . 169
კომიტეტი 170
წითელი ცხვირსახოცი . 172
თავიდან მოგვწყდნენ . 174

ახალგაზრდა გურია . 175
მთვარე ცალი თვალით იცქირებოდა 177
ალიონის ვარსკვლავი კაშკაშებს 179
ფარდის იქით 181
ორი მაისის ღამე. 184
მამლები ყიოდნენ 194
გურიის ყვავილნარში 199
სიყვარულის ჰიმნი 205
მოიდანახე . 208
დია მამასთან . 219
მოულოდნელი ამბები 223
ზალპი . . 230
სიმთვრალეში წამოვროშე 232
ოთხმოცი წლის ბერიკაცი 234
ჭილყვავები 236
ერთი სცენისათვის 239
ვაშლნარი . . 243
მზადება კრიმ-გირეის შესახვედრად . 252
ორი კაფანდარა . 256
ცრემლები . 264
სამხედრო წესები . 269
ორი ღამის ქრონიკა . 273
სტაროსელსკი გურიაში 275
ეხ, ქალბატონო 286
ამნისტია . 288
ბეგის სასახლე 292
ჩამობნელდა . 296
ბაბუა ყაფლანი . 302
უვარგისი იარაღი . 310
დარბეული ოჯახი . 313
ოზურგეთი იწვოდა . 318
სამშობლოზე ფიქრი . 319
ზაზას საფლავზე . 320

ჩემი ცხოვრების დღიურები . 321

Г 2
899.962.1—3
Ф 478

რედაქტორი გრ. ჩიქოვანი

გამომც. რედაქტორი დ. კემულარია
მხატვარი შ. კუპრაშვილი
მხატვრ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
კორექტორი გ. თათეიშვილი

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IV—64 წ.
ანაწყობის ზომა 5,5X9,25
ქაღალდის ზომა 84X1081/32
სასტამბო თაბახი 23,5
სააღ. საგამომც. თაბახი 18,06
ტირაჟი 5.000
უე 03682
შეკ. № 66

ფასი 84 კაპ.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ სტამბა
თბილისი, პლეხანოვის, 181
Типография издательства „Литература да Хеловнеба“
Тбилиси, Плехановский, 181